ქართული წყاროთმცოდნეობა

XXVI

2024

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი,
ზურაბ თარგამაძე

Editors
Giuli Alasania, Mariam Chkhartishvili,
Zurab Targamadze

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ქეიშვილი

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
Davit Merkviladze
Nato Songulashvili
George Tcheishvili

რედაქციის საკონტაქტო მონაცემები:
ელფოსტა: source-studies@tsu.ge
მობ.: 577 62 21 34
Editorial office contact details:
email: source-studies@tsu.ge
Mob.: +995 577 62 21 34

© ტექსტი – ავტორები, 2024
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე, 2024
© Text – authors, 2024
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze, 2024

ISSN 1987 – 9563

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

შინაარსი
CONTENT

რედაქტორებისაგან 10
EDITORIAL

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები 11
RESEARCH IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

რამდენიმე კომენტარი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებზე 13
გიული ალასანია
A Few Comments on Important Facts in Georgian History
Giuli Alasania

მეფეთა სათვალავი XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში 27
გონელი არახამია
List of Kings in the 18th Century Georgian Historiography
Goneli Arakhamia

წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის გარკვევის საკითხი ჩითახევის ეკლესიის (მწვანე მონასტერი) ანტეფიქსის წარწერის მიხედვით 41
თამაზ გოგოლაძე
The Issue of Clarifying the Localization of Kviriketsminda Mentioned in the *Life of St. Grigol of Khandzta* according to the Inscription on the Antefix of Chitakhevi Church (Mtsvane/Green Monastery)
Tamaz Gogoladze

ერასტიანიზმი საქართველოში და მისი ბედი ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში 51
დავით თინიკაშვილი
Erastianism in Georgia and its Destiny in Relation to the Christian East
David Tinikashvili

კავკასიის საცენზურო კომიტეტი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (ძირითადი ტენდენციები) 56
გოჩა კუჭუხიძე
Caucasian Censorship Committee in 1880s-1890s (Principal Trends)
Gocha Kuchukhidze

რუსეთ-ოსმალეთის ომი (1877-1878) და ქართული იდენტობა 71
ქეთევან მანია
Russo-Ottoman War (1877-1878) and Georgian Identity
Ketevan Mania

ტერიტორიული და სოციალური ჯგუფების სალოცავებთან და საკულტო რიტუალებთან დაკავშირებული საკითხები ქართველი ხალხის ტრადიციულ კულტურაში (საველე-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით) 85
ნუგზარ მგელაძე
Issues Related to the Shrines and Religious Rituals of the Territorial and Social Groups in the Georgian People's Traditional Culture (according to the Empirical-Ethnographic Sources)
Nugzar Mgeladze

ქართლის პირველი კათოლიკოსის, პეტრეს აღსაყდრების თარიღისათვის 111
მანანა სანაძე
On the Date of the Consecration of the First Catholicos of Kartli
Manana Sanadze

სკოპცების რელიგიური სექტა (XIX საუკუნის 40-50-იანი წლები) 129
ავთანდილ სონღულაშვილი
The Religious Sect of Skoptsy (1840s-1850s)
Avtandil Songhulashvil

ვაhიაამისა და იოასაფის hომანის ე. წ. „ლემის“ ახლებური გაგებისათვის 137
გაგა შურღაია
A New Interpretation of the So-Called "lemma" of *the Barlaam and Ioasaph* Romance
Gaga Shurgaia

პირველი მოგზაური ფოტოგრაფი ქალები კავკასიაში: ჟან დიოლაფუა,
კარლა სერენა და ბელონი შანტრი 164
ანა ჭეიშვილი
Pioneers of Women's Travel Photography in the Caucasus: Jane Dieulafoy,
Carla Serena and Bellonie Chantre
Ana Cheishvili

ისტორიოგრაფია 175
HISTORIOGRAPHY

სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ საბჭოთა
ისტორიოგრაფიაში 177
მერაბ კალანდაძე
Periodization of the History of the Scandinavian Countries according to Georgian Soviet Historiography
Merab Kalandadze

საარქივო მასალების პუბლიკაცია 183
PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIAL

ცხავატის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში 185
დავით ახლოური
The Population of Tskhavat Gorge in the 1860s
Davit Akhlouri

ილია მაქარაშვილის წერილები ნინო ჟურულისადმი 199
გიორგი სოსიაშვილი
Ilia Makarashvili's Letters to Nino Zhuruli
Giorgi Sosiashvili

წყაროთა თარგმანი და წარდგინება 229
TRANSLATION AND PRESENTATIONS OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი 1783-1784 წლებში კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ 231
დავით მერკვილაძე
ერეკლე ხუციშვილი
Peter Butkov about the Situation in the Caucasus in 1783-1784
Davit Merkviladze
Erekle Khutsishvili

ფარამონ ბლანშარის ცნობები საქართველოს შესახებ *L'Illustration, Journal Universel*-ის ფურცლებზე (1857-1858) 239
ირინე ნაჭყებია
Data of Pharamon Blanchard about Georgia in *L'Illustration, Journal Universel* (1857-1858)
Irine Nachkebia

გარუსებული „კაზანოვა" ქართლ-კახეთის სამეფოში 252
ირაკლი ფაღავა
Russified "Casanova" in the Kingdom of Kartl-Kakheti
Irakli Paghava

კომენტარი 267
COMMENT

ბიდლისის ციხესიმაგრის სამეფო დარბაზში ნაპოვნი შიიტური ტურბა: ტრანსკრიფცია და თარგმანი 269
მუსტაფა დეჰქანი
ვურალ გენჩი
A Shiite Turba Found at the Royal Hall of Bidlīs Castle: Transcription and Translation
Mustafa Dehqan
Vural Genç

თვალსაზრისი 275
STANDPOINT

პროფესიული სტანდარტი და მორალური კრიზისი ქართულ აკადემიურ სივრცეში 277
ზურაბ თარგამაძე
Professional Standard and Moral Crisis in Georgian Academic Environment
Zurab Targamadze

ახალი სამოქალაქო საზოგადოების დაბადება საქართველოში 281
ლადო მირიანაშვილი
The Birth of a New Civil Society in Georgia
Lado Mirianashvili

წიგნების მიმოხილვა 295
BOOK REVIEWS

შესანიშნავი საჩუქარი ბათუმს და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას 297
ირაკლი ბარამიძე
A Great Gift to Batumi and Georgian Academic Society
Irakli Baramidze

ქართული ონომატოლოგიის დიდი შენაძენი (გამოხმაურება იგორ კეკელიას წიგნზე – *აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია*) 303
ქეთევან გოდერძიშვილი
A Great Acquisition of Georgian Onomatopoeia (Feedback on Igor Kekelia's Book – *Historical and Modern Toponymy of Abkhazia*)
Ketevan Goderdzishvili

რეცენზია ხათუნა ბაინდურაშვილის წიგნზე *ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)*..... 307
მაია კაპანაძე
On the Book of Khatuna Baindurashvili *Islam in Tbilisi (8th-18th centuries)*
Maia Kapanadze

ცირა ჯანაშიას მონოგრაფია *თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოუხავიანის“ მიხედვით* 312
ქეთევან მანია
Tsira Janashia's Monograph *The Issue of Tavaduri (Noblemen) Mentality in the XVII Century Georgia according to Ioseb Tbileli's "Didmouraviani"*
Ketevan Mania

ირაკლი ფაღავას მონოგრაფია *სიმა თეთრი: ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე* 315
ლადო მირიანაშვილი
A Monograph by Irakli Paghava *Sirma Tetri: the Georgian National Silver Currency*
Lado Mirianashvili

ლევან დვალიშვილის წიგნი *თბილისური ფოლადი და ელიარაშვილები* 319
ლადო მირიანაშვილი
A Monograph by Levan Dvalishvili *Tbilisi Steel and the Eliarashvilis*
Lado Mirianashvili

ირაკლი ბარამიძის, ხათუნა დიასამიძისა და ოლეგ ჯიბაშვილის მონოგრაფია *ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)*..... 327
მიხეილ ქართველიშვილი
A Book by Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze and Oleg Djibashvili *Batumi in the Reports of British Vice-Consuls (1830s-1850s)*
Mikheil Kartvelishvili

ფუნდამენტური კვლევა აჭარის რეგიონის ისტორიის შესახებ..... 329
მიხეილ ქართველიშვილი
A Fundamental Study of the History of the Ajara Region
Mikheil Kartvelishvili

ქრონიკა..... 331
CHRONICLE

რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2023)..... 333
ზურაბ თარგამაძე
Annual Conference of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Department of Medieval History of Georgia and Source-Studies Dedicated to the Centenary of the Birth of Revaz Kiknadze (2023)
Zurab Targamadze

ოთარ ჯანელიძე – 70 339
ალექსანდრე დაუშვილი
Otar Janelidze – 70
Aleksandre Daushvili

1924 წლის აგვისტოს აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია 345
ნატო სონღულაშვილი
Scientific Conference Dedicated to the 100th Anniversary of the August 1924 Uprising
Nato Songulashvili

საერთაშორისო ვორქშოფი *ჰწმენის ადგილები, მეხსიერების ადგილები: პრემოდერნული კავკასიის საკრალური ტოპოგრაფია, ავსტრია, ვენა*, 2024 348
ნინო გაბინაშვილი
International Workshop *Places of Faith, Places of Memory: Sacral Topography in the Pre-modern Caucasus, Austria, Vienna*, 2024
Nino Gabinashvili

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები* 353
სოფიო ქადაგიშვილი
The 9th International Scientific Conference *Archival Studies, Source-Studies – Trends and Challenges*
Sopio Kadagishvili

მესამე საერთაშორისო კონფერენცია *საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი* 356
სოფიო ქადაგიშვილი
Third International Conference *Georgia and the Caucasus – Past, Present, Future*
Sopio Kadagishvili

გზამკვლევი ავტორთათვის 359
GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

მკითხველებს ვთავაზობთ *ქართული წყაროთმცოდნეობის* ახალ, XXVI ნომერს. ტრადიციულად ჟურნალში მასალა განაწილებულია რამდენიმე სექციაში. ეს სექციებია „ისტორიულ–წყაროთმცოდნეობითი კვლევები", „ისტორიოგრაფია", „საარქივო მასალების პუბლიკაცია", „წყაროთა თარგმანი და წარდგინება", „კომენტარი", „თვალსაზრისი" „წიგნების მიმოხილვა", „ქრონიკა", „ინფორმაცია". ჯამში სამ ათეულზე მეტ სტატიას მოიცავს ჟურნალის ეს ნომერი. ავტორები არიან ჰუმანიტარიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები როგორც დამოუკიდებელი მკვლევრები, ასევე სხვადასხვა სასწავლო თუ კვლევითი დაწესებულების წარმომადგენლები. სტატიების თემატიკა მრავალფეროვანია, ასევე მრავალფეროვანი მათი ქრონოლოგიური ფოკუსი. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველები ინტერესით გაეცნობიან ჟურნალის წინამდებარე ნომერს.

დაბოლოს, უაღრესად სასიამოვნო სიახლე: *ქართული წყაროთმცოდნეობა* ჩართულია აკადემიური ჟურნალების საერთაშორისო ბაზაში! კერძოდ, 2024 წლის 2 ივლისიდან ჟურნალი გახდა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ციტირების ევროპული ინდექსის ნაწილი. სიტყვა ეხება ერიხ პლუსს. თავიდან ეს ბაზა მხოლოდ ჰუმანიტარიის დარგის აკადემიურ ჟურნალებს მოიცავდა და ამიტომ იწოდებოდა როგორც European Reference Index for the Humanities ანუ ERIH, შემდგომ გაფართოვდა, დაემატა სოციალური მეცნიერებებიც და ამჟამად იწოდება როგორც ERIH PlUS. ამრიგად, ერიხ პლუსი აერთიანებს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სფეროში იმ სამეცნიერო ჟურნალებს, რომელთაც ინტენსიურად იყენებს ევროპული სამეცნიერო საზოგადოება. ერიხ პლუსი უზრუნველყოფს სამეცნიერო წრეებისათვის ევროპული სამეცნიერო ჟურნალების შესახებ განახლებადი ინფორმაციის მოწოდებას. სწორედ ევროპული მეცნიერების სტანდარტების შესატყვისობამ მისცა *ქართულ წყაროთმცოდნეობას* საშუალება ყოფილიყო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი აკადემიური ერთობის ნაწილი. საერთაშორისო ინდექსირების მოპოვება ჟურნალის რედკოლეგიის დაუღალავი შრომის, მისი პროფესიონალი ავტორების და მომთხოვნი მკითხველების დამსახურებაა. ეს უდავოდ არის ქართული ისტორიული მეცნიერების აღიარებაც და მისი შემდგომი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორიც.

გიული აღასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
თბილისი, 2024 წელი, 17 დეკემბერი

EDITORIAL

It is our pleasure to introduce the new N26 issue of *Georgian Source-Studies*. As always, the journal presents a variety of materials. The articles are distributed in the following sections: *Research in Field of History and Source-Studies; Historiography; Publication of Archival Material; Translation and Presentation of Sources; Comments; Standpoint; Book Reviews; Chronicle; Information*, in total more than thirty papers are published in the present issue. The papers are devoted to various topics and epochs. The authors are independent researchers as well as representatives of different research institutes and universities.

And finally, the very important information about the journal: from 2024 (July 2) the Georgian Source-Studies is included in the international database of academic journals in humanities and social sciences ERIH PLUS.

Giuli Alasania
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze
Tbilisi, December 17, 2024

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები

RESEARCH IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

რამდენიმე კომენტარი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებზე

გიული ალასანია
საქართველოს უნივერსიტეტი
galasania@ug.edu.ge

წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ჩემი ადრეული დაკვირვებები წყაროების ზოგიერთი ცნობის წაკითხვასთან დაკავშირებით, რაც სხვადასხვა არგუმენტზე დაყრდნობით ან ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტის გარეშე არ იყო გაზიარებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

პირველი დაკვირვება ირიბად ეხება ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღს. სხვადასხვა ვარაუდს შორის არის 491 წელი, რაც ვახტანგ გოილაძემ შემოიტანა სირიულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლზე („ფირან გუშნასპის მარტვილობა“) დაყრდნობით, თუმცა აღნიშნული ძეგლის შესაბამისი მონაკვეთი, ჩემი ვარაუდით, რაც ადრეც მქონდა გამოთქმული, არაზუსტად არის წაკითხული. თხზულება, რომელიც ეხება ქართლ-ალბანეთის მარზპანის წამებას, კარგა ხანია ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თუმცა ამჯერად გამოყენებულია ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების დასათარიღებლად (გოილაძე 1988: 89-102).

აღნიშნულ თხზულებაში სულ რამდენიმე თარიღია და ერთის გამოკლებით ყველა ამ შემთხვევაში ათვლის წერტილად გამოყენებულია სპარსეთის შაჰების ტახტზე ასვლა:

„ბერძენთა რვაას ორმოცდაათ წელს (ქრისტიანთა წელთაღრიცხვის 538, აქ სწორედ ზემოთ ნახსენები გამონაკლისია) ქრისტიანთა მდგომარეობა კარგი იყო...“.

„ასე გაგრძელდა მეფე პეროზის მმართველობიდან მეფე ხოსროს [მეფობის] მეათე წლამდე (ირანის შაჰი პეროზი 459-484; ხოსრო ანუშირვანი 531- 579)...“.

„კავადის მმართველობის ოცდამეათე წელს (488-496, 499-531, 496 წელს ჩამოაგდეს ტახტიდან, ხოლო სამი წლის შემდეგ 499 წელს მან დაიბრუნა ტახტი) ...ფირან გუშნასპს... გამოეცხადა ღვთაება ანგელოზის სახით და შთააგონა, რომ იგი გაქრისტიანებულიყო“. ვ. გოილაძის აზრით, ფირანი 518 წელს გაქრისტიანდა (გოილაძე 1988: 90), ანუ, მისი აზრით, კავადის მეფობის 30 წელს, რაც ზუსტი არ არის, რადგან კავადის 30 წელი იყო 521 წელს იმ სამი წლის მიმატებით, როდესაც კავადი ჩამოცილებული იყო მეფობას, რაც 499 წელს კვლავ დაიბრუნა.

დაბოლოს ნათქვამია: „მეორმოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო და თავისი მმართველობის მესამე წელს ბრძანა რომაელთა კეისართან გაეგზავნათ ელჩი...) „....აქ ვ. გოილაძე განმარტავს: „იგულისხმება ხოსრო I ანუშირვანი“, ხოლო წინადადების დასაწყისში გამომცემელი ჯორჯ ჰოფმანი აზუსტებს „[ზავის დადების]“. სწორედ ამ დაზუსტებამ შეიყვანა შეცდომაში ვ. გოილაძე, რომელმაც მოტანილ ციტატას მიაყოლა მსჯელობა: „რატომ დასჭირდა მარტვილობის ავტორს ხოსრო I- ის (531-579) ტახტზე ასვლა ქართლ-ალბანეთში ირანსა და ბიზანტიას შორის 40 წლის წინათ, ე. ი. 491 წელს მომხდარი ომისა და ზავის დადებიდან აეთვალა, ძეგლიდან არა ჩანს. თუმცა, მარტვილობის ავტორის ეს მითითება, უნიკალურია. მსგავსი ცნობა ჯერჯერობით არც ერთ სხვა წყაროში არა გვაქვს. როგორც სათანადო კვლევის შედეგად დადასტურდა, მარტვილობის მიერ მითითებული 491 წლის ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთ კამპანიად უნდა იქნეს მიჩნეული, ჯუანშერის მიერ აღწერილი ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ირანელებთან „იორსა ზედა“, სადაც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა“ (გოილაძე 1988: 92). „ხოსრომ თავისი მეფობის მეცხრე წელს...“ აგრძელებს მარტვილობის ავტორი.

****

3. გოილაძის ვარაუდი ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღზე არ გაიზიარა მ. სანაძემ, თუმცა მიიჩნია, რომ მითითებული თარიღი – 491 წელი „485-490 წლების ქართლსა და სომხეთში სპარსეთის წინააღმდეგ მიმდინარე აჯანყების ფორმატშია განსახილველი" (სანაძე 2019: 399). მკვლევარი იცნობს 2008 წელს გამოცემულ ჩემს ნაშრომს, მაგრამ, ვინაიდან არ იმოწმებს მას ამ კონკრეტული შემთხვევისთვის, როგორც ჩანს, ჩემი დაკვირვება მისი ყურადღების მიღმა დარჩა, ან ჩემი დასაბუთება არ იყო საკმარისად დამაჯერებელი მისთვის. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე, კიდევ ერთხელ გამემეორებია ჩემი ადრინდელი დაკვირვება, რაც „ფირან გუშნასპის მარტვილობის" შესაბამის ნაწყვეტს ეხებოდა: „სირიული ტექსტის ასეთი აღდგენა (იგულისხმება კონტექსტში კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული [ზავის დადების]), ვფიქრობთ, მოკლებულია საფუძველს. აქ „მეორმოცე წელს" კვლავ კავადის მეფობის წლებს ეხება (488-496; 499-531), რაც, თუ არ ჩავთვლით სამწლიან (496-499 წწ.) ინტერვალს, როდესაც კავადი ტახტიდან იყო ჩამოგდებული, სწორედ 40 წელს შეადგენს, როდესაც დასრულდა კავადის მართვა და ტახტზე ავიდა ხოსრო ანუშირვანი. აღსანიშნავია, რომ იგივე განმარტება, სავარაუდოდ ჩემგან დამოუკიდებლად (რადგან გამომცემლები არ იმოწმებენ ჩემს ნაშრომს) ეკუთვნის ტექსტის ინგლისურ ენაზე მთარგმნელებს 2023 წლის გამოცემაში (ჟულიენი, ბეკერი 2023).

დავუბრუნდები კიდევ ერთ საკითხს, რომელიც ასევე ადრე მქონდა განხილული რამდენიმე სტატიაში და რაც ეხება მონღოლების შემოჭრის შედეგად ორად გაყოფილი საქართველოს დროს საქართველოს მეფეებსა და ეგვიპტის სულტნებს შორის 60-იან წლებში დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობებს. საკითხი ფართოა და ვრცელ ქრონოლოგიურ მონაკვეთს მოიცავს. თუმცა, ამჯერად შევეხები ამ ურთიერთობების ერთ კონკრეტულ ფაქტს, კერძოდ კი, მამლუქი სულტნის ელჩების დაბრუნებას საქართველოდან 1268 წელს. 2014 წელს გამოცემულ სტატიაში მე ვრცლად მიმოვიხილე ეს ურთიერთობები და, სხვათა შორის, შევეხე ამ კონკრეტულ ფაქტსაც ქ. მიულერის და ი. პალიჩის სტატიაზე დაყრდნობით. „666 წ. რაჯაბში (1268 წლის მარტ-აპრილში) საქართველოდან ეგვიპტეში ელჩები დაბრუნდნენ საქართველოს ორი მეფის წერილებით. ეგვიპტის სულტანს წერილებით მიმართეს ორმა მეფემ: „აფხაზეთის მეფემ" და „თბილისის მეფემ", რის შემდეგაც მკვლევრები მსჯელობენ იმაზე, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე, მიუხედავად იმისა, რომ ილხანთა კონტროლის ქვეშ იყო, მისგან თავის დაღწევის იმედს არ კარგავდა (მიულერი, პალიჩი 2004: 277-278). ვფიქრობ, ასეთი ვარაუდის საფუძველს იმდროინდელი ვითარება არ იძლევა. ეგვიპტის ელჩები, რომლებმაც წერილები ჩამოიტანეს, ცხადია, სწორედ დასავლეთ საქართველოში იქნებოდნენ გაგზავნილი და წერილებსაც დასავლეთ საქართველოს მეფისაგან ჩამოიტანდნენ, რომელიც თავის თავს „აფხაზეთის მეფეს" და „თბილისის მეფეს" უწოდებს..." საერთოდ, ორი თანასწორუფლებიანი მეფის პირობებში მათ შეინარჩუნეს გაერთიანებული სამეფოს მეფეების ტიტული, რისი დოკუმენტური დადასტურება მხოლოდ ერთ, რუსუდანის შვილის, შემთხვევაში გვაქვს: „აფხაზთა, ქართვ(ე)ლთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყ(ო)ვლისა საქართველოისა და ჩრდილოეთისა ფლობით მპყრობელისა" (ენუქიძე და *სხვები* 1984: 167). სავარაუდოა, რომ იგივე ტიტული შენარჩუნებული ექნებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მეფესაც. „საეჭვოა, რომ დავით ლაშას ძეს, რომელსაც მონღოლებმა ერთხელ უკვე აპატიეს განდგომა, რასაც, სხვათა შორის, მისი მეუღლე შეეწირა, კვლავ ასეთი ნაბიჯი გადაედგა, იმ დროს, როდესაც მამლუქთა წინააღმდეგ ილხანების წარმოებულ ომებში აქტიურად მონაწილეობა ქართული ჯარით მისი ვალდებულება იყო. ასეთი ვალდებულება ძალაში იყო, ვიდრე 1323 წელს არ დაიდო ზავი ილხანებსა და ეგვიპტის სულტანს შორის (ალასანია 2023ა: 44-46).[1]

****

2016 გამოიცა გ. ჯაფარიძის ნაშრომი „საქართველო და ეგვიპტის მამლუქები", სადაც განხილულია ჩვენთვის საინტერესო ფაქტი. ავტორი არ დაეთანხმა ჩემს სტატიაში გამოთქმულ ვარაუდს, რაც მით უფრო საყურადღებოა, რომ მკვლევარი ამ შემთხვევაში ამ-

ბის თანამედროვის ინფორმაციას ეყრდნობა, კერძოდ, სულტან ბეიბარსის ისტორიკოსის 'აბდ აზ-ზაჰირის ცნობას:

> 666 წ. რაჯაბში (17. III-15.IV 1268 წ.), ბაიბარსის ელჩი დაბრუნდა საქართველოდან ქართველი მეფეების ორი წერილით სულტანთან. ერთი მათგანი ეკუთვნოდა აფხაზთა მეფეს (დავით ნარინს) და მეორე დავითს – თბილისის მეფეს. შინაარსი ამ წერილებისა იყო ის, რომ ისინი გამოვიდნენ თათართა მორჩილებიდან სულტნის (ბაიბარსის) გამო; აფხაზთა მეფე წერდა, რომ ის შეუერთდა ბერქეს (ოქროს უ)რდოს გამგებელს – გ. ჯ.), რადგანაც შეიტყო, რომ ის სულტნის მოყვარული იყო (ჯაფარიძე 2016: 92-93).

მოტანილი ცნობა არ არის წყაროს ზუსტი ციტირება. გადმოცემული ინფორმაციის შემდეგ გ. ჯაფარიძე არ დაეთანხმა ჩემს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რადგან მიიჩნია, რომ

> წყარო ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. ქ. მიულერისა და ი. პალიჩის აზრით, აშკარაა, რომ ბეიბარსს ურთიერთობა ჰქონდა ორივე ქართულ სამეფოსთან. დავით ნარინმა დაახლ. 1268 წ. მხარი დაუჭირა თეგუდარის აჯანყებას აბაღას წინააღმდეგ და გაუწია მას მასპინძლობა. აბაღამ განაახლა თავისი ცდები დაეპყრო აფხაზეთი, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. რაც შეეხება აღმ. საქართველოს მეფეს – დავით VII-ს, 1260 წ. წარუმატებელი აჯანყების შემდეგ ის კვლავ ეძებდა შესაძლებლობას, გათავისუფლებულიყო მონღოლთა ბატონობისაგან. ვინაიდან დამოკიდებულება ბიძაშვილ-მამიდაშვილს შორის *ყოველთვის კარგი იყო* (ხაზი ჩვენია – გ. ა.), ასევე შესაძლებელია, რომ ორივე წინასწარ შეთანხმდა ბაიბარსთან თავიანთ ურთიერთობებზე (ჯაფარიძე 2016: 93).

ყველა ამ არგუმენტის გათვალისწინებით მე ვრჩები ჩემს აზრზე. რა მაძლევს ამის საფუძველს? პირველ რიგში, თუნდაც გ. ჯაფარიძის ერთ-ერთ სტატიაში გამოთქმული აზრი ბაიბარს ალ-მანსურის XIV საუკუნის 710/1310-1311 წლების ერთ-ერთ ცნობაზე, სადაც ნათქვამია: „მოვიდნენ ქართველი ელჩები კონსტანტინე დავითის ძის, საქართველოს და თბილისის მფლობელის მხრიდან"... და გ. ჯაფარიძის აღნიშნულ ელჩობასთან დაკავშირებით გაკეთებული საყურადღებო შენიშვნა –კონსტანტინე არ იყო „თბილისის მფლობელი", მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ კონსტანტინე ასე უწოდებდა თავს სულტნისადმი გაგზავნილ წერილში". და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ორივე მეფე, როგორც აღინიშნა, ინარჩუნებდა ერთხელ მიღებულ უფლებებს და, შესაბამისად, ტიტულსაც (ჯაფარიძე 2006: 295-296).

გარდა ამისა, არ არის ზუსტი ქ. მიულერისა და ი. პალიჩის აზრი, თითქოს ბიძაშვილ-მამიდაშვილს ერთმანეთში მუდამ კარგი ურთიერთობა ჰქოდათ. ცნობილია, რომ ლაშას ძის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ მათი კარგი ურთიერთობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ლაშას ძემ მალე დასავლეთ საქასრთველოს გაყოფა მოინდომა, რამაც დაძაბა ორ მეფეს შორის ურთიერთობა და დავით ლაშას ძეს უკან დაბრუნება და მონღოლებისათვის პატიების თხოვნა მოუხდა. შემდგომში ისინი სრულიად განსხვავებული, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული, დაჯგუფების წევრები იყვნენ. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე ილხანების, კილიკიის სომხეთის, რუმის სასულტნოს და რომის პაპის მოკავშირეები იყვნენ, დასავლეთ საქართველო ბუნებრივად იყო გაერთიანებული ილხანებთან და რომის პაპთან დაპირისპირებულ ძალასთან –ოქროს ურდოსთან, ეგვიპტესთან, ბიზანტიასთან.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ წყაროს მიხედვით ელჩები ორი მეფის წერილებით დაბრუნდნენ, შემდეგ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფის მიმართვის ტექსტია გადმოცემული და უცნობი რჩება ლაშას ძის წერილის შაინაარსი.

ის, რომ ინფორმაციას გვაწვდის ამბის თანამედროვე, ვითარებას არ ცვლის. მასაც შეიძლებოდა დაეშვა შეცდომა იმის გამო, რომ ორივე მეფეს დავითი ერქვა და ტიტულებიც ერთნაირი ჰქონდათ, ამავე დროს, ცნობილი იყო, რომ საქართველო ორ ნაწილად იყო გაყოფილი და მას ორი მეფე მართავდა.

****

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უკვე განხილული მქონდა ერთ-ერთ ნაშრომში, ეხება თამარ მეფის გარდაცვალების თარიღს. ამავე საკითხს არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა რაოდენობა განსაკუთრებით გამრავლდა უკანასკნელ წლებში, სადაც ძირითადად ჭარბობს 1207, ან 1210 წწ. სამწუხაროდ, ამ გამოკვლევებში იშვიათად არის მოხსენიებული საკითხთან დაკავშირებული რ. კიკნაძის ძალზე საინტერესო დაკვირვებები. ერთი მათგანი, რომელიც მე გავითვალისწინე ჩემს გამოკვლევაში (ალასანია 2017: 147-162)[2] ეხება ქართველთა ძლევამოსილ ლაშქრობას ირანში. ფაქტი მნიშვნელოვანია როგორც დავით სოსლანის, ასევე თამარის გარდაცვალების თარიღების დასადგენად და ასევე არაერთ ნაშრომშია განხილული. რ.კიკნაძემ ამ შემთხვევაში ამოსავალ წერტილად გაიხადა „ისტორიათა და აზმათა" ცნობა, რომლის მიხედვითაც არდებილის „სულტანი" აღდგომა დღეს დაესხა ანისს, რაც ახალ კვირას აცნობეს გეგუთს მყოფ თამარს. ამას მოჰყვა რამაზანის თვე, რომლის გასულს, გახსნილების დღესასწაულზე, ქართველებმა არდებილი დაარბიეს. „აღწერილი ამბები ისეთ წელს მომხდარა, როცა აღდგომა დაახლოებით ათი დღით უსწრებდა მთვარის კალენდრის მეცხრე თვის, რამაზანის დასაწყისს" (კიკნაძე 1975: 126).[3] რ. კიკნაძეს წარმოდგენილი აქვს ქრონოლოგიური ცხრილი, სადაც ნაჩვენებია აღდგომისა და „აიდის" დღეები და რამაზანის მარხვის დასაწყისი 1205-1210 წწ-ში, საიდანაც ირკვევა, რომ აღნიშნულ მონაკვეთში მხოლოდ 1205 და 1206 წწ.-ში იყო ვითარება, როდესაც აღდგომა უსწრებდა რამაზანს. ცნობაზე დაყრდნობით რ. კიკნაძემ საძიებელ თარიღად 1205 წელი მიიჩნია და ამავე წლით დაათარიღა დავით სოსლანის გარდაცვალებაც (კიკნაძე 1975: 126-128).[4]

იმ დროს, როდესაც პირველად გამოქვეყნდა თამარის გარდაცვალების თარიღისადმი მიძღვნილი თ. ნატროშვილის და გ. ჯაფარიძის სტატია *ცდა ეჰთი თარიღის დადგენისა* (ნატროშვილი, ჯაფარიძე 1974: 168-189) რ. კინაძის ნაშრომები არ არსებობდა. ისინი დამოიცა 1975 და 1980 წლებში.

იმავე სტატიაში, რომელიც უკვე შევსებული და საკმაოდ განსხვავებული ფორმით გამოაქვეყნა გ. ჯაფარიძემ (ჯაფარიძე 2012), კვლავ ყურადღების მიღმა დარჩა რ. კიკნაძის დაკვირვება, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად აქვს ნაჩვენები, რომ ჩვენთვის საინტერესო ფაქტებთან დაკავშირებით, ვგულისხმობ ქართველების ირანში ლაშქრობას, იქნებოდა ეს არდებილი თუ მარანდი და სხვ., ყველა ქართული წყარო თამარის მეფობის წლებს აკუთვნებს. რ. კიკნაძის ერთადერთი სტატია, დამოწმებული გ. ჯაფარიძის შევსებულ გამოკვლევაში, ეხება საკუთრივ ქართველების ირანს ლაშქრობას, რომელიც კვლავ თამარის წლებშია მოთავსებული.[5] გ. ჯაფარიძე განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, რომელიც თითქოსდა 1207 წლით ათარიღებს თამარის გარდაცვალებას, იმავდროულად, თამარის მეფობის აღწერილობაში მოიხსენიებს ირანში ლაშქრობას: „დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი, და მარანდი ამოსწყვიტეს და ერანის ქუეყანა. ესდენათ სიშორესა შინა მივიდნენ, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა" (მეტრეველი 2008: 354). ყველა ეს მონაცემი სხვადასხვა ნაშრომში გამოყენებულია თამარის გარდაცვალების თარიღის დასადგენად, მაგრამ გ. ჯაფარიძისთვის გადამწყვეტი გახდა არაბული წყაროების მონაცემები. XII საუკუნის არაბი მემატიანე იბნ ხალიკანი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას სწავლულის 'იზზ ად-დინის არბელიდან გაძევებასა და მის მოსულში დამკვიდრებაზე, ათარიღებს ამ ფაქტს 602 ან 603 წლით (1205 წ. 18 აგვისტო – 1207 წ. 27 ივლისი), შემდეგ აგრძელებს თხრობას: „იმავე წელს ქართველები გამოემართნენ და აიღეს მარანდი [...] გაძარცვეს იგი; ამოჟლიტეს მცხოვრებთა ნაწილი [...]" (ჯაფარიძე 2012: 188). აქვე არაბ მემატიანეს მოყვანილი აქვს განსხვავებული ინფორმაციაც: „იბნ ბატიში ამბობს, რომ ეს იყო 606 წელს" (1209 წ. 6 ივლისი – 1210 წ. 24 ივნისი). იმის გამო, რომ იბნ ბატიში ფაქტის მომსწრე იყო და ცხოვრობდა მოსულში, სადაც მოხდა სწავლულის გადასახლება და დამკვიდრება, გ. ჯაფარიძე ამ უკანასკნელ თარიღს უფრო სანდოდ მიიჩნევს, ხოლო თვით ფაქტს 1209 წლის შემოდგომას აკუთვნებს (ჯაფარიძე 2012: 189-190). ამავე დროს საყურადღებოა ისიც, რომ იბნ ხალიკანი, ჯაფარიძესთან ხალიქანია რომელიც, მართალია, არ მოსწრებია ჩვენთვის საინტერესო ფაქტებს,

უპირატესობას, როგორც ჩანს, მაინც 602 წელს ანიჭებს, მას პირველ ადგილზე ათავსებს და ამასთანავე აზუსტებს – „რამდენადაც ვიცი". თუმცა კეთილსინდისიერების გამო უყურადღებოდ არ ტოვებს არც თავისი მასწავლებლის, იბნ ბატიშის, ინფორმაციას.

გამომდინარე ყოველივედან, აქ მოყვანილი არაბული წყაროების ცნობები არ ტოვებს რეპრეზენტატულობის შთაბეჭდილებას საძიებელი ფაქტის დასადგენად, იმ დროს, როდესაც არსებობს იბნ ალ-ასირის ცნობა; ამასთანავე ყველა ქართული წყარო განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა.

რაც შეეხება ყარსის აღებას, ეს, როგორც ჩანს, დაიწყო დავით სოსლანის სიცოცხლეში და მისი მონაწილეობით, შეფერხდა მისი გარდაცვალების გამო (1205 წელს) და დასრულდა 1206 წელის დეკემბერში ან 1207 წლის იანვარში, როგორც ეს დამაჯერებლად აჩვენა გ. ჯაფარიძემ (ჯაფარიძე 1995: 162).

რ. კიკნაძის მეორე დაკვირვება, რომელიც მე, სამწუხაროდ, გამომრჩა თამარის გარდაცვალების თარიღისადმი მიძღვნილ ჩემს სტატიაში, ეხება ვახუშტი ბაგრატიონის გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს. მკვლევარი შენიშნავს, რომ ვახუშტის ყველა თარიღი, რომელიც ეხება XII საუკუნის დასასრულს და XIII საუკუნის დასაწყისს, არის წინ გადაწეული (კიკნაძე 1980: 148). ჩამოთვლილია: შამქორის ბრძოლა – 1193 (ყაუხჩიშვილი 1973: 183), ბასიანის ბრძოლა 1196 (ყაუხჩიშვილი 1973:187), კონსტანტინოპოლის დაცემა – 1198 (ყაუხჩიშვილი 1973: 189), დავით სოსლანის გარდაცვალება – 1199 (ყაუხჩიშვილი 1973: 189), თამარის გარდაცვალება – 1201 (ყაუხჩიშვილი 1973: 191).

მ. ბროსეს და მოგვიანებით თ. ჟორდანიას გამოთქმული ვარაუდით (ჟორდანია 1892: 90-91)[6] ვახუშტი თარიღებში ზოგიერთ შემთხვევაში (მ. ბროსესთან), ან საზოგადოდ (თ. ჟორდანიასთან) ათწლიან შეცდომას უშვებს, რაც გაზიარებული იყო სამეცნიერო ლიტერატურაში. აქ მოყვანილია სხვადასხვა მკვლევართა შესაბამისი თარიღები ათი წლის დამატებით.[7] როგორც ცნობილია, დათარიღებისთვის ვახუშტის ათვლის წერტილია კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსანთა მიერ, ანუ 1204 წელი, თუმცა ვახუშტისთან ეს მოვლენა არა 1194-ით, არამედ 1198 წლით არის დათარიღებული.

მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას და სხვათაგან სრულიად განსხვავებული ვარაუდი შემოგვთავაზა რ. კიკნაძემ, რომელიც XII საუკუნის დასასრულის და XIII საუკუნის დასაწყისის მითითებულ თარიღებზე დაკვირვებამ მიიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე, რომ აქ ჩამოთვლილ თარიღებში დაშვებულია ექვსწლიანი ცდომილება, თუმცა მეცნიერს ეს კანონზომიერება არ გაუვრცელებია ვახუშტის მთელ ქრონოლოგიურ მაჩვენებლებზე. თუ ზემოთ მითითებულ თარიღებს მივუმატებთ ექვს წელს, მივიღებთ თარიღებს, რომელთა ძირითადი ნაწილი დადასტურებულია სამეცნიერო გამოკვლევებში: შამქორის ბრძოლა 1199 წელი, ბასიანის ბრძოლა 1202 წელი, კონსტანტინოპოლის აღება ჯვაროსნების მიერ – 1204 წელი, დავით სოსლანის გარდაცვალება – 1205 წელი, თამარის გარდაცვალება –1207 წელს. თუმცა ის, რაც ბოლო ორ შემთხვევაში რ. კიკნაძისათვის ზოგიერთი ფაქტის დასათარიღებლად საყრდენი იყო, იმ მკვლევართათვის, რომლებიც დავით სოსლანის და თამარის გარდაცვალებას სხვაგვარად ათარიღებენ, ეს სადავოა (ჯაფარიძე 1975: 295).

სამწუხაროა, რომ მრავალრიცხოვან გამოკვლევებს შორის, რომლებიც მიეძღვნა თამარის გარდაცვალებას, თითქმის არცერთში არ არის გათვალისწინებული რ. კიკნაძის მიგნებები, რომლის ნაშრომებიც მუდამ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიღრმით და დასაბუთების დამაჯერებლობით.

****

1999 წელს გამოვიდა ჩემი სტატია „თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის" (ალასანია 1999: 21-26). სტატია მცირე იყო მოცულობით და მისი ერთგვარი შევსება გახდა ჩემი წიგნი „ქართველები და ისლამამდელი თურქები" (ალასანია 2008ა), რომლის გამოქვეყნების შემდეგ იგივე ნაშრომი გამოიცა აგრეთვე თურქულ და ინგლისურ ენებზე (ალასანია 2013); (ალასანია 2014).

თუმცა ყველა ამ გამოცემის შემდეგ აგრეთვე დიდი დრო გავიდა. უკანასკნელ ნაშრომში არაერთი საკითხია განხილული, მაგრამ მკვლევართა ყურადღება ძირითადად მიიპყრო თბილისის საამიროს დაარსების თარიღმა – 771 წელმა (ამირა იბრაჰიმ იბნ ალ-ჰასან იბნ

კაჰტაბას დანიშვნის თარიღი, რომელიც თანამდებობაზე იმყოფებოდა 775 წლამდე). გავეცანი შესაბამის პუბლიკაციებს, მათ შორის ირაკლი ფაღავას ნაშრომს „სახალიფოს ადმინისტრაციული ერთეულის – თბილისის საამიროს დაარსება არა-ნარატიული წყაროების მიხედვით (ადრეულ-არაბული მონეტები და ლაპიდარული წარწერები საქართველოდან)" (ფაღავა 2022: 86-131) – და გამიჩნდა სურვილი მივბრუნებოდი ამ საკითხს. მითითებულ სტატიაში ფუნდამენტური გამოკვლევის შედეგად ავტორი მიდის შემდეგ დასკვნებამდე:

> არაბული ადმინისტრაციის პირველად გაჩენა VIII საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. არაბული ადმინისტრაციის შემოღება კი თბილისის საამიროს, როგორც სახალიფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის, დაარსებას ნიშნავდა. [...] რასაკვირველია, თბილისსა და ქართლში არაბთა ბატონობა არ იყო უწყვეტი. პერიოდულად არაბები თბილისს მეტ-ნაკლებად დიდი დროით კარგავდნენ კიდევაც (ფაღავა 2022: 124).

სტატიის ავტორი თავის დასკვნებს აფუძნებს ნუმიზმატიკურ და თბილისის მილის ქვების მონაცემებზე, როგორც თბილისში არაბთა ადმინისტრაციული საქმიანობის მოწმობაზე და ემიჯნება ნარატიული წყაროების მონაცემებს, როგორც ნაკლებად სანდოს. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიარებ მკვლევრის ძირითად დასკვნებს, კიდევ ერთხელ გადავხედავ არაბობის ხანას საქართველოში, რადგან არც 1999 წელს გამოქვეყნებული ჩემი სტატია და არც მოგვიანებით გამოცემული ნაშრომები ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხს ვერ პასუხობს ამომწურავად. გარდა ამისა, მართალია, ი. ფაღავას სანდო წყაროები აქვს მოხმობილი, მაგრამ ძიებულ საკითხზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობ, ყველა ტიპის წყარო უნდა იყოს გამოყენებული.

არაბთა შემოჭრა საქართველოში VII საუკუნის შუა წლებში დადასტურებული ფაქტია, თუმცა კვლავ მიმდინარეობს კამათი თარიღის დაზუსტების მიზნით: VII საუკუნის გვიანი 30-იანი, 40-იანი, ან 50-იანი წლები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის დასაზუსტებლად ალბათ შესაძლებელია გაივლოს პარალელი VI საუკუნის ვითარებასთან, როდესაც საქართველოს ტერიტორიისათვის იბრძვის ორი დიდი სახელმწიფო: ბიზანტია და სასანიანთა სპარსეთი.

პროკოპი კესარიელის ცნობით, 523 წელს, სპარსეთმა გააუქმა ქართლში მეფობა და მოგვიანებით შეცვალა ის ერისმთავრის ინსტიტუტით. სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრია იმის შესახებ, თუ რამდენად ტარდებოდა ეს გადაწყვეტილება. ორ დაპირისპირებულ მხარეს – ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 532 წელს დადებული „უვადო ზავის", და იმავე სუბიექტებს შორის 562 წელს დადებული ზავის შემდეგაც ქართლში მეფეები კვლავაც არიან, იხსენიებიან აგრეთვე ერისთავები, და აჯანყებები სპარსეთის წინააღმდეგ გრძელდება. გრძელდება ომები ბიზანტიასა და სპარსეთს შორისაც, თუმცა ისტორიულ არენაზე გამოდის მესამე ძალა – თურქულენოვანი ხაზარები, რომლებიც, როგორც წესი, ბიზანტიის და ხშირად ქართველების მოკავშირეები არიან. VI საუკუნის ვითარების ამსახველი წყაროების და შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების შესწავლის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ დროდადრო მეფობის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, რასაც ყოველ ჯერზე დამპყრობლის უკანდახევა მოყვებოდა, 591 წელს დაიდო ზავი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ქართლში მეფის ინსტიტუტის გაუქმებას. საბოლოოდ, დიდი ხნით გაუქმდა მეფის და დაწესდა ერისმთავრის ინსტიტუტი. თბილისში ჯდება გუარამის შვილი სტეფანოზი, რომელიც ამასთანავე იღებს მონეტის მოჭრის უფლებას, თუმცა „მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს" (მეტრეველი 2008: 188). ირკვევა, რომ გადაწყვეტილების მისაღებად და ერთგვარი სტაბილურობის მისაღწევად სასურველი პირობა იყო ძირითად დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება.

რა ხდება არაბთა შემოჭრის და ქართლის გამგებლისადმი „დაცვის სიგელის" ბოძების შემდეგ? აქაც კვლავ ვხედავთ ორ დაპირისპირებულ მხარეს – ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს და ამასთანავე მესამე ძალის – ბიზანტიის მოკავშირე ხაზარების გააქტიურებას. თავის მხრივ, ამ ორ ძალასთან ერთად ქართველების მხარდაჭერაც აფერხებს არაბების

მთავარი მიზნის მიღწევას – ხაზარების დამარცხებას, მიუხედავად არაბების არაერთგზის მცდელობისა.

იმ წლებში არაბებმა არაერთხელ გაიარეს ქართლი. იბნ ალ-ასირის ცნობით, ჰიჯრით 42 (662/3) წელს მუსლიმებმა ილაშქრეს როგორც ალანთა, ისე რუმთა წინააღმდეგ და რამდენიმე მათი ბატრიკი მოკლეს (ემინი 1864: 22). სირიელი ავტორის ბარ ჰებრეის ცნობით (უალის ბაჯი:1932), ამავე საუკუნის 685 წელს ტახტზე ასული აბდ-ალ-მალიქი ბიზანტიის კეისარ იუსტინიანე II-თან ათწლიან ზავს დებს. „უკანასკნელს „უნდა გაეთავისუფლებინა არაბთა ქვეყნები ყაჩაღთა ბანდებისაგან (მარდაიტებისაგან – გ. ა.), რომელთა რიცხვი 12000 შეადგენდა. ამ სამსახურის სანაცვლოდ ის მას ყოველწლიურად ათას დინარს, ერთ ცხენს და ერთ მონას გადაუხდიდა". ზავის მიხედვით ქართლი და სომხეთი საერთო მფლობელობაში იქნებოდნენ და მათგან შემოსული ხარკი შუაზე გაიყოფოდა (არტამონოვი 1962: 75). ბიზანტიამ, როგორც ჩანს, ზავი მაშინვე დაარღვია. ალბანეთი, რომელიც საზავო ხელშეკრულებაში არ იხსენიება, მოვსეს კალანკატუაცის ცნობით (პატკანიანი 1861: 253), არაბებს, ბიზანტიელებს და ჰუნებს ერთდროულად უხდიდა ხარკს. 686 წლიდან, აბდ ალ-მალიქის ტახტზე ასვლის (685-705) მომდევნო წელს სამხრეთ კავკასია გამოდის არაბების ოცდაათწლიანი მორჩილებიდან და ქართველები, სომხები და ალბანელები ხარკის გადახდაზე უარს ამბობენ (პატკანოვი 1862: 9). სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის დაუფლებისათვის დაპირისპირება არაბებსა და ბიზანტიას შორის VIII საუკუნეშიც გრძელდება. ამ უკანასკნელის მოკავშირეები კვლავ ხაზარები არიან. წყაროებიდან ირკვევა, რომ მდგომარეობა არცერთი მხარისათვის არ არის სტაბილური.

697 წელს ლაზიკის პატრიკიოსი სერგი ბარნუკის ძე აუჯანყდა ბიზანტიელებს და მათ წინააღმდეგ არაბები მიიწვია. როგორც თეოფანეს ცნობიდან ირკვევა, 709 წლისათვის არაბებს აბაზგიაც ემორჩილებოდა „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც" (ყაუხჩიშვილი: 76). ამავე დროს ბიზანტიელების მიწვევით ქართველი ერისმთავრები (სტეფანოზ III და მისი შვილები) გადადიან დასავლეთ საქართველოში და აქტიურად არიან ჩართული, ერთი მხრივ, არაბების და, მეორე მხრივ, ბიზანტია-ხაზართა დაპირისპირებაში. ვარდან ფილიპიკოსმა სტეფანოზს ეგრისის პატრიკიოსობა უბოძა. ატენის სიონის ფრესკული წარწერის მიხედვით, სტეფანოზს ერისმთავრობა 709 წელს დაუწყია (სანაძე 2016: 445). ატენის სიონის ფრესკულ წარწერაში სტეფანოზი იხსენიება როგორც „ქართუელთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფალი" (აბრამიშვილი 1977: 64).

გამუდმებით მიმდინარეობს ბრძოლა დერბენდსა და დარიალისთვის, რომლებსაც დროდადრო არაბები აკონტროლებენ, თუმცა შემდეგ კვლავ კარგავენ. ჰიჯრით 88/706-707 წელს, მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა აზერბაიჯანის მხრიდან ილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ და მათი ციხე-ქალაქები აიღო (ემინი 1864), თუმცა, იმავე 707 წელს (სომხური წელთაღრიცხვის 153 წლიდან სამი წლის შემდეგ, ე. ი. 156 წელს (707 წ.) ტაჯიკთა იშხანი მრუანი (ალბათ მუჰამად იბნ მარვანი – გ. ა.) წავიდა ალანიაში, მაგრამ ვერ შეძლო შიგ შესვლა (დავლიანიძე-ტატიშვილი 1985), რაც იმას ნიშნავს, რომ არაბები არ აკონტროლებენ დარიალს. ჰიჯრით 104 (722/723) წელს ხაზარები კვლავ იმარჯვებენ მუსლიმებზე და ხალიფა იაზიდი (იაზიდ II 72O-724) გამგებლად ნიშნავს ალ-ჯარაჰ იბნ აბდ ალლაჰ ალ-ჰაქიმს. იაზიდისა და ჰიშამის (724-743) ხალიფობის დროს სამხრეთ კავკასიის გამგებლები ხშირად იცვლებოდნენ. ალ-ჯარაჰს თანამდებობაზე ზოგჯერ მასლამა აბდ ალ-მალიქი ცვლის. მასლამამ ორჯერ ილაშქრა ხაზარების წინააღმდეგ: ერთხელ ჰიჯრით 109 (727-728) წელს აზერბაიჯანიდან, ხოლო ჰიჯრით 110 (728-729) წელს – ალანთა კარით (დარიალით), უკან კი ის ე. წ. ზუ ლ-კარნაინის გასასვლელით, დ. დანლოპის აზრით, ქართველი მეფეების რეზიდენციით დაბრუნდა(დანლოპი 1954: 68). იბნ ალ-ასირის ცნობით, ალ-ჯარაჰ იბნ აბდალაჰის მოძრაობაზე ჩრდილოეთისაკენ ხაზარებს ინფორმაციას იმ მთების რომელიღაც მცხოვრები აწვდიდა (ჟუზე 1940: 25). მასლამა იბნ აბდ ალ-მალიქმა ხაზართა წინააღმდეგ საიდ იბნ ამრ ალ-ჰარაში გაგზავნა. ეს რამდენიმეჯერ გამეორდა. ჰიჯრით 109 (727/728) წელს მან *დაიპყრო* ალანთა კარი, შეეჯახა ხაზარებს და, იაკუბის ცნობით, მოკლა ხაკანის შვილი, რასაც იბნ ალ-ასირიც იუწყება. ამ უკანასკნელთან ეს ამბავი ჰიჯრით 112 (730/731) წლით არის დათარიღებული. ამაზე ცოტა ადრე, ჰიჯრით 111/730 წელს ხაზართა მრავალრიცხო-

ვანი ლაშქარი, ხაკანის შვილის მეთაურობით, შეიჭრა აზერბაიჯანში. ატ-ტაბარის ცნობით, რომელსაც ალ-იაკუბი და იბნ ალ-ასირიც იმეორებენ (სილაგაძე 1991: 94-95), ხაზარები ალ-ანთა ქვეყნიდან (ე. ი. დარიალით) შეიჭრენ. ღევონდის ცნობით კი, ხაზართა ლაშქარმა გაიარა ჰუნთა მიწები, ჭორის კარი (დერბენდი – გ. ა.), მასკუთთა მიწები, გადავიდა არაქსზე, შეიჭრა ფაითაქარანში, ყველგან ხოცავდა მუსლიმებს, სადაც კი იყვნენ (პატკანოვი 1862: 94-95); (არტამონოვი 1962: 211-213). დარიალისათვის ბრძოლა არც აბასიანთა დროს შეწყვეტილა (ალასანია 2008ა: 131).

მასლამამ თავისი ავანგარდის მეთაურად მარვან იბნ მუჰამმადი დანიშნა, რომელიც, ვიდრე სამხრეთ კავკასიის მეთაურად დაინიშნებოდა (732 წ.), აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის ოპერაციებში. მარვან იბნ მუჰამმადი – მუჰამად იბნ მარვანის ვაჟი და ხალიფა ჰიშამ იბნ აბდ ალ-მალიქის (724-743) ბიძაშვილი – მოგვიანებით უკანასკნელი უმაიანთა ხალიფა გახდა, რომლის დამხობის შემდეგაც უმაიანებს აბასიანები ცვლიან. მარვანმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ხაზარები და დიდი ხნით შეაჩერა მათი აქტიურობა სამხრეთში, თუმცა საბოლოოდ მათი სახელმწიფოს დაპყრობა ვერ მოახერხა. არაბულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს ცნობები საქართველოში მარვან იბნ მუჰამმადის ბრძოლების შესახებ. ამაზე დეტალურად მხოლოდ ქართული წყარო მოგვითხრობს. სწორედ სამხრეთ კავკასიაში მარვანის მართვის ხანგრძლივობისა (732-742) და სიმძიმის გამო, ამასთანავე მარვანის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე, რომელიც უმაიანთა უკანასკნელი ხალიფა იყო, ბევრ არაბ დამპყრობელს შორის ქართულმა ისტორიულმა მეხსიერებამ სწორედ მარვან იბნ მუჰამმადის სახელი შემოინახა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. ლორთქიფანიძემ პირველმა შემოიტანა თბილისის საამიროს დაარსების კონკრეტული თარიღი: „მართალია, არაბები თბილისში VIII საუკუნის დამდეგსაც იმყოფებოდნენ (ამ დროისათვის თბილისში მოჭრილი არაბული ფულიც მოგვეპოვება), მაგრამ ქართლის პოლიტიკური ცენტრი მათ მტკიცედ უნდა დაეპყროთ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ, როდესაც თბილისი საბოლოოდ იქცა არაბ ამირათა რეზიდენციად“ (ლორთქიფანიძე 1951: 186). მიუხედავად იმისა, რომ ეს ვარაუდი არ ემყარება რომელიმე წყაროს კონკრეტულ ჩვენებას, თუ არ ჩავთვლით ქართულ მატიანეებში შემონახულ მონაცემებს მარვან იბნ მუჰამმადის არაბებისათვის წარმატებულ საქმიანობაზე, ის გაიზიარეს ა. ბოგვერაძემ, ო. ცქიტიშვილმა, ბ. სილაგაძემ.

როგორც აღვნიშნე, 1999 წელს გამოიცა ჩემი სტატია, სადაც გადაისინჯა ეს მოსაზრება. მოკლე სტატიაში მოტანილია სხვადასხვა დროს მკვლევართა მიერ გამოთქმული ვარაუდები ქართლში ამირას ინსტიტუტის დამკვიდრების შესახებ. ყველა ეს მოსაზრება, თავის მხრივ, საყურადღებოა, თუმცა მითითებულ სტატიაში გამოვყავი მ. ლორთქიფანიძის ვარაუდი, რომელიც სხვებთან შედარებით მეტი კატეგორიულობით და კონკრეტულობით გამოირჩევა და დასკვნაშიც სწორედ ეს ვარაუდი არ გავიზიარე, როდესაც აღვნიშნე, რომ თბილისის საამირო „შეიქმნა VIII საუკუნის არა 30-იან ან 40-იან, არამედ 70-იან წლებში“ (ალასანია 2007: 12), ვინაიდან სწორედ იმ დროიდან არის შემორჩენილი წყაროებში ამირების უწყვეტი სია. ამ ფაქტს ემთხვევა ერისმთავრის თანამდებობის გაქრობა, თუმცა გარკვეული დროით. არაბები აპატიმრებენ ერისმთავარ ნერსეს (771 წელს), კავკასიაში მიმდინარე აჯანყების ერთ-ერთ ლიდერს, და მის ნაცვლად აღარ ნიშნავენ ახალ ერისმთავარს. ეს ვითარება იცვლება მხოლოდ 775 წელს, როდესაც იდება ზავი არაბებსა და ბიზანტიას შორის, ორივე მხარე ათავისუფლებს ტყვეებს (უალის ბაჯი 1932: 116) და არაბები აღადგენენ ერისმთავრის ინსტიტუტს, რომელზედაც ნიშნავენ ქართლში დაბრუნებულ ნერსეს. ვითარება არც მაშინ იცვლება, როდესაც პატიმრობიდან გათავისუფლებული და თანამდებობაზე აღდგენილი ნერსე აგრძელებს დაუმორჩილებლობას, ტოვებს ქართლს, გადადის ხაზარებთან, რომლებიც მას ხაზარების კონტროლის ქვეშ მყოფ აფხაზეთში გაამგზარებენ, სადაც მას უკვე ამაზე ადრე ცოლ-შვილი ჰყავდა გახიზნული. ბიზანტიასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ხალიფა მაჰდის გამგებლობის მთელ პერიოდში (775-785) ერისმთავრის ინსტიტუტი კვლავ განაგრძობს არსებობას და ერისმთავრად ნერსეს ოჯახის წევრი სტეფანოზ IV ინიშნება, ვიდრე ტახტზე არ ავიდა აბუ მუჰამად იბნ მაჰდი ალ-ჰადი (785-786), რომლის ფართო რეპრესიებს აბო თბილელის მსგავსად

იმავე 786 წელს ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი სტეფანოზ IV-ც შეეწირა. არაბი ხალიფა ხდება ხარუნ ალ-რაშიდი, რომლის მართვის წლები (ოცდასამი წელი და ორი თვე) ერთ-ერთ წარმატებულ პერიოდად ითვლება სახალიფოს ისტორიაში. ამიერიდან კვლავ ქრება საქართველოში ერისმთავრის ინსტიტუტი და ისტორიულ არენაზე გამოდის აშოტ ბაგრატიონი (კურაპალატი), რომელიც თავის თავს მეფედ მიიჩნევს და მიზნად ისახავს თბილისში შესვლას, რასაც საბოლოოდ ვერ აღწევს (ალასანია 2008ა: 127-168).

****

2014, 2016 და ახლახან 2022 წლებში გამოიცა ირაკლი ფაღავას სტატიები, სადაც ავტორი არ იზიარებს ჩემს ვარაუდს თბილისის საამიროს დაარსების შესახებ. მას შემოტანილი აქვს ახალი, ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე უცნობი ნუმიზმატიკური მასალის და მილის ქვის მონაცემები, რაც, მისი აზრით, ქართლში არაბთა საქმიანობას VIII საუკუნის დამდეგიდან აშკარად ადასტურებს (ფაღავა 2014: 250-257).[9]

ის, რომ VIII საუკუნის დამდეგს (85.704/5ნ.) თბილისში არაბული მონეტა მოიჭრა, ეს იყო ცნობილი. მსგავსი მონეტების რამდენიმე ცალია აღმოჩენილი. ცნობილი იყო ჰიჯრით 86 წელს მოჭრილი მონეტაც. ე. პახომოვის ვარაუდით, „არაბები დედაქალაქში მაინცდამაინც მყარად არ ისხდნენ და დროდადრო იძულებულნი იყვნენ ის დაეტოვებინათ". ეს მოსაზრება სავსებით მისაღებია. „თბილისი აშოტ კურაპალატის (787-826) დრომდე ხელიდან ხელში გადადიოდა", – აგრძელებს ავტორი – „მაგრამ მის დროს საბოლოოდ დაიკავეს არაბებმა, რომლებმაც აქციეს სასაზღვრო სიმაგრედ. მის ამირას ნიშნავდა უშუალოდ ხალიფა, ან არმენიის და აზერბაიჯანის გამგებლები" (პახომოვი 1970: 38-39). მსჯელობა მოითხოვს ზოგიერთ დაზუსტებას. არ მიმაჩნია გამართლებულად თბილისის ამირას საკითხის აშოტ კურაპალატთან დაკავშირება. როგორც გაირკვა, აშოტ ბაგრატიონი უკანასკნელი ერისმთავრის სტეფანოზ IV-ის წამებით აღსასრულის (786 წელს) (ალასანია 2008ა: 140-147) შემდეგ იწყებს ბრძოლას დაპყრობილი ტერიტორიების დასაბრუნებლად, ვერ ახერხებს თბილისში შესვლას, რომლის ამირას მოკავშირეობას უწევს კახეთის გამგებელი გრიგოლი, იმ დროს როდესაც აშოტს არაბთა სახალიფოს მხარდაჭერა აქვს. აშოტი 214/829/30 წელს მოკლულ იქნა ქართველების ხელით (ალასანია 2008ა: 146-147, 161).

2022 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ი. ფაღავას დამოწმებული აქვს სპილენძის ფელსები, რომელზედაც მითითებულია არა მარტო მათი მოჭრის ადგილი, არამედ მარვან იბნ მუჰამმადის სახელიც, ამასათანავე უკანასკნელი მოხსენიებულია როგორც ამირა: „ამ ფულის მოჭრა ბრძანა *ამირამ* მარვან ბ. იბნ მუჰამმადმა" (732-742). ეს მონეტა ჯერჯერობით აღმოჩენილებს შორის ერთადერთია, რომელიც იხსენიებს ამირას და მიუთითებს მის სახელს. ამავე სტატიაში დამოწმებულია 2022 წლის 19 ოქტომბერს გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემინარზე ს. თურქიას და ი. ფაღავას მიერ წარმოდგენილი მოხსენებაც, სადაც დასაბუთებული იყო თბილისში ფულის მოჭრის ფაქტები მარვან ბ. მუჰამმადის შემდეგაც, რაც, მომხსენებლების აზრით, „ადასტურებს თბილისის არაბული ზარაფხანის მუშაობის სტაბილურობას (ფაღავა 2022: 97-98). ი. ფაღავას ჩვენთვის საინტერესო სტატიაში მოტანილია ინფორმაცია კიდევ ერთ არაბულ მონეტაზე რომელიც დათარიღებულია ჰიჯრით 152 წლით (14/1/769-2/1/770). აღნიშნულ მონეტაზე მითითებულია მისი მოჭრის ადგილი – ჯურზან – რაც ქართლს ნიშნავს, თუმცა აქ, ამ მონეტაზე არ არის მითითებული ამირას სახელი. აქვე მოხსენიებულია ჯურზანში მოჭრილი (ოქროს) დინარი, დათარიღებული ჰიჯრით 240/855 წლით (2/VI/854-21/V), ასევე ამირას სახელის მითითების გარეშე.

ი. ფაღავა განიხილავს მილის ქვის წარწერებსაც, რომლებიც ძირითადად ეკუთვნის აბასიანთა წლებს, თუმცა არის უკვე უმაიანთა დროინდელი აბდ ალ-მალიქის ან ვალიდის (685-705, 705-715) დროინდელიც.

დაწყებული არაბთა შემოჭრიდან VIII საუკუნის 70-იან წლებამდე წყაროებში არ ჩანს ინფორმაცია ერისმთავრის ინსტიტუტის გაუქმების შესახებ, ყველაზე მძიმე პერიოდებშიც კი. თუმცა ვიგებთ ერისმთავრების დასავლეთ საქართველოში გადასვლის შესახებ (სტეფანოზ III და მისი შვილები). გვაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ქართლის ერისმთავრები კახეთში არიან შეხიზნულები, ვინაიდან მათ თბილისში აღარ დაედგომე-

ბოდათ (მეტრეველი 2008: 25). ამავე დროს სამხრეთ კავკასიიდან მარვანის გასვლის და აბასიანთა დინასტიის დამკვიდრების შემდეგ კვლავ იწყება ხაზარების გააქტიურება და სამხრეთ კავკასია ფართო აჯანყებით არის მოცული. მთელი 60-იანი წლების მანძილზე კომფორტული პირობები არც არაბებისათვის არის თბილისში, რომელიც ატ-ტაბარის, ისევე როგორც, იბნ ალ-ასირის, ბიზანტიელი ავტორის თეოფანეს, ან სირიელი ავტორის ბარ ჰებრეის ცნობით, VIII საუკუნის 60-იან წლებში ხაზარების ორჯერ შემოჭრის – ჰიჯრით 145 (762-763), მეორედ ჰიჯრით 147 (764-765), ან ზოგიერთი წყაროს მიხედვით 763 წელს და მათ მიერ ქალაქის დანგრევიდან კარგა ხნის მანძილზე თბილისი რჩებოდა აღუდგენელი, როგორც ჩანს, აჯანყების ჩახშობის შემდეგ იბრაჰიმ იბნ ალ-ჰასან იბნ კაჰტაბას ამირად დანიშვნამდე. დროის ამ მონაკვეთში, თბილისში ზის სავარაუდოდ ხაზარებისგან დასმული ნერსე, რაც მოყვა არაბების წინააღმდეგ მათთვის მოკავშირეობაზე ჯუანშერის უარის თქმას და ამ უკანასკნელის მის დასთან ერთად დატყვევებას, რაც თუმცა ხელს არ უშლის თბილისის ზარაფხანაში არაბული მონეტის მოჭრას (ზემოხსენებული ჰიჯრით 152 (769-770). 771 წლიდან რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში გაუქმებულია ერისმთავრის ინსტიტუტი, რასაც მოყვება ზემოთ გადმოცემული ამბები (ალასანია 2008ა: 133-135).

აქვე გავიხსენოთ „ქართლის ცხოვრებაში“ შემონახული ცნობა, რომელიც არ უნდა იყოს მოკლებული ჭეშმარიტების მარცვალს: „დაეცნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმეოცდაათსა აქა ჟამამდე არღარა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან“ (მეტრეველი 2008: 244).

კიდევ არის ერთი არგუმენტი იმის მხარდასაჭერად, თუ რატომ არ იყო მყარი თუნდაც ერთხელ დაარსებული თბილისის საამირო უმაიანების პირობებში გამძლე. უმაიანები ყველანაირად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ცენტრალიზებული მმართველობა და თავიდან აეცილებინათ სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ გამონაკლისს (ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებს მიღმა აღმოჩნდნენ VIII საუკუნის საუკუნის დასაწყისში ესპანეთში გაქცეული უმაიანთა მმართველი დინასტიის წარმომადგენელი, აგრეთვე მაროკო ალჟირის დასავლეთი ნაწილით). ვითარება შეიცვალა აბასიანების დროს, განსაკუთრებით ხარუნ არ-რაშიდის შემდეგ, როდესაც სახალიფომ დაუშვა დეცენტრალიზაცია, რამაც სახელმწიფო მიიყვანა დასუსტებამდე და დაშლამდე (სიხარულიძე 1954).[10]

შენიშვნები

1 იგივე მასალა ავტორს გამოქვეყნებული აქვს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულში (ალასანია 2008ბ).

2 იგივე მასალა ავტორს გამოქვეყნებული აქვს სტატიების კრებულში იხ.: (ალასანია 2023ბ: 242-244).

3 დამატებით იხ.: (კიკნაძე 1980: 144-145).

4 დამატებით იხ.: (კიკნაძე 1980: 144-147).

5 აღნიშნული სტატია პირველად დაიბეჭდა 1966 წელს კრებულში „საქართველო რუსთაველის ხანაში“ (კიკნაძე 1966: 93-104); იგივე სტატია ხელმეორედ გამოიცა კრებულში „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“ (კიკნაძე 1982: 96).

6 იხ.: აგრეთვე მ. ბროსე (ბროსე 1851: 296).

7 იხ.: მ. ბროსე, დ. კარიჭაშვილი, მ. ჯანაშვილი და თანამედროვე მკვლევრებთან – მაგ., მ. ალტმანი. ზოგიერთი მეცნიერი 1206 წლით ათარიღებდა ბასიანის ბრძოლას – ი. ჯავახიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ს. მაკალათია.

8 დ. ჩიქოვანმა გაარკვია, რომ ქართულ წყაროებში მარვან იბნ მუჰამმადთან თიკუნი „ყრუს“ დაკავშირება მცდარია. ყრუ იყო მუჰამმად ბენ მარვანის 85/ 704-5 წელს სამხრეთ კავკასიაში დანიშნული არაბი სარდალი აბდ ალ-აზიზი,რომელიც იქვე გარდაიცვალა 103 (721/2 წელს) (ჩიქოვანი 2019).

9 დამატებით იხ.: (ფაღავა 2016: 85-91); (ფაღავა 2022: 86-131).

10 დამატებით იხ.: (ბარტოლდი 1966: 25).

დამოწმებანი

აბრამიშვილი 1977: გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, *ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები*, ტ., I, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

ალასანია 1999: გ. ალასანია. *თბილისის საამիროს დაარსების თარიღისათვის*, ანაღები, ტ., 1, თბილისი.

ალასანია 2007: გ. ალასანია. თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის, *საისტორიო კრებული*, თბილისი.

ალასანია 2008ა: გ. ალასანია. *ქართველები და ისლამამდელი თურქები*, თბილისი.

ალასანია 2008ბ: გ. ალასანია. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში, *გამოჩენილი ქართველი ოსმანისტი*, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნოდარ შეგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, აღმოსავლეთისა და კავკასიის კვლევითი ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ალასანია 2013: G. Alasania. *Gürcüler ve Islam öncesi Türkler*, Tercume Nanuli Kacarava, Trabzon.

ალასანია 2014: G. Alasania. *The Relations Between Pre-Islamic Turks and Georgians From The Third to the Ninth Century, A History of Byzantine-Persian Politics in the Caucasus With a Foreword by Gocha Djaparidze*. A Queenston Book. Published by The Edwin Mellen Press Lewiston Lampeter.

ალასანია 2017: გ. ალასანია. მეფეთა მეფე თამარის გარდაცვალების თარიღი, *შოთა ხუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული* (2017) დუზჯეს უნივერსიტეტი, თურქეთი.

ალასანია 2023ა: გ. ალასანია. *სტატიების კრებული*, ტ., III, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ალასანია 2023ბ: გ. ალასანია. *სტატიების კრებული*, ტ., II, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილსი.

არტამონოვი 1962: М. И. Артамонов. *История хазар*, Под ред. и с примеч. Л.Н. Гумилева, Изд-во Гос. Эрмитажа, Ленинград.

ბარტლოდი 1966: В. В. Бартольд. Халиф и султан. *Сочинения*, Издат., "Наука", Москва.

ბროსე 1851: M. Brosset. *Additions et eclaircissments a l'histoire de la Géorgie*, St.-Pet.

გოილაძე 1988: ვ. გოილაძე. „ფირან გუშნასპის მარტვილობის" ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, ტ., 2, თბილისი.

დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: *მოვსეს კალანკატუაცი. აღვანთა ქვეყნის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი.

დანლოპი 1954: D. M. Dunlop. *The History of the Jewish Khazars*, Prinseton University Press, Prinston.

ემინი 1864: *Всеобщая история Стефаноса Таронского, Асохика по прозванию, писателя XI столетия*, переведена с армянского и обьяснена Н. Эминым, М. 1864. с 22.

ენუქიძე და სხვები 1984: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII სს.*, ტ., I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.

კიკნაძე 1966: რ. კიკნაძე. კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, *საქართველოს ხუსთაველის ხანაში*, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

კიკნაძე 1975: რ. კიკნაძე. *ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთნანი"*, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

კიკნაძე 1980: Р. Кикнадзе. *Очерки по источниковедению истории Грузии, Парсадан Горгиджанидзе и "Картлис цховреба"*, "Мецниереба", Тбилиси.

კიკნაძე 1982: რ. კინაძე. *„საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები"*, ტ., I, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

ლორთქიფანიძე 1951: მ. ლორთქიფანიძე. თბილისის საამიროს ისტორიიდან, *მიმომხილველი*, ტ., II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი.

მიულერი, პალიჩი 2004: Chr. Muller, J. Pahlitzsch. Sultan Baybars I and the Georgians – in the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem. *Arabica 51*.

მეტრეველი 2008: *ქართლის ცხოვრება*, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, გამომცემლობა „მერიდიანი" და „არტანუჯი", თბილისი.

ნატროშვილი, ჯაფარიძე 1974: თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა, *მაცნე, ენისა და ღიტეჰატუხის სეჰია*, №2, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი.

პატკანიანი 1861: *История агван Моисея Каганкатваци, писателя X века*, Перевод с армянского К. Патканьян, СПб.

პატკანოვი 1862: *История халифов Вордапета Гевонда, писателя 8-го века*, Пер. с армянского К. П. Патканова.

პახომოვი 1970: Е. А. Пахомов. *Монеты Грузии*, Тбилиси.

ჟულიენი, ბეკერი 2023: *The Martyrdom of Mar Grigor Piran-Gušnasp and the Martyrdom of Mar Yazd-Panah*. Translation and introduction by Florence Jullien in Collaboration with Adam H.Becker. Persian Martyr Acts in Syriac: Text and Translation, 8, Gorgias Press.

ჟორდანია 1892: *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა*, შეკრიბა და გამოსცა თ. ჟორდანიამ, თფილისი.

ჟუზე 1940: *Сведения по истории Азербайджана из Тарих ал-Камиль ибн ал-Асира*, пер. П. К. Жузе, Баку.

სანაძე 2016: მ. სანაძე. *ქართველთა ცხოვრება*, წიგნი III, ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია (ფარნავაზიდან აშოტ კურაპალატამდე), საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სანაძე 2019: მ. სანაძე. *ქართველთა ცხოვრება*, წიგნი I, შესავალი ქართველთა ცხოვრებაში, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სილაგაძე 1991: ბ. სილაგაძე. *ახაბთა ბატონობა საქართველოში*, თბილისი.

სიხარულიძე 1954: ე. სიხარულიძე. *აბუ იუსუფ იაკუბის „ქითაბ აღ-ხარაჯი“ ხოგოხც წყახო ახაბული ფეოდალური უფთიეჰთობის ისტორიისათვის* (ხელნაწერი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

უალის ბაჯი 1932: *The Chronography of Gregory Abu'l Faraj commonly known as Bar Hebreus*. Translated from the Syriac by Ernest A. Wallis Budge, vol.I, Oxford University Press.

ფალავა 2014: ი. ფალავა. საქართველოში არაბთა ბატონობის პერიოდიზაცია (ნუმიზმატიკური მონაცემების გათვალისწინებით), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VIII, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

ფალავა 2016: И. Пагава. Периодизация арабского владычества в Грузии (с учетом новых данных), *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2016 года*, Москва. 22 и 23 ноября, 2016 г. Материалы докладов и сообщений.

ფალავა 2022: ი. ფალავა. სახალიფოს ადმინისტრაციული ერთეულის – თბილისის საამიროს დაარსება არა-ნარატიული წყაროების მიხედვით (ადრეულ-არაბული მონეტები და ლაპიდარული წარწერები საქართველოდან), *ქრონოსი*, #. 3, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1941: ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, *გეოჰგიკა*, ტ., IV, ნაკვეთი 1, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ., IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ჩიქოვანი 2019: დ. ჩიქოვანი. „ყრუ ბაღდადელის“ ვინაობისა და მარვან მუჰამედის ქართული თიკუნის შესახებ, *ქართული წყახოთმცოდნეობა*, გამოცემემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ჯაფარიძე 1975: გ. ჯაფარიძე. *ვახუშტი და XII -XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის ზოგიეთი საკითხი, თსუ შრომები*, თბილსი.

ჯაფარიძე 1995: გ. ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ჯაფარიძე 2006: გ. ჯაფარიძე. როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი, *შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული“ (2006), მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი*, თბილისი.

ჯაფარიძე 2012: გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა, თანაავტორი თ. ნატროშვილი, *ძიებანი საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში*, I , გამომცემლობა „მხედარი“, თბილისი.

ჯაფარიძე 2016: გ. ჯაფარიძე. *საქართველო და ეგვიპტის მამლუქები*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

A FEW COMMENTS ON IMPORTANT FACTS IN GEORGIAN HISTORY

Giuli Alasania
The University of Georgia
galasania@ug.edu.ge

1. Among the probable dates of Vakhtang Gorgasali's death, the year 491 can be found (V. Goiladze) in scholarly literature. The date originates from the Syrian hagiographical monument known as the "Martyrdom of Firan Gušnasp". In this monument, the starting point for all hypotheses concerning the dates -is the accession to the throne of the shahs of Persia. Only one of them does not specify the starting point. It only mentions "in the fortieth year", to which the publisher has added in brackets "the making of the truce". This, as I have already pointed out, is a mistake. Such a clarification has misled V. Goiladze, who thought that the case referred to the end of the war between Byzantium and Persia and the conclusion of the ensuing truce. He connected this fact with the death of Vakhtang Gorgasali. M. Sanadze does not share this conclusion. However, she believes that the aforementioned year 491 should be discussed within the context of the rebellion against Persia in Kartli and Armenia in 485-490. I, on the other hand, argue that the "fortieth year" refers to the end of Kavad's rule and the accession of Khosrow Anushirvan to the throne. It seems that this latter argument puts an end to the artificially invented date of 491.

2. In this paper, I revisit the issue discussed in my earlier research. This research refers to the diplomatic relations established from the mid-13th century between the Mamluks of Egypt and Western Georgia, during the division of Georgia into two parts as a result of the Mongol invasions. The case of 1268 is specifically considered.

According to the Arab author Abd Az-Zahir, the ambassador of Baybars returned from Georgia with two letters from the Georgian kings to the Sultan. One belonged to the king of Abkhazia, and the other - to David, the king of Tbilisi. Different scholars have commented on this information, believing that the letters were indeed sent from two kings. However, I did not share this assumption. Since my theory was not accepted, I consider it necessary to revisit the mentioned issue once again and to repeat my own interpretation expressed earlier in somewhat greater detail.

3. The date of death of the King of Kings Tamar has been repeatedly discussed in scholarly literature. Various arguments have been put forward to support the more common 1207 or 1210. The paper focuses on the important observations presented in Revaz Kiknadze's works (published in 1975,1980), which make the year 1207 more convincing. Unfortunately, while reviewing the extensive body of works by different scholars, the arguments supporting the year 1207 as advanced in Revaz Kiknadze's research were mostly overlooked. And this oversight undoubtedly deprived the discussion on the mentioned issue of solid arguments.

4. The date of establishment of the Tbilisi Emirate still attracts the attention of scholars. The issue was studied in various papers. However, the dominant opinion connects this fact with Marwan ibn Muhammad, the last Umayyad Caliph (744-750) and the emir of Jurzan (732-742), which comes from M. Lortkipanidze. At the same time, the list of Armenian emirs introduced by M. Lortkipanidze begins from 754 and the first two emirs, in her opinion, were also the emirs of Tbilisi.

In the paper published in 1999, I examined various opinions concerning the issue and paid special attention to the interpretation suggested by M. Lortkipanidze, which was more specific. However, I did not share her hypothesis. According to my version, the Tbilisi emirate was established not in the 30-ies or 40-ies of the 8th century but rather in the 70-ies, despite the minting of an

Arab coin in Tbilisi in 704/5. It is from the 70-ies that we have an uninterrupted list of the Tbilisi emirs. The fact coincides with the abolishment of the local Georgian institution of "erismtavari" (although only temporarily - for four years at that time). The situation changed in 775, according to the treaty concluded between the Arab caliphate and Byzantium. Both sides released captives, and the Arabs restored institution of "erismtavari" until 786.

The date was accepted by the majority of scholars until recent times. However, since 2014, I. Paghava has studied the issue based on numismatic and epigraphic evidence, diverging from the written sources as unreliable. Paghava has come to the conclusion that the Tbilisi emirate existed since 704/5, when the Arab coin was minted. The domination of Arabs was interrupted from time to time, but the mint never stopped its activities. The scholar examines several coins, minted in Tbilisi, noting that only one of them bears the name of the emir – Marwan ibn Muhammad, the emir of Jurzan (in office from 732 to 743), the last Umayyad caliph (744-750). All other existing coins lack names.

Despite of existence of the Tbilisi mint, Arabs never had an easy time in Georgia and their rule there was not stable. This was due to the coalition of Georgians with Hazars, who were the main target for Arabs. For most of their rule in Georgia, the Umayyad tried to either delay or prevent the dissolution of the state. Meanwhile, the collection of taxes was mostly delegated to Georgians.

The situation changed during the Abbasid dynasty (from 750 onwards). The beginning of their rule was marked by insurrections against them in the South Caucasus, which lasted till 771 and were eventually quelled by Abbasids. Unlike the Umayyad time, a trend of decentralization of the caliphate is evident throughout Abbasid domination.

მეფეთა სათვალავი XVIII საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში

გონელი არახამია
საქართველოს უნივერსიტეტი,
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
goneli.araxamia@gmail.com

მეფეთა სათვალავი ანუ ნუმერაცია, რომელმაც ადრიდანვე მიიპყრო ქართველ მემატიანეთა ყურადღება, კიდევ უფრო აქტუალური გახდა XVIII საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისათვის, რასაც თვალნათლივ მოწმობს „მეცნიერ კაცთა" კომისიის, ვახუშტი ბაგრატიონისა და სხვა ავტორთა ნააზრევი.

მეფეთა სათვალავი ახალ „ქართლის ცხოვრებაში". მეფეთა სათვალავის შემუშავების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-ის ინიციატივით შექმნილ „მეცნიერ კაცთა" კომისიის მოღვაწეობასთან. აღნიშნულმა კომისიამ „ქართლის ცხოვრებაში" არაერთი სიახლე შეიტანა, მათ შორისაა მეფეთა ზეობების მიხედვით ტექსტის მცირე მონაკვეთებად დაყოფა და დასათაურება. კომისიამ მეფეთა ნუმერაციას ამ სათაურებში მიუჩინა ადგილი. სათაურებში აღნიშნულია მეფის რიგითი სათვალავი, სახელი, მამისშვილობა ან ნათესაური კავშირი წინამორბედთან და დინასტიური კუთვნილება. მაგ.,: „მეორე მეფე საურმაგ, ძე ფარნავაზ მეფისა, ქართლოსიანი" ან „მეათე მეფე ადერკი, ასულის წული ბარტომ მეფისა და ძე ქართამისა, ბარტომ მეფის შვილობილისა, არშაკუნიანი" (არახამია 2017: 41, 50).

ამასთანავე, კომისიამ შემოიღო ნომენური ანუ თანამოსახელე მეფეთა რიგითი სათვალავიც, რომელიც მოათავსა ძირითადი ტექსტის არშიებზე (იხ. ცხრილი № 1).

ახალი „ქართლის ცხოვრების" რუმიანცევისეული (R) და ჯანაშვილისეული (D) ნუსხების მიხედვით საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ აღნიშნულ საკითხზე კომისიის ნააზრევს მისი მუშაობის ორსავე ეტაპზე.

კომისიამ მუშაობის პირველ ეტაპზე გარკვეული შეცდომები დაუშვა, რასაც გვიჩვენებს ამ ეტაპის შედეგების ამსახველი რუმიანცევისეული ნუსხა. ამ ეტაპზე კომისიას გამორჩა საურმაგ ფარნავაზის ძის მეფობის ამბების ცალკე სათაურით გამოყოფა, მაგრამ ეს შეცდომა მან მალევე შეამჩნია და ტექსტის შესაბამისი თხრობის გასწვრივ არშიაზე მისი რიგითი სათვალავი დაიტანა („მეორე მეფე საურმაგ" R20v); კომისიას მირვან ფარნაჯომის ძის შესახებ თხრობა ცალკე სათაურით არ გამოუყვია და, შესაბამისად, არც მისი რიგითი სათვალავი მოუცია, რაც ვახტანგ VI-მ შეცდომად ჩათვალა და ხელნაწერის შესაბამისი გვერდის (R23v) არშიაზე მიაწერა (წითლურით): „ᲩᲘ მეფე". ეს მითითება კომისიამ მუშაობის მეორე ეტაპზე გაითვალისწინა (იხ. ქვემოთ). აღნიშნულ ნუსხაში არაერთ ცომილებას ვაწყდებით, სახელდობრ, მე-15 მეფის შემდგომი გვირგვინოსანი მე-13 ნომრითაა დასახელებული („ი˜გ მეფე ადამი" R32r), რიგითი მიმდევრობა ირღვევა, აგრეთვე, 52-ე მეფის, გიორგი ბაგრატის ძის (1014-1027) შემდეგ. ამ მეფის მომდევნო ბაგრატი (1027-1072) 44-ე ნომრით არის აღრიცხული და შემდგომი 4 მეფის – გიორგი II, დავით აღმაშენებელი, მისი ძე დიმიტრი, ამ უკანასკნელის ძეები დავითი და გიორგი – რიგითი ნომრებიც აქედან არის ათვლილი, შესაბამისად: 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 49-ე; თამარის ცხოვრების სათაურისათვის ცარიელი (დაუწერელი) ადგილია დატოვებული, ხოლო თამარის ძე – გიორგი მე-60-ე ნომრითაა წარმოდგენილი, ე. ი. თამარი

50-ე ან 59-ე მეფედ არის ნაგულისხმევი. ლაშა გიორგისთან კომისია უკვე ასწორებს მეფეთა რიგს, მაგრამ წინა შვიდი (53-ედან მე-60-მდე) მეფის მცდარ ნუმერაციას უცვლელად ტოვებს. ამის შემდეგ სათვალავის თანამიმდევრობაში რუმიანცევისეულ ნუსხის კომისიის ხელიდან გამოსულ ტექსტში დარღვევა არ გვაქვს (იხ. ცხრილი № 1).

რუმიანცევისეული ნუსხის თავდაპირველ, კომისიის ხელიდან გამოსულ, ტექსტში სათვალავი მთავრდება 65-ე მეფე დავითით (დიმიტრი თავდადებულის ძე). აქ არ მიიღება მხედველობაში R ნუსხის ბოლო 12 ფურცელზე (456r-დან ბოლომდე) მოთავსებული ტექსტი, რომელიც არ ეკუთვნის „მეცნიერ კაცთა“ კომისიას. ამიტომ არ ვიცით რუმიანცევისეული ნუსხის ავტოგრაფულ ტექსტში როგორ გამოიყურებოდა მეფეთა სათვალავი დავით დიმიტრი თავდადებულის ძიდან გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით.

„მეცნიერ კაცთა“ კომისიის მუშაობის შემდგომი ეტაპის შედეგები, როგორც ითქვა, წარმოდგენილია ჯანაშვილისეულ ხელნაწერში. მაგრამ აღნიშნულ ნუსხას დასაწყისიდან გიორგი ბრწყინვალის მეფობის ამბებამდე ანუ თხრობის იმ მონაკვეთში, სადაც სათაურები და, შესაბამისად, მეფეთა სათვალავია წარმოდგენილი, თავში ფურცლების დიდი რაოდენობა აკლია. შემორჩენილ ტექსტში შემონახულია საურმაგ ფარნავაზის ძის სათვალავი, შემდგომ დაჩი ვახტანგის ძემდე ხარვეზია. მაგრამ დანაკლისის ნაწილობრივ, სახელდობრ, საურმაგიდან მირიანამდე, შევსებაში გვეხმარება იმავე ჯანაშვილისეულისგან გადმოწერილი ჭალაშვილისეული (c) და ამ უკანასკნელისგან გადანუსხული მაჩაბლისეული (m) ხელნაწერების ტექსტები. აღიშნული სამი ნუსხის საზიარო ნაწილი მირიან მეფის ტახტზე ასვლის შესახებ თხრობამდე აღწევს. ამ საზიარო მონაკვეთში (ფარნავაზიდან მირიანამადე) Dcm ნუსხების მეფეთა რიგითი სათვალავი მისდევს რუმიანცევისეულს. აქედან ვახტანგ გორგასლამდე ჯანაშვილისეულ ნუსხაში ხარვეზია, მაგრამ ჯანაშვილისეულის ამ დაკარგულ მონაკვეთშიც მეფეთა სათვალავი, (ბაქარ მირიანის ძიდან დაჩი ვახტანგის ძემდე) რუმიანცევისეულის იდენტური უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ დაჩი ვახტანგ გორგასლის ძე ორივეგან ერთი და იგივე სათვალავითაა აღრიცხული (34-ე).

ასე რომ, კომისიამ მუშაობის მეორე ეტაპზე გამოასწორა პირველი ეტაპის შეცდომები, კერძოდ, ცალკე სათაურით გამოყო საურმაგ ფარნავაზის ძის მეფობა და მის რიგით სათვალავსაც იქვე (სათაურშივე) მიუჩინა ადგილი; გაითვალისწინა ვახტანგ VI-ის შენიშვნა მირვან ფარნაჯომის ძის მეფობის ცალკე სათაურით გამოყოფისა და რიგითი სათვალავის მინიჭების შესახებ; ცალკე სათაურით გამოჰყო თამარ მეფის ცხოვრება და იქვე მიუთითა მისი რიგითი სათვალავიც და, რაც მთავარია, გაასწორა, მეფეთა სათვალავის რიგით მიმდევრობაში დაშვებული უზუსტობები (იხ. ცხრილი №1).

მეფეთა სათვალავის დადგენა ქართველი მემატიანეებისაგან მოითხოვდა „ქართლის ცხოვრებისა“ და ქვეყნის ისტორიის ღრმა ცოდნას. ეს სამუშაო, შეიძლება, გაცილებით იოლი იყოს იმ ეპოქებისათვის, რომელთაც „ქართლის ცხოვრება“ მოიაზრებს პოლიტიკური მთლიანობის ეპოქებად, სადაც მეფეთა თანამიმდევრობა თვალსაჩინოა. მეფეთა სათვალავის დადგენა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული ისეთი ეპოქისათვის, როდესაც საქართველო დაშლილია სამეფო-სამთავროებად ანუ აშოტ ბაგრატიონიდან ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემდე. ამ ეპოქის – IX-X საუკუნეების შესახებ („მატიანე ქართლისასა“ და სუმბატ დავითის ძის თხზულება) თხრობაში ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის მეფეები, ქორეპისკოპოსები თუ მთავრები. ყველა მათგანი იბრძვის საკუთვრივ ქართლის დასაკავებლად. თბილისში კი ქართველი მეფე არ ზის. ქუთაისს ჯერ არა აქვს გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქობის პრეტენზია. რა პრინციპით უნდა ეხელმძღვანელა კომისიას, რომ ამ „მრავალმთავრობის“ ეპოქისათვის შეედგინა მეფეთა სათვალავი ანუ ამ ქაოსიდან გამოეყო ის გვირგვინოსნები, რომლებიც „ღირს იყვნეს“ მეფეთა საერთო სათვალავში მოხვედრისა. კომისიის წევრებმა ასეთებად კი შეარჩიეს:

აშოტ დიდი კურაპალატი – 46-ე;
ბაგრატ აშოტ დიდის ძე – 47-ე;
დავით კურაპალატი ძე ბაგრატისა – 48-ე;
ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა – 49-ე;
კონსტანტინე, ძე აფხაზთა მეფისა – 50-ე.

რა პრინციპით შეიყვანა კომისიამ ისინი მეფეთა საერთო სათვალავში? თუ გავითვალისწინებთ IX-X საუკუნეებისათვის დამახასიათებელ ზემოთ აღნიშნულ „მრავალმთავრიანობას", აშკარად იკვეთება ტერიტორიული და დინასტიური პრინციპი ამ უკანასკნელის უპირატესობით. ტერიტორიული პრინციპი გულისხმობდა საკუთრივ ქართლის მფლობელობას სავსებით გასაგები მიზეზით: აქ მდებარეობდა ერთმეფობის ხანის პოლიტიკური ცენტრები – მცხეთა და თბილისი, და სასულიერო-რელიგიური ცენტრები არმაზი (წარმართულ ხანაში) და მცხეთა (ქრისტიანულ ხანაში). ამიტომ მრავალმთავრობის ხანაში ერთმეფობის გამგრძელებლად მიიჩნიეს მრავალთაგან ის მეფე-მმართველები, რომლებიც თავიანთ ხელისუფლებას ავრცელებდნენ ქართლის გარკვეულ ნაწილზე მაინც და ქართლისათვის ბრძოლაში წარმატებულადაც გამოიყურებოდნენ ან წარმატებას აღწევდნენ. ასეთებად წარმოგვიდგებიან ახალი „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ის ხუთი მეფე თუ ერისთავი, რომლებიც კომისიამ საერთო სათვალავში შეიყვანა. დინასტიური მომენტი იყო ის, რომ ბაგრატიონთა და აფხაზთა მეფეთა დინასტიების მემკვიდრეობამ მოიყარა თავი ბაგრატ გურგენის ძის ხელში და ერთ პოლიტიკურ ერთეულად იქცა აფხაზთა და ქართველთა სამეფოები, რომლის მეთაურობით გაერთიანდა ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებად დაშლილი ქვეყანა. სწორედ ორივე ფაქტორმა (ტერიტორიული და დინასტიური) ერთობლიობაში განაპირობა კომისიის არჩევანი. რომ არა დინასტიური ფაქტორი, მეფეთა სათვალავში იმავე წარმატებით შეიძლებოდა მოხვედრილიყვნენ კახეთ-ჰერეთის ზოგიერთი ქორეპისკოპოსი, რომლებიც შიდა ქართლის გარკვეულ ნაწილს (არაგვიდან ქსნამდე) მყარად ფლობდნენ.

კომისიას არ უცდია მეფეთა სათვალავის შედგენა თვით მის მიერ დაწერილი XIV-XVII საუკუნეების ისტორისაათვის, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ეს მონაკვეთი მოიცავს XIV-XVII საუკუნეებში არსებული ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის სინქრონულ ისტორიას. აღნიშნულის გამო ამ მონაკვეთის თითქმის მთელ ტექსტში ერთმანეთს ერწყმის რამდენიმე მეფის (ქართლის, იმერეთის, კახეთის) და მთავრების (მესხეთის, გურიის, ოდიშისა და აფხაზეთის) შესახებ ცნობები, რის გამოც პრაქტიკულად შეუძლებელი იყო როგორც ტექსტის მცირე მონაკვეთად დაყოფა და დასათაურება მეფეთა ზეობების მიხედვით, ისე სხვადასხვა მეფეთა სათვალავების შემუშავება.

ამ პერიოდის მეფეთა სათვალავის პრობლემა ვახუშტი ბაგრატიონმა სხვა გზით და სხვა ფორმით გადაწყვიტა, რაზედაც ცალკე ვისაუბრებთ.

კომისიამ მუშაობის მეორე ეტაპზე ფარნავაზიდან (№ 1) გიორგი ბრწყინვალის (№ 67) ჩათვლით მეფეთა ერთიანი სათვალავი მოგვცა, განსხვავებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიული ქრონიკისა და ძველი „ქართლის ცხოვრების" ანასეული რედაქციისგან, სადაც წარმართი და ქრისტიანი მეფეების სათვალავი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

კომისიამ მოგვცა, აგრეთვე, *თანამოსახელე მეფეთა ჩიგითი სათვალავი*, რომელსაც ტექსტის შესაბამისი თხრობის გასწვრივ არშიებზე მიუჩინა ადგილი. კომისიამ მუშაობის პირველ ეტაპზევე თანამოსახელე მეფეებს უმრავლეს შემთხვევაში ზუსტად მიანიჭა რიგითი სათვალავი, რომელიც იწყება რიგით მეორე თანამოსახელე მეფით (პირველად დასახელებულს შესაბამისი სახელობითი სათვალავი – „ა" ან „პირველი" – არ ახლავს).

ამავე ეტაპზე კომისიას გამორჩა ზოგიერთი მეფის, სახელდობრ, მირვან ფარნაჯომის ძის, ფარსმან ქველის, ბაკურ ფარსმანის ძისა და გიორგი ბაგრატის ძის ნომენური სათ-

ვალავები. მოგვიანებით R ნუსხაში უცნობ კომენტატორებს შეუნიშნავთ ეს ხარვეზი და მირვანისა და ფარსმან ქველის სახელების გასწვრივ არშიაზე მიუწერიათ ნომენური სათვალავი: „მირვან მეორე“ (რომელიც შემდეგ ვიღაცას გადაუხაზავს) და „მეორე ფარსმან“. დანარჩენი ნომენური სათვალავები, რომლებიც აღნიშნული ნუსხის არშიებზეა მოთავსებული, დაწერილია ძირითადი ტექსტის ხელით ანუ „მეცნიერ კაცთა“ კომისიას ეკუთვნის. მათი ერთი ნაწილი დაწერილია წითლურით (სინგური) და შესრულებულია ძირითადი ტექსტის წერის პროცესში, მეორე ნაწილი, რომელიც ძირითადი ტექსტის იდენტური შავი მელნითაა დაწერილი, ხელნაწერის დამთავრების შემდეგაა დატანილი.

ამავე ეტაპზე შეცდომაა დაშვებული დავითის სახელის მქონე მეფეთა სათვალავში. დავით დემეტრეს ძეს (საერთო სათვალავით 57-ე) უწერია „მეორე დავით“, როცა ის თანამოსახელეთა შორის ფაქტობრივად მესამეა. ერთ სათვალავად გაერთიანებულია დავით გიორგი-ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე, ხოლო თანამოსახელე მეფეთა სათვალავი მინიჭებული აქვს მხოლოდ დავით ლაშა-გიორგის ძეს („˜დ“ – მეოთხე), დავით დიმიტრის ძეც (რიგითი სათვალავით 65-ე) შეცდომით მეოთხე ნომრითაა აღრიცხული; გამორჩენილია 38-ე ბაკურის ნომენური სათვალავი.

მეფეთა ნომენური სათვალავი კომისიის ყურადღების ცენტრში რჩებოდა მუშაობის მეორე ეტაპზეც, რომლის შედეგები ჯანაშვილისეულ ნუსხაშია წარმოდგენილი. ამ უკანასკნელს, როგორც ითქვა, თავში ბევრი ფურცელი აკლია, ამ ხარვეზის შევსებაში, როდესაც საქმე მეფეთა ნომენურ სათვალავს ეხება, ჭალაშვილისეული და მაჩაბლისეული ნუსხები ვერ შეგვეწევიან. საქმე ისაა, რომ ერაჯ ჭალაშვილმა თავისი დედნიდან ანუ ჯანაშვილისეული ნუსხიდან ძირითადი ტექსტი კი გადმოიწერა, მაგრამ არშიებზე მიწერილი მეფეთა ნომენური სათვალავები არ გადმოუწერია. როდესაც ეს ხელნაწერი ხელში ჩაუვარდა ვახუშტი ბაგრატიონს, ამ უკანასკნელმა ხელნაწერის არშიებზე მეფეთა ნომენური სათვალვები მიაწერა. რადგან ჭალაშვილისეული ნუსხის ეს მინაწერები თვით ჭალაშვილს არ ეკუთვნის, ცხადია, ის არ გამოგვადგება ჯანაშვილისეული ნუსხის დაკარგული ნაწილის მეფეთა ნომენური სათვალავის აღსადგენად. იგივე უნდა ითქვას მაჩაბლისეული ნუსხის შესახებაც (როდესაც გიორგი მაჩაბელი ჭალაშვილისეული ნუსხით სარგებლობად, ამ უკანასკნელის არშიებზე ვახუშტი ბაგრატიონს უკვე დატანილი ჰქონდა აღნიშნული მინაწერები).

ჯანაშვილისეულ (D) ნუსხაში, შემორჩენილი ტექსტის მიხედვით, მეფეთა ნომენური სათვალავი იწყება ბაკურ დაჩის ძით და მთავრდება გიორგი ბრწყინვალით. მათ შორის რამდენიმე მათგანის (იხ. №1 ცხრილში 35, 44, 49, 54, 60, 67) ნომენური სათვალავის მაჩვენებელი ციფრი ქაღალდის დაზიანების გამო (ზოგან მოჭრილია) გამქრალია. მათი აღდგენა შესაძლებელია რუმიანცევისეული ნუსხისა და თვით ჯანაშვილისეული ხელნაწერის დაუზიანებელი ნომენური სათვალავების მონაცემთა გათვალისწინებით (იხ. ცხრილი № 1).

ჯანაშვილისეულ ნუსხაში ყველა ნომენური სათვალავი დაწერილია ძირითადი ტექსტის ხელით ანუ გადამწერს ეკუთვნის.

ჯანაშვილისეული ნუსხის შემორჩენილი ტექსტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კომისიამ მუშაობის მეორე ეტაპზე შეიტანა დავით აღმაშენებლის ნომენური სათვალავი („˜ბ”), დააზუსტა რიგით 65-ე დავით დიმიტრის ძის ნომენური სათვალავი („˜ე“ (მეხუთე) დავით“). უცდია 57-ე დავით დიმიტრის ძის ნომენურ სათვალავში პირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომის („მეორე მეფე დავით“) გასწორება („˜დ დავით“), თუმცა არაზუსტად. გამოუსწორებელი დარჩა 38-ე ბაკურისთვის ნომენური სათვალავის მინიჭება. ზემოთქმული კარგად ჩანს აქვე მოყვანილ ცხრილში (№ 1).

ამრიგად, „მეცნიერ კაცთა“ კომისიამ პირველად შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში გამართა თანამოსახელე მეფეთა სათვალავი. გარკვეული ხარვეზები, რომელიც თან ახლავს ამ პირველ ცდას, არ აკნინებს მის მნიშვნელობას.

ცხრილი №1

მეფის სახელი	R ნუსხა		Dcm ნუსხები	D ნუსხა
	რიგით სათვალავი	ნომენური სათვალავი	რიგით სათვალავი	ნომენური სათვალა-ვი
ფარნავაზი	1		1	ტექსტობრივი ხარვეზი
საურმაგი	2		2	
მირვანი	3		3	
ფარნაჯომი	4		4	
არშაკი	5		5	
არტაგი	6		6	
ბარტომი	7		7	
მირვანი	8		8	
არშაკი	9	მეორე	9	
ადერკი	10		10	
ბარტომ და ქართამ	11	მეორე ბარ-ტომ	11	
ფარსმან და კაოს	12		12	
აზორკ და არმაზელ	13		13	
ამოზასპ და დეროკ	14		14	ტექსტობრივი ხარვეზი
ფარსმან ქველი და მირდატი	15		15	
ადამი	13		16	
ფარსმანი	17	მესამე	17	
ამაზასპი	18	მეორე	18	
რევი	19		19	
ვაჩე	20		20	
ბაკური	21		21	
მირდატი	22	მეორე	22	
ასფაგური	23		23	
მირიანი	24		24	
ბაქარი	25			
მირდატი	26	მესამე		
ვარაზ-ბაქარი	27			
თრდატი	28			
ფარსმანი	29	მეოთხე		
მირდატი	30	მეოთხე		
არჩილი	31			
მირდატი	32	მეხუთე		
ვახტანგ გორგასალი	33			
დაჩი	34		34	
ბაკური	35	მეორე	35	[ბ]
ფარსმანი	36	მეხუთე	36	ე
ფარსმან სხვაჲ	37	ვ	37	ვ
ბაკური	38		38	
გუარამ კურაპალატი	39		39	
სტეფანოზი	40		40	
ადარნასე	41		41	

სტეფანოზი	42	ბ	42	[ბ]
მირი და ძმაᲥ მისი არჩილი	43		43	
არჩილი	44	ბ	44	[ბ]
იოანე და ჯუანშერი	45		45	
აშოტ კურაპალატი	46		46	
ბაგრატ	47		47	
დავით მეფე კურაპალატი (ძე ბაგრატისა)	48		48	
ადარნასე მეფე (ძე დავით კურا-პალატისა)	49	ბ	49	[ბ]
კონსტანტინე მეფე (ძე აფხაზთა მეფისა)	50		50	
ბაგრატ (ძე გურგენისა)	51	ბ	51	ბ
გიორგი (ძე ბაგრატისა)	52		52	
ბაგრატ (ძე გიორგისა)	44	მესამე	53	გ
გიორგი (ძე ბაგრატისა)	45	მეორე	54	[ბ]
დავით აღმაშენებელი	46		55	ბ
დიმიტრი (ძე დავით აღმაშენე-ბელისა)	47		56	
დავით (ძე დიმიტრისა)	48	მეორე	57	დ
გიორგი (ძე დიმიტრისა)	49	მესამე	58	გ
თამარი	არ არის მითითებუ-ლი		59	
ლაშა-გიორგი	60	დ	60	[დ]
რუსუდანი	61		61	
მეფენი დავით და დავით	62	დ	62	დ
დიმიტრი (ძე დავითისა)	63	მეორე	63	ბ
ვახტანგი (ძე დავით იმერელი მეფისა)	64	მეორე	64	ბ
დავით (ძე დიმიტრისა)	65	მეოთხე	65	ე
ვახტანგ (ძე დიმიტრისა)			66	გ
გიორგი ბრწყინვალე			67	[ე]

რა ვითარება გვაქვს ახალი „ქართლის ცხოვრების“ სხვა ნუსხებში?

ცნობილია, რომ ახალი „ქართლის ცხოვრების“ საქართველოში გადაწერილი ყველა ხელნაწერი: სხვიტორული (S), დადიანისეული (d), საეკლესიო მუზუმის (E), ფალავანდიშ-ვილისეული (P), უფრო ზუსტად, მისი 1761 წლის ტექსტი და ამ უკანასკნელში ჩაკერებული ურბნული ხელნაწერის (U) ფრაგმენტი (იხ. გრიგოლია 1954:169-17); (არახამია 2023: 13-24), ბარათაშვილისეული (b) და ნინო დედოფლისეული (N) რუმიანცევისეული ნუსხიდან მომ-დინარეობს (გრიგოლია 1954).[2] ამ ნუსხათა ერთ ნაწილში (SdE) მირვან ფარნაჯომის ძის მეფობა, ისე როგორც რუმიანცევისეულში, ცალკე სათაურით გამოყოფილი არაა და, შესა-ბამისად, არც რიგითი სათვალავია მითითებული. ეს ხარვეზი გამოსწორებულია UbN ხელ-ნაწერებში. უნდა ითქვას, რომ არც ერთ ზემოთ დასახელებულ ნუსხაში რუმიანცევისეულ ნუსხის მეფეთა სათვალავის თანმიმდევრობაში დაშვებული აღრევა 52-ედან მე-60 მეფემ-დე სრულად გასწორებული არაა, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში ამის მცდელობა არის (იხ. ცხრილი №2).

მეფეთა რიგი (თანამიმდევრობა და პერსონალური შემადგენლობა) ფარნავაზიდან (პირველი) დავით დიმიტრის ძის (65) ჩათვლით იდენტურია რუმიანცევისეულისგან მომ-დინარე ახალი „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში, მაგრამ აღნიშნული რიგი ბოლოში

განსხვავებულია ჯანაშვილისეული ხელნაწერის მონაცემებისგან – ნუსხათა ერთ ჯგუფში, სახელდობრ, სხვიტორულ (S), დადიანისეულ (d), ბარათაშვილისეულ (b) და ფალავანდიშვილისეულ (p), უფრო ზუსტად, მის 1761 წლის ტექსტში 65-ე მეფის დავით დიმიტრის ძის შემდეგ დასახელებულია სამი მეფე: გიორგი დიმიტრის ძე (გიორგი ბრწყინვალე) 66-ე ნომრით, ვახტანგ დიმიტრის ძე 67-ე ნომრით და კვლავ გიორგი დიმიტრის ძე (გიორგი ბრწყინვალე) ახალი, მაგრამ წინა მეფის იდენტური 67-ე ნომრით. როგორც ვხედავთ, ერთი და იგივე მეფის ზეობა ორჯერ არის ცალკე სათაურით გამოყოფილი – პირველად იქ, სადაც გადმოცემულია მცირეწლოვანის მეფედ დასმა მონღოლთა ყაენის ნებით, მეორედ იქ, სადაც აღნიშნულია მისი დამოუკიდებლად მეფობის დაწყება, მაგრამ ერთსა და იმავე მეფეს სათაურში სხვადასხავა სათვალავი აქვს მინიჭებული, ეს მარტივი შეცდომა, რაც, უნდა ვიფიქროთ, აღნიშნულ ნუსხათა პროტოგრაფიდან იღებს სათავეს, დაუკვირვებლობის შედეგია.

მეფეთა სათვალავი ვახუშტი ბაგრატიონთან. მეფეთა სათვალავის საკითხში ქართველი მემატიანეების გამოცდილება აითვისა და კიდევ უფრო გაამდიდრა ვახუშტი ბაგრატიონმა. ცნობილია, რომ ვახუშტი კარგად იცნობდა „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ნაშრომს ჯანაშვილისეული ნუსხის მეშვეობით, იცნობდა, აგრეთვე, ჭალაშვილისეულ ნუსხას, სადაც ნაწილი თავსა და შუა ადგილიდან ბოლომდე „მეცნიერ კაცთა“ კომისიის ტექსტითაა წარმოდგენილი, დანარჩენი კი – ძველი „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის მოზრდილი ფრაგმენტით (გრიგოლია 1954: 112,146); (ყაუხჩიშვილი 1973: 024-036).

ვახუშტიმ გაიზიარა „მეცნიერ კაცთა“ კომისიის თვალსაზრისი ფარნავაზიდან გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით მეფეთა ერთიანი სათვალავის შესახებ, ისევე როგორც ტექსტის დაყოფა მეფეთა ზეობების მიხედვით და დასათაურებების პრინციპი. ამავე დროს მან გარკვეული კორექტივი შეიტანა კომისიის მიერ წარმოდგენილ მეფეთა რიგში, სახელდობრ, კომისიის 49-ე მეფის ადარნასესა და 50-ე კონსტანტინეს შორის მან კომისიის მიერ შემოთავაზებულ მეფეთა საერთო რაოდენობა გაზარდა ოთხი ახალი მეფით. სახელდობრ, კომისიის 49-ე ადარნასესა და 50-ე კონსტანტინეს შორის 50-ე სათვალავით მოაქცია სუმბატი, კომისიის 50-ე კონსტანტინესა და 51-ე ბაგრატ გურგენის ძეს შორის 52-ე სათვალავით შეიყვანა ბაგრატ ანუ დავით რეგვენი და 53-ე ნომრით გურგენ ქართველთა მეფე; და ბოლოს კომისიის 65-ე დავით დიმიტრის ძესა და 66-ე ვახტანგ დიმიტრის ძეს შორის 70-ე სათვალავით მოაქცია გიორგი დავითის ძე. ამან, ცხადია, მოგვცა განსხვავება კომისიისა და ვახუშტისეულ მეფეთა სათვალავებში. ეს დეტალები ნაჩვენებია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი № 3.

მეფე	სათვალავი	
	კომისია	ვახუშტი
ადარნასე ძე დავით კურაპალატისა	49	49
სუმბატი	არ არის	50
კონსტანტინე ძე აფხაზთა მეფისა	50	51
ბაგრატ ანუ დავით რეგვენი	არ არის	52
გურგენი	არ არის	53
ბაგრატ ძე გურგენისა	51	54
გიორგი ძე ბაგრატისა	52	55
ბაგრატ ძე გიორგისა	53	56
გიორგი	54	57
დავით აღმაშენებელი	55	58
დიმიტრი	56	59

დავითი	57	60
გიორგი	58	61
თამარი	59	62
ლაშა გიორგი	60	63
რუსუდანი	61	64
დავითი და ნარინ დავითი	62	65
დიმიტრი	63	66
ვახტანგ დავით ნარინის ძე	64	67
დავით დიმიტრის ძე	65	68
ვახტანგ დიმიტრის ძე	66	69
გიორგი დავითის ძე	არ არის	70
გიორგი დიმიტრის ძე	67	71

ახალ „ქართლის ცხოვრებას", როგორც ითქვა, გიორგი ბრწყინვალის შემდგომი ხანის ანუ XIV–XVII საუკუნეების ისტორიისათვის მეფეთა სათვალავი არ გააჩნია და ეს ვერც მოხერხდებოდა ამ პერიოდის ყველა ქართული პოლიტიკური ერთეულის ისტორიის სინქრონულობის გამო. ეს საკითხი სხვაგვარ საფუძველზე გადაწყვიტა ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელმაც პოლიტიკური დაშლილობის ამ ეპოქისათვის სამი ქართული სამეფოსა და სამცხე-საათაბაგოს ისტორია ცალ-ცალკე აღწერა და მეფეთა და მთავართა სათვალავებიც, შესაბამისად, ცალ-ცალკე შეადგინა. აღნიშნული საკითხი მან საქართველოს პოლიტიკური დაშლის დროისა და ვითარების შესახებ საკუთარი კონცეფციის შესაბამისად გაიაზრა. მისი შეხედულებით, კახეთის სამეფო ცალკე პოლიტიკურ ერთეულად 1469 წელს ჩამოყალიბდა და კახეთის მეფეთა ცალკე სათვალავსაც ამ დროიდან პირველი მეფე დავითით იწყებს (მოჰყავს 1744 წლამდე, რომელ წელზედაც ამთავრებს თხრობას) (ყაუხჩიშვილი 1973: 568-625); სამცხე-საათაბაგოს ცალკე სამთავროდ გამოყოფას 1465 წლით ათარიღებს და მთავართა სათვალავსაც აქედან იწყებს (ყაუხჩიშვილი 1973: 703-739); იმერეთის სამეფოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის, ისტორია, ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, დავით ნარინის გამეფებით (1259 წ. მისივე აზრით) დაიწყო და იმერეთის მეფეთა სათვალავსაც ამ უკანასკნელით იწყებს (ყაუხჩიშვილი 1973: 800-882). მას დასავლეთ საქართველოს სამთავროების (ოდიში, გურია, აფხაზეთი) ისტორია ცალ-ცალკე არ დაუწერია და, შესაბამისად, არც მათი მთავრების სათვალავი მოუცია.

ვახუშტი ბაგრატიონმა, თავისი კონცეფციის კვალობაზე, ერთიანობის ხანის მეფეთა სათვალავი, რომელიც „მეცნიერ კაცთა" კომისიამ გიორგი ბრწყინვალეზე შეწყვიტა, 1469 წლამდე გააგრძელა და ასეთი სახით მოგვცა:

ო˜ბ (72) დავით გიორგის ძე
ო˜გ (73) ბაგრატ დავითის ძე
ო˜დ (74) გიორგი ბაგრატის ძე
ო˜ე (75) კონსტანტინე
ო˜ვ (76) ალექსანდრე
ო˜ზ (77) ვახტანგი
ო˜ც (78) გიორგი

ვახუშტის შეხედულებით, 78-ე მეფე გიორგი იყო ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე, რომელიც, მისივე ქრონოლოგიით, გარდაიცვალა 1469 წელს.

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი დაშლილობის ხანის ქართლის მეფეთა სათვალავს ცალკე არ გვაძლევს, როგორც იმერეთის და კახეთის მეფეების შემთხვევაში, არამედ მათი (ქართლის მეფეების) სათვალავით აგრძელებს ერთიანი საქართველოს მეფეების რიგს, რაშიც კარგად ჩანს ვახუშტის თვალსაზრისი, რომლის თანახმად ერთიანი საქართველოს

მეფეების უშუალო პოლიტიკური მემკვიდრეები ქართლის (ან გაერთიანებული ქართლ-იმერეთის თუ ქართლ-კახეთის) მეფეები იყვნენ.

ვახუშტი ბაგრატიონმა კახეთის სამეფოს ისტორიას შესავლის სახით წაუმძღვარა კახეთისა და ჰერეთის მოკლე ისტორია და იქვე მოგვცა კახეთის მთავართა, ქორიკოზთა და მეფეთა სათვალავი 787 წლიდან 1104 წლამდე (ყაუხჩიშვილი 1973: 557-563). მანვე იმერეთის სამეფოს ისტორიისთვის წინ დართულ ისტორიულ მიმოხილვაში წარმოადგინა ეგრისის პოლიტიკური მემკვიდრის, აფხაზეთის მეფეთა რიგი და სათვალავი 786 წლიდან 985 წლამდე (როდესაც, მისი ქრონოლოგიით, აფხაზეთის ტახტი დაიკავა ბაგრატ გურგენის ძე ბაგრატიონმა) (ყაუხჩიშვილი 1973: 796-800).

საყურადღებოა ვახუშტის მიდგომა თანამოსახელე მეფეთა ნუმერაციის მიმართ. ფაქტია, რომ მას ერთიანობის ხანის თანამოსახელე მეფეთა სათვალავი არ მოუცია, მაგრამ მისი კვალი აშკარად ჩანს პოლიტიკური დაშლილობის ხანის მეფე-მთავრების შესახებ თხრობაში. ამ მხრივ, თავისებურებით გამოირჩევა ქართლის თანამოსახელე მეფეთა ნუმერაცია, რომელიც ითვალისწინებს ერთიანობის ხანის საქართველოს თანამოსახელე მეფეთა საერთო რაოდენობას. ასე მაგალითად, ქართლის მეფე დავითი, რომელიც ამ პოლიტიკური ერთეულის რიგით მეორე მეფეა და ამ რანგში სეხნია წინამორბედი არ ჰყავს, ვახუშტის მიხედვით, არის „დავით Ბ“ (მე-8) (ყაუხჩიშვილი 1973: 392), მისი მომდევნო გიორგი – „გიორგი თ“ (მე-9) (ყაუხჩიშვილი 1973: 399), ვახტანგი (შაჰნავაზი) – „ვახტანგ ე“ (მე-5). აღნიშნული მეფეების ნომენური სათვალავი გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, თუ თითოეული მათგანის თანამოსახელე მეფეების ათვლას დავიწყებთ ერთიანობის ხანის მეფეებიდან, სადაც ვახუშტი ასახელებს დავითის სახელის მატარებელ შვიდ მეფეს, გიორგის სახელის მქონე რვა მეფეს, ვახტანგად სახელდებულ ოთხ მეფეს (თუმცა არც ერთ მათგანს ნომენური სათვალავი არა აქვს).

ასე რომ, ვახუშტისთან ერთიანია არა მარტო ერთიანობის ხანის საქართველოსა და ქართლის მეფეთა რიგითი სათვალავი, არამედ თანამოსახელეთა სათვალავიც, რაც ვახუშტის ზემოთ აღნიშნული ისტორიული კონცეფციის გამოვლინებაა.

ვახუშტისთან მოცემულია კახეთის მეფეებს შორის ალექსანდრეს, დავითის, თეიმურაზის, კოსტანტინეს სახელის მქონეთა ნომენური სათვალავები, თუმცა გამოტოვებულია პირველად დასახელებული დავითისა და კოსტანტინესთვის მოსალოდნელი ნომერი „ა“; სათვალავი არა აქვს გიორგის სახელის მქონე ორ მეფეს (ყაუხჩიშვილი 1973: 567, 569).

იმერეთის მეფეებს შორის ნომენური სათვალავი აქვს ალექსანდრედ სახელდებულთაგან (სულ ხუთი) მხოლოდ ორს – რიგით მესამეს და მეხუთეს: „იდ. მეფე ალექსანდრე გ“, „კა. მეფე ალექსანდრე ე“ (ყაუხჩიშვილი 1973: 829, 882), გიორგის სახელის მქონე ექვსიდან მხოლოდ ბოლო მეექვსეს: „კ. მეფე გიორგი ვ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 870).

ვახუშტიმ სამცხე-საათაბაგოს თანამოსახელე მთავრების (ჯაყელები) სათვალავიც მოგვცა. ის ამ შემთხვევაში ათვლას იწყებს „ერთმეფობის“ ხანიდან, როდესაც ჯაყელები, ვახუშტის სიტყვებით, „მეფის მორჩილებასა შინა“ იყვნენ. მთავრებს შორის დასახელებულია ოთხი ყვარყვარე, ამათგან რიგით მესამის ნომენური სათვალავია მეოთხე („ზ. ყუარყუარე დ“), რიგით მესამისა კი მეხუთე („თ. ყურყუარე ე“) (ყაუხჩისვილი 1973: 711, 718); იგივე ვითარებაა სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ბექას სახელის მქონე ერთადერთ მთავარს წარმოგვიდგენს როგორც ბექა მესამეს (ყაუხჩიშვილი 1973: 726). ასეთი აცდენა მთავართა რიგში დასახელებულ თანამოსახელეთა რაოდენობასა და ნომენურ სათვალავებს შორის აიხსნება იმით, რომ ვახუშტი ერთმეფობის დროისა და განცალკევების ხანის თანამოსახელე ათაბაგთა (ჯაყელთა) ერთიან სათვალავს იძლევა. ამას მოწმობს შემდეგი გარემოება: დამოუკიდებელი სამთავროს ისტორიას ვახუშტიმ შესავლის სახით წინ დაურთო საათაბაგოს წარსულის, მათ შორის, ჯაყელების მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, სადაც მოხსენიებულია სამთავროს წინა დროის მოღვაწე ყვარყვარე ბექას ძე, აგრეთვე,

ბექა სარგისის ძე და ბექა ყუარყუარეს ძე (ყაუხჩიშვილი 1973: 701-702). სწორედ ჯაყელთა გვარის ამ წარმომადგენლებს ითვალისწინებს ვახუშტი მთავრებს შორის ყუარყუარესა და ბექას სახელის მატარებელთა ნომენური სათვალავების შედგენისას. გაუგებრობა, რაც ერთი შეხედვით იქმნება, გამოწვეულია იმით, რომ ვახუშტისთან ყველა თანამოსახელეს სათვალავი არ ახლავს, თუმცა სადაც ის დასმულია, უმეტესწილად, ზუსტი დაანგარიშების შედეგია.

ვახუშტისეული მეფეთა სათვალავი და ზაქარია მღვდელი. ვახუშტის მეფეთა სათვალავის გავლენით 1798-1800 წლებში ზაქარია მღვდელმა გარკვეული ცვლილება შეიტანა თვით მის მიერვე 1761 წელს გადაწერილ „ქართლის ცხოვრების" ხელნაწერში, რომელსაც დღეს ფალავანდიშვილისეული ნუსხის სახელწოდებით ვიცნობთ. ამ ეტაპზე გადამწერს შეუსრულებია სხვა სამუშაოც, სახელდობრ, მეფეთა სათვალავი გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემუშავებულ მეფეთა სათვალავთან შეუთანხმებია. ამის თაობაზე ზაქარია მღვდელი თავის ანდერძ-მინაწერში აღნიშნავს, რომ ამ „ბრწყინვალის მეფის გიორგის შემდგომად ვახუშტი დასწერს მეფე დავითს, ამ გიორგის მეფის ძეს, სამოცდაათსამეტედ მეფედ, რომელსაც აქამომდე ვათანჴმაე" (არახამია 2019: 265). ვახუშტის ავტოგრაფსა და, შესაბამისად, გამოცემაში, დავით გიორგი ბრწყინვალის ძის რიგითი სათვალავია 72-ე და არა 73-ე (ყაუხჩიშვილი 1973: 260). ვერ ვიტყვით, რომ მას ვახუშტის აზრი არასწორად აქვს მოყვანილი. როგორც ჩანს, ზაქარია მღვდელი სარგებლობდა არა ვახუშტის ავტოგრაფით, არამედ თხზულების ისეთი ნუსხით, სადაც მეფეთა სათვალავი ვახუშტის ავტოგრაფისგან განსხვავებით ერთით მეტობდა. ასეთი ვერსია რომ არსებობდა, ამას მოწმობს დღემდე მოღწეული ვახუშტის თხზულების ერთ-ერთი პირი, დაცული საქართველოს ცენტრალურ არქივში (ყაუხჩიშვილი 1973: 020), სადაც ზემოთ აღნიშნული მეტობა გვაქვს.

კონკრეტულად რაში გამოიხატა ზაქარია მღვდლის სიტყვები „აქამომდე ვათანხმაე"? ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ზაქარია მღვდლის მიერ შექმნილ ხელნაწერში (ფალავანდიშვილისეული) მეფეთა სათვალავში რიგითობის აღმნიშვნელი რიცხვები გადაკეთებულია დაწყებული 50-ე მეფიდან (კონსტანტინე ძე აფხაზთა მეფისა) გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით. აღნიშული სწორებები ცხადყოფს, თუ როგორ წარმოედგინა გადამწერს ეს რიცხვები თავიდან. შედარება უჩვენებს, რომ თავდაპირველად გადამწერი მისდევდა ახალი „ქართლის ცხოვრების" რუმიანცევისეულ და მისგან მომდინარე სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილ სათვალავს მეფე ფარნავაზიდან გიორგი ბრწყინვალის ჩათვლით და მეტ-ნაკლები განსხვავებით იმეორებდა იმ შეცდომებს, რაც რიგითობის თანამიმდევრობის დარღვევაში გამოიხატება.

ზაქარია მღვდელი პირველ ეტაპზე კონსტანტინე მეფის შემდეგ ცალკე სათაურით გამოყოფს ბაგრატ გურგენის ძის (ბაგრატ III-ის) მეფობას, მოგვიანებით კი ადარნასეს მეფობის შესახებ თხრობაში, იმ ადგილის გასწვრივ, რომელიც დავით მაგისტროსის გარდაცვალებას იუწყება, მარჯვენა არშიაზე წერს: „მეორმოცდამეათე მეფე სუმბატ". ოდნავ ქვემოთ თავდაპირველ ტექსტში წერია: „გარდაიცვალა სუმბატ მეფე კურაპალატი, ძე ადარნასე მეფისა და ძმა დავით მეფისა ქ˜კსა რო˜Თ და დაუტევნა ძენი ორნი ბაგრატ რეგვენი..." (P106r). მოგვიანებით „ბაგრატ" სახელს სტრიქონს ზემოდან უმატებს „ანუ დ(ავი)თ", ხოლო მის გასწვრივ მარჯვენა არშიაზე წერს: „მეორმოცდაათერთმეტე მეფე ბაგრატ ანუ დავით რეგუენი" (P106r).

როგორც ვხედავთ, მეორე ეტაპზე გადამწერს მეფეთა რიგში შემოჰყავს ორი ახალი მეფე, ამავე დროს, ბაგრატ რეგვენის მეორე სახელად დავითს მიიჩნევს. ამ ცვლილების წყარო, როგორც შედარება ცხადყოფს, ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაა, სადაც ახალი „ქართლის ცხოვრებისგან" განსხვავებით, მეფეთა რიგში შეყვანილია სუმბატი, რომელსაც სამი წლით კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძე ჩაენაცვლა, სუმბატის მეორედ მეფობის

შემდეგ კი „ძე სუმბატისა დავით ანუ ბაგრატ რეგვენი“ (ყაუხჩიშვილი 1973: 134-136). ზაქარია მღვდელმა ბაგრატ რეგვენის მეორე სახელიც („ანუ დავით“) ვახუშტის გავლენით ჩაუმატა პირვანდელ ტექსტში. ვახუშტის გავლენის შედეგია ის შესწორებებიც, რაც მან მეფეთა სათვალავის პირვანდელ ვარიანტში შეიტანა: ბაგრატ მესამის შემდგომი მეფეების რიგითი ნომრები გიორგი ბრწყინვალემდე ვახუშტისას დაამთხვია.

აშკარაა, რომ ზაქარია მღვდლის სიტყვებში: „ამ ბრწყინვალის მეფის გიორგის შემდგომად ვახუშტი[...] აქამომდე ვათანჴმაე“ ზემოთ მოტანილი შესწორებები იგულისხმება, რაც ხელნაწერზე მუშაობის მეორე ეტაპზე (1798-1800 წწ.) გააკეთა.

როგორც ვხედავთ, ზაქარია მღვდელმა სცადა თავისი ხელნაწერის მეფეთა სათვალავი ვახუშტისეულთან შეეთანხმებინა, მაგრამ არც თუ წარმატებით.

ზაქარიამ გამოტოვა ვახუშტისეული გურგენი და გიორგი დავითის ძე (გიორგი „მცირე“). გაუთვალისწინებელი დარჩა ის, რომ ვახუშტის გიორგი დიმიტრი ძე არც ორი სათაურით და არც ორი სხვადასხვა ნომრით არ ჰყავს აღრიცხული და უშვებს ნომრების დუბლირებას: ერთი და იმავე ნომერს (51) აძლევს კონსტანტინე აფხაზთა მეფის ძესა და ბაგრატს ანუ დავით რეგვენს, აგრეთვე, ბაგრატ გიორგის ძესა და გიორგი ბაგრატის ძეს (58). უშვებს სხვა ტიპის შეცდომებსაც: ბაგრატ გურგენის ძეს აღრიცხავს 53-ე ნომრით, ხოლო მის მომდევნო გიორგი ბაგრატის ძეს 56-ედ.

ზაქარია მღვდლის აღნიშნულ სქემას ითვალისწინებს *ნინოსეულიდან მომდინარე ნუსხები*. მკითხველს შევახსენებთ, რომ საკუთრივ ნინო დედოფლისეულ ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია. მოღწეულია მისი სამი პირი (ვრცლად იხ.: გრიგოლია 1954: 185-193). აქედან ჩვენ ვეყრდნობით S-5314 ხელნაწერს, სადაც დედნისეული ტექსტი უკეთ არის დაცული, ვიდრე სხვა ნუსხებში. აღნიშნულ ხელნაწერში წარმოდგენილი ტექსტი ჰიბრიდული ხასიათისაა, რითაც ის განსხვავდება ახალი „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენი ხელნაწერებისაგან: ტექსტი დასაწყისიდან დავით VIII-ის მეფობის აღწერამდე ახალი „ქართლის ცხოვრების“ ფალავანდიშვილისეული ნუსხის გვიანდელი (1798-1800 წწ.) ვერსიის იდენტურია, აღნიშნული ადგილიდან ბოლომდე გადმოწერილია ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან (გრიგოლია 1954: 188).

აღნიშნული ნუსხისა და ახალი „ქართლის ცხოვრების“ ყველა სხვა ნუსხის მეფეთა რიგი და სათვალავი იდენტურია 49-ე ადარნასეს ჩათვლით. ამის შემდეგ აღნიშნული ნუსხის მეფეთა რიგი და სათვალავი მისდევს მხოლოდ ფალავანდიშვილისეულის გვიანდელ ვერსიას, მაგრამ ასწორებს ამ უკანასკნელში არსებულ დუბლირებას კოსტანტინესა და ბაგრატ ანუ დავით რეგვენის სათვალავში, თუმცა სხვა უზუსტობებს მექანიკურად იმეორებს (იხ. ცხრილი № 4).

49-ე ადარნასედან მოკიდებული დავით დიმიტრის ძის ჩათვლით S-5314 -ის მეფეთა რიგი და სათვალავი ფალავანდიშვილისეულისას ემთხვევა. დავით დიმიტრის ძიდან მოკიდებული მისი ტექსტი, როგორც ითქვა, ვახუშტის ნაშრომიდანაა გადმოწერილი და, ცხადია, მეფეთა რიგიც ვახუშტიშვილისეულს მისდევს და შორდება ფალავანდიშვილისეულს, მაგრამ სათვალავით ახალ „ქართლის ცხოვრებას“ აგრძელებს.

ზემოთქმული კარგად ჩანს აქვე მოყვანილი ცხრილში (№ 4), სადაც პარალელურად მოტანილია ცალკე ვახუშტისეული და ცალკე ზაქარია მღვდლისა და ნინო დედოფლისული ვერსიის მეფეთა რიგები და სათვალავები, სადაც P^2 აღნიშნავს ფალავანდიშვილისელ ნუსხაში ზაქარია მღვდლის მიერ 1798-1800 წლებში შეტანილ ცვლილებებს, N კი – S-5314 ხელნაწერს:

ცხრილი № 4

ვახუშტი ბაგრატიონი		P², N	P²	N
მეფე	სათ-ვა-ლავი	მეფე	სათ-ვა-ლავი	სათ-ვა-ლავი
ადარნასე	49	ადარნასე	49	49
სუმბატი	50	სუმბატი	50	50
კოსტანტინე	51	კოსტანტინე	51	51
ბაგრატ ანუ დავით რეგვენი	52	ბაგრატ ანუ დავით რეგვენი	51	52
გურგენი	53	არ არის	-	-
ბაგრატ ძე გურგენისა	54	ბაგრატ ძე გურგენისა	53	53
გიორგი ძე ბაგრატისა	55	გიორგი ძე ბაგრატისა	56	57
ბაგრატ ძე გიორგისა	56	ბაგრატ ძე გიორგისა	58	57
გიორგი ძე ბაგრატისა	57	გიორგი ძე ბაგრატისა	58	58
დავით აღმაშენებელი	58	დავით აღმაშენებელი	59	59
დიმიტრი ძე დავითისა	59	დიმიტრი ძე დავითისა	60	60
დავით ძე დიმიტრისა	60	დავით ძე დიმიტრისა	61	61
გიორგი ძე დიმიტრისა	61	გიორგი ძე დიმიტრისა	62	62
თამარი	62	თამარი	63	63
გიორგი ლაშა	63	გიორგი ლაშა	64	64
რუსუდანი	64	რუსუდანი	65	65
დავით გიორგის ძე, დავით რუსु-დანის ძე	65	დავით გიორგის ძე, დავით რუსु-დანის ძე	66	66
დიმიტრი ძე დავითისა (თავდა-დებული)	66	დიმიტრი ძე დავითისა (თავდა-დებული)	67	67
ვახტანგ ძე დავით ნარინისა	67	ვახტანგ ძე დავით ნარინისა	68	68
დავით ძე დიმიტრისა	68	დავით ძე დიმიტრისა	69	69
ვახტანგ ძე დიმიტრისა	69	გიორგი ძე დიმიტრისა (ბრწყინ-ვალე)	70	70
გიორგი ძე დავითისა („მცრე“)	70	ვახტანგ ძე დიმიტრისა	71	71
გიორგი ძე დიმიტრისა (ბრწყინ-ვალე)	71	გიორგი ძე დიმიტრისა (ბრწყინ-ვალე)	72	72

ჯანაშვილისეული ნუსხის უცნობი კომენტატორი და მეფეთა სათვალავი. როგორც ითქვა, ახალი „ქართლის ცხოვრების“ ყველა რედაქციაში მეფეთა სათვალავი მთავრდება გიორგი ბრწყინვალით და ის არ გავრცელებულა XIV-XVII საუკუნეების ისტორიის მომთხრობ ნაწილზე. ეს გარემოება, როგორც ჩანს, ნაკლად აღიქმებოდა მკითხველთა თვალში. მისი გამოსწორება უცდია ჯანაშვილისეული ნუსხის უცნობ კომენტატორს, რომელსაც ზოგან სათაური შუტანია (გრიგოლია 1954: 146), მასვე ხელნაწერის არშიაზე გაუგრძელებია გიორგი ბრწინვალეზე შეწყვეტილი მეფეთა სათვალავი. აღნიშნული ნუსხის ბოლონაკლულობის გამო შემონახულია გიორგი ბრწყინვალის შემდგომი 14 მეფის სათვალავი (არახამია 2020: 3, 8, 16, 17, 18, 19, 22, 23, 24, 30). აღსანიშნავია, რომ სათვალავი ეხება მხოლოდ ქართლის მეფეებს. კომენტატორი, რომელსაც აღნიშნული სათვალავი ეკუთვნის, ერთიანი საქართველოს მეფეების პირდაპირ მემკვიდრეებად ქართლის, უფრო ზუსტად, თბილისის ტახტზე მჯდომი მეფეები მიაჩნია. ამ თვალსაზრისს ავითარებს ვახუშტი ბაგრატიონი, თუმცა ჯანაშვილისეული ნუსხის კომენტატორზე ვახუშტის თხზულების გავლენა არ ჩანს; კომენტატორი იზიარებს „მეცნიერ კაცთა“ კომისიის მიერ გიორგი ბრწყინვალისთვის მინიჭებულ სათვალავს (67-ე) და აქედან აგრძელებს შემდეგი მეფეების რიგს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით კი გიორგი ბრწყინვალე რიგით 71-ე მეფეა. ასე რომ, კომენტატორისთვის ვახუშტის თხზულებაში გატარებული ეს თვალსაზრისი უცნობია.

ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ „მეცნიერ კაცთა“კომისიამ,

განსხვავებით წინამორბედი ისტორიკოსებისგან, ქართველ მეფეთა ერთიანი სათვალავი მოგვცა განურჩევლად სარწმუნოებრივი და დინასტიური კუთვილებისა ქართლის პირველი მეფე ფანავაზიდან (ძვ. წ. III ს.) გიორგი ბრწყინვალის (1318-1346) ჩათვლით. ეს იყო მნიშვნელოვანი კორექტივი, რაც კომისიამ წინამორბედი ისტორიკოსების („მოქცევაჲ ქართლისაჲს" ისტორიული ქრონიკა, ძველი „ქართლის ცხოვრება") მიდგომაში შეიტანა, რაც გამოიხატებოდა სათვალავის შედგენაში ცალკე წარმართი და ცალკე ქრისტიანი მეფეებისთვის ან კიდევ ცალკე ბაგრატიონთა დინასტიისათვის.

იმავე კომისიამ პირველად სცადა თანამოსახელე მეფეთა სათვალავის შემუშავებაც.

მან მეფეთა სათვალავი მეფეთა ზეობების მიხედვით გამოყოფილი მცირე მონაკვეთების სათაურების შემადგენელ კომპონენტად აქცია და ტექსტის შიგნით შეიტანა, ხოლო თანამოსახელე მეფეთა ნუმერაცია გვერდითა არშიებზე გაიტანა.

ვახუშტი ბაგრატიონმა კრიტიკულად აითვისა და კიდევ უფრო დახვეწა „მეცნიერ კაცთა" კომისიის ნააზრევი. მან გარკვეული კორექტივი შეიტანა კომისიის მიერ შემუშავებულ მეფეთა რიგში, რომელიც რამდენიმე გვირგვინოსნით შეავსო.

ვახუშტი ბაგრატიონმა პირველმა შეიმუშავა პოლიტიკური დაშლილობის ხანის ქართველ მეფე-მთავართა სათვალავები, რაც მიუღწეველი დარჩა „მეცნიერ კაცთა" კომისიისათვის. ვახუშტი ბაგრატიონმა ეს საკითხი გადაჭრა აღნიშნული პერიოდის ქართული პოლიტიკური ერთეულების ისტორიის ცალ-ცალკე წარმოდგენით, რამაც მას საშუალება მისცა ამ ერთეულების მმართველთა რიგი და ნუმერაცია ცალ-ცალკე შეემუშავებინა. აღსანიშნავია, რომ მან ერთიანობის ხანის მეფეთა სათვალავი პოლიტიკური დაშლილობის ხანის (მისი ქრონოლოგიით, 1469 წლიდან თავის დრომდე, 1744 წლამდე) ქართლის მეფეებით გააგრძელა. ამავე დროს, ცალ-ცალკე მოგვცა კახეთის მეფეების (1469 წლიდან), იმერეთის მეფეების (მისი ქრონოლოგიით 1259 წლიდან დავით-ნარინის ქუთაისში დამკვიდრების დროიდან), აგრეთვე, სამცხის ათაბაგების, ჯაყელების (1463/1465 წლიდან) სათვალავები.

შენიშვნები

[1] აქ იგულისხმება ფალავანდიშვილისეული ნუსხის 1761 წელი გადაწერილ ტექსტში წარმოდგენილი სათვალავი, რომელშიც, ვახუშტის გავლენით, მნიშვნელოვანი კორექტივი შევიდა 1798-1800 წლებში (იხ. ქვემოთ).

[2] ჯანაშვილისეული ნუსხა, რომელიც შექმნიდან მოკლე ხანში ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად საზღვარგარეთ, მოსკოვის ქართველთა კოლონიაში აღმოჩნდა, XVIII საუკუნე საქართველოში მოღვაწე მწიგნობრებისთვის უცნობი დარჩა, მათთვის ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების" ერთადერთ დედანს რუმიანცევისეული ხელნაწერი წარმოადგენდა. ამიტომ ჯანაშვილისეული ხელნაწერის გამართული სათვალავი ვერ აისახა საქართველოში გადაწერილ ზემოთ აღნიშნულ ხელნაწერებში.

დამოწმებანი

არახამია 2017: *ახალი „ქართლის ცხოვრება". ვახტანგისეული ედაქცია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. ტ. I. თბილისი.

არახამია 2019: *ახალი „ქართლის ცხოვრება". ვახტანგისეული ედაქცია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. ტ. II. თბილისი.

არახამია 2020: *ახალი „ქართლის ცხოვრება". ვახტანგისეული ედაქცია.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. არახამიამ. ტ. III. . თბილისი.

არახამია 2023: გ. არახამია. ახალი „ქართლის ცხოვრების" ურბნული ხელნაწერის ფრაგმენტის შესწავლისათვის, *თამაზ ბეჰაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო და კავკასია, წახსული, აწმყო, მომავალი, I საერთაშორისო კონფერენცია.* თბილისი.

გრიგოლია 1954: კ. გრიგოლია. *ახალი ქართლის ცხოვრება*, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

LIST OF KINGS IN THE 18th CENTURY GEORGIAN HISTORIOGRAPHY

Goneli Arakhamia
The University of Georgia,
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
goneli.araxamia@gmail.com

The issue of listing, or numbering of kings, which was of interest of Georgian chroniclers right from the outset, became even more crucial for Georgian historiography of the 18th century, as demonstrated by the ideas of the "Learned Men" Commission, Vakhushti Bagrationi, and other authors. The results of the study show that, unlike previous historians, the "Learned Men" Commission provided a single list of Georgian kings regardless of their religious and dynastic affiliation, from the first King of Kartli Parnavaz (3rd century B. C.) to George V the Brilliant (1318-1346). The same Commission was the first to attempt and give the numbering of the kings with the same names. The Commission included a list of kings under the headings of small sections divided by their reigning periods, and numbered the kings of the same name on the side margins.

Vakhushti Bagrationi critically studied and refined the conclusions of the "Learned Men" Commission. He made some corrections to the order of the kings developed by the Commission and supplemented it with several rulers. He was also the first to develop the numbering of Georgian kings and princes during the period of political disintegration of the country what the "Learned Men" Commission could not achieve. Vakhushti Bagrationi solved this issue by presenting the histories of Georgian political units of the above-mentioned period separately what allowed him to give the orders and numberings of the rulers of such units separately. Remarkably, his list of kings from the era of unity was continued by the kings of Kartli of the era of political disintegration (from 1469 to his time, 1744, by his chronology). At the same time, he gave separate numberings of the kings of Kakheti (from 1469) and Imereti (by his chronology, from the time David VI Narin established himself in Kutaisi in 1259), as well as the feudal hause of Jaqeli, the Atabags of Samtskhe (from 1463/1465). The above legacy of Georgian historians of the 18th century has made a certain contribution to the development of scientific historiography.

წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენიებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის გარკვევის საკითხი ჩითახევის ეკლესიის (მწვანე მონასტერი) ანტეფიქსის წარწერის მიხედვით

თამაზ გოგოლაძე
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
კავკასიის უნივერსიტეტი
tazogogoladze@yahoo.com

ჩითახევის ეკლესია (მწვანე მონასტერი) (სურ.1) მდებარეობს ქალაქ ბორჯომიდან 15 კილომეტრის მანძილზე, ჩითახევის ხეობაში, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მონასტერი განლაგებულია ვიწრო ხეობის ოდნავ გაფართოებულ მონაკვეთზე. ხუროთმოძღვრული ძეგლი სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს და მისი აგების ქრონოლოგიას – IX საუკუნის შუა ხანებით ან მის მომდევნო მესამე მეოთხედით განსაზღვრავენ. 2012 წელს მონასტრის ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოების დროს ადგილობრივი მოწესეების მიერ ნაპოვნი იქნა ანტეფიქსის ქვა (სურ. 2). აღნიშნული ანტეფიქსის აღმოჩენისა და მასზე შესრულებული წარწერის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა ისტორიკოსმა მზია ქოზაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ამის შემდეგ ვეწვიეთ ჩითახევის ეკლესიას და აღნიშნული ქვა ადგილზე მოვინახულეთ. ანტეფიქსის ქვა (ზომა: 12X12 სმ; სისქე: 5 სმ) სამკუთხედი ფორმისაა, რომლის ცენტრში გამოსახულია ჯვარი (ზომა: 8X5 სმ), რომელიც, თავის მხრივ, კვარცხლბეკზეა შემდგარი. ჯვრის მკლავის დაბოლოებები ოთხივე მხარეს სამკუთხედი ფორმით არის შიგნით ჩაჭრილი, ეს განსაკუთრებით უფრო მკაფიოდ გამოხატულია ჯვრის ქვედა ფეხზე. ანტეფიქსის ქვა მის ქვედა ნაწილში ორივე მხარეს ხის წიწვების მსგავსი დეკორით არის გაფორმებული. ჯვრის ზედა მარჯვენა მხარეს გამოსახულია ოთხკუთხედი ფორმის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა და მარცხენა მხრიდან კვეთს ორი სწორი ხაზი. როგორც ცნობილია, ჯვართან წრის ფიგურის გამოსახვა ნიშნავს ცას (კარანაძე 2012: დამატება I, სურ. 12), ხოლო კვადრატის გამოსახვა კი მიწას ნიშნავს (კარანაძე 2012: 12). როგორც აღვნიშნეთ, ჩითახევის ანტეფიქსის ქვაზე კვადრატი გადახაზულია, რაც, ჩვენი აზრით, ნიშნავს, რომ მიწიერი ანუ ამქვეყნიური ცხოვრება უარყოფილია.

აღნიშნული ჯვრის ქვედა ორივე მხარესა და ზედა მარცხენა მხარეს მიუყვება ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც რელიეფური სახისაა. წარწერა გადმოცემულია ე.წ. „სარკისებური“ ანუ შებრუნებული მოხაზულობით. წარწერის ყველაზე დიდი გრაფემის „წილი“ ზომაა: 4.5X1 სანტიმეტრი; წარწერის ყველაზე პატარა გრაფემის „ინი“ ზომაა: 0.5X1 სანტიმეტრი; წარწერას განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს; ასევე წარწერაში ქანწილი არ არის გამოყენებული; წარწერას აღენიშნება დაზიანება: წარწერის მესამე გრაფემის „განი“ ზედა ნაწილი გაზიდულია; სწორედ ეს გაზიდული ხაზი ამოტეხილია, თუმცა აღნიშნული ხაზის ბოლო ნაწილი შემორჩენილია, რაც გვეხმარება იმის წარმოდგენაში, თუ როგორი იყო თავდაპირველად ასო „განი“. გთავაზობთ წარწერის ტექსტს, მის შავ-თეთრ ფოტოსა და ჩვენეულ წაკითხვას:

ᲩᲔ Უ Წ(მიდა)Ა გ(იორგ)ი

სპეციალურ ლიტერატურაში წმიდა გიორგის გამოსახულებით მხოლოდ ორი ანტეფიქსია ცნობილი:

1. სოფელ ქუნცას (ასპინძის რაიონი) ანტეფიქსი დიოკლეტიანეს განმგმირავი წმიდა

გიორგის რელიეფური გამოსახულებით, რომლის ქვემოთ შესრულებილია რელიეფური ასომთავრული წარწერა: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ხ(უ)ცრი“ (ჯღამაია 1980: 49-50); (სილოგავა 2008: 115-116).

2. ქუთაისის მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული კალიპტერის ანტეფიქსი წმიდა გიორგის გამოსახულებით სოფელ ზედა მესხეთიდან (წყალტუბოს რაიონი) (ბერძენიშვილი 2011: 27-37).

როგორც ვნახეთ, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის ქვაზე შესრულებულ წარწერაში წმიდა გიორგია მოხსენიებული. აღნიშნული წარწერა ჯერჯერობით ერთადერთი მაგალითია წმიდა გიორგის მოხსენიებისა ასეთი ტიპის ქვებზე. ჩითახევის ანტეფიქსზე წმიდა გიორგის მოხსენიება მყარ არგუმენტს წარმოადგენს ეკლესიის მფარველი წმინდანის სახელის დასადგენად. ამ წარწერის მიხედვით შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ ისიც, რომ ეს ეკლესია IX საუკუნეში წმიდა გიორგის სახელზე აშენდა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს წმ. გრიგოლ ხანძთელის მონაფის – ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის საკითხი. თავდაპირველად სათანადო სისრულით მოვიყვანთ ქართულ და უცხოურ ნარატიულ წყაროებში დაცულ ცნობებს კვირიკეწმიდის შესახებ. აქვე დავძენთ, რომ სულ სამიოდე ნარატიული წყარო მოგვეპოვება აღნიშნული ძეგლის შესახებ, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

პირველ წყაროს კვირიკეწმიდის შესახებ წარმოადგენს X საუკუნის გიორგი მერჩულეს მიერ შედგენილი ჰაგიოგრაფიული თხზულება *წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება*, სადაც კვირიკეწმიდის მონასტერი რამდენიმეგზის არის მოხსენიებული. პირველად, გიორგი მერჩულე აღწერს რა გრიგოლ ხანცთელის მღვდლად კურთხევის ამბავს, ამის შემდეგ მოგვითხრობს, რომ მან „პოვნა მოყვასნი კეთილნი შეწევნითა ქრისტეს მადლისაჲთა: საბა, რომელსა ეწოდა საბან, დედის დისწული მისი, იშხნისა მეორედ მაშენებელი და ებისკოპოსი მისი, და თეოდორე, ნექვისა მაშენებელი და მამაჲ, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშენებელი და მამაჲ[...]“ (თვარაძე 1979: 194). მეორედ, მემატიანე აღნიშნავს რა თეოდორესა და ქრისტეფორეს მიერ თავისი საძმოს თანხლებით ქართლის სანახებში წასვლის შესახებ, დასძენს, რომ „რამეთუ უფალი უწოდდა მათ უხილავად ბრძანებით და აღაშენებდა წმიდათა მათ მონასტერთა მათ მიერ ნეძვსა და კვირიკე-წმიდისასა“ (თვარაძე 1979: 230). ამის შემდეგ ავტორი აგრძელებს თხრობას და ამბობს, რომ გრიგოლს უფლისაგან ეუწყა თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლის ამბავი, წავიდა მათ საძებნელად, იპოვა ისინი სამცხეში და ამხილა ფარულად გამოპარვაში. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ ამცნეს მათი განზრახვის შესახებ, გრიგოლმა მოუწონა თავის მონაფეებს ჩანაფიქრი და „წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა, არეთა მათ უდაბნოთა, და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე. და უწოდეს თევდორეჲს ვანსა ნეძვი. ხოლო ქრისტეფორეჲსსა – კვირიკე-წმიდაჲ, და მოწაფენი დაუტევნეს“ (თვარაძე 1979: 230). ამის შემდეგ, გრიგოლი და მისი მოწაფეები დაბრუნდნენ ხანძთაში, საიდანაც მათ წამოიყვანეს ბერები ახლად დაარსებულ მონასტრებში სამოღვაწეოდ. თეოდორე და ქრისტეფორე: „წარუძღვეს ძმათა მათ და კვალა მოიწიეს ნეძვს და კვირიკე-წმიდას“ (თვარაძე 1979: 231).

მეორედ, კვირიკეწმიდა XIV საუკუნის მემატიანის ტექსტშია მოხსენიებული ჰულაგუიანთა მეორე მმართველის აბაღა ყაენის (1265-1282 წწ.) ხორასანს ბარახა ყაენის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ტექსტში წყაროს ავტორი დასძენს, რომ უფლისწულმა თეგუდარმა გამოაგზავნა სამი მხედართმთავარი. აღნიშნული მხედრობა დემოთის ციხის შესაყარში, ლომის მთაზე დადგა, საიდანაც არბევდა ჯავახეთს ფარავნამდე. მარბიელმა რაზმმა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს ეკერის ხევი ჩამოიარა, გადავიდა აწყურში მტკვარზე, აწყურის გავლით კი ჯავახეთში გადავიდა. მათ მოიტაცეს XIII საუკუნის 50-60-იანი წლების ქართველი დიდგვაროვანის – მეჭურჭლეთუხუცესის კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის – ყურუმჩი-ბადურის ჯოგი. მარბიელთა რაზმი გამოემართა ლომის მთისაკენ, თუმცა მათ დაედევნათ კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის ლაშქარი, რომელთა შორის შეტაკება მოხდა გურკელის ხეობაში. აღნიშნულ ბრძოლაში კახა თორელისა და მონღოლთა ასისთავის ჯარი დამარცხდა. გამარჯვებულები დამარცხებულთ დაედევნენ. კახა თორელმა, რომელსაც ცხენი მოუკლეს აღნიშნულ ბრძოლაში, ცურვით გადალახა მტკვარი და თავი აწყურის ციხეს შეაფარა. მონღოლი ასისთავი კი ამ ბრძოლაში მოკლულ

იქნა. გადარჩენილმა რაზმა გზა გააგრძელა აღმოსავლეთის მიმართულებით, რომელნიც „შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელსავალსა, რომელსა ჰქჳან კჳრიკეწმიდა“ (ალასანია 2008: 606).

მესამე ნარატიული წყარო გახლავთ 1595 წელს შედგენილი *გუჰჯისტანის ვიღაიეთის დიდი დავთარი*, სადაც ახალციხის ლივაში, კერძოდ, აწყურის ნაჰიეში მეშვიდე სოფლად კვირიკეწმიდაა დასახელებული, ხოლო მეთვრამეტე სოფლად კი საკვირიკე (ჯიქია 1958: 124-125; 131-132). მას შემდეგ, რაც გავეცანით ქართული და უცხოური ნარატიული წყაროების ცნობებს კვირიკეწმიდის შესახებ, განვიხილავთ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

პირველად, ქართულ სამეცნიერო წრეებში აღნიშნული პრობლების გადაჭრა პავლე ინგოროყვამ სცადა. მეცნიერი, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდა ორი სახით: კვირიკეთისა და კვირიკეწმიდის სახელით არის მოხსენიებული. მას აღნიშნული პუნქტის გაიგივება ბორჯომის ხეობაში მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას იგი ემყარებოდა *გუჰჯისტანის ვიღაიეთის დიდ დავთარს*, საიდანაც, როგორც თვითონ ფიქრობდა, საკვირიკე სხვა პუნქტი იყო, ხოლო კვირიკეთი (კვირიკეწმიდა) სხვა. ამის პარალელურად, მან *გუჰჯისტანის ვიღაიეთის დიდ დავთარზე* დაყრდნობით, სადაც კვირიკეწმიდა აწყურის ნაჰიეს სოფლების ნუსხაში არის მოხსენიებული, აღნიშნული პუნქტის დღევანდელი ადგილმდებარეობა დაახლოებით მოხაზა და ბორჯომ-ახალციხის სასაზღვრო ზოლში, უფრო კონკრეტულად კი, სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან განსაზღვრა. ავტორი *გუჰჯისტანის ვიღაიეთის დიდი დავთრის* გარდა ეყრდნობოდა ჟამთააღმწერლის თხზულებასაც, სადაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოთხრობილია ქართველთა და მონღოლთა ერთ-ერთი შეტაკების შესახებ. ავტორს ჟამთააღმწერლის ეს ცნობა დამატებით არგუმენტად მიაჩნდა კვირკეწმიდის მდებარეობდის აწყურის მახლობლად, რუგეთის მთის კალთებზე, საყუნეთის თემის ზონაში განსაზღვრისათვის (ინგოროყვა 1954: 393-395).

პავლე ინგოროყვასაგან განსხვავებით, ნიკო ბერძენიშვილმა გამოთქვა ფრთხილი ვარაუდი ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმინდის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით და მან თავის 1947 წლის ბორჯომში მოგზაურობის დღიურში აღნიშნული მონასტრის ადგილმდებარეობა ბორჯომის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დვირთან მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააგივა (ბერძენიშვილი 1964: 250).

აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა გიორგი ჩუბინაშვილმა თავის 1948 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში *ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზიღიკა* (ჩუბინაშვილი 1948: 396).

ნიკო ბერძენიშვილის ფრთხილი მოსაზრებისაგან განსხვავებით, სერგი მაკალათიამ ყოველგვარი არგუმენტების წარმოდგენის გარეშე ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე, საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააიგივა (მაკალათია 1957: 41-42).

პავლე ინგოროყვას მოსაზრება კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ სერგი ჯიქიამ გაიზიარა თავის 1958 წლის ნაშრომში *გუჰჯისტანის ვიღაიეთის დიდი დავთარი*. ისტორიკოსი, ერთი მხრივ, ანგარიშს უწევს აწყურის ნაჰიეს სოფლების (ორფოლა, ბლორძა, საყუნეთი, ტყემლოვანი და სხვ.) გვერდით კვირიკეწმიდის მოხსენიებას, მეორე მხრივ კი, მან ეს მოსაზრება გაამყარა დამატებითი არგუმენტით, კერძოდ, ს. ჯიქიამ ყურადღება გაამახვილა XIX საუკუნის ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტზე, საიდანაც ჩანს, რომ ნასოფლარი კვირიკეწმიდა სოფელ კოპაძის მცხოვრებთა საკუთრებას წარმოადგენდა და ყოველივე აქედან გამომდინარე, იგი, პავლე ინგოროყვას მსგავსად, *წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში* დასახელებულ კვირიკეწმიდის მდებარეობას სოფელ კოპაძესთან განსაზღვრავს (ჯიქია 1958: 124-125).

პავლე ინგოროყვასა და სერგი ჯიქიას მიერ გამოთქმული მოსაზრებების გადამოწმების მიზნით, რუსუდან მეფისაშვილმა დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა საყუნეთისა და კოპეთის მიდამოებში, თუმცა იქ ვერავითარი ნამონასტრალის კვალს ვერ მიაკვლია (მეფისაშვილი 1963: 233, სქოლიო 8). მეცნიერმა 1963 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: *გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების საამშენებლო მოღვაწეობა ქართლში*, გამოთქვა ვარაუდი ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდის სოფელ დვირის ახლოს მდებარე საკვირიკეს სა-

მონასტრო ანსამბლთან გაიგივების შესახებ, თუმცა იქვე დასძინა, რომ

> საკვირიკე ზომით ნეძვზე თითქმის ორჯერ უფრო მცირეა, და ბოლოს იმის გათვალისწინებამაც, რომ დავთარში სოფ კვირიკე-წმინდა და სოფელი საკვირიკე ერთდროულადაა მოხსენიებული, ეჭვი დაბადა საკვირიკესა და კვირიკეწმინდის შესაძლებელი გაიგივების შესახებ (მეფისაშვილი 1963: 234).

რუსუდან მეფისაშვილის შემდეგ ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხო გიორგი ზედგინიძე თავის 1972 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: *სამხეთ საქართველოს ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის*. მან თავის ნაშრომში ერთ-ერთი თავი მიუძღვნა კვირიკეწმიდის ლოკალიცაზიის დადგენის საკითხს.

ავტორი მსჯელობისას ეყრდნობა რა *გუჯისტანის ვიდაიეთის დიდ დავთარსა* და ჟამთააღმწერლის ცნობას, ზემოთ ნახსენებ მეცნიერთაგან განსხვავებით ყურადღებას ამახვილებს ჟამთააღმწერლის თხზულებში დაცულ ცნობაზე. მისი აზრით, პირველი ბრძოლა მონღოლი უფლისწულის რაზმსა და კახა თორელი-ყურუმჩი ბაადურის ლაშქარს შორის მოხდა გურკელის ხეობაში ანუ მტკვრის მარცხენა ნაპირას. ამის შემდეგ გადალახა კახა თორელმა მტკვარი ცურვით და აწყურის ციხეს შეაფარა თავი, ხოლო ლაშქრის დანარჩენი ნაწილი აღმოსავლეთის მიმართულებით აგრძელებს სვლას და რუგეთის მთაზე მდებარე სოფელ კვირიკეწმიდას აფარებს თავს. მკვლევრის აზრით, ჟამთააღმწერელთან არ არის დაკონკრეტებული თუ როგორ მოხვდნენ ისინი აღნიშნულ მთაზე, თუმცა მიაჩნია, რომ მათ მტკვარი გადაცურეს ან ხიდი გადალახეს და ამის შემდეგ მოხვდნენ აღნიშნულ სოფელში. გარდა ამისა, მას მოჰყავს ცნობა, რომ დღესაც რუგეთის მთას სოფელ ტაძრისის სამხრეთით მდებარე კოდიანის მთის გაგრძლებას უწოდებენ, რომლის ჩრდილოეთით მტკვრის მარჯვენა ნაპირას რუგეთის მთის პარალელურად კვირიკეწმიდის სერი მიუყვება. იგი აგრძლებს მსჯელობას და ამბობს, რომ კვირიკეწმიდის ჩრდილოეთ ფერდობზე სოფელ დვირთან მართლაც მდებარეობს სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც მოსახლეობა მტკიცედ კვირიკეწმიდის სახელით მოიხსენიებს. ამგვარად, მკვლევარი *გუჯისტანის ვიდაიეთის დიდი დავთარსა* და ჟამთააღმწერლის ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მივიდა შემდგომ დასკვნამდე, რომ ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა უნდა იქნეს გაიგივებული სოფელ დვირთან მდებარე კვირიკეწმიდის სამონასტრო კომპლექსთან. გარდა ამისა, მან *გუჯისტანის ვიდაიეთის დიდ დავთარში* ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხსნიებულ ორ ტოპონიმს კვირიკეწმიდასა და საკვირიკესაც მოუძებნა ახსნა (ზედგინიძე 1972). მისი თქმით,

> როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ჩანს, თვით კვირიკეწმინდას ორგვარი სახელი დაარსებიდანვე უტარებია, „ცხოვრების" ავტორი ერთგან გვაუწყებს, რომ გრიგოლმა „იპოვნა მოყუასნი კეთილნი ... თეოდორე, ნეძჳსა მაშჱნებელი და მამა, და ქრისტეფორე, კვირიკეთისა მაშჱნებელი და მამაჲ", ხოლო მეორეგან აღნიშნავს, „და უწოდეს თეოდორჱს ვანსა ნეძჳ, ხოლო ქრისტეფორჱსსა კჳრიკეწმიდა". *გუჯისტანის ვიდაიეთის დიდ დავთარშიც*, როგორც ს. ჯიქია შენიშნავს, სიაში კვირიკეა დასახელებული, აღწერაში კი კვირიკეწმინდა. საკვირიკე კვირიკეწმიდაზე უფრო გვიანდელი წარმოშობისა უნდა იყოს, იგი დაკავშირებულია, „კვირიკე" ფუძესთან (წმ. კვირიკეს სახელთან) და მიუთითებს, რომ ეკუთვნის კვირიკეს (უნდა ვიგულისხმოთ, კვირიკეწმინდას). ე. ი. სახელწოდება საკვირიკე იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეს სოფელი კვირიკეწმიდის მონასტერს ეკუთვნოდა (ზედგინიძე 1972: 165-166).

რუსუდან მეფისაშვილმა კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის შესახებ 1977 წელს გამოვეყნებულ ნაშრომში: *Основные особенности трехцерковных базилик Грузии*, 1963 წელს გამოქვეყნებული სტატიისაგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა. მეცნიერის თქმით, ქრისტეფორეს მიერ დაარსებული კვირიკეწმიდა შეიძლება ყოფილიყო IX საუკუნით დათარიღებული ჩითახევის მონასტერი. მკვლევრის მთავარ ამოსავალ წერტილს თეოდორესა და ქრისტეფორეს მშენებლობის საკითხებისადმი საერთო მიდგომა და ამ ორი მონასტრის (იგულისხმება ნეძვი და ჩითახევის მონასტერი – თ. გ.) ხუროთმოძღვრუ-

ლი საერთო სტილი წარმოადგენდა. უფრო კონკრეტულად, მისი აზრით, თეოდორესა და ქრისტეფორეს ანალოგიური აღქმა და მიდგომა უნდა ჰქონოდათ მშენებლობის საკითხების მიმართ. ხოლო რაკი ნეძვს – თეოდორეს პირმშოს – ადგილის შერჩევით, ცალკეული ნიშნებითა და ხუროთმოძღვრების საერთო ხასიათით ბორჯომის ხეობის სამონასტრო ეკლესიებს შორის ყველაზე მეტად ჩითახევი უახლოვდება, სწორედ ის უნდა იყოსო ქრისტეფორეს მონასტერი, ყოფილი კვირიკეწმიდა, დაარსებული IX საუკუნის შუა ხანებში (მეფისაშვილი 1977: 6-7).

აღნიშნული მოსაზრება ჩითახევის ეკლესიის კვირიკეწმიდასთან გაიგივების შესახებ არ გაიზიარა დავით ხოშტარიამ 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით: *ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი)* (ხოშტარია 1983: 141-157). მეცნიერის თქმით, „სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოიპოვება დამატებითი არგუმენტები, რომლებიც ბოლომდე გაარკვევდა ამ საინტერესო საკითხს“ (ხოშტარია 1983: 153-154).

ამის შემდეგ ავტორი სქოლიოს მეშვეობით უფრო ვრცლად განმარტავს და ამბობს:

> ჩითახევთან ქრისტეფორესეული სავანის იდენტიფიკაციას ხელს უშლის ის ამბავი, რომ ჩითახევიც ტაშისკარის ზემოთ მდებარეობს, ე. ი. სამცხეში და არა ქართლში. თუმცა გამოთქმულია აზრი, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუნეებში მუდამ ტაშისკარზე არ გადიოდა, ერთხანს მან თითქოს ბევრად ზემოთ, დვირისკენ გადაინაცვლა, რის შედეგადაც მთელი ხეობა ქართლში მოექცა. ამ შემთხვევაში ჩითახევს მართლაც მიუდგებოდა ის გეოგრაფიული განსაზღვრება, რომელსაც გიორგი მერჩულე აძლევს კვირიკეწმიდას. მაგრამ მაშინ იგივე განსაზღვრება აღარ მიუდგება ნეძვს! (ხოშტარია 1983: 154, სქოლიო 46).

ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოთქმული ფრთხილი ვარაუდი კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით სავსებით გაიზიარა ვალერიან აბულაძემ (აბულაძე 1983: 23-27).

დავით ხოშტარიამ 1985 წლის ჟურნალ მაცნეს პირველ ნომერში გამოაქვეყნა წერილი სახელწოდებით *კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხისათვის*. მეცნიერი სტატიის დასაწყის ნაწილში აღნიშნავს, რომ კვირიკეწმიდის:

> ლოკალიზაციის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის გადაჭრა უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს, ერთი მხრივ, ისტორიული გეოგრაფიის, ხოლო, მეორე მხრივ, არქიტექტურის ისტორიის სფეროებიდან (ხოშტარია 1985: 72).

ამის შემდეგ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოჰყავს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ.

მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს *წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში* დაცულ ციტატაზე, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ ნეძვი და კვირიკეწმიდა დაარსებულა „ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა მათ უდაბნოთა... ქართლსა შინა“. ეს ფრაზა ავტორს აფიქრებინებს, რომ „აღნიშნული მონასტრები გაშენდა ერთიმეორის უშუალო სიახლოვეს“ (ხოშტარია 1985: 75). ამის პარალელურად, მეცნიერი ითვალისწინებს იმ ფაქტსაც, რომ ქართლ-სამცხის სასაზღვრო პუნქტი მტკვარზე VIII-X საუკუნეებში იყო ტაშისკართან, რაც სავსებით შეესაბამება ნეძვის ადგილმდებარეობას. იგი ასევე ითვალისწინებს იმ მოსაზრებასაც, რომ ქართლ-სამცხის საზღვარი VIII-X საუკუნეებში სულ ტაშისკარზე არ გადიოდა და ის სოფელ დვირზეც ინაცვლებდა ხოლმე. მისი აზრით, ამ შემთხვევაში კვირიკეწმიდა და ჩითახევის ეკლესია კი ჯდება სასაზღვრო ზოლში, მაგრამ ნეძვი ძალზედ სცილდება მას. აქედან გამომდინარე, მას ნაკლებად დამაჯერებლად მიაჩნია ქრისტეფორეს მიერ აშენებული ეკლესიის საკვირიკესა და ჩითახევის მონასტრებთან გაიგივების შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მას მიაჩნია, რომ კვირიკეწმიდა უნდა მდებარეობდეს ნეძვის მახლობლად, ახალდაბის სექტორში. აღნიშნულ სექტორში მას ყველაზე მეტად საყურადღებოდ ფოთოლეთის მონასტერი მიაჩნია, რასაც მოსდევს ტაძრის მისეული დეტალური არქიტექტურული აღწერა და მიდის შემდგომ დასკვნამდე, რომ

> ფოთოლეთის ეკლესია, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზუსტად უდგება კვირიკეწმიდის მდებარეობის მერჩულესეული განსაზღვრა, არქიტექტურითაც შეეფერება ქრისტეფორეს სავანის დაარსების ხანას და თანაც ძლიერ წააგავს ნეძვის ტაძარს. ამ მომენტების დამთხვევა, ვფიქრობთ, საფუძველს გვაძლევს, გავაიგივოთ კვირიკეწმინდის მონასტერი დღევანდელ ფოთოლეთთან. რა თქმა უნდა, იდენტიფიკაციის ეს ვერსია უეჭველი არ არის და ზოგიერთ პირობითობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ცოდნის დონეზე, ყველა არსებული მონაცემის გათვალისწინებით ის ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს (ხოშტარია 1985: 80).

დ. ხოშტარიამ თავის აზრს კვირიკეწმიდის ადგილმდებარების შესახებ კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა 1986 წლის ნაშრომში *X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის-საკრის მიდამოებში*. ავტორი სანამ უშუალოდ აღნიშნული მონასტრების ხუროთმოძღვრულ აღწერაზე გადავიდოდეს შესავალ ნაწილში ამბობს, რომ X საუკუნის 40-იან წლებში აგებული მონასტრების

> უადრესი წარმომადგენლები [...]არის თეოდორეს მიერ დაარსებული ნეძვის „დიდებული ლავრა“ და, ალბათ, ამჟამად ფოთოლეთის სახელით ცნობილი ნამონასტრალი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდის სავანე (ხოშტარია 1986: 135).

ამის შემდეგ სქოლიოში უთითებს თავის სტატიას კვირიკეწმიდის ადგილმდებარეობის შესახებ, რომლის შემდეგაც დასძენს, რომ

> ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გამოვიდა დ. ბერძენიშვილის ზემოთ დასახელებული ნაშრომი თორ-ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, რომელშიც შემოთავაზებულია ნაწილობრივ ახალი გეგმა გიორგი მერჩულეს ცნობებისა კვირიკეწმიდის მდებარეობის თაობაზე. დ. ბერძენიშვილი სავსებითს სწორად შენიშნავს, ფრაზაში „და წარვიდეს ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ...“ (ლაპარაკია თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლაზე ხანძთიდან გრიგოლის თანხლებით ახალი მონასტრების დასაარსებლად. „ზოგად“ ვითარების გარემოება („წარვიდეს ზოგად“, ე. ი. ერთად) და არა განსაზღვრება („ზოგადი არე“, როგორც საზოგადო, სასაზღვრო არე – ასე ესმოდათ ეს ადგილი. ივ. ჯავახიშვილს, პ. ინგოროყვას და მათს კვალდაკვალ მთელ რიგ სხვა მკვლევარებსაც, მათ შორის ჩვენც). ამით საფუძველი გამოეცალა მოსაზრებას, თითქოს კვირიკეწმიდა მაინცდამაინც ქართლ-სამცხის საზღვრის მიდამოებში მდებარეობდეს, მაგრამ სხვა არგუმენტები ფოთოლეთ-კვირიკეწმიდის იგივეობის სასარგებლოდ რჩებადა დღესდღეობით, ვფიქრობთ, ეს მაინც ყველაზე მისაღები ვერსია კვირიკეწმიდის ლოკალიზაციისა, სხვათა შორის, დ. ბერძენიშვილიც შენიშნავს, რომ ფოთოლეთი თეოდორეს თანამშრომელთა გაშენებული უნდა იყოს (ხოშტარია 1986: 135).

მართალია, დ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ

> ნეძვის მიდამოებში არის კიდევ ორი მონასტერი: ივანე ნათლისმცემლისა სარმანიშვილის ხევში და ფოთოლეთისა – ახალდაბის ციხის დასავლეთით. ორივე ძლიერ წააგავს ნეძვის მონასტერს და მისი თანადროულნი უნდა იყვნენ, შესაძლოა გრიგოლ ხანძთელის მოწაფის – თევდორეს თანამშრომელთა ღვაწლით ნაგებიც კი (ბერძენიშვილი 1985: 19).

თუმცა ის არ აკონკრეტებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ორი მონასტერი ქრისტეფორეს მიერ იყო აგებული. ჩვენი აზრით, თეოდორეს „თანამშრომელთაში“ გულისხმობს მის სხვა დამხმარე პირებს და არა მაინცდამაინც ქრისტეფორეს, როგორც ეს აქვს გაგებული დ. ხოშტარიას. უფრო მეტიც, დ. ბერძენიშვილი იზიარებს იმ აზრს, რომ ქრისტეფორესეული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა იქნეს გაიგივებული. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „...საკვირიკეს მიჩნევა კვირი-

კეწმიდად; სახელის სამონასტრო კომპლექსის, სოფლის არსებობის გარდა, ამას მხარს უჭერს მისი ქართლ-სამცხის საზღვარზე არსებობაც, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისა ჩანს" (ბერძენიშვილი 1985: 15).

1987 წელს დავით ხოშტარიას თავის საკანდიტატო დისერტაციაში *IX-X საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლები ბოჰჯომის ხეობაში* იგივე აზრი აქვს გატარებული ფოთოლეთი ეკლესიიის კვირიკეწმიდის მონასტერთან გაიგივების შესახებ. გარდა ამისა, მეცნიერი საუბრობს რა საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსის შესახებ, დასძენს, რომ საკვირიკე არ შეესაბამება კვირიკეწმიდის გიორგი მერჩულესეულ განსაზღვრებას და მისი ხუროთმოძღვრული მონაცემებიდან გამომდინარე, აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღს – IX-X საუკუნეთა მიჯნით, უფრო კონკრეტულად, X საუკუნის I ათწლეულით განსაზღვრავს (ხოშტარია 1987: 15-23; 53-63).

როგორც ვნახეთ, დღემდე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვირიკეწმიდის მონასტრის ლოკალიზაციის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობდა. მეცნიერთა ერთი ნაწილი (პ. ინგოროყვა, ს. ჯიქია) ქრისტეფორეს მიერ დაარსებულ კვირიკეწმიდას სოფელ საყუნეთის სექტორში, სოფელ კოპაძესთან აკავშირებდა, მეორე ნაწილი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედგინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე) აღნიშნულ მონასტერს სოფელ დვირთან მოიაზრებდნენ, მესამე ნაწილმა (რ. მეფისაშვილი) კვირიკეწმიდა არქიტეტურული მონაცემების საფუძველზე ჩითახევის მონასტერთან გააგივა, ხოლო მეოთხე ნაწილი (დ. ხოშტარია) კვირიკეწმიდას აიგივებს ფოთოლეთის ეკლესიასთან ისტორიულ-გეოგრაფიული და ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით.

როგორც ზემოთ ვნახეთ, პავლე ინგოროყვას მოსაზრება კვირიკეწმიდის საყუნეთის სექტორში გაიგივების შესახებ გადამოწმდა რუსუდან მეფისაშვილის მიერ და არ დადასტურდა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ფოთოლეთის ნაკაწრ წარწერებზე აჩვენა, რომ ფოთოლეთის ეკლესია (IX-X სს.) წმიდა გიორგის სახელზე იყო აშენებული (გოგოლაძე და *სხვები* 2016/2017: 253-265). ამით საფუძველი გამოეცალა დავით ხოშტარიას მიერ ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებას მის კვირიკეწმიდასთან გაიგივებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში რჩებოდა მეცნიერთა ორი ჯგუფის მოსაზრება, რომელთა ერთი ნაწილის მიხედვით ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდა ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან უნდა გაიგივდეს, ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით (რუსუდან მეფისაშვილი) კი ქრისტეფორეს მიერ აშენებული კვირიკეწმიდა ჩითახევის ეკლესია უნდა ყოფილიყო. როგორც ვნახეთ, ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის წარწერის საფუძველზე მყარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ IX საუკუნეში ჩითახევის ეკლესია წმიდა გიორგის სახელზე აშენდა. ყოველივე ამის შემდეგ, გვრჩება მხოლოდ მეცნიერთა ერთ ნაწილის (ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. მაკალათია, გ. ზედგინიძე, დ. ბერძენიშვილი, ვ. აბულაძე,) მოსაზრება კვირიკეწმიდის ქვაბისხევის მოპირდაპირედ მდებარე საკვირიკეს კომპლექსთან გაიგივების შესახებ.

მეცნიერთა ამ ნაწილიდან გამოვყოფთ გიორგი ზედგინიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ლოკალიცაზიის დადგენის შესახებ. მან, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ნარატიული წყაროების (*წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება*, *ჟამთააღმწერელი* და *გუჯარისტანის ვიღაიეთის დავთარი)* ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა სოფელ დვირთან მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კომპლექსთან გააიგივა.

ჩვენ ვითვალისწინებთ რა ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრ წარწერებს, ამის პარალელურად ყურადღებას ვამახვილებთ ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის ქვის წარწერაზე და მხედველობაში ვიღებთ გიორგი ზედგინიძის ნარატიული წყაროების საფუძველზე გამოთქმულ მოსაზრებას კვირიკეწმიდის ლოკალიზაციის შესახებ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში წარმოშობილი პრობლემა კვირიკეწმიდის გაიგივებასთან დაკავშირებით გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს და *წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში* მოხსენიებული ქრისტეფორეს მიერ აგებული კვირიკეწმიდა აღნიშნულ ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ნამდვილად ქვაბისხევის პირდაპირ მდებარე საკვირიკეს სამონასტრო კოპლექსთან უნდა გავაიგივოთ. რაც შეეხება აღნიშნული სამონასტრო კომპლექსის აგების პერიოდს, ნეძვის მონასტრის მსგავსად, IX საუკუნის 40-იანი წლებით განვსაზღვრავთ.

დამოწმებანი

ალასანია 2008: გ. ალასანია. ჟამთააღმწერელი, „ასნლოვანი მატიანე", ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, *ქართული ცხოვრება*, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი.

ბერძენიშვილი 1985: დ. ბერძენიშვილი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართული – თორი, ჯავახეთი*, თბილისი.

ბერძენიშვილი 2011: დ. ბერძენიშვილი. წმინდა გიორგის გამოსახულებიანი კალიპტერის ანტეფიქსი ზედა მესხეთიდან, *წელიწდეული*, ტ., 3, ქუთაისი.

ბერძენიშვილი 1964: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია*, თბილისი.

გოგოლაძე და სხვები 2016/2017: თ. გოგოლაძე, ი. გელაშვილი, ნ. ხარშილაძე. ფოთოლეთის ეკლესიის ნაკაწრი წარწერები და მათი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XIV-XV*, თბილისი..

ზედგინიძე 1972: გ. ზედგინიძე. სამხრეთ საქართველოს რამდენიმე ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციისათვის, *მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, ტ., 3, თბილისი.

თვარაძე 1979: *ძველი ქართული მოთხრობა V-XII საუკუნეებში*, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ, თბილისი.

ინგოროყვა 1954: პ. ინგოროყვა. *გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*, წიგნში: ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბილისი.

კარანაძე 2002: მ. კარანაძე. *ქართული წიგნის ყდის ისტორია*, თბილისი.

მაკალათია 1957: ს. მაკალათია. *ბოჰჯომის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)*, თბილისი.

მეფისაშვილი 1963: რ. მეფისაშვილი. „გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა საადმშენებლო მოღვაწეობა ქართლში", *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო განყოფილების მოამბე*, თბილისი.

მეფისაშვილი 1977: Р. Меписашвили. *Основные особенности трехцерковных базилик Грузии, (Доклад на международном симпозиуме по грузинскому исскуства*, Тбилиси.

სილოგავა 2008: ვ. სილოგავა. ანტეფიქსის ნატეხი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტით პარხლის მიდამოების ეკლესიიდან, *გუღანი*, ახალციხე.

ჩუბინაშვილი 1948: გ. ჩუბინაშვილი. „ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა", *სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ., 34 a-ბ, თბილისი.

ხოშტარია 1983: დ. ხოშტარია. „ჩითახევის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი)", *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, ტ., 4 თბილისი.

ხოშტარია 1985: დ. ხოშტარია. „კვირიკეწმინდის ადგილმდებარეობის საკითხისათვის", *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. „ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, ტ. 1*, თბილისი.

ხოშტარია 1986: დ. ხოშტარია. „X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის – საკირის მიდამოებში", *მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, ტ.3*, თბილისი.

ხოშტარია 1987: *დ. ხოშტარია. IX-X საუკუნეების ხუთრომოძღვრული ძეგლები ბოჰჯომის ხეობაში*, საკანდიდატო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი.

ჯიქია 1958: *გურჯისტანის ვიდაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი III, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი.

ჯღამაია 1980: ჯ. ჯღამაია. სამშენებლო კერამიკის ეპიგრაფიკა შუა საუკუნეების საქართველოში, *სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში*, თბილისი.

სურ. 1 ჩითახევის ეკლესია (მწვანე მონასტერი)

სურ. 2 ჩითახევის ეკლესიის ანტეფიქსის ქვა

THE ISSUE OF CLARIFYING THE LOCALIZATION OF KVIRIKETSMINDA MENTIONED IN *THE LIFE OF ST. GRIGOL OF KHANDZTA* ACCORDING TO THE INSCRIPTION ON THE ANTEFIX OF CHITAKHEVI CHURCH (MTSVANE/GREEN MONASTERY)

Tamaz Gogoladze
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts,
Caucasus University
tazogogoladze@yahoo.com

Several opinions have been circulating among Georgian scholars about location of the Kviriketsmida Monastery mentioned in *The Life of St. Grigol of Khandzta*. One part of scholars (P. Ingorokva, S. Jikia) linked Kviriketsmida founded by Qristepore with the village of Kopadze, within the sector of the village of Sakuneti. The second part of scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V. Abuladze) considered that the monastery was located near the village of Dviri. Art historian R. Mepisashvili based her consideration on the result of architectural analysis, and identified Kviriketsmida with Chitakhevi Monastery, whereas D. Khoshtaria identified it with Potoleti Church, taking into consideration results of historic geographical and architectural analysis. Consideration of Pavle Ingorokva about identification of Kviriketsmida with Sakuneti sector was trialed by Rusudan Mepisashvili and was refuted. Our studies of the graffiti from Potoleti have shown that Potoleti church, which dates to the 9th century – first half of the 10th century, was consecrated to St. George. Therefore, D. Khoshtaria's consideration proposed lately, suggesting identification of Kviriketsmida with Potoleti Church, has lost a ground. Taking the above into consideration, two opinions concerning the location remained valid: according to some scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V. Abuladze), the monastery of Kviriketsmida founded by Qristepore was to be identified with the complex located opposite Kvabiskhevi, and according to Rusudan Mepisashvili, Kviriketsmida built by Qristepore was to be identified with Chitakhevi Church. In 2012, during land clearing in the monastery, an antefix was found with Capital Letters (Asomtavruli) inscription, which mentions St. George. The Georgian historiography is aware of two antefixes with images of St. George (from the village of Quntsa, Aspindza region, and the village of Zemo Meskheti, Tskaltubo region). The antefix from Potoleti is the sole example among the available ones with the mention of St. George. The fact of mentioning St. George on Chitakhevi antefix is a valid argument to claim that the church was consecrated to St. George. Based on the above-mentioned inscription we can convincingly argue that initially the church was dedicated to St. George. As it was already mentioned, based on architectural peculiarities it is considered that the church dates to the 9th-10th centuries. Therefore we can claim that in the 9th-10th centuries. the Potoleti church was dedicated to St. George. After all, only the consideration of the second part of scholars (S. Makalatia, N. Berdzenishvili, G. Zedginidze, D. Berdzenishvili and V. Abuladze), according to which Kviriketsmida must be identified with the complex opposite Qvabiskhevi, remains valid. I take into consideration graffiti from Potoleti Church, focus my attention on the inscription on the anteffx from Chitakhevi Church, take into consideration Giorgi Zedginidze's opinion about localization of Kviriketsmida, which he bases on narrative sources, and claim that the problem associated with localization of Kviriketsmida is finally solved. Based on the epigraphical evidences mentioned above, Kviriketsmida built by Qristepore, the monastery mentioned in *The Life of st. Grigol of Khandzta*, should be identifed with the monastery complex of Kviriketsmida located opposite Qvabiskhebi. A date the Kviriketsmida to the 840s, like the Nedzvi church.

ერასტიანიზმი საქართველოში და მისი ბედი ქრისტიანული აღმოსავლეთის კონტექსტში[1]

დავით თინიკაშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი
dtinikashvili@cu.edu.ge

ტერმინი „ერასტიანიზმი“ წარმოქმნილია შვეიცარიელი თეოლოგის, თომას ერასტუსის (1524-1583) სახელიდან. ერასტიანიზმის დოქტრინის მიხედვით, ეკლესიაზე სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ძალაუფლება უნდა გავრცელდეს, მათ შორის, წმინდად საეკლესიო საკითხებთან მიმართებითაც. მაგალითად, ექსკომუნიკაციის (ეკლესიიდან განკვეთა) გადაწყვეტილების განხორციელებისთვის საერო მმართველის დასტურია აუცილებელი (ლექსიკონი 1997: 558). ტერმინ „ერასტიანიზმის“ ნაცვლად ხშირად იყენებენ ტერმინს „ცეზაროპაპიზმი“.

ერასტიანიზმი და, ზოგადად, ცეზაროპაპისტული პრაქტიკები ღრმად იყო ფესვგადგმული წარმართულ რომაულ პოლიტიკურ და რელიგიურ ტრადიციებში. რომის იმპერატორები, განსაკუთრებით ავგუსტუსის დროიდან, განიხილებოდნენ როგორც *მაქსიმუს პონტიფექსი*, რაც რომაული სახელმწიფო რელიგიის მთავარი ქურუმის ტიტული იყო. მათ დიდი გავლენა ჰქონდათ რელიგიურ სფეროზეც, რამაც შემდგომში განსაზღვრა ბიზანტიაში ერასტიანიზმისებრი სისტემის განვითარება (რანსიმენი 1970: 133).

ბიზანტიური გამოცდილება

ქრისტიანულ სამყაროში საერო ხელისუფლების საეკლესიოზე დომინირება უმეტესად და უმთავრესად ბიზანტიის იმპერიაში დაიკვირვება და წინამდებარე სტატიაშიც აღნიშნული იმპერიის მაგალითი იქნება მოხმობილი. მოგვიანებით, ბიზანტიური პრაქტიკის მიბაძვით რუსეთის იმპერიაშიც მსგავსი მოდელი განვითარდა.

საერო და რელიგიური ძალაუფლების ამგვარი შერწყმა ქმნიდა ბიზანტიის პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებას (ოსტროგოვსკი 1969: 122). მმართველობის ბიზანტიურმა მოდელმა, რომელშიც იმპერატორი მოქმედებდა როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასევე ეკლესიის დე ფაქტო ხელმძღვანელი, ღრმა გავლენა იქონია აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის განვითარებაზე, იმპერიის მართვაზე და ქრისტიანული ევროპის ზოგად ისტორიაზე (მეინდორფი 1982: 87).

შეიძლება ითქვას, რომ IV საუკუნეში რომის იმპერიის გაქრისტიანებისას, კონსტანტინე დიდის მიერ საეკლესიო საქმეებში აქტიური ჩართულობით გაგრძელდა ძველი ტრადიცია იმპერიული და საეკლესიო ხელისუფლების ერთმანეთთან შერწყმულობისა. როგორც კირილე თუმანოვი წერდა: „კონსტანტინეს მოქცევას არ შეუცვლია რომის იმპერიისთვის წარმართული ხასიათი და ახლად დაფუძნებულ Pax Christiana-ში ამგვარი წარმართული აღორძინება წარმოადგენდა კიდეც ცეზარო-პაპიზმის ფენომენს“ (თუმანოვი 1946: 216).

ბიზანტიურ პოლიტიკურ თეოლოგიაში იმპერატორი აღიქმებოდა როგორც ღმერთის წარმომადგენელი მიწაზე, რომელიც პასუხისმგებელია არა მხოლოდ იმპერიის დროებით კეთილდღეობაზე, არამედ მის სულიერ სიჯანსაღეზეც (კაჟდანი, კონსტებლი 1982: 23). იმპერატორის როლი რელიგიურ საკითხებში არ იყო მხოლოდ სიმბოლური; იგი გულისხმობდა უფლებასაც უშუალო ჩარევისა საეკლესიო საქმეებში, რაც, როგორც წესი, მოიცავდა პატრიარქების დანიშვნას, საეკლესიო კრებების მოწვევასა და მართლმადიდებლობის „სიწმინდის“ დაცვას (ოსტროგოვსკი 1969: 21). იმპერატორი კონსტანციუსი ამბობდა: „რაც მე მსურს, ისაა ეკლესიის კანონი“ (თუმანოვი 1946: 217). ასევე ცნობილია თუ როგორ მოიხსენიებოდა იმპერატორი კონსტანტინე დიდი, როგორც ეკლესიის „გარე ეპისკოპოსი“.

ეკლესიაზე საიმპერიო კონტროლის გადამწყვეტი ასპექტი იყო პატრიარქების დანიშვნა და გადაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსებისა და პატრიარქების არჩევაში ფორმალურად მონაწილეობდნენ სასულიერო პირები, პრაქტიკულად, ხშირად სწორედ იმპერატორი იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. ეს განსაკუთრებით აშკარა იყო პოლიტიკური კრიზისის ან თეოლოგიური დაპირისპირების დროს, როდესაც იმპერატორს შეეძლო გადაეყენებინა პატრიარქი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმპერიულ პოლიტიკას ან ვერ ინარჩუნებდა ერთიანობას ეკლესიაში (ჰერინი 2007: 75).

მაგალითად, იმპერატორმა იუსტინიანე I-მა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკლესიის დოქტრინისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. თუმცა, ამგვარი საერო კონტროლი არ იყო აბსოლუტური. იყო შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირები, განსაკუთრებით სამონასტრო წრეები, წინააღმდეგობას უწევდნენ იმპერატორის ჩარევას დოქტრინალურ საკითხებში (მეინდორფი 1982: 112). მაგრამ ასევე იყო შემთხვევები, როცა იმპერატორის მიერ დაწერილი თეოლოგიური ტრაქტატი იმდენად არაკვალიფიციური იყო, რაც, ბუნებრივია, რომ გარკვეული ერესების გავრცელების საფუძველიც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგალითად, იუსტინიანემ საკუთარი ხელით დაწერილი „პირადი დოქტრინა“ (ევდოკიმოვი 2011: 338) წარუდგინა პატრიარქ მენასის 543 წელს, რომელიც ორიგენიზმის წინააღმდეგ ანათემების მოსამზადებლად იქნა გამოყენებული. ორიგენიზმის დაგმობაში კი სათანადო დოგმატური ხარვეზები გაიპარა (თინიკაშვილი 2018: 128, 150, 166, 170). ასევე იუსტინიანემ საკუთარ თავზე აიღო ე. წ. სამ თავთან დაკავშირებით ერეტიკული ნაწერების დაგმობის ინიციატივა (თუმანოვი 1946: 217). ამრიგად, „იუსტინიანე, ეკლესიის კრებითი ორგანოს მობილიზების გარეშე, ცეზარო-პაპისტური თვითდაჯერებულობით საკუთარ თავზე იღებს დოგმატური მსჯელობებისა და საბოლოო განაჩენის გამოტანის ინიციატივას“ (კარტაშევი 2004: 418-9).

ეკლესიასთან მიმართებით ბიზანტიის იმპერატორის სტატუსს თავისი თეოლოგიური დასაბუთებაც ჰქონდა. ის ღვთის მიერ არჩეულ მმართველად აღიქმებოდა, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა როგორც საერო, ისე რელიგიურ სფეროებზე. ეს აისახა იმპერიის ეკლესიის ლიტურგიკულ და ცერემონიულ პრაქტიკაშიც, როდესაც იმპერატორი მონაწილეობდა რელიგიურ რიტუალებში. ფრესკებზე კეისარი გამოისახებოდა წმინდანებთან და ანგელოზებთან ერთად (კაჟდანი, კონსტეტლი 1982: 45). იმპერიული და საეკლესიო ხელისუფლების შერწყმას მნიშვნელოვნად ასაზრდოებდა სიმფონიის კონცეფცია, რაც თეორიაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ჰარმონიულ ურთიერთობას გულისხმობდა. სიმფონია არ ნიშნავდა ეკლესიის სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებას, არამედ თანამშრომლობით ურთიერთობას, რომელშიც ორივე სუბიექტი ერთად იღვწოდა ადამიანთა სულების გადარჩენისა და იმპერიის სტაბილურობისთვის. ევსები კესარიელი კონსტანტინეს აღწერდა, როგორც ღვთაებრივად ხელდასხმულ მმართველს და ინტელექტუალურ გამართლებას იძლეოდა საერო ხელისუფლების ამგვარი მოწყობისა (კამერონი, ჰოლი 1999: 123).

ბუნებრივია, ერასტიანულ სისტემას თავისი კრიტიკოსებიც ჰყავდა. რომის პაპები ეჭვის თვალით უყურებდნენ ბიზანტიურ მოდელს. ბერძნულ და ლათინურ ეკლესიებს შორის არსებული მზარდი დაძაბულობა, რომელიც დასრულდა 1054 წლის დიდი სქიზმით, ნაწილობრივ განპირობებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს განსხვავებული ურთიერთობის გაგებითაც. ასევე უშუალოდ ეკლესიის მართვის ერთმანეთისგან განსხვავებული სტილიც არ იყო უმნიშვნელო. პაპს ერთპიროვნული, უნივერსალური და იურისდიქციული მმართველობის პრეტენზია ჰქონდა, რასაც აღმოსავლეთი არ აღიარებდა, რომელიც უმაღლეს ინსტანციად მხოლოდ მსოფლიო კრებას თვლიდა (ბუჯემრა 1987: 59-76).

დაძაბულობამ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხზე, ხელი შეუწყო მზარდ გაუცხოებას, რამაც გამოიწვია საბოლოო და შეუქცევადი ურთიერთდაშორება ისე, რომ მომავალში გაერთიანების მცდელობანი (1272 წლის ლიონისა და 1438-1439 წლების ფერარა ფლორენციის კრებები) წარუმატებლად სრულდებოდა.

ერასტიანულმა მემკვიდრეობამ ბიზანტიაში დიდი გავლენა იქონია აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის განვითარებაზე და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთი-

ერთობაზე აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში. ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის ბიზანტიურმა მოდელმა გავლენა იქონია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის განვითარებაზე და „მესამე რომის" კონცეფციაზე. რუსეთის მეფეს სურდა ბიზანტიის იმპერატორის როლის მორგება (მეინდროფი 1982: 127).

პოლიტიკური მმართველობის აღნიშნული სისტემა აყალიბებდა ბიზანტიის რელიგიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას. იმპერატორის მფარველობის ქვეშ მყოფი საერო და რელიგიური ავტორიტეტების დაკავშირებამ შექმნა მართვის უნიკალური მოდელი, რომელმაც გავლენა მოახდინა აღმოსავლური ქრისტიანობის განვითარებაზე და დატოვა ხანგრძლივი მემკვიდრეობა ეკლესია-სახელმწიფო ურთიერთობების ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბიზანტიური პრაქტიკა საბოლოოდ გაქრა იმპერიის დაცემასთან ერთად, მისი გავლენა კვლავ იგრძნობა აღმოსავლეთ ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

ქართული გამოცდილება

ბუნებრივია, რომ ერასტიანიზმს თავისი გამოვლინებები ქართულ რეალობაშიც ჰქონდა, რომელიც თავისებური ხასიათით გამოირჩეოდა. ბიზანტიისგან განსხვავებით, ქართველი საერო მმართველების ეკლესიაზე დომინაციის შინაარსი უფრო ზომიერი, ლმობიერი და საეკლესიო ბუნებისთვის, მისი დოქტრინალური მემკვიდრეობისთვის არადამაზიანებელი იყო. მაგ., არცერთ ქართველ საერო ხელისუფალს არ დაუწერია თეოლოგიური ტრაქტატი ერეტიკოსების წინააღმდეგ, არ უწოდებია საკუთარი თავისთვის ეკლესიის „გარე ეპისკოპოსი" და არ განუცხადებია: „რაც მე მსურს, ისაა ეკლესიის კანონი".

ქართველი მონარქები ეკლესიასთან ურთიერთობაში შეძლებისდაგვარად ინარჩუნებდნენ ფრთხილ პოზიციას და თითქმის არასდროს ერეოდნენ ეკლესიის შიდა საქმეებში ისეთივე რიგორიზმითა და რელიგიური არაკომპეტენტურობით, როგორც ზოგიერთი ბიზანტიელი იმპერატორი, როდესაც უმეტესად სეკულარული და პროფანული ცნობიერებით უნდა გადაწყვეტილიყო უმნიშვნელოვანესი რელიგიური, მათ შორის, დოგმატური, საკითხები.

საქართველოს ისტორიაში ისეთი პერიოდებიც იყო, როდესაც საეკლესიო ლიდერები ზეგავლენას ახდენდნენ საერო ხელისუფალზე. ამ თვალსაზრისით, მისათითებელია გიორგი მთაწმინდლისა (აბულაძე 1967: 162) და გრიგოლ ხანცთელის (ჯავახიშვილი 2012ბ: 115) მხრიდან მათი თანამედროვე მეფეების კრიტიკა. მაგრამ ყოფილა პირიქითაც, მაგ., ვახტანგ გორგასლისა (ჯავახიშვილი 2012ა: 309) და დავით აღმაშენებლის (ჯავახიშვილი 2012ბ: 207, 330-333) დროს, როდესაც მონარქები განსაზღვრავდნენ საეკლესიო პოლიტიკასაც.

იმ დროსაც კი, როცა საქართველოში მეფე (მაგ., დავით აღმაშენებელი) წარმართავდა საეკლესიო ცხოვრებას, სწორედ აღნიშნული საერო ხელისუფალი გამოდიოდა ქრისტიანული კანონების დაცვის გარანტი და არა ეკლესიის პირველი იერარქი. „ამიტომ გახდა საჭირო მეფის პერსონის უზომო განდიდება, მეფის გამოცხადება თვითმპყრობელად, სამეფო ძალაუფლების შინაარსის გამდიდრება ახალი ელემენტებით" (სურგულაძე 2013: 537). ამრიგად, დავითმა შექმნა პრეცედენტი საერო მმართველის ეკლესიის საქმეებში მაღალი ინტენსივობით ჩარევისა, მაგრამ ეს ინტერვენცია ისევ საეკლესიო ცხოვრების გაჯანსაღებისთვის იყო მიმართული და, შედეგად, მიღწეული იქნა კიდეც შესაბამისი მიზანი. საქართველოში არასდროს ჰქონია ადგილი ერეტიკოსების იმგვარ უმოწყალო დევნასა და დოქტრინალურ (დოგმატურ) საკითხებში მავნებლურ ჩარევას საერო მმართველის მხრიდან, როგორც ეს ბიზანტიის იმპერიაში აღესრულებოდა. შესაძლოა, ქართველი მონარქი ბიზანტიური მაგალითით იყო შთაგონებული, თუმცა ქართული ერასტიანიზმის (ცეზაროპაპიზმის) ფორმა და შინაარსი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმორწმუნე ბერძენთა შორის არსებული პრაქტიკისგან.

შენიშვნა

[1] წინამდებარე სტატია მოხსენებად იქნა წაკითხული კავკასიოლოგთა მეორე საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიურ კონგრესზე, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023 წლის 17 ოქტომბერი.

დამოწმებანი

აბულაძე 1967: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წიგნი მეორე, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

ბუჯემრა 1987: J. Boojamra. The Byzantine Notion of the 'Ecumenical Council' in the Fourteenth Century, *Byzantinische Zeitschrift (BZ) 80*.

ევდოკიმოვი 2011: P. Evdokimov. *Orthodoxy*. Translated by Jeremy Hummerstone. New York: New City Press.

თინიკაშვილი 2018: დ. თინიკაშვილი. აპოკატასტასისი: აღმოსავლელი მამები ყველა დაცემულის ღმერთთან დაბრუნების შესახებ, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, ტომი XI, რედ.: გიორგი სანიკიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი.

თუმანოვი 1946: C. Toumanoff. Caesaropapism in Byzantium and Russia, *Theological Studies 7*.

კამერონი, ჰოლი 1999: Eusebius of Caesarea. *The Life of Constantine*. Introduction, translation, and commentary by Averil Cameron and Stuart G. Hall, Oxford: Clarendon Press.

კარტაშევი 2004: А. Карташев. *Вселенские Соборы*. М., Клин.

კაჟდანი, კონსტებლი 1982: A. Kazhdan, G. Constable. *People and Power in Byzantium: An Introduction to Modern Byzantine Studies*. Washington, D.C.: Dumbarton Oaks.

ლექსიკონი 1997: *The Oxford Dictionary of the Christian Church*, Edited by F. L. Gross. Oxford: OUP.

მეინდორფი 1982: J. Meyendorff. *Byzantium and the Rise of Russia: A Study of Byzantino-Russian Relations in the Fourteenth Century*. Cambridge: Cambridge University Press.

ოსტროგოვსკი 1969: G. Ostrogorsky. *History of the Byzantine State*. New Brunswick, NJ: Rutgers University Press.

რანსიმენი 1970: S. Runciman. *The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of the Turkish Conquest to the Greek War of Independence*. Cambridge: Cambridge University Press.

სურგულაძე 2013: მ. სურგულაძე. საქართველოს ეკლესია გიორგი მთაწმინდელიდან დავით აღმაშენებლამდე, *ქრისტიანულ-ახქეოლოგიური ძიებანი 6*.

ჯავახიშვილი 2012ა: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ეროვნული ისტორია*, ტომი I, გამომცემლობა „პალიტრა ელ", თბილისი.

ჯავახიშვილი 2012ბ: ი. ჯავახიშვილი. *ქართველი ეროვნული ისტორია*. ტომი II, გამომცემლობა „პალიტრა ელ", თბილისი.

ჰერინი 2007: J. Herrin. *Byzantium: The Surprising Life of a Medieval Empire*, Princeton: Princeton University Press.

ERASTIANISM IN GEORGIA AND ITS DESTINY IN RELATION TO THE CHRISTIAN EAST

David Tinikashvili
Caucasus University
dtinikashvili@cu.edu.ge

The interaction between the spiritual and the material, the holy and the profane, has been crucial to human culture since ancient times. A pre-Christian tradition known as erastianism called for the religious realm to be subservient to secular powers. Such a concept was predicated on the notion that the secular ruler was more important and influential. He was therefore required to perform the religious duties as well. Even though the founder of Christianity himself made it extremely evident that spiritual and secular power must be separated ("Render therefore to Caesar the things that are Caesar's; and to God the things that are God's"), the Erastianism model was quite prevalent in Christian nations like Byzantium and Russia.

Georgian reality also featured traces of erastianism, but it was marked by a particular quality. The Georgian secular authorities' dominance over the church was more moderate, merciful, and did not harm the Church's nature or its doctrinal heritage than did Byzantium or Russia. No secular ruler in Georgia, for instance, composed a theological treatise opposing heresy, did not identify himself as an "external bishop" of the church and didn't announce: "What I wish shall be the law of the Church". Georgian kings made a concerted effort to maintain Christian sensibility in their interactions with the church, and they hardly ever meddled in church affairs with the same rigour as some well-known Byzantine and Russian emperors, who required that the most significant religious matters be resolved based on secular awareness.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი XIX საუკუნის 80–90_იან წლებში (ძირითადი ტენდენციები)[1]

გოჩა კუჭუხიძე
შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
gochakuch@yahoo.com

კავკასიის საცენზურო კომიტეტის XIX საუკუნის 70-იანი და, ნაწილობრივ, 80-იანი წლების დასაწყისის საერთო ტენდენციათა შესახებ საუბრისას (კუჭუხიძე 2022-2023); (კუჭუხიძე 2023) ყურადღება იმ გარემოებაზე მქონდა გამახვილებული, რომ ხსენებული პერიოდის საქართველოში სოციალურ თემატიკაზე წერას კრძალავენ, მაგრამ ეროვნული კულტურის აღორძინებაზე ზრუნვას ძალიან არ უშლის ხელს რუსეთის იმპერია; ვორონცოვის დროს აქ გატარებული „დათბობის პოლიტიკა“ იმპერიის პოლიტიკის ნაწილია და ქართველი მოღვაწეები სარგებლობენ იმ ხანებში შექმნილი ვითარებით, რითაც ქართული კულტურის აღორძინებას ეწყობა ხელი (რუსეთის პოლიტიკა დაახლოებით მსგავსია სომხეთსა და აზერბაიჯანში; იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ყველა ხალხის მიმართ მკვეთრად განსხვავებულ ეროვნულ პოლიტიკას ატარებს იგი); კავკასიის საცენზურო კომიტეტის საბუთების გაცნობა ცხადჰყოფს, რომ აქ მოღვაწეობენ ადამიანები (დიმიტრი ფურცელაძე – კომიტეტის თავმჯდომარე, დიმიტრი ბაქრაძე, ივანე ყაითმაზაშვილი და სხვანი), რომლებიც თავიანთ მხრივ ხელს უწყობენ ეროვნული სულისკვეთების ლიტერატურის ბეჭდვას; თუმც, მიუხედავად ვორონცოვისდროინდელი და შემდგომი წლების პოლიტიკის შერბილებისა, ხელისუფლების წარმომადგენელთა სიფრთხილე მაინც ძლიერია, რადგან იმპერია, ცხადია, იმის საშიშროებასაც კარგად ხედავს, რომ ეროვნული კულტურისათვის ზრუნვის დროს, შესაძლოა, ნაციონალიზმის აღორძინებამ და აჯანყების იდეებმა (1832 წლის მსგავსმა მოვლენებმა) იჩინოს აქ თავი; საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დიმიტრი ფურცელაძე (საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ 1875 წლის 6 სექტემბერს დაინიშნა) ცდილობს, მთელ კავკასიაში შეეწყოს ხელი ეროვნულ კულტურათა აღორძინებას, ოღონდ, – ისე, რომ კავკასიის ქვეყანათა ისტორია ობიექტურად იქნას შესწავლილი, – იმგვარად არ დაიწეროს ისტორია, თითქოს საქართველოს მცირე როლი ჰქონდეს შესრულებული კავკასიის პოლიტიკასა თუ კულტურაში. ისტორიის ობიექტურად შესწავლისათვის აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ჩანს კომიტეტში მომუშავე არაერთი ადამიანი გარედან და რის შესახებ მეტყველებს ის იმხანად ხშირ შემთხვევაში გასაიდუმლოებული მასალები, რომლებიდანაც შიგნიდან ვხედავთ ამ ადამიანთა მოღვაწეობის მრავალ ნიუანსს. ერთი რამ აუცილებლად არის გასათვალისწინებელი, – ფაქტობრივად ყველაფერი, მცირე გამონაკლისის გარდა, რაც XIX საუკუნის 70-იან და, ცხადია, შემდგომ წლებში ქვეყნდება, იქნება ეს ილიას, აკაკის, ვაჟას, გოგებაშვილის, ყაზბეგისა თუ სხვათა ნაღვაწი, კავკასიის საცენზურო კომიტეტის ხელში გადის, მისი ნებართვით იბეჭდება საისტორიო და ეთნოლოგიური გამოკვლევები, ადრეულ პერიოდში ქართულ ენაზე ძნელია სპექტაკლების დადგმა, მაგრამ შემდგომ იდგმება პიესები და, როცა ქართული და, საერთოდ, კავკასიის ქვეყანათა კულტურის აღორძინების ისტორიას ვიკვლევთ, კომიტეტში მომუშავე იმ პატრიოტულად განწყობილი ადამიანების როლი, რაც ხშირად სახელმწიფოსათვის საეჭვო ნაწარმოებთა საზოგადოებამდე „გაპარებასა“ და მათთვის „მწვანე შუქის ანთებაში“ გამოიხატება, არ უნდა დავივიწყოთ; მათი ღვაწლიც იმ ადამიანების გვერდით არის განსახილველი, ვინც უშუალოდ ქმნიდნენ ქართულ კულტურას... ხსენებულ მოღვაწეთა შესახებ ზემოხსენებულ წერილებშია ვრცელი მსჯელობა და ამჯერად აღარ ვისაუბრებ მათზე.

80-იანი წლებიდან პოლიტიკური ვითარება ცვლილებას იწყებს, – ქართულ მწერლობაში ასახული ეროვნული და სოციალური იდეები სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს,

რევოლუციური იდეები იჭრება და ძლიერდება მასში და ხსენებულ პერიოდსა და 90-იანებში ამ მიმართებით უფრო და უფრო მკაცრდება საცენზურო კომიტეტი და დიმიტრი ფურცელაძისა თუ დიმიტრი ბაქრაძის მსგავს ადამიანებს ნაკლებადღა აქვთ იქ მუშაობისა და ეროვნულ საქმეთათვის ზრუნვის საშუალება. წმიდად ეროვნულ და რევოლუციურ სულისკვეთებათა ერთმანეთისაგან გარჩევა საკმაოდ რთული საქმეა და კომიტეტი უკვე ეროვნულის მიმართაც იჩენს უნდობლობას (როცა ქართველი მწერლები უკმაყოფილებას გამოხატავენ ამა თუ იმ ცენზორის მიმართ, აუცილებელია გავერკვეთ, – სოციალური საკითხების მომძლავრების საშიშროებას ხომ არ ხედავს ცენზორი რომელიმე მწერლის ნაღვაწში) და იმ ისეთ პატრიოტს, რომელსაც კომიტეტში ხსენებულ წლებში ისევ უხერხდება მუშაობა, საკუთარი თავის საფრთხეში ჩაგდება უნევს, რათა „ვერ შენიშნოს“ და დაბეჭდვის უფლება გასცეს იმგვარ ლექსსა თუ მოთხრობაზე, სტატიაზე, რომელშიც, შესაძლოა, საეჭვო რამ შენიშნოს ცენზურამ; საყოველთაოდ არის ცნობილი რაფიელ ერისთავის სიტყვები, რომლებსაც ალექსანდრე ჯაბადარი იგონებს: „მე არ ვიცი, ცენზორად როდემდე ვიქნები, თუ საეჭვო რამე გვაქვთ დასაბეჭდი ცენზურის მხრივ, საჩქაროდ წარმოადგინეთ ცენზურაში, სანამ აქ ვარო“ (ბიოგრაფიები 2004: 41-42). რაფიელ ერისთავს „ლმობიერი ცენზორი“ შეარქვეს ლიტერატორებმა.

1883 წლის 30 ივნისს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ მანამდე მთავარი სამმართველოს კანცელარიის გამგედ ნამუშევარი კონსტანტინ იაკიმოვი ინიშნება (480-1-581). მთავარი სამმართველო უშუალოდ მეფისნაცვალს ემორჩილება და, ცხადია, ადრეულ წლებში სასულიერო სემინარიის პროფესორად ნამუშევარი (თუმც, ასევე – მაღალ სახელმწიფო თანამდებობეზე ნამსახურევი) დიმიტრი ფურცელაძის ადგილას იაკომივის დანიშვნა პოლიტიკის შეცვლასთანაც იქნებოდა დაკავშირებული. ასეთი ცვლილებისთვის მზადება უფრო ადრეც შეინიშნება, ვთქვათ, – მაშინ, როცა (1881 წ.) ისეთი პიროვნება მოჰყავთ ცენზორად, როგორიც თავისი სიმკაცრით ცნობილი ლუკა ისარლოვია (ისარლიშვილი). 1883 წლის ერთი დოკუმენტიდან (480-1-583) ვგებულობთ, რომ ცენზორები: ისარლოვი და მონასტირცევი საიმპერატორო ჯილდოებზე წარუდგენიათ; როცა გავიხსენებთ, როგორი თავგამოდებით ცდილობდა ლუკა ისარლოვი, სახელმწიფოსათვის თავისი ერთგულება დაენახვებინა, ამ ფაქტიდანაც გასაგები ხდება, ყველასათვის სააშკარაოს რომ ხდიან, როგორ ახალისებენ ისარლოვის მსგავს პირებს. დიდი თანამდებობა არ ეკავა ისარლოვს (უმცროსი ცენზორი იყო და ერთხანს კომიტეტის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა), მაგრამ, როცა გავიხსენებთ, როგორ უშლიდა იგი ხელს ილიასა და აკაკის, როგორ შეუკვეცა ილია ჭავჭავაძეს *აჩრდილი*, არ დაბეჭდა მისი *მუშა*, *გაზაფხული*, *ელეგია*, ცხადად ჩანს, რომ სოციალური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მოტივების მოძიება იყო მისი ძირითადი მოვალეობა, ეს აშინებდა, და რომ ამიერიდან ასეთ თანამშრომლებს ენთებათ „მწვანე შუქი“ კომიტეტში.

1886 წლის საარქივო მასალების გაცნობიდან ვხედავთ, რომ გაზეთ *თეატრის* 1886 წლის მე-5 და მე-6 ნომრებში დაბეჭდილა ისეთი ფრაზები, რომლებიც ცენზურის მიერ აკრძალული იყო; ისარლოვის ხელნაწერში ვკითხულობთ: "В газете "Театр" в статье "сказания Беруа", ბერუას ნაამბობი, "напечатаны места, запрещнныя цензурою; именно" „ვაი-ვაგლახის ცხოვრებისა "бедственной жизни"... „და შემოჰკრა ქრისტესიას მუშტი“; „კაცი ტირილისაგან ვერ შეიმაგრებდა თავსა“ (480-1-724).

ამ სიტყვების უმეტესობა მართლაც არის ხსენებული ჟურნალის მე-5 ნომერში დაბეჭდილი (თეატრი 1886: 44-47); მასში გადმოცემულია 90 წელს გადაცილებული კაცის ნაამბობი იმის შესახებ, თუ როგორ უბრძანა ბატონ-ყმობის გადავარდნამდე ბატონმა ღარიბ გლეხ ქრისტესიას, საკუთარი მოსავლის დაბინავებაზე არ ეზრუნა და ბატონისათვის მიეხმარებინა თავისი ხარები, როგორ სცემა იგი ამ ბატონმა, რის შემდეგაც გარდაიცვალა ქრისტესია; ლუკა ისარლოვი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ხსენებული წინადადებები, აკრძალვის მიუხედავად, მაინც დაიბეჭდა გაზეთში (არადა, ასაკრძალავი არაფერია *ბერუას ნაამბობში*, – მასში უფრო ის არის ნაჩვენები, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნამდე იყო ძნელი ცხოვრება და შემდეგ კი გაიოლდა იგი); ისარლოვი არ იწონებს იმ ფაქტს, რომ ხსენებულ ნომერში დაბეჭდილია აკაკი წერეთლის ლექსი *მუშური* („ყანაო, მუშის სა-

მოთხევ, გლეხის დიდებავ, ყანაო!“), უარყოფითად არის განწყობილი ხალხური ლექსის მიმართ, რომელიც არის „ქართლში შეკრებილი სოსიკოსაგან“ და რომელშიც ნათქვამია: „წუხელის ვნახე სიზმარი, /შენი ვაჟი-კაცობისა: /ალის ახალუხი გეცვა, /შიგნით მოვი პერანგისა“... „სანადიროთ წასულიყავ, /მტრები გეხოცა ქართლისა“ (480-1-724); ეს ლექსი *თეატრის* მე-5 ნომერშია დაბეჭდილი (თეატრი 1886ა: 50).

თეატრში გამოქვეყნებულია (თეატრი 1886ბ: 59) ერთი სახუმარო, თუ პირიქით, – ტრაგი-კომიკული ლექსი: – „ეთერიანთ ქალი ვიყავ, /ჯეთერიანთ პატარძალი; /ჯორის საძებნელად წაველ, /ხელში დავიჭირე ტარი. /ვენახების ბოლოს ჩაველ, /იქ დამიხვდა რუსის ჯარი. /ერთმა რუსმა დამიჭირა, /თურმე იყო აფიცარი“; ძნელი სათქმელია, რის თქმა უნდა ამ ლექსის ავტორს, რა დაემართა მასში წარმოდგენილ ქალს, მაგრამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ მისი გამოქვეყნების გამო არ გამოხატავს ისარლოვი უკმაყოფილებას, რასაც აქ წარმოდგენილი სხვა ლექსების მიმართ, როგორც ვნახეთ, ვერ ვიტყვით...

საერთოდ, საკმაოდ ბევრი ხალხური ლექსია კომიტეტის არქივებში; გასარკვევია ამ ლექსთა ბედი, უცნობია მიაღწიეს თუ არა მათ მკითხველამდე, ან, თუ მიაღწიეს, რა ვარიანტები არსებობს მათი (მათგან არაერთია ისეთი, მხატვრული თვალსაზრისითაც რომ იმსახურებს ყურადღებას), მაგრამ იმის თქმა უკვე შესაძლებელია, ცალკეული პიროვნებების მიერ რომ მკაცრად კონტროლდება ისინი; „ჩასაფრებული“ ცენზორი ბევრს ისეთს იპოვიდა იმდროინდელ მოღვაწეთა შემოქმედებაში, დამპყრობელის მიმართ უკმაყოფილება რომ არის გაპარებული და აკრძალავდა მათ... მაგალითად, დიდი გარჯა არ დასჭირდებოდათ იმის მისახვედრად, რომ მინიშნებებითაა დაწერილი ლექსი *პოეტი*, რომელიც დიმ. გრემელის ფსევდონიმითაა ხელმოწერილი (ეს გახლავთ დიმიტრი ჯანაშვილის ფსევდონიმი):

მახსოვს, ერთხელ თვალი მოვკარ
ყარიბ მგოსანს ჩრდილოეთში,
დიდს ქალაქში ქუჩა-ქუჩა
დადიოდა თარით ხელში...
[...]
მე, სამხრეთელს, მომეწონა
სამხრეთელის მგოსნის მღერა...
ნაცნობ გრძნობამ გული იპყრო
და საამოთ ამიძგერა...
[...]
მაგრამ უცხო ხალხის გული
სიმღერამ ვერ მიიზიდა, –
და სულ ყველა ჩრდილოელი
საწყალს მგოსანს გვერდს უვლიდა...

ესე ხვედრი ელის პოეტს,
თუ მაღლიდამ უცქერს ხალხსა, –
და მის კვნესას, ოხვრას, ჭმუნვას
არ ადევნებს ყურს და თვალსა...

თუ ის მელნად არა ხმარობს
ხალხის ცრემლსა და ნაღველსა
და თავის ჰანგს ამსახურებს
პირადს გრძნობებს და სურვილსა...
[...] (480-1-718).

პოეტის დანიშნულებაზე სამოციანელთა, ილიასა და აკაკის შეხედულების ერთგულია ამ ლექსის ავტორი (აკაკის პირდაპირი გავლენაც ჩანს მასში: *„გული ა მკჰა და ამიძგეჰა“*;

– აკაკის *გაზაფხული*); „პოეტი ხალხს რომ უნდა ემსახუროს, ამაზე ვწერო“ – ბოლო სტროფებით ალბათ ამ საშუალებით უნდოდა ლექსის გაპარება დიმიტრი ჯანაშვილს, მაგრამ „ჩრდილოეთის“ ხსენება საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ სხვა სათქმელი დაენახა აქ ცენზორს („ჩრდილოელი“ მაღლიდან უცქერს „სამხრეთელს“) და აეკრძალა ეს ლექსი.

საცენზურო კომიტეტში დაცულ დოკუმენტებს შორის უამრავი ისეთი პიესაა, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია; როგორც 70-იან წლებსა და 80-იანების დასაწყისში, შემდგომაც ძალიან ბევრი დრამატული ნაწარმოები იწერება (უმეტესობა მხოლოდ დადგმის უფლების მოსაპოვებლად იქნება კომიტეტში გაგზავნილი) და მათი შესწავლა ძალზე დიდ დროსა და მუშაობას საჭიროებს; აქ ვხვდებით: დ. მესხის (480-1-1452), კ. მესხის (480-1-1453), კ. ბაქრაძის (480-1-1463) და სხვათა ძალზე ბევრ პიესას, პიესების თარგმანებსა და მათ გადმოქართულებულ ვერსიებს... პიესების მხოლოდ ჩამოთვლაც კი დიდ ადგილს მოითხოვს... გარდა იმისა, რომ ბევრ მათგანს მხატვრული ღირებულება მაღალი აქვს, ისტორიოგრაფიისათვისაც არის საინტერესო და ენათმეცნიერების, ფოლკლორისა და მეცნიერების სხვა სფეროების ასპექტებიდანაც იმსახურებს ყურადღებას; იმდროინდელი იდიომები გვხვდება ამ პიესებში და ესეც საყურადღებოა...

დავუბრუნდეთ ისარლოვის ხელში მოხვედრილ მასალებს, იგი წერს (480-1-724): "В №6-ой газеты [...] напечатаны слова Запрещенные цензурою, именно в стихотворении Зима, в 5-ом куплете „Вокруг все дремлет, нахождение (სიტყვა ძნელად იკითხება – გ. კ.) всего окружающего порабощено адскою силою"... "запрещено слово адскою"...

ამ ნომერში, აკრძალვის მიუხედავად, მართლაც დაბეჭდილა ლექსი *ზამთარი*, რომლის ავტორია რ. ალისუბნელი (რაჟდენ ჩიკვაიძე):

> მიდამო სთვლემავს, არა რა იძვრის,
> ირგვლივ ყველაფერს ჩასძინებია.
> მდებარეობა მთლად არე-მარის
> ჯოჯოხეთურ ძალს დამონებია (თეატრი 1886ბ: 57).

ჩანს, პოლიტიკური მინიშნება დაუნახავს აქ ცენზორს. შემდეგ ისარლოვს მოჰყავს სხვა მაგალითიც და ამბობს, რომ ცენზორის შენიშვნები გათვალისწინებული არ იქნა. ლუკა ისარლოვი, ეტყობა, ერთი მხრივ, თავს იზღვევს, აგებინებს ხელმძღვანელებს, რომ თავად შეასრულა მოვალეობა (შესაძლოა, გამოქვეყნებული მასალის შესახებ ანგარიშის წარდგენაც ევალება), მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ კომიტეტის რომელიმე ცენზორს უპირისპირდება, იქნებ – მას, ვისაც ასევე ევალებოდა აკრძალულ სიტყვებზე პასუხისგება და არ შეასრულა მოვალეობა; ამგვარი საქციელით იქნებ თანამშრომელთა სისუსტისა და თავისი სიმტკიცის წარმოჩენასაც ცდილობს.

როგორც ვხედავთ, ისარლოვი არ იწონებს ნაწარმოებებს, რომლებშიც ქვეყანაში შექმნილ სოციალურ გაჭირვებაზე წერენ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ და რევოლუციურ სულისკვეთებასაც უახლოვდება. ვერ ვიტყვით, კერძოდ, ვინ აკრძალა, მაგრამ 1888 წელს აკრძალულ მასალებს შორის არის მოქცეული დიმიტრი მაჩხანელის ლექსი („მთასა დიდს, მაღალს, ტყიანსა /მგელკაცს გაქონდა ღრიალი, /წაველ და დედა ვუტირე, /ჰარალო, თარელ თურალი“) (480-1-865); ივანე ქავ-ძის (ივანე ქავჟარაძის) ირონიული ლექსი („დიდის ტანჯვით გავისტუმრეთ, /გუშინ ძველი დეკემბერი – /და ახალს წელს კრძალვით ველი, /სათხოვარი მაქვს მე ბევრი: /მას ვსთხოვ – ტანჯვა მოგვიმატოს, /თან წაიღოს სიხარული, /შური-მტრობა ჩვენ გვაჩუქოს, /მოგვაშოროს სიყვარული.[...] ლიტერატორთ რიცხვსა უკლოს /და უმატოს უქმ-მჭამლებთა, /მამა შვილსა გადემტეროს, /ამუსვრინოს ძმები ძმებსა. /მაგრამ უფრო ამასა ვსთხოვ – სულ წაგვართვას თვით უფლება, /მონებაა ჩვენი სატრფო, /უიმისოდ გული კვდება“) (480-1-801; 1887 წ.); აქვე დაცული, 1880 წლის 10 ივნისს დაწერილი, ექვს სტროფიანი ლექსი, რომლის ავტორი დასადგენია („ქართლის ბედი დაიბურდა, /ყური უგდევით კვნესასა, /ოსტატნი ეუბნებიან / – ჩემი გერჩიოს შენსასა“...).

ლუკა ისარლოვი 1881 წლის პირველ დეკემბერს მივიდა კომიტეტში სამუშაოდ და 1888 წელს გათავისუფლდა. არქივის ერთ-ერთ საქაღალდეში შემონახულია საბუთი (480-1-914),

რომლიდანაც ირკვევა, რომ უმცროს ცენზორ ისარლოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თვითონ უთხოვია პენსიაზე გასვლის ნებართვა და მისთვის წელიწადში 1000 რუბლი დაუნიშნავთ პენსია. ერთ-ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ, როგორც ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს „სტატსკი სოვეტნიკი“, იგი მანამდეც იღებდა პენსიას – წელიწადში 423 რუბლსა და 85 კოპეიკს; კომიტეტში ისარლოვის თხოვნის საფუძველზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ, 1876 წლის 355-ე და 497-ე მუხლების თანახმად, თუ ცხრამეტი წელი არ უმსახურია პიროვნებას კომიტეტში, ამ ოდენობის პენსიის დანიშვა დაუშვებელია, მაგრამ ისარლოვის პატიოსნებას და ასაკს პატივს ვცემთ და გთხოვთ, დაუნიშნოთ ასეთი რაოდენობის პენსიაო; კომიტეტის თავმჯდომარე საპასუხოდ იწერება, რომ 1889 წლის 23 იანვრიდან ისარლოვს დაენიშნა პენსია – 1000 რუბლი. საქმეებში ინახება დოკუმენტი 1888 წლისა (480-1-915), რომლიდანაც ირკვევა, რომ პენსიაზე გასული ისარლოვი „რაფაელ ერისტოვს“ შეუცვლია (რაფიელ ერისთავი). საყურადღებოა, ამავე საქაღალდეში დაცული ერთ-ერთ დოკუმენტი, რომელსაც აწერია „Конфиденциально“ და რომლიდანაც ირკვევა, რომ რაფიელ ერისთავისათვის ცენზორად დანიშვნის შუამდგომლობა თავად „ბაგრატიონ-მუხრანკის“ გაუწევია...

საცენზურო კომიტეტის ფონდში (480-1-1419; 1897 წ.) დაცულია კრებულ *Кавказская жизнь*-ში გამოქვეყნების ნებართვისათვის კომიტეტში გაგზავნილი ანაბეჭდი, – რუსულენოვანი სტატია, რომლის სათუარია *Григорий Арцруни и т-г Кутюль – Грузинофоб;* სათაურის ქვემოთ აღნიშნულია, რომ ეს არის „Краткое извлечение, в точном переводе из грузинской газеты „Иверия“ за 1877“; იქვეა ინიციალები: „Ш. Д.“.

სტატიას წამძღვარებული აქვს გრიგოლ ორბელიანის ლექსის („სხვა საქართველო სად არის“...) რუსული თარგმანი: „Где Грузия другая? В какой иной стране гостеприимнее народ, отважнее, преданый земле родной. Черные дни не изменили ею стального сердца. Все также он энергичен и песней борется со зладейкой – судьбой“.


По журналу Цензурнаго Комитета 28 Окт. 97
опредѣлено: въ виду того, что статья лишь может служить на стремительную повестку
напечатаніе воспретить
Предсѣдатель Комитета
Секретарь

კავკასიის საცენზურო კომიტეტის უარი Senex-ის წერილის დაბეჭდვის შესახებ

ლექსის ავტორად თარგმანის ბოლოში შეცდომით მიწერილია „Кн. А. Чавчаваде“; ხსენებული რუსულენოვანი სტატიის ავტორის ვინაობა ასეთ ფსევდონიმშია მიმალული, – *Senex* („მოხუცი კაცი; ლათ.).

ილია ჭავჭავაძის *ქვათა ღაღადის* მონათესავე ეს რუსულენოვანი სტატია ასევე აუკრძალავთ, – კომიტეტის საცენზურო ტიტულზე მიწერილია: „[...] в виду того, что статья лишь может служить на стремительную повестку[,] напечатание воспретить“.

ხელს კომიტეტის თავმჯდომარე და ამ კომიტეტის მდივანი აწერენ; მდივანი – სოლომონ მელიქ-მეგრაბოვი კავკასის საქმეთა სპეციალისტი იყო და საფიქრებელია, რომ ეს სტატიაც უშუალოდ მან განიხილა.

ცხადია, თვალში საცემია, რომ *ივერიაში* დაბეჭდილ ქართულ ტექსტს ლექსი არ აქვს წამძღვარებული. Senex-ის (ორიგინალში – ვაკელის) ფსევდონიმით დაწერილი და ილია ჭავჭავაძის *ქვათა ღაღადი* კუტულის ერთი წერილის შინაარსს გადმოგვცემს და, ბუნებრივია, რომ სიახლოვე მათ შორის დიდია (ვაკელი: „კუტულის მოჰწონს მშვენიერნი სომეხთ მოსწავლე ქალების თვალები, თუმცა მათის სახის სილამაზეზე კი ბოდიშს იხდის, უკაცრავოთაო; *ქვათა ღაღადი*: „კუტული

ქებით იხსენიებს მშვენიერ თვალებს სომხის მოსწავლე ქალებისას, თუმცა სახის ერთობ სილამაზეზე – კი ბოდიშს იხდის, უკაცრაოდაო; ვაკელი: „ხანდისხან კი ჰსჩივის უფ. კუტული, რომ ეს არის იმ გვარ შექცევისაგან დავბრუნდიო, და კალამისათვის ვერ მომიკიდია ხელიო, ასრე არეული მაქვს ჰაზრებიო; *ქვათა ღაღადი*: „კუტული სჩივის, ერთ ამისთანა ლხინიდამ ისე შეზარხოშებული დავბრუნდი შინაო, რომ კალმისათვსი ვერ მომიკიდნია ხელი, ისე ამიერია თავში აზრებიო"...); უფრო საყურადღებო ის არის, რომ კუტულის წერილთან დამოკიდებულებაში, ავტორისეულ კომენტარებში, გვხვდება თანხვედრა, – ვაკელის სახელით ხელმოწერილ წერილში თუ იმას წუხს ავტორი, რომ ქართველი გენერლები არ უხსენებია კუტულისთვის არწრუნს, *ქვათა ღაღადშიც*, მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონი და ანდრონიკაშვილი არიან ნახსენები, ეროვნული თავმდაბლობის გამო მაინც არ არიან ჩამოთვლილნი სხვა ღირსეული გენერლები; ილია ჭავჭავაძე ჩოლოქსა და ქართველთა სხვა გმირულ ბრძოლათა ადგილებს ახსენებს და ჩოლოქი (ჩოლოყი) ვაკელის სახელით გამოქვეყნებულ წერილშიცაა დასახელებული. ჩვენ ცენზურის კომიტეტში გაგზავნილი და მანამდე *მნათობში* გამოქვეყნებული წერილის ავტორის ვინაობაზე ახალი აზრის გამოთქმას საკითხის საგანგებოდ შესწავლამდე არ ვაპირებთ, უეჭველად ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ *მნათობისა* და კომიტეტში შემონახული წერილები ილია ჭავჭავაძის ხელშია გავლილი და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ, როგორც რედაქტორს, თავისი ხელი დაეტყო ილიას მათთვის... აქვე დავძენ: საყურადღებოა, რომ ცენზურის მიერ Senex-ის რუსულენოვანი წერილის აკრძალვის შემდეგ ილია ჭავჭავაძის *ქვათა ღაღადის* რუსული თარგმანი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (ჭავჭავაძე 1902)... ხსენებული ფაქტები ერთმანეთთან ჩანს დაკავშირებული და ყველა ეს საკითხი საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

ილია ჭავჭავაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული საქაღალდე 480-1-1475-ში ("О запрещенных по постановлению Кавказского цензурного комитета к напечатанию статьях для газеты Иверия") მოთავსებული მასალები 1898 წლისა. მასალების ნაწილი მთლიანად არ არის შემორჩენილი, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე ფურცელი გვხვდება ამა თუ იმ წერილისა.

ი. კახელის (ილია ზარაფიშვილის?) ფსევდონიმით დაწერილ და *ივეჰიისათვის* ცენზურის მიერ აკრძალულ მასალაში ვკითხულობთ:

> ვერ იქნა, ვერ გამოცხვა ხალხის ბედის კვერი და ვერ ამოჩუხჩუხდა ღარიბების ბედის წყარო! მაგრამ საიდან და როგორ ეღირსება ჩვენი გლეხ-კაცობა ამ ბედნიერებას, როცა ცხოვრების ხაბაზნი და ბედის წყაროს მეურვენი ვითომ-და თავისის თანამდებობის ერთგულებით რაც შეუძლიათ, თონეს ცეცხლს და წყაროს, ქვა ღერღს აყრიან, ისედაც მშიერსა და მაშვრალს ხალხს ერთი ორად უძნელებენ სიცოცხლეს...

ი. კახელი შემდეგ სასამართლოს საქმეების ზუსტი მონაცემების ცოდნით გვაწვდის ცნობებს იმის შესახებ, რომ „წარსულს წელს უკანასკნელ თვეში თიანეთის სასამართლოში გაირჩა ორმოცდა ხუთზე მეტი საქმე გლეხობის მიერ სატყეო დებულების დარღვევის შესახებ", რომ გლეხები ხის უკანონო ჭრის ბრალდებით დააჯარიმეს, დაწვრილებით გვიამბობს ამბავს იმის შესაებ, თუ როგორ უკანონოდ გადაახდევინეს ერთ გლეხს ჯარიმა ხის მოჭრის გამო, რომლის მოსაჭრელადაც უკვე გადახდილი ჰქონდა ფული...

ხსენებულ საქაღალდეში (480-1-1475) შემონახულია ასეთი ცნობა:

> ერთ სტამბოლელ სომეხს, ხელობით მეჩექმეს, ს. ბ-იანყას, ჰყავს სახლში მოსამსახურედ 10 წლის სოფლელი ქალი, რომელსაც ჯერ კიდევ არ ესმის თავისის სარწმუნოების ძალა. ამით უსარგებლნია ამ ბატონს და ეს ქალი ყოველ დღე სომხის ეკლესიაში დაჰყავს და სომხის ეკლესიაშივე უზიარებია კიდეც. აგრეთვე ასწავლიან სომხურს ლოცვებს და სცდილობენ ქართული დაავიწყონ...

შემდეგ წერია, რომ, თუ სიმართლეა ეს ამბავი, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს იგი.

1898 წლის საქაღალდის ფურცლებს შორის არის წერილი, რომელშიც ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ თელავის მოსწავლეები იუბილეს უხდიან „აბელას“ და ერეკლე მეფე კი, ვინც აქ სხვა ეროვნების ხალხი დაასახლა, დავიწყებიათ; მე არ მდომებია იუბილეს გადახდა, მაგრამ მეფე ერეკლეს პანაშვიდის გადახდაც არ გახსენებიათო; აი, ამონარიდები წერილის შემორჩენილი ნაწილიდან (სათაური – *მახთაღი თუ გნებავთ, ეს ახის*; ანაბეჭდში გაპარული კორექტურული შეცდომები ჩვენი გასწორებულია):

> უმრავლესობა დღესაც პატივით და თაყვანისცემით იგონებს ერეკლეს სახელს [...]. მე არ ვიცი, ვინ გამოაცხადა სომხურს გაზეთებში, რომ 8 თებერვალს თელავის საზოგადოებას სურს, აბელას იუბილე გადაუხადოსო, არც ის ვიცი, რას ნიშნავს სიტყვა „საზოგადოება“, ის კი ძალიან კარგად ვიცი, რომ ხან ამ სიტყვით აღნიშნავენ ხოლმე ორ ან სამ პირს [...] და [...] რომ მეცა, რომელსაც სიზმრადაც არ მზმანებია იუბილე, საზოგადოებაში ურევივარ და ჩემისთანები ათასია.

კომიტეტში გაგზავნილ საქაღალდეებში გვხვდება ისეთი ფრაზები, ილიას სტილს რომ გვაგონებს და ეს ფაქტები, გარდა იმისა, რომ, შესაძლოა, რედაქტორის მიერ ავტორისთვის თავისი აზრების (ან წერილში ამა თუ იმ წინადადების ჩართვის) შეთავაზებამ გამოიწვია, თუკი ზოგიერთი წერილი თავად ილიას არ ეკუთვნის, შეიძლება იმით აიხსნას, რომ თავად ავტორები წერენ ილიას მიბაძვით და ერთ-ერთი მათგანი საკუთარ თავს გულისხმობს პირველ პირში წერისას; ამა თუ იმ წერილის ავტორობასთან დაკავშირებული საკითხის ნათელსაყოფად არაერთი მოღვაწის სხვადასხვა გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული წერილების მოძიება და მათი პირადი ბიოგრაფიების გათვალისწინება იქნება აუცილებელი.

ცნობის ფურცელში დასაბეჭდად გამზადებულ და 1898 წელს აკრძალულ მასალათა შორის არის ნაშრომები (480-1-1474), რომლებიც არასწორად დაუბეჭდავთ (არის შემთხვევა, როცა ერთ ფურცელზე სხვადასხვა წერილია გადაბმულად აწყობილი); საქაღალდის გარეკანზე ჩვენთვის უცნობ პიროვნებას შემდეგ (ჩანს, – მოგვიანო ხანაში, – საბჭოთა პერიოდში) მიუწერია: „ი. ქავჭავაძის იუბილეს გადადების გამო“; ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ:

> აბა მიბრძანეთ ერთი, რა თავისთვის, ან საზოგადოებისთვის გამოსადეგად ატარებს ბევნი ჩვენთაგანი დროს, რომ ის ღირსი იყოს მილოცვისა. დიახ, დალოცვილს ჩვენს საქართველოს ისე ცოტა მოღვაწე ჰყავს, როგორც თავისთვის, აგრეთვე საზოგადოებისთვის, იმდენი მოღალატე ჰყავს თავის წინაპართა ანდერძებისა, რომ მათი ხანგრძლივი ამნაირი სიცოცხლე იქნება სანამლავი მომავალი შთამომავლობისა [...]. გავიხედოთ ერთი უკან და ანგარიში მივსცეთ ჩვენს თავს, – რა მოგვიტანა წარსულმა 1897 წელმა, აი რა: შურიანობა, ორგულობა, ორპირობა, კაცთა კვლა, ქურდობა და ავაზაკობა, ფლანგვა, სიზარმაცე, სიღატაკე, სიცრუე და ამასთან ამპარტავნება [...]. ეხლანდელ დროში, არამცთუ მემამულეებმა, არამედ სასოფლო სკოლის მოწაფეებმაც კი შეიტყვეს, რომ სადღაც რუსეთში არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომელიც ღებულობს მამულებს და ბოლომდე ფულს აძლევს. გამოეღვიძა ყველას, ვისაც მამა-პაპის ოფლითა და მწუხარებით შეძენილი მამულები უშრომელად ხელში ჩაუვარდა, ვალში ვარდება, რომ ამ დალოცვილ ბანკს მიწა-წყალი და სახლკარი მალე ჩააბაროს. ღებულობს ათი და ასი ათასობით ფულებს და შემდეგ, რადგანაც სოფლის ჰაერს ვერ იტანს, სოფლის პური და მჭადი კუჭს უფუჭებს, ყურძნის წმინდა წვენი თავს ვერ ერევა და რადგანაც რა[იმე] ავადმყოფობას ამჩნევს თავს, ჰქირაობს სასტუმროს რამდენიმე ნომერს...

ამავე საქაღალდეში გვხვდება ანაბეჭდი, რომელშიც წერია:

> „მოკეთეს პირში უძრახეო“ ნათქვამია, და მისთვის, იმედია, მომიტევებთ, თუ რამ ამ ბაასში საწყენი წამომცდა. რა საჭიროა პოლიტიკა, პირ-მოფერება. მერწმუნეთ, ვინც ჩვენს ნაკლულოვანებას არ შეგვნიშნავს, ის ჩვენი მტერია და ის ღირსი არ არის სიყვარულისა

> და პატივისცემისა, განა რომელი მამაა ან ძმა, რომელიც თავის სისხლსა და ხორცს არ შენიშნავს მის ნაკლულოვანებას, რომელს მამას არ ეტკინება გული, რომლის შვილიც იღუპება, უმჯობესია ჩემმა გამასწოროს, ჩემმა მაძაგოს, ვიდრე უცნობმა და გარეშემ დამცინოს...

სხვა საქაღალდეში (480-1-724) დაცულია კომიტეტში 1886 წელს გაგზავნილი წერილი, რომლიდანაც („მთიულის" ფსევდონიმით დაწერილში) პირდაპირ ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი *ივერია* არის გაკრიტიკებული (ეს წერილიც იმ საქაღალდეშია მოთავსებული, რომელსაც გარეკანზე არქივარიუსის მიერ მიწერილი აქვს: "О докладе цензора Исарлова о напечатании топографией Меликова в №5 и 6 газеты "Театр" мест, не дозволенных цензурой в корректурных листах"; თუ ხსენებული წერილიც ისარლიშვილის მიერ არის აკრძალული, ამ შემთხვევაში ოდნავ სხვა კუთხით ჩნდება იგი); სტატიის ავტორი ირონიით წერს იმის შესახებ, რომ „ზოგიერთ პატრიოტთა მხურვალე ფანტაზია იქამდე მიდის, რომ ამტკიცებენ, ვითომც იბერნი, ადამზეც უწინარეს შეექმნას ღმერთსა", რომ ზოგის მტკიცებით, „იბერნი მაშინვე გაჩნდნენ ქვეყანაზედ, როდესაც ბაბილონის შენებისათვის ღმერთმა ენები აურია და ხალხი აქეთ-იქით დაიფანტაო"... შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი მართლაც ძველი ერია („რა დროს არიან იბერნი გაჩენილნი ქვეყანაზედ, ამ კითხვის გამოკვლევა ჩვენ ძმათა ჯანაშვილებისათვის მიგვინდვია; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იბერნი ერთი უძველესი ხალხთაგანი არიან და ამ ცოდნას სრულებით ვსჯერდებით"); შემდეგ იწყება ილიასა და *ივერიის* ძაგება: „არც ახალ წელიწადს ღამეს დაბადებული ყმაწვილი, რომელსაც ილიამ ჰრქვა „ივერია", გახლავთ ახალი, ამას ეხლა, როგორც ჩვენი პოეტი ამბობს: „და აღზდგა შენი ივერი /ფენიქსებრ განახლებული"?, ისე მოუვიდა, თორემ მიმრქმელმა ილიამ დიდი ხანია, რაც დაბადა ამ სახელით ქართული გამოცემა..." შემდეგ წერია, რომ გაზეთს მკითხველი არ ჰყავდა, რომ ნიკო ნიკოლაძემ მკაცრად გააკრიტიკა მისი არქაული ენა, რომ მკითხველის ნაკლებობა ილია ჭავჭავაძემ იმითი ახსნა, რომ „ქართველს კაცს კვირაობით ბაღებში ქეიფი უყვარს და საკითხავად არა სცალიაო"; ავტორი წერს, რომ ამის გამო „საკვირაო გაზეთი ყოველ-თვიურ ჟურნალად გადააქციეს", „ხმები ისმოდა, რომ ჭავჭავაძე მთლად მოსპობას უპირებს ჟურნალსაც, მაგრამ ზედ მოუსწრო *ჯოების* მოსპობამ და ყოველ დღიური გაზეთის კითხვას შეჩვეული ქართული საზოგადოება უსაზრდოვოთ დარჩა, ამ შემთხვევაში ისარგებლა ჟურნალის რედაქტორმა და სასიკვდილოდ გამზადებული გამოცემა განახლდა".

როგორც ვხედავთ, ავტორი არა მხოლოდ საქართველოს ისტორიას, ილიას, არამედ მოსე ჯანაშვილსა და სხვა ისტორიკოსებსაც ირონიით უყურებს (საქართველო ახალშობილ იესოსთან, ილია ჭავჭავაძე კი ილია მიმრქმელად არის წოდებული; გრიგოლ ორბელიანის სიტყვები: „შენი ივერი /აღსდგეს ძლიერი" არასწორად არის ციტირებული და არასწორ კონტექსტშია წარმოჩენილი); ილია ჭავჭავაძეს, მის *ივერიას* საქართველოს ისტორიის „დაძველება", ფანსტასტიკა რომ არ სჩვეოდა, ამას მტკიცებაც არ სჭირდება და, სანამ სხვა წერილში ავტორის ვინაობას დავაზუსტებდეთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ის ადამიანია, რომლისთვისაც იმხანად უფრო სოციალური თეორიებია მთავარი, რაც ასევე მიუღებელი იყო სახელმწიფოსთვის.

ერთ-ერთ საქაღალდეში (480-1-1475; 1898 წ.) ყურადღებას იქცევს „ფელეტონი", რომელიც *ივერიაში* უნდა დაბეჭდილიყო და რომელსაც ჰქვია: *მოკლე ამბავი ყაჩაღის ცხოვრებიდგან* (ავტორი არ არის მითითებული); აქვეა მ. ფარცხნანელის ფსევდონიმით (სოფ. *ფარცხნაღი* უნდა იგულისხმეობდეს) დაწერილი წერილის ფრაგმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხონის სემინარიაში არისტო ქუთათელაძის მოღვაწეობის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა „ქართულს გრამატიკას, საქართველო ისტორიას ვრცლად":

> არჩევდნენ ჩვენი საუკეთესო მწერლების თხუზულებებს. მაგალითად, ბარათაშვილის თხუზულებას, ორბელიანისას, „კაცია ადამიანს", აკაკის ლექსებს მოსწავლენი გატაცებით კითხულობდნენ და სწავლობდნენ ზეპირად, ერთის სიტყვით, ამ დროს სემინარიაში ქართულის ენის კათედრა არსებობდა;

აღნიშნულია, რომ ქუთათელაძის წასვლის შემდეგ:

> ქართული ენის სწავლა მარტო დედა-ენამდე დაიყვანეს, გაჰქრა ხსენება ქართული სიტ-ყვიერებისა, საქართველოს ისტორიისა და გრამატიკისაც. არამცთუ ქართველ მწერლების ნაწარმოებების კითხვა, არამედ ქართული გაზეთის კითხვაც-კი შეუძლებელი შეიქმნა, ქართულს ენას ალუკ ჩალუკად დაუწყეს ყურება...

შემდეგ გამოთქმულია იმედი, რომ ეროვნულ საქმეს ხონში არისტო ქუთათელაძის მოსწავლე ტ. თაბუკაშვილი (ჩანს, *ტ*ი*ფონ თაბუკაშვილი* იგულისხმება) გამოასწორებს.

480-1-1411-ე (1897 წ.) საქაღალდეში *კვაღსა* და *ჯეჯიღში* დასაბეჭდად გამზადებული და აკრძალული სტატიებია თავმოყრილი; „ვინმე აზნაური“ წერს, რომ 1896 წლის 19 ნოემ-ბერს „ზუგდიდიდან გზა[დ] მომავალმა ბ-ნმა ოლქის ინსპექტორმა ზავადსკიმ დაათვალი-ერა სოფელი ხელი“; მისთვის თარჯიმნის საშუალებით მიუმართავთ: – „ჩვენს შვილებს საღმრთო წერილისა და და სარწმუნოებისა მეტათ ბუნდი წარმოდგენა აქვთო; ამიტომ გთხოვთ, ჩვენ სამშობლო ენას, ქართულს, ნება-დართოთ სკოლებში და საღმრთო წერი-ლი, როგორც რუსულათ, ისე ქართულათ ასწავლოთ“, ზავადსკიმ თურმე „თავაზიანად უთ-ხრა მთხოვნელებს“: „სამურზაყანოელები ხომ თქვენი მოძმეები არიანო, და იმათ სამრევ-ლო სკოლებშიც ქართულს ენას არ ასწავლიანო, ეს რომ სარწმუნოებას აკლებდეს, უწმინ-დესი სინოდი არც კი ინებებდა ამასო და თქვენთვის, მეგრელებისთვი[ს], მაინც ქართული ენა ისეთია, როგორც ლათინური“.

„ამაზე რა პასუხს მისცემდნენ!“ – ასე ასრულებს წერილს „ვინმე აზნაური“; გასაგებია, რომ კუთხური დაყოფის პოლიტიკას ემსახურება ეს ზავადსკი და იმდენად შორს მიდის, რომ „სამურზაყანოელებს“ მეგრელების „მოძმეებად“ იხსენიებს.

მარი ფალავანდიშვილის წერილი (480-1-1411), ჩანს, *ჯეჯიღში* დაბეჭდვის უფლებისათ-ვის გაუგზავნიათ კომიტეტში; ავტორი წერს, რომ აღარც მშობლები და აღარც სკოლები აღარ ზრუნავენ, ქართულად რომ მიიღონ ბავშვებმა განათლება, რომ უცხო ენების სწავ-ლებაზე აქვთ ძირითადი ყურადღება გადატანილი, სკოლებშიც „განდევნილია სამშობლო ენის საშვალებლით ბავშის გონების განვითარება და რა მიახწევს ყმაწვილი მესამე-მე-ოთხე კლასამდის, გონება სუსტდება და ვეღარ განაგრძობს სწავლას“.

1898 წლის ერთ-ერთი მასალიდან (480-1-147) ვგებულობთ, რომ „ოდესმე მდიდარი მცხეთის საპატრიარქო ტაძარი დიდად სამწუხარო მდგომარეობაშია და თუმცა მოხდა განსაახლებლად ფულის შეკრება მთელს რუსეთში, აგერ მეორე წელიწადია [...], მისი შე-კეთება-განახლება ჯერ კიდევ არ დაიწყო“, რომ „ხობის მონასტრის ტაძარიც, რომელშიც დაცულია ქრისტიანე ერის ერთი უდიდესი სიწმინდეთაგანი, ინგრევა“; წერია, რომ ახტა-ლის მონასტერში 1825 წლამდე ახტალის მიტროპოლიტები ცხოვრობდნენ, რომ ეს მონას-ტერი 1826 წელს ყოფილმა ეგზარხოსმა გააუქმა, რომ საფარისა და ზარზმის მონასტრე-ბი დათმობილი აქვთ „ათონის რუს ბერებს, რომელთაც ღვთის მსახურება სლავიანურს ენაზედ შემოიღეს“, რომ „ქართველნი ბერნი გარბიან ათონს, ივერიის უდაბნოში, სადაც მათ იძულებულს არ ჰყოფენ ღვთის მსახურების გარდახდას სლავიანურსა და ბერძნულ ენებზედ“; საყურადღებოა ცნობა, რომ „იქ ამ ჟამად ქართველი ბერი 60-მდე იქნება“; სტა-ტიის თანახმად, იმ საბაბით, რომ ხალხი ეკლესიაში არ დადის (სტატიის ავტორი ლიტურ-გიაში სლავური ენის შემოღებით ხსნის ამ ფაქტს) „სამღვდელოების უზრუნველ-საყოფად“ რვაასამდე ტაძარი და თხუთმეტამდე მონასტერი გააუქმეს, რომ ეგზარხოს ვლადიმერის სურვილი ყოფილა, გურიისა და სამეგრელოს ეპარქიების ან შეეერთება, ან იმერეთის ეპ-არქიაში გაერთიანება და ის, რომ „ეპისკოპოსად რუსი [...] ყოფილიყო დანიშნული“, რომ, რაც გაბრიელ ქიქოძე გარდაიცვალა, იმერეთის ეპარქია „აგერ უკვე ორს წელიწადზედ მე-ტია, დაქვრივებულია და ბევრი მეცადინეობა დასჭირდება ახალს ექსარქოსს, რომ დაამ-შვიდოს ათასის სახით მოფენილ ხმათაგან აღშფოთებული ქართველი სამწყსო“; ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ ახალ ეგზარხოსად ფლაბიანეს დანიშვნის შემდეგ იმერეთის კა-თედრა ქართველ ეპისკოპოსს გადაეცემა, რომ „საარქიელო კათედრა, რომელიც ფრიად ჰაერმავნე და ციებ-ცხელებიანს – ქ. ფოთში იმყოფება, ჭყონდიდ-მარტვილში“ იქნება გა-

დატანილი და აღდგება გურიის ეპარქია; აღნიშნულია, რომ „აგერ უკვე ხუთი წელიწადია, რაც სუხუმის ეპარქიის სამეგრელოს ეკლესიებში ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა აღკრძალულია"; ბოლოს კი ავტორი წერს, რომ „რუსულმა საეკლესიო წესებმა ვერ მოიკიდა ფესვი ქართველთ ეკკლესიებში", რომ ამ წესებმა „მხოლოდ განაძლიერა სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესია, რომელიც იმდენად ჰყვავის, რომ ცოტ-ცოტა ხელთ იგდებს უკვე დაცალიერებულ და ბედის ანაბარად მიტოვებულ ქართველთა ძველის-ძველ მონასტრებსა და ეკკლესიებს."

ამავე საქაღალდეში მოთავსებულია მასალა, რომელშიც ავტორი ოდნავი ირონიით, მაგრამ უფრო გულისტკივილით, წერს:

> სოფ. აგეთი: ბედისაგან მოძულებულ აქაურ გლეხობას კიდევ ერთი ახალი ახირებული ბეგარა დაედვა ეგრეთ წოდებული „ცოცხის ბეგარა". ეს ბეგარა აქაური სოფლის სკოლის მასწავლებლის გამოგონილი გახლავთ. სკოლაში ორასამდე მოსწავლე ბავშია; ამათგან 160-მა უკვე მიუტანა მასწავლებელს თითო შეკვრა ცოცხი, დანარჩენი ორმოცი შეგირდი თვალცრემლიანი გაყარეს სკოლიდან. ყველას გვეცა ეს ახალი მოვლენა, ნუ თუ ახალი კანონია გამოცხადებული ამ უცნაური „ცოცხის" ბეგარის შესახებ? საწყალი შაგირდების მშობლები გამწარებულნი არიან და არ იციან, რა მოუგვარონ ამ საქმეს...

კომიტეტში გადაცემულია ერ. გენძეხაძის (ჩანს, – გაზეთ *კვაღის* აქტიური თანამშრომლის) წერილი (480-1-1411), რომელშიც აღნიშნულია, რომ განჯასთან ახლოს მდებარე სოფელ ბაღმალარში ადგილობრივი „ბეგები" ეგზეკუციას აწყობენ და საშინელ მდგომარეობაში ამყოფებენ ხალხს... როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ საქართველო, განჯაც შემოსულა ქართველ მოღვაწეთა ყურადღების არეში და ვხედავთ იმასაც, რომ სოციალური საკითხები სულ უფრო იწევს წინ. ჟურნალი *ჯეჯილი* და გაზეთი *კვაღი* მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, ერთი ეროვნულ პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, მეორე უფრო – სოციალურზე, საცენზურო კომიტეტი კი ეროვნულსაც უკვე უნდობლად უყურებს. ქართველთა შორის კი ეს ორი მიმართულება ხშირ შემთხვევაში ცილდება და უკვე უპირისპირდება კიდეც ერთმანეთს; ხოლო სახელმწიფო ორივესთან არის დაპირისპირებული.



აკაკი წერეთლის ხელნაწერი, – „აკაკის კრებულის" გამოცემის ნებართვის მისაღებად საცენზურო კომიტეტში გაგზავნილი თხოვნა

განათლების საკითხებთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კომიტეტში 1886 წელს გაზეთ *თეატრიდან* გაგზავნილი სტატია (480-1-718), რომელიც *ჩივანთუბნელის* ფსევდონიმით არის დაწერილი (ანაბეჭდ ტექსტზე ხელით, როგორც ჩანს, რედაქციის მიერ მიწერილია ი. ჯაჯანაშვილი, რითაც ირკვევა, თუ ვის ეკუთვნია ეს ფსევდონიმი); ავტორი წუხს, რომ ახალგაზრდებს ნამდვილი ცოდნის მიღება აღარ უნდათ და მათი მთავარი მიზანი საზღვარგარეთ იმ საბაბით წასვლაა, ვითომც დაბრუნდებიან და ასე უფრო გამოადგებიან სამშობლოს; არ სჯერა ამისი ავტორს და წერს: „დარწმუნებული ვარ, რომ რომლებსაც აქ გული აქვთ აცრუებული, ვერც არაფერს იქიდგან გადმოიტანს, რადგან იგი იმოდონათ არ არის კანონიერად განვითარებული, რომ იგი შეიგნოს". ხსენებულ გაზეთში საცენზუროდ გადაცემულია *ბაჩანას*, შიო მღვიმელის (ამ შემთხვევაში ზაყელის ფსევდონიმი დაუწერია მას ლექსი, რომელიც, ჩანს, ამ სიტყვების გამო აუკრ-

ძალავთ: „მაინც შევძახებ ქვეყანას, – დაიცა გათენდებაო“...), მრავალი ავტორის ლექსები.

საცენზურო კომიტეტის არქივში აკაკი წერეთლის არაერთი იმდროინდელი ნაშრომია დაცული, რომელსაც წინამდებარე სტატიაში ვეხები (480-1-1458; 480-1-1461; 480-1-1462...). აკაკისა და საცენზურო კომიტეტის ურთიერთობასთან დაკავშირებით არაერთი რამ არის საინტერესო; – მაგ., როგორც ირკვევა, ჟურნალის, გაზეთის ან წიგნის გამოსაცემად ფასის დასადებადაც კომიტეტის ნებართვა იყო საჭირო: აკაკის მიერ კომიტეტში გაგზავნილ თხოვნაში (480-1-1409), რომელიც 1897 წლის 25 თებერვლით არის დათარიღებული, აკაკი საცენზურო კომიტეტს მთავარ სამმართველოსთან შუამდგომლობას სთხოვს („прошу Цензурный Комитет ходатайствовать пред Главным Управлением по делам печати“), რათა მაქსიმე შარაძის სტამბაში თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ „აკაკის კრებული“ გამოსცეს და წერს, რომ მასში დაბეჭდავს თავის როგორც ძველ, ასევე ახალ ნაწარმოებებს და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და ფასს 6 რუბლს ადებს (1897 წლის 4 იანვრით დათარიღებულ წერილში იტყობინება, რომ ფასის განსაზღვრისას მხედველობიდან გამორჩა, სხვა ქალაქებში ხელმომწერებთან კრებულის გაგზავნა დამატებით ხარჯებს რომ საჭიროებს და ითხოვს, ნება მისცენ, შვიდ რუბლად გაყიდოს „კრებული“); პოეტი თავის მისამართსაც დაზუსტებულად უთითებს:

> г. Тифлис.
> жительство [...]
> Вера, Габаевский пер. д. №4.

ერთ-ერთ წერილში (480-1-1409) აკაკი ითხოვს ნებართვას, რომ სხვა ავტორთა *მხოლოდ ბელეტრისტული სახის* ნაწარმოებებიც გამოაქვეყნოს:

> [...] Имею честь Всепокоренейше просить Главное Управление по делам печати дозволить мне в издаваемом мною ежемесячном сборнике „Кребули“ иногда помещать и чужия произведения чисто белетристическия, как старых так и новых писателей, а также и критико-библиографическия заметки.
> Князь Акакий Ростомович Церетели
> (არქაული რუსული ასოები აქ და სხვა ტექსტებშიც ჩვენი ამოღებულია).

საინტერესოა, რომ პირველ წერილში ის ადგილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შარაძის სტამბაში გამოიცემა კრებული, ლურჯი ფანქრით არის გახაზული და ბოლო აბზაცს, ჩანს, ცენზორის მიერ ორი ასევე ლურჯი ხაზი აქვს ჩამოსმული; გახაზული სხვა სიტყვებიც (იხ. წინამდებარე სტატიაზე დართული ფოტო); ერთ-ერთ წერილში აკაკი ითხოვს, რომ ამიერიდან კრებული დეკანოზ ღამბაშიძის (დავით ღამბაშიძე) სტამბაში გამოსცეს და მასზეც ცენზორის წითელი ხაზია გავლებული იმ ადგილას, სადაც წერია, თუ სად უნდა გამოიცეს კრებული; ამ შემთხვევაში ეს ხაზები აკრძალვას არ ნიშნავს, – გამომცემლობასა და ფასზე გაუმახვილებია ცენზორს ყურადღება; ამავე საქაღალდის სხვა დოკუმენტში სამმართველოდან იტყობინებიან, რომ ხსენებული კრებული პერიოდულ გამოცემებს არ მიეკუთვნება და, ამდენად, ცენზურირებას იგი 116-ე სტატიისა და I დადგენილების საფუძველზე უნდა დაექვემდებაროს; ამ საქაღალდის მასალებიდან და *აკაკის კრებულის* უკვე გამოსული ნომრებიდან ჩანს, რომ თხოვნა ფასის შესახებ დაუკმაყოფილებიათ (აკაკის კრებული 1897: 48).

აღსანიშნავია, რომ 1897 წლის 27 ივნისს მთავარი სამმართველოდან კომიტეტში მისულია შეტყობინება, რომლის თანახმად, *აკაკის კრებული* იქ მკაცრად შემოწმებულა ("было строго проверено") და აკრძალულა ლექსი *ვედრება* (*Мольба*). საქაღალდეში მოთავსებული ეს და სხვა მასალები, აკაკის წერილებზე ცენზორთა მინაწერები, განკარგულებები მომავალში ცალკე ვრცლად შესწავლასა და განხილვას საჭიროებს.

სანამ სხვა საკითხებზე გადავიდოდე, დავუბრუნდები ილია ჭავჭავაძის შესახებ საუბარს და თამაზ ჯოლოგუას გამოკვლევიდან ციტატების მოხმობით ამჯერად უკვე აკაკი წერეთელთან ერთად მოვიხსენიებ ილიას; ავტორს მოჰყავს 1882 წლის 17 აგვისტოს აკაკის

მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა:

> ძველადაც, საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავ-განწირული მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე (ჯოლოგუა 2013: 379).

მკვლევარი იხსენებს ილიას ვრცელ წერილს, „რომლითაც იგი აკაკის 1886 წლის განახლებულ ივერიასთან სათანამშრომლოდ იწვევდა“ (ჯოლოგუა 2013: 379-380) და ასევე აღნიშნავს, რომ: „ივერიას ცენზურასთან ბრძოლაში უხდებოდა მუშაობა. [...] ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ცენზურა არა მარტო დასაბეჭდად გამზადებული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის წაშლას ან გადაკეთებას, არამედ მთელი ტექსტის ამოღებას მოითხოვდა“ (ჯოლოგუა 2013: 281).

ამავე ნაშრომში მკვლევარი წერს: „1890-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ ივერია ფაქტობრივად ახალგაზრდებს გადასცა, იგი არსებითად არც ერეოდა გაზეთის სარედაქციო პოლიტიკაში და მხოლოდ გამომცემლის ფუნქციით შემოიფარგლებოდა“ (ჯოლოგუა 2013: 382).

რაც უფრო ვუახლოვდებით XX საუკუნეს, მით უფრო ძლიერდება სოციალურ თემებზე წერის სურვილი. 1900 წლის მასალებში გვხვდება აკრძალული წერილი, რომელშიც მარქსიზმზე დადებითად არის საუბარი, ერთგვარ „პოეზიადაც“ კი არის იგი წარმოდგენილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეცნიერულად არც სწავლობდა უმეტესობა ამ მიმდინარეობას და გაურკვეველი განახლების იმედით იყო შთაგონებული: „Медовый месяц марксизма безусловно внес много поэзии в настроении русской публики. Можно сказать, что именно это поэзия, поэзия и надежда, – а не идей, были самым сильным оружием молодого марксизма“ (480-1-1603).

წერილში ქართული პუბლიცისტიკა ჩამორჩენილად არის წარმოდგენილი იმის ბრალდებით, რომ სოციალურ საკითხებს ნაკლებად ეხება.

კომიტეტის არქივში ვხვდებით მასალებს, რომლებიდანაც ვხედავთ, რომ ერიდებიან ისეთი წერილების, ცნობების გამოქვეყნებას, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებში მომხდარ კრიმინალურ შემთხვევებს შეეხება. ცხადია, სურთ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანაში ძირითადად წესრიგია, ამასთან, აკრძალულია პრესაში ჭორების (მე-20 საუკუნიდან გავრცელებული ტერმინით თუ ვიტყვით, – „ყვითელ პრესის“) გავრცელება (ამგვარი პოლიტიკა ადრიდანვე იყო დამახასიათებელი სახელმწიფოსთვის); მაგ., ერთ ფონდში (480-1-727; 1886 წ.) ვხედავთ, რომ მთავარი სამმართველოდან კომიტეტის მიმართ იმის გამოა საყვედური გამოთქმული, რომ დაიბეჭდა მასალა, რომელშიც იტყობინებიან, რომ ერთ-ერთი პოდპოლკოვნიკის სახლში ხანძარი გაჩნდა; მსგავსი მაგალითების მოყვანა სხვაც შეიძლება:

1900 წლის მასალებში გვხვდება, ცნობა იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უმცროსმა მოანგარიშემ უფროს მოანგარიშეს ორჯერ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, მსუბუქად დაჭრა იგი, მაგრამ შემდეგ საკუთარ თავს ესროლა ორჯერ და თვითმკვლელობით დაასრულად სიცოცხლე (480-1-1603).

იკრძალება ისეთი მასალების ბეჭდვა, რომლებში მოყვანილი ფაქტების მართებულობა ოფიციალური ორგანოების მიერ არ არის დადასტურებული; მაგალითად, *Тифлиский листок*-ის ერთ-ერთ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო ცნობა იმის შესახებ, რომ, როგორც „სოჩიდან“ იტყობინებიან, მოულოდნელად გაუჩინარებულა ამ „ოკრუგის“ უფროსი ა. ს. გლაგოლევი (480-1-1688; 1901 წ.), მომდევნო საქაღალდეში კი (480-1-1689) ფურცლებს შორის გვხვდება იმავე წელს აკრძალული მასალა, რომლის თანახმად, ეკატერინბურგიდან იტყობინებიან, რომ ერთ-ერთ ქალაქში ვაჭარ იაკოვლევს უცვნია სოჭიდან გაქცეული გლაგოლევი, რომელიც თურმე მარცვლეულს ყიდულობდა; ეს ვაჭარი ამბობს, – „გლაგოლევმა ის საბუთები მოიპარა, რომლის საფუძველზე პენსია უნდა დამნიშვნოდაო“; გლა-

გოლევი ახლა მთავარ „ჰაუპტვახტშია“ დაპატიმრებულიო, – ვკითხულობთ ანაბეჭდში (პირველად დასახელებულ მასალაში ს. ა. გლაგოლევია დასახელებული „სოჩის ოკრუგის“ უფროსად, მეორეში იგი მოხსენიებულია როგორც *გ. გ.* გლაგოლევი); უამრავ დოკუმენტს შორის გვხვდება ცნობა (480-1-1688), რომელშიც ნათქვამია, რომ აუქციონის კონტროლიორის ბინაში გარდაცვლილი იპოვეს 17 წლის ქალიშვილი, რომელსაც გორის ქალთა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული; აკრძალულია დაბეჭდვა უწყებისა, რომ ტფილისში, მამა დავითის მთის მახლობლად თავი მოიკლა ანტონ კოზლოვმა, რომელმაც დატოვა ბარათი, რათა მის სიკვდილში არავინ დაადანაშაულონ (480-1-1475; 1898 წ.); ამავე მასალებს შორის არის ქართულენოვანი ცნობა იმის შესახებ, რომ გორში, ყაზარმებთან, მოუკლავთ რაზმის კაპიტანი ვარანკოვი; მკვლელი ყოფილა ვინმე ღოღობერიძე, როგორც ჩანს, – ასევე ოფიცერი, რომელსაც ტომარაში ჩაუდია მოკლულის გვამი და ორი ჯარისკაცისთვის უბრძანებია, მტკვარში ჩაეგდოთ ტომარა; ჯარისკაცები მიხვდნენ, ტომარაში გვამი რომ იყო, არ ასრულებდნენ ღოღობერიძის ბრძანებას, მაგრამ დაემუქრა ღოღობერიძე და შეასრულეს ჯარისკაცებმა ბრძანებაო; იქვე წერია: „ვარანკოვს წვრილი ცოლ-შვილი დარჩენია. ღოღობერიძე წარმოსადეგი ვაჟი კაცია“ (480-1-1475; 1898 წ.); არის შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პირის რაიმე თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ არაოფიციალური შეტყობინების შესახებ ცნობის დაბეჭდვას კრძალავენ, მაგ., აკრძალულია ცნობა, რომ ბაქოს ღვთისმეტყველების მასწავლებელი ტფილისის ქალთა გიმნაზიაში, ხოლო ბაქოს რეალური სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებელი ტფილისის ვაჟთა გიმნაზიაში მასწავლებლებად გადაუყვანიათ (480-1-1698; 1901 წ.); შესაძლოა, მიიჩნიეს, რომ უნდა განმარტებულიყო, კერძოდ, რომელი ღვთისმეტყველების მასწავლებელი იყო იგი, ვინც ჯერ ბაქოში მუშაობდა და შემდეგ ტფილისში გადმოიყვანეს სამუშაოდ... უკვე XX საუკუნეს ვეხებით, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ 1901 წლის მასალებში (480-1-892) იკრძალება შემდეგი ცნობების გამოქვეყნება: „როგორც შევიტყეთ ("как мы слышали") კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ინსპექტორმა ე. მ. მამინაშვილმა ახალა თანამდებობა მიიღო“; „როგორც იტყობინებიან“ ("как сообщают"), ბატონ თხორჟევსკის უფლება მიეცა, დააარსოს ყოველდღიური გაზეთი „არგონავტი“ (480-1-1689); ივან თხორჟევსკიმ 1901 წელს მართლაც დაიწყო „არგონავტის“ გამოცემა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება აუკრძალავთ, – შესაძლოა, სიტყვები "как мы слышали" და "как сообщают" არ მოეწონათ, – ოფიციალური წყარო არ არის დაზუსტებული, რაც „ყვითელი პრესის“, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებას უწყობს ხელს; ამავე საქაღალდის ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ აკრძალულია *Тифлиский листок*-ში გამოქვეყნდეს მასალა, რომლიდანაც იტყობინებიან, რომ სპექტაკლ *Контрабандисты*-ზე დასასწრებად ბილეთები მხოლოდ მათ მიეცემა, ვინც წინასწარ იყო ჩაწერილი; 1898 წელს *Кавказский листок*-ში არ დაუშვიათ ცნობა იმის შესახებ, რომ, – როგორც გადმოგვცეს ("Нам передают"), 1897 წელს ბორჯომის სადგურში ყოფნისას იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნამ უკმაყოფილება გამოუთქვა სადგურის პოლიციის „პრისტავ“ ბალაბანსკისა და სამოქალაქო „პრისტავ“ ხერხეულიძეს იმის გამო, რომ პირველი ბრილიანტებით მოოჭვილი საკინძეებით, მეორე კი სახელმწიფო ღერბგამოსახული ოქროს საათითა და ოქროს ძეწკვით იყო დამშვენებულიო (480-1-1479); ამავე გაზეთში დასაბეჭდად გაუგზავნიათ ცნობა, რომელშიც წერია: – „ყური მოვკარით ("Мы слышали"), რომ რომელიღაც არცთუ ძალიან ჭკვიანი ადამიანების ჯგუფმა“ ("кружок каких-то не очень умных людей") ემილ ზოლას მისწერა, – „პრომეთეს ქვეყნიდან თავს ვხრით თქვენ წინაშე, რომელსაც ეკლის გვირგვინი დაგედგათ სამართლიანობისათვის ბრძოლის გამოო“, ემილ ზოლასათვის გაგზავნილ ამ სულელურ ტელეგრამაში ("В этой глупой телеграмме“), თუ ის მართლა გაგზავნილია ("если она действительно послана"), ანარქიზმი და მითოლოგიური არეულობაცაა, – მასში კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთე არარატის მთაზე მიჯაჭვულად არის წარმოჩენილიო.

1900 წელს (480-1-1602) "Черноморский Вестник"-ისათვის აუკრძალავთ, "Русская Мысль“-იდან გადაებეჭდა სტატია გერცენზე, რომელიც მწერლისა და მალვიდა ფონ-მეიზენბერგის ურთიერთობას შეეხება; გერმანელი მწერალი ქალი თავისი ქალიშვილის

მასწავლებლად სდომებია გერცენს, მიმოწერა ჰქონია მასთან, ვაჟი ავად მყავს, თვითმკვლელობაზე ვფიქრობ, პოეზია მასულდგუმლებსო – სწერდა თურმე გერცენი ნობელიანტ მწერალს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტზე მაღლა დგას სამხედრო ცენზურა, ამ ფაქტის საილუსტრაციო მაგალითები ადრე შესრულებულ წერილშიც მქონდა მოყვანილი (კუჭუხიძე 2022), დამატებით შეიძლება ითქვას, რომ 1891 წელს სამხედრო ცენზურა საყვედურს გამოთქვამს კომიტეტის მიმართ იმის გამო, რომ გასული წლის ნომრებში *Тифлисскйи Листок*-მა სამხედრო ცენზურის ნებართვის გარეშე კავკასიის მსროლელი „დრუჟინის" შესახებ გამოაქვეყნა ცნობა; საყვედურს იმის გამოც გამოთქვამენ, რომ გაზეთ *Кавказ*-ში (№ 146) კაპელმეისტერ მაშნერის მიერ გამართულ კონცერტზე საუბრისას არ იყო ნათქვამი, შტაბის უფროსის ნებართვით რომ გაიმართა ეს კონცერტი (480-1-914).

მასალათა შორის ძალიან ბევრი დოკუმენტია, მრავალი კუთხით არის იგი შესასწავლი, რომლებზეც ცალკე წერილებში იქნება საუბარი საჭირო.

შენიშვნა

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (FR-21-8335).

დამოწმებანი

აკაკის კრებული 1987: აკაკის თვიური ჟურნალი, *კრებული*, №1; სტ. მ. შარაძისა და ამხანაგობისა, თფილისი.

გოლიაძე, ნიჟარაძე 2004: *ქართული მწერალთა ბიოგრაფიები*, შემდგენლები: ო. გოლიაძე და ე. ნიჟარაძე, გამომცემლობა „ლიტერა", თბილისი.

თეატრი 1886ა: *თეატრი*, საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი; №5.

თეატრი 1886ბ: *თეატრი*, საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი; №6.

ივერია 1877ა: *ივერია*, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; №30.

ივერია 1877ბ: *ივერია*, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი; №31.

კუჭუხიძე 2022-2023: გ. კუჭუხიძე. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ (XIX ს-ის 70-იანი წლები), *„XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა"*, №3, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კუჭუხიძე 2023: გ. კუჭუხიძე. კავკასიის საცენზურო კომიტეტის 70-იანი წლებისა და 80-იანების დასაწყისის ზოგიერთი უცნობი მასალის შესახებ, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XXV, გამომცემლობა „უნივერსალი",თბილისი.

ჭავჭავაძე 1902: И. Г. Чавчавадзе. *Армянские ученые и вопиющие камни*, перевод с грузинкого Н. И. Алексеева-Месхиева, Типография грузинского издательского товарищества, Тифлис.

ჯოლოგუა 2013: თ. ჯოლოგუა. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XIX საუკუნე)*, გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი.

CAUCASIAN CENSORSHIP IN COMMITTEE IN 1880s-1890s (PRINCIPAL TRENDS)

Gocha Kuchukhidze
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature
gochakuch@yahoo.com

Purpose of the article is to study the main trends characteristic to the Caucasian Censorship Committee in 1880s-1890s. In our earlier works we have admitted that in the 1870s, in Caucasus, particularly in Georgia, the national policies implemented by the Russian Empire, compared with some other countries included into the empire was relatively loyal. The strictest measures were oriented mostly against the introduction and dissemination of the revolutionary ideas in the country and from the late 1880s and 1890s, this politics changed and Russian state showed particular care to prevent transformation of the national aspirations into the forms dangerous to it; most often, national and social issues in Georgian literature are combined, social issues appeared in the works of Georgian writers and national liberty was directly related to the social theories. While in the works of many writers the national and social issues are close to one another, in Georgian literature there can be also noticed that there is some confrontation between the figures that are purely national and those, for whom the revolutionary ideas are closer than the national ones and for the empire both these directions were unacceptable and, in our opinion, this was the key reason of strict measures.

This article is based on less studied archive documents of the Caucasian Censorship Committee preserved at Georgian National Archive. Archive data of the 19th century, materials banned by the censors clearly show that the policies of 1870s of the said century dramatically differ from the policies characteristic fort 1880s-1890s.

At the archive, there is preserved the letter belonging to famous Georgian poet, Akaki Tsereteli; here were also found numerous documents that, regarding the worldview and style, can, very likely, belong to great Georgian national figure, prose writer and poet Ilia Chavchavadze; that are the materials that were intended for publication in *Iveria*, banned by the Censorship Committee. In the present paper we assume that these works were not written by Chavchavadze, but as he was the editor-in-chief of *Iveria*, it is clearly assumable that the editor has worked on the mentioned articles and, perhaps, in agreement with the authors, he has edited them; though, there is the article in the archive as well that is written from the first person and contains biographical facts related to Ilia Chavchavadze and hence, the researcher should study carefully these articles, so that to clarify, whether some of them are authored by Ilia Chavchavadze.

რუსეთ-ოსმალეთის ომი (1877-1878) და ქართული იდენტობა

ქეთევან მანია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ketevan.mania@tsu.ge

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული საზღვრების ტრანსფორმირების თვალსაზრისით. ამ მოვლენის შედეგად ხდება ოსმალეთის მიტაცებული ისტორიული ქართული მიწა-წყლის შემოერთება „რუსეთის საქართველოსთან".

რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წლების ომის შედეგი ქართული იდენტობის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია არამარტო გარკვეული ისტორიული ტერიტორიების რეალურად შემოერთების თვალსაზრისით, არამედ ამ ფაქტმა ქართველი ერის კონცეპტუალიზაციაში შეიტანა მნიშვნელოვანი კორექტივები. უპირველესი კორექტივი შეეხო რელიგიას, როგორც იდენტობის მარკერს. როგორც ცნობილია, წინა პერიოდში კულტურულ იდენტობას ძირითადად განსაზღვრავდა რელიგია. *ქართველობის* გაგებაში მთავარი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობა. ქართველობა უსათუოდ ასოცირდებოდა მართლმადიდებლობასთან. ახალ პერიოდში შეინიშნება დამოკიდებულების ცვლილება. ე. წ. „ოსმალოს საქართველოს" და „რუსეთის საქართველოს" პოლიტიკური გაერთიანების შემდგომ, ქართული ინტელიგენციის წინაშე დაისვა ამოცანა კულტურულად ჰომოგენური გაეხადა ეს ნაწილები. აღნიშნულმა მოძრაობამ რელიგიისა და საერთო წარმომავლობის, როგორც იდენტობრივი მარკერების, გადააზრების საკითხი დასვა. ქრისტიანობა ქართველობის განუყოფელი ნაწილი იყო. მაგრამ ახალ ვითარებაში ის ვეღარ იქნებოდა მარკირების უმთავრესი საშუალება. ეთნიკურ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, სხვა რელიგიაზე – ისლამზე – იყო მოქცეული. ამიტომ წამოიწია წინ *საეთო ისტორიამ*, როგორც იდენტობრივმა მარკერმა. ქართველმა ნაციონალისტებმა დაიწყეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის რეპრეზენტაცია განუყოფლად საქართველოს დანარჩენი ნაწილების ისტორიისაგან (ჩხარტიშვილი, მანია 2013/2014: 109-117).

ამ პერიოდს არაერთი მკვლევარი შეეხო სხვადასხვა კუთხით. განსხვავებული მეთოდოლოგიური (ეთნოსიმბოლისტური) მიდგომით რუსეთ-ოსმალეთის ომი და მისი მნიშვნელობა ქართული იდენტობისათვის გაანალიზებული გვაქვს მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ადრინდელ ნაშრომში (საკითხის ანალიზი წარმოდგენილია *ივერიის* პუბლიკაციების საფუძველზე), სადაც აღვნიშნავდით ქართული ინტელიგენციის დამსახურებას ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ახლადშემოერთებული ტერიტორიების ჰომოგენიზაციის თვალსაზრისით (ჩხარტიშვილი, მანია 2013/2014: 109-117). ამ მხრივ, ზაქარია ჭიჭინაძის წვლილი გაანალიზებული მაქვს ჩემს ადრინდელ ნაშრომში. ზ. ჭიჭინაძემ ურთულეს პერიოდში შემოიარა ახლად შემოერთებული ტერიტორია ქართული წიგნებით ხელში და დედაენის სიყვარულს უძლიერებდა ქართველ მუსლიმებს (მანია 2015: 60-79).

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შესახებ მასალები (დოკუმენტები, ხელშეკრულებები, ნოტები და დეკლარაციები) გამოქვეყნებულია რუსეთ-ოსმალეთის და საერთაშორისო ურთიერთობების ამსახველ სხვადასხვა გამოცემაში (ბუხაროვი 1878), (ტომკეევი 1910), (ბესკროვნი 1974), (ესაძე 1914), (იუზეფოვიჩი 2005: 72-73). საზავო ხელშეკრულებები და საყურადღებო მასალები გამოქვეყნებული და შესწავლილია ო. ჯანელიძის (ჯანელიძე 2011), მ. ვაჩნაძე, ვ. გურულის (ვაჩნაძე, გურული 2011), დ. ჭუმბურიძის (ჭუმბურიძე 2016), ვ. გურული, ლ. ჯიქიას (გურული 2017; 2018) (გურული, ჯიქია 2015) გამოკვლევებში. აღნიშნული

საკითხები განხილული აქვთ აგრეთვე, შ. ვანიშვილს (ვანიშვილი 1989), ს. კაკაბაძეს (კაკაბაძე 1997), მ. სვანიძეს (სვანიძე 2007), შ. მეგრელიძეს (მეგრელიძე 1963), ხ. ახვლედიანს (ახვლედიანი 1956), ა. ბენდიანაშვილს (ბენდიანაშვილი 1973: 439-454) და სხვებს.

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კავკასიაში მოგზაურების, გარემოს შესწავლისა და დაზვერვის მიზნით მივლენილი სამხედრო პირების ნაშრომებიც. მათ შორის, აღსანიშნავია გ. ყაზბეგის ჩრდილოეთ კავკასიასა და ოსმალეთში მოგზაურობის ჩანაწერები (ყაზბეგი 1888); (ყაზბეგი 1902).

ნაშრომში რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის მნიშვნელობას ქართული იდენტობის ისტორიისათვის წარმოვადგენ განსხვავებული რაკურსით. რუსეთ-ოსმალეთის ომთან დაკავშირებით, ქართულ ბეჭდურ მედია-მასალების (*ივეჰია*, *დროება*) მიხედვით ვაკრვირდები ქართველთა საზოგადოებრივ აღქმებს, ღირებულებებს; განვიხილავ რამ განაპირობა ომში საქართველოს ჩართულობა, იმპერიის შემადგენლობაში ყოფნამ თუ ქართველობა ომში მონაწილეობას აღიქვამდა ტერიტორიული იდენტობის შენარჩუნების გზად, ან ხომ არ იყო ქართველთა მონაწილეობა რუსეთთან რელიგიური ერთობით განპირობებული.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის გაშუქებას მედიაში საგანგებო ადგილი ეთმობა საერთაშორისო ვითარების ამსახველ სპეციალურ რუბრიკაში, რაც განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ საქართველო ოსმალეთისა და რუსეთის საცილო ტერიტორიას წარმოადგენდა და პირდაპირ იყო ჩართული ამ კონფლიქტში. ამ მასალების მიხედვით თვალსაჩინოვდება საზოგადოებრივი აღქმებიც. ომისადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულების შესახებ საყურადღებო მოსაზრებები აქვს ნ. ბერძენიშვილს. მისი დასკვნით, ქართველმა ხალხმა, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი მისი მტერი იყო, რუსეთ-თურქეთის ომში ერთსულოვნად დაუჭირა მხარი რუსეთს, რადგან ესმოდა, რომ ომში რუსეთის გამარჯვება ხელს შეუწყობდა მისი საკუთარი სასიცოცხლო ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებას (ბერძენიშვილი და *სხვები* 1958: 521). აღნიშული კონფლიქტის შესახებ ო. ჯანელიძე შენიშნავს, რომ ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიულ ორბიტაში მოქცევის შემდეგ, განსხვავებით ცარიზმის სხვა ომებისგან ირანთან თუ ოსმალეთთან დაწყებულ შეტაკებაში პირველად მონაწილეობდა ძალდაუტანებლად, საკუთარი ნებითა და სურვილით, ამასთან, იმის ღრმა შეგნებით, რომ ომს საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებისა და ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის დადებითი შედეგი მოჰყვებოდა (ჯანელიძე 2005: 90).

რუსეთ-ოსმალეთის 70-იანი წლების ომამდე, რუსეთი ასრულებს დასავლეთ საქართველოს სამთავროების შემოერთებას. იმპერიის ფარგლებში მოექცა სამეგრელო, აფხაზეთი, სვანეთი, რომლებიც მანამდე გარკვეული ავტონომიით სარგებლობდნენ. ამ ფაქტს ვერ ურიგდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა და არ ცხრებოდა გამოსვლები რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ხელისუფლებას საგანგებო ზომების მიღება დასჭირდა წესრიგის შესანარჩუნებლად. ასე, მაგალითად, 1876 წლის დეკემბერში აფხაზეთში არსებული მღელვარების ჩასაცხრობად ხელისუფლებამ სპეციალური საჯარისო დაჯგუფება „სოხუმის რაზმი“ შექმნა (ტომკეევი 1909: 256). აფხაზეთში ანტირუსული განწყობის გაღვივებას ხელს უწყობდა ოსმალთა ხელისუფლება. აფხაზეთში ოსმალებს ჰყავდათ თავისი მომხრეები, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობას უარი განუცხადებია რუსების წინააღმდეგ გამოსვლაზე (დროება 1878: №156).

საქართველოს საზღვრების ცვლილება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოხდა ყირიმის ომის შემდგომ, პარიზის ზავით. იმპერიული საზღვრების ცვლილებით, გურიის ნაწილი ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა. მეტად მტკივნეული აღმოჩნდა მდინარე ჩოლოქით და აჭარა-გურიის ქედით ოსმალეთთან გავლებული საზღვარი. ამ პროცესის საზოგადოებრივი აღქმა თვალნათლივ ჩანს *დროების* კორესპონდენციაში:

> ჩვენ, გურულებს, მწარეთ გვაგონდება ის უბედური შემთხვევა, რომ ჩვენ დიდი ხანია მოვაკლდით ერთობას იმ გურულებთან, რომელნიც დღეს ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან, და შეადგენენ აჭარის, ქობულეთის და ლაზისტანის მცხოვრებლებს. ეს მაზრები ერთ დროს თავისი მდებარეობითა, ბუნებითა, და სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო ადგილებად ითვლე-

> ბოდნენ; მაგრამ დღეს ოსმალეთის მძვინვარებამ დაგვაშორეს ღვიძლი ძმები ერთმანეთს, მაშინ როდესაც ჩვენი ბედი, ჭირი და ლხინი ერთად, ძმურად გვიტარებია ათასი, ორი ათასი წლის განმავლობაში...
> საოსმალო გურია ჩვენგან ამჟამად ისაზღვრების მდინარე ჩოლოქით და აჭარა-გურიის ქედით; ეს სამზღვრები, თავისი სიდიდით კი არა, უფრო გარეგანი ძალ-დატანებით გამხდარან ჩვენი ისტორიულის კავშირის გამაუქმებელნი...
> საოსმალო გურულებს... შეუცვლელად შეუნახავთ მამა-პაპური ენა, ჩვეულება და თვით ძველებური გურულების ხასიათი... ასე რომ თუ თქვენ გინდათ წარმოიდგინოთ, თუ რა იყო ორმოცი-სამოცი წლის წინათ და კიდევ წინ ჩვენი გურია, უნდა გადახედოთ დღევანდელი საოსმალო გურულების ცხოვრებასა... შეეცვალათ იმათ მხოლოდ სარწმუნოება – ერთი უმთავრესი მიზეზი – ისიც ძალ-დატანების გამო (დროება 1873: №9).

საუკუნეების განმავლობაში საქართველოს ისტორიული ნაწილი აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი, ოსმალეთის პროვინციებად იყო ქცეული და ცდილობდა აქაური მოსახლეობა გაეთათრებინა. მაგრამ „დროების“ კორესპონდენციის ავტორი ს. მესხი გაკვირვებული აღნიშნავს:

> დახეთ ქართველ ტომის სიმტკიცეს, – სჯულის მეტი, იმათ არა შეუცვლიათ რა. სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩეულებანი, თითქმის ცრუ-მორწმუნეობაც და ცხოვრება ისევ ძველი, ქართველური აქვთ...
> მთელ ოსმალოს საქართველოს ხალხს ჯერ კიდევ ისევ ქართველი ხალხის ხასიათი აქვს, ქართველი ხალხის სული უდგია. სახე ნამდვილი ქართველისა აქვთ, ჩვეულება და ცხოვრება საქართველოსი; ხალხი, თუმცა დიდი ხანია გამაჰმადიანებული, მაგრამ ახლაც სასოებით დაიარებიან თურმე იქაურს ქართულ ეკკლესიების ნანგრევებში და შესაწირავი მიაქვთ, იმათ ახსოვთ, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრნია, ერთს ბედსა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი მეფეები გვყოლია, ერთი მმართებლობა და ერთი ენა, სარწმუნოება (დროება 1875: №76).

კორესპონდენციით დასტურდება, რომ ოსმალთა მცდელობა – ქართველთა ცნობიერებაში წაეშალათ ყოველივე ქართული, წარუმატებელი აღმოჩნდა. მათ ვერ შეძლეს ისტორიულ ქართველებში ეროვნული ცნობიერების წაშლა. მართალია, „ოსმალოს ქართველობა“ იძულებული გახდა სარწმუნოება შეეცვალა, მაგრამ მტკიცედ შემოუნახავთ ეთნიკური, ენობრივი, „მართებლობის“, რელიგიური ერთობის ხსოვნა.

ისტორიული ერთობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ოსმალოს საქართველოს ტოპონიმიკა და ადგილობრივი მოსახლეობის გვარ-სახელები, რომლებიც თავადვე მეტყველებენ მათ ქართულ წარმომავლობას (დროება 1875: №80; №81).

მარკირება ისტორიით ქართულ ერთობას ინკლიზიურ ხდიდა გამუსლიმებულ (ან სხვა ქრისტიანული კონფესიის აღმსარებელ) ქართველებთან მიმართებაში, ამავე დროს, ხელს უწყობდა მისი ტერიტორიალური ანუ სამოქალაქო მოდელის მიხედვით ჩამოყალიბებას, რომლისაკენ გზა მიდიოდა ერთობის საზიარო ისტორიული მახსოვრობით (ჩხარტიშვილი, მანია 2013/2014: 109-117).

ისტორიის საკითხებზე მსჯელობას ენიჭება უპირატესობა წერილების სერიაში *ოსმაღოს საქაhთველო*. ისტორიის საკითხებზე დისკურსით ეროვნული ერთობის ფორმირების პროცესში სტიმულირებას ახდენდა ისტორიულ ქართველთა თვითგამორკვევის თვალსაზრისით. ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ რუსეთისათვის სასარგებლო შედეგებით დასრულდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და რუსეთის წარმატების შედეგად საქართველო დაიბრუნებდა თავის ღვიძლ ნაწილს (ივერია 1877: №8). ოსმალოს ქართველები იმედოვნებდნენ, „შეუერთდებითო ჩვენს დიდი ხნით განშორებულს თანამოძმეებსაო (?!)“ „აქედან პოლიტიკურ გამჭრიახობას თუ არა იმას მაინც ნათლად ხედავთ, რომ მათ მაჰმადიანობას არ წარუხოცავს მათ გულში ნაციონალური გრძნობა“ (დროება 1877: №135).

ზემოთ მოხმობილი მაგალითები ნათლად მეტყველებს თუ რამდენად მკვიდრად ცოცხლობდა ქართველებში ისტორიული ფესვების ხსოვნა.

ოსმაღოს საქართველოს ციკლის ერთ-ერთ წერილში, ავტორს სტატიის წერისას გამოუყენებია გ. ყაზბეგის აჭარაში მოგზაურობის ჩანაწერების ამსახველი ნაშრომი „სამი თვე ოსმალოს საქართველოში", რომელშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მოგზაურის აღფრთოვანება ნანახის და გაგონილის გამო, სოფელ გორჯომიდან დაშვებულს ბავშვების ქართულად გინება, მოესმა „თურმე ჩვენები ყოფილა, ჩვენები" – აღნიშნავს აღფრთოვანებით მოგზაური იმ გარემოებას, რომ აჭარლები ერთმანეთს ქართულად ესაუბრებოდნენ და საქართველოს არსება არ გამქრალა (ივერია 1877: №15). საყურადღებოა ტერმინ „ჩვენების" გამოყენება და კონტექსტი. როგორც ჩანს, ტერმინი ქართული ერთობის აღმნიშვნელად არის გამოყენებული. აქაც, ქართველობის შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად დასახელებულია ნათესაობა და ერთად გატარებული პერიოდის შესახებ მახსოვრობის არსებობა (ჩხარტიშვილი, მანია 2013/2014: 109-117).

ოსმალების ზეგავლენით რელიგიური სურათი იცვლება აფხაზეთშიც: „სრულიად ამოიფხვრა ქრისტიანობა აფხაზეთში. მაგრამ ისეთი მაჰმადიანები კი შეიქნენ, რომ სრულებით არ ესმოდათ მაჰმადის სარწმუნოება: აღარც მაჰმადიანებში იყვნენ და აღარც ქრისტიანები" (დროება 1875: №88).

ოსმალეთი მძლავრობდა სამცხე-საათაბაგოს ქართველებზეც: „მაგრამ დახეთ იმათ მამაცობას და თავის ენისა და რჯულის სიყვარულს, რომ იმათი გული არ გატეხილა, არ დაუვიწყებიათ არც თავიანთი ქართველობა და არც თავისუფლების სურვილი" (დროება 1875: №115). სამცხე-საათაბაგოში „მრავალი ქართველი ზოგნი პატივისათვის თავისი ნებით, ზოგნი ოსმალების მძლავრობით მაჰმადიანდებოდნენ და ათაბაგს აღარ ემორჩილებოდნენ". ათაბაგი მანუჩარ მეორე შეეწირა ამ ფაქტს. ბიძამისმა მოწამლა. ბიძამისი ოსმალების ერთგული აღმოჩნდა:

> არც ერთ საქართველოს შვილს არ მიუცია მტერთათვის იმოდენა შემწეობა საქართველოს დასამხობად, როგორც ამ კაცს. ეს იყო მაჰმადის მოციქული, რომელმაც სამცხის ქართველობა მოაქცია იმის რჯულზე და შეუერთა ოსმალეთს. ამის მძლავრობისა გამო მრავალმა სამცხის თავადებმა მიიღეს მაჰმადის რჯული და იწყეს მიერიდგან თათრობა. რადგან აქაური ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მონასტრების წინამძღვარნი აღარ ემორჩილებოდნენ საქართველოს ქათალიკოზს, ამისათვის, რომ ოსმალებისაგან მიხვდენილ ცვლილებისა გამო, სამცხეს აღარა ვითარი კავშირი არა ჰქონდა საქართველოსთან, ამის გამო ოხრდებოდნენ ეკკლესიამონასტერნი და მათ მაგიერ შენდებოდნენ მეჩეთები; რომელ ქართველებსაც არ უნდოდათ მაჰმადიანობის მიღება, ისინი მალავდნენ ხატებს, ჯვრებს, და წმინდა ნაწილებს და სახლდებოდნენ სამცხიდგან ქართლს, იმერეთს და კახეთში (დროება 1875: №116).

მ. ჯანაშვილი „ღვთის გამწყრალ კაცს" უწოდებს სამცხის ათაბაგს (ფაშას) ბექა ჯაყელს (ოსმალურად საფარ-ფაშას), რომელიც თოფ ყარაღაჯს კახეთში და ზაქათალას მაზრაშიც ცოტა ხანი ყოფილა მმართველად. მრავალი ინგილო გამაჰმადიანებულა ამ დროს. მ. ჯანაშვილის თანახმად, „ამ მამულის მოღალატობის სამაგალითო კაცისაგან ფაშობის მიღების შემდეგ, სამცხეში სამუდამოდ მოისპო წოდება ათაბაგობისა და დაიწყო სამუდამოდ ფაშობა". ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ

> ამათ ახსოვთ, რომ არიან ჩვენი მოძმენი, რომ ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ერთს ბედს ქვეშ ვიყავით, ერთად ვიცავდით საზოგადო სამშობლოსა, ერთად ვიცავდით გამძვინვარებულ მტრებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობას და სარწმუნოებას. ახსოვთ ვახტანგ გორგასალნი, უკვდავი თამარ დედოფალი და სხვ. და სხვ.
> რუსეთის ქართველები ვერც ამას დავიკვეხნით; როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ სრულებით დავიწყებული გვაქვს, რომ ესენი ერთ დროს ჩვენი ბედისა და უბედობის მონახევრენი და ჩვენთან ერთის უღლის მწევნი იყვნენ[...].

> სარწმუნოების გამოცვლამ, აქაურ ქართველების გამაჰმადიანებამ დაგვაშორა ჩვენ ყველაზე უფრო ერთმანეთს. მოგეხსენებათ, ჩვენში საზოგადოთ სარწმუნოებისა და ხალხოსნობის, ნაციონალობის მნიშვნელობა ერთობ არეულია, არ გვესმის: შთამომავლობითა და გვარ-ტომობით ქართველს, რომელსაც კათოლიკე ან გრიგორიანის სარწმუნოება მიუღია, ჩვენ ქართველებად აღარ ვსთვლით: იმათ ფრანგსა და სომეხს ვეძახით. ესრე მოუვიდა აქაურ ქართველებს: რა-კი სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ისინი იძულებულნი იყვნენ, რომ მართლმადიდებლობის სარწმუნოება მაჰმადიანობაზე გაეცვალათ, ამათ, იმ წამიდამვე დაჰკარგეს ჩვენი ძმობა, ჩვენი თანამემამულეობა და გვარტომობა (დროება 1877: №39).

აქ კიდევ ერთხელაა ხაზგასმული თუ რამდენად მნიშვნელოვანია იდენტობის შენარჩუნებისთვის ისტორიული მეხსიერება, ხსოვნა ისტორიული ქართველობისა, ეთნიკური ფესვებისა, რელიგიისა, ტრადიციისა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის პირობებში საქართველომ დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. როგორც ნ. ნიკოლაძე *ეხოებაში* აღნიშნავდა, „საქართველოთი რუსეთი პირ-და-პირ შედის ოსმალეთში[...] შავი ზღვის სიახლოვე საქართველოსთან, რუსეთის მოპირდაპირეს რუსეთის სამზღვარშივე ომის შემოტანის ნებას აძლევს“ (დროება 1877: №36).

საინტერესოა როგორ ახდენდა ადგილობრივი მოსახლეობის ომში ჩართვას ხელისუფლება. ამ მხრივ საყურადღებოა ომის დაწყებისთანავე იმპერატორის მიმართვა აჭარა-ქობულეთის მცხოვრებლებისადმი, რომელსაც მათ აცნობს კავკასიის მხედრობის მთავარსარდალი გენერალი მიხეილი:

> უმაღლესი ნება ხელმწიფე-იმპერატორისა გიწვევთ თქვენ, რათა თოფ-იარაღით დაიცვათ ჩვენის მამულის პატივი და ღირსება.
> – თქვენს უკან – კავკასიის მხედრობის სახელოვანი წარსულია, თქვენს წინ – მინდორნი და სიმაგრენი, სადაც თქვენს მამებს და ძმებს თავისი სისხლი დაუნთხევიათ (ივერია 1877: №7).

კავკასიის მხედრობის მთავარსარდალი იმპერიული ერთობის გასაძლიერებლად პატრიოტიზმზე და სამშობლოსთვის თავდადებულ მამა-პაპათა დანთხეულ სისხლზე ამახვილებს ყურადღებას. ამ მიმართვით მთავარსარდალი ცდილობს ადგილობრივ მოსახლეობაში სენტიმენტების გაღვივებას იდენტობის უმთავრეს მახასიათებელზე აქცენტირებით.

ქართველებს კი ომში მონაწილეობის სურვილს იმპერიის შიგნით ქართული მიწა-წყლის შემოერთების იმედი უძლიერებდა. ეროვნული სენტიმენტებით შეიკრა ქართული ლაშქრის საჯარისო ნაწილები (მილიცია) მოხალისეებისგან. საქართველოდან 25 ათასი კაცი გამოვიდა რუსეთ-ოსმალეთის ომში (ბერძენიშვილი და *სხვები* 1958: 521).

საყურადღებოა, ბეჭდურ მედიაში რუსეთის წარმატება-წარუმატებლობის „ჩვენ“ სიტყვით გადმოცემაც – „ჩვენებითგან“ დაიღუპა ამდენი მეომარი, „ჩვენებმა“ სახელოვანი წარმატება მოიპოვეს (ჩხარტიშვილი, მანია 2011) და ა. შ. დიდი სიხარული გამოიწვია თბილისში რუსების გამარჯვებამ ოსმალოს სარდალზე (საუბარია მუხთარ ფაშაზე). საგანგებო ზეიმი მოეწყო ამ ფაქტის აღსანიშნავად. ჯერ წირვა და პარაკლისი გადაიხადეს (იგი რუსულ ენაზე აღავლინეს, სასულიერო სასწავლებლის მგალობლების მონაწილეობით). შემდეგ ზარბაზნების სროლით აღნიშნეს „ჩვენების“ (რუსების) წარმატება (ივერია 1877: №32). ქართველმა თავადაზნაურობამ სახელოვანი გამარჯვების მილოცვის ტექსტიც გაუგზავნა რუსეთის ჯარის მთავარსარდალს, რომელმაც, თავის მხრივ, დიდი მადლობა გადაუხადა თბილისის თავადაზნაურობას კავკასიის მხედრობის ვაუკაცური სამსახურისათვის (ივერია 1877: №34).

ამდენად, რუსეთთან „ჩვენ“ სიტყვით გამოხატული ერთობა საერთო ინტერესით – საერთო მტრის დამარცხების სურვილით იყო განპირობებული. რუსეთი ოსმალეთის დამარცხებით იმპერიულ საზღვრებს იფართოებდა, საქართველო ამ ომით ისტორიულ ქართულ მიწა-წყალს იბრუნებდა, თუნდაც იმპერიის ფარგლებში.

რუსების მიერ ადრიანოპოლის დაკავება გადამწყვეტი აღმოჩნდა რუსეთ-ოსმალეთის ომისათვის. ამ მანევრით რუსეთი სტამბოლს დაემუქრა და მოწინააღმდეგე იძულებული გახდა ზავი ეთხოვა (დროება 1878: №17). ოსმალეთი გერმანიის ელჩს რეის სთხოვს შუამდგომლობას რუსეთთან მორიგების თაობაზე:

> ოსმალეთი დაუთმობს რუსეთს ბათუმს და მთელს მაზრას ბათუმიდან მოყოლებით ბაიაზეთამდინ; ამ წრეში შევა არტაანი, ყარსი და ბაიაზეთიცა. ოსმალეთი თანახმაა, რომ აზრუმის ციხეები დაანგრიოს, ბოსფორის დარდანელის წყლები მარტო ოსმალეთისა და რუსეთის ხომალდებისათვის იქნება თავისუფალი. ბოლგარიას მიენიჭება უფრო მომეტებული თავისუფლება (ავტონომია); იმის ღუბერნატორად დაინიშნებიან პორტასაგან ქრისტიანები (დროება 1878: №2).

1878 წლის 19 თებერვლის მორიგების პირობას სან-სტეფანოში რუსეთის მხრიდან ხელს აწერს გრაფი იგნატიევი და ნელიდოვი, ოსმალეთის მხრიდან სავფეტ-ფაშა და საადულახ-ფაშა (*ჯოეა* 1878: №56). შერიგების მუხლებიდან (29-ე) საქართველოსთვის საინტერესო იყო მე-19 მუხლი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს უნდა გადაეხადა ცხრაასი მილიონი მანეთი სამხედრო ხარჯისათვის, ოთხასი მილიონი მანეთი ვაჭრობის, რკინისგზებისა და სამხრეთ რუსეთისთვის მიყენებული ზიანისათვის, ასი მილიონი კავკასიაში მტრის შემოსევის ზიანისთვის და ათი მილიონი ოსმალეთში მცხოვრები ხალხისთვის მიყენებული ზიანისთვის, – სულ ათას-ოთხას-ათი მილიონი (1,410,000,000) მანეთი. მაგრამ ვინაიდან ოსმალეთი ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, რუსეთის იმპერატორი თანახმა იყო ფულის სანაცვლოდ მიწები მიეღო. ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა მე-19 მუხლის ბ პუნქტი:

> არტაანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და სოღანლუღის მთამდინ მდებარე მიწები სამზღვრებში: რუსეთსა და ოსმალეთის სამზღვარი დაიწყება შავი ზღვის ნაპირზე იმ მთიდამ, რომელიც მდ. ხოფსა და ჩოროხს შუა მიდის; შემდეგ გაჰყვება ართვინის სამხრეთით მდებარე მთებს მდ. ჩოროხამდინ სოფლებს ალატასა და ბეშაგეთის მახლობლად; აქედამ სამზღვარი გაყვება მთებს დერვენიქ-გიოქს, ხორჩეზარას და ბეჯიგინ-დაღს და მიდის თორთუმის-წყალსა და ჩოროხს შუა მდებარე მთების დაყოლებლივ სოფელ ვიხინ-კილისამდინ, რომელიც თორთუმის წყლის ნაპირას მდებარებს. ვიხინ-კილისიდამ სამზღვარი მიჰყვება სივრი დაღის მთას სოფ. ნარიმანის სამხრეთით; აქედამ ზივინისკენ მოუხვევს აღმოსავლეთით, გადადის სოფ. არდოტზე და ხორასანზე, დაიწევს ისევ სამხრეთით სოღანლუღის მთებამდინ, მიჰყვება ამ მთას ალადაღამდინ და ბაიაზეთის ბარით მივა ოსმალოს და სპარსეთს შუა სამზღვრამდინ (დროება 1878: №56).

აღნიშნული შეთანხმებით კონფლიქტი არ ამოწურულა. ტერიტორიული და ეკონომიკური რესურსის განაწილებისათვის მიმდინარე იმპერიალისტური ომი მორიგების პირობით რუსეთის და ბრიტანეთის ინტერესებს შეეჯახა. ინგლისმა მოთხოვნა წაუყენა რუსეთს, რომ მხოლოდ მას შემდეგ მიიღებდა მონაწილეობას კონგრესში თუ რუსეთი მიიღებდა მის მოთხოვნებს: უნდა წარედგინა კონგრესისთვის ოსმალეთთან შერიგების ყველა პირობა, უნდა დაეხია სტამბოლიდან 40 ვერსის მანძილზე და კონგრესზე საბერძნეთსაც ჰქონოდა ხმა (დროება 1878: №56). ე. ი. სან-სტეფანოს ზავის პირობა უნდა განეხილა ევროპის სახელმწიფოებს ბერლინის კონგრესზე. თუ ინგლისი და რუსეთი არ მორიგდებოდნენ, შესაძლებელი იყო უთანხმოება ომში გადაზრდილიყო (დროება 1878: №58). ასეთ ვითარებაში თურქეთი, გერმანული გაზეთების ცნობებით, ინგლისს 120 000 მეომრით დაეხმარებოდა. ინგლისი ბათუმის დათმობას არ აპირებდა, ვინაიდან ფიქრობდა, ბათუმის დათმობა ზიანს მიაყენებდა ინგლისს ინდოეთში. თუმცა, ვენის პრესის ინფორმაციით, რუსეთმა გადაწყვეტით მოსთხოვა ჯარების გაყვანა ბათუმიდან და ვარნიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალას გამოიყენებდა (დროება 1878: №92).

კონგრესს გერმანიის კანცლერი ოტტო ფონ ბისმარკი გაუძღვა. განხილვებში მონაწილეობდნენ ამერიკა, ინგლისი, რუსეთი, ავსტრია-უნგრეთი, იტალია და საფრანგეთი. ინგლისს ბენჟამინ დიზრაელი წარმოადგენდა. რუსულ დელეგაციას იმპერიული ჟანდარმერიის ყოფილი ხელმძღვანელი პიოტრ შუვალოვი ხელმძღვანელობდა.

სან-სტეფანოს ზავის პირობებიდან ჩანს, რომ განსაკუთრებული დავა წარმოებდა ბათუმის თაობაზე. ოსმალეთი უთმობს რუსეთს ბათუმს და შეთანხმების საფუძველზე ჯარი უნდა გაეყვანა აქედან. მაგრამ როდესაც ინგლისი და ავსტრია ჩაერია საქმეში, ინგლისმა მცირე აზია, ავსტრიამ კი ბულგარეთი მოითხოვა, ოსმალეთმაც უარი განაცხადა ბათუმის დათმობაზე.

რუსეთმა ვერ შეინარჩუნა მისთვის ხელსაყრელი ზავის პირობები. რუსეთის სამხედრო წარმატებებმა გამოიწვია ევროპის ქვეყნების შეშფოთება. მათ ეშინოდათ რუსეთის გავლენის ზრდისა ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში. აღნიშნული მიზეზით ინგლისმა კავშირი დადო ოსმალეთთან და შეჰპირდა მას რუსეთის წინააღმდეგ დახმარებას, სანაცვლოდ ოსმალეთს ინგლისისთვის უნდა დაეთმო კუნძული კვიპროსი. რუსეთი იძულებული გახდა მიეღო ევროპის სახელმწიფოების წინადადება კონფერენციის მოწვევის თაობაზე (სვანიძე 2007: 328-330).

კონგრესს თავის წინადადება წარუდგინეს სომხეთის წარმომადგენლებმა. ისინი არ მოითხოვდნენ ოსმალთაგან განთავისუფლებას, ისინი მოითხოვდნენ

> 1) არზრუმის, ვანისა და დიარბეკირის ვილაიეთებისგან და აგრეთვე ბათუმსა და ტრაპიზონს შუა ზღვის ნაპირა მიწებისგან შესდგეს ერთი განსაკუთრებული პროვინცია, რომელსაც მიენიჭება თავის მმართებლობა (ავტონომია); 2) ამ პროვინციის მთავარ მმართველად უნდა იქნეს ღუბერნატორი სომეხთაგანი, რომელსაც ოსმალეთი დანიშნავს და ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები დაამტკიცებენ ხუთის წლის ვადით (დროება 1878: №128).

სომხები იმედოვნებდნენ მათ წინადადებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდნენ კონგრესში, ვინაიდან ინგლისს მათი მხარე ეჭირა. როგორც ჩანს, სომხები ხაზს უსმვამდნენ იმ გარემოებას, რომ „ამ მაზრებს საზოგადოთ ოსმალეთის სომხეთს ეძახიან". მიუხედავად ამისა ამაო აღმოჩნდა მათი მოლოდინი. ვინაიდან *ეხოებისავე* შენიშვნით,

> ეს შემცდარი სახელი იყო: ბათუმისა და ახალციხის მხრით მდებარე ქვეყნები სომხებისგან არ არიან დასახლებულნი, არამედ გამაჰმადიანებულ ქართველებისაგან. სომხები მხოლოდ ქალაქებში სცხოვრობენ ჩილდირის და ყარსის სანჯაყებში, ისიც სულ 7500 სული. დანარჩენი მცხოვრებლები ამ სანჯაყებში არიან ქურთები, თათრები, ბერძნები, ჩერქეზები და სხ. (დროება 1878: №17).

ბერლინის კონგრესის რეზოლუციის 58-ე მუხლით განისაზღვრა ახალი საზღვარი და რუსეთს გადაეცა არტაანი, ყარსი და ბათუმი პორტითურთ, იმ პირობით, რომ ბათუმი უნდა ყოფილიყო პორტო-ფრანკო ანუ თავისუფალი ნავსადგური, რომლის გამოყენებას თავისუფლად შეძლებოდათ ამ სახელმწიფოთა ხომალდებსაც. მართალია, ბათუმი რუსეთს გადაეცა, მაგრამ რუსეთს არ შეეძლო თავისი სამხედრო ფლოტი გაეჩერებინა და ციხე-სიმაგრეებით გაემაგრებინა ქალაქი. გაზეთის ინფორმაციით, ამ გადაწყვეტილებით ყველაზე მეტად ისარგებლებდა ინგლისი, რადგან

> იმათა აქვთ ყველაზე უფრო მდიდარი ფლოტი, იმათა აქვთ ყველაზე უფრო გაჩაღებული ვაჭრობა და მაშასადამე ბათუმში იქნება მხოლოთ რუსეთის გამგეობა და სარგებლობა ბათუმისაგან, როგორც თავისუფალ პორტისაგან, როგორც ყოველგვარი საქონლის შესანახავ და გასაგზავნ-შესატან ადგილისაგან, ყველაზე უფრო მომეტებული ექნებათ ინგლისელებს (დროება 1878: №128); (დროება 1878: №164).

მიუხედავად კონგრესის გადაწყვეტილებისა, ოსმალეთი არ ჩქარობდა აჭარიდან ჯარის გაწვევას, ნელ-ნელა გაჰყავდა გარნიზონი ციხისძირიდან. დევრიშ-ფაშამ მოიხმო იმ სოფლების მამასახლისები ბათუმში, რომლებიც უნდა რუსეთს გადასცემოდა, და გამოუცხადა, ვისაც გსურთ შეგიძლიათ ჩვენთან ერთად წამოხვიდეთ ოსმალეთშიო. მხოლოდ კინტრიშის გაღმა მცხოვრებლებს გამოუგზავნია დეპუტატები ხუცუბანში ქვეშევრდომობის თხოვნით. ჩურუქ-სუს (ქობულეთი) უმრავლესობას გადაუწყვეტია ოსმალეთში გადასახლება. ჩაქველებს წინააღმდეგობის გაწევა გადაუწყვეტიათ. ამას რუსული ჯარის გადაადგილება არ შეუფერხებია, როგორც გაზეთ *ფხოებაში* გამოქვეყნებულ სტატიაშია აღნიშნული: „რაც უნდა იყოს, ჩვენი ატრიადი სიხარულით მიდის წინ და, უეჭველია, რომ რაც არ უნდა დაბრკოლება დახვდეს წინ, ახლა კი ჩავალთ ბათუმში“ (დროება 1878: №165).

ოსმალები და ინგლისელები აქტიურ აგიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში რუსების წინააღმდეგ. საამისოდ მოსახლეობას ფულსა და თოფ-იარაღსაც ურიგებდნენ (დროება 1878: №92); (დროება 1878: №105). როდესაც ხონთქარის გამოგზავნილი ფაშები გამოუცხადებენ ხალხს რუსეთთან შეერთებას, ბათუმის და ქობულეთის მცხოვრებლები განუცხადებენ, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომებად არ თვლიან თავს და აღიარებენ ინგლისის ქვეშევრდომობას. ლაზებს წერილიც კი გაუგზავნიათ ინგლისის სტამბოლელი ელჩი ლეიარდისთვის, რომ ისინი ინგლისის ქვეშევრდომებად თვლიან თავს და თუ რუსები შემოვიდოდნენ ინგლისის დროშას გამოფენდნენ (დროება 1878: №165).

ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ანტირუსული განწყობები ჩანს *ივეჰიის* კორესპონდენციაში, რომელიც გერმანული გაზეთის – "Politiche Correspondenz"-ის ინფორმაციას ეყრდნობა. წერილში აღნიშნული ყოფილა, რომ ოსმალებს დაუწყიათ საიდუმლო მოქმედება. დერვიშ-ფაშას 8 ივლისს მოუვიდა ინფორმაცია ბათუმიდან ჯარების გაყვანის შესახებ. მაგრამ იბრაიმ-ფაშამ საიდუმლო ბრძანება მოუტანა. ბრძანების მოტანის შემდეგ, დერვიშ-ფაშა ტრაპიზონიდან სასწრაფოდ გადმოვიდა და ლაზების თავკაცებს შეხვდა, მალე გამჟღავნდა მისი ჩამოსვლის მიზანი. ლაზებმა ხელახლა დაწერეს პროტესტი რუსეთთან შეერთების წინაღმდეგ. წერილში აღნიშნული იყო, რომ

> თავის დღეში არ დაუმორჩილდებიან რუსეთს, რომ მათი სარწმუნოება და სხვა საერო სიკეთე სამღთო ვალსა ჰსდებს ყოველი ზომიერება იხმარონ რათა მათი ქვეყანა რუსმა არ დაიპყრას და თუ ოსმალოს მთავრობა არ დაგვეხმარება ამაშიო, ჩვენ თვითონ ვეცდებითო ჩვენის სისხლით და ძვლებით დავიცვათ ჩვენი რჯული და თავისუფლებაო (ივერია 1878ა: №31).

ოსმალების თხოვნით ბათუმის დაცლა 25 აგვისტომდე გადაიდო (ივერია 1878: №32). ბათუმისა და საზოგადოდ, ოსმალეთისაგან დათმობილი მაზრების მისაღებად შეიქმნა განსაკუთრებული კომისია – თავმჯდომარედ დაინიშნა, კავკასიის არმიის მთავარსარდლის თანაშემწე თ. სვიატოპოლკ-მირსკი, წევრებად კი: გენრალ-ლეიტენანტი თ. ტრუბეცკოი, კავკასიის და ოსმალეთის საზღვრების ინსპექტორი გენერალ-მაიორი თ. გ. გურიელი და რუსეთის ადრინდელი ბათუმელი ელჩი კოლეჟსკი სოვეტნიკი ჯუდიჩე, ოსმალეთის მხრიდან ვარის მმართველი ნეად-ფაშა, სადიპლომატო ნაწილის მოხელე მირალაი ალი-ბეგი და „სეკრეტარი“ ოსმან-ბეგი (დროება 1878: №36); (დროება 1878: №166). 21 აგვისტოს ჩვენმა ჯარებმა ჩაიბარეს ციხისძირი. მიუხედავად დერვიშ-ფაშას აქტიური მოქმედებისა აჭარაში რუსების წინააღმდეგ, 26 აგვისტოს ბათუმში შევიდნენ რუსეთის ჯარები. დევრიშ-ფაშა და სხვა ფაშები იძულებული გახდნენ მიგებებოდნენ მათ, მოსახლეობაც მხიარულად შეხვდა რუსეთის ჯარს. ქობულეთში ოსმალებს ხმა გაუვრცელებიათ „რუსები სარწმუნოების საქმეში და ოჯახში შეგვავიწროებენო“, ამის ეშინოდათ. სერგეი მესხი აღნიშნავდა, რომ კარგი იქნებოდა რუსებს ქართული „დრუჟინის“ ჯარებიც წაეყვანათ ბათუმში. ვინაიდან ჩვენებური ჯარის დანახვა დაარწმუნებდა ადგილობრივებს, რომ „რუსები მართლა იმათი ქვეყნის ასაკლებად და ასაოხრებლად, იმათი სარწმუნოების შესავიწროებლად არ მოდიან“ (დროება 1878: №34); (დროება 1878: №174).

სერგეი მესხი წერილების სერიას უძღვნის 25 აგვისტოს ბათუმში რუსის ჯარის შესვლას და ადგილობრივების დახვედრას. აღნიშნული სტატიები იდენტობის თვალსაზრისითაც საინტერესო სურათს გვაძლევს ადგილობრივი ქართველების შესახებ. ამ მხრივ, საყურადღებოა ჩაქვში შესვლა და ჩაქვის ბეგის ჰუსეინ-ბეგი ბეჟან-ოღლის, ანუ ბეჟანიშვილის დახვედრის ეპიზოდი. ბეჟან-ოღლი ჩაქვსა და ბათუმში გამოჩენილი და წარჩინებული გვარი იყო. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ იგი გავლენიანი კაცი იყო თავის საგამგებლო ტერიტორიაზე, აქაურები რჩევა-დარიგებას ეკითხებოდნენ. მისი ადგილზე დარჩენა მაგალითი გამხდარა ჩაქვის მოსახლეობისთვის. ბეჟანიშვილის გადაწყვეტილების წყალობით ჩაქვის მაზრიდან ცოტა გადასახლებულა. აქვე ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ჰუსეინ-ბეგი კარგად ფლობდა ქართულად და მის ოჯახში ყველას სცოდნია ქართული წერა-კითხვა (დროება 1878: №176). ჰუსეინ-ბეგისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონია მის ძმისშვილს ჰასან ბეჟან-ოღლის, რომელიც იქაურებში ასევე ჭკვიან კაცად ითვლებოდა. ჰასან ბეჟან-ოღლი ქართულად კარგად მოსაუბრე ყოფილა, როგორც საზოგადოდ ყველა აქაური გამუსლიმებული ქართველი, მაგრამ „მიდრეკილებით, ხასიათით, ჩვეულებით, გონებით და გულით კი ნამდვილი მაჰმადიანია, მეტიც არის, ფანატიკოსია თავის სარწმუნოებაში". მას გარუსების ეშინოდა. მის სიტყვებსა და შეხედულებაში იკვეთება იქაური გამუსლიმებული ქართველების შეხედულება:

> რასაკვირველია, რუს ხელმწიფე ჩვენი სარწმუნოების შეცვლას და ჩვენ გარუსებას არ მოინდომებს, სთქვა იმან, მაგრამ ეს თავისთავად მოხდება. ჩვენ მუდამ თქვენში დავიწყებთ ტრიალს, მუდამ თქვენს ცხოვრებას დაუწყებთ ყურებას, ძალაუნებურად გადმოვიღებთ თქვენგან ჯერ გარეგან შემკულობას და მერე ზნეს, ხასიათს და სარწმუნოებასაც [...].
> ნაციონალობის ჰაზრი ხასან-ბეგს არა აქვს. თავის თავსა და ყველა იქაურ ქართველებს ის თათარს ეძახის. „ქართველო" რომ უთხრა აქაურ კაცს, თითქმის გინებათ ჩამოგართმევს, რადგან „ქართველი" (ხალხი) და „მართლ მადიდებლობა" (სარწმუნოება) ამათ ვერ გაურჩევიათ.
> ხალხში გავიგონე მე კიდევ შიში იმაზედ, რომ, რაკი ჩვენ სხვა სახელმწიფოს ხელში დავრჩებით, პარასკევის ლოცვის ნებართვა აღარ მოგვივა იმამისგან და ჩვენი „ჯამე" (მეჩეთი) მოგვესპობაო ... (დროება 1878: №184).

როგორც ამონარიდიდან ჩანს, ჰასან ბეჟან-ოღლის ენობრივი მარკერი შეუნარჩუნებია, შემოუნახავს ეთნიკური ფესვების ხსოვნაც, მაგრამ ოთხასი წლის ბატონობით შექმინლ რელიგიურ ერთობას ისეთი გავლენა მოუხდენია, რომ ეროვნულობის ნიშან-წყალი გაუქრია მასში. ჰასან ბეჟან-ოღლის მსგავსი პირების გავლენით ქობულეთიდან, ჩაქვიდან და ბათუმის ახლო-მახლო სოფლებიდან საკმაო ხალხი გადასახლებულა ოსმალეთში. დერვიშ-ფაშა დიდად უწყობდა თურმე ხელს ხალხის გადასახლებას. თუმცა, დერვიშ-ფაშასთვის ამ საქმის განხორციელებაში ხელი შეუშლია გ. გრიგოლ გურიელს, რომლის რჩევა-დარიგებებს დიდი გავლენა მოუხდენია ადგილობრივებზე (დროება 1878: №190).

საქართველოს ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის – ბერლინის ხელშეკრულების შედეგები დიდი ემოციით ფიქსირდება მედიაში. ხაზი ესმება „ოსმალოს საქართველოს" და დანარჩენი საქართველოს ყველა შემაკავშირებელ ფაქტორს. რუსეთ-თურქეთის ბერლინის შეთანხმებით, „ოსმალოს საქართველო" დედა-სამშობლოს შემოუერთდა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი უწინდელი განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა", სიხარულს და აღტაცებას ვერ მალავდა *ივერია*. ბერლინის ხელშეკრულებამ დიდი სიკეთე მოუტანა საქართველოს. „ამდენი ხნის დაშორებული ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარაო" – ამბობს ი. ჭავჭავაძე და მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, როგორც ძმებს შეეფერება „ისე დავხვდეთ, ჩვენი დაურღვეველი კავშირის გაბმა უეჭველიაო" (ივერია 1879: №1).

უმთავრეს პრობლემას ახალ შემოერთებულ საქართველოს ნაწილში წარმოადგენდა კულტურული უნიფიცირების საკითხი, რომლის მიღწევის ერთადერთი გზა იყო სწავლა-გა-

ნათლება. საამისოდ ხალხის თვითმოქმედების გამოფხიზლება იყო საჭირო, რათა საერთო საზრუნავად ქცეულიყო სასოფლო სკოლების გამართვა, არა მარტო აჭარა-ქობულეთში, არამედ მთლიანად საქართველოში (ივერია 1879: №1).

გულთბილად მიიღო ქართულმა ინტელიგენციამ თბილისში ჩამოსული დელეგაცია აჭარიდან, რომელშიც შედიოდნენ: ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი (ბეჟანიშვილი), ჰასან-ბეგ ბეჟან-ოღლი აბაშიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ბათუმის საასულიერო მსაჯული ჰასსან-ეფენდი (სურმანიძე), ჰუსსეინ-ბეგ სან-ჯაჰბეიშვილი, ოსმან-ბეგ მაქრი-ალი, აჰმედ-ეფენდი (მარადიდელი), ემინ-ეფენდი („არდანუჯელი"), ბერძნის მღვდელი, და სხვა (დროება 1878: №232). ბათუმის დელეგაციას ახლდა ბათუმის გუბერნატორი კომაროვი და ართვინის მაზრის უფროსი მ. მეფისოვი (დროება 1878: #233). ისინი შეხვდნენ სვიატოპოლ-მირსკის და შტაბის უფროსს პავლოვს. შეხვდნენ კავკასიის ნამესტნიკს და თავიანთი ერთგულება გამოუცხადეს:

> მათ შეიცვალეს სარწმუნოება, დაემორჩილნენ სხვა, უცხო ხელმწიფეს, განსხვავებულ კანონებსა და წესებს. მაგრამ ერთი შეხედვა საკმაოა, რომ ამათში ახლაც ძველი, ნამდვილი ქართველები გამოიცნოს კაცმა, იგივე სახე, იგივე ენა, ისვე მიხრა-მოხრა, ხასიათი, ზნე, ჩვეულება და სხვა ყველაფერი (დროება 1878: №232).

„ამ დღეს საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდით. ამით აქვს ამ დღეს – 1878 წლის 20 ნოემბერს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობა" – მიუთითებს ს. მესხი (დროება 1878: №239).

წერილში ქართული იდენტობის გამსაზღვრელ ნიშანთა შორის ენის გარდა დასახელებულია გარეგნობა, ხასიათი, ტრადიციები. ანუ აქ ჩანს, როგორც საერთო გვარტომობა, ისე ისტორიული მახსოვრობა. რელიგია ამ ყველაფერზე გავლენას ვერ ახდენს.

ქართველი ქრისტიანების და ქართველი მუსლიმების ერთობას მყარი საფუძველი შეუქმნეს იქაურმა ქართველებმა, მათ შორის, შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა მიუხედავად ოსმალთაგან მკაცრი მეთვალყურეობისა (მეგრელიძე 1963: 129-130), თავიანთი მოღვაწეობით და ქართველური შეგნებით (თეატრი და ცხოვრება 1915: №26: 5). თავის მხრივ დახმარების ხელი გაუწოდა ქართულმა საზოგადოებამ. ომში მიყენებული ზიანის აღსადგენად კინტრიშის მოსახლეობას სესხის სახით ოცი ათასი მანეთი დაურიგდა (დროება 1879: #103), ქობულეთელების დასამხმარებლად შეგროვდა შემოწირულობები (დროება 1879: #8).

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული გაზეთ *ფხოებაში* ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვრების გავლების თვალსაზრისით. ოსმალეთსა და რუსეთს შორის საზღვრების უქონლობა ხშირ შემთხვევაში უწესოებას იწვევდა და სვამდა საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. საზღვრების დამდგენი საგანგებო კომისიის შექმნამდე დროებითი საზღვრის გავლების მიზნით ბათუმის სამხედრო გუბერნატორის და ტრაპიზონის გუბერნატორის შეხვედრა შემდგარა (დროება 1879: №33).

გაზეთ *კავკაზის* ინფორმაციაზე დაყრდნობით *ფხოება* იუწყება საგანგებო სასაზღვრო კომისიის მუშაობის შესახებ. საზღვრების გაყვანაში მონაწილეობდნენ ჩვენი მხრიდან (ასე აღნიშნავს ავტორი) გენერალ-მაიორი სტებნიცი და ოსმალეთის მხრიდან ლაზისტანის გუბერნატორი ჰუსსეინ-ფაშა.

> ახალი ჩვენი სამზღვარი იწყება ბათუმიდამ 28 ვერსის სიშორეზედ შავი ზღვის ნაპირზედ, სადაც კოპმუშზედ პირველი სამანია დადგმული; ჩვენის მხრით, ამ სამანს (საზღვრის სვეტს) მარმარილოს ფიცარზედ აწერია „რუსეთი 1878 წ." და ოსმალეთის მხრით „ოსმალეთი 1878 წ." შემდეგ სამზღვარი აბუ-ისლისა და ლიმანის მთის ქედის წვერზედ გადის ხოფისა და არპავიესაკენ, ჯერ-ჯერობით სამზღვარი მარტო 40 $^1/_2$ ვერსზედ არის გაყვანილი"…. „ჩვენს სამზღვარში დარჩენილს მურღულისა და ჩხალის მაზრებში სულ მაჰმადიანი ქართველები და ლაზები დგანან".

აქვე გვაცნობებს, გასულ ღვინობისთვეს ოსმალეთის მთავრობის მიერ მურღულის მაზრის, ხათილას, ჩხალის ხეობისა და მასთან ერთად ორმოცდაათი სოფლის გადმოცემას (დროება 1880: №5).

მედიაში საკმაოდ დეტალურად არის გაშუქებული მიმდინარე ომის შედეგები. მტკივნეული პროცესებით წარიმართა მუჰაჯირობა. გაზეთის ცნობით, აფხაზეთიდან ოსმალეთში იძულებით გადასახლებულთა რიცხვი ოცი ათასს აღწევდა (მათ შორის, სამოცი კომლი აფხაზეთში მოსახლე მეგრელი ყოფილა). ისინი უკმაყოფილო იყვნენ თავიანთი ახალი მდგომარეობით, ამაო აღმოჩნდა ხონთქრის დაპირებებიც, და ომის დამთავრებას ელოდებოდნენ უკან დაბრუნების იმედით (ივერია 1877: №28). ყარსის მაზრიდან ოსმალეთში ორმოცდაათი ათასი სული, ბათუმის მაზრიდან შვიდი ათასი სული გადასახლებულა. როგორც ჩანს გადასახლებულები ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და უკან დაბრუნებას ითხოვდნენ (დროება 1880: №19). ბათუმის გუბერნატორს აჭარელთა გადასახლების საწინააღმდეგო ზომები მიუღია და საგანგებო განცხადება გაუკეთებია. ბათუმის გუბერნატორს განუცხადებია ხალხისთვის, რომ რუსის მთავრობა ყოველი ღონისძიებით ეცდებოდა მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებას, რომ არ ექნებოდათ ოსმალების დროს არსებულ გადასახადზე მეტი, ღარიბი ხალხი განთავისუფლდებოდა გადასახადისაგან, სარწმუნოებას არ შეეხებოდნენ, მათ სკოლებში მაჰმადის სჯულის სწავლება არ აიკრძალებოდა, შინაური ცხოვრება არ შეიცვლებოდა, ქალებს შეურაცხყოფას არ მიაყენებდნენ, ზოგ სამართლს მეჯლისი გადაწყვეტდა, ქურდობა-ყაჩაღობისგან მთავრობა დაიცავდა, მოსახლეობას „სალდათად“ არ გაიყვანდნენ, მხოლოდ მხარის დასაცავად „მილიციონერებად“ გამოვიდოდნენ, რომ თავისი ქვეყანა და მიწა-წყალი დაეცვათ მტრისგან. ამ პირობების შესრულება აუცილებელი იყო იმისათვის, რომ: „ეს ხალხი მამა-პაპეულ ადგილზე, მიწა-წყალზე დარჩეს, არ გადაიხვეწოს ოსმალეთში“. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები გამოცხადებულა აჭარა-ლივანაში, შავშეთ-იმერხევში და მურღულში (დროება 1880: №165).

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად რუსეთის იმპერიის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მის მფლობელობაში გადმოვიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების დიდი ნაწილი. ომის შემდეგ შემოერთებული ძირძველი ქართული ტერიტორიები გადანაწილდა არა მარტო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე, არამედ ყარსის ოლქზეც.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ მესხეთის მეორე ნაწილიც იყო შემოერთებული, სახელდობრ, აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. აქედან სამს ბათუმის ოლქი ეწოდა, ხოლო ერუშეთი, „ერტაანი“ და ოლთისი რუსეთის საზღვრებში მოაქცია, თუმცა ერუშეთი (ფოცხოვის უბანს) ყარსის მხარეს შვიდი-რვა თვის განმავლობაში მოწყვეტილი იყო და რის გამოც ფოცხოვის უბნის ბოქაული იძულებული გამხდარა ახალციხეში ეცხოვრა (ჯავახიშვილი 1919: 39).

მართალია, რუსეთის იმპერია საქართველოსთვის კი არ იბრუნებდა ოსმალეთისგან მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალს, არამედ საკუთარ საზღვრებს იფართოებდა (ქუმბურიძე 2016: 520) და მას პირველ რიგში იმპერიალისტური მიზნები ამოძრავებდა, თუმცა აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის შემოერთებით საბოლოოდ საქართველოს შეუნარჩუნდა ისტორიული მიწა-წყალი.

შემოერთებულ ქართულ ისტორიულ მიწა-წყალზე დამყარდა რუსული მმართველობა – შეიქმნა ბათუმის მაზრა და კავკასიის მეფისნაცვალმა დაამტკიცა „დროებითი წესდება ბათუმის მაზრის გამგეობაზედ“ (დროება 1878: №198). ბათუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა არტაანის „ატრიადის“ უფროსი გენერალ-მაიორი კომაროვი, მაზრის უფროსად კი თავადი გ. გურიელი, ბათუმის პოლიცმაისტერად მაიორი ჟურული (დროება 1878: №181).

1885 წელს ბათუმის ოლქი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა და დაიწყო ამ მხარის გარუსება. ზღვისპირა ზოლის საუკეთესო მიწები მეფის მთავრობამ გადასცა რუს სამხედრო პირებს და მსხვილ მოხელეებს (ივერია 1881: №11); (ივერია 1889: №263).

რუსული მმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის ათვისებას და კონტროლს. შავი ზღვის სანაპიროს საპორტო ქალაქებს – სოხუმს, ფოთს, ბათუმს განსაზღვრული პოლიტიკური თუ ეკონომიკური როლი დაეკისრა ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ცხოვრებაში: სოხუმი მნიშვნელოვან ფუნქციას იძენდა ვაჭრობაში, თუ ის რკინიგზის ერთი ტოტით ახალსენაკთან დაუკავშირდებოდა ამიერკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალს; ფოთი ამიერკავკასიის რკინიგზით ყველაზე ახლოს მდებარეობდა თბილისთან და კასპიისპირეთთან, რაც განაპირობებდა მის მონოპოლიას იაფფასიანი გადაზიდვების სფეროში შავი ზღვის მიმართულებით; ბათუმი, ხდებოდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სატრანზიტო ნავსადგური, რის გამოც ის ექცეოდა კაპიტალისტური გიგანტების სავაჭრო ინტერესების სფეროში. კავკასიაზე გამავალი რკინიგზის აშენება ბათუმს მსოფლიო ბაზრისთვის საწვავის მიმწოდებელ ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტად აქცევდა.

ამრიგად, ქართული ბეჭდური მედიის ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ პერიოდის ქართული საზოგადოების ნაწილის წარმოდგენით რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომი მნიშვნელოვანი შედეგით დასრულდა ქართული ერთობისათვის. ამ ომში საერთო მტრის დამარცხების და ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნების იმედით შექმნილი საქართველოს ერთობა რუსეთთან, იმპერიის ფარგლებში ქართული ტერიტორიების შემოერთებით დაგვირგვინდა. მართალია, იმპერიათა შორის დანაწილებულ საქართველოს გაერთიანებისათვის შემაფერხებელ ფაქტორად იქცა რელიგიური მარკერი („ოსმალოს ქართველების“ დიდი ნაწილი ისლამზე იყო მოქცეული), მაგრამ „ოსმალოს“ და „რუსეთის“ საქართველოს გამთლიანების პროცესს დიდად შეუწყო ხელი სისხლით ნათესაობის, საზიარო ისტორიული მეხსიერების, სახელოვან გმირთა კულტის, სულიერი სიმდიდრის შესახებ ხსოვნამ. ასეთ ვითარებაში განსაკუთღებული როლი შეასრულა ქართულმა ბეჭდურმა მედიამ. ქართული ინტელიგენცია ინტენსიურად აქვეყნებდა პუბლიკაციებს მედიის ფურცლებზე, რათა, ერთი მხრივ, თანაგრძნობა გაეღვივებინა ქართულ საზოგადოებაში და დიდი ეროვნული საქმისთვის კონსოლიდაცია მოეხდინა, მეორე მხრივ, ეჩვენებინა მკითხველებისთვის თუ რამდენად მტკიცე იყო იდენტობრივი მარკერები „ოსმალოს ქართველებში“. აღნიშნული აქტივობანი მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ეროვნული გრძნობის გაღვივება-გაძლიერებას და ახლადშემოერთებული ისტორიული მიწა-წყლის დანარჩენ საქართველოსთან კულტურული გამთლიანების პროცესს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის ომებმა დიდი გავლენა იქონია კავკასიის რეგიონზეც, მათ შორის, საქართველოზეც. ამ კონფლიქტების შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ადმინისტრაციული, რელიგიური, ეთნო-კულტურული, სოციალური და პოლიტიკური საზღვრები. „ოსმალოს საქართველოს“ საკითხის დღის წესრიგში დაყენებას მოჰყვა ეროვნული საკითხის აქტუალიზება, რამაც ქართული ერთობა საბოლოოდ მიიყვანე ეროვნულ თავისუფლებამდე.

დამოწმებანი

ახვლედიანი 1956: ხ. ახვლედიანი. *სახაღხო-განმათავისუფღებეღი ბრძოღის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში*, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი.

ბენდიანაშვილი 1973: ა. ბენდიანაშვილი. რუსეთ-თურქეთის (1877-1878 წწ.) ომი და საქართველო, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ., V. თბილისი.

ბერძენიშვილი და სხვები 1958: ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. *საქართველოს ისტორია (უძველესი ჟამიდან XIX საუკუნის დასასრულამდე)*, ტ. I, საბჭოთა საქართველო, თბილისი.

ბესკროვნი 1974: А. Г. Бескровный. *Русское военное искусство XIX века*, Москва.

ბუხაროვი 1878: Д. Бухаров. *Россия и Турция*, С.-П.

გურული 2017: ვ. გურული. *საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)*, წიგნი I, თბილისი.

გურული 2018: ვ. გურული. *საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918)*, წიგნი II, თბილისი.

გურული, ჯიქია 2015: ვ. გურული, ლ. ჯიქია. *საქართველოს ისტორიული ტერიტორიები ხუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში*, თბილისი.

ესაძე 1914: С. Эсадзе. *Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны*, Тифлис.

ვანიშვილი 1989: შ.ვანიშვილი. *ამიერკავკასია ხუსეთის მმართველობის სისტემაში 1864-1917 წლებში*, თბილისი.

ვაჩნაძე, გურული 2011: მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, *ისტორია, შედეგები, გაკვეთილები*, თბილისი.

იუზეფოვიჩი 2005: Т. Юзефович. *Договоры России с Востоком*, С.-П.

კაკაბაძე 1997: ს.კაკაბაძე. *ქართველი ხალხის ისტორია (1783-1921 წწ.)*, თბილისი.

მანია 2015: ქ. მანია. „ოსმალოს საქართველოს" გამაჰმადიანების პროცესი და ქართული იდენტობა („ივერიის" ზ. ჭიჭინაძისეული პუბლიკაციების მიხედვით), *ზაქარია ჭიჭინაძის 160 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, თბილისი.

მეგრელიძე 1963: შ. მეგრელიძე. *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან*, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

სვანიძე 2007: მ. სვანიძე. *თურქეთის ისტორია (1299-2000)*, თბილისი.

ტომკეევი 1909: А. А. Томкеев. Материалы для описания Русско-Турецкой войны 1877-1878 гг., на кавказском и малоазиатском театре с планами, т., V, С.-Пб.

ტომკეევი 1910: А. А. Томкеев. Материалы для описания Русско-Турецкой войны 1877-1878 гг., на кавказском и малоазиатском театре с планами, т., VI. С.-Пб.

ყაზბეგი 1888: Г. Казбек. *Военно-статистический и стратегический очерки Лазистанского Санджака*, Тифлис.

ყაზბეგი 1902: Г. Казбек. *Военно-статистическое описание Терской области*, Ч. 1-2, Тифлис.

ჩხარტიშვილი, მანია 2013-2014: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. „ოსმალოს საქართველო" ივერიის რეპრეზენტაციით. *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., №XV-XVI, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

ჯავახიშვილი 1919: ი. ჯავახიშვილი. *საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით*, სახელმწიფო სტამბა, ტფილისი.

ჭუმბურიძე 2016: დ. ჭუმბურიძე. საქართველო რუსეთის აღმოსავლურ ომებში, *საქართველო-ხუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში*, თბილისი.

ჯანელიძე 2005: ო. ჯანელიძე. *საქართველოს ისტორია XIX საუკუნე*, თბილისი.

დროება 1873: *დროება*, №9.

დროება 1875: *დროება*, №76; №80; №81; №85; №115; №116.

დროება 1877: *დროება*, №36; №39; №135.

დროება 1878: *დროება*, №2; №17; №34; №36; №56; №58; №92; №105; №128; №156; №164; №165; №166; №174; №176; №181; №190; №198; №232; №233; №239.

დროება 1879: *დროება*, №8; №33; №103.

დროება 1880: *დროება*, №5; №19; №165.

თეატრი და ცხოვრება 1915: *თეატრი და ცხოვრება*, №26.

ივერია 1877: *ივერია*, №7; №8; №15; №28; №32; №34.

ივერია 1878: *ივერია*, №31; №32.

ივერია 1879: *ივერია*, №1.

ივერია 1881: *ივერია*, №11.

ივერია 1889: *ივერია*, №263.

RUSSO-OTTOMAN WAR (1877-1878) AND GEORGIAN IDENTITY

Ketevan Mania
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
ketevan.mania@tsu.ge

The research analyzes the significance of the Russo-Ottoman (1877-1878) war for the history of Georgian identity according to printed media materials. The analysis of the issue is presented by observing public perceptions and values, the attitude of Georgians towards the Russo-Ottoman war is also shown: it is explained what caused Georgia's involvement in the war. Being a part of the empire, Georgians perceived participation in the war as a way to regain historical territory.

The Russo-Ottoman war of 1877-1878 ended with incorporation of some Georgian territories into the Russian Empire. Georgian intelligentsia faced the problem of cultural integration of the population of these lands: a large part of the Georgians lived in Ottoman Empire were already Muslims. The process of reconciliation between Christian and Muslim Georgians was greatly facilitated by shared historical memory. The Georgian print media played a special role in this process. The Georgian intelligentsia intensively published reports and papers in order to develop sympathy in the Christian Georgian society towards the Muslim Georgians and forge national unity.

ტერიტორიული და სოციალური ჯგუფების სალოცავებთან და საკულტო რიტუალებთან დაკავშირებული საკითხები ქართველი ხალხის ტრადიციულ კულტურაში (საველე-ეთნოგრაფიული წყაროების მიხედვით)

ნუგზარ მგელაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nugzar.mgeladze@bsu.edu.ge

ქართველი ხალხის სულიერი კულტურა სხვადასხვა რელიგიურ და იდეოლოგიურ წარმოდგენათა რთული სინთეზის საფუძველზეა წარმოქმნილი. ერთმანეთთან არც თუ ისე ახლოს მდგარი სოციალური და კულტურული ელემენტების მატარებელი ამგვარი რელიგიური სინკრეტიზმი მრავალფეროვანი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი კოლიზიებისა და შეხედულებათა შერწყმის შედეგად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა. ქვეყანაში ასეთ პროცესს, ერთის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის დომინირებადი მდგომარეობა განსაზღვრავდა, რომელიც ქართველებში მაინტეგრირებელ როლს ასრულებდა, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართველი ხალხის ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფში სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის მარავალწახნაგოვანი კომბინაციის ყოფა-ცხოვრებაზე სპეციფიკური ნიშან-თვისებებით ასახვა განაპირობებდა. საქართველოს ბარსა და, ნაწილობრივ მთიან ზონებში, უპირატესობა მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ჰქონდა, რომელიც, მაგალითად, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევში, მთულეთსა და გუდამაყარში, სვანეთში წინარე ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებით იყო გაჯერებული და „ხალხური ქრისტიანობის" იერსახეს ატარებდა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში – აჭარაში, რომელმაც გვიან შუა საუკუნეებში ოსმალური იმპერიის ძლიერი გავლენა განიცადა, ისლამი გავრცელდა. ამასთან სამცხე-ჯავახეთი ისეთი რელიგიური ტრადიციების გადაკვეთის ზონად გადაიქცა, როგორიც მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, გრიგორიანობა და ისლამი იყო. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეში „მსოფლიო რელიგიები" მრავალრიცხოვანი კულტებითა და საკულტო რიტუალებით იყო გართულებული.

ქართველ ხალხში მართლმადიდებლურ ქრისტიანობას სინთეზური ტიპის ჩვეულებათა ფორმირებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ბევრი რიტუალი, რომელიც დაკავშირებული იყო ბავშვის დაბადებასთან, ინიციაციასთან, ქორწინებასთან, მიცვალებულის გლოვასთან თუ მიცვალებულის დატირებასა და დაკრძალვასთან, სულის მოსახსენიებელ ცერემონიებთან და ცხოვრებისეული ციკლის სხვა ელემენტებთან, გარეგნულად ქრისტიანულ შინაარსს ატარებდა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი იმავდროულად უძველეს ავტოქტონურ სუბსტრატთან იყო გადახლართული და სწორედ ამიტომაც ისინი ერთმანეთისაგან რიგი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით განსხვავდებოდნენ (ერისტოვი 1855: 96-97); (ნოვიცკი 1858: 15); (რადე 1873: 37-38); (გურკო-კრიაჟინი 1928: 22-27, 33); (ყამარაული 1929); (კოვალევსკი 1930: 27); (ბუდოვნიცი 1930: 6); (შანშიევი 1931: 43). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, სადაც სოციალურ ორგანიზაციათა იდეოლოგიური ერთობისა და საკულტო რიტუალების თავისებური სისტემა ჩამოყალიბდა, ტერიტორიულ-კონფესიურ ჯგუფთა სალოცავების სტრუქტურა უშუალოდ იყო დაკავშირებული პატრონიმიული ორგანიზაციის კულტმსახურების ფორმებთან. XIX საუკუნეში საკულტო რიტუალები და სოციალური – ნათესაური ჯგუფების მიერ შესრულებული სადღესასწაულო ცერემონიები, ერთის მხრივ, ტერიტორიული გაერთიანების იდეოლოგიური ერთობის ინ-

ტერესებს ემსახურებოდა, ხოლო, მეორეს მხრივ, პატრონიმიული ორგანიზაციათა იდეოლოგიური ერთობის შენახვას უზრუნველყოფდა.

* * * *

ქართველი ხალხის რელიგიურმა აზროვნებამ განვითარების სხვადასხვა ეტაპი განვლო, დაწყებული უძველესი ადგილობრივი – ლოკალური კულტებიდან წარმართულ ღვთაებათა პანთეონამდე, ბოლოს კი, მონორელიგიამდე – ქრისტიანობამდე. ევოლუციის გვიანდელ საფეხურებზე სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემათა ზეგავლენამ და ამის საფუძველზე ქართულ ეთნოსში კულტურის ელემენტთა თავდაცვითი ფუნქციის გააქტიურებამ მართლმადიდებელი ერის გადარჩენის და თვითმყოფადობის შენარჩუნების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა. გვიან შუა საუკუნეებში ეროვნული ორგანიზმის ცალკეულ პერიფერიაში – აჭარაში, ტაო-კლარჯეთში, ნაწილობრივ სამცხე-ჯავახეთში, ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთში მეტ-ნაკლებად ორთოდოქსური ისლამი, ქრისტიანობის კათოლიკური და გრიგორიანული მიმართულებები გავრცელდა. იქ, სადაც ისლამი გავრცელდა, თავდაპირველად მას იდეოლოგიური ფუნქცია ჰქონდა, ხოლო, დროთა განმავლობაში, გახალხურდა, გადაეხლართა ადგილობრივ და ტრადიციულ ჩვეულებებს, თითქოს „გაქართულდა“ კიდეც, და „ყოფითი ისლამის“ შინაარსი შეიძინა. უცხო გავლენების ხარისხის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა რეალური ცხოვრების წესით, საოჯახო ურთიერთობათა ნორმებითა და ეთიკით, ტრადიციული ყოფითა და კულტურით, ეთნიკური ხასიათითა თუ ფსიქოლოგიით ეროვნულ ნიადაგზე დარჩა. ამის უდავო მოწმობაა ისლამის გავრცელების არეალებში ხშირად ნანგრევებად ქცეული წინაპართა ქრისტიანული სალოცავებისადმი მოსახლეობის ფაქიზი დამოკიდებულება და საზოგადოების სოციო-რელიგიურ სისტემაში ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენათა განსაკუთრებული როლი.

გვიან შუა საუკუნეებში, პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდში, საქართველოს ფეოდალური საზოგადოება და, შემდეგაც, თითქმის მთელი XX საუკუნის მანძილზე, მიუხედავად საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური სამსახურების მხრიდან ათეიზმის პროპაგანდისა, ტრადიციული სოციუმი ქრისტიანული – მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგული დარჩა. ყოფასა და კულტურაში მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობით რიტუალური ქცევები გარდაისახებოდა და, ხშირ შემთხვევაში, საეკლესიო-ქრისტიანული დღესასწაულები ხალხური ინტერპრეტაციით ტარდებოდა. საქართველოს მთიანეთის ერთ ნაწილში ქრისტიანულ კულტთა ხალხური გააზრება კიდევ უფრო ღრმად ტრადიციულ შინაარსს ატარებდა და ცალკეულ ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენათა ელემენტებს ითავსებდა, რაც ზოგადად მთისათვის დამახასიათებელ რელიგიურ ფორმათა ორიგინალურ სინკრეტიზმს ქმნიდა. სათემო იზოლაციაში ასახული მთისათვის ნიშანდობლივი სოციალურ-პოლიტიკური განსხვავებულობა, რელიგიური ვარიაციების შემონახულობასაც უწყობდა ხელს. განვითარებულ შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით XII-XIII საუკუნეებში, საქართველოს ერთიანობის – ცენტრალიზაციის იდეის მთაში ინტენსიური იმპორტი, რაც მთიელების მიერ სათემო სისტემაში ფეოდალური ინსტიტუტების დამკვიდრებად იყო აღქმული, მეტ-ნაკლებად წარმატებით მიმდინარეობდა. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეგრესის ხანაში, XIV საუკუნიდან, აღნიშნული პროცესი შესუსტდა, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ ხევისბერები იურიდიულად და, არა ფაქტობრივად, ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა სისტემაში იყვნენ ჩართულნი. საქართველოს სამეფო კარის ცდებს, რათა ფეოდალიზაციის გზით მთიანეთი საერთო ეროვნულ ორგანიზმში გაეერთიანებინა, ბუნებრივია, მთიელთა „მოქცევის“ სერიოზული მცდელობები ახლდა თან, რაც მთელი რიგი ავტორების მიერ შეფასებული და გაგებული იქნა როგორც აგრესია მთაზე, მაგრამ იმ დროის ფეოდალურ საქართველოში ეს კანონზომიერი მოვლენა იყო.

საქართველოში სეპარატიზმისაკენ მიდრეკილი მთისა და გაერთიანების სტადიაში მყოფი ბარის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი მრავალი კუთხით შეიძლება გაშუქდეს. ბუნებრივია, ერთიანობის იდეოლოგიური ბურჯი საქართველოში ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია იყო, რომელიც ამ იდეის ხორცშესხმის შესაძლებლობას მთი-

ელთა ჭეშმარიტ სარწმუნეობაზე მოქცევაში ხედავდა. ამ მიზნის მისაღწევად პოლიტიკური ხერხებიც გამოიყენებოდა. ამის გათვალისწინების საფუძველზე ალექსი ყამარაული შენიშნავდა, რომ ხევსურთა რელიგიაში მართლმადიდებლობის ნიშნები შეიძლება თავსმოხვეულად ჩაითვალოს, რელიგია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ხევსურთა ყოფაში თანდათანობით აღწევდა (ყამარაული 1929: 86). შეიძლება ავტორის ამ თვალსაზრისს არ დავეთანხმოთ იმაში, თითქოს ქრისტიანობა ხევსურებზე მხოლოდ მეფის მმართველობისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ იყო თავსმოხვეული. უპირველესად, არაა რთული ხევსურთა რიტუალიზებულ რწმენა-წარმოდგენებში ტრადიციულ რელიგიასთან შერწყმული ქრისტიანობის საკმაოდ მძლავრი სიმბოლოთა ნაკადი შენიშნო, რომლის ჩამოყალიბებასაც ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი სჭირდებოდა და არა განვითარების შედარებით მცირე მონაკვეთი.

ვლადიმერ გურკო-კრიჟიანის დახასიათებით, დასავლეთ საქართველოს მთიანეთისგან, მაგალითად, სვანეთისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ხევსურეთში, ფეოდალიზაციის პროცესი ძალზე ეფემერული აღმოჩნდა, სადაც XV საუკუნისათვის მის ერთ ნაწილში ფეოდალურმა წყობამ ბატონყმური ურთიერთობებით მტკიცედ მოიკიდა ფეხი. ავტორის თქმით, გამომდინარე გვაროვნული წყობის უჩვეულო ცხოველმყოფელობიდან, ქვეყანაში არ იყო სოციალური წანამძღვრები ისეთი ფეოდალიზმის განმტკიცებისათვის, რომელსაც გარედან ნერგავდნენ. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლება მიუხედავად იმისა, რომ არსებითად ეფემერული იყო, ფეოდალური მმართველების – თიანეთის ერისთავების მიერ, მაგალითად, XVII საუკუნეში, ულმობელი ზურაბ ერისთავის დროს, ამა თუ იმ მომენტებში ხორციელდებოდა (გურკო-კრიაჟინი 1928: 33).

შესაძლოა, მსგავსი ფაქტების გათვალისწინების გამო იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფეოდალიზაციის პროცესს მკვლევართა დიდი ნაწილი უშუალოდ სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების ცვლილებებს, საზოგადოებრივი წყობისა და შესაბამისი სტრუქტურების შლას რომ უკავშირებდა. ლ. პანეკის დაკვირვებით, საზღვრისპირა მთიულეთში ფეოდალური საქართველოს სტრატეგიულად საიმედო რეგიონი ესაჭიროებოდა, რის გამოც მთიულთა მხრიდან ძირითადი შეხების წერტილები გამოხატული იყო სამხედრო ვალდებულებებში. მისი შეხედულებით, ფეოდალურმა საქართველომ მთაში ხელი შეუწყო სოციალური უთანასწორობის წარმოშობას, ცალკეული საგვარეულოს აღზევებას, ხევისბერთა სოციალური სტატუსის ზრდას. ლ. პანეკის მიხედვით, ადრე ხევისბერი როგორც ქურუმის, ისე უხუცესის ფუნქციას ითავსებდა (პანეკი 1946: 36). XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხევისბერები ძირითადად საკულტო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი, თუმცა, ამასთან, ისინი სათემო-ტერიტორიული გაერთიანებების მმართველობით, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდნენ.

საქართველოს მთისა და ბარის სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობები რელიგიურ ცნობიერებაზეც ახდენდა გავლენას. ამ თვალსაზრისით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს რაფიელ ერისთავის მოსაზრებები, რომლებიც ხევსურთა და ფშავთა რელიგიური მსოფლმხედველობის საკითხებს ეხება. რაფიელ ერისთავის თანახმად, ხევსურები და ფშავლები თავს ქრისტიანებად მიიჩნევდნენ, მაგრამ პრაქტიკულად რთულია განსაზღვრა თუ რომელ სარწმუნეობას განეკუთვნებოდნენ ისინი რეალურად. მისი დაკვირვებით,

> ფშავ-ხევსურები პატივს სცემენ ჯვარს უფლისა, წმიდა პავლეს და მთავარგელოზ მიქაელს, იმავე დროს რომელიღაც ღმერთებს ეთაყვანებიან: ანაშარის, ნახერელას, პირქუშს, კოპალას, იახსარს და ბევრ სხვას. მკრეხელობა იქნებოდა მათთვის წარმართები და კერპთაყვანისმცემლები გვეწოდა, იმიტომ, რომ მათ ღმერთი სწამთ; უწოდო მათ ქრისტიანები – მთლად მართალი არ იქნებოდა, იმიტომ რომ ისინი ქრისტიანული ეკლესიის რიტუალებისა და დოგმატებისაგან ძალზე შორს არიან. უეჭველია, რომ რომელიღაც ქართველი მქადაგებლის მიერ ეს ტომები ქრისტიანობაზე იქნა მოქცეული, მაგრამ რადგან იგი შემდგომ არ იყო არავის მიერ მხარდაჭერილი, დროთა განმავლობაში დასუსტდა (ერისტოვი 1855: 96-97).

ამ ვარაუდის დამამტკიცებელ არგუმენტებს რაფიელ ერისთავი ქურუმების მიერ წარმოთქმულ ლოცვებსა და ზოგიერთ წმინდანთა პატივისცემაში ხედავდა, რომლებიც, მისი დაკვირვებით, საეკლესიო ჩვეულებებიდან იყო აღებული. იგი ხევსურთა და ფშავთა სარწმუნეობის სექტურობას ანდა ქრისტიანობის სხვა რომელიმე მიმართულების განშტოებად მიჩნევის შესაძლებლობას უარყოფდა. რ. ერისთავის მიხედვით, ეს იყო საეკლესიო ჩვეულებებისაგან გადახვევის გზით მიღებული რელიგიური ნორმები. საყურადღებოა, რომ ფშავსა და ხევსურეთში არსებობს ეკლესიები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა იქ არ დადის და თავიანთ სალოცავებს ამჯობინებს (ერისტოვი 1855: 96-97).

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებს ვლადიმერ გურკო-კრიაჟიანიც გვთავაზობდა. მისი სიტყვებით, წინანდელი მკვლევრები, უბრუნდებოდნენ რა ამ, მართლაც, გასაოცარ ფაქტებს, უშვებდნენ ერთსა და იმავე შეცდომას: ისინი აქ სიმახინჯეს ხედავდნენ ან გადაგვარებას ერთ-ერთი მათთვის ცნობილი სისტემიდან – ქრისტიანობიდან და იუდაიზმიდან. ყველაზე გავრცელებულია აზრი, რომ ხევსურებთან ჩვენ ორმაგ რწმენას ვპოულობთ – ძველწარმართულთან ქრისტიანული წარმოდგენების ნარევს (გურკო-კრიაჟინი 1928: 22-27). ვ. გურკო-კრიაჟინი იქვე შენიშნავდა, რომ მან შატილში წმიდა მარიამის, მთავარანგელოზისა და წმიდა გიორგის სამი ხატი გამოიკვლია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ასკვნიდა, რომ გვაროვნული კულტი აქ ქრისტიანულ ტერმინოლოგიასთან მჭიდროდ იყო შერწყმული. ვ. გურკო-კრიაჟინის მონაცემებით, მთელი რიგი ფაქტებისა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანულ ფასეულობებს, რომლებმაც ხევსურეთში XII საუკუნეში დაიწყო შეღწევა, საზოგადოებაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. ისინი დროთა განმავლობაში შეიცვალნენ ანდა სულაც გაქრნენ (გურკო-კრიაჟინი 1928: 22-27).

სხვათა შორის, მკვლევართა დიდი ნაწილი სვანთა სარწმუნეობრივ კრედოსაც თითქმის ანალოგიური ინტერპრეტაციით ახასიათებდა და, შესაბამისად, ცდილობდა მათი ამა თუ რელიგიისადმი მიკუთვნებულობა განესაზღვრა. მაგალითად, ისააკ ბუდოვნიცი თვლიდა, რომ სვანები რელიგიისადმი გულგრილი დამოკიდებულებით იყვნენ გამორჩეულნი. ისინი უფრო წარმართნი არიან, ვიდრე ქრისტიანები (ბუდოვნიცი 1930: 6), თუმცა ი. ბუდოვნიცის ნაშრომის გამოსვლიდან წლის შემდეგ ზ. შანშიაშვილის მიერ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ამსახველი საინტერესო ნაშრომი გამოქვეყნდა, სადაც იგი მოცემული პრობლემის მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ანალიზს გვთავაზობდა. ავტორის დაკვირვებით, სვანთა ისტორიაში ეკლესია უზარმაზარ როლს თამაშობდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვის დაბადებასთან თუ ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ რიტუალურ ციკლს ასრულებდა, არამედ, უპირველესად, იმიტომ, რომ ეკლესია სვანთა ერთობის განმსაზღვრელ კერას წარმოადგენდა, ადგილს, სადაც მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა და, ხშირად, საერთო-სათემო განაჩენიც გამოჰქონდათ. იმდენად დიდი იყო საეკლესიო ფასეულობებზე ზრუნვა, რომ სვანები ეკლესიის გასაღებს თვით მღვდელს ე. წ. „ბჯ’საც“ („პაპა’საც“) კი არ ანდობდნენ, რომელსაც ეკლესიაში შესვლის ნებას მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ მოთხოვნილებათა აღსრულების დროს აძლევდნენ. სასულიერო წოდება საგვარეულოთი იყო წარმოდგენილი და მემკვიდრეობით გადადიოდა. საეკლესიო საქმიანობის გარეთ მღვდელი ჩვეულებრივი სვანი მეთემისგან არაფრით არ გამოირჩეოდა (შანშიევი 1931: 43).

სვანეთზე ანალოგიური მასალა იმავე წელს ბორის კოვალევსკიმ გამოაქვეყნა, რომელიც აღნიშნავდა, რომ კვირიკეს მონასტრის გასაღები და, საერთოდ, საეკლესიო ფასეულობები განსაზღვრული საგვარეულოდან არა მღვდელს, არამედ სპეციალურად ამისათვის არჩეულ პირს ებარა. იგი წერდა, რომ გარკვეული გვარის კოშკში, ხშირად, განსაკუთრებით ღირებული საეკლესიო ფასეულობები ინახებოდა. რაც შეეხება კვირიკეს, ფანგანის გვარიდან ორ მეკლიტურს დაცვის გაფრთხილებისა და მთელი თემის თანხმობის გარეშე არ ჰქონდა უფლება იქ ვინმე შეეშვა (კოვალევსკი 1930: 47). სასულიერო წოდების მემკვიდრეობით გადაცემა და სასულიერო საგვარეულოთა არსებობა XIX საუკუნის დასავლეთ საქართველოს არაერთ ფეოდალურ კუთხეში დადასტურდა. ეს სოციალური წრე ფეოდალურ საზოგადოებრივ სტრუქტურაში საყურადღებო ფენას წარმოადგენდა.

შუა საუკუნეების კავკასია ეთნო-რელიგიური სტრუქტურით საკმაოდ მრავალფერო-

ვანი და არაერთგვაროვანი იყო. განვითარებული და გვიან შუა საუკუნეებიდან კავკასიის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებისა და ადათების გვერდით ისლამის ორთოდოქსულმა ნორმებმაც მოიკიდა ფეხი, მაგრამ მსგავსად ქართველებისა, კავკასიის ხალხთა დიდი ნაწილის რელიგიურ ცხოვრებაში ისლამმა პრინციპული ხასიათის კორექტივები ვერ შეიტანა. თავის დროზე გუსტავ რადდემ აფხაზთა ყოფაში ეს ფაქტი თვალსაჩინოდ დააფიქსირა. ავტორი შენიშნავდა, რომ აფხაზმა და წებელდის მცხოვრებლებმა მნიშვნელოვანნილად შეინარჩუნეს მუჰამედის სწავლების მხოლოდ ზოგიერთი გარეგნული ფორმა და მას ძალიან მკაცრად არც კი იცავედნენ. შრომა ორივე მათგანისათვის უცხო იყო, ისე, როგორც სამურზაყანოელისათვის, რომელიც ქრისტიანობის წიაღში მხოლოდ გარეგნულად შევიდა. ყარაჩაელები, პირიქით, მკაცრი მუსლიმები იყვნენ. გუსტავ რადდე აფხაზთა დასახლების აღწერისას აგრეთვე შენიშნავდა, რომ აფხაზის უბადრუკი საცხოვრებელი უამინდობისაგან ნაკლებად დაცული იყო და სადღაც ტყეში განცალკევებით იდგა. ქედის ჩრდილოეთი მხარის მკაცრი ცის ქვეშ, იალბუზის ხედზე შობილი, მუშაობასა და შრომაში მუჰამედის მკაცრის სწავლების მიხედვით იზრდებოდა და დიდ სოფლებში საზოგადოებად ცხოვრობდა, მაგრამ თავის რწმენას იცავდა, რომლის შესახებაც აფხაზმა, რომელსაც ეკლესია არ გააჩნდა, ცოტა რამ თუ იცოდა (რადდე 1873: 37-38).

მოცემული საკითხების ირგვლივ საყურადღებო დაკვირვებები აქვს გ. ნოვიცკისაც. მკვლევრის თქმით, ნოღაის ტომის თათრების ყუბანზე შემოსევა, ყირიმელი ყაენების გავლენა, თურქთა შავ ზღვაზე ბატონობა და თურქ რელიგიურ მოღვაწეთა ქადაგება, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ყუბანის გაღმა მდებარე მთიელთა ტომებში ხელს უწყობდა ქრისტიანული რწმენის დასუსტებას, თუმცა იმ დროს ქრისტიანობა ჯერ კიდევ უმკლავდებოდა სიძნელეებს. მთიელებს შორის მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულს დაიწყო ისლამმა გავრცელება. ამ სწავლების გავრცელება იმანაც ბევრად განაპირობა, რომ მთიელებს შორის ქრისტიანულ რწმენას ჭეშმარიტი მიმდევრები არასოდეს ჰყავდა. ქრისტიანული წესები მათ მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც არასრულად აითვისეს და მას მუდამ წარმართულ წესებში ურევდნენ (ნოვიცკი 1853: 15).

კავკასიის სხვადასხვა ხალხში, ისლამის მეტ-ნაკლებად გავრცელების მიუხედავად, როგორც ვხედავთ, ყოფაში იგი სრულად არა მარტო ვერ დამკვიდრდა, არამედ ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეზე პრინციპული ზეგავლენაც ვერ მოახდინა. მაგალითად, ქისტ მუსლიმებთან სიახლოვის მიუხედავად, ხევსურებსა და ფშავლებზე ისლამის გავლენა არასოდეს ყოფილა საგრძნობი თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხევსურთათვის დამახასიათებელ პარასკევის დღის განსაკუთრებულობას, თავის გადაპარსვის წესს და სხვა მისთანებს (გურკო-კრიაჟინი 1928: 23). ასევე, ბალყარლები, მიუხედავად მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა, ისლამის სფეროში სვანებზე ვერ ახდენდნენ რამდენადმე მნიშვნელოვან გავლენას. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, და ეს ფაქტი, კერძოდ, ტრადიციული და სახელმწიფოებრივი სარწმუნეობის დაცვა, ეროვნული ინტერესებით იყო განპირობებული. ქართველი ხალხისათვის მართლმადიდებელი ეკლესია და მასზე აღმოცენებული ზნეობისა და ეთიკის ნორმები, მრევლის ქრისტიანული სარწმუნოებისადმი კუთვნილება, კონსოლიდაციისა და ერთობის მნიშვნელოვანი პირობა იყო. მოცემული ფაქტორის როლი საქართველოს ისტორიის ყველაზე რთულ ეტაპებზე მკვეთრად იჩენდა თავს. რაც უფრო ძველი წარმოშობისაა ერი, მით უფრო ტრადიციულია იგი. რაც უფრო ადრეულია ერში ქრისტიანობა და მასზე აღმოცენებული მორალი, მით უფრო ხალხური და ყოფითია ის. ქრისტიანობის ხალხურობა ერში მისი უძველესი დროიდან არსებობაზე მიუთითებს. ასე იყო საქართველოშიც. ქრისტიანობამ საქართველოში მისი ჩამოყალიბების ადრეულ საფეხურებზე დაიწყო გავრცელება. ამიტომ იგი საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში რიტუალიზებული და, შესაბამისად, გახალხურებული სახით იყო წარმოდგენილი. იმ ქვეყნებში, სადაც ქრისტიანობა შედარებით გვიან გავრცელდა და ორთოდოქსული ნორმებიდან ნაკლები გადახვევა განიცადა, ქრისტიანობა უკვე ჩამოყალიბებული სახით დამკვიდრდა. საქართველოში კი – ქრისტიანობა საზოგადოებრივი დონის და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ევოლუციის შესაბამისად ვითარდებოდა და მსოფლიო

მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი ნორმები ისე იხვეწებოდა, რომ ანგარიში ეწეოდა ყოფით თავისებურებებს, ცხოვრების ტრადიციული წესს, წარსულიდან მომდინარე ქრისტიანობამდელ ზნეობრივ და ეთიკურ პრინციპებს. ამდენად, საქართველოში მკაფიოდ გამოხატული ქრისტიანული დღესასწაულების გვერდით ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებებიც არსებობდა, სადაც ქრისტიანული ატრიბუტები მნიშვნელოვნად ჭარბობდა.

რელიგიის პრობლემა უშუალოდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის სოციალური ცხოვრების წესთან. აქედან გამომდინარე, პრობლემის უფრო სიღრმისეული ხედვის მიზნით სასურველია იგი განხილული იყოს ნათესაობის სისტემისა და ტრადიციული სოციალური ორგანიზაციის საკითხებთან კავშირში. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სათემო-ტერიტორიული გაერთიანებების სხვადასხვა ტაქსონომიური დონის საზოგადოებრივი უჯრედები, ნაწილობრივ ამ ასპექტითაც გავაანალიზოთ, კერძოდ, სახლთმეურნეობათა და პატრონიმიულ ორგანიზაციათა სტრუქტურები რელიგიური თუ კონფესიური ჯგუფების იდეოლოგიურ ერთობასთან და საკულტო რიტუალების ტრადიციულ ფორმებთან მიმართებაში წარმოვადგინოთ. იმის გათვალისწინებით, რომ ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები და, საერთოდ, რელიგიური ცნობიერების ფორმები საქართველოში განვითარების საკმაოდ ადრეულ საფეხურებზე ჩამოყალიბდა, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თავისებურებებში სოციალური კუთხით ზოგიერთი ისეთი არქაული ნიშანი გამოვავლინოთ, რომელმაც, მართალია, დროთა განმავლობაში ცვლილებები განიცადა, მაგრამ ამა თუ იმ სახით თავდაპირველი შინაარსი მაინც შეინარჩუნა. ამ კუთხით კვლევა მრავალმხრივაა გამართლებული, რადგან რელიგიური მიკუთვნებულობა ხშირად სოციალური სისტემის ისეთ მნიშვნელოვან ეროვნულ კომპონენტებზე ახდენდა ზეგავლენას, როგორებიცაა გვარსახელთა წარმოების წესი (მაგალითად, არც თუ ისე შორეულ წარსულში გრიგორიანელ ქართველთა ანდა მუსლიმ ქართველთა ტრანსფორმირებული გვარსახელები), ნათესაობის ლექსიკა (განსაკუთრებით მაშინ, როცა რელიგიური მიკუთვნებულობა ეროვნულობის ცნებასთან ტერმინოლოგიურადაც იყო გათანაბრებული), ტრადიციული წეს-ჩვეულებები, წინაპართა კულტი თუ პატრონიმიულ სახელწოდებაში გამოხატული საზოგადოებრივი ორგანიზაციის იდეოლოგიური ერთობა.

ამასთან, თუ თვალს გადავავლებთ საქართველოში გაფართოებული სახლთმეურნეობებიდან ლოკალურ ჯგუფთა წარმოქმნის პროცესს, ხოლო შემდეგ დასახელებული ტიპის სოციალური ორგანიზაციის სტრუქტურული განვითარების კანონზომიერებებს, მაშინ ნათელი შეიქმნება, თუ საიდან უნდა გაჩენილიყო ლოკალური ჯგუფის ფარგლებში არსებული ურთიერთმონათესავე ლინიჯების საერთო სარიტუალო ციკლი. ლოკალურ გაერთიანებათა ფარგლებში საკულტო რიტუალების თანხვედრილობას საერთო წინაპრიდან მომდინარე პატრილინეალური გენეალოგიური ჯგუფები ქმნიდნენ, რაც განსაზღვრავდა კიდეც საკუთრივ ლოკალური ჯგუფის მთლიანობასა და მათ იდეოლოგიურ ერთობას. ჩვეულებრივ, საკულტო-სარიტუალო ციკლი გენეტიკურად დაკავშირებული იყო სახლთმეურნეობაში არსებული პატრონიმიული ორგანიზაციის პირველად გენეალოგიურ სეგმენტთან ანუ მინიმალურ ლინიჯთან, რომლის, ისე როგორც მთლიანად სახლთმეურნეობის ერთობის, სიმბოლოს კერა წარმოადგენდა. კერა იყო გაფართოებული სახლთმეურნეობის სოციალური და იდეოლოგიური ერთობის გამომხატველი წმინდა ადგილი, რომელიც წინაპართა სულებთან ურთიერთობის ადგილადაც ითვლებოდა.

პირველადი უჯრედების სეგმენტაციის საფუძველზე საოჯახო სალოცავის დანიშნულება სოციალურად ფართოვდებოდა და იგი მცირე სამეურნეო-ნათესაური ჯგუფის, უმთავრესად მედიალური, ხოლო შემდეგ მაქსიმალური ლინიჯის ანუ ზოგადად პატრონიმიული ორგანიზაციის ფარგლებში ექცეოდა. თავდაპირველი კერა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში რჩებოდა სხვადასხვა ტაქსონომიური დონის სოციალური ორგანიზაციის საკულტო რიტუალების აღსრულებისას იდეოლოგიური მნიშვნელობის ცენტრად. დროთა განმავლობაში კი ის მივიწყებას ეძლეოდა, თუმცა გადმოცემების სახით ხანდაზმულ პირთა მახსოვრობაში ხანგრძლივად ინახებოდა. სოციალური ორგანიზაციის სეგმენტირებადი სტრუქტურა ახალი სალოცავების წარმოქმნას განაპირობებდა და ეს პროცესი უწყვეტ

ხასიათს ატარებდა. ამიტომაა ტერიტორიულ გაერთიანებათა სალოცავების გვერდით საქართველოში გვიანპატრონიმიული წარმოშობის გენეალოგიურ ჯგუფთა (სამეგრელოში „გომნაჭყანი'ს", დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეში „ბაბუიშვილობი'ს" ანდა „ბუნობი'ს") სალოცავებიც რომ ფიქსირდება, უმეტესად ზედაშეები, ნიშები და სხვა მისთანანი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ცალკეული დღესასწაულის წარმოშობას ზოგიერთი გადმოცემა კონკრეტულ პიროვნებას (ვთქვათ, „კოპალა'სა" და „იახსარს") – წინაპარს მიაწერს.

დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, სამეგრელოში, სოფელ კვაუთში ივნისში ჩატარებული დღეობის ე. წ. „ჭყვენირობის" გაჩენას ხალხური ტრადიცია წინაპარ „ჭვენა'ს" უკავშირებს, რომელიც ავტორიტეტითა და გონიერებთ გამოირჩეოდა. ეს დღეობა ჭვენას ჩამომავლებს თურმე მის სახელზე დაუწესებიათ. თავდაპირველად ჭვენირობა იმ სახლთმეურნეობაში ტარდებოდა, სადაც თავად „ჭვენა" ცხოვრობდა. მასში მონაწილეობას ჭვენას ჩამომავლები ღებულობდნენ. დროთა განმავლობაში, ჭვენირობა კვაუთის მთელი მოსახლეობისათვის საერთო გამხდარა. ორშაბათ დღეს კვაუთის სახლთმეურნეობები „ჭვენორობა'ს" ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად ხვდებოდნენ, სადაც საკლავიც იკვლებოდა. ნახურცილავში (თამაკონის ტერიტორიულ გაერთიანება, მარტვილის რაიონი), კვირას, ჯავახიათა, ჯოხიათა, ხურცილავათა გვარეულობის სახლთმეურნეობები ე. წ. „ტირიფობა'ს" დღესასწაულობდნენ. ნიშანდობლივია, რომ კვაუთისა და ნახურცილავის სახლთმეურნეობები მოცემულ დღესასწაულთა აღნიშვნის პერიოდში მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ. კვირას „ტირიფობა" აღინიშნებოდა, ხოლო ორშაბათს – „ჭვენირობა". ამ დღეებში მონათესავე სახლთმეურნეობები ერთმანეთს სტუმრობდნენ, ჩამომავლობასა და მოდგმას ლოცავდნენ.

მოყვანილი ეთნოგრაფიული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ საოჯახო კულტების ანდა ოჯახების მიერ საერთო დღესასწაულების სახით იდეოლოგიური ერთობა შემონახული იყო უმთავრესად სახლთმეურნეობისა და ლოკალური ჯგუფის სხვადასხვა ტაქსონომიურ დონეთა ფარგლებში, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებული ფუნქციური დატვირთვა პატრონიმიულ ორგანიზაციას, უმთავრესად, საერთო წინაპრის მახსოვრობაზე დაფუძნებულ შვიდთაობიან გენეალოგიურ, გვიანპატრონიმიული წარმოშობის ნათესაურ ჯგუფებს ჰქონდათ. რადგან პატრონიმიული ორგანიზაციის იდეოლოგიური ერთობა მნიშვნელოვანწილად წინაპართა კულტზე იყო დაფუძნებული, ამდენად ადგილობრივი საკულტო რიტუალების დიდ ნაწილში, შესაბამისად, ხაზგასმული იყო საერთო წინაპრიდან წარმომავლობის იდეა. ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, იმქვეყნიურ სამყაროში წინაპრები მათ შთამომავლობაზე – ნათესავებზე ზრუნავდნენ და საოჯახო კერის პერსონიფიცირების საშუალებით ერთი კერიიდან ნაყარ ოჯახებთან სულიერ კავშირს ამყარებდნენ. ამ შენთხვევაშიც ეს ფაქტორი ედო საფუძვლად იმ მრავალრიცხოვან რელიგიურ სიმბოლოსა და სოციალურ ჩვევას, რომლებიც საოჯახო კერას, როგორც სახლეულისა და მისგან წარმოქმნილი ლინიჯის წევრთა იდეოლოგიურ ცენტრს, პირდაპირ უკავშირდებოდნენ.

წინაპართან და მის შთამომავლობასთან – ერთიანი ნათესაური ორგანიზაციის წევრებთან სულიერი კავშირის ამსახველი მთელი რიგი სპეციფიკური ნიშანი, არაერთი მკვლევრის მიერ კავკასიაში შენიშნული და აღწერილი იყო ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედში. ბორის კოვალევსკის ცნობით, სვანური ოჯახისათვის გარდაცვლილი წევრები ცოცხლად აღიქმებოდნენ. ითვლებოდა, რომ ნათლობის დროს ისინი მშობლიურ სახლში მიდიოდნენ, სადაც მათთვის განსაკუთრებული სუფრა ეწყობოდა, ხის ჭიქებში არაყი ისხმებოდა, ინთებოდა სანთლები. მთელი სახლი დარეცხილი და დასუფთავებული უნდა ყოფილიყო, რათა გარდაცვლილები უსუფთაო დიასახლისზე არ განაწყენებულიყვნენ. ამ დროს მთელი ოჯახი ოთახის კუთხეში იმალებოდა და ჩუმად იყო, ხოლო ოჯახის უფროსი სუფრასთან არყიანი სასმისით ჩამუხლული იმყოფებოდა, ძვირფას გარდაცვლილებს ხვდებოდა და სასმისით ესალმებოდა. ოჯახის უფროსი სადღეგრძელოს წარმოთქვამდა. ამის შემდეგ ოჯახის წევრები ვახშმად სხდებოდნენ. სვანთა წარმოდგენებით მათთან ერთად წინაპართა სულებიც ვახშმობდნენ. ბ. კოვალევსკის დაკვირვებით, სვანები იმ ღამეს არ იძინებდნენ, რათა გარდაცვლილის სუ-

ლებს ცივი ღამის წყვდიადში არ შესცივებოდათ, მარტოობა არ ეგრძნოთ და არ მოეწყინათ. გარდაცვლილები მშობლიურ სახლს უახლოეს ორშაბათამდე სტუმრობდნენ. იქვე ავტორი აღწერს მიცვალებულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ დღესასწაულს – „მარიობა'ს" (15/28 აგვისტო), რომელიც მისი წყაროებით, სააღდგომო და წმინდა ორშაბათისათვის დამახასიათებელ ჩვეულებათა ნარევს წარმოადგენდა. მოსახლეობა დილიდანვე სოფლის სასაფლაოზე იწყებდა სვლას და სუფრას მოსახსენიებელი საჭმელ-სასმელით აწყობდა. ამ დღეს სტუმრებიც მოდიოდნენ. თითოეული ოჯახი სუფრას თავის საგვარეულო კუთხეში, ზოგან კი – დაფარულ საძვალეებთან აწყობდა. ცალკეულ საფლავთან სუფრა არ იყო გამართული და მხოლოდ კაბა იყო გაშლილი, ანდა სატევარი იდო. ღვთისმშობლობის დღეს გარდაცვლილთა ნათესავები საფლავიდან მათ საგნებს იღებდნენ. ისინი განსაკუთრებით მონდომებულნი იყვნენ, მოთქვამდნენ, გოდებდნენ, თმებს იგლეჯდნენ. ამ ტიპის მასალათა ანალიზის საფუძველზე ბ. კოვალევსკი თვლიდა, რომ მიცვალებულის კულტი პირველი ანიმისტური კულტი იყო, რომელიც გვაროვნულ საზოგადოებაში ვითარდებოდა და სხვადასხვა ჩვეულებებით ივსებოდა. სისხლისმიერი კავშირებით წარმოქმნილი კულტები რწმენა-წარმოდგენათა შრეებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის მოხუცთა პატივისცემას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სიკვდილის ფენომენის ამოუხსნელობას ადამიანი გრძნობებისგან დაცლილ მიცვალებულთა თაყვანისცემამდე მიჰყავდა, მიცვალებულების, რომლებმაც სხვა სამყაროში გადაინაცვლენ (კოვალევსკი 1930: 117-118).

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის სხვა ავტორებიც წინაპართა კულტის არსებობას გვაროვნული იდეოლოგიის პროდუქტად მიიჩნევდნენ. ვ. გურკო-კრიაჟინი აღნიშნავდა, რომ წინაპართა კულტის შესახებ ხევსურთა რწმენა წინაპართა გვაროვნულ ორგანიზაციაში ჩაისახა. ასეთი რწმენა სულების იმქვეყნად არსებობის წარმოდგენებს ემთხვეოდა. ხევსურები მათ წინაპართა სულებზე ზრუნავდნენ, საჭმელ-სასმელს აწვდიდნენ და არაერთ მაგიურ რიტუალსაც ასრულებდნენ (გურკო-კრიაჟინი 1928: 27). ლიტერატურული წყაროებისა და საველე-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში წინაპართა ხსოვნა და მახსოვრობა თანხმლები ჩვეულებათა ციკლით პატრონიმიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ტიპოლოგიური მახასიათებელი იყო. პატრონიმიული ორგანიზაცია პირველყოფილი საზოგადოების გვარისაგან ამითაც მკვეთრად განსხვავდებოდა. ლუის ჰენრი მორგანის მიერ შემოთავაზებულ იმდროინდელ გვარს საწყისი და ბოლო არ გააჩნდა. პრინციპში იგი არასეგმენტირებადი სოციალური ორგანიზაცია იყო. წევრთა ცნობიერებაში ეპონიმი, როგორც რეალური წინაპარი, აღქმული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის თეორიულად შექმნილი სოციალური ორგანიზაციის წარმომადგენლები ერთმანეთთან საერთო წარმომავლობით იყვნენ დაკავშირებულნი. წარმოშობა და ნათესაობა საერთო ტოტემურ სახელწოდებაში იყო გამოხატული. პატრონიმიული ორგანიზაცია, პირიქით, ეპონიმის მიხედვით იყო სახელდებული, ჰქონდა საწყისი და ბოლო, მისი წევრების მიერ განვითარების ხაზი გაცნობიერებული იყო. პატრონიმიული ორგანიზაციის ნათესაური სეგმენტების გენეალოგიური ხე როგორც ცოცხალ, ისე გარდაცვლილ ინდივიდებს აერთიანებდა. გარდაცვლილთა წრე რეალურად არსებულ ნათესავებსა და მათ ჩამომავლებს მოიცავდა, ცოცხალ შთამომავლებს ისინი ახსოვდათ, მათზე ზრუნავდნენ და მათთან სულიერ კავშირს ინარჩუნებდნენ. წინაპართა კულტის მიმართ სათუთი დამოკიდებულება სწორედ აქედან გამომდინარეობდა, რაც რიტუალიზებული ჩვეულებების გულმოდგინედ შესრულებაში იყო გამოხატული. საერთო წინაპრისადმი კუთვნილება და აქედან გამომდინარე სოციალური ჯგუფის წარმომავლობითი ერთობა სოციალური ჯგუფის პირველსაცხოვრისთან დამოკიდებულებასაც განსაზღვრავდა, მითუმეტეს, როცა წინაპრის წარმომავლობა და სახელი ამ სამოსახლოსთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც იყო წინაპრის კულტი პატრონიმიული ორგანიზაციის იდეოლოგიურ ერთობასაც რომ განაპირობებდა.

სამეგრელოში, სოფელ სალხინოში სულუხიას გვარსახელით ცნობილი ორასამდე ოჯახი სახლობს. ისინი თავის პირველსამოსახლო ადგილად ოჩამჩირის რაიონის სოფელ იორს თვლის, სადაც მათი წინაპრები წმიდა გიორგის ეკლესიის მრევლში იყვნენ გაერთიანებულნი. სოფელ სალხინოში მცხოვრები სულუხიები შეპირებულ მსხვერპლს, უმეტ-

ესად ცხვარს, კერძოდ, ვერძს – „ერჯს“, ზოგჯერ ხარსაც, სოფელ იორის წმიდა გიორგის ეკლესიაში სწირავდნენ. ამიტომ, ღმერთის ნების აღსასრულებლად ისინი სოფელ იორში მიემგზავრებოდნენ. ამ გვარის ყველა წევრი წელიწადში ერთხელ – წმიდა გიორგის დღეს, ხარს საერთო ძალებით იძენდა. ნათესავურ გაერთიანებაში ამის ორგანიზაცია ხალხური ჩვეულებებისა და ადათების მცოდნე მორწმუნე პირს, ე. წ. „მახვამერს“ ევალებოდა. „მახვამერი“ იმავდროულად სოციალური ჯგუფის წინამძღოლად მიიჩნეოდა და ლოცვის დღეს „მახვამერ უჩაშ კოჩად“ იწოდებოდა. საერთო ძალებით ნაყიდ ხარს იგი თავის კარმიდამოში ინახავდა. წმიდა გიორგის დღესასწაულის დღეს მის სახლში სოფელ სალხინოში მცხოვრებ სულუხიათა უფროსი მამაკაცები იკრიბებოდნენ და „მახვამერი უჩაშ კოჩი'ს“ წინაშე იჩოქებდნენ. უჩაშ მახვამერს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, ხარს მუხლმოდრეკილი მამაკაცების ირგვლივ შემოატარებდა და ყველას ლოცავდა: „წმინდა გიორგი შენ დაეხმარე ჩვენს შთამომავლობას, იყავი მისი მეურვე და მფარველიო“. ამის შემდეგ იგი სოფელ იორის გზას ფეხით გაუყვებოდა და თან ხარს გაიყოლებდა. წმიდა გიორგის ეკლესიაში მსხვერპლის შეწირვაში მას თავისივე სანათესაოდან შერჩეული ახალგაზრდა მამაკაცი ე. წ. „გამყოლი“ ეხმარებოდა.

ანალოგიური მასალები სამეგრელოს სხვა რეგიონებშიც დადასტურდა. ეთნოგრაფიული წყაროებით, კუპრავათა გვარეულობის წინაპარი წარმოშობით ილორიდან (ოჩამჩირის რაიონი) ყოფილა. პირველსაცხოვრისს მოწყვეტილი საგვარეულოს გენეალოგიური განშტოება ყოველწლიურად გიორგობის დღეს (15 ნოემბერს) „ილორობა'ს“ დღესასწაულობდა. ამ დღესასწაულზე სოციალურ ორგანიზაციაში გაერთიანებული მამაკაცები მონაწილეობდნენ, ქალები კი – არა. დასახლებაში შესაწირავი ხარის შესაძენი თანხა გროვდებოდა, მზადდებოდა ე. წ. „საილორო ღვინო“. კუპრავათა გვარეულობის *„დუდი კოჩი“* (თავი კაცი) დღეობის ორგანიზატორად და მთავარ მლოცველად ითვლებოდა, ხარიც მის ოჯახში იკვლებოდა. ეს ოჯახი დასახლების შუაგულში მდებარეობდა. ილორობას ნათესაობის ყველა წევრს ყველი, ნამცხვარი, ხაჭაპური, მჭადი მიჰქონდა. სამსხვერპლო ხარი ჭურის მახლობლად „დუდი კოჩი'ს“ მიერ იკვლებოდა. ხარს ჭურის მახლობლად მდებარე ნიგვზის ხეზე ჩამოჰკიდებდნენ და შესწირავდნენ. დუდი კოჩის ორი ჭური ჰქონდა, სადაც ამ დღისათვის განკუთვნილ წინასწარ დამზადებულ წმინდა ღვინოს ასხამდნენ. დამატებით ერთი-ორი ბოთლი ე. წ. „საილორო ღვინო“ ილორობას ყველა ოჯახს მოჰქონდა. ნათესავები დუდი კოჩის სახლთმეურნეობაში დილიდანვე იკრიბებოდნენ. ჭურის მოხდის შემდეგ დუდი კოჩი სასმისს პირველი აიღებდა და წმინდა ღვინით საგვარეულოსა და ლინიჯის ტიპის გენეალოგიურ ჯგუფებს ლოცავდა, გამრავლებას უსურვებდა. შეწირული ხარის ხორცს იქვე მიირთმევდნენ, ხოლო დარჩენილს ყველა ოჯახი თანაბრად ინაწილებდა. ხარის თავიც იქვე იხარშებოდა, ტყავი კი – დუდი კოჩს საჩუქრად გადაეცემოდა. ხშირად, ამ დღეს ილორის ეკლესიაშიც მოილოცავდნენ. საერთოდ, საგვარეულოთა მონათესავე შტოები ცდილობდნენ დღესასწაული იმ თავდაპირველ და ძირითად სახლთმეურნეობაში აღენიშნათ, საიდანაც იყარნენ და მომრავლდნენ. უმეტესად ამავე სახლთმეურნეობაში ცხოვრობდა „უჩაშ კოჩი'ც“.

სოფლად პატრონიმიული ორგანიზაციის ყველა გენეალოგიურ შტოს როდი გააჩნდა ამ ტიპის სალოცავი, მაგალითად, შუშანიათა საგვარეულოს, მაგრამ მათ პატივისცემას ტრადიცია მოითხოვდა. სოფელ კვაუთში (სენაკის რაიონი) ბარქაიათა საგვარეულოს საკულტო სარიტუალო ადგილი *„ჯინჯ ყუდე'ში“* ჰქონდა, სადაც ამ სოციალური ორგანიზაციის „უჩაშ კოჩი“ სახლობდა. უჩაშ კოჩის, ამ შემთხვევაში კი – მთავარი მლოცველის ხელმძღვანელობით სოფელ კვაუთში მცხოვრები ბარქაიათა ნათესაური ჯგუფთა სახლთმეურნეობები წინასწარ შეთანხმებულ განსაკუთრებულ დღეს სწორედ აქ – *„ჯინჯ ყუდე'ში“* იკრიბებოდნენ. უჩაშ კოჩი მათ ღვინით უმასპინძლდებოდა, ხოლო სანადიმო სუფრა მონათესავე სახლთმეურნეობების საერთო ძალებით იშლებოდა. ამ დღეს მოზვერი იკვლებოდა. სანათესაოს დაჩოქილ მამაკაცებს უჩაშ კოჩი სანთლებს შემოავლებდა და ლოცავდა: „გემრავლას ჩქიმი გვარიო“. ნადიმზე პირველი სადღეგრძელო სოციალური ორგანიზაციის უჩაშ კოჩის სახელზე ისმებოდა. სალოცავზე სიძეები, რძლები და, ხშირად, სახლთმეურნეობებიდან გათხოვილი ქალიშვილებიც მონაწილეობდნენ, თუმცა ეს უკანასკნელნი, განსხვა-

ვებით ქორწინებით შეძენილი დამოყვრებული პირებისაგან, მამისეული პატრონიმიული ჯგუფის სალოცავთან – „ჯინჯი ხატთან“ (ძირი ხატთან) განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. გათხოვილი ქალიშვილები მამისეულ „ჯინჯ ხატს“ ყოველწლიურად ერთ შერჩეულ დღეს ეწვეოდნენ, გადიოდნენ წინაპართა საფლავებზე (მგელაძე 1987ბ).

დღესაც სოციალური ორგანიზაციის წევრები ცდილობენ დაადგინონ მათი პირველსაცხოვრისის წინაპართა სალოცავი ადგილები. ამგვარი პირველსაცხოვრისების თაობაზე სოციალური ორგანიზაციის ხანდაზმული წევრები გადმოცემებს ინახავდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ. წინაპართა საცხოვრისებთან კავშირების შენარჩუნება ანდა აღდგენა, ბუნებრივია, ხშირ მიმოსვლასა და ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთა დაახლოებას, სავაჭრო-ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობის გაღრმავებას განაპირობებდა. სამეგრელოში, სოფელ ნოჯიხევში მოსახლე ცხადაიათა საგვარეულოს წინაპრები იმერეთში, შორაპანში, სალოცავად „ჯინჯი ხატში“ ყოველწლიურად დადიოდნენ. გადმოცემით, სოფელ ნოჯიხევში განსახლებული ცხადაიათა საგვარეულოს ამ შტოს წინაპრები წარმოშობით შორაპანიდან ყოფილან და გვარსახელ ცხადაძეს ატარებდნენ. გარკვეული მიზეზით, სისხლ-მესისხლეობის გამო, სამი საგვარეულოს – წულაძის, იაშვილისა და ცხადაძის წინაპრები შორაპნიდან სამეგრელოში გადმოსულან და სოფელ ნოჯიხევში დასახლებულან. იაშვილი ნოჯიხევში არსებული ფერდობის ზემო კალთაზე, წულაძე (თუ იოსავა?) კი – სოფელ ბიაში დამკვიდრებულა, ხოლო ცხადაძემ, სადაც დაიდო ბინა და გამრავლდა, უბანი „საცხადიო“ წარმოქმნა, შემდეგ კი უბან „ნაფოშტვარი'ს“ ტერიტორიაზეც განსახლდა. სამეგრელოში კავშირს იმერეთში მდებარე წინაპართა ძველ სალოცავებთან სწორედ მათი ნამრავლი ინარჩუნებდა (მგელაძე 1987გ).

საქართველოში პატრონიმიული ორგანიზაციის ბუნება სალოცავთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათზეც ზემოქმედებდა, რომელთაც, ხშირად ნათესაობის სისტემის პრინციპი და საერთო წარმომავლობის იდეა ედო საფუძვლად. ეს პრინციპი მუდამ განსაზღვრავდა ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის ფარგლებში გაერთიანებული სოფლების მჭიდრო კავშირს, უფრო მეტიც, მეზობელი ტერიტორიული გაერთიანებებისა და ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის კეთილგანწყობასაც კი. ამ ტიპის ტერიტორიულ-კონფესიურ ჯგუფების სალოცავთა სახელები ლეგენდარულ პიროვნებებად იყო აღქმული. მაგალითად, ფშავში ასეთი იყო ძმების – კოპალასა და იახსარის სალოცავები, რომელთაც ფშაური ოჯახების მიგრაციასთან შესატყვისობაში სხვადასხვა რეგიონში ნიშების სახით მონათესავე განშტოებებიც კი ჰქონდათ. მაღაროში – „კართანა მაღაროში“ კოპალეს მთავარი სალოცავი („ხატი“) ე. წ. „ბერი კოპალე“, იგივე, „გმირკოპალე“ ფშავში, უძილაურთას სახელწოდების ტერიტორიულ გაერთიანებაში, ადგილ ციხე-გორაზე მდებარეობდა, ხოლო იახსარის ხატი მოთავსებული იყო ე. წ. „ავი გორა'ზე“ („ავგორა'ზე“). იახსარსა და კოპალეს ურთიერთშორის „საძმო“ ჰქონდათ და ეხმარებოდნენ კიდეც ერთმანეთს. მათ „კვირა“ და „ფუძის ანგელოზი“ მფარველობდა. ფუძის ანგელოზები შემდეგ სალოცავებად ქცეულან. ფშავის „ფუძის ანგელოზი“ და გუდამაყარში მდებარე სალოცავი „პირიმზე“ დაძმა იყო (მგელაძე 1987ა).

საქართველოს მთიანეთსა და ბარში მიგრაციული პროცესების ინტენსივობის შესამცირებლად, რაც ბუნებრივი დივერგენციითა და პოლიგენურ გარემოში გენეალოგიური განსახლების ტენდენციებით, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული, დასახლებებში ტრადიციული ჩვეულებითი ნორმები მოქმედებდა, როცა მონოგენური უბანი თავის რიგებში უცხოს – მოსულ ინდივიდს არ აწევრიანებდა და თუ აწევრიანებდა, ისიც იმ შემთხვევაში მოსული თავის გვარსახელს თუ შეიცვლიდა და დამხვდურთა გვარზე დაეწერებოდა (ხარაძე 1947: 1949: 195); (კანდელაკი 1972); (კანდელაკი 2001); (მგელაძე 2004). აღმოსავლეთ საქართველოში წარმოქმნილ მიგრაციულ ნაკადს, რომელიც ამა თუ იმ ადგილას მკვიდრდებოდა, პირველსაცხოვრისის სალოცავის შესახებ ხსოვნა თან მიჰქონდა, ხშირად სალოცავის ნიშს ახალსამოსახლოში ამკვიდრებდა, შესაბამისად, მამაპაპისეული სალოცავები წინაპართა პირველსაცხოვრისთან მათ ხანგრძლივ სულიერ კავშირს უზრუნველყოფდა, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში. სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ამიტომ განიხილება სალო-

ცავები სოციალურ ჯგუფთა პირველსაცხოვრისის დადგენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წყაროდ (თოფჩიშვილი 1984: 64-93).

მიგრანტებს ახალსამოსახლოში მამა-პაპისეული სალოცავები იმიტომ გადაჰქონდათ და ახალ ადგილას ამ სალოცავის ნიშებს იმიტომ ამკვიდრებდნენ, რომ სადღესასწაულო დღეებში ძირითადი სალოცავები და მათი ნიშები მოენახულებინათ და ასე ერთმანეთთან კავშირი არ დაეკარგათ. ღვთაებათა პანთეონში ადამიანის სულიერი ყოფისათვის დამახასიათებელი ნათესაობის სწორედ მსგავსი პრინციპების არსებობა გვიბიძგებს საზოგადოებრივ ფორმათა იდეოლოგიურ ერთობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, პატრონიმიული ტიპის სოციალურ ორგანიზაციათა სალოცავების თავისებურებები და საკულტო რიტუალები თანმიმდევრულად განვიხილოთ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სოციალურ და რელიგიურ სტრუქტურაში გაცილებით მეტი არქაიზაცია შეინიშნება, ვიდრე საქართველოს ბარსა და დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ბუნებრივია, სვანეთის გამოკლებით. საქართველოს ბარში დიდი იყო ეკლესიის როლი და ქრისტიანული ნორმატივების საზოგადოებაზე გავლენა. პრობლემის შესწავლის პროცესში განსაკუთრებით უნდა იყოს გათვალისწინებული შედარებითი კვლევა, რაც საქართველოს რეგიონების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფარგლებში რელიგიის სოციალურ მხარეზე უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის.

XIX საუკუნეში საქართველოს ბარში სოფელს და უფრო დიდ სათემო-ტერიტორიულ დასახლებასაც, პატარა მოქმედი ეკლესია ჰქონდა. ქართულენოვან მოსახლეობაში მას „ეკლესია", ზოგან კი – „საყდარი" ეწოდებოდა, ხოლო ქართულის მონათესავე ზანურის მეგრულ და ლაზურ განშტოებებში – „ოხვამე". მაგალითად, სამეგრელოში ასეთი იყო „მანცავაკარის ეკლესია""(აბაშა), სოფელ კვაუთში (სენაკის რ-ნი) „მთავარანგელოზის ეკლესია", მუხურში „წმიდა გიორგის ეკლესია". ეკლესიისაგან განსხვავებით შედარებით მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელი იყო „მონასტერი". მონასტერში მლოცველთა განსახლების გეოგრაფიული არეალი გაცილებით დიდი იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ხობის მონასტერი", სადაც 15 აგვისტოს („არგუსო'ს") მარიამობა აღინიშნებოდა. მონასტერში დადიოდა სოფელ ბიას, ალიონის, საჯიჯაოს (ხობის რაიონი), ხორშის (სენაკის რაიონი) და სხვა სათემო-ტერიტორიულ გაერთიანებათა სოფლის მოსახლეობა. ასევე, დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი იყო „ილორის მონასტერი". პირს, რომელიც კულტმსახურებას ეწეოდა „მღვდელი" ერქვა. სიტყვა „მღვდელი" ქართულენოვანია, ხოლო „პაპა" („ბაბა") – სვანი და მეგრელი მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ტიპის ლექსიკიდან უნდა გამოიყოს ისეთი ცნებები, როგორიცაა „დიაკვანი" და „მონაზონი".

სათემო-ტერიტორიულ გაერთიანებაში განსახლებული სახლთმეურნეობის წევრები ეკლესიაში კვირაობით დადიოდნენ, ხოლო დღესასწაულთა მოახლოებისას, მაგალითად, აღდგომას, მეთემეები ახალ სამოსს იმზადებდნენ, დილაადრიანვე წესრიგდებოდნენ და ეკლესიაზე გადიოდნენ, სადაც შესაწირავს გაიღებდნენ ხოლმე. მსგავსი დღესასწაულები პატრონიმიული ტიპის გენეალოგიური, და, საერთოდ, პატრილოკალური ჯგუფებისათვის განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. ლოკალური ჯგუფი შესაწირავად ხატისათვის დაპირებულ საქონელს ამზადებდა და ბავშვის ანდა სრულწლოვანი სახლთმეურნეობის თუ მედიალური ლოკალური ჯგუფის რომელიმე წევრის სახელზე სწირავდა. ხშირად, დაპირებულ მსხვერპლთან (ცხვარი, მოზვერი, გოჭი, მამალი) ერთად ეკლესიაზე იმ პირსაც გაიყვანდნენ, ვის სახელზეც სამსხვერპლო პირუტყვი იყო შეთქმული. ამ დროს ხატისათვის შეპირებული საქონელი ანდა ფრინველი იკვლებოდა. პიროვნებას შვიდ სარზე გაბმულ ჯაჭვში გაატარებდნენ, რასაც „ჯაჭვზე გამოყვანა" ეწოდებოდა. ხატში სანთლებს ანთებდნენ. ზოგჯერ, პატრილოკალური ჯგუფის სახლთმეურნეობის წევრები დაპირებულ შესაწირავს ეკლესიის მიდამოებში სამად გამყოფი გზის პირას გაუშვებდნენ, რომელიც, ჩვეულებრივ, შემთხვევით გამვლელს მიჰყავდა. სამსხვერპლოს იმ ადგილზე კლავდნენ, სადაც ადამიანი იყო დაღუპული ანდა სიკვდილს გადარჩენილი. ხატისაგან განკურნებას, ჯანმრთელობას, გამრავლებასა და ნაყოფიერებას ითხოვდნენ. ეთნოგრაფიული წყაროებით, სამეგრელოში სოფელ ბიაში ალექსანდრიას საგვარეულოს ხოლერა შეყრია და ერთიანად ამოწყვეტილა. მხოლოდ ერთი ფეხმძიმე ქალი გადარჩენილა. განადგურებული

საგვარეულოს და პატრილოკალური ჯგუფის აღდგენის მიზნით მას ხატისათვის ვაჟის შეძენა უთხოვია და შეპირებია: „ყოველწლიურად, „მარაშინა'ს" (მარიამობას), დღეობას გადავიხდითო". ალექსანდრიას საგვარეულო შტო გამრავლებულა და ქალსაც პირობა აღუსრულებია. აქედან მოყოლებული ღვთის ნებით დაბადებული ვაჟიდან წარმოქმნილი ლინიჯის ყველა წევრი ანუ, საერთოდ, წინაპრის ყველა ჩამომავალი, ყოველწლიურად, მარიამობას (15 აგვისტო, ძველი სტილით, 28 აგვისტო, ახალი სტილით) სოფელ ბიაში, როგორც წესი, თავდაპირველ ფუძე-სახლში იკრიბებოდა და მათი წინაპარი ქალის მსგავსად ხატს გოჭს სწირავდა (მგელაძე 1987ბ).

მარიამობას მთელი საქართველო დღესასწაულობდა. ამ დღეს სათემო-ტერიტორიული გაერთიანებებები „ჯარიანობა'სა" და „დოღს" მართავდნენ და სხვა სანახაობით გასართობებსაც აწყობდნენ. ძველ საქართველოში ეკლესიები ხისგან ანდა ქვისგან იყო ნაგები, ეზოებში კი – სამრეკლოები იყო მოთავსებული. ტერიტორიული ჯგუფის წევრები ეკლესიაში დადიოდნენ არა მხოლოდ სადღესასწაულოდ, არამედ ზიარების მიზნითაც. ზოგიერთი ეკლესიის გარშემო მონაზვნები სახლობდნენ და საეკლესიო მიწებით სარგებლობდნენ. მაგალითად, სამეგრელოში ასეთ მიწებს „მალაზონიში დიხა" ეწოდებოდა. ეკლესიისადმი და, საერთოდ, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი საქართველოს მოსახლეობა განსაკუთრებული ნდობითა და პატივისცემით იყო განმსჭვალული. წმინდანთა ყოვლისშემძლეობით მრევლი იმდენად შთაგონებული იყო, რომ გასაბჭოების დაწყებიდან, და მონასტრების საყოველთაო ნგრევის პერიოდშიც, ეკლესიაზე ხელაღმართული პირების უჩვეულო ვითარებაში დაღუპვის თაობაზე მოარული ვერსიები იქმნებოდა, მაგალითად, როცა ამა თუ იმ „გაბოლშევიკებულ" ახალგაზრდას უშიშროების და ღვთის იგნორირების თუ არარსებობის დასაბუთების მიზნით ეკლესიის გუმბათზე აცოცება და იქედან ჯვრის ჩამოგდება უცდია, განგების ძალით დაღუპულა. ბუნებრივია, დაღუპვის მიზეზის აღქმისას ფსიქოლოგიური ფაქტორებიც განმსაზღვრელ როლს თამაშობდნენ. სხვათა შორის, ეკლესიაში დამნაშავის „გადაცემა" იცოდნენ. გადაცემის დროს ეკლესიის ეზოში სადმე ხეზე ლურსმანს მიაჭედებდნენ და გადამცემი თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „გადავეციო". სამეგრელოში ამ ჩვეულებას „გინოვჩია" ეწოდებოდა. გადაცემული განსაკუთრებით შიშობდა და ცდილობდა გადამცემის ოჯახში მისვლას, ბოდიშის მოხდასა და დანაშაულის გამოსყიდვას, რის შემდეგაც ეკლესიაში მღვდელს შენდობას სთხოვდა. სამართლებრივი ხასიათის მსგავსი წეს-ჩვეულებები საქართველოს არაერთ კუთხეში დასტურდება (მგელაძე 1984ა: 58-59).

საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პერიოდში საქართველოში დადგინდა როგორც სახლეულის, სხვადასხვა ტაქსონომიური დონის მედიალური გენეალოგიური ჯგუფების, ისე მაქსიმალური პატრილინეალური სტრუქტურებისა და შედარებით ფართო სოციალურ-ტერიტორიული გაერთიანებების იდეოლოგიური ერთობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, რაც გარეგნულად გამოხატული იყო რწმენა-წარმოდგენებსა და საკულტო რიტუალებში. სახლთმეურნეობისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ერთობა მისი სეგმენტაციის შემდეგ მედიალურ პატრილოკალურ ჯგუფზე ვრცელდებოდა, ხოლო სახლთმეურნეობის ფარგლებში არსებული მინიმალური ლინიჯის საკულტო ფუნქციები სეგმენტაციის საფუძველზე მედიალური ლინიჯის მთლიანობის ერთ-ერთ გამოხატულებად იქცეოდა, რაც ამ ტიპის სოციალური ორგანიზაციის განაყოფთა თავდაპირველ სამოსახლო ფუძე-სახლში, რომელსაც „ჯინჯი ჯუდე" ერქვა, ტრადიციულ წეს-ჩვეულებათა რიტუალიზირებული ფორმების აღსრულებას განაპირობებდა. სახლთმეურნეობის ფარგლებში წარმოდგენილი მინიმალური ლინიჯის სეგმენტაციისას ფუძე-სახლში მამა-პაპური ჭური რჩებოდა და იგი სადღესასწაულო დღეებში მედიალური ლინიჯის გამაერთიანებელი სალოცავი ხდებოდა. რადგან ამ ტიპის სალოცავი პატრონიმიული ორგანიზაციის მედიალური გენეალოგიური ჯგუფის ანუ ლინიჯის სალოცავს წარმოადგენდა, ამიტომ სალოცავ ჭურთან ქალები არ დაიშვებოდნენ, განსაკუთრებით რიტუალს გენეალოგიურ ჯგუფში მოყვანილი რძლები და ცოლები არ ესწრებოდნენ. პატრილინეალურ ნათესაობაში ჭური და ღვინო საკულტო ფუნქციას ასრულებდა და იგი მამის ხაზით მემკვიდრეთა სალოცავს წარმოადგენდა. კულტმსახურების ფუნქციაც მამაკაცთა პრეროგატივა იყო. ამგვარ სალოცავთა პატრონიმიულ ხასიათზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სიძეები და რძლები, როგორც

ითქვა, მამისეულ სამოსახლოში გამართული ლინიჯის საერთო საკულტო რიტუალებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ. შესაძლოა სტუმრად მისულიყვნენ, მაგრამ რიტუალურ ცერემონიალში არ ერეოდნენ, განსხვავებით გაუთხოვარი და ზოგჯერ ოჯახიდან გათხოვილი პირებისაგან, რომლებიც როგორც პატრონიმიული ორგანიზაციის წევრები, ისე განიხილებოდნენ (მგელაძე 1992: 288-289, 284-305).

საქართველოში პატრონიმიული ორგანიზაციის იდეოლოგიური ერთობა არსებითად სწორედ ზედაშეებთან მიმართებაში ჩამოყალიბდა, თუმცა არანაკლები იყო მათი კავშირი სხვა ტიპის სალოცავებთანაც. ასევე, საქართველოში არსებობდა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ცალკეული რიტუალური ქცევა, რომელიც, მაგალითად, უბნებში მოსახლე ყველა სახლთმეურნეობისათვის საერთო იყო, ოღონდ მათ მიერ ცალ-ცალკე აღინიშნებოდა. ხშირად იგი საერთო თავყრილობის სახეს ატარებდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სამეგრელოში დადასტურებული ე. წ. „ჭეჭეთობა ღამე", რომელსაც საქართველოს სხვა კუთხეში „ჭიაკოკონა" შეესატყვისებოდა. იგი ძველი სტილით 19 ივლისს (ახლით 1 აგვისტოს) ეწყობოდა. სახლთმეურნეობის წევრები თმებზე სანთლებს იმაგრებდნენ, ეზოს შემოსასვლელში კართან და ყანაში კოპიტისაგან დამზადებულ ჯვრებს ასობდნენ, ჭიშკარზე ცხენის თავს ანდა ნალს ათავსებდნენ. ავი თვალისაგან დაცვის მიზნით საცხოვრებელ თუ სამეურნეო ნაგებობაზე ნალის მიჭედება საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, ავმა სულმა არ გაგვთვალოსო. ჭეჭეთობა ღამეს სახლთმეურნეობის ყველა წევრი საკუთარ კარ-მიდამოში ჭიშკართან ახლოს დიდ კოცონს აჩაღებდა. ზოგჯერ, მჭიდროდ დასახლებულ პატარა უბნებში დაახლოებით 10-15 სახლთმეურნეობა ერთიანდებოდა და საერთო-საზიარო კოცონს ანთებდა. მონოგენურ უბნებში კოცონის ირგვლივ დროებითი გაერთიანება, ბუნებრივია, მედიალური ლოკალური ჯგუფის ფარგლებში ხდებოდა და მასში ლოკალური ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად გვიანპატრონიმიული წარმოშობის გენეალოგიური შტოს წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. საქართველოს ტრადიციულ საზოგადოებებში რელიგიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენები ერთობ მრავალფეროვანი იყო. გასაგები მიზეზის გამო ჩვენ არ შევუდგებით მათ დეტალურ ანალიზს. შევეცდებით მხოლოდ სულიერი ცხოვრების ის პლასტები წარმოვაჩინოთ, რომლებშიც სოციალური ორგანიზაციის დამოკიდებულება საკუთარ და ზოგად კულტებთან ანდა რწმენა-წარმოდგენებთან მეტ-ნაკლებად ხელშესახებად აისახება. ამასთან გვსურს აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიული გაერთიანების, პატრონიმიული ორგანიზაციის, ლოკალური ჯგუფის სალოცავები შინაგანი წყობით ერთმანეთთან გენეტიკურ და სტრუქტურულ-ტიპოლოგიურ კავშირს ამჟღავნებს. ეს უთუოდ მიუთითებს სოციალურ ორგანიზაციათა განვითარების სხვადასხვა ტაქსონომიურ დონეზე საკულტო რიტუალებისა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ზოგადი ციკლის როგორც დიაქრონულ, ისე სინქრონულ ერთიანობაზე.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, იმერეთში ლინიჯის წევრთა შემაკავშირებელ წმინდა ჭურს საღვთო სალოცავი – „საღვთო ჭური", ხოლო სამეგრელოში „ოხვამა ლაგვან'ი" ეწოდებოდა. საღვთო ჭურში წმინდა ღვინო ე. წ. „საღვთო ღვინო" („სალოცავი ღვინო") ისხმებოდა. ეთნოგრაფიული წყაროებით, სოფელ გორდში (ხონის რაიონი, იმერეთი) საღვთო წინასწარ იყო შეთქმული. აღდგომის მეორე ახალკვირას სახლთმეურნეობის უფროსი და მთელი ჯალაბი დაჩოქილი ლოცულობდა, ჭურზე სანთლებს ანთებდა. ამ დღეს კვერებს აცხობდნენ და ჭურზე გაჰქონდათ, ითხოვდნენ წყლის სიუხვესა და ბარაქას. საღვთო ჭურში თეთრი ღვინო („ცოლიკაური") ანდა წითელი ღვინო ისხმებოდა. ზოგჯერ ასეთი ჭური „საალიერტო" იყო და მარტის ბოლოს – „ალიერტობა'ს" სახლთმეურნეობის უფროსის ხელით იხდებოდა. უფროსი მამაკაცი იქვე ჭურთან მამალს კლავდა. ჭურზე ხორცის გატანა არ შეიძლებოდა, რადგან, შესაძლოა, სახლთმეურნეობაში წარმოდგენილ ოჯახებს შვილიერება დაეკარგათ ანდა შვილი არ შერჩენოდათ. სახლთმეურნეობის ფარგლებში არსებული მინიმალური ლინიჯის ფუნქციები სახლთმეურნეობისა და, შესაბამისად, მინიმალური ლინიჯის სეგმენტაციის გამო ფართოვდებოდა და ანალოგიური რიტუალური წესები უკვე მედიალური ლინიჯის შიგნით სრულდებოდა. ნიშანდობლივია ამა თუ იმ „საგვარეულო'ს", კერძოდ, მაქსიმალური ლინიჯის ფარგლებში მედიალურ გენეალოგ-

იურ უჯრედებსაც საკუთარი სალოცავი ქური რომ ჰქონდათ. ამ ტიპის სალოცავებთან დაკავშირებული რიტუალების ციკლში ყურადღებას იქცევს ჩვეულება, რომლის თანახმადაც შეწირულ შემწვარ მამალს და შვიდ ცალ კვერს სპეციალურად დღესასწაულისათვის განკუთვნილ გობზე ათავსებდნენ, დოქით ამოღებულ საალიერტო ღვინოს გობთან ერთად წაღმა ატრიალებდნენ. დოქში ღვინოს დაცლიდნენ. ლინიჯის წევრები დაჩოქილი ლოცულობდნენ, პირჯვარს იწერდნენ, სანთლებს ანთებდნენ.

იმერეთში ვანის ტერიტორიული გაერთიანების სოფელ სულორში, „ბაბუიშვილობები" ანუ მედიალური ლინიჯები ე. წ. „სამღვთო'ს" შემოდგომაზე – „ნაშამოდეგზე" შობის მარხვამდე, მთავარანგელოზის წინა დღეებში იხდიდნენ. საღვთო სალოცავზე წინასწარი დაპირებით, რომელსაც „შეპირება" ეწოდებოდა, ძირითადი შესაწირავი ხარი იყო. ხარს რქებზე სანთლებს აუნთებდნენ. მას ლინიჯში ასაკით და მმართველობაში ყველაზე უფროსი – „უფროსი კაცი" კლავდა. უფროსი მამაკაცი მსხვერპლს – „სხვეპლს" გულს ამოუღებდა და სანთელს შესწირავდა. შემდეგ მისგან მცირე ნაჭრებიან მწვადებს წვავდნენ. იცოდნენ სანთლების წინასწარ დამზადება, რასაც „სანთლების ჩამოქნა" ერქვა.

მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობას ბაბუიშვილობათა ყველა წევრი ღებულობდა. ამ ტიპის ლინიჯის წევრთა თავყრილობა ამა თუ იმ სახლთმეურნეობაში ყოველწლიურად მორიგეობით ეწყობოდა. გენეალოგიური ჯგუფის წარმომადგენლებს თავიანთი სახლთმეურნეობებიდან ათი-თხუთმეტი ბოთლი ღვინო მოჰქონდათ. ხარის ტყავი მასპინძელთან რჩებოდა, ხოლო ხორცეული იმავე დღეს იხარშებოდა. სადღესასწაულო სუფრას ბაბუიშვილობაში უხუცესი უძღვებოდა და სულ ოცდაოთხ სადღეგრძელოს სვამდა. პირველი სადღეგრძელო ღვთის შეწევისა და მფარველობის იყო, მეორე – ბაბუიშვილობის ფუძემდებელი წინაპრისა და მისი შთამომავლობის, დანარჩენი შეძენილი მოყვრების, გათხოვილისა და მოყვანილის. შემდეგ თამადა თანმიმდევრობით მიყვებოდა და ნათესაობის სიშორე-სიახლოვის მიხედვით საერთო წინაპრიდან მომდინარე მის ყველა ჩამომავალს ადღეგრძელებდა (მგელაძე 1987გ).

დაახლოებით ანალოგიური სურათი გვხდება სამეგრელოშიც. შობას, აღდგომას, ახალ წელს განაყოფთა ახლო წრე ანდა ცალკე აღებული სახლთმეურნეობა ქურზე გადიოდა და ლოცულობდა. ჩაბრუნებულ სალოცავ გობზე, რომელსაც „დისორი" ერქვა, შემწვარი ქათამი და ხაჭაპური იყო დაწყობილი. უფროსი მამაკაცი მათ გობთან ერთად ატრიალებდა. ჩვეულებრივ ამგვარ გობებს დიასახლისნი ცომის მოსაზელად ანდა თეფშების დასარეცხად იყენებდნენ. ლინიჯის თავკაცი ერთ განსაკუთრებულ გობს გამოყოფდა, რომელიც ქურზე ლოცვისათვის იყო განკუთვნილი.

აბაშის რაიონში, სოფელ ნორიოს საჩოჩიოს უბანში განსახლებულ ჩოჩიათა საგვარეულო შტოების – მონათესავე მედიალური ლინიჯების საერთო დღესასწაული „სქიშ ხვამა", იგივე, „განაყობა" იყო. ეს იყო პატრონიმიულ ორგანიზაციაში შემავალ მამაკაცთა სადღესასწაულო – საზეიმო თავყრილობა, რომელიც ნაყოფიერებას, გამრავლებას, „სქი'ს" – მემკვიდრეების დღეგრძელობას ეძღვნებოდა. ნაყოფიერების პატრონიმიული სიმბოლიკა ჩანს თვით მის სახელწოდებაში – „სქიშ ხვამა'ში". „სქიშ ხვამა" სიტყვასიტყვით ვაჟთა დასალოცს ანუ ძეობას ნიშნავს. აღნიშნულ თავყრილობას ყოველწლიურად მართავდნენ და პატრილოკალური ლინიჯის ამა თუ იმ სახლთმეურნეობაში მორიგეობით იკრიბებოდნენ. თითოეულ სახლთმეურნეობას ამ დღისათვის განკუთვნილი საკუთარი წმინდა ღვინო ჰქონდა დაყენებული და ღვინოსთან ერთად თავყრილობაზე სადილიც მიჰქონდა. სამსხვერპლო ხარს საერთო ძალებით იძენდნენ. ლოცვა-კურთხევისა და ნადიმის დასრულების შემდეგ მასპინძელი – სახლთმეურნეობის უფროსი მამაკაცი შეწირული ხარის ნაწილებს იმ სახლთმეურნეობის უფროსს უძღვნიდა, რომელსაც მეორე წლისათვის გენეალოგიური ჯგუფის მასპინძლობა მორიგეობით ერგებოდა. არანაკლებ საინტერესოა სოფელ კირცხში კვისტიას საგვარეულოში შემავალი ნათესაურ ჯგუფთა სალოცავის – „საბეგარო'ს" ისტორია. სიტყვა „საბეგარო" ცნება „ბეგარა'დან" წარმოდგება. კვირტიათა საგვარეულოში შემავალი ლინიჯთა წარმომადგენლები მიიჩნევდნენ, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ სალოცავის სასარგებლოდ ბეგარა ეხადათ. დათქმული დღისათვის თაბარი ძალებით სამ-ოთხ კოკიან (კოკა ფუთნახევარი იყო, ე. ი. 24 ლიტრა) ქვევრში წმინდა ღვი-

ნო მზადდებოდა. ქვევრში დღეობის მონაწილენი თავიანთ ღვინოს ასხამდნენ. საბეგარო დღეს გენელოგიურ ჯგუფს უხუცესი – „უნჩაში“ („უჩაში“) ლოცავდა (მგელაძე 1987ბ).

საოჯახო და პატრონიმიული – გენეალოგიური ჯგუფების სალოცავებთან დაკავშირებული რიტუალები დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ სამეგრელოსა და იმერეთში არ აღინიშნებოდა. რაჭაში „ბაბუიშვილობათა“ ფარგლებში ხშირად „ელიობა'ს“ დღესასწაულობდნენ. მაგალითად, უწერაში, მეტრეველთა საგვარეულოს მახუტიანთ ბაბუიშვილობა ივნისის თვეში ელიობას დღესასწაულობდა. ისინი თხას ერთობლივად ყიდულობდნენ და ადგილ „სამნიგოზებში“ ე. წ. „ხელოსნის“ თაოსნობით კლავდნენ. „ხელოსანი“ ბაბუიშვილობიდან ირჩეოდა. რიგი იყო დაწესებული და ხელოსანი ყოველწლიურად იცვლებოდა. ხელოსნის ფუნქციას საქონლის დაკვლა, ხორცის მოხარშვა და სუფრის გაწყობა წარმოადგენდა. ღვინო, ქადები და ლობიანები თითოეული სახლთმეურნეობიდან მათ წევრებს მოჰქონდათ. მსხვერპლის ტყავს ხეზე ჰკიდებდნენ, შემდეგ ჭრიდნენ ისე, რომ უვარგისი გამხდარიყო, რათა არავის დაესაკუთრებინა.

სოფელ ღებში მცხოვრებ გობეჯიშვილთა საგვარეულო სალოცავი – „მთავარანგელოზი“ ადგილ „გონა'ში“, სოფლიდან შვიდი კილომეტრის დაცილებით მდებარეობდა. გადმოცემით, იგი გობეჯიშვილთა წინაპრის აგებული ყოფილა. იქ სალოცავად მისი შთამომავლები დღესაც დადიან. სოფელ ღებს სხვა სალოცავებიც ჰქონდა: „მაცხოვარი“, „დედაღვთისა“, „საჯვარე“, „ბრილის წმიდა გიორგი“ (ადგილ „სითხეურა'ში“). სადღესასწაულო ციკლის კვლევის პროცესში აქ ტერმინი „თემობა“ დადასტურდა. ამ ტერმინში მკაფიოდაა ასახული დღესასწაულთა სათემო ხასიათი. თემობაზე ტერიტორიული გაერთიანების საგვარეულოთა ბაბუიშვილობები იკრიბებოდნენ. ყოველი საგვარეულო ანდა საგვარეულოში შემავალი ბაბუიშვილობა დღესასწაულებზე საკუთარ თემობას აღნიშნავდა. თემობაზე საგვარეულოს ბაბუიშვილობები ცალკე-ცალკე გამოკვეთილად სხდებოდნენ. მაგალითად, სოფელ ღებში ლობჯანიძის გვარეულობის ნანუკიანთ ბაბუიშვილობას თემობა აღდგომის მეორე დღეს – ორშაბათს ჰქონდა, რომელსაც „გორგონთობა'ს“ ეძახდნენ; გავაშელიშვილთა საგვარეულოს ცამეტ ბაბუიშვილობას – აღდგომას, ხოლო გობეჯიშვილებს (ბაბუიშვილობები: ბაჭილეენთი, ზვირუკეენთი, ერმულეენთი, კოტუენი, ნაწოენთი, კამბეჩიანი, ნინაენთი) აღდგომიდან ერთი კვირის შემდეგ – „ახალკვირე'ს“.

სოფელ გლოლაში განსახლებული ბიჭაშვილების წინაპარი წარმოშობით სვანეთიდან იყო. მათი ერთ-ერთი ბაბუიშვილობა დღესაც „სვანეენთად“ იწოდება. მათ წინაპარს სვანეთში ადამიანი შემოკვდომია. სამნი გამოქცეულან. ერთი ბიძა კაცი იყო, მეორე ბიჭი, მესამე – ბერი (მოხუცი). გადმოცემით აქედან გაჩენილა სამი ბაბუიშვილობა, ხოლო დროთა განმავლობაში მათგან ჩამოყალიბებულა საგვარეულო განტოტებები: ბიძიშვილი, ბიჭაშვილი და ბერიშვილი. ადრე ამ საგვარეულოს წევრებს შორის ქორწინება იკრძალებოდა, მოგვიანებით კი – იგი გატყდა. ამ სამ ნათესაურ ჯგუფს თემობა ერთად ჰქონდათ. ასევე, სოფელ გომში აღდგომის შაბათს „კოხინჯრობა'ს“, თემობას ჩიხლაძეთა ბაბუიშვილობები ერთად იხდიდნენ. ამ სოფლის საგვარეულო ლინიჯთა წარმომადგენლები მთავარანგელოზის სალოცავზე ადიოდნენ და უბნებში მოსახლე ბაბუიშვილობის მიხედვით სხდებოდნენ. თემობაზე საგვარეულოში ანდა ბაბუიშვილობაში უხუცესი – „თავკაცი“ ხარს კლავდა, ხბო ანდა მოზვერი არ იკვლებოდა. თავკაცს „ხელოსანი“ ეხმარებოდა. ხელოსანი აქაც ყოველწლიურად ირჩეოდა. იგი ფულს კრებდა, ღვინოს იძენდა და, საერთოდ, თემობის ჩატარებაზე ზრუნავდა. სალოცავის ეზოში ქათმის გაშვება იცოდნენ. შეწირულ ქათამს „სალოცური“ ეწოდებოდა. თემობაზე ქალები არ იკრიბებოდნენ. უბნის ქალების შეკრება ღამით ხდებოდა – „ბატონების ბედზე“, რათა მათ ოჯახებს „ბატონები“ არ გაწყრომოდნენ. ხუთშაბათს საღამოს ქალები მონათესავე სახლთმეურნეობაში იკრიბებოდნენ და ნადიმობდნენ, მაგრამ დილიდან „გზის გადახსნამდე“ ცდილობდნენ უჭმელ-უსმელი („პირურწყობა“) ყოფილიყვნენ. მაგალითად, სოფელ ღების ქალები ამ დღეს უბნების მიხედვით იკრიბებოდნენ. სოფელ ღებში სულ ოთხი უბანი იყო (მგელაძე 1984ბ).

მსგავსი სურათი რაჭის მეზობელ კუთხეში – ლეჩხუმშიც იკვეთება. ლეჩხუმში, აგვისტოს თვეში, მარიობას დღესასწაულობდნენ. თითოეულ სახლთმეურნეობაში სუფრა იშლებოდა, ხოლო ეკლესიაში შესაწირი მიჰქონდათ. მარიობას ხარი, ცხვარი, ქათამი იწირ-

ებოდა. შეინიშნება დღესასწაულის ბაბუიშვილობათა მიხედვით აღნიშვნაც. მაგალითად, ჩიქოვანთა საგვარეულოს შვიდი სახლთმეურნეობის ჩამომავლები ამ დღეს ერთად იკრიბებოდნენ, ხარს სწირავდნენ და ნადიმობდნენ. სოფელ ცხუკურეში წმიდა გიორგის ეკლესია ადგილ „ელიაზე“ მდებარეობდა, „ისკელტა'ს“ სალოცავი კი – ადგილ „საყვავია'ზე“. ისკელტა ნასპერშიც იყო წარმოდგენილი და მოსახლეობა იქაც ადიოდა. ადგილ საყვავიის მახლობლად დიდი წიფლის და მუხის ხეები ხარობდნენ, აგრეთვე იქვე რბილი ჯიშის ე. წ. „ბაღდადის ქვა'ც“ იყო მოთავსებული, რომელსაც სანთლის დასანთებად ამონატეხები ჰქონდა. ასეთი სასანთლე წმიდა გიორგის ეკლესიასაც გააჩნდა. სოფელ მახაშის სალოცავი წმიდა გიორგის სახელობისა იყო. აქ მოსახლეობა „აღდგომა'ს“, „ბზობა'ს“, „ღვთიშობლობა'ს“, „ხვამლობა'ს“, „ცისკარობა'ს“, „მარიობა'ს“ დადიოდა. ბზობას სოფლის გვარეულობათა ბაბუიშვილობები ეკლესიაში თავიანთი მოდგმის საერთო სასაფლაოებზე ბზის ტოტებს მიმოაფენდნენ. ჩვეულებრივ, „ხვამლობა'ს“ სახლთმეურნეობათა წევრები ცოცხალ „ყვინჩილა'ს“ სახლს სამჯერ შემოატარებდნენ, დაკლავდნენ და შემდეგ ერთობლივად მიირთმევდნენ, ეკლესიაში კი – სანთლებს დაანთებდნენ. ამ დღეს ე. წ. „სახმიადს“ („ნიგვზიანს“) ამზადებდნენ. „ნიგვზიანი“ ნიგოზში შეზელილი გამომცხვარი პური იყო. ტერიტორიულ გაერთიანებაში გიორგობას, აღდგომას, კოხინჯრობას, ხარებას, ბზობას სახლთმეურნეობათა თითოეული წევრი უქმობდა (მგელაძე 1986).

სალოცავებთან მიმართებაში ტერიტორიული გაერთიანებების სახლთმეურნეობათა, მედიალურ ლინიჯთა და საერთოდ, საგვარეულო შტოთა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი სვანთა ეთნოგრაფიულ ყოფაშიც თვალსაჩინოდ ვლინდება. უშგულის (ბალსზემო სვანეთი) სათემო-ტერიტორიულ გაერთიანებაში შვიდი სალოცავი იყო წარმოდგენილი: „ბარბალ“ (სოფელი მურყვემ'ი), „მაცხუარ“ (სოფელი მურყვემ'ი, ჩაჟაშ'ი), „წმიდა ლამარია“ (სოფელი ჟიბიან'ი), „თეფელ“ (სოფელი ჟიბიან'ი), „ჯგრ/გ“ (გიორგი – სოფელი ჟიბიან'ი), „ფუსდ“ (სოფელი ჩვიბიან'ი). წელიწადში ერთხელ, 5 აგვისტოს, თითოეული სახლთმეურნეობის შემწეობით მოსახლეობა ვერძებს იძენდა და სოფელ ჩვიბიან'ში „ფუსდ'ის“ სახელობის ეკლესიაზე გაჰყავდათ. სახლთმეურნეობათა უფროსები „სანთლებს დაჰკლავდნენ“, ხოლო ვერძებს ერთმანეთს აჭიდებდნენ, შემდეგ მათ თავიანთ ოჯახებში აბრუნებდნენ, წირავდნენ და პურობდნენ. თიბვის მოახლოებისას სვანები ტაროსის ღვთაებას ამინდს შესთხოვდნენ („დიდება ფუსდს, შეგვეწიოს მისი ძალაო“) და ტერიტორიულ გაერთიანებაში ამის გამო თუ ერთ წელიწადს ხარი იკვლებოდა, მეორე წელს სახლთმეურნეობებიდან ეკლესიაზე ვერძები მიჰყავდათ. მაგალითად, უშგულში ხარს მთლიანად ტერიტორიული გაერთიანება სწირავდა, რომელიც „ფუსდ'ის" წინა დღეებში იკვლებოდა და იქვე იხარშებოდა. უშგულის ტერიტორიულ გაერთიანებაში წელიწადში ერთხელ გიორგობას („ლიგჲერგ'ი“), 23 აპრილს, ხარის დაკვლა წმიდა გიორგის („ჯგგრჯ/გ'ის“) ეკლესიასთანაც იცოდნენ, შემოდგომით კი, ჩვეულებრივ, თიკნებს სწირავდნენ. ერთობის განმტკიცებისა და სულიერი თუ ნათესაობრივი სიახლოვის შენარჩუნების მიზნით მსხვერპლშეწირვას არა მხოლოდ ცალკეული სახლთმეურნეობა ანდა ტერიტორიული გაერთიანება, თუ მისი რომელიმე ცალკეული სოფელი მიმართავდა, არამედ ლინიჯის ტიპის გენეალოგიური ჯგუფი – საძმო: „ლამხუბ'ი“, იგივე, „სამხუბ'ი“ (ხარაძე 1939: 17-41, 88); (ხარაძე, რობაქიძე 1964: 30, 69, 81); (მგელაძე 2014). მაგალითად, უშგულის ტერიტორიულ გაერთიანებაში ნიჟარაძეთა საგვარეულოს ქუჩეშ'ას ლამხუბ'ი ხარს ერთობლივად იძენდა. ლამხუბს დალოცავდნენ, ხარს შუბლის შუა ადგილზე და რქაზე სანთელს აუნთებდნენ და მას ეკლესიის მიმართულებით დააყენებდნენ, რის შემდეგაც მთელი ლამხუბ'ი მარცხენა მუხლით იჩოქებდა, ხოლო მარჯვენაზე სვანურ ქუდს იდებდა და ლოცულობდა. ლოცვის შემდეგ ხარს შესწირავდნენ (მგელაძე 1988). კალას ტერიტორიულ გაერთიანებაში სალოცავებისადმი კუთვნილება ე. წ. „ლაკრან'ების" მიხედვით ხდებოდა (ხარაძე 1963: 387-402).

ჩვეულებრივ, ტერიტორიული გაერთიანების საერთო ეკლესიაში მოსახლეობა „ლაკრან'თა“ მიხედვით სხდებოდა, ხოლო ლაკრან'ები, თავის მხრივ, სოფლებად, სოფლები კი – ლამხუბ'ებით წარმოდგენილ უბნებად ნაწილდებოდა. კალას ტერიტორიულ გაერთიანებაში ქრისტეშობას ლაკრან'ი (სოფლების – დავბერისა და ლალხორის კავშირი) მორიგეობას აწესებდა და განსაზღვრულ სახლთმეურნეობაში ზეიმობდა. ტერიტორიულად

რიგი მარჯვნიდან მოჰყვებოდა. ორი ანდა სამი სახლთმეურნეობა წლის განმავლობაში ერთიანდებოდა, მეორე წელს მათ ადგილს სხვები იკავებდნენ. სხვათა შორის სადღესასწაულო დღეებში მეტ-ნაკლები სხვაობით ყოველწლიური მორიგეობის ცვლის პრინციპი დამახასიათებელი იყო საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხისათვის და, როგორც ჩანს, იგი შეპირობებული იყო არა მარტო ტერიტორიულ გაერთიანებაში თუ პატრონიმიული ტიპის ორგანიზაციაში ერთობის შენარჩუნებისა და შრომის თანაბარი განაწილების მიზნით, არამედ, ასევე, მიმართული უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სახლთმეურნეობების ანდა უფრო ფართო სამეურნეო-ნათესაური ჯგუფების ამ სფეროში მემკვიდრეობის უპირატესი უფლების ჩამოყალიბების წინააღმდეგაც. სვანეთში მორიგეობის დასახელებული წესი, თავის დროზე, შენიშნული ჰქონდა ი. ბუდოვნიცს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ე. წ. „უფლიშ'ის" დღესასწაულის სამკვირიან სარიტუალო ციკლში ტერიტორიული გაერთიანების სახლთმეურნეობებს შორის დაცული იყო უფლება-მოვალეობათა ტრადიციული წესი. მოცემულ პერიოდში განსაზღვრული სახლთმეურნეობა ვალდებული იყო ხუთ-ექვს სახლთმეურნეობას გამასპინძლებოდა, ხოლო შემდგომ წლებში ეს ვალდებულებები იცვლებოდა. ავტორის თანახმად, ტერიტორიული გაერთიანების სხვა სახლთმეურნეობებიც ანალოგიურად იქცეოდნენ. ისინი თითო ჯგუფში ხუთ-შვიდ სახლთმეურნეობას აერთიანებდნენ (ბუდოვნიცი 1930: 58).

ქრისტეშობას დავბერ-ლალხორის ლაკრან'ი (კალას ტერიტორიული გაერთიანება) ღორს, ვაცს, ცხვარს, ხარს სწირავდა. ხარს რქებზე სანთლებს აუნთებდნენ, ხოლო თითო სანთელს ხელში იჭერდნენ. დღესასწაულზე ლოცვის პერიოდში ლაკრან'ის პატრილოკალური ჯგუფის ყველა სახლთმეურნეობიდან თითო ადამიანი მაინც იყო წარმოდგენილი. ლაკრან'თა სახლთმეურნეობების ასეთი ერთობა, ოღონდ სხვადასხვა ფორმით, უმეტეს დღესასწაულებში ვლინდებოდა. მაგალითად, თევდორობის – „ლითორდრია'ს" დღესასწაულის დროს საკლავი არ იკვლებოდა, მაგრამ ამ დღეს სახლთმეურნეობის საერთო ტრაპეზზე ცერცვი და კორკოტი ჭარბობდა. ლაკრან'ის წევრებმა ამ დღეს კარდაკარ სიარული და ყველა სახლთმეურნეობიდან კორკოტისათვის კაკლის, ყველისა და ფქვილის შეგროვება იცოდნენ. სანაცვლოდ ისინი ოჯახებს ლოცავდნენ და მათ მოდგმისა და საქონლის გამრავლებას უსურვებდნენ. წმიდა გიორგის გარდა დავბერისა და ლალხორის ლაკრან'ში, ასევე, წარმოდგენილი იყო ლაშმარია'სა" და „მაცხუარ'ის" ეკლესიები. მოცემულ ლაკრან''ში ფართო გავრცელება ჰქონდა „ლიგურგ'ის" დღესასწაულსაც. ამ დღეს ლალხორ-დავბერის ლაკრან'ის სახლთმეურნეობებს ნათესავ-მოყვრები, მოგვარეები სტუმრობდნენ. 6 მაისს წმიდა გიორგის ეკლესიაზე ტერიტორიულად შორს მცხოვრებ ნათესავებს აქ საკლავი აჰყავდათ. „ლიგურგ'ის" დღეს ქალები „ლაშმარია'ზე" ადიოდნენ, იმდენ „ლემზირ'ს" აცხობდნენ, რამდენი წევრიც იყო სახლთმეურნეობაში. „ლემზირ'ი" იყო პატარა, მრგვალი, ნაპირზე ქიმებიანი რიტუალური პური (ხარაძე 1939: 119).

ბალსზემო სვანეთში იფრალი და ჭალდე ბოლო პერიოდში ერთი „ლაკრან'ი" იყო. იფრალის სალოცავია „თარინგზელ'ი", ხოლო ჭალდესი „ჯგურაგ'ი". გადმოცემით, ეს ორი სოფელი ადრე არ იყო ერთ „ლაკრან'ად" გაერთიანებული და, როგორც ჩანს, ამიტომაც, მათ ცალ-ცალკე საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ. მათი „ლაკრან'ად" გაერთიანების პერიოდში სალოცავებიც ძველებურად დიფერენცირებული დარჩა. ასევე, სალოცავები ჰქონდათ სოფელ ვიჩნაშ'ისა („ლაშმარია") და სოფელ ჭეს („ბარბალ'ე"). დღესასწაულობდნენ „კვირიკობა-ლიგურკე'საც".

როგორც ვხედავთ, ზემო სვანეთში ლაკრან'თა მიხედვით გაერთიანება რთული არქიტექტონიკით გამოირჩეოდა. იგი ტერიტორიული გაერთიანების სოციალურ-გეოგრაფიულ სტრუქტურულ იერარქიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმონაქმნი იყო. მან თავდაპირველი ტრადიციული სათემო იერსახე შეინარჩუნა. ტერიტორიულ გაერთიანებების დღესასწაულებთან მიმართებაში ამ ფაქტს განსაკუთრებული ყურადღება რუსუდან ხარაძემ მიაქცია. ავტორი მიუთითებდა, რომ ტერიტორიულ სტრუქტურაში ლაკრანთა ტიპის გაერთიანების თავისებურებები ისეთ დღესასწაულებში ირეკლებოდა, როგორიც იყო „ხოშა თანაფ'ა" (დიდი აღდგომა – ბარდაველიძე 1939: 20, 35, 39, 69, 186, 188-189, 212); (თოფურია, ქალდანი 2000: 128, 146, 517, 549, 892, 1080, 1553, 1557, 1583, 1849), „ქაშუეთობ'ა" და „კვირი-

კობ'ა". ასეთ დღეებში კვირიკეს სალოცავთან ტერიტორიული გაერთიანების თითოეული ლაკრანიდან თითო ხარს სწირავდნენ. რუსუდან ხარაძის დაკვირვებით, ტრაპეზის დროს, ტაძრის გალავნის შიგნით სვანები ლაკრან'ების მიხედვით თავსდებოდნენ. ტაძრის გალავანთან ყოველი ლაკრანის ადგილი მათი სახელწოდებების აღნიშვნით ქვებით ოდითგანვე იყო მონიშნული. ლაკრან'ების მიხედვით განთავსების პრინციპი ტაძრის სპეციალური სათავსოს შიგნით, ე. წ. „ლარბიჯლ ქორ'შიცაა" დამოწმებული, რომელშიც კალის თემის მოსახლეობა ტაძრის დღესასწაულის დროს პურს აცხობდა. კალის თემის ლაკრან'ების რაოდენობის მიხედვით „ლარბიჯლ ქორ'ში" კერაზე ქვის ფილები იყო მოწყობილი (ხარაძე 1958: 67).

ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი დღესასწაული არა მარტო ერთი ლაკრან'ის, არამედ, ზოგადად, ტერიტორიული გაერთიანების ფარგლებში – რამდენიმე ლაკრან'ის კავშირის დონეზე აღინიშნებოდა. ლაკრან'თა კავშირის სახით მონათესავე ტერიტორიულ-გეოგრაფიული და სოციალური გაერთიანებები მსხვერპლს ერთობლივად სწირავდნენ. მაგალითად, კალის ტერიტორიულ გაერთიანებაში თვრამეტ მამაკაცს გამოყოფდნენ, რომლებიც დღესასწაულის ორგანიზაციულ მხარეს ხელმძღვანელობდნენ. შეკრებილი თანხით საკლავს ყიდულობდნენ, აგროვებდნენ სასმელს. მათ „მეგნჯლ" ანდა „მორიქ" (მერიქიფე) ეწოდებოდა. ტერიტორიულ გაერთიანებაში „მეგნჯლ'ები" მორიგეობით ირჩეოდნენ.

სვანეთში ტერიტორიულ გაერთიანებათა იდეოლოგიური ერთობა განსაკუთრებით თიბვის წინა დღეებში ვლინდებოდა. ხშირად იგი აგვისტოს თვეში გადადიოდა. კვირიკეს ქვემოთ ნაძვნარი ხარობდა და მინდორი იშლებოდა, სადაც გამოყოფილი იყო ხარის დასაკლავი ადგილი. აქვე იყო წყაროც. აღნიშნულ დღეს ხარი კალის ტერიტორიული გაერთიანების სამივე ლაკრან'ის ძალებით შეისყიდებოდა. მინდორში ხარი იკვლებოდა, დაკლული ხარის გულ-ღვიძლი კი – კვირიკეს ეკლესიასთან აჰქონდათ, სადაც შესაბამისად ლოცულობდნენ. მლოცველები მოგვიანებით მსხვერპლთშეწირვის ადგილს უბრუნდებოდნენ და ნადიმს მართავდნენ. სხვათა შორის, ამ დღეს თიბვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხებიც წყდებოდა: ადგენდნენ თიბვის დაწყების დროს ანდა, ვთქვათ, კვირიკეს გალავნის შეკეთების თაობაზე მოითათბირებდნენ და სხვა მისთანანი. თიბვასთან დაკავშირებით საკულტო რიტუალებს ცალკეული ლაკრან'იც მიმართავდა, მაგალითად, ლალხორ-დევბერის ლაკრან'ის სამსხვერპლო ადგილზე, ე. წ. „სკდილ'ზე" „ლიგურკე'ს" ლოცულობდნენ, მეორე დღეს კი – თიბვა იწყებოდა. ამ დროს მერიქიფეობის გადაბარება და მეორე წლის „მეგნჯლ'თა" არჩევნები ხდებოდა (მგელაძე 1988: 9-16).

სადღესასწაულო ზეიმის პრაქტიკა არსებობდა არა მხოლოდ ტერიტორიული გაერთიანების, არამედ უფრო მაღალ საერთო-სახეობო დონეზე. ალექსი რობაქიძის მონაცემებით, სოფელ სეტში საერთო სახევო სალოცავი და დიდი მოედანი არსებობდა, რომელსაც „სჯფ" ეწოდებოდა, სადაც სახეობო თავყრილობა, სამხედრო ლაშქრის შეკრება, ხალხური დღესასწაულები და სახალხო გართობა-თამაშობები ეწყობოდა. ამასთან, მესტიის ხევის თითოეულ სოფელს სალოცავისათვის და სასოფლო თავყრილობისათვის საკუთარი მოედანი გააჩნდა (რობაქიძე 1958: 53).

სოციალური ორგანიზაციის საკულტო რიტუალებისა და იდეოლოგიური ერთობის თავისებური სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ჩამოყალიბდა, სადაც ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფების სალოცავთა სტრუქტურასთან ასევე უშუალოდ იყო დაკავშირებული პატრონიმიული კულტმსახურების ფორმებიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიულ-კონფესიურ გაერთიანებათა კულტმსახურების სისტემა დიფერენცირებული იყო და იგი სათემო ნორმებს ექვემდებარებოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტერიტორიული გაერთიანება, რომელიც ერთი ანდა რამდენიმე მონათესავე საგვარეულო სტრუქტურიდან იყო აღმოცენებული, პატრილოკალური ჯგუფებითა და მათში გაერთიანებული პატრონიმიული განშტოებებით იყო წარმოდგენილი, განსახლებული მონოგენური უბნების სახით, რაც დამკვირვებლის თვალში, ბუნებრივია, გვაროვნული ტიპის დასახლების შთაბეჭდილებას ტოვებდა, შესაბამისად, ამგვარი დასახლების სალოცავებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გვაროვნულ სალოცავებად განიხილებოდნენ (პანეკი 1939).

დასახლების სოციალური წყობის ასეთი არქაიზაცია ხელოვნურ ხასიათს ატარებდა, რაც განსაკუთრებით XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ავტორების დასკვნებში შეინიშნება. მაგალითად, ხევსურთა სალოცავებს ანალოგიური მიმართულებით განიხილავდა ვ. გურკო-კრიჟიანი. იგი წერდა, რომ საგვარეულო ღვთაებებს თავისი საკურთხევლები აქვს, ე. წ. „ხატები", შიფერის ფილებიდან აგებული პატარა სახლები, რომლებიც ყოჩებისა და ჯიხვების რქებითაა შემკული. ყოველი „ზარი" დიდ შემოღობილ ნაკვეთს წარმოადგენს, ადგილებით, რომლებიც სპეციალურად ქალებისათვის, მამაკაცებისა და ქურუმებისათვის იყო გათვალისწინებული დაბოლოს, წარმოდგენილი იყო საკერპე, ანუ საკუთრივ „ხატი", რაც შინაარსობრივად „გამოსახულებას" ნიშნავს. საგვარეულო ღვთაებებს „ბატონი ხატი" ეწოდება. საგვარეულო ჯგუფი თავისთავს საკერპე ხატის ყმებად თვლის. ტაძრები უმკაცრესი მაგიური აკრძალვის – ტაბუს საგანს წარმოადგენს. იქ მისვლა მხოლოდ ქურუმებს შეეძლოთ და ისიც მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში. ვ. გურკო-კრიაჟინის თანახმად, ხატის მსახურთა შორის, განსაკუთრებული მოვალეობა „დეკანოზს" ეკისრებოდა (გურკო-კრიაჟინი 1928: 27). მთიულეთში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „დეკანოზი" ხატის რჩეული იყო. ტრადიციული რწმენით, მას შესწევდა უნარი ღამით ხატთან ესაუბრა. ხევსურეთში დეკანოზს „ხევისბერი" და „ხუცესი" შეესატყვისებოდა, თუმცა ხევსურეთში ტერმინი „დეკანოზი'ც" ცნობილი იყო. როცა ტერიტორიულ-კონფესიური გაერთიანების რომელიმე წევრს ხატი დეკანოზობას – მომსახურების აუცილებლობას შთააგონებდა, იგი ამ შთაგონების შედეგად ჩვეულებრივ სიზმარს ნახულობდა და მკითხავთან მიდიოდა. დეკანოზის სტატუსი არ იყო მემკვიდრეობითი. ფშავში დამოწმებული მონაცემებით, თუ ე. წ. „თავდადება" მოხდა, მაშინ ხევისბერად შესადგომ პირს შვიდი ცხვარი (მამალი ანდა თოხლი), ზოგჯერ ბატკანი უნდა დაეკლა და ხელმხარე შვიდივესათვის სისხლით უნდა ენათლა. ახალ ხევისბერს ძველი აკურთხებდა, მაგრამ თუ ის გარდაცვლილი იყო, მაშინ ხევისბერს სხვა ხატიდან მოიწვევდნენ. კურთხევისას მას შუბლზე, მკერდზე და ხელებზე მსხვერპლის სისხლს წაუსვამდნენ. ხევისბერი იმდენად სპეტაკი და განწმენდილი უნდა ყოფილიყო, რომ იგი ამის გამო, დეკემბრის თვეში, ხშირად, ცივ წყალშიც კი ბანაობდა. ფშავში ხევისბრად ორი-სამი პირი დგებოდა. მათ შორის ერთი „თავ-ხევისბერი" – უფროსი ხევისბერი ხდებოდა. ერთი საკლავს კლავდა, მეორე სანთელს ანთებდა, მესამე ქადაგებდა. თავ-ხევისბერის ძირითადი მოვალეობა „დამწყალობლება" იყო, დანარჩენები მის დამხმარეებად ითვლებოდნენ. თავ-ხევისბერი ცხრაჯერ უნდა განათლულიყო. მას შუბლზე და მკერდზე ჯვრებს უკეთებდნენ. თავ-ხევისბერად შესადგომად მსხვერპლის შეწირვა აუცილებლობას წარმოადგენდა. ხევისბერად შედგომა საკუთარი საკლავით ხდებოდა. ყოველ ორ-სამ წელიწადში, შეძლების მიხედვით, იგი მამალ ცხვარს კლავდა, ხოლო ზოგი წლის განმავლობაში ცხრა ცხვარსაც კი სწირავდა, უფრო ზუსტად, სამი წლის თავზე საბოლოოდ ცხრა შესაწირავს შეათავებდა, რაც მას საფუძველს უქმნიდა თავ-ხევისბრობის მოვალეობას შესდგომოდა. ხევისბერთა შორის უფროსობა ანუ თავ-ხევისბრობა მათ ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული და აღნიშნულ თანამდებობას „ქადაგი" ანდა „მკითხავი" საზღვრავდა. ასე რომ, დასახელებული ცხრა შესაწირავი ნებისმიერ ხევისბერს შეეძლო დაეკლა, მაგრამ ამით თავ-ხევისბრობას ვერ აღწევდა. ამასთან, თავ-ხევისბერი, რომელსაც ხატში ცხრა წლის განმავლობაში ცხრა შესაწირავი უნდა დაეკლა, ყოველწლიურად მიმართავდა ე. წ. „ხელმხარის განათვლა'ს".

ფშავში დღეობაზე ხევისბერი ხატში დილაადრიანად ადიოდა, სანთლებს აანთებდა და ზარებს რეკავდა. თანდათანობით მრევლიც იწყებდა მოსვლას და ხატში მდებარე ე. წ. „სასაკლაო'ზე" მეთემთა მიერ ამოყვანილ მსხვერპლს სწირავდა. ლუდი ადგილზე იხარშებოდა და მსხვერპლის ხორციც იქვე მზადდებოდა. ხშირად, სუფრა პატრონიმიული ორგანიზაციებისა ანდა საგვარეულო სტრუქტურაში მედიალური ლინიჯის ტიპის გენეალოგიური ჯგუფების მიხედვით იშლებოდა. სახლთმეურნეობასა და პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიურ ჯგუფში ყველაზე უხუცესი ხევისბერს სუფრასთან იწვევდა. ხევისბერი სუფრაზე სანთლებს დაანთებდა და დასალოცად ღვინის – „ზედაშე'ს" ფიალას ანდა არყიან სასმისს აიღებდა, თუმცა ამჯობინებდნენ ღვინოს, რადგან ტრადიციული

რწმენით, ღვინო ხვთის ნაკურთხი იყო. იგი ჯერ გენეალოგიური ჯგუფის ცოცხალ წევრებს დალოცავდა, მათ „ღმერთს შეახვეწებდა“, ხოლო შემდეგ „სულწმინდა'ს“ შენდობას ეტყოდა. ამის შემდეგ პატრონომიული ორგანიზაციის გენეალოგიური ჯგუფის წევრებს უფლება ეძლეოდათ სუფრას მისხდომოდნენ. ამასობაში ხევისბერი სხვა გენეალოგიური ჯგუფის სუფრაზე გადაინაცვლებდა და ანალოგიურ პროცედურას ჩაატარებდა.

ბუნებრივია, ხევისბერობა ტერიტორიულ-კონფესიური გაერთიანების წევრთა ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობაზე ზეგავლენას ახდენდა. შესაძლოა ამიტომაც, ხევისბერობა და, საერთოდ, კულტმსახურების ინსტიტუტთან დაკავშირებული ატრიბუტების ურთიერთმიმართება ისე იყო გაფორმებული, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში განსაკუთრებული სოციალურად და რელიგიურად პრივილიგირებული ფენის ჩამოყალიბებისათვის ხელი შეეშალა, თუმცა, ხშირად, ცაკლეულ შემთხვევებში ხევისბერის მდგომაროება მაინც გამორჩეული იყო. ხევისბერი ტერიტორიულ გაერთიანებაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა და სხვა მეთემეებისაგან განსხვავებით მას ქონების დაგროვების უკეთესი შესაძლებლობებიც ჰქონდა. ალექსი ყამარაული შენიშნავდა, რომ დღეობის პერიოდში ხევისბერი თავის სასარგებლოდ მსხვერპლის ტყავსა და შესაწირავის ხორცის ნახევარს იტოვებდა. იგი წერდა, რომ რადგან კეთილი შემომწირველების რაოდენობა საკმარისზე მეტია, დღესასწაულებიც ბევრია, შესაბამისად, გროვდება სოლიდური კაპიტალი. ამიტომ, ხევსურთა შორის ხევისბერები ყველაზე შეძლებულ ადამიანებს წარმოადგენენ. მდიდარი ხევსურები გამხმარი სახით ხორცის, ქონის მარაგს ინახავდნენ. შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში მარაგი საკმაოდ დიდიც ყოფილიყო. რაც უფრო მეტად იყო ხორცი გამოყვანილი, მით უფრო ფასეული იყო იგი. ზოგიერთი ხუცესი და დეკანოზი ამ პროდუქტებს ხუთ და ათ წლამდეც კი ინახავდა (ყამარაული 1929: 80-81). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხევისბერის უფლებებს ზღვარი ჰქონდა. ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის ხევისბერსა და მის ლოკალურ ჯგუფს ხატის სასარგებლოდ მატერიალური საზღაურის გადახდა ევალებოდათ. ეს სასჯელი მთლიანად შთამომავლობაზე, თაობიდან თაობაზე გადადიოდა. მაგალითად, ფშავში ერთ-ერთმა ხევისბერმა იახსრის ზარი ე. წ. „საღმთო ზარი“ გადამალა იმ მოტივით, რომ იგი სხვა ტერიტოტიულ-კონფესური ჯგუფის წარმომადგენლებს შეწირვის მიზნით თითქოს საკუთარ ხატში უნდა გადაეტანათ. იახსრის ყმები ზარს დღესაც ვერ პოულობენ, რის გამოც ხევისბერის ოჯახსა და ოჯახის განაყოფებს ტერიტორიულ-კონფესიურმა ჯგუფმა მარიამობას საღვთო დააკისრა. ხევისბერის სამეურნეო-ნათესაური ჯგუფი მარიამობას ყოველწლიურად იახსარის ხატს საკლავს სწირავდა (მგელაძე 1987ა: 99). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული წყაროები მიანიშნებს, რომ ხევისბერის (დეკანოზის) ანდა ხუცესის ფუნქციები „ხატის სალოცავი'ს“ („ჯვარის სალოცავი'ს“) კულტმსახურებითა და რელიგიური ფუნქციებით არ ამოიწურებოდა. იგი აგრეთვე ტერიტორიულ გაერთიანებაში წამოჭრილ მთელ რიგ საერო ხასიათის საჭირბოროტო საკითხებს წყვეტდა. მთიულეთში დეკანოზი, რომელიც კულტმსახურებას სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა, დამნაშავეთა განსჯა-დარისხებაში თუ ცალკეული სადავო საკითხის მოგვარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, თუმცა ამგვარი ფუნქციებით იგი ხატისა და ჯვრის სახელით გამოდიოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს კულტმსახურთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ე.წ. „დასტური'ს“ სახელო იქცევს. ხევსურეთში „დასტური“ ორი წლით ირჩეოდა. ტერიტორიულ გაერთიანებაში დასტურობა მორიგეობის პრინციპს ეფუძნებოდა, ფშავში გამოვლენილი ეთნოგრაფიული მასალის ერთი ნაწილი კი ცხადყოფს, რომ დასტურობა მემკვიდრეობით ხასიათს ატარებდა. ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის წევრი სიზმარს ნახულობდა, რაც მკითხავის მონახულების შემდეგ ამ პირის დასტურობის საკითხს განსაზღვრავდა. მაგალითად, გადმოცემით, ჩორხაულთა წინაპარი, ხატს ხევსურეთიდან, სოფელ ბაცალიგოდან გამოუქცევია. ახალ წელს იგი ხატთან პერანგის ამარა და ფეხშიშველა მისულა: „ნიშან დამიდგა ასეთიო, მოხილება მქონდაო“ – განაცხადა. დასტური ხატში დღეობამდე თითქმის ერთი თვით ადრე ადიოდა. მას „წმინდანობა“ ევალებოდა – ხევისბერი ამწყალობებდა. ხევსურეთში, მთიულეთსა და გუდამაყარში დასტურობა მონაცვლეობით ხასიათს ატარებდა. მათ ხატში ხევისბერთა თაოსნობით „ხატის ყმანი“ ანუ „მოწამენი“ ირჩევდნენ. ფშავში

გამოვლენილი ეთნოგრაფიული წყაროების მეორე ნაწილი ამავე ფაქტს ადასტურებს. აქ დასტურის დამხმარე იყო ე. წ. „შულტა". სხვათა შორის, ხევსურულსა და ფშაურ დასტურს ფუნქციურად მთიულეთში „მნათე" ანდა „მეგანძური" შეესატყვისებოდა, ხოლო თუშეთში „შულტა", ე. ი. თუშური „შულტა" ფუნქციურად ფშავ-ხევსურულ შულტაზე უფრო მაღლა მდგომი კატეგორია იყო. ხატობა-დღეობებზე ამ კატეგორიის წმინდანებს სამეურნეო საკითხების მოგვარება ევალებოდათ, კერძოდ, ფულის აკრეფა, სანოვაგის შეგროვება, სასმელით დღეობის უზრუნველყოფა და მათი განაწილება, ხატში შეწირული საკლავის დამზადება. თუშეთში „მნათე" ახალიწლის დღეობის მსახური იყო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონში – ხაზინადარი, სამეურნეო საქმეების გამძღოლი. მთიულეთში მნათე რიგით „მეკულუხე'დაც" დგებოდა. იგი „კულუხს" იხდიდა, ხატში „ჭედილს" კლავდა და ხატის მამულიდან მიღებული მოსავლის ნაწილს სალოცავის სასარგებლოდ გაიღებდა, ხოლო ნაწილს – თავად მოიხმარდა. მნათედ რამდენიმე პირი დგებოდა. მაგალითად, მთიულეთში „განძის წმიდა გიორგის" მნათედ ორ პირს ირჩევდნენ. მნათეობაც მორიგეობით პრინციპს ემყარებოდა. რამდენიმე პირი შეამხანაგდებოდა, ხატში საკლავს, უმეტესად ხბოს დაკლავდა. თითოეულ სახლთმეურნეობას მნათეს მოვალეობა შესაძლოა ათი წლის მანძილზე ერთხელ შეხვედროდა. ტერიტორიული გაერთიანების წევრი მნათეს მოვალეობისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდებოდა, თუ სახლში მშობიარე ცოლი ჰყავდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატის კულტმსახურთა შორის განსაკუთრებული ფუნქციით „ქადაგი" გამოირჩეოდა. ტერიტორიულ-კონფესიურ ჯგუფს „ქადაგი" ხატის ნება-სურვილს განუცხადებდა და მოვალეობის შესრულებას იწყებდა. კულტმსახურების პროცესში „მეზარე" „ხატს აყენებდა". მეზარეობა მუდმივი საქმიანობა იყო. მათ შორის გამოიყოფოდა „მედროშე", რომელიც უმეტესად საგვარეულოს ტიპის გენეალოგიური ჯგუფის შემადგენლობიდან მუდმივად ირჩეოდა. მაგალითად, იახსარის ხატის მედროშეები ყოველთვის შუშანაშვილთა საგვარეულოს წევრები ხდებოდნენ. არსებობს მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ მედროშედ არჩევისათვის ყოველწლიურად „წილის ყრა" იყო აუცილებელი. ხატს „ჯვარიონი'ც" ჰყავდა. „ჯვარიონი" ძირითადად იმ პირთაგან შედგებოდა, რომლებიც დღეობას უძღვებოდნენ და კულტმსახურთა ბირთვს წარმოადგენდნენ. ჯვარიონის სიმბოლოს ორმეტრიანი თლილი ჯოხი წარმოადგენდა, რომელსაც წვერი ვერცხლით ჰქონდა შეჭედილი, წვერზე კი – ზარი ეკიდა და ჭრელი ქსოვილები, ე. წ. „მოსახვევი" ეხვია. ხატში სულ სამი დროშა იყო, რომელთაგან ერთი დროშა დეკანოზს ეკუთვნებოდა. ჯვარიონში ორნი – ე. წ. „მედროშე'ნი" დროშებს მხარზე გადაიდებდნენ ანდა წელზე ქამარში გაირჭობდნენ და ხატში მსვლელობისას თანაბარი ზომის ნაბიჯებით მიაბიჯებდნენ. დროშებზე დაკიდული ზარები კი, თანაბარი ზომის ნაბიჯების გამო, თანაშეწყობილ ხმებს გამოსცემდა, რაც მისტიკურ გარემოცვას ქმნიდა. როცა სახლთმეურნეობაში საკლავი იკვლებოდა, ჯვარიონს იწვევდნენ. შინაარსობრივად ჯვარიონის მსგავსი ტერმინია „ხატიონი", რომელიც ჩვეულებრივ ხევისბერისა და დასტურისაგან შედგებოდა და ჰყავდა თავისი მედროშეებიც. ხატიონი შორეულ ნიშებთანაც არეგულირებდა ურთიერთობას. მაგალითად, პირაქეთი ხევსურეთიდან ხატიონი პირიქეთ ხევსურეთში, თუშეთში, გუდამაყარში მდებარე ნიშებთანაც გადადიოდა. ეთნოგრაფიული წყაროებით, ლიქოკის ხატიონი თუშეთში გადადიოდა, ხოლო გუდანისა – პირიქეთ ხევსურეთში. გუდამაყარში ნიშების მონახულებას „ჯვარმოსამამლო" ეწოდებოდა. აღნიშნული მოვლენა საინტერესო წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ სულიერი კულტურის შესწავლსათვის, არამედ მიგრაციის პრობლემებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეებს შორის ურთიერთობების ხასიათის განსაზღვრისათვის (თოფჩიშვილი 1984: 64-93).

ჯვარის/ხატის კულტმსახურთა შემადგენლობის ასეთი ფართო დახასიათება საჭიროდ ჩავთვალეთ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სალოცავებისადმი სოციალურ ორგანიზაციათა დამოკიდებულების ფუნქციური მნიშვნელობა შედარებით ნათლად წარმოგვეჩინა. გენეალოგიურ ჯგუფთა პატარა სალოცავები, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ დიდი სალოცავის განშტოებას წარმოადგენდა, კულტმსახურთა სრული შემადგენლობით არ ხასიათდებოდა და მისი მოვლა-პატრონობა

დღეობებზე და კულტმსახურების აღსრულების დროს ლინიჯის უხუცესისა და რამდენიმე დამხმარე პირის მოვალეობის სფეროში იყო მოქცეული. სალოცავების დიდ (მთავარ) და დაქვემდებარებულ სალოცავებად დიფერენციაცია, როგორც ჩანს, პატრონიმიული ტიპის სოციალური ორგანიზაციის უწყვეტი განვითარების პრაქტიკის უშუალო მაჩვენებელი იყო, შესაბამისად, სალოცავებისა და მათი განშტოებების სტრუქტურისა და სოციორელიგიური შინაარსის დასადგენად, ბუნებრივია, დადგენილი და ზუსტად ფორმულირებული უნდა იყოს ის ტერმინები და მათი არსი, რომლებიც ამ ტიპის სალოცავებსა და მათ ტერიტორიულ განშტოებებს აღნიშნავდნენ. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ჯვარი“ და „ხატი“ (ბარდაველიძე 1957: 2, 23).

მარინა კანდელაკის აზრით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა საზოგადოებრივ-საკულტო ცენტრები, რომლებიც ხალხური ტრადიციის მიხედვით „ჯვრად“ და „ხატად“ ინოდებოდა, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრობრივი მნიშვნელობით შეცდომით ერთმანეთთანაა იდენტიფიცირებული და რეგიონული განსხვავების მიხედვითაა განსაზღვრული, მაშინ, როცა მათ – „ჯვარსა“ და „ხატს“ სხვადასხვა მნიშვნელობითი დატვირთვა გააჩნდა. მ. კანდელაკი ამ პრობლემის შემდეგ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, კერძოდ, მას მიაჩნია, რომ *„ხატი“* საერთო წინაპრის ჩამომავალ ნათესავთა სალოცავი (*„საღოცავი საგვახო“*) იყო, რომელიც თანდათანობით სასოფლო („სალოცავი სასოფლო“) და სათემო სალოცავში გადაიზარდა. მას თავის მფარველობაში არამკვიდრი მეთემეებიც ჰყავდა, რის შედეგადაც სისხლით ნათესაობის გვერდით „ტერიტორიული ნათესაობის“ კონსტრუირება ხდებოდა. რაც შეეხება „ჯვარს“, ეს სალოცავი რეგიონული და იმავდროულად ტერიტორიულ, ნათესაურ და ეთნოგრაფიულ ჯგუფთან მიმართებაში დიდი, მთავარი, ცენტრალური – „თავი სალოცავი“ იყო, უფრო ზუსტად, რეგიონული მასშტაბის გაერთიანებათა საკულტო ცენტრის სახელწოდება იყო. მაგალითისათვის ასეთი იყო საერთოხევსურული – „გუდანის ჯვარი“, საერთოფშავური – „ლაშარის ჯვარი“ (კანდელაკი 1981: 89, 89-99); (კანდელაკი 1972). ეს პრობლემა გადაწყვეტას ითხოვს, მითუმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებიც ფიქსირდება (ერიაშვილი 1982: 21).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, ჭართლის ტერიტორიულ გაერთიანებაში, გიგაურთა საგვარეულო, რომელიც წარმოშობით ხევსურეთში განსახლებულ მის მონათესავე გენეალოგიურ სტრუქტურებთანაა დაკავშირებული, განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჯერ მედიალურ ლინიჯად – „მამაშვილობა'დ“ ჩამოყალიბდა, შემდეგ, დროთა განმავლობაში, ინტესიური სეგმენტაციის პირობებში, რამდენიმე ნათესაურ-სამეურნეო ჯგუფად დაიყო და მაქსიმალურ ლინიჯში – „ბუდობა'ში“ გადაიზარდა, რამაც საბოლოოდ საგვარეულოს ფორმირება განაპირობა და კლანის სახე მიიღო. სწორედ საზოგადოებრივ ფორმათა დიფერენციაციის აღნიშნული კანონზომიერების საფუძველზე გიგაურთა საგვარეულოში მივიღეთ ისეთი სოციალური ერთობები, როგორიცაა, ციხელაშვილები, შალვაშვილები და სხვა ამ ტიპის გაერთიანებები. ცალკე აღებული ციხელაშვილები ანდა შალვაშვილები ადრე ჯერ მინიმალურ და შემდეგ მედიალურ ლინიჯს თუ წარმოადგენდა, მოგვიანებით ისინი მაქსიმალურ ლინიჯში გადაიზარდნენ და „გვარი'ს“ შინაარსი შეიძინეს, ხოლო საგვარეულოთა კავშირის საფუძველზე კლანური სტრუქტურა წარმოქმნეს. ამ ტიპის პატრონიმიულმა ორგანიზაციამ ძველი საგვარეულო, მაგალითად, გიგაურები, განსაზღვრული ტიპის საზოგადოებრივი ფორმის გამაერთიანებლად, ტრადიციული ტერმონოლოგიით – „ძირად“ აქცია, რომლის წევრებსაც ერთმანეთში უკვე სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და მკეთრად გამოხატული გენეალოგიური ცნობადობა აღარ გააჩნდათ (ხარაძე 1947). მიუხედავად სხვადასხვა სფეროში ურთიერთობათა დასუსტებისა, ასეთი კავშირის ფარგლებში იდეოლოგიური ერთობა გაცილებით უკეთ იქნა შემონახული. გიგაურთა „ძირმა“, რომელიც დიდი რაოდენობის მინიმალური და მედიალური ლინიჯის ტიპის გენეალოგიურ სეგმენტებს – „მამიშვილობებს“, ასევე, მაქსიმალურ ლინიჯებს – „ბუდობებსა“ და „საგვარეულობებს“ აერთიანებდა, დროთა განმავლობაში, ტერიტორიული გაერთიანების შინაარსი შეიძინა. ამგვარი პატრონიმიული ტიპის საგვარეულოს ტერიტორიული ერთობა ხელოვნურად დანათესავებულ პირებსაც მოიცავდა და, ხშირად, ტრადიციული საგვარეულო ეგზოგამიიდან მემკვიდრეობით მიღებული ნიშნებით ხასიათდებოდა, რასაც შეიძლება

„ტერიტორიულ-კონფესიური ეგზოგამია“ ეწოდოს, რომლის ფუნქციონირებასაც ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის საერთო სალოცავი განსაზღვრავდა (მგელაძე 2002).

გიგაურთა გვარის საერთო განვითარების ასეთმა გზამ განაპირობა ის, რომ მასში გაერთიანებული ნათესაური სტრუქტურები კულტმსახურებასა და ხატობა-დღეობებზე ერთობისა და, გამომდინარე აქედან, საერთო წარმომავლობის თაობაზე მახსოვრობას ინარჩუნებდნენ – საერთო წინაპარსა და საერთო გენეალოგიას აღიარებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ერთობა უკვე ტერიტორიული გაერთიენების ნიშნებს ატარებდა. ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის დღეობებზე მონაწილეობას სხვადასხვა მომიჯნავე სოფლებში მცხოვრები გიგაურთა საგვარეულოს წევრებიც ღებულობდნენ. სწორედ ამიტომ, გიგაურთა ძირის მონათესავე საგვარეულოთა საერთო სალოცავი გაიაზრება, როგორც ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფის სალოცავი. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ ტიპის ძირსა და საგვარეულოებს მედიალური, ხოლო ნაწილობრივ, მაქსიმალური ლინიჯისაგან განსხვავებით, ახლო ნათესაობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები უკვე დაკარგული ჰქონდათ და ტერიტორიული გაერთიანებისათვის ნიშანდობლოვი ატრიბუტებით ხასიათდებოდა. გიგაურთა საგვარეულოს ტერიტორიულ-კონფესიურ გაერთიანებაში სახლთმეურნეობებისათვის ანდა გენეალოგიური სტრუქტურის მატარებელი მცირე ნათესაური ჯგუფებისათვის განკუთვნილი სალოცავები არსებობდა, რომელთა დიდი ნაწილი გიგაურთა საერთო ხატის სეგმენტაციის საფუძველზე გვიანდელი წარმოშობის იყო. ტერიტორიულ გაერთიანებაში მსგავსი პატრონიმიული სტრუქტურის პატარა სალოცავები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც ახასიათებდა.

ფშავში გოგოაურთას სახელის მატარებელი ტერიტორიული გაერთიანების სოფელ თურმანაულთას სალოცავი – „წმიდა გიორგის ხატი“ ადგილ „ქმოდ'ში“ („ქმოდის გორელი წმიდა გიორგი“) მდებარეობდა. სოფელი თურმანაულთა თურმანაულებით იყო დასახლებული და მონოგენურ სოფელს წარმოადგენდა. ამდენად, თუ აღნიშნული წმიდა გიორგის ხატი თურმანაულთა საგვარეულო ხატია, ადრე იგი მცირე მოცულობის ლინიჯის – მედიალური ლინიჯის ანუ პატრონიმიული ორგანიზაციის ერთ-ერთი გენეალოგიური სეგმენტის სალოცავი იყო. ხშირად, ტერიტორიული გაერთიანებისა და ხატის ცნება ერთმანეთს უთანაბრდებოდა და ტერიტორიული გაერთიანება ხატის ფარგლებში განიხილებოდა. მაგალითად, შუაფხოს ტერიტორიული გაერთიანების წევრები იმავდროულად „იახსრის ყმები“ – იახსრის ხატის ყმები იყვნენ და ერთ კონფესიურ ჯგუფში ერთიანდებოდნენ. *იახსარი*, რომელიც რეალურ პირად მიიჩნეოდა, გადმოცემის ერთი ვარიანტით, წარმოშობით ქისტეთიდან იყო. იახსრის შთამომავლები კი – შუაფხოს ტერიტორიულ-კონფესიურ გაერთიანებაში ქისტაურების გვარსახელით მოიხსენიებოდნენ, ე. ი. იახსრის ყმები ყველა ქისტაურის გვარსახელის მატარებლები იყვნენ, რომლებიც თავის შიგნით საგვარეულოებს აერთიანებდნენ. ესენია: ელიზბარაშვილები, მთვარელაშვილები, ჯაბნაშვილები, ბადრიშვილები, ფოცხვერაშვილები, ხეცურაულები, ავთანდიშვილები. იახსრის სალოცავი შუაფხოში ე. წ. „ავის გორა'ზე“ მდებარეობდა. იგი „სალუდე'სგან“, „საზარეს'გან“ და ღვთისმშობლის პატარა კოშკისაგან შედგებოდა. ხატის ზემოთ „აკლდამები“ იყო განლაგებული. ხატში ადგილს, სადაც ხევისბრის გარდა სხვებს შესვლა ეკრძალებოდათ, „მკვრივი“ ეწოდებოდა. იახსრის განშტოებებია – „შუალა ხატი“ (პატარა, მცირე ზომის კოშკის მაგვარი ქვაყრილი), სადაც „საკვირაო“ ანუ „კვირის ჯვრობა“ ტარდებოდა. აქ წელიწადში ერთხელ ამაღლების მომდევნო კვირას ლოცულობდნენ. „შუალა ხატი'ს“ მახლობლად „ნინახი“ მდებარეობდა, ხოლო მთაში მოთავსებული იყო – „კარატე“. ხუთშაბათს, პარასკევსა და შაბათს „იახსრობა“ ტარდებოდა, შაბათ საღამოს კი – დროშა კარატეში გადადიოდა და ამით, ფაქტობრივად, იახსრის დღესასწაული მთავრდებოდა. საერთოდ, ფშავში სხვადასხვა დღესასწაულები თანმიმდევრობით ტარდებოდა. მაგალითად, პეტრე-პავლობის შემდეგ გოგოლაურთას ტერიტორიული გაერთიანების ხატობა იყო, შემდეგ „ლაშარობა“, „ღელეობა“, „თამარა მეფობა“ და „სერობა“. ფშავში დღესასწაულებს სხვა ტერიტორიულ-კონფესიური ჯგუფებიც აღნიშნავდნენ. ცაბაურთას ტერიტორიული გაერთიენების ხატები იყო „მთავარანგელოზი“, „ღვთიშობელი“, „ადგილის დედა“, „მზილა“, „საკვირაო“, „ლუნხევი“, „ღვთისშობელნი“, „ბეღრისკარი“ და „სადასტურო“.

აღმოსავლეთ საქართველოში ფართო გავრცელება ჰქონდა ისეთ დღესასწაულს, როგორიც „ათენგენობა“ იყო. ამ დღესასწაულის მნიშვნელობას განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს ხევსურთა ყოფით დაინტერესებული მკვლევრები. ვ. გურკო-კრიაჟინის ცნობით, ძირითადი დღესასწაულები გაზაფხულის დასაწყიში, ზაფხულში თიბვის დაწყების წინ („ათენგენობა“) და შუა ზაფხულში („შობა“) ეწყობოდა. ზაფხულის მთავარი დღესასწაულის – „ათენგენობის“ დროს ხატიდან ე. წ. „დროშა“, უფრო ზუსტად, გვარის დროშა გამოჰქონდათ, რომელსაც ხევსურთათვის უდიდესი მაგიური ძალა ჰქონდა (გურკო-კრიაჟინი 1928: 28). ხევსურეთში საკმაოდ ცნობილი იყო წმიდა გიორგის დღესასწაული. ხახმატის ტერიტორიული გაერთიანების „ჯვარი“ („ხახმატის ჯვარი“) იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ „სანათლავი’ს“ დასაკლავად იქ პირიქეთ ხევსურეთიდანაც ჩამოდიოდნენ. ეს ხატი, ძირითადად, ალუდაურთა და ქეთელაურთა სალოცავს წარმოადგენდა. მას ქალების ხატად მიიჩნევდნენ. ყოველ ახალ წელს „ხელოსნები“ სანათლავს კლავდნენ, „ქადებს“ კი – ათენგენობას და, ხშირად, უხატობის დღეებშიც სწირავდნენ, ასევე, იწირებოდა ბატკანი, ჭედილა, თიკანი ანდა „პირძიანი ხბო“. უხატობის დღეებში მეთემე თუკი რაიმეს „მოიმიზეზებდა“ ანდა საქონელი გაუწყდებოდა, რაც „მომიზეზება’დ“ იწოდებოდა, მაშინ იგი მკითხავის რჩევით ხატს საკლავს – ცხვარს, ბატკანს, ხბოს ჰპირდებოდა და მსხვერპლს სწირავდა. თხას უპირატესად ხახმატში ჰკლავდნენ. ხახმატში საკლავი ე. წ. „დარბაზი’ს“ მახლობლად იკვლებოდა. დარბაზში მეთემეები სხდებოდნენ და ლოცულობდნენ. დარბაზი „საკოდე’დ“ – სალუდე ქვაბად და „საქვაბე’დ“ იყოფოდა. საკოდეებში ლუდს „აფუებდნენ“, ხოლო საქვაბეში ხარშავდნენ. გარეთ, დარბაზიდან მოშორებით „საზარე“ იყო მოთავსებული. ზარების ნაწილი ხეზე, ხოლო ნაწილი – ხატის კოშკებზე იყო ჩამოკიდებული. ამათ გვერდით ხევსურეთში ფართოდ იყო ცნობილი „გუდანის ჯვარი“, სადაც გუდანის ტერიტორიულ-კონფესიურ ჯგუფთან ერთად არხოტისა და შატილის გარდა პირაქეთი ხევსურეთის ტერიტორიული გაერთიანებების წევრებიც მონაწილეობდნენ.

ამრიგად, ქართველი ხალხის სულიერ კულტურაში მრავალფეროვანი რწმენა-წარმოდგენების ნაკადი ფიქსირდება, რომლებიც უმეტესწილად წინაპრის კულტთან და პატრონიმიული ორგანიზაციის სალოცავთა საკრალიზაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. ამასთან, ქართველი ხალხის წარმართულ რელიგიურ პანორამაში სხვადასხვა ტიპის კულტები იკვეთება, ვლინდება მათი რეგიონული და ლოკალური თავისებურებები. ტერიტორიულ და იდეოლოგიურ ჯგუფთა კულტები ბევრ ადგილას გენეალოგიური ნათესაობის პრიზმაში ტრადიციული მენტალობით გაიაზრებოდა და პატრონიმიულ ხასიათს ატარებდა. არაერთ კულტს საფუძვლად ედო საერთო წარმოშობის იდეა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციულ საზოგადოებებში, სოციალურ და რელიგიურ ჯგუფში ინტეგრაციის დომინანტურ ფაქტორს წარმოადგენდა და პერსონიფიცირების შედეგად იდეოლოგიური ერთობის ნიშნებს ატარებდა. გამომდინარე აქედან, საქართველოში დღესასწაულთა და საკულტო რიტუალთა აღნიშვნის სხვადასხვა სოციალური და გეოგრაფიული პირობები შეიძლება განისაზღვროს: 1. სახლთმეურნეობაში საოჯახო ტიპის რიტუალები და დღესასწაულები; 2. საუბნო, იშვიათად, საერთო-სასოფლო, ხოლო სოციალურად მედიალურ ლინიჯთა ანდა მედიალურ პატრილოკალურ ჯგუფთა საკულტო რიტუალები და დღესასწაულები; 3. ტერიტორიული გაერთიანებების – თემის საკულტო რიტუალები და დღესასწაულები, რომლებიც გენეალოგიურად მონათესავე და არამონათესავე საგვარეულოთა კავშირს და მაქსიმალური პატრილოკალური ჯგუფის სტრუქტუას ეფუძნებოდა; 4. ტერიტორიულად ლაკრანთა კავშირის, ხოლო სოციალურ-ნათესაური სრტუქტურის მიხედვით მაქსიმალურ ლინიჯთა (სხვადასხვა იერარქიის მონათესავე მედიალურ ლინიჯთა კავშირი) ანდა მაქსიმალურ პატრილოკალურ ჯგუფთა საკულტო რიტუალები და დღესასწაულები; 5. საერთო-სახეობო (სვანეთში „ერთობლივ ჴეუ’ს“) საკულტო რიტუალები და დღესასწაულები, რომელთა სტრუქტურა არამონათესავე საგვარეულოთა, იშვიათად, მონათესავე საგვარეულოთა ანუ კლანის კავშირზე იყო აგებული. ჩვეულებრივ, სახეობო ერთობა თავის ფარგლებში ერთ ანდა რამდენიმე ტერიტორიულ გაერთიანებას მოიცავდა და, ხშირად, პოტესტარნულ ფუნქციასაც ატარებდა.

დამოწმებანი

ბარდაველიძე 1939: ვ. ბარდაველიძე. *სვანუჰ ხაღხუჰ ღღეობათა კაღენდარი*, I, ტფილისი.

ბარდაველიძე 1958: ვ. ბარდაველიძე. *ქართველთა ტომთა უძველესი ჰელიგიური ჩწმენა-წარმოდგენები და საწესო გრაფიკული ხელოვნება*, თბილისი.

ბუდოვნიცი 1930: И. Будовниц. *Страна башен (Вольная Сванетия)*, Ленинград.

გურკო-კრიაჟინი, 1928: В. А. Гурко-Кряжин. *Хевсуры*, Москва.

ერიაშვილი 1982: ჟ. ერიაშვილი. *უძველესი სოციალურ-ჰელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში*, თბილისი.

ერისტოვი 1855: Р. Д. Эристов. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, *Записки кавказского отдела русского географического обшества*, кн. III, Тифлис.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი. *სვანური ღექსიკონი*, თბილისი.

თოფჩიშვილი 1984: რ. თოფჩიშვილი. *აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაციები XVII-XX საუკუნეებში*, თბილისი.

კანდელაკი 1981: მ. კანდელაკი. *ქართველ მთიელთა სოციალურ-ჰელიგიური სტრუქტურის საკითხები („ჯვარი“ და „ხატი“)*, მაცნე, ისტორიის სერია, №3, თბილისი.

კანდელაკი 1972: М. Канделаки. "Аманати" у горцев восточной Грузии, *Материалы этнографии Грузии*, Тбилиси.

კანდელაკი 2001: მ. კანდელაკი. *ქართველ მთიკელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან (უცხოს გათავისების წესი)*, თბილისი.

კოვალევსკი 1930: Д. Б. Ковалевский. *Страна снегов и башен (очерки сванской культуры)*, Прибой.

მგელაძე 1984ა: ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3, თბილისი.

მგელაძე 1984ბ: ნ. მგელაძე. *ჩაჭის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1986: ნ. მგელაძე. *ღეჩხუმის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1987ა: ნ. მგელაძე. *ფშავის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები, ღღიური*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1987ბ: ნ. მგელაძე. *სამეგრელოს საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1987გ: ნ. მგელაძე. *იმერეთის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1988: ნ. მგელაძე. *სვანეთის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ღღიურები*, ავტორის პირადი არქივი.

მგელაძე 1992: Н. Мгеладзе. *Формы социальной организации и система терминов родства в традиционной культуре грузинского народа (этнокультурные аспкты, историческая и локально-региональная специфика)*, Диссертация на соискание ученой степени доктора исто рических наук, Москва.

მგელაძე 2002: ნ. მგელაძე. ეგზოგამიის ზოგიერთი თავისებურება ქართველი ხალხის ტრადიციულ საზოგადოებაში, *"ოჩხარი", ჯუღიეტა ხუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი*, თბილისი.

მგელაძე 2004: ნ. მგელაძე. *აჭარული ნოგრო და გვარი*, ბათუმი.

მგელაძე 2014: ნ. მგელაძე. *სვანური „ღამხუბ" (სოციალური ინტერპრეტაცია)*, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი.

ნოვიცკი 1853: Г. Новицкий. Анапа и закубанские поселения, *Записки кавказского отдела русского географического обшества*, кн. 2, Тифлис.

პანეკი 1939: Л. Б. Панек. Следы родового строя у мтиулов, СЭ, 2, Москва-Ленинград.

პანეკი 1946: Л. Б. Панек. Социальные отношения мтиулов, *Краткие сообщения Института этнографии, Москва.*

რადდე 1873: Г. И. Радде. Путешествие в мингрельских Альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-цкали и Ингур), *Записки кавказского отдела русского географического обшества*, кн. VII, Тифлис.

რობაქიძე 1958: А. Робакидзе. О формах поселения в Сванети, *Краткие сообщения Института этнографии*, XXXIX, Москва.

ყამარაული 1929: А. Я. Камараули. *Хевсуры (очерки)*, Тифлис.

შანშიევი 1931: З. Шаншиев. По Сванетии. *Путевые очерки*, Заккнига, Тифлис.

ხარაძე 1939: რ. ხარაძე. *დიდი ოჯახის გაჰიდმონაშთები სვანეთში*, თბილისი.

ხარაძე 1947: რ. ხარაძე. ხევსურული რჯული, *ანაღები*, I, თბილისი.

ხარაძე 1949: რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, *მიმომხილველი*, I, თბილისი.

ხარაძე 1958: Р. Харадзе. К вопросу о территориально-общинных объединениях у грузин-горцев, *Кроткие сообщения Института этнографии*, XXIX, Москва.

ხარაძე 1963: რ. ხარაძე. ტერიტორიალურ-მეზობლური გაერთიანებანი სვანეთში, *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XII-XIII, თბილისი.

ხარაძე, რობაქიძე 1964: რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. *სვანეთის სოფელი ძველად*, თბილისი.

ISSUES RELATED TO THE SHRINES AND RELIGIOUS RITUALS OF THE TERRITORIAL AND SOCIAL GROUPS IN THE GEORGIAN PEOPLE'S TRADITIONAL CULTURE (ACCORDING TO THE EMPIRICAL-ETHNOGRAPHIC SOURCIES)

Nugzar Mgeladze
Batumi Shota Rustaveli State University
nugzar.mgeladze&bsu.edu.ge

There are various types of beliefs and representations in the Georgian people's spiritual culture, and those mostly were related to the cult of ancestor and the process of sacralization of the shrines of the patronymic organization.

At the same time, in the pagan religious panorama of the Georgian people, different types of cults can be seen, their regional and local features are revealed. Cults of territorial and ideological groups in many places were understood in the prism of kinship with a traditional mentality and had a patronymic character.

The basis of a number of cults was of a common origin, which was dominant in several regional cultures of Georgian societies in terms of integration within socio-regional groups and as a result of personification, carried the signs of ideological unity.

ქართლის პირველი კათოლიკოსის, პეტრეს აღსაყდრების თარიღისათვის

მანანა სანაძე
საქართველოს უნივერსიტეტი,
თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტი
msanadze@ug.edu.ge

ქართლის სამეფოში კათოლიკოსობის დაწესებისა და პირველი კათოლიკოსის აღსაყდრების დრო უშუალო კავშირშია ვახტანგ გორგასლის მეფობის ქრონოლოგიასთან, ვინაიდან ცნობილია, რომ ვახტანგმა კათოლიკოსის გამოგზავნა ბიზანტიას სპარსეთის შაჰთან ინდოეთში რვა წლიანი ერთობლივი ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მოსთხოვა. იმავდროულად წარმოიშვა კონფლიქტი მეფესა და ქართლის მთავარეპისკოპოს, მიქაელს შორის, რაც ამ უკანასკნელის ქვეყნიდან განდევნით დასრულდა. რაც შეეხება ვახტანგის მეფობის დათარიღებას, ერთ-ერთი მთავარი ბჯენი ქართლის პიტიახშის ვარსქენის მოკვლის დროა, ვინაიდან სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი ამ მკვლელობის ინიციატორად ვახტანგს ასახელებს.

ქართული საისტორიო ტრადიცია შუშანიკისა და მისი მეუღლის, ვარსქენის ცხოვრება-მოღვაწეობის ხანად ქართლის მეფის ბაკურ ფარსმანის ძის მმართველობის პერიოდს (მეფობდა დაახლოებოთ VII ს-ის შუა წლებში, იხ. სანაძე 2016: 368-370) მიიჩნევს, რაც მცდარია. ქართული ისტორიოგრაფიის ამ შეცდომის შესაძლო მიზეზები ახსნილი გვაქვს და აქ აღარ შევჩერდებით (სანაძე 2024: 203-204).

მიუხედავად იმისა, რომ ლაზარ ფარპეცის მიერ ვარსქენის მოკვლის თარიღი საკმაოდ ზუსტადაა განსაზღვრული, ქართულ ისტორიოგრაფიაში მაინც განსხვავებული თვალსაზრისები წარმოიშვა, საბოლოოდ კი არჩევანი, რატომღაც, 482 წელზე გაკეთდა. საქმე ისაა, რომ ეს თარიღი (482) ლაზარ ფარპეცის თხრობაში ამბების თანმიმდევრობის აღრევიდან გამომდინარე გაჩნდა. ვარსქენის მკვლელობა, საკუთრივ ლაზარ ფარპეცისავე დათარიღებით, მოხდა პეროზის მეფობის ოცდამეხუთე წელს, რაც 484 წელს შეესაბამება და არა – 482 წელს.[1] მეტიც, ლაზარ ფარპეცის მიხედვით, პეროზმა აღნიშნული მკვლელობის შესახებ ჰუნ-ჰეფტალიტებთან საბრძოლველად მიმავალმა გაიგო. ეს ლაშქრობა კი პეროზმა 484 წელს წამოიწყო, რაც ვარსქენის მკვლელობის 484 წლით დასათარიღებლად კიდევ ერთი უტყუარი არგუმენტია (სანაძე 2019: 399-400). ვინაიდან ვარსქენის დასჯას ლაზარ ფარპეცი ვახტანგ გორგასალს უკავშირებს, ვახტანგი კი, ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიით, 439-499 წლებში ცხოვრობდა და 446-499 წლებში მეფობდა (ყაუხჩიშვილი 1973: 100-115), ვარსქენსა და შუშანიკს შორის განვითარებული კონფლიქტი და შუშანიკის მოწამეობრივი აღსასრულიც ვახტანგ გორგასლის ეპოქას დაუკავშირდა (იოსელიანი 1843: 55); (იოსელიანი 1850: 57-63); (ბროსე 1851: 74-80, 114-117); (ბროსე 1849: 81-82).

თუ არა აპრიორი გორგასლის ცხოვრების წლებად ვახუშტის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიის მიჩნევა და *ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში* ორიოდე ადგილას ბიზანტიის კეისრის, ლეონ დიდის (457-474 წწ.) მოხსენიება, რაც, ტექსტის ანალიზიდან გამომდინარე, გვიანდელი ჩანართია, სხვა მხრივ არაფერი გვაქვს იმის სამტკიცებლად, რომ შუშანიკის წამება ვახტანგ გორგასლის ხანაში მოხდა. მართლაც, ვარსქენის სიკვდილსა (484 წ.) და შუშანიკის მოწამეობრივ აღსასრულს (475 წ.) შორის ცხრა წელია შუალედი, ამიტომ ის, რომ ვახტანგ გორგასალი ფიგურირებს 484 წელს ვარსქენის მკვლელობაში, უცილობელ საფუძვლად ვერ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ის შუშანიკის წამების პერიოდშიც (468-475 წწ.) მეფე იყო.

საკითხი, თუ ქართლის რომელი მეფის დროს ეწამა შუშანიკი, საკუთრივ ვახტანგისა

თუ მისი მამის, ქართლის მეფე მირდატის ხანაში, უშუალოდ დაკავშირებულია ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მეფობის წლების დადგენასთან. ქართულ ისტორიოგრაფიაში ვახუშტი ბაგრატიონიდან მოყოლებული ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდად V საუკუნის მეორე ნახევარი განისაზღვრა.

შემდგომი ხანის ისტორიოგრაფია საქართველოს ისტორიის ანტიკური ხანისა და ადრე შუა საუკუნეების კვლევისას ქრონოლოგიის ვახუშტისეულ ბადეს დაეფუძნა და, ფაქტობრივად, უკრიტიკოდ გაიზიარა ვახუშტი ბაგრატიონის არამარტო მართებული დასკვნები, არამედ, სამწუხაროდ, შეცდომებიც. მკვლევრებისათვის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვახუშტი ბაგრატიონისეული დათარიღება ფრიად დამაჯერებელი აღმოჩნდა, მით უფრო, რომ მას *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაციაც ერთგვარად ამყარებდა – თხზულებაში ხომ ვახტანგის მეორე მეუღლის, ბიზანტიელი ელენეს მამად ბიზანტიის კეისარი ლეონი იყო გამოცხადებული, რომელიც ლეონ I თრაკიელთან (457-474 წწ.) გაიგივდა. მაგრამ ლეონ I-ის ქალიშვილების სახელები ცნობილია და მათგან ელენე არც ერთს არ ერქვა (უნდა აღინიშნოს, რომ ეს წინააღმდეგობა მკვლევრებს ყოველთვის დიდ უხერხულობას უქმნიდა). რაც შეეხება *ქართველთა ცხოვრების* ცნობას, ის შემდეგნაირად გამოიყურება, იქ, სადაც ვახტანგის მიერ აფხაზეთის ციხეების ბერძენთაგან გათავისუფლებაზეა საუბარი, მემატიანე გვამცნობს:

> და თჳთ (ვახტანგი – მ. ს.) სპითა დიდითა ქართლისათა წარმოვიდა გზასა აფხაზეთისასა, სულგრძელად და უშიშად იწყო ბრძოლად ციხეთა აფხაზეთისათა – *ჰამეთუ მეფე ბერძენთა ღეონ დიდი უცაღო იყო ბრძოლისაგან სპარსთასა და ვერ შემძღებელ იყო სპათა გამოგზავნად აფხაზეთს* (ხაზი ჩვენია – მ. ს.) – და სამ წელ წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე გოჯამდე (ყაუხჩიშვილი: 157).

თვალის ერთი გადავლებაც კი აშკარას ხდის, რომ აღნიშნულ მონაკვეთში ჩვენ მიერ მონიშნული ფრაზა გვიანდელია და, სავარაუდოდ, ჯუანშერისეული ტექსტის უკვე ლეონტი მროველისეულ რედაქციას წარმოადგენს. ტექსტში მის გვიანდელ ჩართვას ბ. ხურცილავაც იზიარებს (ხურცილავა 2016: 122). მართლაც, თუ მონიშნულ მონაკვეთს, როგორც გვიანდელ ჩანართს, ამოვიღებთ, რომელიც იმისთვის ჩაუმატეს, რომ თავისი დროის მკითხველისათვის აეხსნათ, თუ რატომ ვერ დაეხმარა აფხაზეთში მყოფ ბიზანტიურ ლაშქარს კეისარი, მონაკვეთის წინა და მომდევნო ფრაზები ბუნებრივად ებმიან ერთმანეთს.

გვაქვს სხვა მონაკვეთიც, რომელშიც ლეონ დიდი ვახტანგ გორგასლის სიმამრადაა გამოცხადებული: „ხოლო ბერძენთა მეფე – *სიმამი ვახტანგისი, მოკუდა* და *დაჯდა მეფედ ზენონ, ძე მისი* (ხაზი ჩვენია – მ. ს.) და გამოვიდა სპერად, გამოსვლად ქართლს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 203).

აქაც მონიშნული მონაკვეთი, რომელშიც ლეონ მაკელის ვახტანგის სიმამრობაზეა საუბარი, გვიანი ჩანართია. ამ შემთხვევაშიც მონიშნულ მონაკვეთს თუ ამოვიღებთ, რომლის ჩართვით წინადადების სეგმენტები გაწყვეტილია, დარჩენილი მონაკვეთები ორგანულად ერთიანდება: „ხოლო ბერძენთა მეფე გამოვიდა სპერად, გამოსვლად ქართლს“. ინფორმაციის ასეთი „ჩასმა“ ლეონ დიდის უკვე ვახტანგის სიმამრად გააზრების შედეგია. იმავდროულად, მემატიანე, სავარაუდოდ, ლეონტი, შეცდომას უშვებს და ზენონს ლეონ დიდის ვაჟად წარმოგვიდგენს, რაც არასწორია, ზენონი ლეონის სიძე იყო, მისი ქალიშვილის, არიადნეს ქმარი და არა – ძე.

უნდა ვიფიქროთ, ჯუანშერისეულ ტექსტში ელენესთან მიმართებაში ნათქვამი იყო, რომ ის იყო კეისრის, ლეონ დიდის „შვილი“, რამაც ლეონტის აფიქრებინა, რომ ვახტანგ გორგასალი ლეონ დიდის თანამედროვე იყო. სიტყვა „შვილი“ ჯუანშერ ჯუანშერიანთან (დაახლოებით 530-590 წწ.), თუ ის სადმე ელენეს მიემართებოდა, *ძველი – მემკვიდრის, შთამომავლის* – მნიშვნელობით იქნებოდა გამოყენებული, ლეონტი მროველმა კი *ქართველთა ცხოვრების* განვრცობისა და საკუთრივ ჯუანშერის თხზულების რედაქტირების დროს ის ლეონის ბიოლოგიურ შვილად გაიაზრა.

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში გაზიარ-

ებული იყო ვახტანგ გორგასლის სიცოცხლის დათარიღების ვახუშტისეული ვერსია მცირე კორექტირებით – გარდაცვალების თარიღად 502-505 წლები მიიჩნეოდა, რაც მისი გარდაცვალების ვახუშტის მიერ შემოთავაზებული თარიღის (499 წ.) სპარსეთ-ბიზანტიის ომთან (502-505 წწ.-ის)[2] „მიჩოჩებით" იქნა მიღებული. მკვლევრები მხოლოდ იმაზე დავობდნენ, თუ ამ წლებს შორის როდის დაიღუპა ვახტანგი. ზოგი თვლიდა, რომ ის 503 წელს გარდაიცვალა (გორგაძე 1913: 64-67), ზოგიც 502 წელს აძლევდა უპირატესობას (ჯავახიშვილი 1979: 329); (ლორთქიფანიძე 1979: 87-88); (ლომოური 1994: 44-48); (ხურცილავა 2006: 123). დ. მუსხელიშვილი სპარსთა ლაშქრობას, რომლის დროსაც ვახტანგი უნდა დაღუპულიყო, 499-502 წლებს შორის, ანუ სპარსეთ-ბიზანტიის ომის დაწყებამდე, ან ამ ომის დაწყებიდან მალევე პერიოდში ვარაუდობს (მუსხელიშვილი 2003: 185). თავდაპირველად ვახტანგის დაღუპვის თარიღად 502 წელს ასახელებდა ლ.-ნ. ჯანაშიაც (ჯანაშია 1962: 164), თუმცა მოგვიანებით ვახტანგის გარდაცვალების წლებად 502-506 წლების ბიზანტია-ირანის ომის ხანა მიიჩნია (ჯანაშია 1973: 104).

ა. ბოგვერაძე ვახტანგის გარდაცვალების თარიღებს შორის უფრო V საუკუნის 90-იან წლებს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა დასაშვებად მიიჩნევს VI საუკუნის დამდეგსაც (ბოგვერაძე 1979: 57). ვახტანგ გოილაძემ ვახტანგის დაღუპვის თარიღი 491 წლით განსაზღვრა. ამ შემთხვევაში ის *ფიჰან გუშნაპსის მახტვიღობას* ეფუძნება, რომლის ერთი ფრაზა, მკვლევრის აზრით, თითქოსდა 490/491 წლისათვის სპარსეთსა და ბიზანტიას შორის რაღაც, დღემდე უცნობ, დაზავებას უნდა გულისხმობდეს. ვინაიდან დაზავება იყო, მაშ, ომიც ყოფილა და თუ ყოფილა, სწორედაც იქ უნდა დაღუპულიყო ვახტანგი – ფიქრობს მკვლევარი (გოილაძე 1988: 92); (გოილაძე 1991: 70-76). სინამდვილეში, ფირან გუშნასპის მარტვილობის ის მონაკვეთი, რომელსაც გოილაძე ეყრდნობა, ტექსტის გერმანულად მთარგმნელსა და გამომცემელ გ. ჰოფმანს (მის თარგმანსა და გამოცემას ეყრდნობა ვ. გოილაძე) აღდგენით კვადრატულ ფრჩხილებში აქვს მოცემული და, თუ არა გამომცემლის მიერ სიტყვის – „მშვიდობის" – მცდარი აღდგენა, სალაპარაკოც არაფერი იქნებოდა. აღნიშნული მონაკვეთი ჰოფმანისეულ თარგმანში შემდეგნაირად გამოიყურება: „Lange Zeit darauf machte Gott zwischen diesen beiden Reichen Frieden. Im Jahre vierzig [des Friedens] kam der König Khosrau zur Regierung" (Hofman 1880: 80). ქართული თარგმანი: „აქედან დიდი ხნის შემდეგ ღმერთმა ამ ორ სახელმწიფოს შორის დაამყარა მშვიდობა. [მშვიდობის] მეორმოცე წელს ხოსრო ავიდა ტახტზე".

როგორც ვხედავთ, თუ კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილ *des Friedens (მშვიდობას)* ამოვიღებთ, დაგვრჩება, რომ „მეორმოცე წელს ავიდა ხოსრო ტახტზე", მაგრამ რის მეორმოცე წელზეა საუბარი, ჩვენთვის უცნობია!

ეს საკითხი დეტალურად განიხილა გ. ალასანიამ. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ *ფიჰან გუშნაპსის მახტვიღობაში* ყველა თარიღი სპარსეთის შაჰების ზეობის წლებითაა ნაანგარიშები და ამ შემთხვევაშიც კავადის მეფობის მეორმოცე წელთან უნდა გვქონდეს საქმე, როდესაც კავადი გარდაიცვალა და ხოსრო ავიდა ტახტზე. მართლაც კავადის მეფობის საერთო წლებს (488-531 წწ.) მისი ძმის, ჯამასპის, მეფობის სამ წელს (496-498 წწ.) თუ გამოვაკლებთ, კავადის მეფობის ზუსტად ორმოცი წელი გამოგვივა, რისი თქმაც უნდოდა კიდეც მარტვილობის ავტორს. ამდენად, ფირან გუშნასპის ტექსტის აღნიშნული მონაკვეთი გ. ალასანიას თვალსაზრისით შემდეგნაირად უნდა აღდგეს: „[კავადის მეფობის] მეორმოცე წელს ავიდა ხოსრო ტახტზე". საბოლოოდ, მკვლევარმა დაასკვნა, რომ სავარაუდო არაა ვახტანგის გარდაცვლება 503 წელზე უადრეს (ალასანია 2008: 34-45).

ფიჰან გუშნაპსის მახტვიღობის აღნიშნული მონაკვეთის გ. ალასანიას მიერ შემოთავაზებულ აღდგენას სრულად ემთხვევა *ფიჰან გუშნასპის მახტვიღობის* ინგლისურად მთარგმნელისა და გამომცემელის ფლორენს ჯულიენისეული ტექსტის აღდგენაც, თუმცა სამწუხაროდ, ბატონი ჯულიენი გ. ალასანიას არ იმოწმებს (ჯულიენი 2023: 52).[3]

როგორც გ. ალასანიას, ისე ფ. ჯულიენის დასკვნებმა წარმოაჩინა ჰოფმანისეული „აღდგენის" მცდარობა და ამ აღდგენაზე დაფუძნებული ვ. გოილაძის თვალსაზრისის *უსაფუძვლობა.*

გორგასლის მეფობის ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებული თარიღის, რამდენიმე წლით გადმოწევას, ან, პირიქით, გადაწევას, ბუნებრივია, მისი ცხოვრების წლების გადმოწევა-გადაწევაც მოჰყვა. ვინაიდან *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით ვახტანგი შვიდი წლის გამეფდა და სამოცი წლის გარდაიცვალა. შესაბამისად, მისი დაბადების თარიღიც მათთვის, ვინც მის გარდაცვალებას 502-505 წლებით ათარიღებს, 442/445 წლებით განისაზღვრა (გორგაძე 1913: 64-67); (ჯანაშია 1973: 104); (ჯავახიშვილი 1979: 329); (ლორთქიფანიძე 1979: 87-88); (ლომოური 1994: 44-48), ხოლო ვ. გოილაძისა და მისი მომხრეებისათვის, ანუ მათთვის, ვინც ვახტანგის გარდაცვალების თარიღად, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, სრულიად უსაფუძვლოდ, 490-491 წლებს მიიჩნევს – 430-431 წლებით. იმავდროულად, ისტორიკოსები ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ სპარსეთ-ბიზანტიის ურთიერთობების და ამ ურთიერთობებში საკუთრივ ვახტანგის მონაწილეობის შესახებ *ქართველთა ცხოვრების* მონათხრობი, ვახტანგის ცხოვრების ხანად მიჩნეულ ისტორიულ ეპოქაში (442/445-502/505; 431-491 წწ.) ვერ ჯდებოდა. მთავარი კი ისაა, რომ ვახტანგ გორგასლის ცხოვრება-მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენის მიმართულებით ზემოთ მოყვანილი ამ ორი თვალსაზრისიდან (1. 442/45-502/505 წწ; 2. 430/31-490/91 წწ.) წყაროებით (ქართული, სომხური, სირიული, ბერძნული) არცერთი არ დასტურდება. ვახტანგის მეფობის წლების შესახებ გავრცელებული თვალსაზრისის რევიზიას პირველად შეეცადა მ. ჯანაშვილი, რომელმაც ვახტანგი, პროკოპი კესარიელის ცნობით, 523 წელს ბიზანტიაში მეუღლითა და შვილებით ჩასული ქართლის „ბასილევს" (ასე უწოდებს მას პროკოპი) გურგენთან გააიგივა და, შესაბამისად, მიიჩნია, რომ ვახტანგი 523 წლისათვის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო (ჯანაშვილი 1899: 29). იმავე თვალსაზრისს ავითარებს კ. თუმანოვიც, სავარაუდოდ, ჯანაშვილის დასკვნებზე დაყრდნობით – ვახტანგ გორგასალს აიგივებს პროკოპი კესარიელისეულ გურგენთან და მისი გარდაცვალების თარიღად 523 წლის ახლო პერიოდს მიიჩნევს (თუმანოვი 1963: 364). შემდგომში მ. ჯანაშვილი თავის კვლევაში უფრო შორს წავიდა – მან ვახტანგის გურგენთან იგივეობა უარყო, ხოლო გორგასლის გარდაცვალების თარიღად 532 წელი დაასახელა. საბოლოოდ მან ვახტანგის ცხოვრება 472-532 წლებით, ხოლო მეფობა 479-532 წლებით განსაზღვრა (ჯანაშვილი 1906: 207-226). ახალი წყაროების ანალიზისა და საკითხის სიღრმისეული კვლევის საფუძველზე ვახტანგის ცხოვრებას 470/471-531 წლებით, მეფობას კი, შესაბამისად, 478-431 წლებით ვათარიღებთ (სანაძე 2016: 308-347); (სანაძე 2019: 398-402). მთავარი არგუმენტი ასეთი დათარიღებისათვის გახდა ის, რომ 442-502 წლებს შორის პერიოდში არცერთი ომი, მცირემასშტაბიანიც კი, სპარსეთსა და ბიზანტიას შორის არ ყოფილა. ასეთ შემთხვევაში პასუხგაუცემელი რჩებოდა კითხვა, თუ რომელი იყო სპარსეთ-ბიზანტიას შორის ის დიდი ომი, რომელშიც სპარსეთის კოალიციურ ლაშქარში მყოფი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვახტანგი მონაწილეობდა და რომელმაც ჯუანშერისეული *ვახტანგ გორგასლის ცხოვრების*, როგორც ისტორიული თხზულების, ღერძი შექმნა. მართლაც, ჯუანშერის მიერ თხზულების აგებას თუ ჩავუკვირდებით, ის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას ყოფს სპარსეთ-ბიზანტიას შორის წარმოებულ აღნიშნულ ომამდე და ომის შემდეგ პერიოდებად. ხოლო ომის შემდეგ პერიოდს კიდევ ორ ქვეპერიოდად ყოფს – ინდოეთში ლაშქრობა და ინდოეთში ლაშქრობის შემდგომი ხანა. აშკარაა, რომ ჯუანშერი ვახტანგ მეფის ცხოვრებაში ამ ომს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს. ეს ომი კი, წყაროების მიხედვით, მხოლოდ სპარსეთ-ბიზანტიის 502-507 წლების ომი შეიძლება იყოს.

ჯუანშერთან აღწერილი სპარსეთ-ბიზანტიას შორის ამტყდარი ომი რომ სწორედაც 502-507 წლების ომი იყო, იოლად დავრწმუნდებით, თუ *ქართველთა ცხოვრების* მონათხრობს სირიელი და ბიზანტიელი ავტორების ცნობებს შევადარებთ. პრაქტიკულად იდენტურია ცნობები ომის დასაწყისის შესახებ – თეოდოსიოპოლზე, იგივე კარნუ ქალაქზე თავდასხმა, თავდამსხმელთა მხრიდან ქალაქის წარუმატებელი ალყა, მოალყეთა ათი/თხუთმეტი ათასიანი კორპუსის ქალაქის კედლებთან დატოვება, კოალიციური ლაშქრის ბიზანტიის სიღრმეში შესვლა და ა. შ. ეს წყაროები *ქართველთა ცხოვრების* მონათხრობთან დიდ მსგავსებას ავლენს აგრეთვე სპარსეთ-ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებისა და დადებული ზავის პირობების გადმოცემის კუთხითაც (საზავო მოლაპარაკების მთავარი თემა ჯაზირეთის ქალაქების კუთვნილების საკითხია).

ამგვარად, ვახტანგმა ბიზანტიაში სპარსეთ-ბიზანტიის 502-507 წლების ომის ფარგლებში ილაშქრა. იმხანად ის ოცდაათ წელს მცირედ გადაცილებული იყო. რაც შეეხება ინდოეთში ლაშქრობას, ეს 508 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო, ხოლო სპარსეთის შაჰი, რომელთან ერთადაც მან ეს ხანგრძლივი, რვაწლიანი ლაშქრობა განახორციელა, იყო კავად I (488-96; 498-31 წწ.). ვახტანგი 531 წელს დაიღუპა ხოსრო ანუშირვანთან ბრძოლაში. ხოსრო ანუშირვანი მამის, კავადის გარდაცვალების შემდეგ მალევე შემოვიდა ქართლში ვახტანგის ან დასამორჩილებლად, ან მასთან საბოლოოდ ანგარიშის გასასწორებლად.

531 წელს გარდაცვლილი ვახტანგი 470/471 წლებში დაიბადა, 478 წელს შვიდი წლის ასაკში გამეფდა და უკვე თოთხმეტი წლის ყმაწვილმა მონაწილეობა მიიღო ვარსქენზე თავდასხმასა და მის დასჯაში. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების აღნიშნული ქრონოლოგია არაერთი სხვა წყაროს მონაცემით დასტურდება, რომელთა მოყვანა წინამდებარე სტატიის ფორმატსა და დანიშნულებას სცილდება (დაწვრილებით იხ. სანაძე 2016: 297-347); (სანაძე 2019: 391-403); (სანაძე 2020: 3-182).

ვახტანგ გორგასლის მეფობის ოცდაათი წლით გაახალგაზრდავებამ, ბუნებრივად, მისი მამის მირდატის და პაპის არჩილის მეფობის გადმოწევაც განაპირობა. აღმოჩნდა, რომ V საუკუნის 40-50-იან წლებში ქართლში არა ვახტანგი, არამედ მისი პაპა არჩილი მმართველობდა და *ქართველთა ცხოვრების* მონათხრობი არჩილისა და მისი ვაჟის, მირდატის ალბანეთის (რანი და მოვაკანი) და ადარბადაგანის პიტიხშის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, არის სამხრეთ კავკასიური სახელმწიფოების სპარსეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის გამოვლინება. აჯანყების დამარცხების შემდეგ არჩილისა და მისი ვაჟის და ტახტის მემკვიდრის მირდატის მოლაპარაკება და შერიგება სპარსეთთან საჰაკ ბარზაბოდის ასულ საგდუხტზე მირდატის დაქორწინებით დასრულდა.

მოლაპარაკება, სავარაუდოდ, ხავერდოვანი სულაც არ აღმოჩნდა და არჩილს გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუწია საკუთარი სუვერენიტეტის საზიანოდ. *ქართველთა ცხოვრება* ამ მხრივ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის. ირკვევა, რომ არჩილის მეფობაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამი მთავარეპისკოპოსი კი გამოცვლილა და მეოთხესაც მთავარეპისკოპოსობა არჩილის მმართველობაში დაუწყია (რაც არჩილის საკმაოდ ხანგრძლივ მეფობაზე მეტყველებ), მაგრამ ვინ იყო ეს მეოთხე? თხზულებიდან ვიგებთ, რომ მისი სახელი მობიდანი ყოფილა! ჯუანშერის მიერ *ვახტანგ გორგასლის ცხოვრების* შექმნის დროიდან (VI ს.-ის 70-80-იანი წლები) ხუთასი წლით დაშორებულ ლეონტი მროველს, რა გასაკვირია, რომ სახელი და ტიტული ერთმანეთში არეოდა?! სავარაუდოდ, მობიდანის სახელი ლეონტიმდე ბევრად ადრეც დაიკარგა სწორედაც ტიტულის სახელად აღქმის გამო. საქმე ისაა, რომ მობიდანი სპარსული სიტყვაა და ეპისკოპოსის შესატყვისია. რაც შეეხება მთავარეპისკოპოსს – ის მობედან-მობედია, რაც ეპისკოპოსთა თავს ნიშნავს. ამდენად, არჩილის მეფობის ბოლო პერიოდში (459-464/466 წწ.), რაც სწორედაც პეროზის მეფობის საწყის წლებს შეესაბამება, ქართლში მობედან-მობედი გამოუგზავნიათ და ქართლის ეკლესიის თავად დაუყენებით. ასე რომ, თუმცა, ალბანეთისა და ადარბადაგანის პიტიახშის ასულზე დაქორწინებით არჩილმა თავის ვაჟს, მირდატს ტახტი შეუნარჩუნა, მაგრამ იძულებული გახდა სპარსეთის მიმართ დიდ კომპრომისზე წასულიყო – ქვეყანაში მობედან-მობედი მიეღო და ამით ქართლის ეკლესიაზე სპარსეთის მხრიდან კონტროლს დასთანხმებოდა.

არჩილ მეფე დაახლოებით 464-466 წლებში, სავარაუდოდ, 70/75 წლის ასაკში უნდა გარდაცვლილიყო. იმავე 466 წლის ახლო ხანებში ქართლის ტახტი მისმა ვაჟმა მირდატმა დაიკავა, რომელსაც მამისაგან განსხვავებით დიდხანს არ უმეფია – ის ვახტანგის შვიდი წლის ასაკში ყოფნისას, 478 წელს გარდაიცვალა. იმ ხანის ქართლის მეფეების უფლებრივი შეზღუდვა კარგად ჩანს *ქართველთა ცხოვრების* იმ მონაკვეთში, რომელშიც ავტორი ვახტანგის მცირეწლოვანების პერიოდში (478-484 წწ.) საგდუხტ დედოფლის, როგორც რეგენტის, მმართველობის შესახებ გვამცნობს: „საგდუხტ დედოფალი განაგებდა მეფობასა ძალითა და შეწევნითა მამისა თჳსისათა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 145). როგორც ვხედავთ, საგდუხტი, როგორც ვახტანგის რეგენტი, დამოუკიდებელი მმართველი სულაც არ იყო. ის უშუალოდ მამამისის, ალბანეთისა და ადარბადაგანის პიტიახშის ზედამხედველობით განაგებდა ქვეყანას.

ქართული ისტორიული წყაროები მობიდან-მობედს კვლავაც მთავარეპისკოპოსად მოიხსენიებენ, რაც არაა სიმართლისაგან შორს, მაგრამ *შუშანიკის წამებამ*, როგორც თანადროულმა ძეგლმა, განსხვავება მაინც შენიშნა და სამოელს, მთავარეპისკოპოსის ნაცვლად, „თავი ეპისკოპოსთაჲ“ უწოდა. მთავარეპისკოპოსსა და „თავი ეპისკოპოსთაჲს“ შორის არსებული ერთგვარი განსხვავება ე. გიუნაშვილმა და ზ. სარჯველაძემაც შეამჩნიეს და „თავი ეპისკოპოსთაჲ“, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, *შუშანიკის წამების* 1990 წლის გამოცემაში *კათაღიკოსად* განმარტეს: „სამოელ, თავი ეპისკოპოსთაჲ (კათოლიკოსი)...“ (გიუნაშვილი, სარჯველაძე 1990: 58).

ეპისკოპოსთა თავად მოხსენიების გამო *შუშანიკის წამების* სამუელს კათოლიკოსად მიიჩნევს ბ. ხურცილავაც, რომელიც ცდილობს წყაროთა მონაცემები „მოარგოს“ საკუთარ კონსტრუქციას, რაც მარტივი საქმე არაა. ბ. ხურცილავას დასკვნების შედეგად, პეტრე ვეღარ გამოდის ქართლის პირველი კათოლიკოსი (ვინაიდან მკვლევარს მისი პირველობა ქართლის საკათალიკოსო ტახტზე ხელს უშლის საკუთარი თეორიის ჩამოყალიბებაში), თუმცა ყველა წყარო ადასტურებს, რომ სწორედაც პეტრეა ქართლის პირველი კათოლიკოსი! პირველი კათოლიკოსის ნაცვლად, ბ. ხურცილავას ვერსიით, პეტრე გაიგივებულია 506 წლის დვინის კრებაზე დასახელებულ ქართლის მღვდელმთავარ გაბრიელთან, ხოლო *შუშანიკის წამებაში* დასახელებული სამოელი (რომელიც ბ. ხურცილავას თვალსაზრისით, იმავდროულად, იოველიცაა) იქცევა 476-477 წლებში ხელდასხმულ ქართლის პირველ კათალიკოსად. რთულია კამათი მკვლევართან, რომელიც წყაროთა მონაცემებს უგულებელყოფს და დასკვნებს წინასწარ კონსტრუირებულ სქემას არგებს.

ზ. სარჯველაძე, ე. გიუნაშვილი და ბ. ხურცილავა სულაც არ არიან პიონერები *შუშანიკის წამების* სამოელის კათოლიკოსად გამოცხადების საკითხში. ამის შესახებ ბევრად ადრე აქვს გამოთქმული მოსაზრება კ. თუმანოვს, რომელიც, აგრეთვე, კათოლიკოსად მიიჩნევს სამოელს და მას 506 წლის დვინის კრებაზე მოხსენიებულ ქართლის ეკლესიის მეთაურ გაბრიელთან აიგივებს. მკვლევარი უშვებს შესაძლებლობას, რომ ხელნაწერში სახელი *გაბრიეღი სამოელის* არასწორად ამოკითხვის შედეგად გაჩნდა, ანუ *გაბრიეღი*, მისი თვალსაზრისით, ხელნაწერის დაზიანების შედეგად სამუელისაგან მიღებული შერყვნილი ფორმაა (თუმანოვი 1954: 170-171). სამწუხაროდ, დასკვნა უსაფუძვლოა. ეს სახელები ჟღერადობითაც და დაწერილობითაც სრულიად განსხვავებულია საიმისოდ, რომ გადამწერის შეცდომა ან ქარაგმის არასწორი გახსნა გვევარაუდა (მხედრულად: გ˜ბრლ და ს˜მლ; ნუსხურად: ე˜ყსრ, ს˜ბრ).

ყველა წყარო, რომლებიც ამ საკითხს ეხება, გვეუბნება, რომ ქართლის პირველი კათოლიკოსი იყო პეტრე და მის შემდეგ – სამოელი. *შუშანიკის წამებაში* მოხსენიებულ ეპისკოპოსთა თავ სამოელს არავითარი კავშირი არა აქვს პეტრეს შემდგომ კათალიკოს სამოელთან, მათ ერთმანეთს სამოც წელზე მეტი აშორებს. კათოლიკოსი სამოელი დაახლოებით 535/555 წლებს შორის კათოლიკოსობდა. ის არის *ევსტატე მცხეთელის წამებაში* მოხსენიებული ქართლის კათოლიკოსი სამოელი. მაგრამ დავუშვათ, რომ ზ. სარჯველაძე და ე. გიუნაშვილი მართლები არიან და *შუშანიკის წამების* სამოელი პეტრეს შემდგომი სამოელ კათოლიკოსია, მაშინ პეტრე როდისღა კათალიკოსობდა? ეპისკოპოსთა თავი სამოელი *შუშანიკის წამებაში* თხზულების დასაწყისშივე ჩანს, რაც იმას მოწმობს, რომ ის 468/470 წლისათვის უკვე აღნიშნულ თანამდებობას ფლობს. დავუშვათ, რომ ის სწორედაც 468 წელს შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, მანამდე კი პეტრე იყო. გამოდის, რომ პეტრეს კათოლიკოსობა ყველაზე გვიან, 460 წელს უნდა დაეწყო. ამ დროს ვახტანგის დაბადების თარიღად, თუნდაც ძველ, ტრადიციულ თარიღს, 442 წელს თუ ავიღებთ, გამოვა, რომ ვახტანგი 460 წლისათვის მხოლოდ თვრამეტი წლის იქნებოდა. წყაროებით კი პეტრე კათოლიკოსად ვახტანგმა ინდოეთში რვაწლიანი ლაშქრობიდან დაბრუნებულმა განაწესა, მაშ, როდის წავიდა ვახტანგი ინდოეთში სალაშქროდ, ათი წლის ასაკში?

ამ შემთხვევაში ჩვენ უცილობლად უნდა გავითვალისწინოთ *ვახტანგის ცხოვრების* ამბების თანმიმდევრობა. იმ ძველ ხანაში ერთიანი ერის (საიდანაც ხდება ამბების ათვლა) არარსებობის გამო ქრონოლოგია არც თუ ისე ზუსტი იყო, მაგრამ ამბების თანმიმდევრობა თხზულების ავტორებმა კარგად უწყოდნენ. თუ დავუშვებთ, რომ სამოელი თუნდაც 475

წლისთვის კათოლიკოსია, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ პეტრე უკვე გარდაცვლილია, ხოლო მიქაელი მანამდე იყო მთავარეპისკოპოსი, ეს კი არანაირ ქრონოლოგიაში არ ჯდება.

ახლა დავუშვათ, რომ ვახტანგი, როგორც ამას ვ. გოილაძე და მისი თანამოაზრეები გვთავაზობენ, მართლაც, 430/431 წლებში დაიბადა, ასეთ შემთხვევაში მან V საუკუნის 50-იან წლებში ჯერ კიდევ იეზდიგერდ II-სთან ერთად ცენტრალურ აზიაში კიდარიტების წინააღმდეგ ილაშქრა და იქიდან დაბრუნებულმა პეტრე 460 წელს განაწესა კათოლიკოსად, რომელიც 468 წელს უკვე სამოელმა შეცვალა. ამ შემთხვევაშიც არაფერი გამოვა იმიტომ, რომ წყაროებისავე ცნობით, პეტრე ვახტანგის გარდაცვალების მომსწრეა და ერთხანს შემდგომაც, მისი ვაჟის, დარჩილის სიცოცხლეშიც აგრძელებს კათოლიკოსობას. სამოელი კი მისი გარდაცვალების შემდეგ იკავებს ტახტს. გამოდის, რომ, თუ სამოელი 475-477 წლებში კათოლიკოსია, პეტრე უკვე გარდაცვლილია, შესაბამისად, ვახტანგიც გარდაცვლილია. ვახტანგმა კი სამოცი წელი იცოცხლა. სამოც წელს 477 წლიდან უკან თუ გადავითვლით (ვინაიდან ამ წლისათვის *შუშანიკის წამება* „ეპისკოპოსთა თავად" სამუელს გვისახელებს და თუ მას ჩავთვლით კათოლიკოსად, მაშინ ვახტანგი გარდაცვლილად უნდა მივიჩნიოთ), მაშინ ვახტანგის დაბადება 417 წელს უწევს. თუ ვახტანგის ცხოვრების წლებად 417-477 წლებს მივიჩნევთ, მაშინ ის ვახტანგი ვინღა არის, რომელიც 484 წლისათვის, ლაზარ ფარპეცის ცნობით, ვარსქენ პიტიახშის მკვლელობაში მონაწილეობს? და ა. შ.

გარდა ამისა, დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 475 წელს ქართლის ეპისკოპოსთა თავად მყოფი პირისათვის 506 წლის დვინის კრებამდე სიცოცხლე (ოცდაათი წელი მთავარეპისკოპოსობა), იმ პერიოდისათვის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკის გათვალისწინებით, ფრიად საეჭვოა. რაც მთავარია, მირდატის, და შემდგომ – საკუთრივ ვახტანგ გორგასლის ხანაში, მისივე *ცხოვრებიდან* და *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკიდან* ჩვენთვის ცნობილნი არიან მობიდანი, იოველი და ბინქარან//გლონოქორი, რომელსაც, *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით, მოსდევს მიქაელი. თუ სამუელი 475 წლიდან 506 წლამდე უწყვეტად იყო კათოლიკოსი, მაშ, როდისღა მთავარეპისკოპოსობდნენ დანარჩენები?

შუშანიკის წამებაში მოხსენიებულ სამოელს გ. მამულია აიგივებს კორიუნის *მაშტოცის ცხოვრებაში* ნახსენებ სამოელთან (ქართლში პირველი სტუმრობისას კორიუნის მიერ მოწაფედ წაყვანილ სამუელთან), რომელიც შემდგომში, მაშტოცის ქართლში მეორედ მოსვლის დროისათვის (428-430 წლები) სამეფო სახლის ეპისკოპოსად ჩანს (მამულია 1992: 30-32). მაშტოცის პირველი მოსვლა საქართველოში 396-405 წლებშია სავარაუდო. 405 წელიც რომ ავიღოთ, ყმაწვილი, რომელსაც იმხანად მაშტოცი მოწაფედ წაიყვანდა, ათი წლის მაინც ხომ უნდა ყოფილიყო, თუ მეტის არა? ასეთ შემთხვევაში ის 475 წლისათვის სულ მცირე, ოთხმოცი წლის იქნებოდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამდენი ხანი ეცოცხლა.

მთელი ეს გაუგებრობა მეფე არჩილის, მისი ვაჟის, მირდატისა და საკუთრივ ვახტანგ გორგასლის ქრონოლოგიის გაუმართავობის შედეგია. ვინაიდან მკვლევრები არაზუსტი ქრონოლოგიური ბჯენებით ოპერირებდნენ (მაგ., როგორიცაა, თუნდაც გვიან ჩამატებული „ლეონ დიდი" და მისთანანი), შედეგებიც სათანადოა. ახლა კვლავაც მობიდანს დავუბრუნდეთ.

არჩილი, რომელიც, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ახალი ქრონოლოგიით, ქართლში 431-466 წლებში მმართველობს (თუმცა 428-431 წლებში ის მირდატის ტყვედ ყოფნის პერიოდში, ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე, სავარაუდოდ, ასრულებდა მეფის ნაცვლის მოვალეობას), თავისი მეფობის ბოლო წლებში (459-465) არის სპარსეთის შაჰის, პეროზის თანამედროვე. ასე რომ, ბასილის გარდაცვალების შემდეგ მობიდანის, ანუ არჩილის მეფობაში რიგით მეოთხე მთავარეპისკოპოსის ხელდასხმა დაახლ. V საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ანუ პეროზის სპარსეთის ტახტზე ასვლიდან (459 წ.) მალევე უნდა მომხდარიყო. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მობიდანი უბრალოდ ეპისკოპოსი არ იყო. ის წყაროებში არჩილის მეფობაში ხელდასხმული მეოთხე მთავარეპისკოპოსი, სინამდვილეში კი მობიდან-მობედი - ეპისკოპოსთა თავია. ასეთად სახელდება კიდეც სამოელი *შუშანიკის წამებაში*. ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ, რომ არჩილის მეფობის ბოლოს (460-644/66 წლებში) ხელდასხმული მეოთხე მთავარეპისკოპოსი მობიდანი და *შუშანიკის წამებაში* 468 წლისათვის დასახელებული ეპისკოპოსთა თავი სამუელი ერთი და

იგივე პირია (სანაძე 2019: 420-423). ახლა გასაგები ხდება ეპისკოპოსთა თავის, სამუელის, გასაოცარი პასიურობა კონფლიქტში. ქართლის მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ქვეყანაში უდიდესი გავლენა უნდა ჰქონოდა, სრულებით არ ცდილობს პიტიახშზე ზემოქმედებას, რაც მისი სპარსეთზე დამოკიდებულებითა და სპარსეთის შაჰის მიმართ ანგარიშვალდებულებით უნდა აიხსნას.

მობიდან-მობედმა სამუელმა არჩილის ხანაში კი დაიწყო თავისი მოვალეობების შესრულება, მაგრამ ქართლის ეკლესიის მეთაურობა მას ძირითადად მირდატის მმართველობაში (464/466- 478 წწ.) მოუწია. ის, მართლაც, ჩანს შუშანიკის გარდაცვალების დროს, მაგრამ შემდგომ მალევე უნდა გარდაცვლილიყო და ეპისკოპოსთა თავის რანგში მას იოველი უნდა ჩანაცვლებოდა. მართალია, *ქართველთა ცხოვრება* იოველს არ იცნობს, მაგრამ მასზე, როგორც ვახტანგის თანადროულ მთავარეპისკოპოსზე, ინფორმაციას *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა* გვაწვდის.

აშკარაა, რომ *ქართველთა ცხოვრებაში* მთავარეპისკოპოსების ჩამონათვალიდან სამუელი და იოველი ამოღებულია. *მოქცევაჲს ქრონიკამ კი მხოლოდ* იოველი შემოგვინახა. რატომ უნდა გამქრალიყო *ქართველთა ცხოვრების* მთავარეპისკოპოსთა ჩამონათვალიდან სამოელი და იოველი? ალბათ, დიდად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ *ქართველთა ცხოვრებიდან* ორივეს ამოღება განაპირობა 1. მათმა მობიდან-მობედობამ და 2. მწვალებლური ქრისტიანული მოძღვრების (სავარაუდოდ, ნესტორიანობის) მიმდევრობამ.

ვახტანგის მიერ ვარსქენის მოკვლისა და სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ სპარსეთთან კვლავაც შერიგება მოხდა, მაგრამ ქართლის მეფის უფლებრივი მდგომარეობა უფრო დამძიმდა: იოველის გარდაცვალების შემდგომ, ახალი მობიდანის გამოგზავნის ნაცვლად, სპარსეთმა ახლა უკვე დინქარი (*ქართველთა ცხოვრების* მიხედვით – ბინქარანი) მოავლინა. *მოქცევაჲ ქართლისაჲს* ქრონიკა ბინქარ//ბინქარანს არ იცნობს, სამაგიეროდ გლონოქორს გვთავაზობს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია გამოთქმულია მოსაზრება ბინქარ//ბინქარანისა და გლონოქორის იდენტურობის თაობაზე (კეკელიძე 1955: 39). ამ თვალსაზრისს დასაშვებად მიიჩნევდა მ. ლორთქიფანიძეც (ლორთქიფანიძე 1979: 77). ა. კოხრეიძემ უარყო გლონოქორის ბინქარანთან იგივეობა და ის მეფე არჩილის პერიოდში *ქართველთა ცხოვრებაში* ჩამოთვლილი ოთხი მთავარეპისკოპოსიდან რიგით მეორედ დასახელებულ გრიგოლად მიიჩნია, რის გამოც მას გლონოქორ-გრიგოლს უწოდებს (კოხრეიძე 1981: 79-82). ამ საკითხის კვლევამ, როგორც ქვემოთაც წარმოვაჩენთ, აჩვენა, რომ კ. კეკელიძის მოსაზრებას ალტერნატივა არა აქვს.

მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკა გლონოქორის შესახებ აღნიშნავს: „ესე მთავარეპისკოპოსი ერისთავადაც იყო ბარზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“ (აბულაძე 1963: 92). ამგვარად, როგორც ვხედავთ, ქართლის ახალგაზრდა მეფის, ვახტანგის უფლებები ფრიად შეიზღუდა და მას ახლა ბინქარ//ბინქარანის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ემეფა. საინტერესოა, რომ ეს ბინქარ//ბინქარანი *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკის* ცნობით, არა მხოლოდ მთავარეპისკოპოსი იყო, არამედ „ერისთავადცა იყო ბარაზაბოდ პიტიახშისაგან ქართლს და ჰერეთს“ (აბულაძე 1963: 92). აშკარაა, რომ ბინქარანით სპარსეთმა ვახტანგის მიერ მოკლული ვარსქენ პიტიახში ჩაანაცვლა. მიუხედავად ამისა, ვახტანგის სპარსეთთან შერიგება შედგა და სპარსეთის მხრიდან მისი დევნა შეწყდა, რამაც ვახტანგს ქართლში უსაფრთხოდ დაბრუნების საშუალება მისცა. სწორედ ამ შემორიგების შემდეგ გაემართა ვახტანგი თავის ბიძასთან (დედის ძმა), ალბანეთისა და ადარბდაგანის პიტიახშ ვარაზ-ბაკურთან ერთად ოვსთა წინააღმდეგ საბრძოლველად, იქიდან კი იალბუზის ჩავლით აფხაზეთში შევიდა და ბიზანტიელთა მიერ ეგრისისათვის წართმეული აფხაზეთისა და საკუთრივ ეგრისის ციხეები (ციხე-გოჯამდე) დალაშქრა, რითაც სპარსეთს ერთგულება დაუმტკიცა.

ახლა კვლავაც ბინქარისა და გლონოქორის საკითხს დავუბრუნდეთ. სახელის ჩვენამდე მოღწეული ფორმებია, *ქართველთა ცხოვრებაში*: ბინქარან / ბინაქარ / ბინქარ / ბანქარ, შინქარან / შინაქარ; *მოქცევაჲ ქართლისაში* დაცული ფორმებია: გლონოქორ და ბოლნოქონ, ეს უკანასკნელი პირველის დამახინჯებაა. *ქართველთა ცხოვრებაში ბ* ასონიშნის შ-დ ქცევა და „ბინქარანის“ „შინქარანად“ წაკითხვა, ნუსხურად დაწერილ ხელნაწერებში *ბ* და *შ*

ასო-ნიშნების მსგავსებამ გამოიწვია, რაც შეეხება დაბოლოება ან-ს, ის ირანულ ენაში მრავლობითის ნიშანია და ხშირად ერთვის სახელებს. ამიტომ *ქართველთა ცხოვრების* ჩამოთვლილი ფორმებიდან საფუძვლად უნდა ავიღოთ ბინქარ, ხოლო *მოქცევაჲს* ფორმებიდან კი – გლონოქორ.

როგორც ძველი ხელნაწერების გაცნობით შეიძლება დავრწმუნდეთ, ცნობილი გეოგრაფიული და საკუთარი სახელები, ისევე, როგორც ცნობილი თანამდებობები ან წოდებები იწერებოდა დაქარაგმებით, ხშირად მხოლოდ თანხმოვნებით, რაც, საუკუნეების გასვლის შემდეგ, როდესაც თვით ის საკუთარი სახელები დავიწყებას მიეცა, მათი გახმოვანების მრავალვერსიულობის მიზეზი გახდა. ამიტომ ხმოვნები უნდა უგულებელვყოთ და მხოლოდ თანხმოვნებით ვიმსჯელოთ.

ბინქარ გლონოქორ
ბ-ნქრ გლ-ნქრ

აშკარაა, რომ ორივე სახელი *ნქრ* თანხმოვნებს შეიცავს. მ. ანდრონიკაშვილის თვალსაზრისით, ბინქარი საშუალო სპარსული დინქარ-ის შერყვნილი ფორმა უნდა იყოს, რაც რელიგიის მსახურს, მორწმუნეს ნიშნავს (ანდრონიკაშვილი 1966: 451). როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ეს სახელი ისევე, როგორც მობიდანი (ეპისკოპოსი), არ იყო საკუთარი სახელი და ზოგადად რელიგიის მსახურის (თანაც, იმის მიუხედავად, თუ რა რელიგიას ემსახურებოდა) აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

დინქარი სპარსი, მაგრამ ქრისტიანი მღვდელმთავარი იყო ისევე, როგორც ქრისტიანი მღვდელმთავრები იყვნენ მობიდანები – სამოელი და იოველი. მხოლოდ *ქართველთა ცხოვრების* გვიანდელი რედაქტირებით სპარსული წარმომავლობისა და „არაქეშმარიტი“ ქრისტიანობის გამო მიეწერა დინქარს ცეცხლთაყვანისმცემელთა ეპისკოპოსობა. რატომ იხსენიება ის *მოქცევაჲს ქრონიკაში* გლონოქორად? ამ შემთხვევაში მისი საკუთარი სახელის დაქარაგმებული ვერსია შემოგვრჩა. სინამდვილეში ეწერა გ˜ლ[დი]ნქ[ა]რ. მემატიანემაც ის პირდაპირ წაიკითხა, როგორც გლნქრ. ბუნებრივია, ის მიხვდა, რომ სახელი დაქარაგმებული იყო, თუმცა, ვინაიდან მან სიტყვა საკუთარ სახელად გაიაზრა, ხოლო რომელი იყო ეს სახელი, არ იცოდა, გაახმოვანა თანხმოვნებს შორის ერთი და იმავე „ო“ ხმოვანის ჩაამატებით. ასე მივიღეთ გლონოქორ. თუ რომელი საკუთარი სახელი იმალება გ˜ლ ქარაგმაში, ამას ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით. ახლა კი გავარკვიოთ, როდის და რა ვითარებაში შემოვიდა დინქარი ქართლში. *ქართველთა ცხოვრებით* დინქარი ალბანეთის პიტიახშმა, საჰაკ ბარზაბოდმა გამოგზავნა ქართლში, მას შემდეგ, რაც საკუთარი ქალიშვილი, საგდუხტი, რომელიც მამასათან თავისი ვაჟის, ვახტანგისათვის ტახტის შენარჩუნების თხოვნით იყო ჩასული, შეინწყალა და შვილიშვილისათვის ტახტის შენარჩუნებას დაჰპირდა.

საგდუხტი მამასთან უნდა ჩასულიყო ან უშუალოდ ვახტანგის მიერ ვარსქენის მოკვლის შემდეგ – 484/485 წელს, ან ვახტანგის სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებაში დამარცხების შემდეგ, 487/488 წლისათვის.[6] რაც შეეხება დინქარის გამოგზავნას, ამის წინაპირობა უნდა ყოფილიყო მობიდანის, ანუ ეპისკოპოს იოველის გარდაცვალება. ეპისკოპოსთა თავს (მობიდან) იოველს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სამოელის გარდაცვალების შემდეგ დაახლ. 477/478 წელს უნდა დაეწყო ეპისკოპოსობა. მეფეებისაგან განსხვავებით, რომელთა კურთხევა შესაძლოა ყმაწვილობაშიც მომხდარიყო, ეპისკოპოსად, მით უფრო, მთავარეპისკოპოსად კურთხევა მოწიფულ ასაკში (35/40 წლის) ხდებოდა. 478 წლისათვის მთავარეპისკოპოსად ნაკურთხი იოველი 488/489 წლისათვის სულ მცირე 47/52 წლის იქნებოდა, რაც იმხანად საზოგადოების შედარებით უზრუნველყოფილი, ელიტარული ნაწილისათვის სიცოცხლის ხანგრძლივობის საშუალო ასაკი იყო. ასე რომ, დიდად არ შევცდებით, თუ იოველის გარდაცვალებისა და დინქარით მისი ჩანაცვლების თარიღად 489 წლის ახლო ხანებს მივიჩნევთ.

როგორც მობიდან-მობედები – ეპისკოპოსთა თავები – სამოელი და შემდეგ იოველი, ქართლში გამოგზავნა სპარსეთის შაჰმა, პეროზმა, დინქარი ახლა უკვე მისმა ვაჟმა, სპარსეთის ახალმა შაჰმა, კავადმა (პირველად – 488-496 წწ., მეორედ – 498-531 წწ.), სავარაუდოდ, თავისი მეფობის დასაწყისშივე გამოგზავნა.

ქართველთა ცხოვრება [დ]ინქარს (ბინქარ/ბინქარანს) ცეცხლისმსახურად, ანუ მაზდეან მღვდელმთავრად გვაცნობს (ყაუხჩიშვილი 1955: 145). მაგრამ დინქარი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, იყო არა ცეცხლისმსახური, არამედ არაქალკედონური მრწამსის მიმდევარი. ამას პირდაპირ გვეუბნება *მოქცევაჲ ქართველისაჲს ქრონიკა*. ეს ირკვევა საკუთრივ *ქართველთა ცხოვრების* სხვა მონაკვეთიდანაც: „...ესე მიქაელ ეპისკოპოსი წინააღუდგა ბინქარან მაცთურსა, რამეთუ ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 145).

ამგვარად, დინქარი ცეცხლთაყვანისმცემლობას კი არ უქადაგებდა ქართველებს, არამედ არაჭეშმარიტ სჯულს, მწვალებლურ მოძღვრებას, რაც იმ პერიოდისათვის სპარსეთის მიერ იყო მხარდაჭერილი. მხოლოდ *ქართველთა ცხოვრების* გვიანდელი რედაქტირებით სპარსული წარმომავლობისა და „არაჭეშმარიტი“ ქრისტიანობის გამო მიეწერა დინქარს ცეცხლთაყვანისმცემელთა ეპისკოპოსობა.

როდის დაასრულა დინქარანმა მოღვაწეობა? ამავე საკითხს უკავშირდება მიქაელის მთავარეპისკოპოსობის დასაწყისიც. *ეპისტოლეთა წიგნი* 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე საქართველოს მხრიდან გაბრიელ კათოლიკოსს ასახელებს (ალექსიძე 1968: 87, 97). კათოლიკოსის შესატყვისად წყაროებში ხშირად მოიხსენიება მღვდელმთავარი, მამამთავარი. სავარაუდოდ, თავის დროზე ამავე სახელით უნდა მოეხსენიებინათ მთავარეპისკოპოსიც, რომელიც, ბუნებრივია, მღვდელმთავარი იყო. *ეპისტოლეთა წიგნში*, კირიონისადმი გაგზავნილ წერილებში, გაბრიელს მოიხსენიებენ კათოლიკოსად, სავარაუდოდ, კირიონის კათოლიკოსობის გავლენით, როდესაც გაბრიელის ქართლის ეკლესიის სამაგალითო წინამძღვრად წარმოჩენა სურთ. ვფიქრობთ, უფრო სანდოა ტექსტის ის მონაკვეთი, რომელშიც 506 წლის დვინის კრებაზე ქართლის მხრიდან მონაწილე მღვდელმთავრებია ჩამოთვლილი. აქ გაბრიელი მცხეთის ეპისკოპოსად იწოდება. მართლაც, აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის მიერ კირიონ ქართლის კათოლიკოსისადმი მიწერილ მესამე ეპისტოლეში ვკითხულობთ:

> დაგმე შენც ქალკედონის წყეული კრება... როგორც შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყევლა... თავისი თანამოსაყდრეებითურთ, რომელთა სახელებია: *თვითონ გაბრიელ ეპისკოპოსი მცხეთისა* (ხაზი ჩვენია – მ. ს.) სახელოვანი, პალგენ ეპისკოპოსი სეფე სახლისა ... დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა ... საჰაკ ეპისკოპოსი ტფილისისა... (ალექსიძე 1968: 97).

ეს სწორედაც, გაბრიელის მთავარეპისკოპოსობასა და სამთავროს ტახტის პყრობაზე მიუთითებს. დვინის კრება 506 წელს ჩატარდა. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ძველ ქრონოლოგიას თუ ავიღებთ, რომლითაც მის გარდაცვალებას 502 წლის ახლო ხანებში ვარაუდობენ, გამოდის, რომ 506 წლისათვის ქართლში ვახტანგის ვაჟი, დარჩილი მეფობდა. *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით კი სრულიად უცილობელია, რომ ვახტანგის ბოლო ბრძოლისას კათოლიკოსი პეტრეა. პეტრეა ქართლის კათოლიკოსი დარჩილის მეფობის პირველ წლებშიც, შემდგომ კი – სამოელი. ასეთ შემთხვევაში ადგილი აღარ რჩება გაბრიელისათვის. ყველაფერი თავის ადგილზე დგება, ვახტანგ გორგასლის ახალ ქრონოლოგიას თუ მივყვებით: დინქარი, ანუ სარწმუნოების მსახური გაბრიელი, 506 წელს დვინის კრებას *მცხეთის ეპისკოპოსის* რანგში ესწრება, რაც *მთავარეპისკოპოსად* ყოფნის იდენტურია. მაგრამ ამ კრებიდან მალევე მას ვახტანგი ქართლიდან გააძევებს და ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტს მიქაელს ჩააბარებს.

ის, რომ დინქარის ქართლიდან გაძევება სპარსეთ-ბიზანტიას შორის ჯერ კიდევ დაუსრულებელი ომის ფარგლებში, 506 წლისათვის ხდება, კარგად ჩანს *ქართველთა ცხოვრებიდანაც*. ვახტანგი ბიზანტიის კეისარს (ამ შემთხვევაში – ანასტასის) სპარსეთის წინააღმდეგ თავისი აჯანყების შესახებ ატყობინებს და დახმარებას სთხოვს:

> მაცთური ბინქარან მივეც საპყრობილესა და სიკვდილისაგან (სიკვდილის შიშით – მ. ს.) გარდაიხვეწა. მან უკუე მოიყვანა სპარსნი ქართლად. და დავსუ ეპისკოპოსად მი-

> ქაელ, კაცი სარწმუნო.[7] ხოლო ბინქარან, ვითარცა მოიწია საზღვართა ქართლისათა, მოკუდა. აწ სწრაფით წარმოემართნენ სპანი შენნი, რათა აქა შინა დაეცნენ ყოველნი მტერნი ჯუარისანი (ყაუხჩიშვილი 1955: 179).

აშკარაა, რომ მთავარეპისკოპოსად მიქაელი ვახტანგმა (და არა - საგდუხტმა) ბინქარ/დინქარის გაძევების შემდეგ დააყენა, დინქარმა კი შემოიყვანა სპარსელები, რათა დაესაჯა ვახტანგი, თუმცა ის ქართლში მოსვლისთანავე გარდაცვლილა. ეს აჩვენებს, რომ დინქარი საკმაოდ მხცოვანი იყო. მან ქართლის მმართველობა და მთავარეპისკოპოსობა ჯერ კიდევ 487/489 წლისათვის ჩაიბარა. თუ დინქარსაც მთავარეპისკოპოსად კურთხევის დროისათვის ოცდათხუთმეტი-ორმოცი წლის ასაკში მაინც მოვიაზრებთ, მაშინ 506 წლისათვის ის ორმოცდათოთხმეტი/ორმოცდაცხრამეტი წლის უნდა ყოფილიყო, რაც კარგად ესადაგება *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ მთავარეპისკოპოსის ტახტის დაბრუნებისათვის მებრძოლი დინქარი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. აქ, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ვახტანგის ბრძოლა ქართლში შემოჭრილ სპასელებთან დაახლოებით 505-507 წლების პერიოდში ხდება, და იმასაც, რომ *ეპისტოლეთა წიგნი* 506 წლის დვინის კრებაზე ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობლად, ე. წ. *კათაღიკოსად* გაბრიელს გვისახელებს, სხვა არაფერი გვრჩება, გარდა იმის აღიარებისა, რომ ამ ბინქარ/დინქარის საკუთარი სახელი გაბრიელი იყო (როგორც ზემოთ შევნიშნეთ, დინქარი სასულიერო პირის წოდება იყო და არა – საკუთარი სახელი). ახლა უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ კითხვას, თუ როგორ უნდა წაკითხულიყო (გახსნილიყო) დაქარაგმებული *გღ˙ნქh* (დაქარაგმებული ნაწილებს ვათავსებთ კვადრატულ ფრჩხილებში): *გ*[აბრიე]*ღ* [დი]*ნქ*[ა]*h*. ეს დინქარ გაბრიელი, მცხეთის ეპისკოპოსი, ის გაბრიელია, რომელიც, როგორც ქართლის ეკლესიის ეპისკოპოსთა თავი, დაესწრო 506 წლის დვინის კრებას და რომელიც *კათაღიკოსადაა* მონათლული, როგორც *ეპისტოლეთა წიგნში* (აბრაამ სომეხთა კათოლიკოსის ეპისტოლეები), ისე, მასზე დაყრდნობით – უხტანესის თხზულებაში.

იმავდროულად, უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგი დვინის კრების შემდეგ მალევე დინქარის შეპყრობით სპარსეთზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას შეეცადა. მან საეპისკოპოსო ტახტს ჩამოაშორა გაბრიელ დინქარი (ბინქარი) და ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტი მიქაელს ჩააბარა. ამ მოვლენის შესახებ *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაცია წინააღმდეგობრივია: ერთი მხრივ, თითქოს მიქაელი ჯერ კიდევ ვახტანგის არასრულწლოვნების პერიოდში მოიყვანა დედოფალმა საგდუხტმა:

> ამისთჳს მწუხარე იყო საგდუხტ დედოფალი, არამედ მძლავრებისაგან სპარსთასა ვერას იკადრებდა. მაშინ მოიყვანა მღდელი ჭეშმარიტი საბერძნეთით, სახელით მიქაელ და დაადგინა იგი ეპისკოპოსად ზემოსა ეკლესიასა,[9] რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვალებულ იყო. [....] მაშინ ვახტანგ იზარდებოდა და ისწავლიდა მიქაელ ეპისკოპოსისაგან ყოველსა მცნებასა უფლისასა... (ყაუხჩიშვილი 1955: 145-146).

მეორე მხრივ, თხზულების ზემოგანხილული ეპიზოდი, როგორც ვნახეთ, საპირისპიროს გვეუბნება. ამ მონაკვეთის მიხედვით ვახტანგმა თვითონ მოიყვანა მიქაელი და თავადვე დასვა მთავარეპისკოპოსად. აქვე ვხედავთ, რომ სპარსეთთან დაპირისპირებას ვახტანგი სწორედ ბინქარანის გაძევებით ხსნის. მართლაც ვახტანგის დედას, საგდუხტს, რომელიც საერთოდაც ქვეყანას მამის, ალბანეთის პიტიახშის მეთვალყურეობით მართავდა, „მღვდელ ჭეშმარიტს", მიქაელს, ქართლის მთავარეპისკოპოსად ვინ მოაყვანინებდა?! მიქაელის „მღვდელ ჭეშმარიტად" მოხსენიებით ლეონტის, სავარაუდოდ, მისი ქალკედონიტობა უნდოდა წარმოეჩინა, რაშიც ის ცდებოდა.

ბიზანტიაში 482 წლიდან ზენონის *ჰენოტიკონი* მოქმედებდა, ხოლო საკუთრივ კეისარ ანასტასის სარწმუნოებრივი პოლიტიკა მონოფიზიტების მიმართ ლმობიერებით გამოირჩეოდა. ასე რომ, ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ მიქაელი (ქართლის მთავარეპისკოპოსი 506-517 წლებში) ანასტასის სარწმუნოებრივი პოლიტიკის გამზიარებლად მივიჩნიოთ.

იმავდროულად, თუნდაც *ჰენოტიკონის* გამზიარებელი მიქაელის ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტზე აღსაყდრება სპარსული ორიენტაციის მობიდან-მობედებთან (სამუელი, იოველი) და, საერთოდაც, სპარსეთის შაჰის მოხელე-მღვდელმთავართან, ბინქართან შედარებით (არ დაგვავიწყდეს, რომ ბინქარი ვარსქენის ფუნქციასაც ითავსებდა და შაჰის „ერისთავიც" იყო), ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯი იყო. პასაჟი, რომელიც საგდუხტის მიერ ვახტანგის აღსაზრდელად მიქაელის მოყვანას მოგვითხრობს, რომ გვიანი, სავარაუდოდ, ლეონტისეული ჩამატებაა, ისიც მიუთითებს, რომ მემატიანე-ჩამმატებელი შეცდომას უშვებს და მიქაელს მობიდანის შემცვლელად გვისახელებს, იმ დროს, როდესაც მიქაელი ბინქარის (დინქარ გაბრიელის) შემცვლელია ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიქაელის მთავარეპისკოპოსად კურთხევის შესახებ მეორე ინფორმაცია უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია, მით უფრო, რომ ის კარგად ესადაგება მოვლენების რეალურ ქრონოლოგიას. მიქაელის კურთხევა ქართლის მთავარეპისკოპოსად უშუალო კავშირშია გაბრიელ დინქარის გაძევებასა და გარდაცვალებასთან, ეს კი 506 წლის დვინის კრების შემდეგ მალევე უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება საგდუხტის მიერ ვახტანგის აღსაზრდელად მიქაელის მოწვევას, ეს ინფორმაცია, ისევე, როგორც წინასწარმეტყველური სიზმრები და სხვა მსგავსი ქრისტიანული რიტორიკა, ჯუანშერისეულ *ვახტანგის ცხოვრებაში* ბევრად უფრო გვიან შეიტანეს და, სავარაუდოდ, ლეონტი მროველის რედაქციას განეკუთვნება. ყოველივე ეს ქართული ქრისტიანული ეკლესიის მიერ ვახტანგ გორგასლის წმინდანად შერაცხვის ფაქტს უნდა უკავშირდებოდეს – საჭიროდ ჩათვალეს ეჩვენებინათ, რომ ვახტანგი ადრეული ბავშვობიდან ჭეშმარიტი (დიოფიზიტი) მღვდლის მიერ იწრთობოდა. ბუნებრივია, რედაქტორმა ვერც კი შენიშნა, რომ თხზულების სხვა მონაკვეთში სპარსეთ-ბიზანტიის ომიდან დაბრუნებული ვახტანგი ბიზანტიის კეისარს აცნობებს მის მიერ დინქარის გაძევებისა და მიქაელის მთავარეპისკოპოსად კურთხევის შესახებ, რითაც ბიზანტიის მიმართ თავისი ლოიალურობის დამტკიცებას ცდილობს.

ამავე ხანებში (504-507 წწ.) სპარსეთის შაჰი კავადი სამხრეთ კავკასიაში შემოჭრილ ჰუნებს ებრძვის (ჯაფაროვი 1979: 163-164); (პიგულევსკაია 1941: 67); (ალასანია 2008: 43). იმავდროულად, ის ებრძვის ვახტანგს, რომელმაც, არაა გამორიცხული, ჰუნები სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად თვითონვე მოიპატიჟა. საბოლოოდ, 507 წელს, ვახტანგს, კავადსა და ბიზანტიის იმპერატორ ანასტასის შორის საზავო ხელშეკრულება იდება და ვახტანგი (ისევე, როგორც ანასტასის სამხედრო კორპუსი ლეონ ანთიპადის მეთაურობით) 507/508 წლიდან კავადს მიჰყვება შორეულ ლაშქრობაში ჰუნ-ჰეფთალიტების (ვახტანგის ლაშქრობა ინდოეთში) წინააღმდეგ. ინდოეთში რომ ვახტანგი სწორედ კავადთან ერთად ლაშქრობდა 508-516 წლებში, შემდეგი უცილობელი ფაქტით მტკიცდება – პეროზის არც ერთი ლაშქრობა ჰუნებზე წარმატებული არ იყო, ის ორჯერ ჩავარდა ტყვედ და საბოლოოდ 484 დაიღუპა კიდეც. ჰუნ-ჰეფთალიტებზე ერთადერთი წარმატებული სამხედრო ექსპედიცია, ჩვენთვის საინტერესო პერიოდს თუ ავიღებთ, სწორედ კავადმა განახორციელა 508-516 წლებში, საიდანაც ის გამარჯვებული დაბრუნდა რვაწლიანი ომის შემდეგ.

კავადთან ერთად ინდოეთში ლაშქრობიდან ვახტანგი სამშობლოში მხოლოდ 516 წლისათვის უნდა დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ იწყება კონფლიქტი ვახტანგსა და მიქაელს შორის, რაც მიქაელის გაძევებითა და პეტრეს კათალიკოსად კურთხევით მთავრდება. ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია ანასტასის გარდაცვალებასა (518 წლის ივლისი) და ახალი კეისრის, იუსტინე I-ის (518-527 წწ.) მიერ რელიგიური პოლიტიკის მკვეთრ ცვლილებასთან: როგორც ცნობილია, იუსტინემ უარი თქვა როგორც ზენონის *ჰენოტიკონზე*, ისე მონოფიზიტების მიმართ მისი წინამორბედი კეისრების (ზენონი, ანასტასი) მიერ თითქმის ორმოცწლიან პერიოდში განხორციელებულ ფრიად ლოიალურ პოლიტიკაზე. ამგვარად, პეტრე ქართლის კათოლიკოსი მხოლოდ 518 წლის შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო, როდესაც ქართლის მეფემაც, ბიზანტიის მიბაძვით, და ამ უკანასკნელის მხარდამხარ ჰენოტიკონის

მომხრე მიქაელის ჩამოქვეითება კათალიკოსობის შემოღებითა და პეტრეს ქართლის პირველ კათალიკოსად დასმით გადაწყვიტა (სანაძე 2016: 341-347); (სანაძე 2019: 428-432).

პეტრეს ქართლში მოსვლით საკუთარი ძალაუფლების დასასრული დაინახა მიქაელმაც. ამან კი ვახტანგსა და მთავარეპისკოპოსს შორის ურთიერთობა მეტად დაძაბა – მიქაელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მეფეს – ხელზე საამბოროდ დახრილ მეფეს სახეში წიხლი ჩაარტყა და წინა კბილები ჩაულეწა. ამას მიქაელის გადაყენება და პეტრეს ქართლის კათალიკოსად ხელდასხმა მოჰყვა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის მიზეზზე აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი მას კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებულად, ზოგიც პირად საფუძველზე წარმოქმნილად მიიჩნევს. პირველთა შორისაც არაა თანხმობა: ერთნი თვლიან, რომ მიქაელი იყო დიოფიზიტი, ხოლო ვახტანგი და მისი გარემოცვა – მონოფიზიტები (ჯავახიშვილი 1979: 315-348), სხვები კი შესაძლებლად მიიჩნევენ ვახტანგის დიოფიზიტობასა და მიქაელის მონოფიზიტობას (ჯანაშია 1949: 288-296).

როგორც *ქართველთა ცხოვრების* ინფორმაციით, ისე *მოქცევაში* შემონახული მონათხრობით თუ ვიმსჯელებთ, კონფლიქტის ერთ-ერთ მიზეზად, მართლაც, შეიძლება ჩაითვალოს მიქაელის ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო იყო, რომ კ. კეკელიძემ კონფლიქტის რელიგიური კონტექსტი ეჭვქვეშ დააყენა (კეკელიძე 1957: 330-338). ეს თვალსაზრისი გაიზიარა ზ. ალექსიძემაც. მისი შენიშვნით, „V ს.-ის მეორე ნახევრის ქართლში შინა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არ ყოფილა... ვახტანგ გორგასალი ქართლის ეპისკოპოსს საეკლესიო ქონების მითვისებაში სდებს ბრალს“ (ალექსიძე 1976: 99-107).

მიუხედავად ამისა, როგორც შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, კონფლიქტის მეორე, კონფესიური მიზეზიც არსებობდა. მ. ვან-ესბროკმა *ქართული მოავადთავში* დაცულ თხზულებებში ბიზანტიის იმპერატორების – ზენონის *ჰენოტიკონისა* და ანასტასის სარწმუნოებრივი პოლიტიკის კვალი დაინახა, რამაც მკვლევარს შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალება მისცა: V საუკუნის ბოლოსათვის ქართული ეკლესია კონსტანტინოპოლში მიმდინარე პროცესებს მისდევდა და იქ მიღებულ ხედვებს იზიარებდა, ანუ სწორება კონსტანტინოპოლზე ხდებოდა. მსგავსი თვალსაზრისი გამოთქვა ე. მეტრეველმაც (ესბროკი 1975: 300); (მეტრეველი 1976: 80-81); (ესბროკი 1986; 145-155); (ესბროკი 1987: 129-135), რაც თ. მგალობლიშვილმაც გაიზიარა და, თავის მხრივ, დამატებითი არგუმენტებიც დაურთო (მგალობლიშვილი 1991: 182-188;). ფაქტობრივად, იმავე აზრს გამოთქვამს გიორგი მამულიაც, თუმცა, ვინაიდან ისიც, სხვების მსგავსად, ვახტანგის ცხოვრების იმხანად გაბატონებული ქრონოლოგიით ხელმძღვანელობს, მიქაელის გაძევების პერიოდად V საუკუნის 80-იან წლებს მიიჩნევს და ამ ამბავს ზენონის *ჰენოტიკონს* (გამოიცა 482 წელს) უკავშირებს, მიიჩნევს რა, რომ ვახტანგმა მტკიცე ქალკედონიტი მიქაელი გააძევა და *ჰენოტიკონის* გამზიარებელი პეტრე მოიყვანა ქართლში (მამულია 1992: 25-26).

იმის გასარკვევად, თუ რა მრწამსის იყო მიქაელი და რატომ გაუჩნდა ვახტანგს სურვილი კათოლიკოსის მოყვანით მისი ძალაუფლება შეეზღუდა, რაც საბოლოოდ მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ როდის, რომელ წელს და რა ვითარებაში მოხდა მისი ხელდასხმა ქართლის მთავარეპისკოპოსის ტახტზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიქაელი ვახტანგმა გაბრიელ დინქარის გაძევების შემდეგ, მის საპირწონედ, 506 წელს მოიყვანა. მთავარი მოტივი ამ შემთხვევაში ვახტანგისათვის ბიზანტიის იმპერატორ ანასტასისათვის (491-518 წწ.) ერთგულების დამტკიცება იყო, რათა ბიზანტიას ქართლში შემოჭრილი კავადის წინააღმდეგ მისი დახმარების მეტი სტიმული გასჩენოდა. ასეთ ვითარებაში ვახტანგი ქართლის ეკლესიის საქეთმპყრობლად ვერ და არ დააყენებდა კაცს, რომელიც ბიზანტიის კეისრისთვის მიუღებელი მრწამსის, ანუ *ჰენოტიკონის* გამზიარებელი არ იქნებოდა.

როდის მოხდა მიქაელის გაძევება? ეს უშუალოდ უკავშირდება პეტრეს კათალიკოსად ხელდასხმას და ქართლში მოსვლას. ორივე ეს ამბავი *ქართველთა ცხოვრების* მიხედვით, რომელიც ჩვენთვის ამ საკითხების გასარკვევად ერთადერთი წყაროა, ვახტანგის სპარსეთის შაჰთან (ამ შემთხვევაში კავადთან) ერთად შორეული ლაშქრობის დასრულებისა და მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (516 წლის მერე) ხდება. როგორც ცნობილია, 518 წელს ანასტასი გარდაიცვალა და, იმავდროულად, მის მიერ მხარდაჭერილი სარწმუნოებრივი პოლიტიკაც დასრულდა. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ვახტანგიც იმავე გზას უნდა დასდგომოდა, რაც ტახტზე ასულმა იუსტინემ (518-527 წწ.) აირჩია (მტკიცე ქალკედონიტური კურსი) და მიქაელისათვის ბიზანტიის მიერ მხარდაჭერილი ახალი სარწმუნოებრივი პოლიტიკა შეეთავაზებინა. სავარაუდოდ, სწორედ ამ ნიადაგზე განვითარდა კონფლიქტი. ასე რომ, მიქაელის გაძევება 518/519, ხოლო პეტრეს ქართლში კათალიკოსად შემობრძანება დაახლ. 519/520 წლებში, ან ცოტა უფრო გვიანაა საგულვებელი.

შენიშვნები

[1] ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ლაზარ ფარპეცი პეროზის მეფობის ათვლას 457 წლიდან, ანუ იეზდიგერდ II-ის გარდაცვალებიდან იწყებს (ხურცილავა 2006: 119), რაც არასწორია. პეროზი, იმავე ლაზარ ფარპეცის ცნობით, ვარსქენის გარდაცვალების ამბავს ჰუნ-ჰეფტალიტებზე სალაშქროდ მიმავალი იგებს და ეს კი სწორედაც 484 წელია. ასე რომ, ლაზარ ფარპეცი პეროზის მეფობას აითვლის 459 წლიდან, საიდანაც უნდა აითვლიდეს კიდეც. უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიანაც რომ ნდომოდა, ფარპეცი პეროზის წლებს იეზდიგერდის გარდაცვალებიდან ვერ აითვლიდა, იმიტომ, რომ 457-459 წლებში სპარსეთში მეფობდა პეროზის უმცროსი ძმა – ჰორმიზდ III, რომელმაც პეროზის სისტანის პროვინციაში ყოფნით ისარგებლა და ტახტი მიიტაცა. ჰორმიზდი ოფიციალურად იყო სპარსეთის შაჰან-შაჰი, სანამ მის წინააღმდეგ პეროზმა აჯანყება არ მოაწყო და ჰორმიზდი ტახტიდან არ ჩამოაგდო.

[2] 502-507 წლების ომის ფარგლებში, სპარსეთის შაჰი კავადი, 504-505 წლებში სამხრეთ კავკასიაში შემოჭრილი ჰუნების წინააღმდეგ იბრძვის. 505 წლის შემდეგ სამხედრო მოქმედებები ბიზანტია-სპარსეთს შორის არ განახლებულა, თუმცა ზავი მხოლოდ 507 წელს გაფორმდა.

[3] გ. ალასანიას ნაშრომი, რომელშიც ტექსტის აღნიშნული მონაკვეთია განხილული, გამოიცა ინგლისურად (ალასანია 2014) და ჯულიენი მისი გაცნობის სირთულეს ვერ მოიმიზეზებს.

[4] სამწუხაროდ, კ. თუმანოვმა თავისი თვალსაზრისის დაფიქსირებისას მ. ჯანაშვილის იმ დროისათვის უკვე გამოთქმული მოსაზრების ციტირება არ მოახდინა, თუმცა მისი ახლო კავშირები მ. თუმანიშვილთან, რომელიც მ. ჯანაშვილის აღნიშნული ნაშრომის გამოცემას აფინანსებდა, მეტყველებს იმაზე, რომ მას მ. ჯანაშვილის თვალსაზრისი ამ საკითხზე უნდა სცოდნოდა.

[5] გლონოქორის შესახებ თხრობა *მოქცევაჲ ქართლისაჲს ქრონიკაში* იოველის შესახებ ინფორმაციას უსწრებს, მაგრამ ეს ქრონიკის შეცდომად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში იოველს უნდა მოსდევდეს მიქაელ მთავარეპისკოპოსი, *ქართველთა ცხოვრების* თხრობიდან კი აშკარაა, რომ მიქაელი არა იოველის, არამედ სწორედაც ბინქარანის გაძევების შემდეგ დასვა ვახტანგმა მთავარეპისკოპოსად.

[6] *ეონტისეული ძველი ქართველთა ცხოვრება* გვამცნობს, რომ საგდუხტი ბარზაბოდთან თხოვნით მეუღლის, მირდატის გარდაცვალების შემდეგ ჩავიდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საგდუხტს მამისათვის სათხოვნელი არაფერი ექნებოდა. ის ბრძოლები, რომლებიც არჩილმა და მისმა ვაჟმა, მირდატმა სპარსეთის წინააღმდეგ აწარმოეს, საგდუხტზე მირდატის დაქორწინებით ეპატიათ და გაბათილდა! საგდუხტი შვილისათვის ტახტის შენარჩუნების თხოვნით მამამისთან მხოლოდ ვახტანგის „უსაქციელობის“, მის მიერ ვარსქენის მოკვლის გამო უნდა ჩასულიყო.

[7] „კაცი სარწმუნო“ ამ შემთხვევაში ზენონის *ჰენოტიკონის* მომხრეს უნდა ნიშნავდეს. სხვანაირად ვახტანგი ვერ მოიწონებდა თავს იმპერატორ ანასტასის წინაშე.

[8] იგულისხმება ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის გაძლიერება.

[9] იგულისხმება სამთავროს ტაძარი მცხეთაში.

[10] იგულისხმება ეპისკოპოსი იოველი.

[11] ლეონტი ერთ მობიდანს იცნობს. სავარაუდოდ, დინქარანის მოსვლამდე, ანუ 460-დან 490 წლებს შორის შუალედში, ქართლში ორი მობიდან-მობედი იყო: სამოელი და შემდეგ – იოველი.

დამოწმებანი

აბულაძე 1963: *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ., I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი.

ალასანია 2008: გ.ალასანია. *ქართველები და ისლამამდელი თუჰქები*, საქართველოს მაცნეს სტამბა, თბილისი.

ალასანია 2014: გ. ალსანია. The Relations Between Pre-Islamic Turks and Georgians from the Third to the Ninth Century: A History of Byzantine-Persian Politics in the Caucasus, A Queenston Book Published by The Edwin Mellen Press Lewiston, Lampeter.

ალექსიძე 1968: *ეპისტოლეთა წიგნი*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბილისი.

ალექსიძე 1976: ზ. ალექსიძე. *ვახტანგ გორგასალისა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო* ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან*, ტ., I, თბილისი.

ბოგვერაძე 1979: ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი.

ბროსე 1849: M. Brosset. *Histoire de la Géorgie depuis l'antiquité josqu'au XIXe sicle*. Traduite du georgien, Ire partie, Saint Petersburg.

ბროსე 1851: M. Brosset. Additions et eclaircissements a l'antiqué jusqu'en 1469 de J.-C., Saint Petersburg.

ბროსე 1895: მ. ბროსე. *საქართველოს ისტორია* (ნათარგმნი ს. ღოღობერიძისა), ტ., I, სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. №21, ტფილისი.

გოილაძე 1988: ვ. გოილაძე. ფირან გუშნასპის მარტვილობის ცნობათა მნიშვნელობა V-VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის, *მაცნე* (ისტორიის სერია), 2.

გოილაძე 1991: ვ. გოილაძე. *ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი*, თბილისი.

გორგაძე 1913: ს. გორგაძე. *წერილები საქართველოს ისტორიიდან*, ტ., II, ტფილისი.

ესბროკი 1975: M. Van Esbroeck. *Les plus anciens homéliaires géorgiens*, Louvain-La-Neuve.

ესბროკი 1986: M. Van Esbroeck. Une lettre de Dorothee, *Analecta Bollandiana*, t. 104.

ესბროკი 1987: M. Van Esbroeck.Who is Mari, the address of ibas letter, *The Journal of Theological Studies*, Volume 38, Issue 1, April 1987, pp. 129-135.

თუმანოვი 1954: C. Toumanoff. Christian Caucasia between Byzantium and Iran, New Light from old Sources, *Traditio* 10, New-York.

თუმანოვი 1963: C. Toumanoff. Iberia between Chosroid and Bagratied Rule, *Studies in Christian Caucasian History*, Georgtown University press.

კეკელიძე 1955: К. Кекелидзе. Идея братства закавказских народов по генеалогичесой схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან* III, თბილისი.

კეკელიძე 1957: კ. კეკელიძე. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ., IV, თბილისი.

კოხრეიძე 1981: ა. კოხრეიძე. მობიდან მთავარეპისკოპოსის საკუთარი სახელისათვის, *სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი*, 39-40, თბილისი.

ლომოური 1994: ნ. ლომოური. *საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა V ს-ში*, თბილისი.

ლორთქიფანიძე 1979: მ. ლორთქიფანიძე. *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში*, თბილისი.

მამულია 1992: გ. მამულია. *ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში*, თბილისი.

მგალობლიშვილი 1991: *კლარჯული მრავალთავი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა, თბილისი.

მეტრეველი 1976: ე. მეტრეველი. ახალი ნაშრომი ქართულ მრავალთავზე, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 4, თბილისი.

მუსხელიშვილი 2003: დ. მუსხელიშვილი. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი.

პიგულევსკაია 1941: Н. Пигулевская. *Сирийские источники по истории народов СССР*, М.-Л.

სანაძე 2016: მ. სანაძე. *ქართლის მეფეებისა და პატრიკიოსების ქრონოლოგია, ქართველთა ცხოვრება*, წიგნი III, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სანაძე 2019: მ. სანაძე. *შესავალი ქართველთა ცხოვრებაში, ქართველთა ცხოვრება*, წიგნი I, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სანაძე 2020: მ. სანაძე. *ქართლის მეფე დარჩილი (ვახტანგ გორგასლის ვაჟი) და მისი ცხოვების ამსახველი ქრონიკები*, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სარჯველაძე, გიუნაშვილი 1990: *შუშანიკის წამება*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ და ე. გიუნაშვილმა, რედ. ე. გაბიძაშვილი, გამოცემლობა „განათლება“, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ., I. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: *ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით), *ქართლის ცხოვრება*, ტ., IV, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ხურცილავა 2016: ბ. ხურცილავა. ადრე ქრისტიანული ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ერთი ფრაგმენტის შესახებ, *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული*, N10, გორი.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. ქრისტიანობის წიაღში მომხდარი სარწმუნოებრივი ბრძოლის ანარეკლი საქართველოში – მანიქეველობა, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ., I. თბილისი.

ჯანაშვილი 1899: მ. ჯანაშვილი. ვახტანგ გორგასალი, *მოამბე*, ტფილისი.

ჯანაშვილი 1906: მ. ჯანაშვილი. *საქართველოს ისტორია*, უძველეს დროითგან 985 წლამდე ქრისტეს შემდეგ, ტომი I, თბილისი.

ჯანაშია 1962: *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ*, უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წიგნი VI, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჯანაშია 1973: ლ.-ნ. ჯანაშია. *ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში*, ვახტანგ გორგასალი, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ., II, თბილისი.

ჯანაშია 1949: ს. ჯანაშია. საქართველო ფეოდალიზაციის გზაზე, *შრომები*, ტ., I, თბილისი.

ჯაფაროვი 1979: Ю. Джафаров. К вопросу о первом появлении Сабир в Закавказье, *Вестник древней истории*, №3, М.

ჯულიენ 2023: F. Jullien. *The Martyrdom of Mar Grigor Piran-Gušnasp and The Martyrdom of Mar Yazd-panah.*

ჰოფმანი 1880: *Martyrium des Zeugen Herrn Grighor, der in den tagen des Konigs Khosrau Zuegniss ablegte*, G. Hoffman, Auszuge aus syrischen Akten persischen Martyrer, Abbandlungen Fur die Kunde des Morgelandes, Leipzig.

ON THE DATE OF THE CONSECRATION OF THE FIRST CATHOLICOS OF KARTLI

Manana Sanadze
The University of Georgia,
Tamaz Beradze Institute of Georgian Studies
msanadze@ug.edu.ge

The time of establishment of the institute of the Catholcos in the Kingdom of Kartli and the consecration of the first Catholicos are directly related to the chronology of Vakhtang Gorgasli's reign, since it is known that Vakhtang requested that Byzantium send a Catholicos to Kartli after returning from his an eight-year campaign with the Shah of Persia in India. At the same time, a conflict erupted between the king and Archbishop of Kartli Michael, which culminated in the latter's expulsion from the country.

Since until now some researchers have considered the years 442/445-502/505 as the years of Vakhtang's life, while others have suggested 431-491, determining the date of the arrival of Peter, the first Catholicos, in Kartli has proven quite challenging. Difficulties in establishing the chronology of Peter's arrival in Kartli were resulted from the fact that some scholars identified him with Gabriel, who attended the Council of Dvin in 506 allegedly as a Catholic, while others completely rejected the idea of Peter being the first Catholicos, instead considering Samuel, "the head of the bishops", mentioned in *The Martyrdom of Shushanik*, to be the first Catholicos of Kartli. Everything falls into place when we consider the new chronology of Vakhtang Gorgasali's life, as proposed by us, and based on it, reevaluate the information of Georgian sources pertaining to the issue.

Vakhtang Gorgasali did not reign during the era of Shushanik's martyrdom. He was only 4/5 years old at the time of Shushanik's death (475). Shushanik was martyred during the rule of his father, Mirdat (years of rule - approx. 466-478). From the 460s onwards, i. e. from the end of King Archil's reign, the Church of Kartli was led by Christian bishops of Persian descent - Mobidan-Mobeds. The first among them, Samoel, is mentioned in *The Martyrdom of Shushanik* as the "head of the bishops," while the name of his successor archbishop, Yovel, is only preserved in *The Chronicle* of *The Conversion of Kartli.*

After Vakhtang's slaying of Varsken in 484 (not 482), the failure of the revolt against Persia, and the reconciliation of the young Vakhtang with the Persian Shah Kavad (488-496; 498-531), the Mobidan-Mobeds, leading the Kartli Church at that time, were replaced by Persian-sent Binkar, the same Binkaran (Dinkar, according to M. Andronikashvili, meaning "the doer of religion, faith" in Iraian languages). This person is mentioned as *Glonokor* in *The Chronicle* of *The Conversion of Kartli. Glonokor* is a distortion resulting from a misreading of the acronym G(abrie)l(di)nkar. The Persian-Byzantine war in which Vakhtang participated is the war of 502-507. In the years 504-506, Kavad fights against Vakhtang and the Huns (who, according to sources, invaded the South Caucasus during that period) already in Kartli. In 506, Gabriel Dinkar attended the Council of Dvin, only to be captured by Vakhtang the same year. Gabriel managed to escape and led the Persian army into Kartli but died shortly after entering the land.

Why do *The Book of Epistles*, and based on it Ukhtanes, refer to Gabriel as the Catholicos of Kartli? Ukhtanes derives his information from *The Book of Epistles*. Within *The Book of Epistles*, specifically in the letters sent by Abraham, the Catholicos of Armenia, to Cyrion, the Catholicos of Kartli, supposedly under the influence of Cyrion being the Catholicos of Kartli at that time, Cyrion's distant ancestor, the leader of the church of Kartli (used by Abraham as an exmaple for Cyrion) is mentioned as the Catholicos too. At the same time, both *The Book of Epistles* and Ukhtanes preserve the list of bishops who participated in the Council of Dvin from the Kartli side. In both texts, Gabriel

is mentioned as "Gabriel, the prominent bishop of Mtskheta," underscoring his being on the throne of the archbishop of Mtskheta sitting in the main church of this bishopric – Samtavro.

In 506, Vakhtang appointed Michael to replace the expelled Gabriel as the archbishop, assigning him the task of implementing the policies of Zeno and Anastasius. By 508, Vakhtang journeyed with Kavad to India, returning by 516. In 518, Anastasius died, and Justin I (518-527) ascended to the throne of Byzantium. The new Caesar shifted his religious policy toward a strictly Chalcedonian direction. Vakhtang, in turn, had to follow suit, thus requesting that Justin ordain Chalcedonian Peter as Catholicos and send him to Kartli. For Michael, a follower of Henoticon, the ordination of Chalcedonian Peter as Catholicos of Kartli (i.e., his superior) would have been unacceptable, sparking a conflict between Michael and the king. Taking into account the duration of the journey, the timing of consecration of Peter as Catholicos and 12 bishops with him, and the additional fact that the consecrated individuals traveled to Antioch before heading to Kartli, it is reasonable to assume that Peter the Catholicos and the bishops arrived in Kartli around 519-520 or slightly later.

სკოპცების რელიგიური სექტა
(XIX საუკუნის 40-50-იანი წლები)

ავთანდილ სონღულაშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
a.songulashvili@yahoo.com

რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის იცხოვროს. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე.

ანტიკურ პერიოდში და ფეოდალური საზოგადოების დროს, რელიგიური თვითშეგნება ხშირად გამოდევნის ეთნიკურ თვითშეგნებას. შუა საუკუნეებში ხდებოდა ისეც, რომ რელიგიური სხვაობა ეთნიკურად ახლო მდგომ ხალხებსაც მიჯნავდა, ზოგჯერ იმდენად, რომ მათ ერთმანეთში ომებიც კი ჰქონდათ სხვადასხვა რელიგიური მრწამსის გამო.

დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. ეს პიროვნების კერძო საქმეა. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლება, რომლის მიხედვით, მას შეუძლია აირჩიოს ის რელიგია, რომელიც ყველაზე მისაღებად მიაჩნია ან საერთოდ უარი თქვას რელიგიაზე (ერქომაიშვილი 2005: 55).

ევროპაში აგორებულმა პროტესტანტიზმის ტალღამ, ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ, ხელი შუწყო რელიგიური სექტების აღორძინებას. პროტესტანტიზმი (ლათინურად – Protestants – ვინც დავობს, პროტესტს აცხადებს) – მესამე მთავარი მიმდინარეობაა ქრისტიანული რელიგიის, კათოლიციზმის და მართლმადიდებლობის შემდეგ, არის მრავალი სექტისა და განშტოების მქონე. ეს იყო დიდი საყოველთაო მოძრაობა კათოლიკური ეკლესიის მსახურთა თვითნებობისა, რომელსაც ეკლესიის მოღვაწეები ამხელდნენ და ითხოვდნენ კულტის უბრალოებისაკენ დაბრუნებას. ამასთან ეკლესია არ მიაჩნდათ შუამავლად ღმერთსა და ადამიანს შორის.

ბურჟუაზიამ ომი გამოუცხადა ფეოდალიზმის მადიდებელ კათოლიციზმს. ისინი უარყოფდნენ მღვდლობას, სალხინებელს, ფუფუნებას. ძველი ცოდვების გამოსყიდვის საშუალებად მიიჩნევდნენ პირად რწმენას, სიქველეს, კეთილი საქმეების კეთებას და არა განდეგილობას. პროტესტანტიზმმა წამოაყენა სამი ახალი პრინციპი: პირადი რწმენით ხსნა, ყოველი მორწმუნის (მონათლულის) სიწმინდე (მღვდლობა) და ბიბლიის თარგმანში გააძლიერა ლუთერმა პავლე მოციქულის სიტყვები: „განმართლება კაცისა სარწმუნოებითა თვინიერ საქმეთა სჯულისათა“ (რომაელთა მიმართ, 3, 28), ე. ი. კანონთა მიუხედავად, მორწმუნეს რწმენა ამართლებს (გელოვანი 1990: 143).

პროტესტანტიზმი გავრცელდა გერმანიაში, შვეიცარიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, ჩეხეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში. XVII საუკუნიდან მან შეაღწია ევროპის სახელმწიფოების კოლონიებშიც.

რეფორმაციამ ევროპაში ძლიერ შეარყია ფეოდალიზმი და მისი დასაყრდენის – კათოლიკური ეკლესიის ძალაუფლება. არა მარტო ბურჟუაზია, არამედ გლეხობა და ქალაქის გაღატაკებული მასები მხარს უჭერდნენ პროტესტანტიზმის იდეოლოგიას, რომელიც მიმართული იყო ფეოდალიზმისა და მისი ერთ-ერთი დასაყრდენის, კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. მოგვიანებით, პროტესტანტიზმი დაიშალა მრავალ ეკლესიად და მიმდინარეობად. პროტესტანტიზმის საწყისი ფორმებიდან (ლუთერანობა, ანგლიკანობა, კალვინიზმი, ცვინგლიანიზმი და სხვა), აღმოცენდა მრავალი რელიგიური მიმდინარეობა: მეთოდისტები, რეფორმატიზმი, პრესვიტერიანელობა, კონგრეგაციონალიზმი, ადვენტიზმი, ორმოცდაათიანელები, ბაპტიზმი და სხვ.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში 3000-მდე დიდი და მცირე რელიგიური სექტა მოქმედებდა, რომელთაგან ზოგი საყოველთაოდ ცნობილია (მაგალითად, იეღოვას მოწმეები, კრიშნაიზმი, ბახაიზმი), ზოგი – ნაკლებად (მაგალითად, ინგლისური სატანიზმი, ღვთის შვილები, საკურთხევლის რწმენა) (სიგუა 2021: 17). მაგრამ მაინც რა არის რელიგიური სექტა? ლექსიკონების დიდი ნაწილის მიხედვით „სექტა“ ქვეყანაში მოქმედი ძირითადი კონფესიის შედარებით მცირერიცხოვანი რელიგიური დაჯგუფებაა. ეს განმარტებაც მთლად სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ტერმინის შინაარსს.

სექტა (ლათინურად Secta „მოძღვრება, სკოლა“) გაგებულია ისეთ რელიგიურ მიმდინარეობად, რომელიც არ სცნობს სჯულის კანონს და აღიარებს მხოლოდ წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით. უფრო სწორად, მორწმუნე ადამიანთა გაერთიანებებს, რომლებიც გამოეყვნენ და დაუპირისპირდნენ გაბატონებულ კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს, აქვთ წარმოშობისა და განვითარების თავიანთი ისტორია, ორგანიზაციული სტრუქტურა და შემუშავებული რელიგიური დოგმატიკა რელიგიური სექტები ეწოდება (გეგეშიძე 1988:79).

რელიგიური სექტანტობა რელიგიური იდეოლოგიისა და ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. იგი დამახასიათებელია ყველა, მსოფლიო და ეროვნული რელიგიისათვის. იუდაიზმში, ქრისტიანობაში, ბუდიზმში, ისლამში, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობა და სექტა ჩამოყალიბდა. ამავე დროს, მორწმუნე სექტანტები ხშირად შეურაცხყოფად იღებენ მათთვის სექტანტად მოხსენიებას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე რელიგიური მიმართულება ერთ სახელმწიფოში სექტის სახელწოდებით არის წარმოდგენილი, მეორე სახელმწიფოში კი იგივე რელიგიური ორგანიზაცია გაბატონებულ რელიგიად არის აღიარებული.

სექტანტური რელიგიური მოძღვრება ორი სახისაა – ძველი და ახალი აღთქმისეული. ხოლო სექტების მიერ რელიგიური სიმართლის ათვისების საშუალებების მიხედვით არსებობენ ე. წ. რაციონალისტური და მისტიკური სექტები. მაგ., რაციონალისტურ სექტებს მიეკუთვნებიან მოლოკნები, ხოლო მისტიკურს – დუხობორები.

პირველები ჭეშმარიტების შეცნობის გზად მიიჩნევენ გონებას, ხოლო მეორენი, ანუ მისტიკური სექტები გვასწავლიან, რომ ადამიანმა ჭეშმარიტება შესაძლებელია შეიმეცნოს გონების გვერდის ავლით, საიდუმლო და გამოუთქმელი გზით, რომელსაც სექტანტები ხშირად წმინდა წერილზე მაღლა აყენებენ.

ეს შეხედულება გამომდინარეობს ყველა მისტიკური რწმენისათვის დამახასიათებელი შესაძლებლობით ადამიანის უშუალო კავშირისა ღმერთთან, რომლის ძალითაც ადამიანი თავის თავში ღებულობს ღმერთს და თვითონაც ღმერთი ანუ ქრისტე ხდება.

ამ შეხედულებასთან დაკავშირებით, მისტიკური სექტების დოგმატიკაში განსაკუთრებულ თავისებურებას იძენს მოძღვრება ღმერთისა და იესო ქრისტეს ხორცშესხმის შესახებ, რომელიც გაიგება არა როგორც ისტორიული მოვლენა, ერთადერთი და განუმეორებელი, არამედ როგორც განუწყვეტელი ხორცშესხმა და გარდასახვა ქრისტესი ცალკეულ პიროვნებებად, რაც დამოკიდებულია ადამიანის ზნეობრივ სრულყოფილებაზე (მჭედლიშვილი-ნაკუდაიძე 2007: 273-274).

საქართველოში ქრისტიანული სექტების მრავალსახეობის არსებობა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობით არის განსაზღვრული, რომელთა შორის მნიშვნელოვანია რჯულთშემწყნარებლობა. ჩვენთან ქრისტიანული სექტების გავრცელება, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, ყოველთვის განპირობებული არ ყოფილა სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. ეს მოვლენა ძირითადად, განსაზღვრულია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების სარწმუნოებრივი თავისებურებებით, მორწმუნეთა სამისიონერო საქმიანობით (გეგეშიძე 1988: 80-81).

ქრისტიანული რელიგიის სექტანტური ჯგუფების მრავალსახეობა დღის წესრიგში აყენებს მათი კლასიფიკაციის დაზუსტების აუცილებლობას. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს რელიგიური სექტანტობის კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი, მაგრამ საქართველოსთვის ყველაზე მისაღებია ქრისტიანული სექტების ორ ძირითად ჯგუფად დაყოფა. პირველ რიგში უნდა გაერთიანდნენ ის „რუსული წარმოშობის“ სექტები, რომლებიც გა-

მოხატავდნენ ბატონყმობის, ცარიზმის, რუსული მართლმადიდებელი ეკლსიის კანონით შემზღუდველი ბატონობისადმი წინააღმდეგობას, მათი გავლენისაგან თავდახსნის ძიების სურვილს. ასეთებია: დუხობორები, მალაკნები, სტაროობრიადცები და სხვები.

მეორე ჯგუფის ქრისტიანული სექტები პროტესტანტული წარმოშობისანი არიან. ისინი კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვნენ ევროპის ქვეყნებში და გავრცელდნენ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ასეთებია: ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, იეღოველები და სხვები.

პირველი რუსი რასკოლნიკები, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ სკოპცები (ევნუხები, საჭურისები) იყვნენ. მსგავსი რელიგიური სექტანტიზმი ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკურ ეპოქაში იღებს სათავეს. სკოპცები იყვნენ ფრიგიული წარმოშობის ქალღმერთის – *კიბელეს* ქურუმები საბერძნეთში. ასევე, ფინიკიელების მთავარი ქალღმერთის *ასტარტას* და ინდოეთში ღმერთ *ვიშნუს* მსახურები. ნარატიული წყაროების მოწმობით მსგავსი სექტების არსებობა ბიზანტიაშიც დასტურდება, სადაც სარდლობდნენ ფლოტს, გაყავდათ არხები და ა. შ. *საჭურისებმა – ევსევიმ* და *პრობაციუსმა* არიანობა ლამის აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გადააქციეს (შაუროვი 2023ა: 29).

საინტერესოა, რომ კასტრაცია 2000 წელს ჩვენს ერამდე ჩვეულებრივ პრაქტიკად იქცა მეცხოველეობასა და სამხედრო საქმეში. უფრო მეტიც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში ეგვიპტელთა მიერ ლიბიის დალაშქვრის შემდეგ, გამარჯვებულთა ნადავლის ჩამონათვალში მოიხსენიება ცამეტი ათასი პენისი. ჩვეულება, დამარცხებული ქვეყნის ტყვეებისათვის მამაკაცური ორგანოების მოკვეთისა დაუწერელ კანონად იქცა და ფართოდ გავრცელდა სემიტებში, ეთიოპიაში, ინდოეთში, ბაბილონში, სპარსეთში და სხვა ქვეყნებში. ამ საქმეში არ ჩამორჩებოდა ძველი საბერძნეთი და რომი.

თავიდან კასტრაცია იყო დამარცხებული ტომების დამცირების საშუალება. მოგვიანებით, 700 წელს ჩვენს ერამდე, როდესაც შუამდინარეთში შეიქმნა პირველი *ჰარამხანები* საჭურისებისათვის გაჩნდა სამსახურიც. ისინი საუკუნეთა განმავლობაში მეფეთა ცოლების რეზიდენციებს იცავდნენ.

კასტრირებულები იყოფოდნენ ორი ტიპის საჭურისებად: პირველი, ვისაც აცლიდნენ სათესლე ჯირკვლებს და მეორე, აჭრიდნენ პენისსაც. სწორედ მათ უწოდებდნენ სკოპცებს (შაუროვი 2023ბ: 28-29).

მართლმადიდებლობას, როგორც ნებისმიერ კონფესიას ჰყავს თავისი დისიდენტები. რუსულ მართლმადიდებლობაში სხვაგვარად მოაზროვნეები, დოკუმენტების თანახმად დაფიქსირებულია დაახლოებით 1645 წელს. სკოპცების მიმდინარეობა სათავეს იღებს *ხლისტების* სექტიდან, ამიტომ მოკლედ შევჩერდებით მათზე.

ერთ-ერთ მძლავრ რელიგიურ სექტად რუსეთში ითვლებოდნენ ხლისტები. უკვე XVII საუკუნეში ისინი ყველაზე პოპულარული გახდნენ მოსახლეობაში. აღსანიშნავია, რომ ხლისტებს უერთდებოდნენ მონასტრები თავისი ბერებით. სექტა ითვლებოდა „დახურულ“ სისტემად. ლიდერები ქადაგებდნენ უკიდურეს ასკეტიზმს. მოძღვრის მოწოდებით ვინც ქორწინებაში იყო უნდა განქორწინებულიყო, ხოლო დასაქორწინებლებს არ უნდა შეექმნათ ოჯახი. ვისაც განქორწინება არ უნდოდა, ცოლთან ისე უნდა ყოფილიყო, როგორც დასთან. რიტუალის შესრულების დროს მორწმუნეები გუნდთან ერთად სწრაფად უვლიდნენ წრეს და ლოცვებს წარმოთქვამდნენ სიმღერით. ეფექტის გაძლიერების მიზნით, განმეორებითი მოძრაობებით ტანზე ირტყამდნენ ნკეპლას სისხლდენამდე, რის გამოც უჩნდებოდათ იარები. სავარაუდოდ, ამ რიტუალიდან გამომდინარე ეწოდათ მათ ხლისტები, რაც „ნკეპლას“ „შოლტს“ ნიშნავს (ფილიმინოვა 2023: 32).

ლიდერის ანდერძი სექტანტებს საიდუმლოდ უნდა შეენახათ. ასეთ შემთხვევაში მათ სამოთხე ელოდათ. დანილა ფილიპოვიჩი სიკვდილამდე ღმერთად ითვლებოდა. მაგრამ, რომელი ღმერთი იქნებოდა შვილის გარეშე. ამიტომ გამოჩნდა ძე ღმერთიც „ქრისტე“ – ივან ტიმოფეევიჩ სუსლოვი სოფელ მაქსაკოვიდან. ამის შემდეგ მოვიდა ახალი „ქრისტე“ და ა. შ. ხლისტები თავის თემს „ხომალდს“ უწოდებდნენ.

1739 წელს დაიწყო ხლისტების სასტიკი დევნა. მათ წვავდნენ და ფერფლს ქარს ატანდნენ. მიუხედავად ამისა, ვოლგისპირეთში მთელი რიგი მონასტრები „ხლისტობაზე“ მო-

ექცნენ. ყოველ „ხომალდზე“ უკვე ჰყავდათ საკუთარი „ქრისტე“, თავისი ღვთისმშობელი და თავისი წინასწარმეტყველი (ფილიმონოვა 2023: 33).

აზრიც კი კასტრაციის შესახებ, ბუნებრივია, ნებისმიერ ნორმალური ფსიქიკის ჯანმრთელ ადამიანს აშინებს. უძველესი დროიდან ეს ითვლებოდა მტკივნეულად, დამამცირებელ პროცედურად, რომელსაც ძირითადად მიმართავდნენ მონების, დამნაშავეების მიმართ. აღმოსავლურ ჰარამხანებშიც საჭურისები იშვიათად თანხმდებოდნენ კასტრაციას ნებაყოფლობით.

ოფიციალური ვერსიის თანახმად ხლისტების ერთ-ერთი ლიდერი ორლოვსკის გუბერნიაში *კონდრატე სელივანოვი* შოკში ჩავარდა სექტანტების აღრეული სქესობრივი ურთიერთობით, რომელიც ხდებოდა ღრეობების დროს. სელივანოვმა წინადადებით მიმართა ხლისტებს გადაედგათ რადიკალური ნაბიჯი ცოდვებისაგან განთავისუფლების მიზნით. პირადი მაგალითის ჩვენებით ჩაიტარა კასტრაცია გავარვარებული რკინით. ხლისტების უმრავლესობა შეძრწუნებული დარჩა სელივანოვის საქციელით. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დაეტოვებინა თემი. ამავე დროს, ზოგიერთი ხლისტის ცნობიერებაზე სელივანოვის „გმირობამ“ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა და მის მაგალითს მიბაძეს. ამდენად, დღე, როდესაც კონდრატე სელივანოვმა „დაწვა მაცდუნებელი გველი“, შეიძლება ჩაითვალოს ახალი სექტის – *სკოპცების* დაბადების თარიღად (ლეშუკონსკი 2022: 42). ეს კი მოხდა XVIII საუკუნის 60-იან წლებში. სექტის ძმებად გამოაცხადეს ყველა რუსი იმპერატორი და დედოფალი, სუვოროვი, ნაპოლეონი, მოციქულები და იესო ქრისტეც.

ტამბოვიდან 80 კილომეტრში არის პატარა ქალაქი *მახშანსკი*. 200 წლის წინ ეს იყო რესპექტაბელური და მდიდარი სავაჭრო ქალაქი. და კიდევ – რუსეთის ტერიტორიაზე ყველაზე მდიდარი, საზარელი და არაადმიანური სექტის შტაბი. სექტანტების თვითსახელწოდება იყო „თეთრი მტრედები“. „დასაჭურისებას“ უწოდებდნენ „გათეთრებას“.

„მტრედების საძმო“ წევრები მოკრძალებული ცხოვრების წესს მისდევდნენ. თავს იკავებდნენ ხორცის ჭამისა და სპირტიანი სასმელებისგან, არ ეწეოდნენ, არ იგინებოდნენ, გაურბოდნენ მხიარულებას, რეგულარულად დადიოდნენ ეკლესიაში. სიტყვიერად ცდილობდნენ თავი მოეჩვენებინათ მართლმადიდებლებად. ერთმანეთთან საუბარში სექტანტები ეკლესიას უწოდებდნენ „თავლას“, ხოლო ეკლესიის მსახურებს „მოჭიხვინეებს“. მსახურებას სკოპცები საიდუმლოდ ატარებდნენ. საერთო ლოცვის შემდეგ ცეკვავდნენ ისე, რომ უკიდურეს ტრანსში ვარდებოდნენ.

ბუნებრივია, ისინი მთლიანად უარყოფდნენ ქორწინებას. საშვილოსნო ორგანოებს სატანის გასაღებს და ჯოჯოხეთის უფსკრულს უწოდებდნენ. ბავშვებს თვლიდნენ გაღატაკებისა და უბედურების მთავარ მიზეზად.

სექტას დიდი რაოდენობით უერთდებოდნენ გლეხები. მოგვიანებით მათ შეუერთდნენ მეშჩანები და მდიდარი ვაჭრები, რომლებიც ამ გზით ფიქრობდნენ სამოთხეში შესვლას. პარალელურად სექტანტები ვარაუდობდნენ გამდიდრებას, რადგან მათ არ ჰყავდათ მემკვიდრეები (ისინი წყვეტდნენ ოჯახთან კავშირს, ხოლო შვილების ყოლა უკვე აღარ შეეძლოთ). სექტის წესდების თანახმად ერთ-ერთი სკოპცის სიკვდილის შემთხვევაში, გარდაცვლილის ქონება სხვა სექტანტს გადაეცემოდა. ამდენად, სექტამ გაიჩინა მძლავრი ფინანსური რესურსები. კასტრირებულებმა ნებსით თუ უნებლიედ მთელი ძალები მიმართეს ბიზნესის საწარმოებლად და არცთუ იშვიათად დიდ წარმატებას აღწევდნენ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სექტა გამოირჩეოდა მძაფრი პროზელიტიზმით – ისწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი მიეზიდა თავის რიგებში. ადამიანების მოტივაცია, დამშვიდობებოდნენ ბუნებრივ მდგომარეობას, კარიერისა და პოპულარობის გარდა, ბუნებრივია, იყო რელიგიური ფანატიზმი.

სკოპცები სხვა ადამიანებს მეორე ხარისხოვან მოქალაქეებად თვლიდნენ, რომლებიც შეიძლებოდა მოეტყუებინათ და გაექურდათ. ძმობას ჰქონდა სკოლები, სადაც ამზადებდნენ კარტის მოთამაშე თაღლითებს. სექტანტებს ბუნებრივია, არ ჰყავდათ მემკვიდრეები, ამიტომ დაგროვილი ქონება ძმობის კუთვნილება ხდებოდა, რაც ზღაპრულად ამდიდრებდა მათ. თანხას იყენებდნენ ხელისუფლების მოქრთამვისათვის. გარდა ამისა ფული

წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტიმულს ახალი წევრების სექტაში მისაღებად, რომლებიც შეიძლება მოკლე დროში ზღაპრულად გამდიდრებულიყვნენ.

სექტაში ხვდებოდნენ გაუსაძლისი პირობებიდან გამომდინარე, მონებად ქცეული ადამიანები, საბუთების გარეშე მცხოვრებნი, უსახლკარონი, რომელთაც გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი ნათესავებთან. შორეული ქალაქებიდან და სოფლებიდან ჩამოსულები თანახმანი იყვნენ, ლუკმა-პურისა და თავშესაფრის სანაცვლოდ დასაჭურისებას დათანხმებოდნენ და თემის წევრები გამხდარიყვნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში ძველი მეთოდები, როცა უბრალო მანიპულაციებით სკოპცები ახალ წევრებს იღებდნენ სექტაში, საკმარისი აღარ აღმოჩნდა. ამიტომ, პრაქტიკაში შემოვიდა დანაშაულებრივი გზით წევრებად ჩარიცხვა. კერძოდ, ადამიანების გატაცება, ძალადობრივი კასტრაცია (შაუროვი 2023ბ: 29).

ამავე დროს თვითკასტრაციას ეწეოდნენ ჯარისკაცები, პატიმრები, მოსახლეობა. იდეა იყო ელემენტარული: იკვეთდა რა გამრავლების ორგანოებს, „ავტომატურად ჯავშნიდა“ ადგილს სამოთხეში – „ცოდვის“ ჩადენა მას ხომ აღარ შეეძლო.

არსებული ფაქტების შესახებ იცოდა სასულიერო წოდებამ, საზოგადოებამ, პოლიციამ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რომელიც ქრთამის გამო თვალს ხუჭავდა. მოსახლეობა ჩუმად იყო, რადგან გრძნობდა დაუცველობას.

სკოპცები განასხვავებდნენ ორი სახის კასტრაციას: „დიდი და პატარა ბეჭედი“. დასაჭურისების პროცესი რამდენიმე სტადიას გადიოდა. ყოველი მათგანი საშინლად მტკივნეული იყო. „პატარა“ ანუ „პირველი ბეჭედი“ – ეს იყო სათესლე ჯირკვლების ამოკვეთა. ამპუტაციის დაწყებამდე „სათესლე ჯირკვლებს“ ჩაქუჩით „უჭეჭყავდნენ“ და შემდეგ აჭრიდნენ. მოგვიანებით ამ პრაქტიკაზე ხელი აიღეს და იყენებდნენ მხოლოდ ბასრ იარაღებს და გაცხელებულ რკინას ჭრილობების ამოსაწვავად. უნდა ითქვას, რომ ოპერაციის შემდეგ ზოგიერთი მამაკაცი ინარჩუნებდა ურთიერთობის შესაძლებლობას. ამიტომ ისინი მიაჩნდათ ცოდვისგან არასრულყოფილად განწმენდილებად.

ამის შემდეგ, ვისაც სურდა დაეკავებინა სექტის იერარქიაში მაღალი მდგომარეობა, აუცილებელი იყო გადასულიყო „მეორე“, ანუ „სამეფო ბეჭედზე“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მთლიანად უნდა მოეკვეთა სასქესო ორგანოები. ზოგიერთ თემში არსებობდა „მესამე ბეჭედიც“, რაც სასქესო ორგანოების მთლიანად ამოღებას ითვალისწინებდა.

ქალები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით (მაგალითად, ქმრის მიბაძვით) შედიოდნენ სექტაში, ასევე საფრთხეში იგდებდნენ თავს და თანხმდებოდნენ მტკივნეული ოპერაციის ჩატარებაზე. მათ კვეთავდნენ მკერდს, ხოლო ზოჯგერ სასქესო ორგანოებს უწვავდნენ, რაც აფერხებდა ბავშვის გაჩენას. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ქალები ტოვებდნენ სექტას, თხოვდებოდნენ და აჩენდნენ შვილებს.

სკოპცების მოძრაობა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხელისუფლება შეშფოთდა. სექტანტების პირველი სასამართლო პროცესი ჩატარდა 1772 წელს. დაახლოებით 300 სექტანტი ციმბირში გადაასახლეს. სელივანოვი გაიქცა, მაგრამ ორი წლის შემდეგ დააპატიმრეს და გაამათრახეს. თავისი ცხოვრების შემდგომი ოცი წელი მან ირკუტსკში გაატარა. სკოპცები კანონგარეშე გამოაცხადეს, მაგრამ სექტანტების რიცხვი გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. მათ შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კონდრატე სელივანოვი შემთხვევითი პიროვნება კი არ იყო – არამედ თავად პეტრე მესამეა, რომელიც გარყვნილმა დედოფალმა ეკატერინე მეორემ ცომბირში გადაასახლა და სწორედ ამიტომ თავი დაისაჭურისა.

ეს მოსაზრება სექტანტებში კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, როდესაც ეკატერინე დიდის გარდაცვალების შემდეგ პავლე პირველმა კონდრატე გადასახლებიდან დააბრუნა. მართალია თუ არა ძნელი სათქმელია, მაგრამ მრავალი ისტორიული წყარო ამტკიცებს, რომ იმპერატორმა მას აუდიენცია დაუნიშნა, რის შემდეგ სელივანოვი გაგზავნეს შეშლილთა სახლში.

სექტანტებისთვის ოქროს ხანა დადგა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ალექსანდრე I. სელივანოვი კვლავ თავისუფლებას დაუბრუნდა. ის შეიფარა პოლონეთის ყოფი-

ლი მეფის დიდმოხელემ *აღექსეი ედიანსკიმ*. მალე ისიც სკოპცი გახდა. სელივანოვმა და ელიანსკიმ შეადგინეს პროექტი სახელმწიფოს ახალი მოწყობის შესახებ. პროექტის მიხედვით მთელი რუსეთი უნდა გადაქცეულიყო სკოპცების „ხომალდად". ანუ კასტრაციას უნდა დაქვემდებარებოდა ყველა – იმპერატორით დაწყებული უკანასკნელი ყმა-გლეხის ჩათვლით. ამის შემდეგ რუსეთი გახდებოდა სამოთხე. პროექტის მიხედვით ალექსანდრე პირველის სულიერი მოძღვარი უნდა ყოფილიყო სელივანოვი, ხოლო შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ელიანსკი. პროექტის წაკითხვის შემდეგ იმპერატორმა ელიანსკი გადაასახლა, სელივანოვს კი რატომღაც ხელი არ ახლო.

სელივანოვზე თვალთვალი და სახლის ჩხრეკა პოლიციას აეკრძალა. ყოველკვირეული რიტუალების დროს კონდრატე საკუთარი ხელით ასაჭურისებდა ბავშვებს და მოზრდილებს. ერთ-ერთ რიტუალს 1805 წელს დაესწრო თავად იმპერატორიც. მართალია, „ამოეწვა ცოდვის გველი" არ მოისურვა, მაგრამ მისი ვიზიტის შემდეგ, ბუნებრივია, უფრო მეტად გაიზარდა სექტისადმი ინტერესი პეტერბურგის თავადაზნაურთა შორის.

მხოლოდ 1820 წელს შეიცვალა ვითარება. ალექსანდრე I-ის ფავორიტმა სანქტ-პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა *მიღოხადოვიჩმა* გაიგო, რომ სკოპცების რიტუალებს ესწრებოდნენ მისი ძმისწულები, მაშინვე დაიწყო გამოძიება. გაირკვა, რომ სელივანოვი ასაჭურისებდა არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს. დასჯის დროს მილორადოვიჩი იყო სასტიკი: ცოტა ხანში უმაღლესი ინსტანციის ნებართვით, საქმე სასამართლომდე მივიდა. კონდრატე გაგზავნეს სუზდალის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც გარდაიცვალა 1832 წელს.

ერთია, რომ მისი დაწყებული საქმე, კვლავ გრძელდებოდა. რუსეთში სკოპცების რაოდენობა ათიათასებს ითვლიდა. სელივანოვის გარდაცვალების შემდეგ სექტის ერთ-ერთი ლიდერი გახდა პირველი გილდიის ვაჭარი *მაქსიმ პღოტიცინი*. მრავალმა სექტანტმა თავისი ქონება მას ანდერძით გადასცა. თანამედროვე ჟარგონი რომ გამოვიყენოთ ის იყო „ობშჩიაკის" მცველი (ლიშუკონსკი 2022: 43).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი რუსი სექტანტები ვინც საქართველოში ჩამოასახლეს სკოპცები იყვნენ. მათი შემოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე დაიწყო XIX საუკუნის 20-იან წლებში (სონღულაშვილი 2018: 558). 1822 წლიდან სკოპცებს უმთავრესად რედუტ-კალეში და სოხუმში ასახლებდნენ. 1825 წლიდან მათ გზავნიდნენ მდინარე რიონთან მდებარე სოფელ მარანში დასასახლებლად. მალე აქ თავი მოუყარეს სამას კაცაცამდე. სკოპცების ერთი ჯგუფი შემდეგში დაასახლეს სოფელ კოდორში. მათ დაევალათ სამხედრო ტვირთისა და ამუნიციის ტრანსპორტირება ყულევიდან (რედუტკალედან) რიონით – მარანამდე. ამ მძიმე შრომამ და მრავალგვარმა გაჭირვებამ გამოიწვია მნიშვნელოვანი სიკვდილიანობა. მათი რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა, რადგან სექტანტების შეხედულებათა შესაბამისად კასტრაციის გამო სკოპცების ბუნებრივი გამრავლება არ ხდებოდა (ანთაძე 1973: 129).

XIX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოში მყოფი გერმანელი მოგზაური *მოხიც ვაგნერი* აღნიშნული სექტის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

> რუსეთში არის სექტა – სტაროვერები – რომლის მიმდევრები ბიბლიის ერთი ადგილის მცდარად გაგების გამო გარკვეულ ასაკში ისაჭურისებენ თავს. მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ბევრ ქალაქში, თვით რიგაშიც კი ცხოვრობენ ეს იშვიათი ფანატიკოსები, რომლებიც სხეულის სამარცხვინო დამახინჯების საშუალებით იმედოვნებდნენ ზეცაში დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი. რუსეთის მთავრობამ მისთვის ჩვეული სიმკაცრით სცადა ამ ფანატიკოსთა სექტის დათრგუნვა, მაგრამ რელიგიური ფანატიკოსების წინააღმდეგ ისეთივე წარმატებას ვერ მიაღწია, როგორც პოლიტიკურ შეურაცხადებთან, დასჯის მიზნით ბევრი ეს საჭურისი შებოჭეს დამამშვიდებელი ხალათით, ბევრი კავკასიაში გადაასახლეს, სადაც მათ შექმნეს სამხედრო კოლონიები. მე საკმაო რაოდენობით ვი-

ხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავადებულნი ენდემური ავადმყოფობებით წვანან ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში. მკრთალი მიწისფერი, სიგამხდრე და საზიზღარი ქალური გამომეტყველება უწვერო ქოსა სახეებისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ჯარისკაცებისაგან ერთი შეხედვით გამოგვარჩევინებს (ვაგნერი 2002: 115-116).

1855 წელს მარანსა და კოდორში ჩასახლებული სკოპცების რაოდენობა განახევრდა. ცოტა ხანში კი საერთოდ შეწყვიტეს არსებობა.

რუსეთში სკოპცების დევნა კვლავ გრძელდებოდა. 1869 წელს, უკვე ალექსანდრე II-ის დროს, ზემოთ ნახსენები მაქსიმ პლოტიცინი დააკავეს მაღალი თანამდებობის პირისაგან ქრთამის აღების გამო. ჩხრეკისას მისი ბინიდან ამოღებული იქნა 30 მილიონი მანეთი. ხელისუფლებამ ბოლოს გააცნობიერა, რა სახის სექტასთან ჰქონდა საქმე და თემის წევრები კონტროლზე აიყვანა. ცოტა ხანში სასამართლოს წინაშე წარდგნენ პლოტიცინი და სექტის 40 წევრი. სამედიცინო შემოწმებით გაირკვა, რომ ყველა ფიგურანტს ამოჭრილი ჰქონდა სასქესო ორგანოები. თავად მოძღვარს კი, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს „მამაკაცის დამადასტურებელი მოწმობა ადგილზე აღმოაჩნდა". მას ბრალი წაუყენეს ასოთა მოკვეთაში, ერესში და სხვა „დანაშაულებების" გამო. ჩამოერთვა ყველა უფლება და გაასახლეს ციმბირში. სკოპცების ძირითადი ნაწილი გადავიდა არალეგალურ ცხოვრებაზე, თუმცა ძველებურად ინარჩუნებდნენ გავლენას.

1917 წელს სკოპცების ლიდერებს ჩაუტარდათ ექსპროპრიაცია. დოკუმენტების თანახმად, ვაჭარ ბურცევისგან „ამოიღეს" ოთხი მილიონი მანეთი ოქროთი, ძმები ნიკიფოროვებისგან – მილიონი, ხოლო დები სმირნოვებისგან – 500 ათასი. გამორჩეულად ხმაურიანი სასამართლო ჩატარდა 1929 წელს. სოფლის სკოპცები საბჭოთა ხელისუფლების მტრად აღიარეს და გადაასახლეს ციმბირში, ქალაქში მცხოვრები სექტის წევრები კი ციხეში ჩასვეს. თითქოს მომხდარს ჯვარი დაესვა, მაგრამ... პროცესი სკოპცებთან დაკავშირებით განახლდა 40-იანი წლების ბოლოს. ითვლებოდა, რომ სექტა გაუჩინრადა 1970-იან წლებში, თუმცა ცალკეული ჯგუფების შესახებ ცნობები გამოჩნდა 1990-იან წლებშიც.

დამოწმებანი

ანთაძე 1973: ნ. ანთაძე. *საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში*, თბილისი.
გელოვანი 1990: ა. გელოვანი. *ხწმენა, ღმერთები, ადამიანები*, თბილისი.
გეგეშიძე 1988: დ. გეგეშიძე. *საუბარი ათეიზმსა და ხელიგიაზე*, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.
გელაშვილი 2002: *მოჩიც ვაგნერი, საქართველოს შესახებ*, გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი.
ერქომაიშვილი 2005: ვ. ერქომაიშვილი. *ფილოსოფია*, თსუ-ს „გამომცემლობა", თბილისი.
ლიშუკონსკი 2022: А. Лешуконский. Скопцы – тайные правители России, *Секретные архивы*, №11.
მჭედლიშვილი-ნაკუდაიძე 2007: ლ. მჭედლიშვილი-ნაკუდაიძე. დუხობორების ისტორიიდან ამერიკაში, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №2, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი.
სიგუა 2012: ს. სიგუა. *კულტუროლოგიის საფუძვლები*, ტ., II, თბილისი.
სონღულაშვილი 2018: ა. სონღულაშვილი. *საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა*, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი.
ფილიმონოვა 2023: Е. Филимонова. Корабль хлыстов, *Загадки истории*, №14.
შაუროვი 2023ა: Э. Шауров. жизнь после смерти, *Загадки истории*, №1-2.
შაუროვი 2023ბ: Э. Шауров. Рай без гениталий, *Загадки истории*, №18.

THE RELIGIOUS SECT OF SKOPTSY (IN 1840s-1850s)

Avtandil Songhulashvil
TSU, Institute of History and Ethnology Ivane Javakhishvili
a.songulashvili@yahoo.com

The first Russian Raskolniks who came to Georgia were Skoptsy (eunuchs). Since 1822, the Skoptsy were resettled mainly in Redut-Kaleh and Sukhumi. In 1825, they were sent to settle in the village of Maran, located by the river Rioni. Soon about 0.3 thousand people gathered here. One group of Skoptsy was later settled in the village of Kodori. They were assigned to transport military cargo and ammunition from Kulevi (Redutkale) Marana through Rioni. This hard work and many hardships caused significant mortality because the natural reproduction of the Skoptsy did not take place due to the graceful castration according to their sectarian views.

In 1855, the number of Skoptsy settled in Marani and Kodori was halved. After a while, it ceased to exist altogether.

The sect was active in Russia for a century and a half and was destroyed only during Soviet rule.

ვარლაამისა და იოასაფის რომანის ე. წ. „ლემის“ ახლებური გაგებისათვის*

გაგა შურღაია
ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ლ'ორიენტალე“,
აზიის, აფრიკისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის დეპარტამენტი
shurgaia@unior.it

ვარლაამისა და იოასაფის რომანის (CPG 8120) (ფოლკი 2006) ავტორის, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ბალავარისა და იოდასაფის შესახებ ლეგენდის ბერძნულ ენაზე მთარგმნელის ვინაობის საკითხში მკვლევარები დღემდე ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან. არაბიბლიურ წიგნთა შორის ამ თხზულებას ქრისტიანულ შუა საუკუნეებში ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავდა, რის გამოც მისი ენიგმატური ავტორი „[...] ნამდვილად იმსახურებს პირველ ნობელის პრემიას მსოფლიო ლიტერატურაში, თუკი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია [... ოდესმე] ასეთ ჯილდოს დააწესებს“ (გრეგუარი 1963: 420), წერდა ცნობილი ფრანგი ბიზანტინისტი, ჰ. გრეგუარი (1881-1964). ამ ავტორს მოიაზრებდნენ VII, ან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, IX საუკუნეში მცხოვრებ, სავსებით უცნობი საბაწმიდელ ბერ იოანეში, ან – იოანე დამასკელში († 749 წ.), ანდა – დიდ ქართველ მწერალსა და სწავლულში, 1005-1019 წლებში ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარში, ექვთიმე მთაწმიდელში (დაახლ. 955-1028).[1]

უკანასკნელი იდენტიფიკაცია, თითქმის, თავისთავად გულისხმობს, რომ ბერძნული რომანი ლეგენდის ქართული ვერსიიდან, ე. წ. „ბალავარიანიდან“ (აბულაძე 1957)[2] ითარგმნა, მაგრამ ამ მოსაზრების მეცნიერულად დასასაბუთებლად, ცხადია, აუცილებელია ამ ორი ვერსიის ფილოლოგიურ და ისტორიულ მონაცემთა კომპლექსური შეპირისპირებული შესწავლა. როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით კვლევა-ძიება დაიწყო 1886 წელს, როდესაც ჰ. ზოტენბერგმა (1836-1894) მიაგნო ბერძნული ვერსიის ორ ნუსხას, რომელთა სათაურებში[3] ექვთიმე იბერიელი ნაწარმოების ქართულიდან ბერძნულად მთარგმნელად იყო აღიარებული. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია თხზულების ბერძნული ვერსიის ნუსხებში მოტანილი სათაურები, რომლებიც მეცნიერთა შორის ცხოველი კამათის საგანი შეიქმნა, აგრეთვე, მათ შესახებ შემუშავებული თვალსაზრისები და მოცემულია ტრადიციულად ცნობილ მონაცემთა ახლებურად გააზრების მცდელობა.

1. მონაცემები

ომანის ავტორის შესახებ ინფორმაციის შემცველ სათაურთა მიხედვით, ნაწარმოების 140 ნუსხიდან მის მიერ პირადად შესწავლილი 95 ხელნაწერი ფ. დელგერმა (1891-1968) ხუთ ჯგუფად (A-E) დაყო და მიუთითა, რომ ერთ ჯგუფში გაერთიანებული კოდექსები, ერთგვარ სათაურებთან ერთად, ერთგვარ ტექსტებსაც გადმოსცემდა (დელგერი 1953: 11-15).[4]

კერძოდ, პირველი (A) ტიპის 61 ხელნაწერის შემცველ A1 ქვეჯგუფში ნათქვამია, რომ ნაწარმოები ეთიოპიიდან წმინდა ქალაქში საბაწმიდელმა ბერმა, იოანემ ჩამოიტანა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს შეადგენს დიდ ბრიტანეთში, ოქსფორდში დაცული ორი ხელნაწერი, რომლებშიც მინდორზე გადასული სათაურის ნაწილში (*im überschrießenden Teil*) ვკითხულობთ: "Ἰωάννου τοῦ Σιναΐτου", ანუ „იოანე სინელისა“. პირველი ინახება ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკაში, დაცულია შიფრით Canon. gr. 3 (შემდგომში ყველგან: "Bodl. Canon. gr. 3") და XVI საუკუნით თარიღდება, ხოლო მეორე – მარიამ მაგდალინელის სახელობის კოლეჯში შიფრით gr. 4 (შემდგომში ყველგან: "Magd. Coll. gr. 4") და გადაწერილია 1064 წელს. A2 ქვეჯგუფში, რომელიც მოიცავს ათ ნუსხას და ზემოაღნიშნულ სამოცდაერთ

ხელნაწერთან ერთად ერთსა და იმავე ტექსტოლოგიურ ჯგუფს ქმნის, იოანე მიჩნეულია "μονὴ τοῦ ἁγίου Σινᾶ", ანუ „წმინდა სინას მონასტრის“ ბერად, მაგრამ ჰ. ზოტენბერგმა დამაჯერებლად ახსნა, თუ საკუთარი სახელის "Σάυα", ანუ „საბა“ ნაცვლად როგორ შეიძლებოდა, გაჩენილიყო ტოპონიმი "Σινᾶ", ანუ „სინა“, მაგალითად, პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში gr. 1163 შიფრით დაცულ, 1348 წელს გადაწერილ კოდექსში (ზოტენბერგი 1886: 5). მეორე (B1-2) ჯგუფში, სადაც შედის ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში Pal. gr. 201 შიფრით დაცული (შემდგომში ყველგან: "Pal. gr. 201"), XIII საუკუნით დათარიღებული და, აგრეთვე, XV-XVII საუკუნეების სხვა ცხრა კოდექსი, იოანე დამასკელი გამოცხადებულია ავტორად თხზულებისა, რომლის „გადატანას“ (*Übertragung*) A1 ტიპი ღვთისმოსავ მამებს მიაწერს, ხოლო „გადაწერას“ (*aufzeichnen*) – იოანე დამასკელს. მესამე ტიპში (C1-5) მკაფიოდაა გამოხატული მცდელობა, რთული იკითხვისი "μετενεχθεῖσα", ანუ „გადატანილი“ განიმარტოს სიტყვასთან "μεταβληθεῖσα", ანუ „გადაღებული“ დაკავშირებით, ხოლო ეს „გადატანა“ (*Übertragung*) ხან არაბულიდან ბერძნულად (C1-2) და ხანაც ეთიოპურიდან ბერძნულად (C3) ირიბად იოანე დამასკელს მიეწერება. C4 ქვეჯგუფში შედის ერთადერთი – პარიზში, საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში gr. 1771 შიფრით დაცული (შემდგომში ყველგან: "Par. gr. 1771") ნუსხა, რომელიც თხზულების ავტორად ექვთიმე იბერიელს აცხადებს. მეოთხე (D) ჯგუფიც წარმოდგენილია ერთადერთი – ელ ესკორიალში, მეფის ბიბლიოთეკაში T.III.6 (= cod. gr. 166) შიფრით დაცული (შემდგომში ყველგან: "El Esc. T.III.6"), XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერით, რომლის მიხედვითაც იოანე არის ტაბენისიელთა მონასტრის "μοναχὸς καὶ ἡγούμενος", ანუ „ბერი და წინამძღვარი“ (რევილია 1936: 515). ეს მონასტერი ოდესღაც ეგვიპტეში, თებეიდში, ახლანდელი ქალაქ აბუ-ქირის მახლობლად მდებარეობდა[5] და, როგორც ჩანს, გადამწერმა მასზე მითითებით გაასწორა, ალბათ, ანტიგრაფისეული ხარვეზი: "μονῆς ... αβ...", ანუ „მონასტერი ... აბ...“, რომელიც სინამდვილეში ასე უნდა აღდგენილიყო: "μονῆς <τοῦ ἁγίου Σ>άβ<βα>", ანუ „მონასტერი <წმიდა ს>აბ<ასი>“. უკანასკნელი – მეხუთე (E) ჯგუფი, რომელსაც საკვლევი საკითხისთვის ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება, შერეული ტიპის სათაურებს შეიცავს: ზოგიერთი A ტიპისგან მომდინარეობს, ხოლო ზოგიერთი „რომანს“, უბრალოდ, იოანე დამასკელს მიაკუთვნებს, ანდა საგანგებოდ არ ამახვილებს ყურადღებას თხზულების წარმომავლობაზე (დელგერი 1953: 15-18).

„რომანის“ სათაურთა ფ. დელგერისეული აკადემიური გამოცემა დღემდე სანიმუშოდ რჩება. მიუხედავად ამისა, მისთვის თანდართულ კომენტარში ერთგვარად ჩაკარგულია ვენეციაში, წმინდა მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკაში gr. VII, 26 (coll. 1431) შიფრით დაცული ხელნაწერი (შემდგომში ყველგან: "Marc. gr. VII, 26"), რადგანაც მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს რა მის სათაურში ექვთიმეს ხსენებას, მკვლევარი მას A1 ქვეჯგუფში აერთიანებს და მასზე სასხვათაშორისოდ მსჯელობს: „[...] მაშინ, როდესაც N. 131, ე. ი. XII საუკუნის ზემოაღნიშნულ Marc. VII 26 (Nan. 137) [ხელნაწერში], მართლაც, ნათქვამია [...]“ (დელგერი 1953: 15-16). შემდგომ ფ. დელგერი მას C ჯგუფის საგანგებო – C5 ვარიანტად აღრიცხავს და აშკარად (*offensichtlich*) A ტიპისგან წარმომდგარად მიიჩნევს (დელგერი 1953: 14, 17). ეს გარემოება თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რა დიდ შეცდომაში შეიძლება, შეგვიყვანოს იმ ფაქტის უგულებელყოფამ, რომ თხზულების წარმოშობასთან დაკავშირებით „რომანის“ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერთა სათაურები მიუთითებს ორ განსხვავებულ პიროვნებაზე: მასზე, ვინც იგი აღმოსავლეთიდან ფიზიკურად ჩამოიტანა და მასზე, ვინც იგი ბერძნულად თარგმნა.

რაც შეეხება თხზულების ფიზიკურად ჩამომტანს, ხელნაწერები ოთხ ჯგუფად იყოფა. პირველში ნათქვამია, რომ იგი საბაწმიდელმა ბერმა, იოანემ (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგჯერ იგი არა საბაწმიდლად, არამედ შეცდომით სინელად მოიხსენიება) ჩამოიტანა, მეორეში იოანე საბაწმიდელი მიჩნეულია იოანე დამასკელად, მესამეში ეს მონაცემები დაფიქსირებული არ არის, ხოლო მეოთხეში საუბარია ღვთისმოსავ მამებზე. ერთი შეხედვით, არცთუ ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ Magd. Coll. gr. 4 ნუსხაში იოანე სინელის სახელი საბაწმიდელ ბერ ვარლაამად (Βαρλαάμ) არის გადასწორებული (დელგერი 1953: 12). გვიანდელ ნუსხებში თავჩენილ არეულობას ცხადყოფს კიდევ ერთი დეტალი: ათენში, ელენთა ბულეს ბიბლიოთეკაში № 11 ნომრით დაცუ-

ლი (შემდგომში ყველგან: "Athēn. Bibl. Boul. 11"), XVI საუკუნით დათარიღებული და ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ორი – დაახლოებით, 1702 წლით დათარიღებული gr. 411 (შემდგომში ყველგან: "Ath. Ivir. gr. 411") და XVII საუკუნით დათარიღებული gr. 464 (შემდგომში ყველგან: "Ath. Ivir. gr. 464") ხელნაწერების მიხედვით, თხზულება ეთიოპიიდან, ანუ ინდოეთიდან, წმინდა ქალაქში საბაწმიდის მონასტერში ჩამოიტანეს (დაწვრილებით იხ. სქემა 1).

კიდევ უფრო მრავალფეროვანია ხელნაწერთა მითითებები თხზულების ავტორზე. კერძოდ, ამ თვალსაზრისით ნუსხები ექვს ჯგუფად იყოფა. პირველში ამ საკითხზე არაფერია ნათქვამი, მეორეში „რომანის“ ავტორად მიჩნეულია იოანე ბერი, მესამეში – იოანე სინელი (ალბათ, საბაწმიდლის ნაცვლად), მეოთხეში – იოანე ტაბენისიელი, მეხუთეში – იოანე დამასკელი, ხოლო მეექვსეში – ექვთიმე იბერიელი.

ქვემოთ სქემატურად წარმოვადგენთ ხელნაწერთა ჩვენებებს. ნუსხათა თითოეული ჯგუფის ჩამონათვალის სათავეში მითითებულია ფ. დელგერის მიერ ნავარაუდები „ძირითადი ტექსტი“ (*Textgrundlage*), ხოლო მის ქვემოთ ნუსხები დალაგებულია მათი სიძველის შესატყვისად:

სქემა 1

„რომანის“ ჩამომტანი და ავტორი ხელნაწერების მიხედვით

ჩამომტანი	**ავტორი**	**ხელნაწერები**
იოანე საბაწმიდელი	მითითებული არ არის	ელ ესკორიალი, მეფის ბიბლიოთეკა, T.III.3 (= cod. gr. 163) (1057 წ.) (რევილია 1936: 509) ათონი, ივერთა მონასტერი, gr. 463 (დაახლ., 1075 წ.) (ლამბროსი 1900: 149, № 4583); (ფოლკი 2009: 270) ათონი, კუტლუმუსიუსის მონასტერი, 5 (XI ს.) (ლამბროსი 1895: 271, № 3074) ათონი, ვატოპედის მონასტერი, 288 (XI ს.) (ევსტრატიადე, არკადიოსი 1924: 61) ათონი, ვატოპედის მონასტერი, 384 (XI ს.) (ევსტრატიადე, არკადიოსი 1924: 73) ფლორენცია, წმ. ლავრენტის სახელობის მედიჩთა ბიბლიოთეკა, გაუქმებულ ორდენთა ფონდი 115 (XI ს.) (ფოლკი 2009: 306) ათონი, პანტოკრატორის მონასტერი, 38 (XIII ს.) (ლამბროსი 1895: 96, № 1072) იერუსალიმი, მართლმადიდებელი კათოლიკე საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, საბაწმიდის ფონდი, gr. 334 (1335/6 წ.) (პაპადოპულო-კერამევსი 1894: 459) იერუსალიმი, მართლმადიდებელი კათოლიკე საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, საპატრიარქოს ფონდი, gr. 178 (1338 წ.) (პაპადოპულო-კერამევსი 1891: 268) იერუსალიმი, მართლმადიდებელი კათოლიკე საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, საბაწმიდის ფონდი, gr. 288 (XV ს.) (პაპადოპულო-კერამევსი 1894: 412) აუგსბურგი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ეტინგენ-ვალერშტაინის ფონდი, Cod. I.1.2° 1 (*olim* მაინგენი, შემდეგ ჰარბურგი, პრინც ეტინგენ-ვალერშტაინის ბიბლიოთეკა, I 1, fol. 1) (XV ს.) (ფოლკი 2009: 291) ოქსფორდი, იესო ქრისტეს ეკლესია, Wake 62 (1564/5 წ.) (ფოლკი 2009: 388) ათონი, კუტლუმუსიუსის მონასტერი, 209 (შემდგომში ყველგან: "Ath. Koutl. 209") (XVI ს.) (ლამბროსი 1895: 297, № 3282) ათონი, წმ. ათანასეს ლავრა, K 49 (= 1336) (XVI ს.) (სპირიდონი, ევსტრატიადე 1924: 224) ათონი, ივერთა მონასტერი, gr. 465 (1748 წ.) (ლამბროსი 1900: 149, № 4585) კოზანი, ძმები კოვენტაროსების სახელობის მუნიციპალური ბიბლიოთეკა, 72 (1777 წ.) (ფოლკი 2009: 340)

ჩამომტანი	ავტორი	ხელნაწერები
იოანე სინელი (*lege* საბაწმიდელი)	მითითებული არ არის	მიუნხენი, ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, gr. 138 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 366); (ჰაიდუ 2003: 164) [x]პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, gr. 1125 (XV ს.) (ფოლკი 2009: 403) [x]პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, gr. 1706 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 420-421) [x]მოდენა, ესტეს სახელობის ბიბლიოთეკა, α.T.8 (= gr. 138) (შემდგომში ყველგან: "Est. α.T.8") (1560 წ.) (ფოლკი 2009: 359) [x]ოქსფორდი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკა, Canon. gr. 89 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 382) [x]სალამანკა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, 2719 (*olim* მადრიდი, მეფის სასახლის ბიბლიოთეკა, VII.G.4) (შემდგომში ყველგან: "Salam. Bibl. Univers. 2719") (XVI ს.) (ფოლკი 2009: 433) [x]მადრიდი, ესპანეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, № 4792 (*olim* მადრიდი, ეროვნული ისტორიული არქივი, 163, 8) (შემდგომში ყველგან: "Madr. Bibl. Nac. 4792") (XVI ს.) (ფოლკი 2009: 348-349) [x]მიუნხენი, ბავარიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, gr. 188 (XVI ს.) (ფოლკი 2009: გვ. 367); (ჰაიდუ 2012: 57) [x]Bodl. Canon. gr. 3 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 381) [x]პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, gr. 908 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 399) [x]ვენეცია, წმ. მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკა, gr. II, 189 (coll. 1184) (1785 წ.)
იოანე დამასკელი – საბაწმიდელი ბერი	მითითებული არ არის	ათონი, მაქსიმე ქოხთა გადამწველის (Καυσοκαλυβίων) სკიტე, 52 (*olim* 9) (XIV ს.) (ევსტრატიადე, 1930: 46); (ლამბროსი 1900: 463, № 6543) ვენეცია, წმ. მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკა, gr. XI, 20 (coll. 1474) (XVI ს.) (მიონი 1972: 110) ათენი, საბერძნეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2528 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 254)[6] ათონი, წმ. ათანასეს ლავრა, Λ 31 (= 1521) (შემდგომში ყველგან: "Ath. Laura Λ 31") (1752 წ.) (სპირიდონი, ევსტრატიადე 1924: 267) ათონი, ვატოპედის მონასტერი, 87 (1841 წ.) (ევსტრატიადე, არკადიოსი 1924: 24) ათონი, წმ. პანტელეიმონის მონასტერი, 163 (1882 წ.) (ლამბროსი 1900: 308, № 5670)
მითითებული არ არის	იოანე ბერი	ათონი, წმ. პანტელეიმონის მონასტერი, 538 (XVI ს.) (ლამბროსი 1900: 391, № 6045)
ვარლაამი – საბაწმიდელი ბერი	მითითებული არ არის	Magd. Coll. gr. 4 (1064 წ.) (ფოლკი 2009: 391)
მითითებული არ არის	იოანე ტაბენისიელი	El Esc. T.III.6 (XI ს.) (რევილია 1936: 515); (ფოლკი 2009: 301-302)

ჩამომტანი	ავტორი	ხელნაწერები
ღვთისმოსავ-ნი მამანი	იოანე დამას-კელი	იერუსალიმი, მართლმადიდებელი კათოლიკე საპატრიარქოს ბიბლი-ოთეკა, საბაწმიდის ფონდი, gr. 372 (1508 წ.) (პაპადოპულო-კერამევსი 1894: 496); (ფოლკი 2009: 327) Vat. Pal. gr. 201 (XIII ს.) (ფოლკი 2009: 470) პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, gr. 907 (XIV-XV სს.) (ფოლ-კი 2009: 398) პარიზი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, gr. 1132 (XV ს.) (ფოლკი 2009: 416) ვატიკანი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკა, Pal. gr. 59 (1541 წ.) (პიტ-რა 1885: 30); (ფოლკი 2009: 469) ოქსფორდი, ლინკოლნის სახელობის კოლეჯი, F. gr. 21 (1584 წ.) (ფოლკი 2009: 390) Athēn. Bibl. Boul. 11 (XVI ს.) Ath. Ivir. gr. 411 (დაახლ. 1702 წ.) (ლამბროსი 1900: 144, № 4531) Ath. Ivir. gr. 464 (XVII ს.) (ლამბროსი 1900: 148, № 4584)
მითითებული არ არის	იოანე დამას-კელი	ათონი, დიონისეს მონასტერი, gr. 79 (XVII ს.)[7] ათონი, ივერთა მონასტერი, gr. 462 (XI ს.)[8] (ლამბროსი 1900: 149, № 4582); სათაური თავნაკლულია ათონი, ივერთა მონასტერი, gr. 461 (XIII ს.) (ლამბროსი 1900: 149, № 4581); სათაური თავნაკლულია იერუსალიმი, მართლმადიდებელი კათოლიკე საპატრიარქოს ბიბლი-ოთეკა, ჯვრის მონასტრის ფონდი, gr. 42 (XIII ს.) (პაპადოპულო-კერა-მევსი 1897: 94); (ფოლკი 2009: 332) ათონი, პანტოკრატორის მონასტერი, 538 (XVI ს.) (ლამბროსი 1900: 391, № 6045) ანდროსი, „წყარო ცხოვრებისად“ წოდებული ღვთისმშობლის ხატის მო-ნასტერი, 8 (XVI ს.) (ფოლკი 2009: 240) ათონი, წმ. პანტელეიმონის მონასტერი, gr. 571 (XVI ს.) (ლამბროსი 1900: 399, № 6078) სტამბული, მსოფლიო საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, 89 (*olim* ხალკეს წმ. სამების მონასტერი, 97) (XVI-XVII სს.) (ფოლკი 2009: 316)[9] ვენეცია, წმ. მარკოზის სახელობის ბიბლიოთეკა, gr. VII, 47 (coll. 1387) (XVIII ს.) (მიონი 1960: 110)
იოანე საბაწ-მიდელი	ექვთიმე იბერიე-ლი	Marc. gr. VII, 26 (XI ს.) (მიონი 1960: 45)
მითითებული არ არის	ექვთიმე იბერიე-ლი	Par. gr. 1771 (XV ს.) (ფოლკი 2009: 422)
მითითებული არ არის	მითი-თებული არ არის	ვატიკანი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკა, Vat. gr. 861 (XIV ს.) (დევ-რესი 1950: 428) ათენი, საბერძნეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2497 (შემდგომში ყველ-გან: "Athēn. Eth. Bib. 2497") (XI ს.) (ფოლკი 2009: 252) ოქსფორდი, ბოდლეს სახელობის ბიბლიოთეკა, Barocc. 21 (XII ს.) (ფოლკი 2009: 379) ვატიკანი, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკა, Vat. gr. 2025 (XII-XIII სს.) (ფოლკი 2009: 463) ელ ესკორიალი, მეფის ბიბლიოთეკა, X.II.13 (= cod. gr. 373) (XVI ს.) (ანდრე-სი 1965: 283)[10]

სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ახსნილი, თუ როგორ იქცა აღმოსავლეთიდან თხზულების ჩამომტანი საბაწმიდელი ბერი იოანე ჯერ „რომანის“ ავტორად, ხოლო შემდეგ – „რომანის“ ავტორ იოანე დამასკელად.[11] აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთიდან თხზულების ჩამომტანი იოანე საბაწმიდელი ზოგიერთ ხელნაწერში გვევლინება საბაწმიდელ ბერ იოანე დამასკელად, რომელსაც ნაწარმოები აღმოსავლეთიდან მოაქვს. კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ გვიანდელ ნუსხებშიც კი იოანეს ეპითეტი, „დამასკელი“ გვერდების აშიებზე არის მიწერილი. მაგ., XVI საუკუნით დათარიღებულ Ath. Koutl. 209 ნუსხაში "Ἰωάννου μοναχοῦ", ანუ „იოანე ბერის“ სახელის გასწვრივ გადამწერი ევფროსინე აშიაზე ამატებს სიტყვებს "τοῦ Δαμασκηνοῦ", ანუ „დამასკელისა“ (ფოლკი 2009: 278), 1752 წლის თარიღიანი Ath. Laura L 31 ნუსხის გადამწერი კი ამ დროს განსხვავებული ფერის მელანსაც იყენებს (ფოლკი 2009: 282).

კონკრეტულად ექვთიმე იბერიელზე მიუთითებს ორი ბერძნული, კერძოდ, ზემოაღნიშნული Marc. gr. VII, 26 და Par. gr. 1771, ნუსხა, და ერთი ლათინური ხელნაწერი, რომელიც ნეაპოლში, ვიქტორ ემანუელ III-ის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში VIII.B.10 შიფრით არის დაცული (შემდგომში ყველგან: „Neap. VIII.B.10“) და XIV საუკუნით თარიღდება. მათში ვკითხულობთ:

სქემა 2

ექვთიმე იბერიელი „რომანის“ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებში

Marc. gr. VII, 26	Neap. VIII.B.10	Par. gr. 1771
[᾽Ιστορία ψυχωφελὴ]ς	Hystoria Barlae et Iosaphat	Λόγοι ψυχωφελῆς [*pro* ψυχωφελεῖς] μετενεχθεῖσαι
ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας	de int(e)riori Ethiopia [*pro* Aethiopia]	ἀπὸ | τῆς τῶν Εθειόπων [*pro* Αἰθιόπων] εσωτέρας [*pro* ἐσωτέρας] χώ[ρ]ας
πρὸς | [τὴν ἀ]γ[ί]αν πόλιν		εις [*pro* εἰς] τὴν | Ρωμαίων [*pro* ᾽Ρωμαίων] γὴν [*pro* γῆν] και [*pro* καὶ]
μετενεχθεῖς [*sic*!] διὰ	deducta p(er)	
Ἰ ω (ά ν ν ο υ) μοναχοῦ	I o h (a n n) e m[12]	
μονῆς τοῦ ἁγίου Σάβα [*pro* Σάββα], |	ven(er)abile(m) monachu(m) ma(n)ist(er)ii [*sic*!] s(an)cti Sabe [*pro* Sabae] i(n) Helia(m) urbe(m)	
[μεταφρα]σθῆσα [*pro* μεταφρασθεῖσα] δὲ ἀπὸ **τῆς Ἰβήρων**	et t(ra)nslata	μεταβληθῆσαι [*pro* μεταβληθεῖσαι] απὸ [*pro* ἀπὸ] | **τῆς τ(ῶ)ν Εθειόπων** [*pro* **Αἰθιόπων**] διαλέκτου
πρὸς τὴν ᾽**Ελάδα** [*sic*!] γλῶσσαν	i(n) **eolico**	επὶ [*pro* ἐπὶ] τὴν **ελλη|νίδα** [*pro* **ἑλληνίδα**] γλῶσαν [*pro* γλῶσσαν]
ὑπὲρ Ε ὐ θ υ | μ ί ο υ ἀνδρὸς τιμίου καὶ εὐσεβοῦς τοῦ λεγομένου ᾽᾽ Η β η ρ ο ς [*pro* ᾽᾽ Ι β η ρ ο ς] .	*p(er)* E u f i n i u (m) [*pro* E u f i m i u m] s(an)c(t)um virum.	*παρὰ* Ε υ θ η μ ΄ ί ο υ [*pro* Ε ὐ θ υ μ ί ο υ] τοῦ αγϊοτάτου [*pro* ἁγιωτάτου] | μοναχοῦ τοῦ ή β ὔ ρ ο ς [*pro* ᾽᾽ Ι β η ρ ο ς] τοῦ και [*pro* καὶ] γεγωνότος καlθηγητοῦ τὴς [*pro* τῆς] Μεγάλης λάβρας [*pro* λαύρας] τοῦ ἁγίου Αθανασΐου [*pro* ᾽Αθανασίου] τοῦ Αγΐου [*pro* ᾽Αγίου] ὥρους [*pro* ὄρους].

Marc. gr. VII, 26	**Neap. VIII.B.10**	**Par. gr. 1771**
ამბავი სულისმარგებელი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან	ამბავი ვარლაამისა და იოასაფისა, ეთიოპიის შუაგულიდან	თქუმულნი სულისმარგებელნი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან
წმიდა ქალაქში		
ი ო ა ნ ე ს , საბაწმიდის მონასტრის ბერის ხელით	ი ო ა ნ ე ს , საბაწმიდის მონასტრის ნეტარი ბერის მიერ	რომაელთა მიწა-წყალზე
	იერუსალიმში	
მოტანილი, შემდეგ **იბერიელთა** [ენიდან] **ბერძნულ** ენაზე თარგმნილი | მოტანილი და **ბერძნულად** თარგმნილი | მოტანილნი და გადათარგმნილნი **ეთიოპიელთა** დიალექტიდან **ბერძნულ** ენაზე |
ე ქ ვ თ ი მ ე ს *გან*, ღვთისმოსავი და მორწმუნე კაცისაგან, | ე ქ ვ თ ი მ ე ს , წმინდა კაცის *მიერ*. | ე ქ ვ თ ი მ ე ს , უწმინდესი |
ი ბ ე რ ი ე ლ ა დ ნოდებულისაგან. | | ი ბ ე რ ი ე ლ ი ბერის *მიერ*, რომელიც წმიდა მთაზე, აგრეთვე, წმინდა ათანასეს დიდი ლავრის წინამძღვარიც გახდა. |

ორ ბერძნულ ტექსტს შორის უმნიშვნელო განსხვავება შეინიშნება. კერძოდ, Marc. gr. VII, 26 ნუსხასთან შედარებით, Par. gr. 1771-ში "ἐκ" წინდებულს "ἀπό" წინდებული ენაცვლება, "ἐνδοτέρας" გამოსვლითობის მიმართულებითი ადგილის ზმნიზედას – მისი ეკვივალენტი "ἐσωτέρας", ეთიოპიელთა აღმნიშვნელ ეთნონიმში დაშვებულია იოტაციზმი, "μεταφέρω" ზმნის ვნებითი გვარის აორისტის მიმღეობა წინ არის გადმოტანილი, "μεταφράζω" ზმნის ვნებითი გვარის აორისტის მიმღეობა შეცვლილია "μεταλαμβάνω" ზმნის ანალოგიური ფორმით.

შეინიშნება არსებითი, შინაარსობრივი სახის ხუთი განსხვავებაც. პირველი, Marc. gr. VII, 26 ხელნაწერში თხზულების ჟანრი განსაზღვრულია როგორც „ამბავი“, ხოლო Par. gr. 1771-ში – როგორც „თქუმულნი“, ანუ ქადაგებანი. მეორე, Marc. gr. VII, 26 ხელნაწერის მიხედვით იგი „წმიდა ქალაქში“ ჩამოაქვთ, ხოლო Par. gr. 1771 ნუსხით – „რომაელთა მიწა-წყალზე“. მესამე, Par. gr. 1771 ხელნაწერში მითითებული არ არის, თუ ვინ ჩამოიტანა იგი. მეოთხე, Marc. gr. VII, 26 ნუსხის მიხედვით, ორიგინალური ნაწარმოების ენა არის „იბერიელთა“, ხოლო Par. gr. 1771-ის მიხედვით – „ეთიოპიელთა“, რაც, ჩვენი აზრით, გადამწერის უნებლიე შეცდომის შედეგი უნდა იყოს.[13] მეხუთე, Marc. gr. VII, 26 ხელნაწერში ექვთიმე იბერიელი დახასიათებულია, როგორც „კაცი ღვთისმოსავი და მორწმუნე“, ხოლო Par. gr. 1771-ში – ამავე დროს, „წმინდა ათანასეს დიდი ლავრის წინამძღვარიც“ (როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ ფაქტს მრავალი წყარო ადასტურებს). რაც შეეხება ლათინურ ტექსტს, იგი ხუთივე პუნქტში მტკიცედ მისდევს ვენეციურ ხელნაწერს და Neap. VIII.B.10 კოდექსში ვკითხულობთ: 1. „ამბავი“, 2. „იერუსალიმში“, 3. „იოანეს [...] მიერ [...] მოტანილი“, 4. „ბერძნულად თარგმნილი ექვთიმეს [...] მიერ“, რითაც თავისთავად იგულისხმება, რომ ნაწარმოები ქართულიდან ითარგმნა, 5. „ექვთიმეს, წმინდა კაცის მიერ“.

Marc. gr. VII, 26 ნუსხაში თხზულების სათაური ძლიერ დაზიანებულია და რამდენიმე ადგილას აღსადგენია. ამიტომ, როგორც ე. მიონი (1911-1991) შენიშნავდა, ხის ყდის პირველი ფრთის ზურგსა და ხელნაწერის საცავ ფურცელ-სარჩულს შორის ჩამაგრებულ, 140 x 103 მმ ზომის ფურცელზე, სავარაუდოდ, XVII საუკუნისეული ხელწერით შესრულებული მინაწერი, ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს:

Barlaam et Joasaph et regis Aethyopum Abeniris Historia qui, ni me titulus graecus obscurus fallat, videtur translata ex lingua Aethyopica in Iberam a Joanne Monacho s. Sabae ac deinde ex Ibera in graecam ab Euthymio. liber inscriptus Iberus (მიონი 1960: 44).	ბარლაამის, იოასაფისა და ეთიოპიელთა მეფის, აბენერის ამბავი, რომელიც, თუ ბუნდოვანი ბერძნული სათაური არ მაცდუნებს, ეთიოპური ენიდან იბერიულზე საბაწმიდელ ბერს, იოანეს უთარგმნია, ხოლო შემდეგ იბერიული [ენიდან] ბერძნულზე – ექვთიმეს. წიგნის სათაურია: *იბერიული*.

პ. პეეტერსი (1870-1950) წერდა: „[...] უაღრესად მკაფიოდ ჩანს, რომ ნაწერის კვალი, რომელიც [ჯერ კიდევ] იკითხება, «ἱστορία» სიტყვისეული უნდა იყოს“ (პეეტერსი 1931: 282). ეს შენიშვნა გვიბიძგებს, სანდოდ მივიჩნიოთ გამოთქმის დიდი ბოლანდისტისეული აღდგენა: "[῾Ιστορία ψυχωφελή]ς", ანუ „[ამბავი სულისმარგებელ]ი“: უნდა ვიფიქროთ, რომ მის ეპოქაში სათაური ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, ნათლად განირჩეოდა. ეჭვი იკითხვისის აღდგენის მართებულობის შესახებ არ ეხება "ὑπέρ" წინდებულს, რომელიც, საბედნიეროდ, დღესდღეობით მკაფიოდ იკითხება.

Marc. gr. VII, 26 ხელნაწერის სათაური სხვადასხვა სახის რამდენიმე ენობრივი თავისებურებით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, გადამწერს გამოჰყავს უძველესი წიგნური ნუსხურისთვის დამახასიათებელი „ბეტა“, რომელიც, საზოგადოდ, „ჰიფსილონს“ მიაგავს (გარდტჰაუზენი 1913: 207, ტაბ. 9-11); (პერია 2011: 65). ფონოლოგიური და, შესაბამისად, მართლწერის თვალსაზრისით, მას ერთგან იოტაციზმი ეპარება და "ει" ნიშანთა კომბინაციის ნაცვლად "η" ასოს იყენებს. სინტაქსური თვალსაზრისით აქ ორი თავისებურება შეინიშნება. პირველი, წინადადების ქვემდებარე მსაზღვრელს – ვნებითი გვარის აორისტის მიმღეობას ჯერ მამრობით, ხოლო შემდეგ მდედრობით სქესში შეითავსებს. მეორე, გეზობითობის მიმართულებითი ადგილის გარემოება ორივე შემთხვევაში, ანუ "μεταφέρω" და "μεταφράζω" ზმნებთან, მართულია არა „εἰς + ბრალდ. ბრ.“, არამედ – „πρός + ბრალდ. ბრ.“ კონსტრუქციით, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც, როგორც ცნობილია, ასეთი აღრევა ბერძნულ კოინეს, ახალი აღთქმის ენიდან მოყოლებული, ახასიათებდა (ძერვიკი 1990: §§ 97-98); (ბლასი *და სხვები* 1961: § 207).[14] დაბოლოს, სადაურობის ზედსართავი სახელის "ἑλληνικός", ანუ „ელინურის“ ფუნქციით გამოყენებულია ტოპონიმი "῾Ελλάς", ანუ „ელადა“, მაგრამ ესეც გვიანდელი ბერძნულისთვის ნიშანდობლივი მოვლენაა.

Marc. gr. VII, 26 ხელნაწერის სათაურის ეს ენობრივი თავისებურებანი კიდევ უფრო ართულებენ „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ შესიტყვების ინტერპრეტაციას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გასარკვევად, თუ როგორ წარმოისახავდა სათაურის ავტორი ექვთიმეს როლს საკვლევი თხზულების თარგმნის პროცესში. კერძოდ, კონტექსტიდან ნათელია, რომ წინდებულმა წინადადებაში ქვემდებარისებრი უბრალო დამატება-აგენტი უნდა შემოიყვანოს. ძველ ბერძნულში ეს „ὑπό + ნათ. ბრ.“ (ან, გვიანდელ ბერძნულში – „ἀπό + ნათ. ბრ.“ (ბლასი *და სხვები* 1961: § 210)), ან „παρά + ნათ. ბრ.“ კონსტრუქციების მეშვეობით მიიღწეოდა. სინამდვილეში ტექსტში „უაღრესად მკაფიოდ“ (*assez distinctement*) იკითხება „ὑπέρ + ნათ. ბრ.“, რომელიც, თუ ზუსტად გავითვალისწინებთ მის მორფოლოგიურ მნიშვნელობას, შეიძლება, მეტაფორულად ნიშნავდეს „-თვის“ და, შესაბამისად: „სასარგებლოდ“, „მხრივ“, „სახელით“, „ნაცვლად“, „ადგილას“; ანდა, თუ ქვემდებარისებრ უბრალო დამატებას მიემართება, შეიძლება, ქართულად ითარგმნოს, როგორც „გამო“ (ამ შემთხვევაში მას, აგრეთვე, შეუძლია, წინადადებაში შემოიტანოს მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც გაიმართება კონსტრუქციით *accusativus cum infinitivo*, ანუ „აკუზატივი ინფინიტივთან“) (ლიდელი, სკოტი 1961: 1857-1858).

ენობრივი თვალსაზრისით კიდევ უფრო გაუმართავია Par. gr. 1771 ხელნაწერის სათაური. რაც შეეხება მართლწერას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორად ორ გამონაკლისს, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ გადამწერი არ იყენებს არც ერთ სპირტუსს, ხშირია იოტაციზმები, აქცენტები ზოგჯერ გამოტოვებულია ან აღრეულია მათი ხმარება. აშკარაა, გადამწერი არცთუ კარგად ერკვევა მართლწერაში, მეტიც, დიფთონგში სპირანტული „ჰიფსილონ“ ელემენტის გამოსახატად იყენებს ასო „ბეტას“, რომელიც იმ დროს უკვე [3]-დ წარმოითქმებოდა, და წერს: "λάβρας". კიდევ უფრო პრობლემურია სინტაქსი. კერძოდ, მრავლობით რიცხვში გამოხატულ მამრობითი სქესის სუბიექტს (Λόγοι) შეესაბამება ამავე რიცხვში გამოხატული მდედრობითი სქესის განსაზღვრებები: ზედსართავი სახელი (ψυχωφελῆς *pro* ψυχωφελεῖς) და ვნებითი გვარის აორისტის ორი მიმღეობა (μετενεχθεῖσαι და μεταβληθῆσαι *pro* μεταβληθεῖσαι). სამაგიეროდ, გეზობითობის მიმართულებითი ადგილის გარემოე-

ბა ორჯერვე თავის ადგილზეა: "μεταφέρω" ზმნასთან იგი გამართულია „εἰς + ბრალდ. ბრ.“ კონსტრუქციით, ხოლო "μεταβάλλω" ზმნასთან – „ἐπί + ბრალდ. ბრ.“ კონსტრუქციით. ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით, სადაურობის ზედსართავი სახელი სწორად იხმარება, თუმცა, "ἑλληνίδα" ფორმის ნაცვლად მოსალოდნელი იყო უფრო გავრცელებული ფორმის, "ἑλληνικήν" შემოტანა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზედსართავი სახელი "ἑλληνίς" სპეციფიკურ რეალობას გამოხატავს (ლიდელი, სკოტი 1961: 536). დაბოლოს, „παρά + ნათ. ბრ.“ კონსტრუქციის გამოყენება ეჭვს არ ტოვებს, რომ სათაურში ექვთიმე მთაწმიდელი *ვაჰდაამის და იოასაფის ჰომანის* ავტორად არის მიიჩნეული.

არც ლათინური ხელნაწერის სათაურის ავტორს ეთქმის ციცერონი. ამასთან დაკავშირებით პ. პეეტერსი, ცოტა არ იყოს, ირონიულად წერდა: „ვერაფერს იტყვი, კარგად კი იწყებს ეს ლათინისტი და მის თარგმანს იმთავითვე ატყობ, რომ შემდეგაც უზადოდ ვერ იქნება გამართული“ (პეეტერსი 1931: 279).

2. ინტერპრეტაციები

საკვლევი სათაურების თავისებურებათა ასახსნელად გამოთქმულ თვალსაზრისთა შორის შევჩერდებით ორ უმთავრესზე, რომლებიც სათაურების ენობრივ ნიშან-თვისებებსა და გენეალოგიურ ხეს შეეხება.

ა) სათაურთა ენობრივი თავისებურებანი

ზემოაღნიშნული ენობრივი ხარვეზების გამო ჰ. ზოტენბერგმა საკვლევი სათაური ქართველი გადამწერის შემოქმედების ნაყოფად მიიჩნია. მკვლევარის აზრით, ნაციონალისტური გრძნობებით შეპყრობილმა გადამწერმა ნაწარმოების ბერძნული ვერსია ექვთიმე მთაწმიდლის კალამს მიაწერა, რითაც სიყალბე ჩაიდინა, თანაც – ისე, რომ ფრაზა ბერძნულად სწორად ვერც კი გამართა (ზოტენბერგი 1886: 9).

ფ. დელგერმა, პირიქით, გამოთქმა "ὑπὲρ Εὐθυμίου" გაიაზრა სიტყვასიტყვით, ანუ – როგორც „ექვთიმესთვის“ და იგი მიიჩნია ისტორიულ მოწმობად, მეტიც, სამხილად მთელი პროცესისა, რომლის დროსაც, მკვლევარის წარმოსახვით, თხზულება ქართულიდან ბერძნულად კი არ ითარგმნა, არამედ, პირიქით, ბერძნულიდან – ქართულად. გერმანელი ბიზანტინისტის ვარაუდით, ექვთიმეს ყურამდე მიაღწია ცნობამ, რომ რომელიღაც მონასტერში, იქნებ, პალესტინაშიც, იოანე დამასკელის *ვაჰდაამისა და იოასაფის ჰომანის* ერთადერთი ნუსხა ინახებოდა, გაუჩნდა მისი ქართულად თარგმნის სურვილი და საამისოდ დაამზადებინა ამ ხელნაწერის ასლი, რომელიც მას ათონის მთაზე გაუგზავნეს. ამ ფაქტმა თავისი კვალი დატოვა ასლის გადამღების მიერ გაკეთებულ ჩანაწერში, რომელიც, დაახლოებით, ასე იკითხებოდა: "Ἱστορία ψυχωφελὴς ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας ... μετενεχθεῖσα διὰ Ἰωάννου μοναχοῦ μονῆς τοῦ ἁγίου Σάββα· μεταγραφεῖσα ὑπὲρ Εὐθυμίου ἀνδρὸς τιμίου καὶ εὐσεβοῦς τοῦ λεγομένου Ἴβηρος (πρὸς μετάφρασιν)", ანუ „ამბავი სულისმარგებელი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან ... ჩამოტანილი, იოანეს, საბაწმიდის მონასტრის ბერის მიერ, [და] გადაწერილი ექვთიმესთ*ვის*, ღვთისმოსავი და მორწმუნე კაცისთვის, იბერიელად წოდებულისთვის (სათარგმნელად)“. Marc. gr. VII, 26 ნუსხის გადამწერმა სიტყვა "μεταγραφεῖσα", ანუ „გადაწერილი“ შეცდომით გაიაზრა, როგორც "μεταφρασθεῖσ(α)", ანუ „თარგმნილი“, მაგრამ შეინარჩუნა ანტიგრაფისეული წინადადების მიზნის გარემოება "ὑπὲρ Εὐθυμίου", ანუ „ექვთიმესთვის“ (დელგერი 1953: 37-38). სინამდვილეში ექვთიმეს „რომანი“ აღარ უთარგმნია: მისი შეკვეთით სათარგმნელად დამზადებული ხელნაწერის ასლი მთელი სიცოცხლე საწერ მაგიდაზე დარჩა, ვიდრე მისი გარდაცვალებიდან ოციოდე წლის შემდეგ ქართველმა ბერმა, ლეონ[15] იოვანეს ძემ, გამართლება არ მოუძებნა „[...] საეკლესიო ლიტერატურის შედევრების ქონის თვალსაზრისით, იმ დრომდე, ბერძნებთან შედარებით, ქართველი ერის ჩამორჩენილობას [...]“ და არ შეთხზა ტექსტი, სადაც მან ნაწარ-

მოების ბერძნული ვერსია ათონის ქართველთა მონასტრის გარდაცვლილ წინამძღვარს, ექვთიმეს მიაწერა (დელგერი 1953: 23-24).[16]

ამ, თავიდან ბოლომდე ვარაუდების საფუძველზე აღდგენილი ისტორიული პროცესის შესახებ დ. მ. ლანგი (1924-1991) წერდა:

> უნდა წარმოვისახოთ, ეს პატრიოტი ბერი როგორ მალავს ფლასის ქვეშ სანუკვარ ხელნაწერს და ათონიდან პირდაპირ კონსტანტინოპოლში მიცუხცუხებს, სადაც მას ბედი აგრერიგად გაუღიმებს, რომ გადაეყრება გულუბრყვილო ლათინს, რომელსაც სხვა საფიქრალი არ აქვს, დროის მოსაკლავად რა საქმე გამოინახოს. ეს ვირეშმაკი ქართველი იმ მიამიტ უცხოელს ყურში თავის ამბავს ჩააწვეთებს და საბოლოოდ დაარწმუნებს, ექვთიმე იბერიელი იყო ის, ვინც „ვარლაამის რომანი“ პირველად ბერძნულად გადაიღოო. ამ გაცურებულ ლათინს ხელნაწერს ლათინურად სათარგმნელად რომ დაუტოვებს, თვალწინ დაგვიდგება ქართველი ბერი, რომელიც ათონზე ბრუნდება და [სიხარულისგან] ხელებს იფშვნეტს, რადგან საღვთისმოსაო თაღლითობამ, სწორედაც, გაუმართლა და იგი ქართველ ერს ესოდენ დიდად განუთქვამს სახელს.
> პროფ. დელგერის მიერ მახვილგონივრულად შეთხზული ეს ამბავი ბევრ საკითხს აუხსნელს ტოვებს. ათონის მთაზე წმინდა ექვთიმემ საიდან შეიტყო, რომ პალესტინაში ინახებოდა ერთადერთი ნუსხა დიდი დამასკელის იმ თხზულებისა, რომელიც, თითქმის, მთელი სამი საუკუნე სრულიად დაფარული დარჩა და ბიზანტინისტთა, ლამის, ათ თაობასაც ყურადღებიდან გამოეპარა? ასეთი სანუკვარი ნივთის მოპოვების შემდეგ ექვთიმემ რატომ მიივიწყა იგი სავსებით? კაცმა რომ თქვას, რა პატრიოტულ დიდებას მოელოდნენ ექვთიმეს მოწაფეები ისეთი ფუჭი და სახიფათო ქმედებიდან, მისი კალმისთვის მიეწერათ ნაწარმოები, რომელიც ერთხელაც არ ახსენებდა საქართველოს და ვერც იმის პრეტენზია ექნებოდა, რომ ქართული ლიტერატურის ორიგინალურ ნაწარმოებად ჩაითვლებოდა? მეტიც, თუ ლათინურად მთარგმნელს ინფორმაცია ათონელმა ქართველმა მიაწოდა, რატომ არაფერი თქვა ამაზე? განა, [მთარგმნელი] საგანგებოდ აღნიშვნის ღირსად არ მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ ეს იშვიათი ხელნაწერი მან უშუალოდ წმინდა ექვთიმეს ერთ-ერთი თანამემამულისა და თანამოძმისგან მიიღო?!
> ჩვენ ერთ საქებარ სიტყვას მაინც ველოდით ქართველთა მიმართ, რადგან მათ შთამომავლობას, სავარაუდოდ, დამასკელის დიადი ნაშრომი გადაურჩინეს. მაგრამ არა! პროფ. დელგერისთვის ათონელი ქართველები, როგორც წესი, დამნაშავენი არიან: ცრუნი და შეთქმულების მონაწილენი. წმინდა ექვთიმესა და მისი საძმოსთვის სახელის გატეხვის მიზნით იგი [ე. ი. პროფ. დელგერი – გ. შ.] [საგანგებოდ] ჩერდება (გვ. 22-3) „ივერთა მონასტრის ქართული პროპაგანდისტული მანქანის“ სავარაუდო მცდელობაზე, გამართლება მოუძებნოს „საეკლესიო ლიტერატურის შედევრების ქონის თვალსაზრისით, იმ დრომდე, ბერძნებთან შედარებით, ქართველი ერის ჩამორჩენილობას“. იგი გვაფრთხილებს (გვ. 25) გადამეტებული მნიშვნელობა არ მივანიჭოთ ექვთიმეს ბიოგრაფისეულ „სავარაუდოდ, ექვთიმეს მიერ შესრულებული ბერძნულ-ქართული თარგმანების ვრცელ კატალოგს“, განსაკუთრებით, იმ „წინააღმდეგობებისა და კაზუსების“ გამო (გვ. 28), რომლებიც სომეხმა მკვლევარმა, [ნ.] ადონცმა, თითქოსდა, ექვთიმეს „ცხოვრებაში“ აღმოაჩინა (ლანგი 1955: 312).

ჰ.-გ. ბეკმა (1910-1999), პირიქით, გაიზიარა ფ. დელგერის თვალსაზრისი. კერძოდ, "Ὑπὲρ Εὐθυμίου" გამოთქმა მან მიიჩნია მითითებად ექვთიმესა*თვის* და არა ექვთიმეს *მიერ* შესრულებულ თარგმანსა თუ ადაპტაციაზე (ბეკი 1971: 38),[17] რაც შეიძლება, იმას ნიშნავდეს, რომ ნაწარმოები ექვთიმესთვის ითარგმნა. მოგვიანებით, ბერძნულში გაუწაფავმა ქართველმა ბერმა, როგორც ჩანს, შეცდომით გაიაზრა საკვლევი გამოთქმა და იგი "Ὑπὸ Εὐθυμίου" შესიტყვებით შეცვალა, რითაც სათავე დაუდო ყალბ ტრადიციას, რომელიც „რომანის“ ავტორად ექვთიმეს აცხადებს (ბეკი 1971: 39).

ფ. დელგერის თვალთახედვის მცდარობა თვალნათლივ წარმოაჩინა მისი ჰიპოთეზის ე. ხინთიბიძისეულმა ღრმა ანალიზმა. ქართველ მეცნიერს მხედველობიდან არ გამოჰ-

პარვია, რომ გერმანელი ბიზანტინისტის მსჯელობა ექვს, თავიდან ბოლომდე წარმოსახულ, ფაქტებით გაუმყარებელ ვარაუდს ეყრდნობა. პირველი, ათონის მთაზე დღემდე არ აღმოჩენილა ბერძნული ხელნაწერი წარწერით: "μεταγραφεῖσα ὑπὲρ Εὐθυμίου", ანუ „გადაწერილი ექვთიმესთვის“ და – არც რაიმე ცნობა ფ. დელგერის მიერ წარმოსახული დაკვეთის შესახებ.[18] მეორე, თითქოსდა, ამ პირველი ჰიპოთეტური A ხელნაწერიდან[19] მეორე, აგრეთვე, ჰიპოთეტური B ხელნაწერი გადაწერეს, რომელშიც გამოთქმა "ὑπὲρ Εὐθυμίου", ანუ „ექვთიმესთვის“, შესაძლოა (*vielleicht*), შეცვალეს გამოთქმით "ὑπ᾽ Εὐθυμίου",[20] ანუ „ექვთიმეს მიერ“, მაგრამ დღემდე არ გამოვლენილა ფაქტი, რომელიც ამ ხელნაწერის, ან ამ იკითხვისის შემცველი ნუსხის არსებობას დაადასტურებდა (ხინთიბიძე 1989: 233); (ხინთიბიძე 1996: 229). მესამე, მეორე ჰიპოთეტური B ხელნაწერის ჰიპოთეტური Γ ასლი, რომელსაც ერთვოდა შენიშვნა "ὑπ᾽ Εὐθυμίου", ანუ „ექვთიმეს მიერ“, როგორც გერმანელი მეცნიერის მსჯელობიდან გამომდინარეობს, უპოვნიათ კონსტანტინოპოლში, სადაც ლათინ მთარგმნელს ნაწარმოები ექვთიმესთვის მიუწერია,[21] მაგრამ არც ამ ჰიპოთეზას უმაგრებს ზურგს რაიმე ისტორიული ფაქტი (ხინთიბიძე 1989: 233); (ხინთიბიძე 1996: 229). მეოთხე, მეორე ჰიპოთეტური Δ ასლი იგივე შენიშვნით "ὑπ᾽ Εὐθυμίου", ანუ „ექვთიმეს მიერ“ ივირონში აღმოუჩენიათ, რის საფუძველზეც გიორგი მთაწმიდელს (1009-1065 წწ.) შეუდგენია ცნობა ექვთიმეს მიერ ნაწარმოების ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ.[22] მეხუთე, პირველი ჰიპოთეტური A ხელნაწერიდან, ანუ იქიდან, სადაც შენიშვნა "ὑπὲρ Εὐθυμίου", ე. ი. „ექვთიმესთვის“ იკითხებოდა, წარმომდგარა Marc. gr. VII, 26 ნუსხა, სადაც ვიღაცას ჩაუმატებია ცნობა ნაწარმოების ქართულიდან ბერძნულად თარგმნის შესახებ, მაგრამ სათაურში შეცდომით ჩარჩენია "ὑπέρ" წინდებული.[23] მეექვსე, ამ სათაურის საფუძველზე და ერთი, ან შესაძლოა, ერთზე მეტი გადამწერის წყალობით, გაჩენილა Par. gr. 1771 ხელნაწერის სათაური, სადაც "ὑπέρ" წინდებული შეუვალად ჩაუნაცვლებიათ "παρά" წინდებულით, რითაც „რომანი“ ექვთიმესთვის ცალსახად მიუწერიათ.[24] ამ უკანასკნელ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით ე. ხინთიბიძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ თხზულების ტექსტის ისტორია გამორიცხავს ამ ორი სათაურის შემცველ ტექსტებს შორის კავშირს (ხინთიბიძე 1989: 234-235); (ხინთიბიძე 1996: 230-231), ხოლო ჩვენი მხრივ დავუმატებთ: ამაზე მეტყველებს ორ ბერძნულ ტექსტს შორის ზემოაღნიშნული ხუთი არსებითი შინაარსობრივი განსხვავებაც. ჯერ კიდევ ჰ. ზოტენბერგმა ივარაუდა, რომ Par. gr. 1771 ხელნაწერის გადამწერი შეეცადა, გამოთქმა "ἀπὸ τῆς Ἰβήρων πρὸς τὴν Ἑλάδα γλῶσσαν", ანუ „იბერიელთა [ენიდან] ბერძნულ ენაზე“ შეესწორებინა გამოთქმით "ἀπὸ τῆς τῶν αἰθιόπων διαλέκτου ἐπὶ τὴν ἑλληνίδα γλῶσσαν", ანუ „ეთიოპიელთა დიალექტიდან ბერძნულ ენაზე“, მაგრამ რამდენიმე სტრიქონის შემდეგ მკვლევარმა თავადვე აღიარა, რამდენად საეჭვო იყო ასეთი დაშვება. კერძოდ, იგი წერდა: „ამ ორ სათაურს შორის რომელსაც არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა [...]“ (ზოტენბერგი 1886: 10).

დაბოლოს, ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ Neap. VIII.B.10 და Par. gr. 1771 ხელნაწერთა მიხედვით, როგორც ლათინურ, ისე ბერძნულ სამყაროში, გამოთქმა "ὑπὲρ Εὐθυμίου" აღიქმებოდა, როგორც „ექვთიმეს მიერ“, „მისი ხელით“, ხოლო "μεταφράζω" შემასმენლის ქვემდებარისებრი უბრალო დამატების ფუნქციით გამოყენებული ეს შესიტყვება ექვთიმეს ცალსახად აცხადებდა თხზულების ავტორად (ხინთიბიძე 1989: 236-237); (ხინთიბიძე 1996: 232-233).

ქართველი მეცნიერი, აგრეთვე, ხაზს უსვამს ჰ.-გ. ბეკის ჰიპოთეზის უსაფუძვლობას (ხინთიბიძე 1989: 237-238); (ხინთიბიძე 1996: 233-234),[25] რადგანაც გერმანელი ბიზანტინისტი ყოველგვარი კეთილგონივრული ეჭვის გარეშე ბრალს სდებდა სამ სხვადასხვა პიროვნებას ბერძნული გამოთქმის "ὑπὲρ Εὐθυμίου" მცდარად გააზრებაში: 1) Par. gr. 1771 ხელნაწერის ბერძენ გადამწერს; 2) „რომანის“ ლათინ მთარგმნელს, რომელმაც 1048 წელს თხზულების ლათინურად გადაღებამდე ოცდაათი წელი კონსტანტინოპოლში იცხოვრა და 3) გიორგი მთაწმიდელს – მწერალს, სწავლულსა და სახელმწიფო მოღვაწეს, ბიზანტიური მწიგნობრობის უბადლო მცოდნეს და, სხვა თუ არაფერი, ქართულ ენაზე ახალი აღთქმის კანონიკური თარგმანის შემოქმედს.[26]

მაშ, როგორღა აიხსნება "ὑπὸ Εὐθυμίου" გამოთქმის ნაცვლად "ὑπὲρ Εὐθυμίου" შესიტ-

ყვების გამოყენება? მართლაც ასე აშკარაა, რომ "ὑπέρ" წინდებული ბერძნულ ენაში გაუწაფავი, გვიანდელი გადამწერის, ან უშუალოდ სათაურის ავტორის მიერ "ὑπό" წინდებულის შერყვნის შედეგია (ხინთიბიძე 1989: 239); (ხინთიბიძე 1996: 234)? ამასთან დაკავშირებით დ. ლანგი წერდა:

> ცხადია, არც ამ საკითხში უნდა გამოვიჩინოთ წვრილმანისადმი ზედმეტი თავდაჯერება. საკვლევი ბერძნული წინდებულები, შესაძლოა, ზოგიერთ ხელნაწერაში ისე ძლიერ ჰგავდეს ერთმანეთს, რომ მათ გადამწერი შეცდომაში შეიყვანონ. რაც არ უნდა იყოს, შეგვიძლია, სრულიად დარწმუნებული ვიყოთ, რომ მათ შორის განსხვავება ყოველთვის სწორად ესმოდათ შუა საუკუნეების მწიგნობრებს, რომელთაგან ზოგიერთს, შესაძლოა, ლათინური ენის გავლენა განეცადა, რამდენადაც ლათინური წინდებული "per" უდავოდ გამოხატავს ორივე [ე. ი., „-თვის“ და „მიერ“ თანდებულების – გ. შ.] მნიშვნელობას? (ლანგი 1955: 311).

თხზულების სათაურში ქვემდებარისებრი უბრალო დამატების გამოსახატავად „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ კონსტრუქციის მცდარად გამოყენება მეცნიერებმა იმით ახსნეს, რომ შესაძლოა, ასეთი შეცდომა ქართველ ავტორს მოსვლოდა. შესიტყვებაში "μεταφρασθεῖσα ὑπὲρ Εὐθυμίου", ანუ „თარგმნილი ექვთიმესთვის“ პირველმა ა. გენკომ ამოიკითხა ქართული თანდებული „მიერ“, რომელიც წინადადებაში გამოხატავს, როგორც გამოსვლითობის მიმართულებითი ადგილის გარემოებას, ისე – ქვემდებარისებრ უბრალო დამატებას. ამდენად, ბერძნულ ენაზე მას შეესაბამება როგორც "ὑπέρ" წინდებული, ისე – "ἀπό" (გენკო 1923: 125-129), რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვიანდელ ბერძნულში "ὑπό" წინდებულს ჩაენაცვლა, აგრეთვე, ქვემდებარისებრი უბრალო დამატების გამოსახატად. ე. ხინთიბიძემ გაიზიარა ეს თვალსაზრისი და მის გასამყარებლად მეორე საბუთიც წამოაყენა: გამოთქმა "πρὸς τὴν Ἑλάδα γλῶσσαν", ანუ „ელადას ენაზე“ ასახავს ქართველის დამოკიდებულებას, რადგან ამ ეპოქაში, მაგალითად, იოანე პეტრინის (XI-XII სს.) ნაწარმოებებში, ან იოანე შავთელის (XII ს.) „აბდულმესიაში“ საბერძნეთს, მართლაც, „ელადა“ ეწოდებოდა (ხინთიბიძე 1989: 239-240); (ხინთიბიძე 1996: 235-236).

სინამდვილეში, ეს თვალსაზრისი არარსებულ ფაქტს ეყრდნობა, რაც საფუძველს აცლის მასზე დამყარებულ მსჯელობას. როგორც ჩანს, დღემდე ვერც ერთმა მკვლევარმა შენიშნა, რომ „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ ბერძნულ კონსტრუქციაში შეუძლებელია „ნათ. ბრ. + მიერ“ ქართული შესიტყვების ამოკითხვა.

შეუძლებელია, რადგან „მიერ“ მეტყველების ნაწილი ძველ ქართულში არის: 1) ნათესაობითი ბრუნვის თანდებული; 2) ადგილის ზმნიზედა; 3) მოქმედებით ბრუნვაში დასმული ნაწევრით განსაზღვრული სახელის უკუდებული, თუმცა, ამ დროს ნაწევარი ქრება (შანიძე 1976: 143-144). მეორე და მესამე შემთხვევაში იგი გამოხატავს გამოსვლითობის მიმართულებითი ადგილის გარემოებას ათვლის *წერტილიდან*, ან რაიმე მონაკვეთის *გავლით*, როგორც სივრცესთან, ისე დროსთან მიმართებით. სახარება-ოთხთავის ქართული თარგმანის ათონური რედაქციის მონაცემები[27] სავსებით საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ მეორე შემთხვევაში იგი ყოველთვის, უგამონაკლისოდ გადმოსცემს ბერძნულ ზმნიზედას "ἐκεῖθεν";[28] ხოლო მესამეში – შესიტყვებებს: 1) „διά + ნათ. ბრ.“ („მეშვეობით“, „გავლით“, „განმავლობაში“ როგორც ადგილთან, ისე – დროსთან მიმართებით),[29] 2) „ἀπό + ნათ. ბრ.“ („დან“),[30] 3) „ἐκ + ნათ. ბრ.“ („-დან გარეთ“).[31]

ჩვენი მსჯელობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი შემთხვევა, სადაც როგორც ნათესაობითი ბრუნვის უკუდებული, გამოსვლითობის ძირითად მნიშვნელობაზე დაყრდნობით („-გან“ ადგილთან, დროსთან და მიზეზთან მიმართებით), „მიერ“ თანდებული ქვემდებარისებრ უბრალო დამატებას გამოხატავს. კერძოდ, ქართულ ოთხთავში იგი გადმოსცემს შემდეგ კონსტრუქციებს: 1) „διά + ნათ. ბრ.“ („მეშვეობით“),[32] „διά + ბრალდ. ბრ.“ („მიზეზით“, „სასარგებლოდ“);[33] 2) „ἐν + მიც. ბრ.“ (ქვემდებარისებრი უბრალო დამატება);[34] 3) „ὑπό + ნათ. ბრ.“ („მიერ“ ქვემდებარისებრი უბრალო დამატება),[35] „ἀπό + ნათ. ბრ.“ („მიერ“

ქვემდებარისებრი უბრალო დამატება);[36] 4) „παρά + მიც. ბრ.“ („-თან“, „ახლოს“, „გვერდით“, „ერთად“);[37] 5) „παρά + ნათ. ბრ.“ („მხრივ“, „-დან“ წარმომავლობითი ადგილის გარემოება);[38] 6) „παρά + ნათ. ბრ.“ („მხრივ“, „მიერ“ ქვემდებარისებრი უბრალო დამატება);[39] 7) „ἐκ + ნათ. ბრ.“ („-დან გარეთ“);[40] 8) მიმართების მიცემითი ბრუნვა (*dativus relationis*);[41] 9) ქვემდებარისებრი უბრალო დამატება კონსტრუქციაში „აკუზატივი ინფინიტივთან“.[42] ორჯერ იგი „εἰς + ბრალდ. ბრ.“ („-ში“, „-შინ“, „-კენ“) შესიტყვებასაც გადმოსცემს, მაგრამ საქმე განსაკუთრებულ შემთხვევებს ეხება.

პირველს ვხვდებით ლუკ. 12:21 მუხლში, სადაც, თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდის ბერძნულში "εἰς" წინდებულის გამოყენების თავისებურებას (ძერვიკი 1984: 171); (ძერვიკი 1990: § 99); (ბლასი და *სხვები* 1961: § 205), გამოთქმა "εἰς θεόν“ ნიშნავს: „ღმერთისადმი“, ან „ღმერთთან“. ექვთიმე მთაწმიდელს იგი გადააქვს, როგორც „ღმრთისა მიმართ“, ხოლო გიორგი ათონელს, როგორც – „ღმრთისა მიერ“ (იმნაიშვილი 1979: 490), როგორც ჩანს, იმის გამო, რომ თავისებურად გამოყენებულ წინდებულს იგი შინაარსის მიხედვით გაიაზრებს. აქედან გამომდინარე, ლუკ. 12:21 მუხლისეული შეგონება "οὕτως ὁ θησαυρίζων ἑαυτῷ καὶ μὴ εἰς θεὸν πλουτῶν" ექვთიმეს თარგმანში იკითხება, როგორც: „ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა *მიმართ* განმდიდრდებოდის“, ანუ „ის, ვინც სიმდიდრეს საკუთარი თავისთვის აგროვებს, უფლის წინაშე, ანუ უფალთან მიმართებაში, ანუ უფლის თვალში მდიდარი არ არის“. ამის ნაცვლად, გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თჳსისა და არა ღმრთისა *მიეჰ* განმდიდრდებოდის“. თუ გავიხსენებთ, რომ „მიერ“ თანდებული ძველ ქართულში არასოდეს გამოხატავს გეზობითობის მიმართულებითი ადგილის გარემოებას,[43] გიორგისეული თარგმანი ნიშნავს: „ის, ვინც სიმდიდრეს საკუთარი თავისთვის აგროვებს, უფალი მას მდიდარს არ ხდის“.

მეორე შემთხვევა დაფიქსირებულია ლუკ. 21:24 მუხლში, სადაც ვკითხულობთ: "καὶ πεσοῦνται στόματι μαχαίρης καὶ αἰχμαλωτισθήσονται εἰς τὰ ἔθνη πάντα". გამოთქმა "εἰς τὰ ἔθνη πάντα", რომელშიც "εἰς" წინდებული იმავე სპეციფიკური მნიშვნელობით არის ნახმარი და ამდენად ითარგმნება, როგორც: „ყოველ წარმართ ერში“, ექვთიმესა და გიორგის ერთნაირად გადმოაქვთ, როგორც: „ყოველთა მიერ წარმართთა“ და ლუკ. 21:24 მუხლის დასაწყისი ქართულად ასე ჟღერს: „და დაეცნენ პირითა მახჳლისაჲთა და წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა“ (იმნაიშვილი 1979: 525).

დაბოლოს, როგორც კლასიკურ ბერძნულ და ბიზანტიურ ნაწარმოებთა უძველეს ქართულ თარგმანებზე სიმონ ყაუხჩიშვილის (1895-1981) მიერ ათწლეულების განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგად გამოვლენილი მდიდარი მასალა მოწმობს, ბერძნული წინდებული "ὑπέρ" ერთხელაც არ გადმოდის ქართულად თანდებულით „მიერ“ (ყაუხჩიშვილი 2007ბ: 406) და, პირიქით, ქართული თანდებული „მიერ“ გადმოსცემს ბერძნულ წინდებულებს "ὑπό", "ἐκ / ἐξ", "ἀπό", "διά", "ἐν", "ἐπί", "παρά", აგრეთვე, ადგილის ზმნიზედებს "ἔξω" და "ἐκεῖθεν", მაგრამ – არასდროს "ὑπέρ" თანდებულს (ყაუხჩიშვილი 2007ა: 349-351).

ქართულ კონსტრუქციას და, მაშასადამე, ქართველ გადამწერს ვერც "πρὸς τὴν Ἑλάδα γλῶσσαν" გამოთქმის მიღმა ამოვიცნობთ. მართალია, ქართულად საბერძნეთს „ელადას“ უწოდებდნენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ თავად ბერძნულიც ამ მიზნით ამავე ტოპონიმს იყენებდა. სადაურობის ზედსართავი სახელის ნაცვლად გეოგრაფიული სახელის მომარჯვება ქართულის თავისებურებით ვერ აიხსნება: ქართველი არ იტყოდა „ჰელასი ენა“, არამედ გამოიყენებდა ზედსართავი სახელის „ელინ-ურ-ი“ ძირს – „ელინ-“ და დაწერდა, თუ მას ბერძნულის მართლწერასა და გრამატიკაში მაინცდამაინც გაუწაფავად მივიჩნევთ: "πρὸς τὴν ἑλιν / ἑλινι / ἑλινιν γλῶσσαν". როგორც უკვე აღვნიშნეთ, "γλῶσσα", ან "φωνή" არსებით სახელებთან "Ἑλλάς" ტოპონიმის ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოყენება დამახასიათებელია გვიანდელი ან სალაპარაკო ბერძნულისთვის, როგორც ამას მოწმობენ დემეტრეს დემეტრაკო (1875-1966) (დემეტრაკო 1937: 2443) და გვიანდელი ბერძნუ-

ლი ხელნაწერები, მაგ., ვატიკანში, ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკაში Barb. gr. 398 (B) შიფრით დაცული XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული კოდექსი (ფირიგოსი 2011: 145). ტოპონიმის მართლწერაში შეცდომაც – ორის ნაცვლად ერთი „ლამბდა“ – შეიძლებოდა, მართლწერაში გაუწაფავ ბერძენს დაეშვა, რადგანაც, როგორც ცნობილია, გაორმაგებულ ფონემას არც ბერძნულში ჰქონდა ფონოლოგიური, დისტინქტიური ფუნქცია.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ „ὑπό + ნათ. ბრ.“ კონსტრუქციის „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ გამოთქმით ჩანაცვლება ქართული ენის საფუძველზე ვერ აიხსნება. თუ მაინცდამაინც უცხოენოვან გავლენაზე უნდა ვისაუბროთ, ათონის მთის კონტექსტში იგი მხოლოდ ლათინურ "per" წინდებულში, შეიძლება, ვეძიოთ.

"ὑπέρ" წინდებულის გამოყენების ასახსნელად ე. ხინთიბიძემ კიდევ ერთი ახალი მოსაზრება გამოთქვა. იმის გამო, რომ საკვლევ ფრაზაში იგი მიემართება არა ზმნის "ἑρμηνεύω" ვნებითი გვარის აორისტის მიმღეობას, როგორც ამას შეცდომით მიუთითებდა ჰ. ზოტენბერგი (ზოტენბერგი 1886: 7), არამედ ზმნის "μεταφράζω" ანალოგიურ ფორმას, მეცნიერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ, ბერძნულში "μεταφράζω" ზმნის ნიუანსისა და, აგრეთვე, თავად ექვთიმეს მთარგმნელობითი მეთოდის გათვალისწინებით,[44] სათაურის ავტორი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული ტექსტი ბერძნულად *მეტაფჰაზჰიებული, გაჰდათქმული, გადაკეთებულია* "ὑπέρ", ე. ი. „წყალობით“, „სახელით“ ექვთიმესი, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი ნაწარმოები კი არ შეიქმნა, არამედ არსებული ნაწარმოები დამშვენდა, გადაკეთდა, თანაც, არა რომელიმე ავტორის *მიეჰ*, არამედ – ვინმეს *დახმაჰებით*, *მხჰივ* (ხინთიბიძე 1989: 241-242); (ხინთიბიძე 1996: 236-237).[45]

ბერძნული ენის მონაცემები უდავოდ მხარს უჭერს ასეთ თვალსაზრისს: "ἑρμηνεύω" ზმნისა და მისგან ნაწარმოები სხვა მეტყველების ნაწილების პირველადი მნიშვნელობა არის „ახსნა“, „ინტერპრეტაცია“ (ეტიენი *და სხვები* 1835: 2039-2041); (ლიდელი, სკოტი 1961: 690); (მონტანარი 1995: 802); (ლამპი 1961: 549); (დემეტრაკო 1938: 2961); (კრიარასი 1973: 202-204), ხოლო ზმნა "μεταφράζω", უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს „პარაფრაზს“, „გარდათქმას“ და მხოლოდ მოგვიანებით – თითქმის, მარტოოდენ „თარგმნას“ (ეტიენი *და სხვები* 1842-1846: 905-906); (ლიდელი, სკოტი 1961: 1118); (მონტანარი 1995: 1273); (ლამპი 1961: 863); (დემეტრაკო 1939: 4636); (კრიარასი 1988: 113-114). ზმნა "ἑρμηνεύω" იშვიათად გამოიყენება რომელიმე ენაზე გადატანის, გადაღების მნიშვნელობით (ეტიენი *და სხვები* 1835: 2040; მონტანარი 1995: 802), მაგრამ ამ დროსაც ამომავალია ზმნის სემანტიკური ბირთვი: „განმარტება“. კერძოდ, ქსენოფონტეს (ძვ. წ. IV ს.) „ანაბაზისში“ (5:4:4) თიმესტეოსი მოსინიკებს ქსენოფონტეს სიტყვებს თარგმანით უხსნის, ხოლო დიონისე ჰალიკარნასელის (ძვ. წ. დაახლ. 60 – ახ. წ. 7 წწ.) „თუკიდიდეში“ (49) ნათქვამია, რომ მათი ნათქვამის გასაგებად, ვინც აზრს ბუნდოვნად გამოთქვამს, კაცს თარჯიმანი ისე სჭირდება, თითქოს, ისინი უცხო ენაზე მეტყველებდნენ.

ამდენად, ქართველი მეცნიერის ჰიპოთეზა უდავოდ საინტერესოა, მაგრამ ძნელია მისი გაზიარება. როგორი სპეციფიკური მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ზმნას "μεταφράζω", შეუძლებელია, „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ კონსტრუქციით გამოხატული მასთან დაკავშირებული ქვემდებარისებრი უბრალო დამატება ნიშნავდეს „ვინმეს *დახმაჰებით*“, ან „ვინმეს *მხჰივ*“.

ბ) სათაურთა გენეალოგიური ხე

ჰ. დევო (1913-1995), ა. გრეგუარი (1913-1995) და ს. ყაუხჩიშვილი თვლიდნენ, რომ „რომანის“ სათაურის უძველესი რედაქცია Marc. gr. VII, 26 ხელნაწერმა შემოინახა და სწორედ აქედან წარმოდგა Par. gr. 1771 ნუსხაში დაფიქსირებული ვარიანტი, ხოლო იმ ხელნაწერებიდან, სადაც ექვთიმე არ იხსენიება, ქართველებისადმი მტრულად განწყობილმა ბერძნებმა ექვთიმეს ხსენება ამოშალეს, რათა წარეცხოთ მისი ღვაწლის კვალი ბალავარისა და იოდასაფის ლეგენდის ბერძნულად თარგმნის საქმეში (დევო 1957: 90-94); (გრეგუარი

1963: 423-424); (ყაუხჩიშვილი 1963: 229).[46] ამდენად, „უპირველეს ყოვლისა, ბერძენთა ცხოველი პატივმოყვარეობის გამო“, თავდაპირველ სრულ სათაურს ჩამოაცილეს მეორე ნაწილი ფრაზის "ἁγίου Σάββα", ანუ „საბაწმიდის“ შემდეგ (დეკო 1957: 92).

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ფ. დელგერი მიიჩნევდა, რომ ტრადიცია, რომელიც საბაწმიდელ ბერ იოანეში იოანე დამასკელს მოიაზრებდა, უფრო ძველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე – თავად საკვლევი ცნობის შემცველი ხელნაწერები. იმის გამო, რომ ეს ტრადიცია ოთხმოცზე მეტ ხელნაწერში იყო გავრცელებული, მეცნიერმა მას „ვულგატა“ უწოდა და განაცხადა:

> ძნელია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ის ხელნაწერი, რომელიც არქეტიპად დაედო მთელ დასავლეთ ევროპაში მიმოფანტულ უთვალავ ლათინურ ხელნაწერს, იმ ერთადერთი ბერძნული დედნიდან წარმოდგა, რომელშიც ექვთიმეს სახელი შემთხვევით მცდარად შეცვალეს იოანეს დამასკელის სახელით. რატომ უნდა განეხორციელებინა მთარგმნელს ასეთი ცვლილება? XII ს.-შივე ლათინური თარგმანების ეს უცილებელი თანხვედრა უმეტესწილად იმას ცხადყოფს, რომ იოანე დამასკელისადმი „რომანის“ მიკუთვნების ტრადიცია ბერძნულ სინამდვილეშიც, აგრეთვე, სულ გვიან, უკვე XII ს.-ში, ანუ ექვთიმეს [გარდაცვალებიდან] არა უგვიანეს 100 წ.-ის შემდეგ ჩამოყალიბდა და რომ ერთი უბრალო შემთხვევის წყალობით ვხვდებით მას ბერძნულ ხელნაწერებში მხოლოდ XIII ს.-ში: ძნელი საფიქრებელია, ეს [ცვლილება] პირველად დასავლეთში მომხდარიყო და შემდეგ იქიდან ისევ აღმოსავლეთში გადასულიყო (დელგერი 1953: 17).[47]

მოგვიანებით, ბ. ლ. ფონკიჩმა ირიბად უარყო თვით იმ ნუსხის არსებობაც კი, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელს „რომანის“ ავტორად მოიხსენიებდა და სათაური Marc. gr. VII, 26 ხელნაწერში XV საუკუნისეულ ჩანამატად გამოაცხადა (ფონკიჩი 1977: 210-215; ფონკიჩი 1979: 159-160). ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, თუ რამდენად მცდარი იყო რუსი პალეოგრაფის მსჯელობა (შურღაია 2019: 575-577).

1976 წელს ე. ხინთიბიძემ ახალი მოსაზრება გამოთქვა (ხინთიბიძე 1976: 33-48). კერძოდ, ივარაუდა, რომ თავდაპირველად სათაური შეიცავდა მითითებას ნაწარმოების ჩამომტანზე, მაგრამ არა – მის ავტორზე. აქედან გამომდინარე, სათაურის უძველეს რედაქციად მკვლევარი მიიჩნევს იმ ვარიანტს, რომელშიც მხოლოდ იოანე საბაწმიდელი მოიხსენიება, ხოლო ექვთიმეს სახელი მასში გვიანდელი ჩანამატი უნდა იყოს.

იგი ამას, ძირითადად, ორი მონაცემის საფუძველზე ასაბუთებს. უპირველეს ყოვლისა, სათაური ამ რედაქციით უკვე XI საუკუნის ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება (მეცნიერი მათ არ ჩამოთვლის, მაგრამ კონკრეტული მონაცემებისთვის იხ. სქემა 1) და ძნელი იქნება მტკიცება იმისა, რომ უკვე აგრერიგად ადრეულ ეტაპზე გახდა შესაძლებელი ექვთიმეს სახელის ამოღება, მით უმეტეს, რომ ისინი ივერთა მონასტრიდან მომდინარეობენ და შესაძლებელია, ერთ დროს მის საკუთრებას წარმოადგენდნენ კიდეც. და მეორე, თხზულების წარმოშობის შესახებ სათაურში გადმოცემულ მონაცემებს ეხმაურება პროლოგი, სადაც მითითებული არ არის, თუ რომელი ენიდან და ვინ თარგმნა ნაწარმოები, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს მონაცემები თავდაპირველად არც სათაურში უნდა ყოფილიყო მოტანილი. აქედან გამომდინარეობს, რომ სათაურის მეორე ნახევარი ათონელ ქართველ ბერებს უნდა შეედგინათ XI საუკუნის პირველ ნახევარში, ყოველ შემთხვევაში, 1048 წლამდე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ეს ცნობა უკვე დადასტურებულია თხზულების ლათინურ თარგმანში, რომელსაც შეიცავს Neap. VIII.B.10 ხელნაწერი; ექვთიმესა და ივერთა მონასტრის ქართველი დამაარსებლების წინააღმდეგ ბერძნების მიერ გაჩაღებულ ბრძოლაში ქართველი ბერები ასე შეეცადნენ ექვთიმეს ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვას (ხინთიბიძე 1989: 217-218, 290); (ხინთიბიძე 1996: 212, 285).[48] მათ მხარში ედგნენ ლათინი მამები, რომლებიც თავდაპირველად ივირონის სტუმრები იყვნენ, მაგრამ შემდგომში ქართველი ბერების დახმარებით ათონის მთაზე საკუთარი მონასტერი დააარსეს (ლეფორი *და სხვები* 1985: 36). შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ლათინმა მთარგმნელმა შემოუნახა ისტორიას ცნობა „რომანის“ ექვთიმესეული ავტორობის შესახებ.

ამ უაღრესად ყურადსაღებო ჰიპოთეზაში ზოგიერთი საკითხი მაინც დასაზუსტებელი გვეჩვენება. უპირველეს ყოვლისა, XI საუკუნის ზემოაღნიშნული კოდექსები ტექსტის გენეალოგიური ხის ერთსა და იმავე შტოს ეკუთვნის და, შესაბამისად, საფიქრებელია, ერთი

და იმავე სუბარქეტიპიდან მომდინარეობდეს, რომლის სათაურს ბოლო ნაწილი ექვთიმეს გარდაცვალების შემდეგ მოჰკვეცეს და თანაც – ივერთა მონასტერშივე, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ბერძნებსა და ქართველებს შორის დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად იქცა.

მეორეც, ნაწარმოების მხოლოდ ბერძნული ვერსიით რომ შემოვიფარგლოთ, პროლოგში სიტყვასიტყვით ნათქვამია:

Τούτῳ οὖν κἀγὼ στοιχῶν τῷ κανόνι (Gal 6:16), ἄλλως δὲ καὶ τὸν ἐπηρτημένον τῷ δούλῳ κίνδυνον ὑφορώμενος, ὃς λαβὼν παρὰ τοῦ δεσπότου τὸ τάλαντον εἰς γῆν ἐκεῖνο κατώρυξε (Mt 25:24-25) καὶ τὸ δοθὲν εἰς ἐργασίαν ἔκρυψεν ἀπραγμάτευτον, ἐξήγησιν ψυχωφελῆ ἕως ἐμοῦ καταντήσασαν οὐδαμῶς σιωπήσομαι, ἥνπερ μοι ἀφηγήσαντό τινες ἄνδρες εὐλαβεῖς τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας, ὅστινας Ἰνδοὺς οἶδεν ὁ λόγος καλεῖν, ἐξ ὑπομνημάτων ταύτην ἀψευδῶν μεταφράσαντες (ფოლკი 2006: 7).

და უკუე მეც წესსა ამასა ზედა გებით (გალ. 6:16) – უფროდსცა, ვეკრძალვი რა სავნებელსა, რომელი-იგი ექადის მონას, მოვინმე-იღო უფლისაგან ქანქარი ერთი, დაჰფლა ქუეყანასა (მათ. 25:24-25) და უნდოდ დამარხა, რომელ-იგი მას სარეწავად [მიეცა] –, არასადა დავიდუმებ ენას ჩემამდის მოწეული სულისმარგებელი მითხრობისა, სწორედ იმისა, რომელ-იგი ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულით [მოწეულთა] ღვთივმორწმუნე მამათ მიამბეს, [ღათუ] ამბავმან [ჩუენმან] ინდოდ იცის ხსენებად მათი. მათ უტყუველად მოგვითხრეს ესრეთ, ვითარ-იგი მოგონებათა წიგნთა შინა აღმოიკითხეს.

როგორც ვხედავთ, პროლოგში საუბარია შუაგული ეთიოპიიდან მოსული ღვთისმოსავი მამების მიერ ავტორისთვის ნაამბობსა და მის სანდოობაზე, რადგანაც იგი უამბეს ისე, როგორც იგი სამახსოვრო ჩანაწერებში, მემუარებში ("ὑπομνήματα") ამოიკითხეს. მაშასადამე, პროლოგში ნახსენები არ არის იოანე საბაწმიდელი, რომელმაც თხზულება აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია პროცესსა (ერთი ადგილიდან და ენიდან მეორეზე გადატანაზე, ე. ი. ნაწარმოების ჩამოტანასა და გარდათქმაზე) და პიროვნებებზე (ღვთისმოსავ კაცებსა და პირველ პირში მოსაუბრე ავტორზე), რომელთა სახელები არ მოიხსენიება. პროლოგსა და სათაურს შორის ფაქტობრივი წინააღმდეგობაც შეინიშნება: პროლოგისეული ღვთისმოსავი კაცები სათაურში იოანე საბაწმიდლად წარმოგვიდგებიან. ეს გარემოება საფუძველს აცლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სათაური და პროლოგი ერთგვარ ფაქტებს გადმოგვცემს. გარდა ამისა, პირველი სქემიდან ირკვევა, რომ უკლებლივ ყველა ხელნაწერი, სადაც საუბარია ღვთისმოსავ მამებზე, „რომანის“ ავტორად იოანე დამასკელს ასახელებს.

პროლოგში გადმოცემულ ინფორმაციას იმეორებს „რომანის“ ეპილოგი, სადაც ვკითხულობთ:

Ἕως ὧδε τὸ πέρας τοῦ παρόντος λόγου, ὃν κατὰ δύναμιν ἐμὴν γεγράφηκα, καθὼς ἀκήκοα παρὰ τῶν ἀψευδῶς παραδεδωκότων μοι τιμίων ἀνδρῶν. Γέγοιντο δὲ ἡμᾶς, τούς τε ἀναγινώσκοντας καὶ ἀκούοντας τὴν ψυχωφελῆ διήγησιν ταύτην, τῆς μερίδος ἀξιωθῆναι τῶν εὐαρεστησάντων τῷ Κυρίῳ εὐχαῖς καὶ πρεσβείαις Βαρλαάμ τε καὶ Ἰωάσαφ τῶν μακαρίων, περὶ ὧν ἡ διήγησις, ἐν Χριστῷ Ἰησοῦ τῷ Κυρίῳ ἡμῶν, ᾧ πρέπει τιμή, κράτος, κεγαλωσύνη (Gd 25) τε καὶ μεγαλοπρέπεια (2 Pt 1:17), σὺν τῷ Πατρὶ καὶ τῷ ἁγίῳ Πνεύματι, νῦν καὶ ἀεὶ καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰώνων. Ἀμήν (ფოლკი 2006: 405).

აქა დასასრულ ამის ამბისა, რომელ-იგი ძალისაებრ ჩემისა აღვწერე, ვითარცა ნეტართა მამათაგან მესმა, რომელთ უტყუველ გარდამომცეს იგი. უტე სულისა მარგებელი მითხრობის ამისა მკითხველთა და მსმენელთ მოგვეცეს, ღირს-ვიყვნეთ, უფლისა სათნო-ყოფილთა შორის ვეგნეთ, ნეტარი ვარლაამისა და იოასაფის ლოცვითა და მეოხებითა, რომელთათჳს მოგვითხრობს [წიგნი ესე] უფლისა ჩუენისა, იესო ქრისტესა მიერ, რომლისა არს პატივი, სიმტკიცე, სიმდიდრე (იუდ. 25) და დიდად შეუენიერებაჲ (2 პეტ. 1:17), მამისა და სულისა წმიდისა თანა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ!

როგორც ვხედავთ, ეპილოგში საუბარია ღვთისმოსავ მამებზე, რომლებმაც ავტორს დამტკიცებულად გადმოსცეს ამბავი, რომელიც მან ასევე ჩაიწერა. ისევ საუბარია პროცესსა და პიროვნებებზე, რომელთა სახელები არ მოიხსენიება. სახელებს ისევ და ისევ სათაურში ვხვდებით.

ამ მონაცემების ფონზე სათაური გვესახება პროლოგის ერთგვარ შეჯამებად, შემაჯამებელ რეზიუმე-დაკონკრეტებად,[49] ერთგვარ მეორე პროლოგად, რომელიც პირველიდან მომდინარეობს, ანუ იმ ტექსტიდან, რომელიც „რომანის“ თანამედროვე გამოცემებში წარმოდგენილია, როგორც პროლოგი. საუკუნიდან საუკუნეში ნაწარმოების ტექსტის გადაცემის პროცესში, სათაურში, ანუ მეორე პროლოგში სახელები დაერქვათ იმ პერსონაჟებს, რომელთაც პირველი პროლოგი სახელის მოუხსენიებლად მოიხმობდა. ტექსტოლოგია იცნობს პროლოგთა ასეთ, შრეებად დალექვის ფაქტებს: პირველი გადამწერი ტექსტს ამატებს პროლოგს, რომელსაც მეორე გადამწერი მეორე პროლოგს უმატებს და პირველი პროლოგი ტექსტის ნაწილი ხდება, მესამე გადამწერი მეორეს ამატებს კიდევ ერთ პროლოგს და ახლა მეორე პროლოგიც ტექსტის ნაწილი ხდება და ა. შ. დროში ყოველი უკანასკნელი პროლოგი პროლოგთა ნივთიერ თანმიმდევრობაში პირველ ადგილას მოექცევა და სათაურის როლს ასრულებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ, ფსევდო-არისტოტელეს თხზულების, „საიდუმლოებათა საიდუმლო“ (*Secretum secretorum*) ლათინურ თარგმანს, რომლის დასაწყისში მოთავსებულია: 1) ტექსტის ლათინური თარგმანისთვის მთარგმნელის, ფილიპეს (fl. 1230 წ.) მიერ დართული შესავალი; 2) ანონიმი მწერლისეული პროლოგი-მიძღვნა ხალიფასადმი; 3) ნაწარმოების არაბულად მთარგმნელის, იაჰია (იუჰანა) იბნ ალ-ბიტრიკის პროლოგი;[50] 4) ვითომდა, თავად არისტოტელეს შესავალი.[51] ანალოგიურად, ბავორ როდოვსკის მიერ (დაახლ. 1526-1591) 1574 წელს შესრულებული ამ თხზულების ძველი ჩეხური თარგმანის დასაწყისში მოთავსებულია: 1) ბავორის წინასიტყვაობა; 2) იოჰანეს პატრიციუსის პირველი პროლოგი; 3) იოჰანეს პატრიციუსის მეორე პროლოგი, რომელიც შეესაბამება იაჰია იბნ ალ-ბიტრიკის პროლოგს (ლომაჯისტრო 2012: 194-197). ცხადია, პროლოგთა თანმიმდევრობის დიაქრონიული რიგი შებრუნებულია.

ჩვენი აზრით, „რომანის“ არაერთი ხელნაწერი აფიქსირებს ანალოგიურ პროცესს, თუმცა, მისი შედეგი ნაკლებად მკაფიო სტრუქტურად არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, 1560 წ.-ის თარიღიან Est. a.T.8 ხელნაწერში დეკორატიული ფრიზის ქვეშ გადამწერი ანდრეა დარმარიოსი სამ სტრიქონად წერს:

Ἰωάννου τοῦ Σιναΐτου Ἱστορία ποίημα αὐτοῦ Βίβλος Βαρλαὰμ καὶ Ἰωάσαφ Πίναξ σὺν θέῳ τῆς παρούσης βίβλου (ფოლკი 2009: 359).	იოანე სინელის ისტორია - მისი თხზულება წიგნი ვარლაამისა და იოასაფისი ზანდუკი წინამდებარე ღვთისმიერი წიგნისა.

მას მოსდევს თხზულების სათაური: "Ἱστορία ψυχωφελὴς ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας, τῆς Ἰνδῶν λεγομένης, πρὸς τὴν ἁγίαν πόλιν μετενεχθεῖσαν διὰ Ἰωάννου μοναχοῦ, ἀνδρὸς τιμίου καὶ ἐναρέτου μονῆς τοῦ ἁγίου Συναΐτου (*sic!*)" (ფოლკი 2009: 359), ანუ „ამბავი სულისმარგებელი, ინდოეთის სახელით ცნობილი ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან წმიდა ქალაქში იოანეს, წმიდა სინის (*sic!*) მონასტრის ბერის, ღვთისმოსავი და უსათნოესი მამის ხელით მოტანილი“.

სხვა, Madr. Bibl. Nac. 4792 ხელნაწერის პირველ ფურცელზე ფრიზის თავზე ვკითხულობთ: "Βίβλος Βαρλαὰμ καὶ Ἰωάσαφ", ანუ „წიგნი ვარლაამისა და იოასაფისი“, ხოლო ქვემოთ მოცემულია ცნობა ნაწარმოების ავტორის შესახებ: "Ἰωάννου τοῦ Σιναΐτου καὶ μοναχοῦ", ანუ „იოანე სინელისა და ბერისა“, რასაც მოსდევს სათაური: "Ἱστορία ψυχωφελὴς ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας, τῆς Ἰνδῶν καλουμένης, πρὸς τὴν ἁγίαν πόλιν μετενεχθεῖσα διὰ Ἰωάννου

μοναχοῦ, ἀνδρὸς τιμίου καὶ ἐναρέτου, μονῆς τοῦ ἁγίου Συναΐτου (*sic*!)" (ფოლკი 2009: 348-349), ანუ „ამბავი სულისმარგებელი, ინდოეთის სახელით ცნობილი ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან წმიდა ქალაქში იოანეს, წმიდა სინის (*sic*!) მონასტრის ბერის, ღვთისმოსავი და უსათნოესი მამის ხელით მოტანილი".

XVI საუკუნით დათარიღებული Salam. Bibl. Univers. 2719 ხელნაწერი კიდევ უფრო რთულ სურათს წარმოაჩენს. ნაწარმოები იწყება 54v ფურცელზე ორნამენტული ფრიზის გარეშე წარწერით: "Ἰωάννου τοῦ Σιναΐτου Ἱστορία ποίημα τοῦ αὐτοῦ. Βίβλος Βαρλαὰμ καὶ Ἰωάσαφ", ანუ „იოანე სინელის ისტორია – მისი თხზულება. წიგნი ვარლაამისა და იოასაფისი". მას მოსდევს სარჩევი "Πίναξ σὺν θέῳ τὸ πρῶτον βιβλίον", ანუ „ზანდუკი ღვთისმიერი პირველი წიგნი" და სათაური: "Ἱστορία ψυχῆς (*sic*!) ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας, τῆς Ἰνδῶν λεγομένης, πρὸς τὴν ἁγίαν πόλιν μετενεχθεῖσα διὰ Ἰωάννου, ἀνδρὸς τιμίου καὶ ἐναρέτου μονῆς τοῦ ἁγίου" (ფოლკი 2009: 433), ანუ „ამბავი სულისა (*sic*!), ინდოეთის სახელით ცნობილი ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან წმიდა ქალაქში იოანეს, წმიდა მონასტრის ღვთისმოსავი და უსათნოესი მამის ხელით მოტანილი", რომელშიც ყურადღებას იქცევს ის, რომ იოანე არ იხსენიება ბერად, ხოლო მონასტერი – სინისად. 55v ფურცელზე ფრიზის ზემოთ ისევ ჩნდება წარწერა: "Ἰωάννου τοῦ Συναΐτου (*sic*!) καὶ μοναχοῦ", ანუ „იოანესი – სინელისა და ბერისა", რომელსაც ამჯერად სრული სათაური მოსდევს: "Ἱστορία (*sic*!) ψυχωφελὴς ἐκ τῆς ἐνδοτέρας τῶν Αἰθιόπων χώρας, τῆς Ἰνδῶν λεγομένης, πρὸς τὴν ἁγίαν πόλιν μετενεχθεῖσα διὰ Ἰωάννου μοναχοῦ μονῆς τοῦ ἁγίου Συναΐτου (*sic*!)" (ფოლკი 2009: 433-434), ანუ „ამბავი სულისმარგებელი, ინდოეთის სახელით ცნობილი ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან წმიდა ქალაქში იოანეს, წმიდა სინის (*sic*!) მონასტრის ბერის ხელით მოტანილი".

ყოველივე ეს იმის ნათელსაყოფად მოგვაქვს, რომ ეპოქიდან ეპოქამდე ტექსტის გადაცემის დროს შესაძლებელია, ერთმანეთს დაემატოს სათაურები და/ან პროლოგები, თანაც – ისე, რომ ყოველმა ახალმა ზუსტად არ გაიმეოროს წინა ელემენტის შინაარსი.

3. სათაურის ახლებური გაგებისათვის

ხელნაწერების მონაცემთა და მათ შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მოკლე მიმოხილვის შემდეგ, შევეცდებით, საკითხის შესახებ ჩვენეული თვალსაზრისი ჩამოვაყალიბოთ.

ვფიქრობთ, თხზულების თავდაპირველ სათაურში იმთავითვე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი როგორც ნაწარმოების აღმოსავლეთიდან ჩამომტანის, ისე „რომანის" ავტორის სახელები, რითაც ერთგვარად შეჯამებული იყო მის პროლოგსა და ეპილოგში გადმოცემული ინფორმაცია. მოგვიანებით ამ სათაურს მოაცილეს ნაწილი, რომელიც მოსდევდა გამოთქმას "μονῆς τοῦ ἁγίου Σάββα", ანუ „საბაწმიდის მონასტრისა".

Marc. gr. VII, 26 ხელნაწერის სათაურისეული ტრადიციის სათავეში გვესახება სუბარქეტიპი *Ж,[52] რომელშიც ექვთიმეს სახელს ერთვოდა წინდებული, სადაც, შესაძლებელია, მკაფიოდ იკითხებოდა მხოლოდ "ὑπ-" სეგმენტი, მაგრამ მას რაღაც ნივთიერი ხარვეზი (ლაკუნა, ნახვრეტი, ლაქა, გადარეცხვის, ნაშლის და ა. შ. კვალი) მოსდევდა. მიუხედავად ამისა, კონტექსტიდან აშკარად ჩანდა, რომ მას წინადადებაში ქვემდებარისებრი უბრალო დამატება შემოჰყავდა:

> ამბავი სულისმარგებელი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან წმიდა ქალაქში მოტანილი, იოანეს, საბაწმიდის მონასტრის ბერის მიერ, შემდეგ იბერიელთა [ენიდან] ბერძნულ ენაზე თარგმნილი ექვთიმე ..., ღვთისმოსავი და მორწმუნე კაცის, იბერიელად წოდებულისა.

სავსებით აშკარაა, რომ აქ მხოლოდ და მხოლოდ "ὑπό" წინდებული შეიძლებოდა, ყოფილიყო.

სათაურის ზემოთ განხილული ენობრივი თავისებურებები საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ იგი, შეიძლებოდა, დაეწერა როგორც ბერძენ, ისე – უცხოელ, მათ შორის, ქართველ, ბერძნულ ენაში არცთუ კარგად გაწაფულ ავტორს.[53] Marc. gr. VII, 26 ნუსხის, ან მისი ანტიგრაფის გადამწერი შეეცადა, რამენაირად გამოესწორებინა უშუალოდ მისი ანტიგრაფისეული ხარვეზი და ტექსტში "ὑπέρ" წინდებული (რომელიც ამ ეტაპზე, შეიძლება, ჩაითვალოს, როგორც ერთგვარი *lectio difficilior*) შეიტანა, რადგან ივარაუდა, რომ უმეტესწილად ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმანით სახელგანთქმული ექვთიმე იქნებოდა არა იმდენად ამ ნაწარმოების ქართულიდან ბერძნულად *მთარგმნელი*, რამდენადაც – თარგმანის *მომგებელი*, თუმცა, გადამწერს მხედველობიდან გამორჩა, რომ ასეთი ახსნა უკვე აღარ შეესაბამებოდა თავად სათაურის მნიშვნელობას. შესაძლებელია, "Ἱστορία" არსებითი სახელის მსაზღვრელი "μετενεχθεῖς" და "μεταφρασθεῖσα" მიმღეობების სქესთა შორის აღრევის მიზეზიც ხელნაწერის ფიზიკური ხარვეზი იყოს, თუ, ცხადია, Marc. gr. VII, 26 ხელნაწერში მართლაც "Ἱστορία", ანუ „ამბავი“ ეწერა.[54] ამ გარემოებაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ, მაგ., XI საუკუნით დათარიღებულ Athen. Eth. Bib. 2497 ხელნაწერში სიტყვა "Λόγοι", ანუ „თქუმულნი“ გადაშლილია და ჩანაცვლებულია გამოთქმით "Ἱστορία ψυχοφελής" (*sic*!) (ფოლკი 2009: 252), ანუ „ამბავი სულისმარგებელი“, რაც, ალბათ, იმაზე მეტყველებს, თუ უკვე XI საუკუნეში რამდენად მერყევი უნდა ყოფილიყო ტერმინი, რომელიც ნაწარმოების ჟანრს განსაზღვრავდა.

თუკი მაინც იმას ვარჩევთ, ვიფიქროთ, რომ გადამწერმა მცდარად იხმარა „ὑπέρ + ნათ. ბრ.“ კონსტრუქცია, მაშინ აუცილებლად უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უცხოელი, ალბათ, ლათინი, იყო, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ქართველებსა და ლათინებს შორის კავშირს ბერძნების წინააღმდეგ ათონის მთაზე ბრძოლაში (ხინთიბიძე 1989: 227-228); (ხინთიბიძე 1996: 223-224), ხოლო, მეორე მხრივ – ლათინური "per" წინდებულის სინტაქსურ ფუნქციას, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ვერ იქნებოდა ზემოხსენებული ლათინი ბერი ლეონი, რადგან, გიორგი მთაწმიდლის ცნობით, მან ბერძნული არ იცოდა (აბულაძე 1967: 66).

ეს კრიტიკული პუნქტი არის შეცდომა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ტრადიციის სამ შტოს. პირველს მიეკუთვნება Marc. gr. VII, 26 ნუსხა, ხოლო მეორეს – ხელნაწერები, საიდანაც გამოთქმის "μονῆς τοῦ ἁγίου Σάββα", ანუ „საბაწმიდის მონასტრისა“ შემდეგ ამოღებულია სათაურის დასასრული. ბერძენმა გადამწერებმა სათაურს ეს ნაწილი მოჰკვეცეს არა იმდენად იმის გამო, რომ ნაციონალისტური გრძნობებით იყვნენ შეპყრობილნი, რამდენადაც – და, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ – იმ მიზნით, რომ მკითხველამდე მიეტანათ ტექსტი, საიდანაც იგი ნათელი აზრის გამოტანას შეძლებდა. მესამე შტოს წარმოადგენს Par. gr. 1771 ხელნაწერი, რომელიც პრობლემას ექვთიმეს სასარგებლოდ წყვეტს, ხოლო ის, რომ საამისოდ მიმართავს "παρά" წინდებულს და მას "ὑπό"-დ არ აღადგენს, ჩვენი აზრით, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ეს ნუსხა ხელნაწერთა ტრადიციის განსხვავებულ განშტოებას განეკუთვნება.

ამ განშტოებაში რეალურად დადასტურებულია ცნობა, რომ ექვთიმე მთაწმიდელი ნაწარმოების ბერძნული ვერსიის ავტორია. როგორც უკვე აღინიშნა, Par. gr. 1771 ხელნაწერის სათაური უამრავ ენობრივ ხარვეზს შეიცავს, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ ჩრდილავს მასში გადმოცემული ინფორმაციის სანდოობას. პ. პეეტერსი წერდა: „გვიანდელობა და ენობრივი შეცდომები ამ ხელნაწერს უაღრესად უარყოფით სავიზიტო ბარათად ექცა“ (პეეტერსი 1931: 283). მიუხედავად ამისა, ბელგიელი ბოლანდისტი მკვლევართა ყურადღებას მიაპყრობდა იმ ფაქტს, რომ ექვთიმე მასში მოიხსენიებოდა წმინდა ათანასეს ლავრის ზედამხედველად ("καθηγητής"), ანუ იმ პირად, რომელსაც ათონის მთაზე ამ უმთავრესი სავანის განსაგებად გადაწყვეტილების გამოტანის უფლება ჰქონდა (პეეტერსი 1931: 283). დანამდვილებით ვიცით, რომ ცნობა უაღრესად სანდოა და რომ ექვთიმემ ეს სახელო ივირ-

ონის წინამძღვრობიდან გადადგომის შემდეგაც შეინარჩუნა (აბულაძე 1967: 89); (ლეფორი *და სხვები* 1985: 42); (მეტრეველი 1998: 79-84).[55] ამიტომ ძლიერ გაგვიჭირდება, არ დავეთანხმოთ დიდ ბელგიელ ბოლანდისტს, რომელიც წერდა: „თუ გვიანდელი ეპოქის ბერძენი გადამწერი წმინდა ექვთიმეს ბიოგრაფს ამ საკითხში ეთანხმება, ეს აშკარად იმიტომ, რომ იგი უფრო ძველი და უაღრესად სანდო დედნიდან იწერდა“ (პეეტერსი 1931: 283).[56]

აქედან გამომდინარე, ანალოგიურად უნდა ვენდოთ „ვარლაამის და იოასაფის რომანის“ ავტორის ვინაობის შესახებ ცნობასაც. სწორედ იმიტომ, რომ იგი ასე ფართოდ გავრცელდა, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა და კიდევაც ვერ დარჩა.[57] მას ვერ გამოიგონებდნენ, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ათონის ბერძნული საკრებულო ქართველთა წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას იწყებდა. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა საუკუნეები გაგრძელდა და დასრულდა XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც ბერძნებმა მთლიანად ხელთ იგდეს იოანე-თორნიკეს მიერ 981-983 წლებში ჩორდვანელთა სახლის საგვარეულო სავანედ დაარსებული (მეტრეველი 1990: 211-212) ივერთა მონასტერი (მეტრეველი 1990: 215, 219); (შურღაია 2009: 189-190).[58] არადა, იგი იმ ომიდან მოგებული მდიდარი ალაფით აშენდა, რომლის წყალობითაც 979 წელს ტაოს მეფის, დავით III კურაპალატის (961-1001) თორმეტმა ათასმა რჩეულმა ქართველმა მხედარმა, იოანე-თორნიკეს მეთაურობით სიცოცხლე და ტახტი შეუნარჩუნა მცირეწლოვან იმპერატორებს, ბასილის II-სა (976-1025) და კონსტანტინე VIII-ს (1025-1028).

შენიშვნები

* წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოდგენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი ცენტრის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტისა და წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის კავშირის მიერ 2023 წ.-ის 12-14 სექტემბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ გრიგოლ ფერაძის სახელობის III საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქრისტიანული აღმოსავლეთი და კავკასია“, რომლის მასალები არ გამოქვეყნებულა. ბალავარისა და იოდასაფის ლეგენდის სხვადასხვაენოვან ვარიანტებს ერთად „ლეგენდას“, ან „მაკროტექსტს“ ვუწოდებთ, ხოლო მათ ერთობლიობას ერთ რომელიმე ენაზე – „ვერსიას“. თავის მხრივ, უშუალოდ ვერსიაში გამოვყოფთ სხვადასხვა, მაგ., ვრცელსა და მოკლე რედაქციებს. არაბულ ვერსიას ვუწოდებთ „ბილავჰარისა და ბუდასაფის წიგნს“, ქართულს – „ბალავარიანს“, ხოლო ბერძნულს – „ვარლაამისა და იოასაფის რომანს“, ან, უბრალოდ, „რომანს“. ექვთიმე მთაწმიდელი მიიჩნევა „ბალავარიანის“ ბერძნულ ენაზე მთარგმნელად, მაგრამ – „ვარლაამისა და იოასაფის რომანის“ ავტორად, რადგან ვგულისხმობთ, რომ თხზულების თარგმნისას მან, ფაქტობრივად, ახალი ლიტერატურული ნაწარმოები შექმნა. თუ დამოწმებულ ტექსტთა მთარგმნელებს საგანგებოდ არ ვუთითებთ, თარგმანი ყველგან ჩვენია. აქვე გულითად მადლობას ვუხდი ჩემს მეგობარსა და კოლეგას, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლა საპიენცას“ პროფესორს, ანტონის ფირიგოსს იტალიურ ენაზე შესრულებული და ნეაპოლის სახელმწიფო უნივერსიტეტ „ლ'ორიენტალეს“ სერიალის "Series Minor" 87-ე ნომერში (2019 წ.) გამოქვეყნებული ნაშრომის „ვარლაამისა და იოასაფის სულისმარგებელი რომანი: ὑπό, παρά თუ ὑπὲρ Εὐθυμίου?“ ხელნაწერში გაცნობისა და საყურადღებო მოსაზრებების გაზიარებისთვის.

1 ექვთიმე მთაწმიდლისა და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ იხ. (კეკელიძე 1980: 184-213); (მენაბდე 1980: 194-200); (მეტრეველი 1996).

2 თხზულების სათაურის შესახებ იხ., აგრ., (თვარაძე 1971: 68-70).

3 სამეცნიერო ლიტერატურაში მას, როგორც წესი, „ლემებს“ უწოდებენ, მაგრამ, მათი შინაარსითა და დანიშნულებიდან გამომდინარე, ვარჩევთ, ისინი „სათაურებად“ მოვიხსენიოთ.

4 ნაწარმოების სათაურებსა და ტექსტებს შორის ანალოგიური კავშირი სლავურ სინამდვილეშიც

დასტურდება; იხ. (ლებედევა 1979: 248).

5 ამ მონასტერზე, ან, შესაძლებელია, კანოპს შიგნით და გარეთ არსებულ ორ სხვადასხვა სავანეზე იხ. (გასკუ 1991: 1606-1611).

x საზედაო "x" ასოთი აღნიშნულ ნუსხებში სათაურის თავზე, ან იმავე გვერდის ველზე შენიშვნის სახით მოტანილია იოანე სინელის სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით (ეპითეტი "Σιναΐτου" ხშირად დამახინჯებულია, როგორც "Συναΐτου") და მასში აშკარად ნაწარმოების ავტორი იგულისხმება.

6 სათაურში გადამწერის აშკარა უყურადღებობით გამორჩენილია ვნებითი გვარის რომელიღაც მიმღეობა, რომელიც უდავოდ „მოტანილს“ უნდა ნიშნავდეს.

7 ს. ლამბროსი (ლამბროსი 1895: 327, № 3613) ხელნაწერს XIV საუკუნით ათარიღებს. რ. ფოლკის აზრით, ტექსტი უშუალოდ ეტრატზე XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს გადაწერილი (ფოლკი 2009: 262), ხოლო ხელნაწერში ჩამატებულ ქაღალდის ფურცელზე მოთავსებული საკვლევი სათაური – XVII საუკუნეში. სათაურში რ. ფოლკის მიერ შეტანილი პუნქტუაციით (ფოლკი 2009: 262), იოანე ნაწარმოების მხოლოდ ეთიოპიიდან ჩამომტანად გვევლინება.

8 ნუსხის დათარიღებისთვის იხ. (ფოლკი 2009: 268).

9 თვით ნუსხა XI-XII საუკუნეებით თარიღდება, მაგრამ XVI-XVII საუკუნეებში 1v ფურცელზე მიწერილ სათაურში ვკითხულობთ: "Διήγησις ψυχωφελὴς μετενεχθεῖσα ὑπὸ τῆς τῶν Αἰθιόπων ἐσωτέρας χώρας εἰς τὴν τῶν Ῥωμαίων γῆν καὶ μεταβληθεῖσα ἀπὸ τῆς τῶν Αἰθιόπων διαλέκτου ἐπὶ τὴν Ἑλληνίδα γλῶσσαν παρὰ Ἰωάννου μοναχοῦ τοῦ Δαμασκηνοῦ", ანუ „მოთხრობა სულისმარგებელი, ეთიოპიელთა ქვეყნის შუაგულიდან რომაელთა მიწა-წყალზე მოტანილი და ეთიოპიელთა დიალექტიდან ბერძნულ ენაზე ბერის, იოანე დამასკელის მიერ თარგმნილი“.

10 სათაურში ერთი სიტყვითაც არ არის მინიშნებული ნაწარმოების არც ჩამომტანსა და არც – ავტორზე, მაგრამ 24-ე ფურცლის ზემო ველზე, სადაც ტექსტი იწყება, ნ. დე ლა ტორესეული ხელით თხზულება იოანე ტაბენისიელის კალამს მიეწერება.

11 საკითხის შესახებ ბიბლიოგრაფია იხ. (ხინთიბიძე 1989: 198-221); (ხინთიბიძე 1996: 193-216); (შურღაია 2019: 572).

12 როგორც პ. დევო აღნიშნავს (დევო 1957: 91), ამ სათაურის ციტირებისას მრავალ მკვლევარს – (პონსელე 1911: 176); (პეეტერსი 1931: 281); (ვოლფი 1939: 134); (ნუცუბიძე 1956: 77-78, სქ. 3) – მხედველობიდან გამორჩა ხელნაწერში აშკარად მითითებული იოანეს სახელი.

13 იხ. (ნუცუბიძე 1956: 53-54).

14 ა. გენკოს მოსაზრების (გენკო 1923: 128) საწინააღმდეგოდ, ამ გარემოებას ვერ ჩავთვლით იმის ნიშნად, რომ ფრაზის ავტორის მშობლიური ენა ქართული იყო.

15 სინამდვილეში იგი ლათინი ბერი იყო. მის შეს. იხ. (პეეტერსი 1931: 281, 287); (ლანგი 1955: 307-308); (ხინთიბიძე 1989: 230, 294); (ხინთიბიძე 1996: 226); (ლეფორი *და სხვები* 1985: 36). შდრ. (დევო 1957: 91), რომელიც წერს: „ვინც არ უნდა იყოს ეს «კაცი ესე წარჩინებული სახელითა ლეონ» [...].“

16 ჩვენ მიერ სიტყვასიტყვით თარგმნილი ფრაზა გერმანულად შემდეგნაირად ჟღერს: „[...] die bisherige Inferiorität der georgischen Nation hinsichtlich des Besitzes der Schätze der Kirchenliteratur im Wettstreit mit den Griechen [...].“

17 „[...] das ὑπὲρ Εὐθυμίου von einer Ubersetzung oder Bearbeitung fur Euthymios, nicht aber durch Euthymios spricht [...]“.

18 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 37-38); მისი კრიტიკა იხ. (ხინთიბიძე 1989: 232-233); (ხინთიბიძე 1996: 229).

19 აზრის სინათლისთვის აქ და ქვემოთ ამ ჰიპოთეტურ ხელნაწერებს ბერძნული მთავრული ასოებით აღვნიშნავთ.

20 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 38).

21 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 38).

22 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 38). ამ მოსაზრების საფუძვლიანი კრიტიკისთვის იხ. (ხინთიბიძე 1989: 233-234); (ხინთიბიძე 1996: 229-230). მეორე, მესამე და მეოთხე მოსაზრება თავისთავად გამომდინარეობს ფრაზიდან: „Von einem Codex dieser Gattung, in welchem vielleicht schon die Veranderung ὑπ᾽ staat ὑπ(ὲρ) vollzogen war, durfte sodann die leteinische Titelform des Neapolitanus abstammen und von einem Codex dieser Gattung, der im Iberonkloster verlieb, durfte dann auch die Angabe in der Vita ihren Ausgang genommen haben“ (დელგერი 1953: 38), ანუ „ნეაპოლური ხელნა-

წერის სათაურის ლათინური ფორმა, შესაძლებელია, მომდინარეობდეს ისეთი ხელნაწერიდან, რომელშიც "ὑπ'", ალბათ, უკვე "ὑπ(έρ)"-ად იყო ქცეული, ხოლო „ცხოვრებაში" [მოტანილი] ინ-ფორმაცია, შესაძლებელია, წარმოდგებოდეს სწორედ ამგვარი კოდექსიდან, რომელიც ივერთა მონასტერში დარჩა".

23 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 23); მისი კრიტიკა იხ. (ხინთიბიძე 1989: 234); (ხინთიბიძე 1996: 230).

24 ჰიპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 22).

25 იხ. აგრ., (დევო 1957: 91).

26 მის შესახებ იხ. ნაშრომები: (კეკელიძე 1980: 213-234); (ჯავახიშვილი 1983: 177-191); (მენაბდე 1980: 187, 209-211); (ლეფორი *და სხვები* 1985: 39-41); (მეტრეველი 1998: 79-84). კონკრეტულად ჰ.-გ. ბეკის ჰიპოთეზის კრიტიკა იხ. (ხინთიბიძე 1989: 238); (ხინთიბიძე 1996: 234).

27 იხ. (იმნაიშვილი 1979); „მიერ" თანდებულის აქ დაფიქსირების შემთხვევები იხ. (იმნაიშვილი 1948-1949: 338-339).

28 იხ. მათ. 4:21, 5:26, 9:9,27, 11:1, 12:9,15, 13:53, 14:13, 15:21,29, 19:15; მარკ. 6:1,10-11, 7:24, 9:30, 10:1; ლუკ. 9:4, 12:59; იოან. 4:43, 11:54. სხვა შემთხვევებში (მათ. 8:28, 16:5, 18:28, 27:32; მარკ. 1:35,45, 3:6; ლუკ. 4:42, 19:4, 22:39; იოან. 10:40) ადგილის გარემოება, "ἐκεῖθεν", არ არის ბერძნულ დედანში, მაგრამ კონ-ტექსტის გათვალისწინებით, ქართულ თარგმანში დამატებულია მისი შესატყვისი თანდებული „მიერ".

29 მათ. 8:28; მარკ. 11:16.

30 მათ. 8:1, 9:22, 15:28, 17:18, 22:46, 28:8; მარკ. 16:8; ლუკ. 9:5,37, 22:45; იოან. 11:53, 19:27.

31 მათ. 17:9; მარკ. 1:10,29, 6:54, 9:9, 10:14 (ზოგიერთ ნუსხაში ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელს "ἐκ" თანდებული ემატება). ერთგან (მარკ. 12:8) "ἐκβάλλω" ზმნითა და "ἔξω" გამოსვლითობითი მი-მართულების ადგილის ზმნიზედით გამოხატულ კონტექსტში დამატებულია „მიერ" თანდებუ-ლი, ხოლო მეორეგან (მარკ. 11:15) "πωλοῦντας" და "γοράζοντας" მიმღეობებთან დაკავშირებული ალაგობითი ადგილის გარემოება "ἐν τῷ ἱερῷ", ანუ „ტაძარში", შენაცვლებულია გამოსვლითო-ბის მიმართულებითი ადგილის გარემოებით „მიერ ტაძრით", რომელიც მიემართება ბერძნული "ἐκβάλλειν" ზმნის შესატყვის საწყისს „გამოსხმაᲐ".

32 მათ. 2:5,23, 3:3, 4:14, 24:15, 26:24, 27:35 (ზოგიერთ ბერძნულ ნუსხაში "διά" თანდებულს "ὑπό" თანდე-ბული ენაცვლება); ლუკ. 22:22; იოან. 1:3,10,17, 3:17, 10:9, 14:6.

33 იოან. 6:57.

34 იოან. 3:21.

35 მათ. 2:15, 3:14, 5:13, 11:27, 20:23, 22:31; ლუკ. 10:22, 13:17; იოან. 14:21.

36 ლუკ. 1:26; იოან. 3:2.

37 მარკ. 10:27; ლუკ. 18:27. ამ შემთხვევებში შესაძლებელია, „ნათ. ბრ. + მიერ" კონსტრუქციას „-გან" თანდებული შეენაცვლოს, რომელიც სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს, როგორც ეს მათ. 18:27 მუხლში არის დაფიქსირებული.

38 იოან. 1:14, 7:29, 15:26.

39 მათ. 19:26, 21:42; მარკ. 12:11; ლუკ. 1:45; იოან. 1:6. ამ შემთხვევებშიც „ნათ. ბრ. + მიერ" კონსტრუქცი-ას, შესაძლებელია, შეენაცვლოს „-გან" თანდებული, რომელიც სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს, როგორც ეს მათ. 19:26 პასაჟში არის წარმოდგენილი. ამას გარდა, თუ ლუკ. 1:37 მუხლის ათონურ რედაქციებში „παρά + ნათ. ბრ." კონსტრუქცია გადმოღებულია „წინაშე" თანდებულით (იმნაიშვილი 1979: 434), ადიშის ოთხთავში (მესტია, სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 1) იგი „მიერ" თანდებულით ითარგმნება (შანიძე 1945: 182).

40 იოან. 10:32.

41 მათ. 17:20; მარკ. 14:36.

42 ლუკ. 2:27. ერთგან (ლუკ. 9:7) ქართულ თარგმანში დამატებულია ქვემდებარისებრი დამოკიდებუ-ლი წინადადება, რომელიც ბერძნულ დედანში პირდაპირ ობიექტს "τὰ γινόμενα" არ მოეპოვება: „იგი საქმენი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს".

43 იხ. (გოგუაძე *და სხვები* 2007: 106).

44 საკითხის შესახებ იხ. (კეკელიძე 1980: 191-192, 212-213).

45 იხ. აგრ., (ლანგი 1955: 307).

46 საკითხზე ანალოგიური აზრისაა, აგრ., (ნუცუბიძე 1956: 56-57).

[47] „Es ist schwerlich anzunehmen, daß gerade diejenige Hs, welche der Masse der über ganz Westeuropa verstreuten lateinischen Hss als Archetypus vorlag, von jenem einzigen griechischen Original abstammen sollte, in welchem – zufällig fälschlich – der Name des Euthymios durch denjenigen des Johannes Damaskenos ersetzt gewesen wäre: aus welchem Grunde sollte eine solche Änderung auch von dem Übersetzer vorgenommen worden sein? Dieser überwältigende Konsens der lateinischen Übersetzungen schon im 12. Jh. zeigt vielmehr, daß die Zuteilung des Romans an Johannes Damaskenos auch in der griechischen Überlieferung schon spätestens im 12. Jh., also spätestens 100 Jahre nach Euthymios, vorhanden gewesen sein muß und daß es nur Zufall ist, daß wir ihr in griechischen Hss erst in 13. Jh. begengen: denn daß sie im Westen zuerst geschehen und von da in den Osten zurückgewandert wäre, ist kaum anzunehmen.“

[48] საკითხის შეს. იხ. აგრ., (ჯავახიშვილი 1977: 143-144).

[49] ანალოგიური აზრისაა (ნუცუბიძე 1956: 45), რომელიც მიუთითებს, რომ სათაური თხზულების პროლოგისა და დასასრული მინაწერისგან წარმოდგება.

[50] მის შეს. იხ. (მიშო 2005: 267-268).

[51] იხ. ლომაჯისტრო 2012: 181-183.

[52] მსგავსი ჰოპოთეზა იხ. (დელგერი 1953: 38).

[53] მეცნიერები – იხ. მაგ., (ზოტენბერგი 1886: 63); (დელგერი 1953: 18); (ნუცუბიძე 1956: 39) – სავსებით სამართლიანად ერთხმად განარჩევენ მას „რომანის“ ავტორისაგან, რადგანაც, სხვა თუ არაფერი, საკუთარ თავს იგი "ἀνὴρ τίμιος καὶ ἐνάρετος", ანუ „ღვთისმოსავ და უსათნოეს კაცს“ არ უწოდებდა.

[54] იხ. ზემოთ, გვ. 143.

[55] საკითხის შესახებ კონკრეტულად დისკუსიისთვის იხ. (ხინთიბიძე 1989: 238); (ხინთიბიძე 1996: 234).

[56] საკითხზე ანალოგიური აზრისაა, აგრ., (ნუცუბიძე 1956: 53).

[57] მსგავსი თვალსაზრისისათვის იხ. (ხინთიბიძე 1989: 217-218); (ხინთიბიძე 1996: 212).

[58] შდრ. (ლეფორი და *სხვები* 1994: 8).

დამოწმებანი

აბულაძე 1957: *ბაღავახიანის ქართული ხედაქციები*, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (ძველი ქართული ენის ძეგლები, 10).

აბულაძე 1967: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. II (XI-XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

ანდრესი 1965: Gr. de Andrés. *Catálogo de los códices Griegos de la biblioteca de El Escorial*, ტ. II, Madrid.

ბეკი 1971: H.-G. Beck, *Geschichte der byzantinischen Volksliteratur*, München, C. H. Beck'sche Verlags buch handlung (Handbuch der Altertumswissenschaften, 2:3).

ბლასი და *სხვები* 1961: F. Blass, A. Debrunner. *A Greek grammar of the New Testament and other early Christian literature*, a translation and revision of the ninth-tenth German edition incorporating supplementary notes of A. Debrunner by R. W. Funk, Cambridge, at the University Press.

გარდტჰაუზენი 1913: V. Gardthausen. *Griechische Palaeographie*, ტ. II, *Die Schrift, Unterschriften und Chronologie im Altertum und im byzantinischen Mittelalter*, Leipzig, Verlag von Veit & Comp.

გასკუ 1991: J. Gascou. Metanoia, monastery of the, *The Coptic Encyclopedia*, A. S. Atiya editor in chief, ტ. V, New York, Macmillan Publishing Company.

გენკო 1923: А. Генко. К вопросу о языковом скрещении, *Яфетической сборник*, Петроград.

გოგუაძე და *სხვები* 2007: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, ნ. გოგუაძის, ზ. სარჯველაძისა და მ. შანიძის რედაქციით, ტ. II, თბილისი, არტანუჯი.

გრეგუარი 1963: H. Grégoire. Le monastère d'Iviron et le rôle des géorgiens du Mont Athos, *Ἐπετηρὶς Ἑταιρείας Βυζαντινῶν Σπουδῶν*, ტ. XXXII, Athènes.

დევო 1957: P. Devos. Les origines du Barlaam et Ioasaph grec, À propos de la thèse nouvelle de M. Nucubidze, *Analecta Bollandiana*, ტ. LXXV, Bruxelles, Société des Bollandistes.

დევრესი 1950: *Codices Vaticani Graeci*, ტ. III, *Codices 604-866*, recensuit R. Devreesse, [Roma], in Bibliotheca Vaticana.

დელგერი 1953: F. Dölger. *Der griechische Barlaam-Roman ein Werk des H. Johannes von Damaskos*, Ettal, Buch-Kunstverlag (Studia patristica et byzantina, 1).

დემეტრაკო 1937: Δ. Β. Δημητράκος. *Μέγα λεξικὸν τῆς ἑλληνικῆς γλώσσης*, ტ. III, Ἀθῆναι.

დემეტრაკო 1938: Δ. Β. Δημητράκος. *Μέγα λεξικὸν τῆς ἑλληνικῆς γλώσσης*, ტ. IV, Ἀθῆναι.

დემეტრაკო 1939: Δ. Β. Δημητράκος. *Μέγα λεξικὸν τῆς ἑλληνικῆς γλώσσης*, ტ. VI, Ἀθῆναι.

ევსტრატიადე, 1930: Κατάλογος τῶν κωδίκων τῆς ἱερᾶς σκήτης Καυσοκαλυβίων καὶ τῶν καλυβῶν αὐτῆς, συνταχθεὶς ὑπὸ εὐλογίου Κουρίλα Λαυριώτου καὶ ἐκδιδόμενος μετὰ προλεγομένων καὶ πινάκων ὑπὸ Σ. Εὐστρατιάδου, Paris, Librairie ancienne Honoré Champion (Ἁγιορειτικὴ βιβλιοθήκη, 5).

ევსტრატიადე, არკადიოსი 1924: S. Eustratiadês, Arcadios. *Catalogue of the Greek manuscripts in the library of the monastery of Vatopedi on Mt. Athos*, Cambridge (Massachusetts), Harvard University Press (Harvard theological studies, 11).

ეტიენი და სხვები 1835: H. Stephanus, C. B. Hase, L. de Sinner, Th. Dindorf, L. Dindorf. *Thesaurus Graecae linguae*, ტ. III, Parisiis, excudebat Ambrosius Firmin Didot.

ეტიენი და სხვები 1842-1846: H. Stephanus, C. B. Hase, L. de Sinner, Th. Dindorf, L. Dindorf. *Thesaurus Graecae linguae*, ტ. V, Parisiis, excudebat Ambrosius Firmin Didot.

ვოლფი 1939: R. L. Wolff. Barlaam and Ioasaph, *Harvard Theological Review*, ტ. XXXII, Cambridge, Cambridge University Press.

ზოტენბერგი 1886: H. Zotenberg, *Notice sur le* Livre de Barlaam et Joasaph, accompagnée d'extraits du texte grec et des versions arabe et éthiopienne, Paris, Imprimerie nationale (Notices et extraits des mss. de la Bibliothèque Nationale, 28:1).

თვარაძე 1971: რ. თვარაძე. *წიგნი და მკითხველი*, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

იმნაიშვილი 1948-1949: ი. იმნაიშვილი, *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (ძველი ქართული ენის ძეგლები, 6).

იმნაიშვილი 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 22, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კეკელიძე 1980: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, ტ. I, მეცნიერება, თბილისი.

კრიარასი 1973: Ε. Γ. Κριαράς. Λεξικὸ τῆς μεσαιωνικῆς ἑλληνικῆς δημώδους γραμματείας 1100-1669, ტ. III, Τεσσαλονίκη.

კრიარასი 1988: Ε. Γ. Κριαράς. Λεξικὸ τῆς μεσαιωνικῆς ἑλληνικῆς δημώδους γραμματείας 1100-1669, ტ. X, Τεσσαλονίκη.

ლამბროსი 1895: S. Lambros. *Catalogue of the Greek manuscripts on Mount Athos*, ტ. I, Cambridge, at the University Press.

ლამბროსი 1900: S. Lambros. *Catalogue of the Greek manuscripts on Mount Athos*, ტ. II, Cambridge, at the University Press.

ლამპი 1961: G. Lampe. *A Patristic Greek lexicon*, Oxford, at Clarendon Press.

ლანგი 1955: D. M. Lang. St. Euthymius the Georgian and the Barlaam and Ioasaph Romance, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, ტ. XVII, London, Cambridge University Press.

ლებედევა 1979: И. Н. Лебедева. О древнерусском переводе повести о Варлааме и Иоасафе, *Древнерусские литературные памятники*, Ленинград, Наука (Труды отдела древнерусской литературы Института русской литературы (Пушкинский дом) Академии Наук СССР, 33).

ლეფორი და სხვები 1985: *Actes d'Iviron*, ტ. I, *Des origines au milieu du XIe siècle*, texte, édition diplomatique par J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachryssanthou, avec la collaboration d'H. Métrévéli, Paris, P. Lethielleux (Archives de l'Athos, 14).

ლეფორი და სხვები 1994: *Actes d'Iviron*, ტ. III, *De 1204 à 1328*, texte, édition diplomatique par J. Lefort, N. Oikonomidès, D. Papachryssanthou, avec la collaboration d'H. Métrévéli, Paris, P. Lethielleux (Archives de l'Athos, 18).

ლიდელი, სკოტი 1961: H. G. Liddell, R. Scott. *A Greek-English lexicon*, revised and augmented throughout by H. S. Jones, Oxford, at the Clarendon Press.

ლომაჯისტრო 2012: B. Lomagistro. Le versioni paleo-ceche del *Secretum secretorum* pseudo-aristotelico, *Orientalia Christiana Periodica*, ტ. LXXVIII, Roma, Pontificium Institutum Orientalium Studiorum.

მენაბდე 1980: ლ. მენაბდე. *ძველი ქართული მწერლობის კერები*, ტ. II, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მეტრეველი 1990: H. Métrévéli. Les normes pour l'installation d'un supérieur au monastère des Ibères au Mont Athos (Xᵉ-XIᵉ siècles), *Lingua Restituta Orientalis*, Festgabe für Julius Assfalg, herausgegeben von R. Schulz und M. Görg, Wiesbaden 1990 (Ägypten und Altes Testament, 20).

მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი. *ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან*, თბილისი, ნეკერი.

მეტრეველი 1998: ე. მეტრეველი. *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*, თბილისი, სკოლა.

მიონი 1960: E. Mioni. *Bibliothecae divi Marci Venetiarum codices graeci manuscripti*, ტ. II, *Codices qui in sextam, septimam atque octavam includuntur continens*, Roma: Istituto poligrafico dello Stato (Indici e cataloghi, Nuova serie, 6).

მიონი 1972: E. Mioni. *Bibliothecae divi Marci Venetiarum codices graeci manuscripti*, ტ. III, *Codices in classes nonam, decimam, undecimam inclusos et supplementa duo continens*, Roma, Istituto poligrafico dello Stato (Indici e cataloghi, Nuova serie, 6).

მიშო 2005: F. Micheau. Yaḥyā (Yuḥannā) ibn al-Biṭrīk, Abū Zakariyyā', *Encyclopédie de l'Islam*, Nouvelle édition, ტ. XI, Leyde-Paris, E. J. Brill.

მონტანარი 1995: F. Montanari. *Vocabolario della lingua greca*, con la collaborazione di I. Garofalo e D. Manetti, Torino, Loescher Editore.

ნუცუბიძე 1956: Ш. Нуцубидзе. *К происхождению греческого романа* Варлаам и Иоасаф, Тбилиси, Издательство Академии Наук Грузинской ССР.

პაპადოპულო-კერამევსი 1891: Α. Παπαδόπουλος–Κεραμεύς. Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη ἤτοι Κατάλογος τῶν ἐν ταῖς βιβλιοθήκαις τοῦ ἁγιωτάτου ἀποστολικοῦ τε καὶ καθολικοῦ ὀρθοδόξου πατριαρχικοῦ θρόνου τῶν Ἱεροσολύμων καὶ πάσης Παλαιστίνης ἀποκειμένων ἑλληνικῶν κωδίκων, ტ. I, Sankt-Peterburg, Ἐκ τοῦ τυπογραφείου Β. Κιρσβάουμ.

პაპადოპულო-კერამევსი 1894: Α. Παπαδόπουλος–Κεραμεύς. Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη ἤτοι Κατάλογος τῶν ἐν ταῖς βιβλιοθήκαις τοῦ ἁγιωτάτου ἀποστολικοῦ τε καὶ καθολικοῦ ὀρθοδόξου πατριαρχικοῦ θρόνου τῶν Ἱεροσολύμων καὶ πάσης Παλαιστίνης ἀποκειμένων ἑλληνικῶν κωδίκων, ტ. II, Sankt-Peterburg, Ἐκ τοῦ τυπογραφείου Β. Κιρσβάουμ.

პაპადოპულო-კერამევსი 1897: Α. Παπαδόπουλος–Κεραμεύς. Ἱεροσολυμιτικὴ Βιβλιοθήκη ἤτοι Κατάλογος τῶν ἐν ταῖς βιβλιοθήκαις τοῦ ἁγιωτάτου ἀποστολικοῦ τε καὶ καθολικοῦ ὀρθοδόξου πατριαρχικοῦ θρόνου τῶν Ἱεροσολύμων καὶ πάσης Παλαιστίνης ἀποκειμένων ἑλληνικῶν κωδίκων, ტ. III, Sankt-Peterburg, Ἐκ τοῦ τυπογραφείου Β. Κιρσβάουμ.

პეეტერსი 1931: P. Peeters. La première traduction latine de *Barlaam et Joasaph* et son original grec, *Analecta Bollandiana*, ტ. XLIX, Bruxelles, Société des Bollandistes.

პერია 2011: L. Perria. Γραφίς. *Per una storia della scrittura greca libraria* (*secoli IV a. C.-XVI d. C.*), Roma, Biblioteca Apostolica Vaticana (Quaderni di Νέα Ῥώμη, 1).

პიტრა 1885: *Codices manuscripti Palatini graeci Bibliothecae Vaticanae*, descripti praeside I.-B. Pitra, recensuit et degessit H. Stevenson senior, Romae, ex typographeo Vaticano.

პონსელე 1911: A. Poncelet. Catalogus codicum hagiographicorum latinorum bibliothecarum Neapolitanarum, *Analecta Bollandiana*, ტ. XXX, Bruxelles, Société des Bollandistes.

რევილია 1936: P. A. Revilla. *Catálogo de los códices Griegos de la biblioteca de El Escorial*, ტ. I, Madrid, Imprenta Helénica.

სპირიდონი, ევსტრატიადე 1924: Spyridon, S. Eustratiadēs. *Catalogue of the Greek manuscripts in the library of the Laura of mount Athos*, with notes from other *libraries*, Cambridge (Massachusetts), Harvard University Press (Harvard theological studies, 12).

ფირიგოსი 2011: A. Fyrigos. Il cardinale Bessarione *traduttore* della *Summa contra gentiles* di Tommaso d'Aquino, *Rivista di studi bizantini e neoellenici*, n. s., ტ. XLVIII, Roma, Dipartimento di Scienze dell'antichità – Sapienza Università di Roma.

ფოლკი 2006: *Die Schriften des Johannes von Damaskos*, besorgt von B. Kotter, ტ. VI:2, *Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph* (*spuria*), Text und zehn Appendices besorgt von R. Volk, Berlin-New-York, Walter De Gruyter (Patristische Texte und Studien, 60).

ფოლკი 2009: *Die Schriften des Johannes von Damaskos*, besorgt von B. Kotter, ტ. VI:1, *Historia animae utilis de Barlaam et Ioasaph* (*spuria*), Einführung von R. Volk, Berlin-New-York, Walter De Gruyter (Patristische Texte und Studien, 61).

ფონკიჩი 1977: Б. Фонкич. О датировке Венецианского (cod. Marcianus gr. VII, 26) и парижского (cod. Parisinus gr. 1771) списков греческой версии Варлаама и Иоасафа, *Византийские очерки, Труды советских ученых к XV международному конгрессу византинистов*, Москва, Наука.

ფონკიჩი 1979: B. Fonkitch. Notes paléographiques sur les manuscrits grecs des bibliothèques italiennes (πίν. Α΄–ΚΓ΄), *Thesaurismata*, ტ. XVI, Venezia, Istituto Ellenico di Studi bizantini e Post-bizantini.

ყაუხჩიშვილი 1963: ს. ყაუხჩიშვილი. *ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია*, თბილისი, ცოდნა.

ყაუხჩიშვილი 2007ა: *ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი*, ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. კვირიკაშვილი, ტ. V, Σ–Ω, თბილისი, ლოგოსი, .

ყაუხჩიშვილი 2007ბ: *ქართულ-ბერძნული დოკუმენტირებული ლექსიკონი*, ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. კვირიკაშვილი, ტ. VI, *ქართულ-ბერძნული ინდექსი*, ა-მ, თბილისი, ლოგოსი.

შანიძე 1945: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), გამოსცა ა. შანიძემ, *ძველი ქართული ენის ძეგლები*, 2, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

შანიძე 1976: ა. შანიძე. ძველი ქართული ენის გრამატიკა, *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 18,თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შურღაია 2009: *Biobibliografia di Elene Met'reveli* (*1917-2003*) [=] *ელენე მეტრეველი* (*1917-2003*). *ბიობიბლიოგრაფია*, a cura di G. Shurgaia, Roma, Edizioni Studium (Eurasiatica, 80).

შურღაია 2019: G. Shurgaia. Sull'autore della *Vita Barlaam et Ioasaph* (CPG 8120), *Studium*, ტ. CXV, Roma, Edizioni Studium.

ძერვიკი 1984: M. Zerwick. *Analysis philologica Novi Testamenti Graeci*, editio quarta, Romae, Sumptibus Pontificii Instituti Biblici.

ძერვიკი 1990: M. Zerwick. *Biblical Greek, illustrated by examples*, English edition adapted from the fourth Latin edition by J. Smith, Roma, Editrice Pontificio Istituto Biblico.

ხინთიბიძე 1976: Э. Хинтибидзе. Афонская гора как место появления и распространения *Душеполезной повести о Варлааме и Иоасафе*, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ტ. CLXXVII, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხინთიბიძე 1989: Э. Хинтибидзе. *Грузинско-византийские литературные взаимоотношения*, Тбилиси, Издательство Тбилисского университета.

ხინთიბიძე 1996: E. Khintibidze. *Georgian-Byzantine literary contacts*, Amsterdam, Adolf M. Hakkert.

ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII, თბილისი, მეცნიერება.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბილისი, მეცნიერება.

ჰაიდუ 2003: *Katalog der griechischen Handschriften der Bayerischen Staatsbibliothek München*, ტ. II:3, *Codices graeci Monacenses 110-180*, Neu beschrieben von K. Hajdú, Wiesbaden, Harrassowitz Verlag.

ჰაიდუ 2012: *Katalog der griechischen Handschriften der Bayerischen Staatsbibliothek München*, ტ. II:4, *Codices graeci Monacenses 181-265*, Neu beschrieben von K. Hajdú, Wiesbaden, Harrassowitz Verlag.

CPG Clavis Patrum Graecorum, 1-5, cura et studio M. Geerard, Turnhout, Brepols, 1974-1987 (Corpus Christianorum); Supplementum, cura et studio M. Geerard et J. Noret, Turnhout, Brepols, 1998 (Corpus Christianorum).

A NEW INTERPRETATION OF THE SO-CALLED "LEMMA" OF *THE BARLAAM AND IOSAAPH ROMANCE*

Gaga Shurgaia
University of Naples L'Orientale,
Department of Asian, African and Mediterranean Studies
shurgaia@unior.it

The article examines one of the most frequently discussed problems in Byzantine studies: the question of the author of *The Barlaam and Ioasaph Romance* (CPG 8120), the most widely read non-biblical book in the Christian Middle Ages. On the basis of an analysis of the titles of the *Romance*, preserved in the manuscripts, and the interpretations proposed, we formulate a new hypothesis for reading the traditional data, which confirms that the ancient version of the title of the *Romance* contained an indication of the person who had brought it from India, as well as of its author St. Euthymius the Georgian (955-1028), writer and translator, Hegumenon of the Iviron or Iberian monastery on Mt. Athos from 1005 to 1019.

PIONEERS OF WOMEN'S TRAVEL PHOTOGRAPHY IN THE CAUCASUS: JANE DIEULAFOY, CARLA SERENA AND BELLONIE CHANTRE

Ana Cheishvili
The Centre for Russian, Caucasian, Eastern European and Central Asian Studies
The School for Advanced Studies in the Social Sciences (CERCEC/EHESS)
ana.cheishvili@ehess.fr
New National Museum of Monaco
a.cheishvili@nmnm.mc

In the history of photography, the contributions of women, particularly in less-studied regions such as the Caucasus, are often overshadowed by those of their male counterparts. However, a few names do emerge, offering fascinating insights into this early period of photographic art in the region.

Among these pioneers, the sisters Eugenie and Olga Orlay de Karwa stand out for their brief but notable presence in Tiflis' 19th-century photographic landscape. Their short-lived portrait studio, which existed from 1876 to 1881, made a lasting impression thanks to the quality of their images.[1]

Another remarkable figure is that of Elizaveta Gavrili Musheghyan, an Armenian photographer whose studio was opened in Alexandropol around 1890 and later moved to Tiflis (Galstyan 2016). According to inscriptions on the backs of photographs, she was awarded the Grand Duke Mikhail Nikolayevich Romanov Prize, as well as a large silver medal for her "magnificent photographic images". Prince Romanov's praise was most likely associated with the hundreds of portraits Musheghyan made of Russian soldiers stationed at the Imperial military base in Alexandropol (Galstyan 2016).

If we have little information about local women photographers, then no information is available about foreign women photographers who traveled to the Caucasus region in the 19th century. However, in the meanders of history, three figures emerge, each of whom traveled to different corners of the Caucasus with a camera in hand: Jane Dieulafoy (1851-1916), Carla Serena (1824-1884) and Bellonie Chantre (1866-1952). It's noteworthy that, despite their potential contributions to the visual history of the Caucasus, these three women remain in the shadows, their names absent from any list or work surveying nineteenth-century women photographers. Their absence underscores the continuing gaps in our understanding of the history of photography in the Caucasus. While Jane Dieulafoy and Bellonie Chantre are known as travelers who accompanied and assisted their husbands on scientific missions, the name of Carla Serena – a solo traveler – has only begun to emerge from oblivion in the last decade. The images that these three photographers took in turn in the Caucasus have met a strange fate: today they are either lost or misidentified.

The first European woman to document her visit to the Caucasus through the lens of her camera was French: Jane Dieulafoy (Jeanne Henriette Magre), archaeologist and journalist, wife of engineer and archaeologist Marcel Dieulafoy (1844-1920). The couple is best known for leading two expeditions to Persia in 1881 and 1884. After the second mission, which included excavations in the city of Susa, they handed nearly three hundred boxes of collections to the Louvre Museum (Dieulafoy 1989, 12), leading to the inauguration of two "Dieulafoy rooms" within the museum.

Their brief stay in the South Caucasus between February and April 1881 left an important mark in the history of Caucasian photography. Arriving at the port of Poti from Marseille, the Dieulafoy couple headed to Tiflis and then to Erivan to continue their journey to Persia. During this trip, Jane Dieulafoy was responsible for writing the travel diary and taking the photographs. On their journey, the Dieulafoys took several cameras and gelatin bromide plates (Dieulafoy 1887, 10, 37). Until recently, these photographs were known only from the engravings illustrating her travelogue, published in "Le Tour du Monde" in 1883 (Dieulafoy 1883). Thought to be lost, the photographs were rediscovered in 2015 in the library of the Institut National d'Histoire de l'Art in Paris. It turns out that in October 1920, just a few months after Marcel Dieulafoy's death, the library acquired ten photo albums that had

belonged to the couple, most likely compiled by Jane. The photographs were quickly forgotten after their acquisition, before being rediscovered and catalogued in 2015 (Péron 2021). Of these ten albums, six are entitled "Perse". Comparing the first album[2] with the engravings published by Jane Dieulafoy in "Le Tour du Monde", we can see that several photographs were taken in the South Caucasus, on the way from Erivan to Persia. Although Jane Dieulafoy's albums were lent for the exhibition "Who's Afraid of Women Photographers? 1839-1945",[3] their contents have not yet been studied. Today we can see that almost forty of the photographs glued to the pages of the first album are rare shots taken by Jane Dieulafoy in Armenia, in the Erivan Governorate. The album also includes prints by other photographers and postcards. The photographs depict streets, villages and their inhabitants, as well as several shots of mosques encountered along the way. Based on this series of photographs, the year 1881 can be considered the beginning of women travelers' photography in the Caucasus.

In 1881, after Jane Dieulafoy, another woman photographer traveled to the Caucasus: it was Carla Serena's turn to visit Georgia and take photographs.

Carla Serena (Caroline Hartog Mergentheim) was one of the first European travelers to explore Egypt, Syria, Lebanon, the Holy Land, Greece, Persia, and the Ottoman and Russian Empires alone, between 1874 and 1880. Born in Antwerp, Belgium, she moved to Venice after marrying Leon Serena, an Italian merchant of Jewish descent (Pizzagalli 2023). In 1849, political events forced the couple to leave Italy and settle in London.

Serena left London on August 1, 1874, expecting to be home by the end of the year (Serena 1881b, 6). However, her journey lasted until 1880. In her writings, the purpose of her journey is not clearly defined. She only mentions that she went on this adventure to improve her health. It is truly amazing that a woman who had no specific reason for traveling, who was neither an explorer nor a photographer, would have devoted so much time to her travels and repeatedly postponed her return home. Perhaps it was this uncertainty that led Daniela Pizzagalli to suggest that Serena was a spy in the service of England (Pizzagalli 2023, 38-40). This hypothesis is plausible, but difficult to accept without archival evidence.

Carla Serena's travels in the South Caucasus lasted from 1875 to 1877. When the Russo-Turkish war broke out, she continued her travels in the governorates of Tiflis, Erivan, and Baku, attracting further attention from the local authorities. Finally, forced to leave the Caucasus, she traveled to Persia for 8 months. From there she returned to Baku before going to Moscow via Derbent and then Astrakhan.

In 1881, Carla Serena returned to the Caucasus for a second short stay, this time equipped with a camera. By this time, Carla Serena had already begun to publish her travelogues in the newspaper "Le Tour du Monde" (Serena 1880. 1881a). However, the lack of photographs from Abkhazia delayed the publication of her articles. As Serena writes, Caucasian photographers refused to go to Abkhazia "for fear of risking their lives in this wild and rebellious province" (Serena 1882a, 353). Faced with this situation, Serena herself took the initiative to return to the South Caucasus to take the photographs. She left Vienna on October 16 for a two-month journey. She traveled all over Georgia, from Abkhazia to Kakheti, and returned to Vienna with nearly 150 gelatin silver bromide glass plates. In her articles, she published 54 of her photographs in the form of engravings, all of them of great importance for the architectural and other cultural heritage (Serena 1882a. 1882b. 1884). Since then, however, no photographs have come down to us. The only information we have about Carla Serena's images is that they were shown in an exhibition at the Palais de l'Industrie in Paris in 1883 (Audouard 1883, 284). It is only through the published engravings made from her photographs that we can judge them today. Despite the loss of traces of her work, Carla Serena can still be considered one of the first female photographers in the Caucasus, along with Jane Dieulafoy.[4]

Unlike Jane Dieulafoy, Bellonie Chantre remained in the shadow of her naturalist and archaeologist husband, Ernest Chantre (1843-1924), deputy director of the Lyon Museum. The latter is famous for having led several anthropological and archaeological missions to the Caucasus and Asia Minor between 1879 and 1894, under the auspices of the French Ministry of Public Instruction. In 1886, Ernest Chantre married Bellonie Bourdaret, who became his collaborator in the scientific missions and contributed to their success. At the end of 1889, the Ministry entrusted the couple with

a mission "to the Caucasus and the adjacent provinces of Asian Turkey to continue their ethnological and anthropometric studies".[5] On April 2, 1890, the Chantres arrived in Batumi from Marseille and spent five months in the Southern Caucasus, conducting research in Georgia and Armenia (Chantre 1891. 1892. 1893). Bellonie was fluent in Russian, familiar with anthropological survey methods, and "had a great habit of taking photographs".[6] In addition to writing travelogues, she took skull measurements of women and took numerous photographs. Less is known about her fieldwork, all of which is attributed to Monsieur Chantre. In the texts she published after the missions, we read that although some of the photographs were taken by Ernest Chantre (Chantre 1893, 57), it was actually she who took the photographs during the trips (Chantre 1893, 22-3, 57, 79). She even wrote that she developed some pictures in the laboratory of a photographer in Choucha (Chantre 1893, 62). Bellonie Chantre's extensive knowledge of photographic techniques is demonstrated by the fact that the couple took several cameras on their journey (Chantre 1893, 74), at least one of which was an instant camera (Chantre 1893, 69). Madame Chantre herself, as was customary at the time, places her husband's scientific work in the foreground, and in the subtitle of her book she refers to her husband as the author of all the photographs published in the work (Chantre 1893). The text, however, says otherwise: it is indeed she who takes the photographs and even makes the prints.

At the end of the mission, the couple returned to France with over eight hundred photographs.[7] It's safe to assume that most, if not all, of these photographs were taken by Bellonie Chantre.

A photographic collection donated by Ernest Chantre to the Anthropology Laboratory of the Paris Natural History Museum in 1904 is now housed at the Quai Branly – Jacques Chirac Museum. The collection consists of 151 albumen prints mounted on cardboard and 106 glass plate negatives, some collodion and others gelatin silver bromide. The Quai Branly Museum identifies the collection as originating from missions to Russian Armenia in 1890 and 1893-94. It remains to be determined whether the photographs were also taken by other photographers, as Ernest Chantre was in the habit of bringing back pictures taken by local photographers from these missions. In order to identify the negatives and photographs taken by Bellonie Chantre, a comparison of the collection of the Quai Branly Museum with the photographs of the Chantre missions in the Musée des Confluences in Lyon remains to be done. Unfortunately, I didn't have the opportunity to study this collection, as all my attempts to gain access to the Caucasian collections of the Musée des Confluences were rejected for unknown reasons.

It is interesting to recall the context in which these European women photographers had to do their work. During nineteenth-century scientific journeys, whether for photographers or anthropologists, fieldwork was always fraught with difficulties: photography was often viewed with suspicion by local populations. As the famous photographer Vladimir Barkanov (1826-1892) wrote in his letter to the French Society of Photography, the Caucasian population regarded the camera as a "work of witchcraft" (Bulletin 1870, 97-8). This is confirmed by the accounts of Carla Serena. She recounts the difficulties she had in getting people to pose for her because they were afraid of the camera (Serena 1882a, 370). Serena used gelatin-silver bromide photographic plates on glass, and every evening she changed the plates on the frames in order to take new photographs the next day, using a lantern with red glass. Serena humorously described how difficult it was to convince people that she was not "an ally of Beelzebub" (Serena 1882a, 378). Ten years later, people were still refusing to be photographed, but this time for a different reason: according to Bellonie Chantre, the men, most of whom were not inclined to serve in the military, interpreted attempts to photograph them as an attempt to enlist them, and ran away when they saw the cameras (Chantre 1893, 6).

According to numerous advertisements in the local press, there were several dozen photographic workshops in Tiflis in the 1880s. By the 1890s, the field of photography had developed to such an extent that even small Caucasian towns and villages had local photographic studios. As evidence, we can cite Bellonie Chantre, who often used the services of local photographers (Chantre 1893, 62), or the albums of Baron de Baye, who often photographed the signs of photographic workshops on his travels (Cheishvili 2023). So it's strange to read about the difficulty in finding a photographer in Tiflis who knew how to work with gelatin dry-plate (Serena 1882a, 354). The development of

the gelatin-silver bromide process, which began in 1878, revolutionized the world of photography (Lavédrine 2016, 254). Whereas a collodion glass plate had to be exposed and processed within minutes of preparation, i.e., while it was wet, the gelatin-silver bromide glass plate was used dry and could be stored for several months before use or processing. This new technique made it easier to take photographs on long journeys and was also relatively easy for novice photographers like Carla Serena to learn (Serena 1882a, 353-4). Since we don't have exact information about the year in which Caucasian photographers began using gelatin dry plates, it's hard to say how accurate Serena's information is. It's possible that Serena is trying to emphasize that she was one of the first to bring gelatin dry plates to the Caucasus. We know that at that time there were many photographic studios in Tiflis, including the studio of the famous photographer Dimitri Ermakov (1845-1916), who worked with both wet collodion and dry gelatin techniques (Maes 2014, 42). We can assume that Serena developed her first negatives in Ermakov's studio (Serena 1882a, 354). Serena's familiarity with Ermakov's work is evidenced by the fact that she used engravings based on Ermakov's photographs to illustrate her articles.

We must also question the fact that there were no photographs of Abkhazia and that Caucasian photographers refused to go there (Serena 1882a, 353). This makes Serena appear to be the first to photograph Abkhazia. Unfortunately, despite the rich history of early photography, research in this field in the Caucasus remains limited, and the dating of most of the photographs taken by local photographers has yet to be established. We do know, however, that the photographer Vladimir Barkanov was particularly active in western Georgia during this period. Due to the lack of information at this stage of the research, we cannot state with certainty that Serena was indeed the first photographer in Abkhazia, although it is undeniable that she was the first woman photographer to take pictures there.

As mentioned above, Carla Serena's photographs have not survived. It is only through the published engravings made from her photographs that we can discuss her work today. The situation is similar for Bellonie Chantre's photographs. Until the collections of the Musée des Confluences are accessible to researchers for study, we'll have to rely on the engravings to judge. In the same way, the engravings published in "Le Tour du Monde" made it possible to identify the places where Jane Dieulafoy's photographs were taken. Clearly, engravings play an important role in preserving photographic memory.

With the advent of photography, many publishers wanted to publish illustrated articles and books, but due to the high cost of photographic reproduction, they often opted for engravings made from photographs to minimize expenses. Thus, in the latter half of the 19th century, numerous engravings published in newspapers and periodicals like "Le Tour du monde" and "L'Illustration" bore the inscription "from a photograph by...", indicating the name of the photographer. As we have seen, all three women published their stories in the famous French weekly "Le Tour du monde, nouveau journal des voyages". This lavishly illustrated magazine was aimed at a wide readership and focused on travel writing and exploration. It was founded in January 1860 by the journalist and politician Edouard Charton (1807-1890) under the auspices of *Librairie Hachette*. These women's travel stories certainly captivated readers, as evidenced by the republication of their articles in book form, notably for Jane Dieulafoy (Dieulafoy 1887) and Bellonie Chantre (Chantre 1893). As for Carla Serena, she also supplemented her articles in "Le Tour du Monde" with the publication of a book in 1881 (Serena 1881b). While her articles described the various regions of the Caucasus she had visited, her book offered a more personal and in-depth perspective of her experiences.

Although engravings have helped to preserve the photographic memory of the first women photographers to travel to the Caucasus, it is important to recognize that they can also introduce distortions into the representation of the original photographs. They often depend on the artistic interpretation of the draftsman, which can alter the fidelity of the original image. Therefore, although engravings can serve as valuable testimony, they must be treated with caution when used to reconstruct the historical past.

In a concrete example, the title of an illustration published in an article by Carla Serena

indicates that the engraving was drawn by the artist A. Siroy based on photographs by Serena and Ermakov (Serena 1882a, 357). The engraving shows a standing man holding a dagger, with the village store of Otsartse (Georgia) in the background and people gathered in front of it (Fig. 5). A photograph by Dimitri Ermakov of the same man is in the Russian Museum of Ethnography.[8] Unlike the engraving, in the photograph the man is seated and is visible in the frame up to his waist (Fig. 6). In this particular case, the engraving can be said to be relatively faithful to the photograph. However, it is important to note that this is only one case. The fidelity of the other engravings to the original photographs will remain uncertain until the photographs are found and studied.

If we compare the photographs taken in the Caucasus by these three photographers, we can see that Jane Dieulafoy's pictures are different from those of Carla Serena and Bellonie Chantre. They seem to have been taken in a hurry. This is hardly surprising, since Dieulafoy crossed the Caucasus on her way to Persia, playing the role of an observer. She photographed the passersby, landscapes, and monuments she encountered along the way. Most of these photographs are slightly blurred because she did not ask people to pose for her, and the cameras of the time were not yet sophisticated enough to take moving pictures. Dieulafoy, as a visiting explorer, was primarily interested in documenting her impressions of the journey, and in offering a spontaneous and dynamic view of the Caucasus. On the other hand, Carla Serena and Bellonie Chantre, having spent more time in the region, were able to devote themselves to more thoughtful, posed compositions. Their photographs reflect a greater attention to architectural and ethnographic detail. This difference in style and approach underscores not only the contextual constraints each photographer faced, but also the different goals of their respective travels. Serena took on the role of ethnographer, documenting the life and monuments of the regions she visited. In her published texts, she often describes how she even asked local authorities to clean up abandoned churches and monasteries before taking photographs in order to obtain better images. She was also interested in taking portraits, especially group portraits, and sometimes gave the names of the people she photographed in her writings. As for Chantre, although she also photographed architectural monuments, she used photography more for her husband's anthropological research. This was a time when photography was increasingly used as an auxiliary discipline in anthropological studies. Longer stays in the Caucasus gave Serena and Chantre the opportunity to create more methodical and composed works, contributing to a more thorough documentation of the region.

These contrasts in photographic methods and outcomes enrich our understanding of these women's diverse contributions to the visual history of the Caucasus and highlight the richness and diversity of their perspectives. At this stage of the research, it is difficult to assess the extent to which the work of these three photographers differed from that of other photographers of their time. However, it is now possible to assert that they were fully engaged in the travel, anthropological, and architectural photography characteristic of their time.

It's certainly pertinent to ask why, despite the growing interest in women photographers in recent years, the photographic work of Jane Dieulafoy, Carla Serena, and Bellonie Chantre remains largely neglected in the field of research. However, an examination of the photographs (or rather engravings) produced by these three artists reveals that they are an important testimony: these images offer a fascinating view of architecture and ethnography, as well as of the authors' approach to the outside world during their travels. On the one hand, it could be argued that research into the work of women photographers is still relatively recent, which explains their relative lack of recognition. On the other hand, it is surprising that although Jane Dieulafoy's photographs taken in Persia were exhibited as part of the exhibition "Who's Afraid of Women Photographers? 1839-1945", Dieulafoy is still not recognized as a "real photographer" (Girardin 2015, 260).

Despite the lack of detailed information about their lives and work, these women photographers have undoubtedly left an indelible mark on the visual history of the Caucasus. Their contributions, though neglected, deserve to be rediscovered and celebrated as essential elements of the region's photographic heritage. In addition, they provide essential insights into the study of the Caucasian cultural heritage that disappeared during the 20th century, especially during the period of

Sovietization of the region. In the course of our research, numerous questions have arisen that we cannot answer in this article. And this will remain the case until the photographs become available. But at least we can say that we have tried to take the first step towards making the legacy of these three photographers known.

Notes

1 From June 18 to 25, 2021, an exhibition dedicated to the work of Eugenie and Olga Orlay de Karwa was held at the Giorgi Leonidze State Museum of Literature in Tbilisi.
2 NUM 4 PHOT 018 (1).
3 The exhibition "Qui a peur des femmes photographes ? 1839-1919" (Who's Afraid of Women Photographers? 1839-1945) was held at the Musée de l'Orangerie in Paris from October 14, 2015 to January 25, 2016.
4 Dr. Daniele Artoni, Senior Assistant Professor at the University of Verona and interested in Carla Serena's biography, was able to locate and contact the traveler's descendants. Unfortunately, they also did not know the current location of the photographs.
5 ANF. F/17/2946/3.
6 ANF. F/17/2946/3. Armand de Quatrefages' letter of November 12, 1889, to the Minister of Public Instruction, recommending Bellonie Chantre.
7 ANF. F/17/2946/3. Ernest Chantre's letter to the Minister of Public Instruction, April 8, 1892.
8 РЭМ 5351-11. https://collection.ethnomuseum.ru/

References

ANF = Archives nationales de France. F/17/2946/3.
Audouard, Olympe. 1883. *Silhouettes parisiennes : illustrées de portraits.* Paris: C. Marpon et E. Flammarion.
Bulletin de la Société française de photographie. 1870. Tome XVI. Paris: Gauthier-Villars.
Chantre, Bellonie. 1891. "À travers l'Arménie russe." *Le Tour du Monde,* XLI: 369-416. XLI: 225-88.
Chantre, Bellonie. 1892. "À travers l'Arménie russe." *Le Tour du Monde,* XLIII: 177-224. XLIV: 161-92.
Chantre, Bellonie. 1893. *À travers l'Arménie russe : Ouvrage contenant cent cinquante et une illustrations gravées d'après les photographies prises par M. Chantre et deux cartes.* Paris : Hachette & Cie.
Cheishvili, Ana. 2023. "Iconographic Heritage of the Caucasus The Photographic Collections of Baron de Baye." In *Armenia, Caucaso e Asia Centrale Ricerche 2022,* edited by Daniele Artoni, Carlo Frappi, Paolo Sorbello, 121-42. Edizioni Ca'Foscari. https://doi.org/10.30687/978-88-6969-667-1/007.
Dieulafoy, Jane. 1883. "La Perse, la Chaldée et la Susiane." *Le Tour du Monde,* XLV: 1-80. XLVI: 81-160.
Dieulafoy, Jane. 1887. *La Perse, la Chaldée et la Susiane.* Paris: Librairie Hachette et Cie.
Dieulafoy, Jane. 1989. *Une Amazone en Orient : du Caucase à Ispahan 1881-1882.* Préface par Chantal Édel et Jean-Pierre Sicre. Paris: Phébus.
Galstyan, Vigen. 2016. "Elizaveta Gavrili Musheghyan." Database of Armenian Photo-Media Practioners. Accessed June 7, 2023. http://www.lusarvest.org/practitioners/musheghyan-yelizaveta-gavrili/
Girardin, Daniel. 2015. "Portrait de femmes en voyageuses photographes : une culture des différences." In *Qui a peur des femmes photographes ? 1839-1945.* Thomas Galifot, Marie Robert (dir.). Paris: Musée d'Orsay : Hazan.
Lavédrine, Bertrand. 2016. *(re)Connaître et conserver les photographies anciennes.* Paris: Éditions du CTHS.
Maes, Herman. 2014. "Safeguarding Georgia's 19th century photographic treasure." In *Masters of 19th Century Photography, Dimitri Ermakov, Photographer and Collector,* 42-9. Tbilisi: Georgian National Museum.
Péron, Ambre. 2021. "Les albums de Jane et Marcel Dieulafoy." Bibliothèque de l'Institut national d'histoire de l'art. Accessed July 15, 2022. https://blog.bibliotheque.inha.fr/fr/posts/les-albums-de-jane-et-marcel-dieulafoy.html
Pizzagalli, Daniela. 2023. *Carla Serena, seule dans le Caucase : Aventurière ou espionne ?* Présenté et annoté par Philippe Cramer. Paris: Les éditions du Palais.
Serena, Carla. 1880. "Excursion dans le Caucase, de la Mer Noire à la Mer Caspienne." *Le Tour du Monde,* XL: 289-304.
Serena, Carla. 1881a. "Un tour en Mingrélie." *Le Tour du Monde,* XLI: 385-416.
Serena, Carla. 1881b. *Mon voyage, souvenirs personnels : I, De la Baltique à la mer Caspienne.* Paris : M. Dreyfus.
Serena, Carla. 1882a. "Excursion au Samourzakan et en Abkhasie." *Le Tour du Monde,* XLIII: 353-416.
Serena, Carla. 1882b. "Trois mois en Kakhétie." *Le Tour du Monde,* XLIV: 193-240.
Serena, Carla. 1884. "La Gourie et les régions de Gori, Börjom et Achalzick." *Le Tour du Monde,* XLVII: 385-416.

Illustrations

Figure 1. Jane Dieulafoy. The bridge in Erivan. March 1881. © Bibliothèque de l'Institut National d'Histoire de l'Art, collections Jacques Doucet. NUM 4 PHOT 018 (1).



Figure 2. The bridge in Erivan. Engraving after a photograph by Jane Dieulafoy. Drawing by Taylor. "Le Tour du Monde," XLV, 1883.

Figure 3. Frescoes in the Cathedral of Bedia. Engraving after a photograph by Carla Serena. Drawing by D. Lancelot. "Le Tour du Monde," XLIII, 1882.

Figure 4. The Armenian church at Choucha. Engraving after a photograph by Bellonie Chantre. B. Chantre, "À travers l'Arménie russe," 1893.



Figure 5. A nobleman from Samurzakano holding a dagger; in the background, the village store of Otsartse. Engraving after the photographs by Carla Serena and Dimitri Ermakov. "Le Tour du Monde," XLIII, 1882.

Figure 6. Dimitri Ermakov. A man from Imereti (Kutaisi). © Russian Museum of Ethnography in St. Petersburg, РЭМ 5351-11

პირველი მოგზაური ფოტოგრაფი ქალები კავკასიაში: ჟან დიოლაფუა, კარლა სერენა და ბელონი შანტრი

ანა ჭეიშვილი
რუსეთის, კავკასიის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის კვლევების ცენტრი,
სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა (CERCEC/EHESS)
ana.cheishvili@ehess.fr
მონაკოს ახალი ეროვნული მუზეუმი
a.cheishvili@nmnm.mc

მეცხრამეტე საუკუნის ევროპელმა მოგზაურმა ქალებმა ჟან დიოლაფუამ (1851-1916), კარლა სერენამ (1824-1884) და ბელონი შანტრმა (1866-1952) კავკასიის ფოტოგრაფიის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. სამწუხაროდ, მათი ფოტოგრაფიული მემკვიდრეობა დღესდღეობით უცნობი და შეუსწავლელია.

1881 წელს, მეუღლესთან ერთად სპარსეთისკენ სამეცნიერო მივლინებით მიმავალმა არქეოლოგმა და ჟურნალისტმა ჟან დიოლაფუამ სამხრეთ კავკასიაში ფოტოების სერია გადაიღო. დიდი ხნის მანძილზე ეს ფოტოები დაკარგული ეგონათ და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინეს პარიზის ხელოვნების ისტორიის ეროვნული ინტიტუტის ბიბლიოთეკაში. დიოლაფუას მუშაობის სტილი, მის მიერ ნაჩქარევად გადაღებული კადრები, საკმაოდ განსხვავდება სერენასა და შანტრის მიერ შექმნილი კარგად გააზრებული კომპოზიციებისგან. კარლა სერენა, რომელმაც ასევე 1881 წელს მარტომ იმოგზაურა საქართველოში, განსაკუთრებით დაინტერესდა ადგილობრივი ცხოვრების სცენებითა და არქიტექტურით. მიუხედავად იმისა, რომ მის ფოტოებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მათ შესახებ საუბარი შესაძლებელია იმ გრავიურების მეშვეობით, რომლებიც ამ ფოტოების მიხედვით დაამზადეს. რაც შეეხება ბელონი შანტრს, რომელმაც 1890 წელს მეუღლესთან ერთად სამეცნიერო მივლინების ფარგლებში მოიარა საქართველო და სომხეთი, მან ყურადღება გაამახვილა ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ფოტოგრაფიაზე. ბელონიმ სამოგზაურო ჩანაწერების გამოქვეყნებისას მიუთითა, რომ გრავიურები შესრულებული იყო მისი მეუღლის, ცნობილი არქეოლოგის ერნესტ შანტრის მიერ გადაღებული ფოტოების მიხედვით; თუმცა ტექსტის შესწავლისას ჩანს, რომ სწორედ ბელონი იღებდა და ხშირად ადგილზევე ამჟღავნებდა ფოტოებს.

ის გამოწვევები, რის წინაშეც ეს ფოტოგრაფი ქალები აღმოჩნდნენ, ნათლად ასახავს XIX საუკუნის ფოტოგრაფთათვის საველე სამუშაოების სირთულეებს. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად ეჭვის თვალით უყურებდა ფოტოაპარატს და ეს გარკვეულწილად ართულებდა სურათების გადაღების პროცესს.

სამივე მოგზაურის მიერ გადაღებულმა ფოტოებმა ჩვენამდე მოაღწია ფრანგულ ჟურნალში „Le Tour du Monde“ გამოქვეყნებული გრავიურების სახით. მიუხედავად იმისა, რომ გრავიურებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პიონერი ქალი ფოტოგრაფების ვიზუალური მემკვიდრეობის შენარჩუნებაში, კვლევისას მაინც რთულია ამ გამოსახულებებზე დაყრდნობა: გრავურის დამზადებისას ნახატი ხშირად მხატვრის ინტერპრეტაციას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ფოტოს რეპროდუქციას.

დიოლაფუას, სერენას და შანტრის ნამუშევრების ერთმანეთთან შედარებამ ცხადყო მუშაობის განსხვავებული სტილი და მიდგომები, რომლებიც ჩამოყალიბდა მათი განსხვავებული მიზნებითა და გარემოებებით. ქალი ფოტოგრაფების მიმართ მზარდი ინტერესის მიუხედავად, ამ სამი ფოტოგრაფის სახელი და მათ მიერ კავკასიაში მოგზაურობისას გადაღებული ნამუშევრები არ შესულა არცერთ ენციკლოპედიასა თუ ბეჭდურ ნაშრომში. მათი ნამუშევრების ხელახლა აღმოჩენა და შესწავლა მნიშვნელოვანია კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად და იმ წვლილის დასაფასებლად, რაც ჟან დიოლაფუამ, კარლა სერენამ და ბელონი შანტრმა კავკასიის ვიზუალური ისტორიის დაფიქსირებაში შეიტანეს.

ისტორიოგრაფია

HISTORIOGRAPHY

სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
merab.kalandadze@tsu.ge

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ერთი კონკრეტული საკითხის გაშუქებას: სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პერიოდიზაცია. ამ რთული პრობლემის შესახებ სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედინებს, რომ მასზე ქართულ ენაზე დღემდე არაფერი დაწერილა. ვიმედოვნებთ, რომ ის დაეხმარება სტუდენტებს ამ თემაზე საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბებაში. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით კორექტივები შევიტანოთ სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციაში.

აქვე უნდა შევეხოთ კიდევ ერთ ფაქტს: ეს ფინეთის ისტორიის პერიოდიზაციაა, ის შედარებით განცალკევებით დგას, რაც, ცხადია, შემთხვევითი არაა და მნიშვნელოვანწილად ასოცირდება ფინეთის ისტორიული განვითარების სპეციფიკურობასთან. საქმე ისაა, რომ ფინეთი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დიდი ხნის განმავლობაში არ არსებობდა (ტაბაღუა 1975).

****

ტრადიციულად, ძველი ისტორიის შესწავლის დროს მთავარ პრობლემას წყაროების სიმწირე წარმოადგენს. ფრანგი ისტორიკოსები შარლ ლანგლუა და შარლ სენიობოსი თავის საინტერესო წიგნში: *ისტორიული მეცნიერების შესავალი*, რომელიც წარმოადგენს „პოზიტივიზმის ბიბლიას“ გულისტკივილით აღნიშნავდნენ, თუ

> როგორ მამაცურად ებრძოდნენ ძველი ისტორიკოსები, მაგრამ ამაოდ, იმ სიძნელეებს, რომლებიც სრულებითაც არ წამოიჭრებოდნენ, მათ უფრო ვრცელი ისტორიული მასალა, რომ ჰქონოდათ ხელთ, თვით შესანიშნავი შორსმჭვრეტელობაც კი ვერ ცვლის ნივთიერ საბუთთა ნაკლებობას (ლანგლუა, სენიობოსი 1899: 14.)

ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არ წარმოადგენს სკანდინავიის ქვეყნების უძველესი და ძველი ისტორიაც.

ჩვენთვის საინტერესო თემაზე მასალების მოძიება შესაძლებელია რომაელი და ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფოსების ნაწერებში. ამ კუთხით ყურადღებას იპყრობს ტაციტუსის, პლინიუს უფროსის, პტოლემაიოსის, იორდანეს, პროკოპი კესარიელის თხზულებები. ითვლება, რომ სახელწოდება სკანდინავია/სკანდია, პირველად გამოიყენა რომაელმა გეოგრაფოსმა პლინიუს უფროსმა. ეს რეგიონი გახლავთ დატანილი პტოლემაიოსის რუკაზეც, მაგრამ მას ის წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც ნახევარკუნძული, არამედ როგორც კუნძული. ანტიკური პერიოდის ავტორები იცნობდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ სკანდინავიელებს, ხოლო სხვა ტერიტორიები, კერძოდ, ნორვეგია, მათი თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა.

დავიწყოთ წინარე ისტორიული ხანით, პრეისტორიით, რომელსაც საბჭოთა ისტორიოგრაფია პირველყოფილ საზოგადოებას უწოდებდა.

სკანდინავიის ქვეყნების ტერიტორიაზე ადამიანის ნაკვალევი მჭიდროდ უკავშირდება ყინულის საფარის დნობას, რომელსაც მეცნიერების აზრით, ადგილი ჰქონდა დაახლო-

ებით თერთმეტი ათასი წლის წინათ. ახალი წელთაღრიცხვის I-II ათასწლეულის მიჯნაზე სრულდება სკანდინავიის ქვეყნების წინარე ისტორიული ხანა (კლარკი 1953).

****

სპეციფიკური ბუნებრივი გარემოს გამო სკანდინავიის ქვეყნების განვითარება ძველ პერიოდში შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს ისიც, რომ აქ რომანიზაციის კვალი ძალზე სუსტი, მკრთალია. გაცილებით უფრო მკაფიოა გერმანული გავლენები.

როგორც მივუთითეთ, ეს იმით აიხსნება, რომ წინარე ისტორიული ხანა ძალიან დიდხანს გაგრძელდა, ხოლო შუა საუკუნეები დაიწყო გაცილებით უფრო გვიან. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეები, ისტორიკოსების აზრით, დაიწყო IX საუკუნეში, ხოლო მისი დასასრული, XVI საუკუნის დასაწყისში ახალი იდეების გავრცელებას, რეფორმაციას, უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან მიმართებაში, გასაბჭოებამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში სწორედ ეს უკანასკნელი მოსაზრება იქნა გაზიარებული: სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მიჯნად XVI საუკუნის დასაწყისი, ახალი იდეების გავრცელება, რეფორმაცია, მიიჩნეოდა, ხოლო საწყის პერიოდად კი IX საუკუნე, კერძოდ, ვიკინგთა ლაშქრობები (უზნაძე, გველესიანი 1919).

ზემოთ ხსენებული დათარიღების საფუძველად მიიჩნევა ორი ფაქტორი: სახელმწიფოს წარმოქმნა და ვიკინგების ლაშქრობები (კანი 1980).

სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია სამ პერიოდად იყოფა. ფაქტობრივად, ეს გახლავთ ამ რეგიონის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შიდა პერიოდიზაცია. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ის ითვალისწინებს ამ საკითხისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომის გადასინჯვას. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია დღეს მოძველებულია. საბჭოთა ისტორიოგრაფია პერიოდიზაციის საკითხებს უკავშირებდა ადრეკლასობრივი საზოგადოების წარმოშობას. ეს იყო პრობლემისადმი ცალმხრივი მიდგომა.

ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც ამ მოსაზრების მთავარ პრობლემად მიგვაჩნია. დავიწყოთ იმით, რომ გარკვეული კორექტივების შეტანას და დაზუსტებას საჭიროებს სკანდინავიის ქვეყნებში განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩო. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიღებული დათარიღება, რომელიც სკანდინავიაში შუა საუკუნეების დასრულების ზედა თარიღად XV საუკუნის მიწურულს გულისხმობდა, არ არის მართებული. რეალურად, ეს გახლავთ ორი სრულიად განსხვავებული ეპოქა. განვითარებული შუა საუკუნეები (XII-XIII სს) და გვიანი შუა საუკუნეები (XIV-XV სს).

რაც შეეხება მეორე გარემოებას. სანამ ჩვენ მოსაზრებას წარმოვადგენდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ისტორიის პერიოდიზაციის საკითხებთან მიმართებაში ევროპულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიას შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო სხვაობა გვიანი შუა საუკუნეების დათარიღებასთან დაკავშირებით არსებობს. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, უმთავრესად, სტალინის გავლენით, მიიჩნეოდა, რომ გვიანი შუა საუკუნეები მთავრდებოდა XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებით (უდალცოვა და *სხვები* 1949), რაც პრინციპულად არასწორად მიგვაჩნია. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ შეხედულებამ მცირე სახეცვლილება განიცადა. კერძოდ, ამჯერად ამ ორ ეპოქას შორის ზღვარი XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციაზე გაიდო. შეუსაბამობა ნაწილობრივ იქნა გასწორებული გ. ტივაძისა და გ. ჩხარტიშვილის ნაშრომებში (ჩხარტიშვილი 1963), (ტივაძე 1970).[1]

როგორც აღვნიშნეთ, ისტორიკოსები ე. წ. „ვიკინგების ხანას“ (IX-XI სს) მოიაზრებდნენ, შუა საუკუნეების სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის პირველ პერიოდად ანუ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიად. ვიკინგთა ლაშქრობა არ ატარებდა ლოკალურ ხასიათს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან დიდი გავლენა იქონია არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებზე, მაგალითად, რუსეთზე, ასევე მათ დიდი კვალი დატოვეს დასავლეთ ევროპის

ისტორიაში. შეაღწიეს ინგლისში, საფრანგეთში, სადაც 911 წელს დააარსეს ნორმანდიის საჰერცოგო, რომლის ჰერცოგმა 1066 წელს დაიპყრო ინგლისი და ისტორიაში შევიდა უილიამ დამპყრობელის სახელით.

XII საუკუნის დასაწყისში ადრინდელი შუა საუკუნეების ხანა, თანდათან ჩაანაცვლა განვითარებულმა შუა საუკუნეებმა, რომელმაც გასტანა XIII საუკუნის ბოლომდე და არა XV საუკუნის მიწურულამდე, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეპოქის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიული განვითარება თავისებური ხასიათით გამოირჩეოდა. ეს, პირველ ყოვლისა, იმაში გამოიხატებოდა, რომ ადრეული შუა საუკუნეების ხანა ძალიან დიდხანს გაგრძელდა და XII საუკუნეშიც შემორჩა გარკვეული ელემენტები, რაც ამ რეგიონის ქვეყნებში ისტორიული პროცესის განვითარების ნელი ტემპით იყო განპირობებული.

სკანდინავიის ქვეყნებში საქმე გვაქვს ადრეული შუა საუკუნეების და განვითარებული შუა საუკუნეების ნაზავთან. ძველი თანდათან უთმობს ადგილს ახალს, ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ქალაქების აღმოცენება. ამ სიახლეებს მძლავრი სტიმული მისცა ორმა გარემოებამ ფეოდალიზაციის სწრაფმა ტემპმა და ქრისტიანობის გავრცელებამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი სკანდინავიის ქვეყნებში ერთნაირად არ მიმდინარეობდა. დანიასა და შვედეთში ის უფრო სწრაფი ტემპით გამოირჩეოდა ვიდრე ნორვეგიაში.

განვითარებული შუა საუკუნეები სრულდება XIV საუკუნის დასაწყისში. მსგავსი დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია ორი გარემოება. ეს გახლავთ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და დიდგვაროვანი არისტოკრატიის გაძლიერება. მეფე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობს დაეყრდნოს წვრილ თავადაზნაურობას, მოქალაქეებს და თავისუფალ გლეხობას. ამგვარ პოლიტიკას ატარებდა შვედეთის მეფე მაგნუს ერიქსენი (1319-1363).

სკანდინავიის ქვეყნების განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის შიდა მიჯნად პირობით სახელდება XIII საუკუნის დასაწყისი. სიახლეები შეუქცევად ხასიათს იძენს, დანიაში ასეთი იყო სამეფო ხელისუფლების დაკნინება. შვედეთში ის უფრო ეკონომიკურ ფაქტორებთან აღმოჩნდა დაკავშირებული, კერძოდ, ქალაქების აღმოცენებასთან. 1253 წელს დაარსდა სტოკჰოლმი. ამ პერიოდს ემთხვევა შვედეთის საგარეო პოლიტიკის გააქტიურება ჩრდილოეთით ფინეთსა და ნევაზე. ნორვეგიაში ის მჭიდროდაა დაკავშირებული ეკლესიის გაძლიერებასთან, რომელიც ცდილობს დაამყაროს თავისი კონტროლი სამეფო ხელისუფლებაზე (კანი 1980); (ანდერსონი 1951); (მელინი და *სხვები* 2001).

შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, XIV-XV საუკუნეები წარმოადგენს არა სკანდინავიის ქვეყნების განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის გაგრძელებას, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, არამედ შუა საუკუნეების ისტორიის სულ სხვა ფაზას, კერძოდ, გვიან შუა საუკუნეებს. ეს იყო „შუა საუკუნეების შემოდგომა“.

სკანდინავიის ქვეყნების განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეების ისტორიას შორის წყალგამყოფად გვევლინება XIV საუკუნის დასაწყისი. სახელდობრ, არისტოკრატიის გაძლიერება და სამეფო ხელისუფლების დასუსტება. ასე იყო შვედეთში, დანიაში. ცოტა სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე ნორვეგიასთან მიმართებაში. ის გარშემორტყმული იყო თავისზე უფრო ძლიერი მეზობლებით და იძულებული იყო დამორჩილებოდა ხან ერთს, ხან კი – მეორეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნორვეგია მათზე იყო დამოკიდებული ეკონომიკური თვალსაზრისითაც. კერძოდ, პურის მიწოდების მხრივ. სკანდინავიის ქვეყნების გვიანი შუა საუკუნეების ისტორიისათვის მნიშნელოვანი მიჯნაა XIV საუკუნის მიწურული. კონკრეტულად კი, 1397 წელი, კალმარის უნია, როდესაც დანია, შვედეთი და ნორვეგია გაერთიანდნენ ერთ სამეფოდ, რომელმაც 1523 წლამდე იარსება. ამ პერიოდიდან სკანდინავიის ქვეყნებში ვრცელდება ახალი იდეები – რეფორმაცია.

შუა საუკუნეების ისტორია ასოცირდება არა ფეოდალიზმის ეპოქასთან, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია, არამედ წარმოადგენს ინდუსტრიამდელი ცივილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

****

XVI საუკუნის დასაწყისში, კალმარის უნიის დაშლისა და რეფორმაციის გავრცელების შემდგომ, ახალი პერიოდი დაიწყო სკანდინავიის ქვეყნების ისტორიაში. ამ ე. წ. ახალი ისტორიის დასასრულად პირობითად სახელდება 1914 წელი, პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი. კონკრეტულად კი, 1914 წლის 31 ივლისი და 3 აგვისტო, როდესაც შვედეთმა ოფიციალურად მიიღო დეკლარაცია პირველ მსოფლიო ომში ნეიტრალიტეტის შესახებ. ასევე ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ატარებდნენ დანია და ნორვეგიაც. აქ დასრულდა სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორია.

თუ შუა საუკუნეების ეპოქაში რეგიონის ლიდერის როლში დანია გვევლინებოდა ახალ დროში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, მკვეთრ სახეცვლილებასთან გვაქვს საქმე და რეგიონის ლიდერის როლი ახლა შვედეთმა იტვირთა.

თავის მხრივ, სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიაც შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ: 1. სკანდინავიის ქვეყნები ადრეულ ახალ დროში. ის იწყება რეფორმაციით სკანდინავიის ქვეყნებში XVI საუკუნის დასაწყისში და გასტანა XVIII საუკუნის მიწურულამდე, როდესაც 1789 წელს დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია და 1788-1790 წლებში რუსეთ-შვედეთის ომის დასრულებამდე; 2. სამრეწველო გადატრიალება და საპარლამენტო რეფორმები. პირობითად ის მოიცავს მონაკვეთს XVIII საუკუნის მიწურულიდან და XIX საუკუნის 70-იან წლებამდე; 3. კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიშანსვეტი ჩანს XIX საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც ინდუსტრიული ცივილიზაციის განვითარება სკანდინავიის ქვეყნებში შეუქცევად ხასიათს იძენს. XX საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ, 1914 წელს დაწყებული პირველი მსოფლიო ომით სრულდება თავისუფალი მეწარმეობის მოდერნიზაციის პროცესი.

ახალი ისტორია არ ასოცირდება კაპიტალისტურ ეპოქასთან, როგორც ამას ამტკიცებდა საბჭოთა მარქსისტული ისტორიოგრაფია. ახალ დროში ხდება ძველი აგრარული საზოგადოების ჩანაცვლება ახალი უფრო პროგრესული ინდუსტრიული ცივილიზაციით.

ახალი ისტორიის ზემოთ ხსენებული პერიოდის მიჩნევა შუა საუკუნეებად არაა მართებული. ეს არც გვიანი შუა საუკუნეები არაა, რომელზეც სტალინის ძალისხმევით, საუბრობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია (ისტორიის პროგრამა 1938), და არც გარდამავალი პერიოდი, როგორც ეს ითვლებოდა პოსტსაბჭოთა წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში (ჟორდანია 1991); (გეთიაშვილი 2000); (კუტალია 2004). ეს ერთმნიშვნელოვნად გახლავთ ადრეული ახალი დრო. ამ საკითხზე კამათი ღია კარის მტვრევად მიგვაჩნია (კალანდაძე 2017ა); (კალანდაძე 2017ბ). დღეს მსგავსი ძიებები მიმართულია პოსტსაბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩენილი სიახლეების წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ახალს არაფერს გვთავაზობს. მარქსისტული პერიოდიზაციის გადასინჯვა ზედაპირულ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სიტყვიერად ხდება. სინამდვილეში მისი შეფუთვის მცდელობასთან უფრო გვაქვს საქმე ვიდრე თვისებრივ ცვლილებასთან.

ადრეული ახალი ისტორიისადმი ფორმაციული მიდგომა და ვიწრო კლასობრივი ხედვა, ამ პერიოდში მიმდინარე ისტორიული პროცესების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. XVI საუკუნიდან მოყოლებული საქმე გვაქვს უმწვავეს დაპირისპირებასთან ძველ აგრარულ საზოგადოებასა და ინდუსტრიულ ცივილიზაციას შორის. ძველი აგრარული საზოგადოება ასე ადვილად არ თმობს პოზიციებს. ინდუსტრიული ცივილიზაცია ცდილობს ადგილის დაკავებას. ინდუსტრიამდელი ცივილიზაცია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის, კვლავ ვიტყვით, რომ ეს არც გვიანი შუა საუკუნეების ისტორია არაა, როგორც ამას ხაზს უსვამდა სტალინურ პერიოდში, 30-40_იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფია და არც გარდამავალი პერიოდი, როგორც ამას ფიქრობს ზოგიერთი ქართველი მედიევისტი. როგორც აღვნიშნეთ, 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციითა და 1790 წელს რუსეთ-შვედეთის ომის დასრულების შემდეგ იწყება სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის მეორე პერიოდი, რომელმაც გასტანა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე და ძირითადად ორ გარემოებასთან ასოცირდებოდა: პირველი სკანდინავიის ქვეყნებში დასრულდა სამრეწველო გადატრიალების პროცესი და 1865-1866 წლების საპარლამენტო რეფორმა. თავის მხრივ, ეს პერიოდიც მოიცავს რამდენიმე ეტაპს: 1808-1809 წლების რუსეთ-შვედეთის ომსა და 1809-

1810 წლების რევოლუციას; ასევე, ნაპოლეონის ეპოქას, როდესაც შვედეთი აქტიურად იყო ჩართული ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში (ეგოროვი 1998: 7-89); (მიქაბერიძე და *სხვები* 2016: 216-229).

დაბოლოს, სად მთავრდება სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორია და იწყება უახლესი ისტორია? ის მოძრავია. აქ იგულისხმება ის, რომ რაც დღეს უახლესი ისტორიაა ხვალ გახდება ახალი ისტორია. საბჭოთა წლებში უახლეს ისტორიას იწყებდნენ 1917 წლის ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით, თუმცა ის არც დიდი და არც რევოლუცია არ ყოფილა. ამგვარი მიდგომის მთავარი ინიციატორი, ცხადია, პროლეტარიატის დიდი ბელადი, სტალინი იყო. სინამდვილეში ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, როგორც ეს მიღებული იყო საზღვარგარეთულ ლიტერატურაში. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი ოქტომბრის გადატრიალების ჩრდილში მოექცა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, ასეთი მიდგომა ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო.

უახლესმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ სცადა გაესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამ ორ ეპოქას შორის მიჯნად, ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტები ახლა უკვე პირველი მსოფლიო ომის დასაწყისს მოიაზრებენ (პაპასქირი 2009). ეს გაცილებით უფრო სწორი და მისაღებია, თუმცა ვერც ეს ცვლილება პასუხობს არსებულ გამოწვევებს სრულყოფილად. ეს არის მედლის ერთი მხარე, თუმცა მას აქვს მეორე მხარეც. ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო მართებულია, უახლესი ისტორიის პერიოდიზაცია დავიწყოთ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, მოხდა გერმანიის გაერთიანება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებული სისტემის ჩამოშლა.

ასე წარმოგვიდგენია ევროპის ქვეყნებისა და, კერძოდ, სკანდინავიის ქვეყნების პერიოდიზაციაც, XX საუკუნის 90-იანი წლებში იწყება სკანდინავიის ქვეყნების უახლესი ისტორია, რომელიც დღესაც გრძელდება.

საბჭოთა პერიოდში არსებული სკანდინავიის ქყვეყნებისა და ზოგადად პერიოდიზაციის საკითხების გადააზრებით გვსურს ხელი შევუწყოთ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად ფეხმოკიდებული საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური იდეების გადასინჯვის პროცესს. სკანდინავიის ქვეყნების პერიოდიზაციის საკითხის შესახებ დისკუსიის განვითარება სწორედ ამგვარ საშუალებად გვესახება. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება აღნიშნული საკითხის შესწავლის პროცესის მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯი.

შენიშვნა

[1] თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ გაასწორა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დააბრუნა. იხ.: (ანთაძე და *სხვები* 1992); (კალანდაძე 2007); (კალანდაძე 2017ა); (კალანდაძე 2018).

დამოწმებანი

ანდეროსონი 1951: И. Андерсон. *История Швеции*, Москва.

ანთაძე და *სხვები* 1992: კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაციისათვის, *მაცნე*, ისტორიის სერია, N2, თბილისი.

გეთიაშვილი 2000: ა. გეთიაშვილი. რამდენად მისაღებია ეს ქრონოლოგია, ანუ განა უნდა დაუბრუნდეს XV საუკუნეს? *შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, ნაწილი მეორე, თბილისი.

ეგოროვი 1998: А. Егоров. *Маршалы Наполеона*, Ростов –на- Дону.

ისტორიის პროგრამა 1938: საშუალო საუკუნეების ისტორიის პროგრამა : უნივერსიტეტებისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტებისათვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

კანი 1980: А. С. Кан. *История скандинавских стран* (Дания, Норвегия, Швеция), второе издание,

Издательство высшая школа, Москва.
კალანდაძე 2007: მ. კალანდაძე. *მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში*, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი.
კალანდაძე 2017ა: მ. კალანდაძე. *შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, №9-10.
კალანდაძე 2017ბ: მ. კალანდაძე. ერთი აქტუალური პრობლემის გამო, ანუ დავა უდავო საკითხზე, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, *ჰუმანიტარულ-მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები*, ტ. ,VI, თბილისი.
კალანდაძე 2018: მ. კალანდაძე. ინდუსტრიული ცივილიზაციის ძირითადი ეტაპები, *ქართული დიპლომატია*, წელიწდეული, 18, თბილისი.
კლარკი 1953: Г. Д. Кларк. *Доисторическая Европа*, Москва.
კუტალია 2004: *შუა საუკუნეების ისტორია*, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, ნაწილი პირველი, გ. კუტალიას რედაქციით, თბილისი.
ლანგლუა, სენიობოსი 1899: Ш. Ланглуа, Ш. Сеньобос. *Введение в изучение истории*, Санкт-Петербург.
მელინი და *სხვები* **2002**: Я. Мелин, А. Юханссон, С. Хеден Борг. *История Швеции*, Москва.
მიუსე 2001: А. Мюссе. *Варварские нашествия на Европу*, вторая волна, Москва.
მიქაბერიძე და *სხვები* **2016**: ა. მიქაბერიძე, ნ. ხოფერია, ლ. მიქაბერიძე, ნაპოლეონის მარშლები, თბილისი.
ჟორდანია 1991: გ. ჟორდანია, *შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე*, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
ტაბაღუა 1975: ი. ტაბაღუა, *ფინეთი: მოგზაურის შთაბეჭდილებანი*, საბჭოთა საქართველო, თბილისი.
ტივაძე 1970: გ. ტივაძე, *შუა საუკუნეების ისტორია*, ნაწილი მეორე, თბილისი.
უდალცოვა და *სხვები* **1949**: შუა საუკუნეების ისტორია, ტ., 2. ა. უდალცოვის, ს. სკაზკინის და ო. ვაინშტეინის რედაქციით, თბილისი.
უზნაძე, გველესიანი 1919: დ. უზნაძე, ი. გველესიანი, *ახალი ისტორია* (XV-XVII სს), თბილისი.
ჩხარტიშვილი 1963: გ. ჩხარტიშვილი. *შუა საუკუნეების ისტორია*, თბილისი.

PERIODIZATION OF THE HISTORY OF SCANDINAVIAN COUNTRIES ACCORDING TO GEORGIAN SOVIET HISTORIOGRAPHY

Merab Kalandadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
merab.kalandadze@tsu.ge

The present research is addressing one particular topic: periodization of Scandinavian history.

On a basis of provided facts the author tries to invalidate the periodization of Soviet historiography of the history of the Scandinavian countries. He hopes that his attempt would contribute to study the issue in question according to requerements of modern scholarship.

საარქივო
მასალების პუბლიკაცია

PUBLICATION
OF ARCHIVAL MATERIAL

ცხავატის ხეობის მოსახლეობა XIX საუკუნის 60-იან წლებში

დავით ახლოური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
datoakhlouri@gmail.com

ისტორიული ცხავატის ხევი ფეოდალური საქართველოს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ, მაღალი კულტურის მატარებელ სახევისთავოს წარმოადგენდა (ქენქაძე 2008: 26).

ცხავატის ხევის ტერიტორიაზე ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე შესანიშნავი ძეგლია, მათ შორის, მაცხოვრის ეკლესია, რომელიც „ჩუმაანთ უბანში" მდებარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება (გვიანდელი გადაკეთებებით). აშენებულია ფლეთილი ქვითა და ქართული აგურით, იატაკის დასაგებადაც ქართული აგურია გამოყენებული. ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც თეთრადაა შელესილი.

XIX საუკუნეში ტაძრის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე სარკმლები გაუგანიერებიათ. სამრეკლო ეკლესიის დასავლეთ კეხზეა დადგმული. აღმოსავლეთ სარკმლის თავსართად შირიმის ქვაზე ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი.

ეკლესიის სამხრეთით გაჭრილ სარკმლის თავზე, კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გაუყვება თარო. დასავლეთის ფასადი სადაა, ჩრდილოეთის ფასადზე კი კამარის ქუსლი შეიმჩნევა.

აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ ქვის ფიქალზე (93/31 სმ.) განთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, სადიდებელი „ერის ცხავატისა" და ხელოსან ინა კალატოზისა, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი და გიორგი ოთხმეზური პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობით X საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ჯონდო გვასალია – IX-XI საუკუნეებით (შოშიაშვილი 1980: 191-192); (ოთხმეზური 1996: 139); (გვასალია 1967: 38).

ეკლესიის გარშემო ყორე გალავანია, გალავნის გარეთ საფლავის ქვებია. თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილს მაცხოვრის ეკლესიაში ორი ჯვარი უნახავს. მისი აღწერით, ფოთლოვანი ოქროს ორნამენტით შემკობილი პირველი ჯვრის წინა მხარეზე მაცხოვრის გამოსახულებას ამშვენებდა წარწერა: „იესო ქრისტე". ცენტრში ფრთოსანი ანგელოზი და სახარებით ხელში ლუკას გამოსახულება. უკანა მხარეს ვერცხლის ფურცელზე XIV საუკუნის მხედრული წარწერა ყოფილა, სადაც რიზია ქვენიფნეველი იხსენიება (თაყაიშვილი 1915: 106).

რიზია ქვენიფნეველი იმ ქართველთა შორის იყო, რომელიც ბაგრატ V-ემ თემურ ლენგის წინააღმდეგ მებრძოლ სომხებს მიაშველა. რიზია და მისი მედროშე სეფე ყმა, ხოზოეთელი (ქარჩოხის ხეობა) ოქროპირ გამხიტაშვილი ბასიანში ტყვეთა შორის აღმოჩენილან (დადიანიძე 2008: 238-239).

მაცხოვრის ეკლესიის წარწერაში საყურადღებოა ფრაზა „ერი ცხავატი", რომელიც ტაძრის აღმშენებელია. ჯ. გვასალიას მინიშნებით: აქ ტერმინი „ერი" აღნიშნავს პატარა ხევის ანუ სასოფლო თემის მოსახლეობას" (გვასალია 1967: 38).

მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ეკლესიის გარდა, ცხავატის ხევის ტერიტორიაზე მდებარეობს გვიანი შუა საუკუნეების წმინდა გიორგის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების „ლომთის ეკლესია", გარდამავალი ხანის წმინდა გიორგის ეკლესია, გვიანი შუა საუკუნეების წმინდა ბარბარეს კოშკი-სალოცავი, გარდამავალი შუა საუკუნეების ეკლესია ადგილ ვაკიჯვარში, XX საუკუნის ნიში ვაკიჯვრის ეკლესიიდან ხუთ კილომეტრში, გარდამავალი ხანის შხამურის ციხე.[1]

ცხავატის ხევის ტერიტორიაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელი (ცხავატი ასევე სახელწოდება გახლავთ ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, რომელიც დაბა ფა-

სანაურის ჩრდილოეთითაა სოფელ ქვეშეთამდე) ცხავატი მდებარეობს ახალგორიდან 20 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე. ს. მაკალათიას მინიშნებით „ცხავატურა" (ასე მოიხსენიებს იგი სოფელს) მდინარე ქსნიდან, სადაც მას ცხავატურა შეერთვის, 3-4 კილომეტრზეა, სოფელი მთაზეა და შვიდ უბნადაა დაყოფილი" (მაკალათია 1968: 75). ტოპონიმი „ცხავატი" მიგვითითებს მთაგორიან, ბარიდან მთისკენ გარდამავალი რელიეფის აღმნიშვნელ მხარეზე.

ცხავატის ხევი განსაკუთრებით ცნობილი იყო მეთუნეობით. ცხავატური თიხის ჭურჭელი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა მთელ საქართველოში (მაკალათია 1968: 75).[2] მდიდარი ტრადიციებიდან გამომდინარე ცხავატურ მეთუნეობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ცხავატის ხევის მოსახლეობის ერთ-ერთ უძველეს საქმიანობად მევენახეობა ითვლებოდა. მდინარე ცხავატურაზე – რეხვას მარჯვენა ნაპირზე ტერასულად ჰქონიათ გაშენებული ვაზი – მაღლარი. „ვაზს რომ ქსნის ხეობაში საპატიო ადგილი ეკავა, იქიდანაც ჩანს, რომ ქსნის ერისთავების რეზიდენციაში 1759 წელს აგებული ლარგვისის წმინდა თევდორეს სახელობის ეკლესიის კარები, გადმოცემის მიხედვით, ცხავატის ვაზისაგან ყოფილა დამზადებული" (ქენქაძე 2010: 157).

ცხავატის მოსახლეობის შესახებ პირველ ცნობებს ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობებში ვხვდებით. 1774 წლის მონაცემებით, ცხავატში 35 კომლი ცხოვრობდა (წყაროში მოხსენიებულია ცხაოტის სახელწოდებით). უმეტესობა ბუნტურები იყვნენ: 23 კომლი (40 მამრობითი სქესის მცხოვრებით), მელთაურები 1 კომლია (3 მამაკაცი), ჟივიძეები – 4 კომლი (5 მამაკაცი), ყურაულები – 3 კომლი (3 მამაკაცი), ცხავატის ღვთისმშობლის ეკლესიას ეკუთვნოდნენ ოსიშვილები – 2 კომლი (2 მამაკაცი), 1 კომლი ბოგანოდ მოსული ახლოურები იყვნენ: „აქავ ბოგანო ახლოური გიორგის შვილი კომლი ა, თავი ბ ქიტესა და აღდგომელა". წყაროში ვხვდებით ხიზან არაგვის ერისთავის ყმას ხადელ ჩოქურის შვილს ვაჟიკას. სულ: 56 მამაკაცია.

საყურადღებოა, მცხოვრებთა სტატუსები. ვხვდებით მოურავ შიო ბუნტურს, რამდენიმე მსახურს, ხაბაზს, მეჯინიბეს, მზარეულს, ფარეშს, ბოგანოს. ხიზანს... განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო მსახურის ინსტიტუტს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოში, იგი ჩვეულებრივ გლეხზე უფრო დაფასებული ჩანს. მაგალითად, ბექას სამართლის მიხედვით მსახურის სისხლი შეფასებულია 1000 თეთრად, გლეხის სისხლი – 400 თეთრად, ხოლო აზნაურის – 12000 თეთრად (ახლოური 2021: 61).

რევაზ ერისთავის მიერ თამაზა ბუჩაშვილისადმი გაცემულ XVII საუკუნის სითარხნის წყალობის წიგნში ვკითხულობთ, რომ მსახურის ძირითადი მოვალეობა ლაშქრობისა და ნადირობის დროს მებატონის გვერდით ყოფნა და ძღვენის მირთმევა იყო:

> არა კოდის პური, არა ღალა, არა კულუხი, არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზვარში მუშაობა, არა ქვევრის რეცხვა... არაფერი ღუთის განაჩენი ხორციელის კაცის სარჩო და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნადირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას საბელი არ ათხუო (ბერძენიშვილი 1940: 20).

ცხავატში მცხოვრები ბუნტურების გარკვეული ნაწილი პრივილეგირებულ გლეხთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მსახური შეძლებულ გლეხს უტოლდებოდა და მას მხოლოდ ლაშქრობა-ნადირობისა და თავადის კარზე სამსახური უნდა გაეწია. საინტერესოა მსახურთან დაკავშირებული დ. გვრიტიშვილის მოსაზრება: „არ არის გამორიცხული ვიფიქროთ, რომ მსახურთა სახით თავადებს ჰყავდათ შეიარაღებული ამალა, რომელსაც იყენებდნენ როგორც ურჩი ყმების დასასჯელად, ისე მეზობელ ფეოდალებიდან საკონფლიქტო საკითხების ძალით გადაჭრისათვის" (გვრიტიშვილი 1955: 188). ცხავატის მცხოვრებთა ერთი ნაწილი კი, მეთუნეობისასა და სხვადასხვა ხელსაქმეს მისდევდა.

1883 წლის აღწერით „ცხაოტი" იეროთი ბუნტურის სამოურავოა. სოფლის მოსახლეობა შეადგენს 36 კომლს, აქედან 34 კომლი მკვიდრია, 2 კომლი არაგველი ხიზნები: ხადელები

ვაჟიკა და იოსები. აღწერაში კომლების ნაწილი მამიშვილობითაა მოხსენიებული. თუ 1773 და 1783 წლის აღწერებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ 1783 წლის აღწერაში ნაჩვენები სუხას შვილები, ჩუმას შვილები, გოგიას შვილები, კალო მლეწავები და გოგიჩას შვილები ბუნტურების შთამომავლები იყვნენ, რომელთაც მამიშვილობა გაუგვარდათ (თაყაიშვილი 2022: 661-662; 696-697). როგორც რ. თოფჩიშვილიც აღნიშნავს,

> ცხავატის ხეობა ძირითადად ერთი გვარით – ბუნტურებით იყო დასახლებული. 1774 წელს ცხავატში ცხოვრობდნენ, აგრეთვე ჟივიძეები, მელთაურები, ყურაულები, ოსიშვილები და ხადიდან მიგრირებული ჩოქურები. ბუნტურების ნაწილი დღეს სხვადასხვა გვარს ატარებს: გოგიაშვილი, გოგიჩაშვილი, სუხაშვილი, კალომლეწავი. აქვე მკვიდრობს ხურიშვილის გვარი, რომლის წინაპარიც მესისხლეობის გამო, თრუსოდან ცხავატში შემოხიზნულა.
> ოსიშვილები ცხავატში უსანეთიდან ყოფილან მოსული, სადაც ბოლო დრომდე სალოცავადაც დადიოდნენ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცხავატში მთიული ბურდულები დამკვიდრებულან. მელთაურების ძირი – გვარია ქავთარაძე. რაც შეეხება ყურაულებს, ისინი ხევსურეთიდან უნდა იყვნენ მოსული. ი. ნიკლაურის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალით, „ყურაულები ხევსურეთის სოფელ როშკის ერთ-ერთი თავდაპირველი მკვიდრები ყოფილან. ისინი, ხურიშვილებთან ერთად, ბუნტურების ამანათებად მიიჩნევიან (თოფჩიშვილი 1987: 26-27).

1794-1799 წლების ქართლ-კახეთის აღწერაში „ცხაოტი“ ქსნის ხეობის სოფლების იმ რიგშია, რომელიც „თვის ეყოდა მეფის ძეს იოანეს სააზნაუროებით“ (ენუქიძე, ბედოშვილი 1986: 36). 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულო აღწერის შეჯამებითი ცნობების მიხედვით, ცხავატი ქარჩოხის ხეობის სოფლების რიგშია მითვლილი, რაც შეცდომაა, თუმცა, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი უფრო დემოგრაფიული მონაცემებია: 36 კომლი, 138 მამაკაცი, 116 ქალი (254 სული) (აქტები 1868: 82).

1804 წელს კომლთა რიცხვი 37 იყო, 148 მამაკაცი და 107 ქალი (255 სული). ბუნტურები 21 კომლია, 84 მამაკაცი, 60 ქალი (144 სული). აღწერაში ყურადღებას იქცევს, რამდენიმე გვარი, მაგალითად, ყურგულაშვილი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, ყურაული უნდა იყოს, ოჩხაშვილი –გოგიჩაშვილი. ასევე შეცდომითაა მითითებული გვარი ჟავაძე, რომელიც სინამდვილეში ჟივიძეა. აღწერაში ვხვდებით ასევე მელთაურებს - 4 კომლი, 12 მამაკაცი, 15 ქალი (27 სული), სუხაშვილებს – გოგიჩაშვილი. 1 კომლი, 10 მამაკაცი, 2 ქალი (14 სული), თომაძეებს – 1 კომლი, 4 მამაკაცი, 1 ქალი (5 სული). ჟივიძეები 4 კომლია, 16 მამაკაცი, 13 ქალი (29 სული), ყურგულიშვილები (ყურაულები) – 3 კომლი, 9 მამაკაცი, 6 ქალი (15 სული), ოჩხაშვილები (გოგიჩაშვილები) – 3 კომლი, 13 მამაკაცი, 8 ქალი (21 სული) (გსიემ 1956: 112-116).

1860 წლის კამერალურ აღწერაში სოფელ ცხავატის უბნები ცალკე სოფლებადაა წარმოდგენილი. ამ დოკუმენტის მონაცემების მიხედვით *სოფელ ბუნტუჰთკახში* თავად ესტატე მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულებზე მცხოვრები ყმების სია ასე გამოიყურება:

კომლი 1. გიგოლა იოსების ძე ჩუმაშვილი – 35 წლის,
ამისი შვილები: 1. აბრამ – 12 წლის, ახალშობილი,[3]
2. ივანე – 5 წლის, ახალშობილი.
გიგოლას ძმები: 1. სოლომონ – 29 წლის,
2. გლახა – 27 წლის.
გლახას შვილები: 1. სოსიკა – 4 წლის, ახალშობილი,
2. ბერო – 3 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 7.
კომლი 2. გიგოლა გიორგის ძე ბუნტური – 58 წლის, გაშვებული იყო,[4]
ამისი ძმიშვილი ნინიკა – 30 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 4.
კომლი – 2. მამაკაცი – 9. ქალი – 11.

სოფელ ბუნტურთკარში თავად ბიძინა რევაზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (3). ნინიკა ზაქარას ძე გოგიაშვილი – 40 წლის,
ამისი შვილი შიო – 6 წლის, ახალშობილი.
ნინიკას ძმები: 1. დავითი – 35 წლის,
2. მოსე – 30 წლის,
3. ქიტესა – 20 წლის.
მოსეს შვილი სოსია – 5 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 5.
კომლი – 1. მამაკაცი – 6. ქალი – 5.

სოფელ ბუნტურთკარში თავად გიორგი ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (4). ნინიკა გიორგის ძე ბუნტური – 40 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილი აბრამ – 1 წლის, ახალშობილი.
ნინიკას ძმიშვილები, შალვას ძენი: 1. გიორგი – 15 წლის, ახალშობილი,
2. ზაქარა – 13 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომლი – 1. მამაკაცი – 4. ქალი – 3.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარობელი ბუნტური, ამორჩეული კაცნი გიორგი ჟივიძე და თევდორე გოგიჩაშვილი, რადგანაც ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და „ხელ(ის) ჩამორთმევით“ ხელს აწერს ისაკ დურგლოვი (დურგლიშვილი). სულ სოფელ ბუნტურთკარში ცხოვრობდა 4 კომლი, 19 მამრობითი სქესის და 19 მდედრობითი (38 სული). ბუნტურები 2 კომლია, 6 მამაკაცი და 7 ქალი (13 სული), მათი განაყარი ჩუმაშვილები – 1 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული), გოგიაშვილები – 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული) (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 277-280).

1886 წელს მონასტრის საზოგადოებაში შემავალ ბუნტურთკარში 7 კომლია აღრიცხული, 34 მამაკაცი, 22 ქალი (56 სული) (მონაცემები 1893: 77).

სრულიად საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებში ცხავატის უბნები ცალკე სოფლად აღარ გვხვდება, სოფელი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი, „ცხავათი პირველი“ – 35 კომლი, 88 მამაკაცი, 127 ქალი (215 სული), „ცხავათი მეორე“ – 39 კომლი, 78 მამაკაცი, 77 ქალი (155 სული), სულ ცხავატის ხეობაში უცხოვრია 7[4] კომლს, 166 მამაკაცსა და 204 ქალს (370 სული) (საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები 1926, 168). 1939 წელს ცხოვატად მოხსენიებული მონასტრის სასოფლო საბჭოს სოფელი 418 მცხოვრებისგან შედგებოდა (223 მამაკაცი, 195 ქალი), 1959 წელს ცხავატი ისევ ორ სოფლად გვხვდება, ცხავატი და ცხავატი პირველი. ცხავატში 85 სულია აღრიცხული, ცხავატი პირველში – 46 სული (სულ: 131 სული), 1970 წელს – 84 სული (38 მამაკაცი, 46 ქალი), 1979 წელს – 85 სული (43 მამაკაცი, 42 ქალი), 1989 წელს -68 სული (27 მამაკაცი, 41 ქალი) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის მიხედვით ცხავატში, რომელიც იმ დროისთვის ლარგვისის თემის საკრებულოს ეკუთვნოდა 44 მცხოვრები იყო დარჩენილი (21 მამაკაცი, 23 ქალი). მოსახლეობა ისტორიულად ყოველთვის ქართული იყო, მართლმადიდებელი ქრისტიანები (საქსტატი 2002).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 5 იანვარს.
სოფელ გოგიჩაანთკახში თავად დავით ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1. თევდორე პეტრეს ძე გოგიჩაშვილი – 45 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილები: 1. ზაქარა – 10 წლის, ახალშობილი,
2. ლუკა – 2 წლის, ახალშობილი.
თევდორეს ბიძაშვილი გოგილა გაბრიელის ძე გოგიჩაშვილი – 44 წლის,
ამისი შვილი ფიდო – 5 წლის, ახალშობილი.
გოგილას ძმები: 1. როსტომი – 40 წლის,
2. გიორგი – 30 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 10.
კომღი 2. ანდრო სიხას ძე გოგიჩაშვილი - 8 წლის, ახალშობილი,
რიცხვი დედაკაცთა – 1.
კომლი – 2. მამაკაცი – 8. ქალი – 11.
აღწერას ადასტურებს დავით ივანეს ძე ერისთავი.

სოფელ გოგიჩაანთკარში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (3). ზურაბ გლახას ძე გოგიჩაშვილი – 60 წლის,
ამისი შვილები: 1. დიმიტრი – 11 წლის,
2. მოსე – 3 წლის.
ბიძა ზურაბისა ნინიკა იასეს ძე გოგიჩაშვილი – 80 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს.
რიცხვი დედაკაცთა – 6.
კომღი 2 (4). სოსიკა გაბრიელის ძე ჟივიძე – 25 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს.
რიცხვი დედაკაცთა – 4.
კომლი – 2. მამაკაცი – 5. ქალი – 10.

სოფელ გოგიჩაანთკარში თავად ბიძინა რევაზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (5). ბერო იოსების გოგიჩაშვილი – 40 წლის (წაშლილია – 65)
(ტექსტში ციფრი 5 გადასწორებულია 4-ად, რადგან წინა კომლის (№4) თავი სოსიკა გაბრიელის ძე ჟივიძე გარდაცვლილია 1860 წელს),
შვილი იმისი ივანე – 18 წლის (წაშლილია – 20), გაშვებული იყო.
ძმები ბეროსი: 1. ქიტესა – 30 წლის,
2. აღდგომელა – 20 წლის.
აღდგომელას შვილი სიმონა – 1 წლის.
ბიძაშვილი ბეროსი სოსიკა – 60 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 6.
კომლი – 1. მამაკაცი – 6. ქალი – 6.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარებელი ბუნტური და ამორჩეული კაცნი თევდორე გოგიჩაშვილი და გიორგი ჟივიძე. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

სულ სოფელ გოგიჩაანთკარში ცხოვრობდა 5 კომლი, 19 მამრობითი სქესის და 27 მდედრობითი (46 სული). 4 კომლი ბუნტურების განაყარი გოგიჩაშვილები იყვნენ, 18 მამაკაცი, 23 ქალი (41 სული), ჟივიძეები – 1 კომლი, 1 მამაკაცი, 4 ქალი (5 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 313-316).

XIX საუკუნის ბოლოს, 1886 წლის აღწერით მონასტრის თემში შემავალი გოგიჩაანთკარში 8 კომლია აღრიცხული, 24 მამაკაცი და 25 ქალი (49 სული) (მონაცემები 1893: 77).

XX საუკუნის საკავშირო აღწერების დროს გოგიჩაანთკარი ცალკე სოფლად აღარ გვხვდება, მისი მცხოვრებნი ცხავატის მკვიდრთა შორის აღირიცხებოდნენ.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 5 იანვარს.

სოფელ ჟივთკარში თავად დავით ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1. გიორგი ქიტესას ძე ჟივიძე – 60 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილი ზურაბი – 10 წლის, ახალშობილი,
გიორგის ძმისწული ქიტესა ზურაბის ძე ჟივიძე – 20 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი – 1. მამაკაცი – 3. ქალი – 2.

აღწერას ადასტურებს თავადი დავით ივანეს ძე ერისთავი.

სოფელ ჟივთკარში თავად გიორგი ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (2). იაკობ გიორგის ძე ჟივიძე – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. დათიკა – 6 წლის, ახალშობილი,
2. შიო – 1 წლის, ახალშობილი.
იაკობის ძმისწული გიორგი ხახალას ძე ჟივიძე – 15 წლის, ახალშობილი,
ამისი ძმა ევტიგო – 12 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 5.
კომღი 2 (3). სამხარაული გიორგის ძე ყურაული – 25 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილები: 1. გიორგი – 6 წლის, ახალშობილი,
2. ივანე – 3 წლის, ახალშობილი.
3. ალექსი – 6 თვის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომღი 3 (4). გიორგი სიმონის ძე ჟივიძე – 30 წლის,
ამისი ძმა აღდგომელა – 15 წლის, ახალშობილი,
რიცხვი დედაკაცთა – 4.
კომღი 4 (5). დათიკა კურდღელას ძე ჟივიძე – 60 წლის,
ამისი შვილიშვილი სოსიკა გაბრიელის ძე – 10 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 1.
კომლი – 4. მამაკაცი– 13. ქალი – 12.

სოფელ ჟივთკარში თავად ევსტაფია (ესტატე) მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (6). გაბრიელ გიორგის ძე ჟივიძე – 30 წლის,
ამისი შვილი გიორგი – 2 წლის, ახალშობილი.
გაბრიელის ძმები: 1. ნინიკა – 25 წლის (წაშლილია 18).
2. ლუა – 16 წლის, ახალშობილი.
3. გიგოლა – 14 წლის, ახალშობილი,
4. ანდრია – 10 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი – 1. მამაკაცი – 6. ქალი – 2.

სოფელი ჟივთკარში პორუჩიკ თავად ალექსანდრე ერისთავის მეუღლის მანანა ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1(7). სოსიკა დიმიტრის ძე ჟივიძე – 22 წლის,
ამისი შვილი ივანე – 2 წლის, ახალშობილი,
სოსიკას ძმისწული ზაქარია – 8 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.

კომლი 2 (8). ზურაბ ივანეს ძე ჟივიძე – 35 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილი გლახა – 4 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომლი – 2. მამაკაცი – 5. ქალი – 5.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარობელი ბუნტური და ამორჩეული კაცნი გიორგი ჟივიძე და თევდორე გოგიჩაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელ(ის) ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი). ხელმოწერილია.

სულ სოფელ ჟივთკარში ცხოვრობდა 8 კომლი, 27 მამრობითი სქესის და 21 მდედრობითი (48 სული). ჟივიძეები – 7 კომლი, 23 მამრობითი სქესის, 19 მდედრობითი (42 სული), ყურაულები – 1 კომლი, 4 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი (6 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 516-521).

XIX საუკუნის ბოლოს, 1886 წლის აღწერით მონასტრის საზოგადოების სოფელ ჟივთკარში 9 კომლი იყო, 31 მამაკაცი და 37 ქალი (68 სული) (მონაცემები 1893: 77).

XX საუკუნის საკავშირო აღწერების დროს ჟივთკარის მცხოვრებნიც ცხავატის მკვიდრთა შორის არიან აღრიცხულნი.

კამერალური სია შედგენილი 1860 წელს.

სოფელ სუხაანთკახში თავად გიორგი ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1. გლახა გიგოლას ძე ბუნტური – 30 წლის, გაშვებული იყო,
ამისი ძმები: 1. ბერო – 15 წლის,
2. გიორგი – 10 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომლი 2. ზურაბა ნინიას ძე ბუნტური – 50 წლის,
ამისი შვილები: 1. გიორგი – 25 წლის,
2. გაბო – 10 წლის, ახალშობილი,
3. ანდრია – 6 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი 3. სოლომონ გიგოლას ძე ბუნტური – 30 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილი ანდრო – 3 წლის, ახალშობილი.
სოლომონის ბიძაშვილი თევდორე გლახას ძე – 15 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომლი – 3, მამაკაცი – 10. ქალი – 8.

სოფელ სუხაანთკარში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომლი 1 (4). გლახა გიგოლას ძე სუხიაშვილი (სუხაშვილი) – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. გიგოლა – 8 წლის, ახალშობილი,
2. ზაქარა – 5 წლის, ახალშობილი,
3. ალექსი – 3 წლის, ახალშობილი.
ძმა გლახასი 1. გიორგი – 30 წლის,
ამისი შვილი დავითი – 2 წლის, ახალშობილი.
ძმა გლახასი 2. ნინიკა – 25 წლის,
ამისი შვილი შიო – 6 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 7.
კომლი 2 (5). შიო სიდამონის ძე სუხიაშვილი (სუხაშვილი) – 13 წლის, ახალშობილი,
ამისი ძმა დათიკა – 10 წლის, ახალშობილი.

რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
კომლი – 2. მამაკაცი – 10. ქალი – 7.

სოფელ სუხაანთკარში თავად კონა მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (6). გლახა დიმიტრის ძე ბუნტური – 58 წლის,
ამისი შვილები: 1. გიორგი – 28 წლის,
2. ბერი – 19 წლის, გაშვებული იყო.
გლახას ძმა 1. დავითი – 52 წლის,
შვილი დავითისა შიო – 25 წლის,
შვილები შიოსი: 1. დათიკა – 6 წლის, ახალშობილი,
2. ზურაბ – 4 წლის, ახალშობილი.
შვილი დავითისა 2. გლახა – 23 წლის,
გლახას შვილი თევდორე – 9 წლის, ახალშობილი.
კიდევ გლახას ძმა 2. ივანე – 20 წლის (წაშლილია 40), გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 6.
კომლი – 1. მამაკაცი – 10. ქალი – 6.

სოფელ სუხაანთკარში თავად ბიძინა ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (7). ბერუა პეტრეს ძე სუხაშვილი – 60 წლის,
ამისი შვილი 1. სოლომონ – 40 წლის,
სოლომონის შვილები: 1. ზაქარა – 10 წლის, ახალშობილი,
2. გიგო – 1 წლის, ახალშობილი.
შვილების ჩამონათვალს მოსდევს:
3. გარსევან – 35 წლის, რომელიც გახლავთ სოლომონის ძმა, რაც 1873 წლის აღწერითაც დასტურდება (სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 261. ფურ. 194-202).
გარსევანის შვილი ნინიკა – 8 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომლი – 1. მამაკაცი – 6. ქალი – 3.

სოფელი სუხაანთკარში პორუჩიკ თავად ალექსანდრე ერისთავის მეუღლის მანანა ერისთავის საბატონო მამულზედ მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (8). იაკობ დათოს ძე სუხიაშვილი (სუხაშვილი) – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. გაბო – 14 წლის, ახალშობილი,
2. ნინიკა – 10 წლის, ახალშობილი,
3. გოგიტა – 7 წლის, ახალშობილი.
4. ალექსა – 2 წლის, ახალშობილი.
იაკობის ძმა გიორგი – 30 წლის,
გიორგის შვილი ზაქარა – 2 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი – 1. მამაკაცი – 7. ქალი – 2.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარობელი ბუნტური და ამორჩეული კაცნი გიორგი ჟივიძე და თევდორე გოგიჩაშვილი. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით, ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

სულ სოფელ სუხაანთკარში ცხოვრობდა 8 კომლი, 43 მამრობითი სქესის და 26 მდედრობითი (69 სული), 4 კომლი ბუნტურები, 20 მამაკაცი და 14 ქალი (34 სული) და 4 კომლი

ბუნტურების განაყარი სუხაშვილები, რომლებიც წყაროში სუხიაშვილებად არიან აღწერილნი, ისევე, როგორც სოფელია მოხსენიებული სუხიანთკარად. სუხაშვილები 23 მამაკაცი და 12 ქალია (35 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები) (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 252, ფურ. 190-196).

1886 წლის საოჯახო აღწერის სიების მიხედვით მონასტრის საზოგადოების სოფელ სუხაანთკარში კომლების რაოდენობა თითქმის გაორმაგებულია: 15 კომლი, 68 მამაკაცი, 53 ქალი (121 სული) (მონაცემები 1893: 77).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 5 იანვარს.

სოფელი ღოჩოეთში (ღახოეთი) დავით ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1. გიგოლა ქურთაულის ძე ბურდული – 80 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 1.
კომლი – 1. მამაკაცი– 1. ქალი – 1.

აღწერას ადასტურებს თავადი დავით ივანეს ძე ერისთავი.

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 19 თებერვალს.

სოფელ ღოროეთში თავად კონა მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები (რუსული ტესტი):

კომღი 1 (2). დემეტრე ბეროს ძე მილითაური (მელთაური) – 45 წლის,
ამისი შვილი ალექსი – 13 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
კომლი – 1. მამაკაცი – 2. ქალი – 0.

სოფელ ღოროეთში თავად ბიძინა რევაზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (3). სიდამონ ადამის ძე ბერდელაშვილი (ბურდულიშვილი) – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. გაბრიელ – 5 წლის, ახალშობილი,
2. გიგოლა – 1 წლის, ახალშობილი.
ძმები სიდამონისა: 1. დავით – 28 წლის,
2. ზაქარა – 24 წლის,
3. როსტომ – 9 წლის, ახალშობილი.
შვილი დავითისა როსტომი – 9 წლის, ახალშობილი.
(შვილი დავითისა და ძმა დავითისა როსტომ 9 წლის ახალშობილი ერთიდაიგივე პიროვნებაა. დავითის შვილი, ასეა იგი მოხსენიებული მომდევნო 1873 წლის აღწერაში (სეასცა, ფ. 254 ან. 2, საქმე 229. ფურ. 38-44).
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომღი 2 (4). კიკოლა ბურდულას ძე ბურდულაძე (ბურდული) – 15 წლის, ახალშობილი,
ამისი ძმები: 1. დემეტრე – 9 წლის, ახალშობილი,
2. იაკობი – 5 წლის, ახალშობილი.
ბიძაშვილი კიკოლასი გაბრიელ გოგიას ძე – 11 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომღი 3 (5). ზურაბა ბესოს ძე ბურდულაძე (ბურდული) – 15 წლის,
ამისი შვილები: 1. მახარობელი – 16 წლის, ახალშობილი,
2. გაბრიელი – 9 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი – 3. მამაკაცი – 13. ქალი – 8.

სოფელ ღოროეთში თავად დავით ლუარსაბის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (6). გლახა სოსიას ძე მელთაური – 28 წლის,
ამისი შვილი ლევან – 3 წლის, ახალშობილი.
გლახას ძმები: 1. იასე – 20 წლის, გარდაიცვალა 1860 წელს,
2. სოსიკა – 15 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
კომღი 2 (7). დათიკო რევაზის ძე მელთაური – 35 წლის,
ამისი შვილები: 1. ზაქარია – 5 წლის, ახალშობილი,
2. გაბრიელი – 3 წლის, ახალშობილი,
3. სიმონ – 1 წლის, ახალშობილი.
ძმისწული დათიკოსი 1. რევაზ – 25 წლის,
ამისი შვილები: 1. ქიტო – 3 წლის, ახალშობილი,
2. გიორგი – - 2 წლის, ახალშობილი.
ძმისწული დათიკოსი 2. გარსევან – 17 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 4.
კომლი – 2. მამაკაცი – 12. ქალი – 4.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარობელი ბუნტური და ამორჩეული კაცნი თევდორე გოგიჩაშვილი და გიორგი ჟივიძე. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელის ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი).

სულ სოფელ ღაროეთში ცხოვრობს 7 კომლი, 28 მამრობითი სქესის და 13 მდედრობითი (41 სული). 4 კომლი ბურდულები არიან, 14 მამაკაცი, 9 ქალი (23 სული). ისინი ტექსტში ხან ბურდილაძეებად და ხან ბერდელაშვილებად არიან მოხსენიებულნი. რ. თოფჩიშვილი ბურდულებს XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთიულეთიდან მოსულებად მიიჩნევს (თოფჩიშვილი 1987). ქავთარაძეების განაყარი მელთაურები 3 კომლი იყო, 14 მამრობითი სქესის, 4 მდედრობითი (18 სული). ქართველები, მართლმადიდებელი ქრისტიანები (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 254, ფურ. 344-345).

1886 წლის საოჯახო აღწერის სიების მიხედვით მონასტრის საზოგადოების სოფელ ღოღოეთში 10 კომლი ცხოვრობდა, 41 მამაკაცი, 29 ქალი (70 სული) (მონაცემები 1893: 77).

1970 წელს ღოროეთში 17 მცხოვრები იყო (8 მამაკაცი, 9 ქალი), 1979 წელს – 8 (4 მამაკაცი, 4 ქალი), 1989 წლის აღწერაში აღარ იხსენიება (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020).

კამერალური სია შედგენილი 1860 წლის 5 იანვარს.
სოფელი ციხის-სოფელში ანუ *წინუბანში* თავად დავით ივანეს ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1. გიორგი ზაალის ძე ბუნტური – 30 წლის, გაშვებული იყო,
ამისი ძმა ანდრია – 25 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომღი 2. სოსიკა სვიმონის ძე ბუნტური – 40 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილები: 1. ზაქარა – 14 წლის, ახალშობილი,
2. ალექსი – 11 წლის, ახალშობილი,
3. მათე – 1 წლის, ახალშობილი.
სოსიკას ძმა პეტრე – 30 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომღი 3. გივი იასეს ძე ბუნტური – 45 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 2.

კომღი 4. ნინიკა დათიკას ძე კალომლეწავი – 35 წლის, გაშვებული იყო,
ამისი ძმა შიო – 30 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომღი 5. გიორგი გოგიას ძე კალომლეწავი – 40 წლის, გაშვებული იყო,
ამისი შვილები: 1. ზაქარა – 15 წლის, ახალშობილი,
2. დიმიტრი – 11 წლის, ახალშობილი,
3. ტატო – 6 წლის, ახალშობილი.
გიორგის ძმისწული ივანე დათუნას ძე კალომლეწავი – 4 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 1.
კომღი 6. ნინიკა სოლომონის ძე ბუნტური – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. დათიკა – 8 წლის, ახალშობილი,
2. სოლომონ – 3 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომღი 7. ზაქარა სოლომონის ძე ბუნტური – 30 წლის,
რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
კომლი – 7. მამაკაცი – 19. ქალი – 12.

აღწერას ადასტურებს თავადი დავით ივანეს ძე ერისთავი.

სოფელ ციხის-სოფელში ანუ წინუბანში ესტატე მირმანოზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1 (8). გიორგი სოსიას ძე ბუნტური – 40 წლის,
ამისი ძმები: 1. მახარობელი – 30 წლის,
2. გიგოლა – 28 წლის, გაშვებული იყო.
რიცხვი დედაკაცთა – 3.
კომღი 2(9). ნინიკა მახარობელის ძე ბუნტური – 50 წლის,
ამისი შვილები: 1. ზაქარა – 18 წლის, გაშვებული იყო.
2. გლახა – 8 წლის, ახალშობილი.
ნინიკას ძმა დათიკა – 25 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 5.
კომლი – 2. მამაკაცი – 7. ქალი – 8.

სოფელ ციხის-სოფელში ანუ წინუბანში გიორგი ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1(10). ზურაბ სოსიას ძე ბუნტური – 50 წლის,
ამისი შვილები: 1. გოგია 15 წლის, ახალშობილი,
შალვა – 6 წლის, ახალშობილი.
რიცხვი დედაკაცთა მითითებული არ არის.
კომლი – 1. მამაკაცი – 3. ქალი – 0.

სოფელ ციხის-სოფელში ანუ წინუბანში ბიძინა რევაზის ძე ერისთავის საბატონო მამულზე მცხოვრები ყმები:

კომღი 1(11). ზურაბ გიორგის ძე ხურიშვილი – 50 წლის,
ამისი შვილები: 1. ივანე – 20 წლის, გაშვებული იყო,
2. ალექსი – 9 წლის, ახალშობილი,
3. შიო – 1 წლის, ახალშობილი.
ბიძაშვილი ზურაბისა, შვილი მახარესი 1. თევდორე – 40 წლის,
ამისი შვილები: 1. ზაქარა – 10 წლის, ახალშობილი,
2. მალხაზი – 7 წლის, ახალშობილი.

თევდორეს ძმები: 1. ნინიკა – 30 წლის, ახალშობილი,
2. დავითი – 20 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 8.
კომღი 2 (12). ჯიბრიელ ჯაჩოს ძე ხურიშვილი – 50 წლის,
ამისი შვილი შალვა – 35 წლის.
რიცხვი დედაკაცთა – 2.
კომლი – 2. მამაკაცი – 11. ქალი - 10.

აღწერას ადასტურებენ ცხავატის ხეობის ნაცვალი მახარობელი ბუნტური და ამორჩეული კაცნი თევდორე გოგიჩაშვილი და გიორგი ჟივიძე. რადგან ამათ წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით და ხელ(ის) ჩამორთმევით ხელს აწერს ისაკ დურგლიოვი (დურგლიშვილი). ხელმოწერილია.

სულ სოფელ ციხის-სოფელში ანუ წინუბანში ცხოვრობდა 12 კომლი, 40 მამრობითი სქესის და 30 მდედრობითი (70 სული). დომინანტი გვარი ბუნტური იყო – 8 კომლი, 23 მამაკაცი, 16 ქალი (39 სული), მათი განაყარი კალომლეწავები – 2 კომლია, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული), 2 კომლია ხურიშვილებიც – 11 მამაკაცი, 10 ქალი (21 სული). მათი წინაპარი მესისხლეობის ცნობილ ტრადიციას გამორიდებია თრუსოდან ცხავატის ხეობაში (სეასცა, ფ. 254, ან. 2, საქმე 255, ფურ. 487-495).

1886 წლის საოჯახო აღწერის მონაცემებით მონასტრის საზოგადოების სოფელ ციხის-სოფელში ანუ წინუბაბში 18 კომლი ცხოვრობდა, 44 მამაკაცი, 35 ქალი (79 სული) (მონაცემები 1893: 77).

XIX საუკუნის 60-იან წლებში ცხავატის ხეობაში უცხოვრია 44 კომლს (176 მამრობითი სქესის, 136 მდედრობითი, სულ: 312 სული).

ცხავატის ხეობაში მამულები და ყმები ეკუთვნოდათ მებატონეებს: დავით ივანეს ძე, დავით ლუარსაბის ძე, ბიძინა რევაზის ძე, კონა, ესტატე, გიორგი ერისთავებს, ალექსანდრე ერისთავის მეუღლეს – მანანა ერისთავს.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ცხავატის ხეობაში ცხოვრობდნენ: ბუნტურები, ჩუმაშვილები, გოგიაშვილები, გოგიჩაშვილები, ჟივიძეები, ყურაულები, სუხაშვილები, ბურდულები, მელთაურები, ხურიშვილები, კალომლეწავები.

დომინანტი გვარი ბუნტურები არიან, ისინი ცხოვრობდნენ ბუნტურთკარში, სუხაანთკარში და ციხის-სოფელში ანუ წინუბანში – 14 კომლი, 49 მამაკაცი, 37 ქალი (86 სული), ჯივიძეები – გოგიჩაანთკარსა და ჟივთკარში – 8 კომლი, 24 მამაკაცი, 23 ქალი (43 სული), სუხაშვილები – სუხაანთკარში – 4 კომლი, 23 მამაკაცი, 12 ქალი (35 სული), გოგიჩაშვილები – გოგიჩაანთკარში – 4 კომლი, 28 მამაკაცი, 23 ქალი (41 სული), გოგიაშვილები და ჩუმაშვილები – ბუნტურთკარში. გოგიაშვილები – 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი (11 სული), ჩუმაშვილები – 1 კომლი, 7 მამაკაცი, 7 ქალი (14 სული), კალომლეწავები ციხის-სოფელში ანუ წინუბანში – 2 კომლი, 7 მამაკაცი, 4 ქალი (11 სული), ამავე სოფლის მკვიდრნი იყვნენ ხურიშვილები – 2 კომლი, 11 მამაკაცი, 10 ქალი (21 სული), ყურაულები – ჟივთკარში – 1 კომლი, 4 მამრობითი სქესის, 2 მდედრობითი (6 სული).

შენიშვნები

[1] ს. მაკალათიას გასული საუკუნის 60-იან წლებში ვასო ნიკოს ძე ხუხაშვილისგან, რომელიც იმ დროს 73 წლის ყოფილა, ჩაუწერია თქმულება: „ლეკებს შხამურისათვის შემოურტყამთ ალყა და ვერ გაუტეხიათ. მაშინ ლეკებისათვის მკითხავს უთქვამს, ვირებს მარილი შეაჭამეთ და წყლის მილებს იპოვნიანო. ლეკებმა მწყურვალე ვირები ციხის გარშემო თურმე ატარეს და ბოლოს წყლის მილი იპოვეს და ციხეც აიღეს“ (მაკალათია 1968: 74).

[2] როგორც ს. მაკალათია აღნიშნავს: ცხავატელებს ჰქონდათ ვარგისი თიხა მიწის დიდი მარაგი. თიხას იღებდნენ ადგილ „დავუთალას“ ტერიტორიიდან, ხუთი-ექვსი მეტრის სიღრმიდან, რომ ხარისხიანი ჭურჭელი დაემზადებინათ. ზედაპირული თიხა მასალად ვერ გამოდგებოდა, რად-

გან მისგან დამზადებული ჭურჭელი მალე იშლებოდა. თიხა მთიდან ჩამოჰქონდათ ზურგით ან ცხენით. აშრობდნენ, გაცრიდნენ და ფეხით ზელდნენ, რის შემდეგაც მუხის მორგვზე აკეთებდნენ სხვადასხვა ჭურჭელს: ქილას, ქვევრს, კოკას, სადღვებელს, ქვაბს, ხელადას, ლიტრას, ჯამს, საღვინეს, სურას... ცხავატური თიხის ჭურჭელი განსაკუთრებული მოცულობით არ გამოირჩეოდა, კოკას 10-12 ლიტრიანი იყო, ქვევრი არა უმეტეს 100 ლიტრიანი. გამზადებულ ჭურჭელს მზეზე აშრობდნენ და ქათმის ფრთისაგან შეკრულ „ფთე"-თი აჭრელებდნენ მოყვითალო მიწის საღებავით, რომელსაც „წენაკი" ეწოდება. ის ძნელი საშოვარი ყოფილა და კასპთან ახლოს აშურიანის კლდეში მოიპოვებდნენ. მზეზე გამომშრალი ჭურჭლის გამოწვა ღუმელში ხდებოდა, გამოწვისას მოყვითალო საღებავი წითელ ფერს იღებდა და ჭურჭლიდან აღარ გადადიოდა. გასაყიდად, ძირითადად, ქართლში გაჰქონდათ ცხენების მეშვეობით. „ჭურჭელს ყიდიდნენ ჭირნახულის იმ რაოდენობაზე, რაც შიგ ჩაეტეოდა. ფულზე ჭურჭელი თურმე იშვიათად იყიდებოდა" (მაკალათია 1968: 76-77).

[3] იგულისხმებოდა პირი, რომელიც წინა 1843 წლის კამერალური აღწერის დროს დაბადებული არ იყო.

[4] იგულისხმება წინა კამერალურ აღწერაში გამორჩენილი ან გამოტოვებული პირი.

დამოწმებანი

აქტები 1868: *Акты*, собранные кавказской археографической комиссией, том II, Тифлис.

ახლოური 2021: დ. ახლოური. *ქსნის ხეობის ისტორია*, ტ., II. გამომცემლობა „საარი", თბილისი.

ბერძენიშვილი 1940: *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური უთანასწორობა (XV-XVII სს.)*, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.

გვასალია 1967: ჯ. გვასალია. *ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ., III. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

გვრიტიშვილი 1955: დ. გვრიტიშვილი. *ფეოდალური საქართველოს სოციალური უთანასწორობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები)*, გამომცემლობა „სახელგამი", თბილისი.

გსიემ 1956: გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ, შემოსული 1956 წელს, №7486.

დადიანიძე 2008: *შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა*, ტ. IV, ცირა დადიანიძის რედაქციით, თბილისი.

ენუქიძე, ბედოშვილი 1986: *იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

თაყაიშვილი 1915: Е. Такаишвили. Археологические экскурсии, Разыскания и заметки, Вып. V. Тифлис, 1915

თაყაიშვილი 2022: ე. თაყაიშვილი. *თხზულებანი*, ტ., 12, გამომცემლობა „არტანუჯი", თბილისი.

თოფჩიშვილი 1987: რ. თოფჩიშვილი. ქსნის ხეობის მოსახლეობის ზოგიერთი ეთნოისტორიული საკითხი (XVIII-XX სს.), *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №4. თბილისი.

მაკალათია 1968: ს. მაკალათია. *ქსნის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი*, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო".

მონაცემები 1893: *Свод статистических данных о населении Закавказского края извлечённых из посемейных списков 1886 г. Душетский уьезд, Ксанский участок*, Тифлис.

ოთხმეზური 1996: გ. ოთხმეზური. *შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა*, წიგნში „ოსთა საკითხი", გამომცემლობა „პითაგორა", თბილისი-გორი.

საქართველოს 1923 წლის აღწერის ჯამები 1926: *სრული საქართველოს 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჯამები, ნაწილი II, დემოგრაფია*, ნაკვეთი I, ტფილისი.

საქსტატი 2002: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები.*

საქსტატი 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *მოსახლეობის სრული საკავში-*

ხო 1939, 1959, 1970, 1979 და 1989 წლების აღწერების შედეგები სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.
სეასცა, ფ. 254, ან. 2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 254, ანაწერი 1, საქმე № 229; № 252; № 254; № 255; № 261.
ქენქაძე 2008: ვ. ქენქაძე. *ქსნური ზეპირსიტყვიერების ქრესტომატია*, თბილისი.
ქენქაძე 2010: ვ. ქენქაძე. *ქსნური ხალხური ფაბრიო*, თბილისი.
შოშიაშვილი 1980: *ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

THE POPULATION OF TSKHAVAT GORGE IN THE 1860s

Davit Akhlouri
Gori State Teaching University
datoakhlouri@gmail.com

Other than the Ksani river, the Ksani gorge also includes Nizuzmula, Churuta, Tskhavatura, Aleura, Nakhidura and other gorges.

The paper discusses about the population of Tskhavat gorge according to the desk census of the 1960s. At that time, the villages of Tskhavat gorge were included in the Ksani part of Gori Mazri of Tbilisi Governorate.

The introduction talks about the historical geographical environment of the Tskhavat valley, its role in the political, economic and cultural life of feudal Georgia. The toponym "Tskhavati" is explained.

When talking about the antiquities of the valley, attention is paid to the Church of the Savior of the 8th-9th centuries in the Chumaant area, on the eastern facade of which there is a three-line Asomatvruli inscription mentioning the craftsman Ina Kalatozi. The rich traditions of "Tskhavati pottery" and the role of viticulture in the life of Tskhavati people are highlighted.

An important source about the population of the Tskhavat gorge is the statistical descriptions of the Saeristavo of Ksani in the second half of the 18th century.The census of the Kingdom of Kartli-Kakheti of 1794-1799, the reports of the royal census of Ioane Bagrationi of 1803, the Russian chamber censuses, which are properly studied and compared with the chamber census of the 1960s, which is given special attention due to the research topic. An important news is that the archival material of the considered period is published for the first time.

Unlike the statistical descriptions of Ksani Saeristavo, in the census of 1860 Tskhavat districts are presented as separate villages. These villages were: Bunturtkari, Gogichaantkari, Zhivtkari, Sukhaantkari, Gharoeti, Tsikhis-sofeli or Tsenubani. In Bunturtkar, the serfs belonged to the estate, Bidzina and Giorgi Eristavis, there lived 4 households, 19 men and 19 women: Bunturs, Chumashvilis and Gogiashvilis.

In Gogichaantkar – Davit son of Ivanes, Davit son of Luarsabi and Bidzina son of Revazi Eristavis, lived 5 families, 19 men and 27 women: Gogichashvilis and Zhividzes. 8 households, 27 men and 21 women lived in Zhivtkar – Davit Ivanes dze, Estate Mirmanoz dze, Manana and Giorgi Eristavis: Zhividzes and Kuraulis. In Sukhaantkar – Davit son of Luarsab, Kona son of Mirmanoz, Giorgi, Bidzina and Manana Eristavs, lived 8 households, 43 men and 26 women: Bunturis and Sukhashvilis. In Gharoeti – Davit son of Ivane, Kona son of Mirmanoz, Bidzina son of Revazi and Davit son of Luarsab Eristavis, lived 7 families, 28 men and 13 women: Burdulis and Meltauris. In the Tsikhisopeli i.e. Tsinubani – Davit son of Ivane, Estate so of Mirmanozi, Bidzina son of Revazi and Giorgi Eristavis. There were 12 households, 40 men and 30 women: Bunturis, Kalomletsavs and Khurishvilis.

ილია მაქარაშვილის წერილები ნინო ჟურულისადმი

გიორგი სოსიაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgisosiashvili@gmail.com

ილია მაქარაშვილი 1854 წლის 1 ნოემბერს რაჭის ერთ-ერთ სოფელში, ღარში დაიბადა. მან სამხედრო განათლება მიიღო ჯერ კიევის ვლადიმირის გიმნაზიაში (კადეტთა ჟურნალი 2010), [2] შემდეგ კი პავლოვსკის სასწავლებელში. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში. ახალგაზრდა ოფიცერს, სწორედ ამ ომში გამოუვლენია თავისი მხედრული მამაცობა (ჟურული 1935: 5).

39-ე საარტილერიო ბრიგადის შტაბსკაპიტანი ილია მაქარაშვილი ოსმალეთის წინააღმდეგ (დევე-ბოინუ) 1877 წლის 23 ოქტომბერს გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა (გიზეტი 1901: 213). 1895 წლიდან ილია მაქარაშვილი 1-ელი ბატარეის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ხელმძღვანელი იყო, ხოლო 1897 წლიდან 1-ელი ბატარეის კავკასიის გრანადერთა საარტილერიო ბრიგადის მეთაური. 1898 წელს მომავალი გენერალი კავკასიის 1-ელი სარეზერვო საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის ხელმძღვანელი გახდა. 1902 წელს იგი მე-7 ნაღმტყორცნელ პოლკს ჩაუდგა სათავეში. 1904 წელს ილია მაქარაშვილი 67-ე საარტილერიო ბრიგადას, 1904 წლის ივლისიდან თურქესტანის მე-2, შემდეგ კი 52-ე საარტილერიო ბრიგადას მეთაურობდა.

ილია საყვარელას ძე მაქარაშვილმა 1882 წელს კაპიტნის წოდება მიიღო, 1895 წელს პოდპოლკოვნიკის, 1898 წელს პოლკოვნიკის, 1906 წელს გენერალ-მაიორის, 1910 წლის 15 ოქტომბერს კი მისი სამხედრო კარიერა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით დაგვირგვინდა (რუსეთის საიმპერატორო არმიისა და ფლოტის გენერლები); (გოგიტიძე 2001: 232); (ცობეხია 2012). რუსეთის იმპერატორის მიერ ილია მაქარაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენით, მათ შორის, წმინდა სტანისლავის (1877), წმინდა გიორგის 4-ე ხარისხის ორდენით (1878), ოქროს იარაღით (1878), წმინდა ვლადიმირის მე-4 ხარისხის ორდენით (1878), წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის ორდენით, წმინდა ანას ორდენით (1886), წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენით (1901) (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ა); (ვოლკოვი 2009ბ: 832); (გიზეტი 1901: 287, 158); (ისმაილოვი 2007: 544); (შაბანოვი 2004: 351); (რაინდების სიები 1880: 305); (გენერლების სია 1910: 867, 37, 99); (საერთო სია); (სოსიაშვილი 2021ა: 79-93); (სოსიაშვილი 2020ა: 20-23).

ილია მაქარაშვილს ცოლად ჰყავდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის დურმიშხან ჟურულის ასული. ნინო ჟურულს და ილია მაქარაშვილს რამდენიმე წელი ჰქონდათ ურთიერთობა. აღსანიშნავია, რომ საქმრო ნინოს ბარათებს ფრონტის ხაზიდან უგზავნიდა, სადაც მომავალი გენერალი სამხედრო ოპერაციების შესახებაც უყვებოდა. მრავალწლიანი სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ წყვილმა ნინო ჟურულის სურვილით ჯვარი არბოს წმინდა გიორგის ტაძარში დაიწერა.[4] შეუღლების შემდეგ ნინო თავის მეუღლეს ბრძოლის ველზეც დაჰყვებოდა. ის ხშირად დაჭრილ სამხედროებს უვლიდა და მებრძოლებისთვის სურსათსანოვაგეს აგროვებდა. თურქმენეთში ცხოვრების დროს ნინო ჟურული საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. იგი ერთი პერიოდი ომში დაზარალებული სამხედროების და მათი ოჯახების დამხმარე ორგანიზაციის აშხაბადის განყოფილებასაც ხელმძღვანელობდა. 1911 წელს ნინო ჟურულმა სანკტ-პეტერბურგის სამმართველოდან სამადლობელი წერილიც მიიღო (გუმბათი-ექსპრესი 2010: 33).

ნინო ჟურული გორში მცხოვრებ ღარიბი ოჯახების წარმომადგენელ მოსწავლეებს მატერიალურად ეხმარებოდა (ლომოური 2002: 181). იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გორის განყოფილების დამხმარე წევრი (1904);

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი (1906); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ცხინვალის განყოფილების წევრი (1915) (ქშწკგ საზოგადოების წევრები ა). ილია მაქარაშვილის და ნინო ჟურულის ოჯახი კულტურის ნამდვილ კერად იქცა. მათ სახლში თავს იყრიდნენ ქართველი და რუსი პოეტები, მხატვრები, მსახიობები (გუმბათი-ექსპრესი 2010: 33); (თევდორაძე 2010: 60). ასეთივე კულტურულ კერას წარმოადგენდა დურმიშხან ჟურულის სახლი სოფელ არბოში, სადაც გენერალი ილია მაქარაშვილი დამკიდრდა.

ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს ექვსი შვილი ჰყავდათ: უფროსი გიორგი, შემდეგ ბარბარა, ნიკოლოზი, მარიკა,[5] ირინე და მიხეილი. აქედან სამნი – გიორგი, ბარბარა და მარიკა – ბავშვობაში სახადით გარდაიცვალნენ. ილია მაქარაშვილის ერთ-ერთი ვაჟი – ნიკოლოზი (ნიკუშა) სამხედრო კარიერის გზას დაადგა და ცხენოსანთა სამთო ბატარეის პოდპორუჩიკი გახდა. თუმცა მისი სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა (ნაცვლიშვილი 1992: 6). ნიკოლოზ მაქარაშვილი 1918 წელს შამქორთან გამართულ ბრძოლაში დაიღუპა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკები სასტიკად მოექცნენ არბოში მცხოვრებ ნინო ჟურულს. 1927 წელს მას იჯარით გაცემული ვენახი ჩამოართვეს და კოლმეურნეობას გადასცეს (ფონდი #2, ანაწერი #1, საქმე #495, გვ. 16). ნინო დურმიშხანის ასულის მიმართ ბოლშევიკების ზეწოლა ამით არ დასრულებულა. როგორც ყოფილი გენერლის მეუღლეს, გორის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის 1933 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქონება ჩამოართვეს და სოფლიდან გაასახლეს. ამის მიზეზად გადაწყვეტილებაში მითითებულია ადგილობრივ გლეხთა უკმაყოფილობა (ფონდი #4, ანაწერი 1, საქმე #135, გვ. 23); (სოსიაშვილი 2023: 173). სოფლიდან გაძევებული ნინო ჟურული-მაქარაშვილისა 1948 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მის ქალიშვილს, ირინა ილიას ასულს სურვილი ჰქონდა დედა არბოს წმინდა გიორგის ტაძარში მშობლების, მეუღლის და შვილის გვერდით დაეკრძალა, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოჯახს გარდაცვლილის ტაძარში დაკრძალვაზე უარი უთხრეს. საფრანგეთში მცხოვრები მიხეილ ილიას ძე მაქარაშვილი თავის მოგონებებში წერს: „დედაც არბოში გარდაიცვალა 1948 წლის 4 სექტემბერს, მაგრამ ბოლშევიკებმა არ დააკრძალვინეს იგი ეკლესიაში. ჩემი დის ირას წერილით შევიტყვე, რომ იგი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს“ (ნაცვლიშვილი 1992: 8).

გენერალ ილია მაქარაშვილის სახლში ერთი ოთახი ბოლშევიკებმა მოსამსახურე ბეკოშვილს დაუტოვეს. საბოლოოდ ამ სახლს სწორედ ბეკოშვილები დაეპატრონნენ. ოდნავ მოგვიანებით, არბოში, მაქარაშვილების ფუძეზე დამკვიდრდა ირა (ირინა) მაქარაშვილის მეუღლე, ცნობილი მეცნიერი ანატოლი კიზირია (ქსე 1980: 511-512); (ბიოგრაფიული ლექსიკონი ა). ილია მაქარაშვილს და ნინო ჟურულს ნიკოლოზის გარდა კიდევ ორი ვაჟი ჰყავდათ. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ადრეულ ასაკში გარდაცვლილა. მათი უმცროსი ვაჟი – მიხეილი 1903 წელს დაიბადა. ფრანგულად დაწერილ მოგონებაში, რომლის დიდი ნაწილი პ. ნაცვლიშვილმა გამოაქვეყნა, მიხეილი წერს:

> დავიბადე 1903 წლის 7 ოქტომბერს ძველი სტილით (ახალი სტილით 20 ოქტომბერს) ჯილალ-ოღლიში-პატარა ქალაქში საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე. აქ იმყოფებოდნენ იმ დროს ჩემი მშობლები - მამა ქალაქის გარნიზონში მსახურობდა. მე მომნათლეს არბოში და იქვე ვცხოვრობდი ჩემს ბებიასა და ბაბუასთან ერთად (ნაცვლიშვილი 1992: 6).

ილია მაქარაშვილის უმცროსი ვაჟი-მიხეილი 1922 წელს საფრანგეთში განათლების მისაღებად გაემგზავრა. მიხეილ მაქარაშვილი წერს:

> მე დავტოვე ჩემი სამშობლო 1922 წელს, როგორც კი შემისრულდა 19 წელი, რათა ჩემი საინჟინრო განათლება უცხოეთში განმემტკიცებინა. რაკი გადაწყვეტილი მქონდა დაბრუნება, თან არ წამომიღია არც ერთი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა ჩვენს ოჯახს. სიმართლე რომ ვთქვა, მე მაშინ ამაზე არც მიფიქრია. თუ ღმერთის წყალობით, ოდესმე მოგეცემათ საქართველოში წასვლის შესაძლებლობა და თუ წახვალთ, ვეჭვობ,

მათი დაბრუნება შეძლოთ, მით უმეტეს, რომ ჩემი ერთადერთი და – ირა აღარ არის ახალგაზრდა და თანაც ქაღალდები შეიძლება, უბრალოდ, დაიკარგა (ნაცვლიშვილი 1992: 6).

საფრანგეთში მცხოვრებმა მიხეილ მაქარაშვილმა პოლონელ ქალბატონზე ელიზაბეტ გლასზე იქორწინა, რომელთანაც ორი შვილი გიორგი და ინესი შეეძინა. მიხეილ მაქარაშვილს საფრანგეთიდან მიწერ-მოწერა ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ ოჯახის წევრებთან, ვგულისხმობთ ნინო ჟურულს და ირინა მაქარაშვილს, საქართველოს ხელოვნების სასახლის არქივში აღნიშნული მიწერ-მოწერის ამსახველი არაერთი წერილი ინახება. მიხეილ მაქარაშვილი 1967 წლის დეკემბერში 64 წლის ასაკში გარდაიცვალა, ხოლო მისმა მეუღლემ ელიზაბეტ გლასმა კი 2007 წლამდე იცოცხლა. მიხეილის და ელიზაბეტის შვილებიდან, ინესს ორი ქალიშვილი გაუჩნდა: იზაბელი და ნატალი (ნაცვლიშვილი 1992: 8). ისინი საფრანგეთში, პარიზში ცხოვრობენ. მიხეილ მაქარაშვილის ვაჟი გიორგი მოგვიანებით პარიზიდან სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, კერძოდ, პერუს დედაქალაქ ლიმაში გადავიდა საცხოვრებლად.[6] თავდაპირველად იგი ადგილობრივ ბანკში მუშაობდა. სწორედ ლიმაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე – კარმენი. პერუში დამკვიდრებულ გენერლის შვილიშვილი 2023 წელს გარდაიცვალა, მას 6 შვილი, 12 შვილიშვილი და 6 შვილთაშვილი დარჩა.

ილია მაქარაშვილის წერილები ნინო ჟურულისადმი

გენერალ-ლეიტენანტ ილია მაქარაშვილის წერილები ნინო ჟურულისადმი ინახება საქართველოს ხელოვნების სასახლეში, კერძოდ, კულტურის ისტორიის მუზეუმში. მაქარაშვილების და ჟურულების არქივი, მათ შორის, ილია მაქარაშვილის ბარათები მომავალი მეუღლის, ნინო ჟურულისადმი ერთხანს, ილია მაქარაშვილის ოჯახში იყო დაცული. მოგვიანებით, ილია მაქარაშვილის ქალიშვილმა, ირინა მაქარაშვილმა, მაქარაშვილების ქონება, მათ შორის სოფელ არბოში არსებული საცხოვრებელი სახლი, საკარმიდამო ნაკვეთი ილია მაქარაშვილის ძმას კონსტანტინე მაქარაშვილის შვილთაშვილს მერაბ მაქარაშვილს (გარდ. 2023 წ.) უანდერძა, რომელმაც ჟურულების და მაქარაშვილების არქივი (მდიდარი ფოტო-მასალით) საქართველოს ხელოვნების სასახლეს გადასცა.

როგორც მივუთითებდით, ილია მაქარაშვილს ერთობ საინტერესო სამხედრო კარიერა ჰქონდა. არტილერიის ჩინებულმა მცოდნემ გენერლობამდე სამხედრო მომზადების ყველა საფეხური გაიარა. ილია მაქარაშვილს თავდავიწყებით უყვარდა თავისი მომავალი მეუღლე, იმ დროისთვის ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დურმიშხან ჟურულის ასული ნინო, რასაც სამხედრო მომზადების ბაზიდან ნინოსადმი გაგზავნილი ილია მაქარაშვილის წერილებიც ცხადყოფს. ბარათების დიდი ნაწილი მათ დაქორწინებამდეა დაწერილი, ზოგიერთი მათგანი კი ქორწინების შემდეგ. წერილების უმეტესობა ალექსანდრეპოლიდან (დღეს გიუმრი) და ჯელალოღლიდან (დღეს სტეფანავანი) არის გამოგზავნილი. ამ ორი ცნობილი ადამიანის პირადი ურთიერთობის დეტალების გარდა, სასიყვარულო ტექსტებში ბევრი საინტერესო ცნობაა შემონახული იმ დროის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების, სამხედრო პირების შესახებ და სხვა. გარდა ამისა, ილია მაქარაშვილის წერილები, XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ბევრ ნაკლებად ცნობილ დეტალს წარმოაჩენს, რაც მკითხველისთვის, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება.

ხელნაწერი, რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

2 ივნისი, სამშაბათი, საღამოს 5 საათი
ჩემო ძვირფასო ნინოჩკა! დღეს ბოლო სროლა მქონდა, იქიდან საღამოს 10 საათზე დავბრუნდი. სახლში კი შენი ფოტოსურათი და წერილი დამხვდა. ფოტოსურათზე გამოსახულების მსგავსება მართლაც რომ მაგარია, ჩემი ნინოჩკა კი სინამდვილეში გაცილებით უკეთესია, ვიდრე ფოტოსურათზე. აბა სხვა რა ვიღონო! ისღა დამრჩენია, შენი ლამაზი

ნაკვთების მზერით დავტკბე. ყოველივე კი, ჩემს მეხსიერებაში შენს წარმოსახვას შეავსებს. შენი საყვარელი, ძვირფასი სახე ჩემს გულში ისე მკაფიოდაა ჩაბეჭდილი, რომ საკმარისია, თვალები დავხუჭო და ჩემი ნამდვილი, მშვენიერი ნინოჩკა ვიხილო. დღევანდელმა სროლამ, ისევე როგორც გუშინდელმა, ბრწყინვალედ ჩაიარა. გუშინ განსაკუთრებით გამოვირჩეოდი, ოთხი წუთის განმავლობაში, 950 საჭენზე, სწრაფად, მოწესრიგებულად ვისროდი. იმდენად კარგად, რომ სროლის დამთავრების შემდეგ ჩემთან პოლიგონის უფროსი მოვიდა და მითხრა (მის ნათქვამს სიტყვა სიტყვით გადმოგცემ – „შესანიშნავია! შესანიშნავია! სიმშვიდე და სისწრაფე, არავითარი ფორიაქი"). შემდგომ აღმოჩნდა,რომ სამიზნე სრულად მთლიანად გამინადგურებია. ამჟამად ჩემი ძირითადი საქმე-სროლა, დავამთავრე. წვრთნების დასკვნითი, ბოლო ნაწილი, იწყება. თუმცა 5-ში სროლაში შეჯიბრი დაინიშნა, რომელიც ნიშანზე დამმიზნებელ ჯარისკაცებს შორის ჩატარდება. თითოეული ბატარეიდან მხოლოდ ერთი ქვემეხი მონაწილეობს. გამარჯვებული ვერცხლის საათს ვერცხლის ძეწკვით მიიღებს, ხოლო დანარჩენები-ორ-ორ რუბლს. სროლაში შეჯიბრი, როგორც ყოველთვის, საზეიმო ვითარებაში იმართება, უამრავ მამაკაცსა და მანდილოსანს იწვევენ. 6-ში, ჩვენი ტაბლდოტის (ოფიცერთა სასადილო) ოფიციალურ გახსნასთან დაკავშირებით, დიდი საზეიმო სადილი გველის. 14-ში თუ 15 ში მეჯლისის მოწყობას ვარაუდობენ, სადაც ალექსანდროპოლის თითქმის ყველა მანდილოსანი იქნება მოწვეული. ესეც ასე, ჩემო ძვირფასო მეგობარო. ასეთია ყოველი წვრილმანი ჩემი ცხოვრებისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შენით თუ არის აღსავსე, მაგრამ რამდენად სასიამოვნო შეგრძნებაა იმის ცოდნა, რომ ამ საბანაკო, ფრიად მღელვარე ცხოვრების და განცდების შემდეგ, ფიზიკური თუ გონებრივი დაძაბულობის შემდეგ, შენ ისეთი უმაღლესი ჯილდო გელის, როგორიცაა ჩემი ნინუცას ხელი და გული. მხოლოდ ამის გამო, ტანტალის მსგავსად, ყველა წამების გადატანა ღირს. მაგრამ, დიდება უფალს, მე ამ წამების გადატანა არ მიხდება. მე ჩემ ნინოჩკას ზედმიწევნად იოლად, ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე, ფორტუნის ჩემდამი კეთილგანწყობის შედეგად ვიღებ. აბა ამის შემდეგ როგორ არ უნდა ვთქვა, რომ ამქვეყნად ადამიანების ორი კატეგორია არსებობს: ისინი, ვისაც იღბალი არ წყალობთ, მთელი ცხოვრება არ უმართლებთ და ბედ-იღბლის რჩეულთა კატეგორია, რომელთაც წარმატება მუდამ თან სდევს. ამ ადამიანთა კატეგორიას თავს დიდი სიამოვნებით მივაკუთნებდი, რადგან საერთო ჯამში ბედი მუდამ მწყალობს და თან განსაკუთრებით მიმდინარე წელს გამიმართლა-ნინოჩკა ახლა უკვე მთლად ჩემია (ხომ მართალს ვამბობ?), მისი გული მე მეკუთვნის, მე მისთვის ისეთივე ძვირფასი ვარ, როგორც ის ჩემთვის. ამის აღქმა ხომ მეტად სასიამოვნოა? შენთან წლევანდელ შეხვედრამდე გულზე რაღაც განსაკუთრებული სევდა მაწვა, საშინელ სიცარიელეს და მარტოობას ვგრძნობდი და მისი შევსება ჩემი ყოფა-ცხოვრებიდან არაფერს არ შეეძლო. და აი, შენ გამომეცხადე და ჩემი ცხოვრება მუდმივ დღესასწაულად იქცა: ჩემი გული შენით გადაივსო, ჩემი გონება შენსკენაა მიმართული და შენზედაა კონცერტრირებული, ჩვენი მომავალი ბედნიერების მოლოდინში, სიცარიელე გაქრა, მან ადგილი საუკეთესო იმედებს დაუთმო. ამ მოკლე პერიოდში ჩემი სულიერი განწყობა იმდენად შეიცვალა, რომ ახლო მეგობრები ჩემ ფიზიკურ გაახალგაზრდავებას აღნიშნავენ. აი ამდენად ძლიერია შენი წმინდა, უზადო სიყვარულის გავლენა ჩემზე. შენი წერილები ისეთი სითბოთია აღსავსე და მათგან ისეთი განწყობა მოედინება, რომ არ ვიცი, როგორ და რითი ვუმადლოდე ჩემ მშვენიერ საცოლეს. შენი წერილების კითხვისას დღემდე არნახულ, განსაკუთრებულ სიამოვნებას ვგრძნობ. ისინი გამსჭვალულია ჩემდამი შენი ნდობითა და სიყვარულით. (ხომ არ ვცდები, რომ ვამბობ სიყვარულით?) მე კი შენ, როგორც საკუთარ თავს, ისე გესაუბრები. მე ჩემ თავს არასოდეს განვაცალკევებ ჩემი ნინოჩკასგან, რომელიც ჩემთვის უკვე ჩემს მეორე, მხოლოდ უკეთეს, „მეს" წარმოადგენს. ვთვლი, რომ ამგვარი დამოკიდებულებით ჩვენი მომავალი ბედნიერი და უზრუნველყოფილი იქნება, რამეთუ ჩვენ ამგვარ ურთიერთობებს არა მხოლოდ შევინარჩუნებთ, არამედ უფრო მეტად განვამტკიცებთ კიდეც. ჩემო ტურფა, ჩემო ლამაზო, ხომ მართალია ეს ყოველივე? გულითადი მოკითხვა გადაეცი ქეთევან ლუარსაბის ასულს და დურმიშხან შალვას ძეს. აგრეთვე ყველა ჩვენ კეთილმოსურნეს. საჭირო დოკუმენტების გამოგზავნა

დააჩქარე. ახლა კი შენ საოცარ თვალებში ჩავიხედავ, დაგიკოცნი მათ, თავზე ხელის გადასმით მოგეფერები, გულში ჩაგიკრავ და დაგკოცნი...

შენი მოტრფიალე ილიკო.

(საქართველოს ხელოვნების სასახლე, კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135 ხ.42722)

წერილის ფრაგმენტი, ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

24 ივნისი, საღამოს 6 საათი

..... დღეს წერილი კი გამოგიგზავნე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემ ძვირფას მეგობართან სასიამოვნო საუბრის გაგრძელება კვლავ მსურს. თუ ეს გარემოება გაკვირვებს, გეტყვი, რომ საამისოდ საპატიო მიზეზი მაქვს: დღეს დილით, 10 საათზე, შენი მოკლე, მაგრამ საყვარლად დაწერილი წერილი მივიღე, რომელმაც უსაზღვრო ბედნიერება მომანიჭა. როგორც ვხედავ, ჩემ ნინოჩკას ნამდვილად ვუყვარვარ და ხშირად ვახსენდები კიდეც. ჩემ ამჟამინდელ მდგომარეობაში, ამაზე სასიამოვნო და საუკეთესო რა უნდა იყოს. ჩემი ბედნიერება შენ ხელთაა და შენ დიდსულოვნად მას მჩუქნი. დარწმუნებული იყავ, რომ ვალში არ დავრჩები ჩემი ნინოჩკას წინაშე. ახლა კი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ყურადღებით მომისმინე: როგორც მწერ - გიორგი ჩვენს ქორწილზე ჩამოსვლას ვერ შეძლებს. ამჟამად, ჩვენი ქორწინების დღის გადადებისთვის არავითარი მიზეზი არ არსებობს. იქნებ როგორმე მოვახერხოთ და სექტემბერში სამარადჟამოდ დავწყვილდეთ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 10-20 ოქტომბრისა. რას იტყვის ჩემი კარგი ნინოჩკა? ჩვენი ბედნიერების მოლოდინს იმდენი დრო შევალიეთ, რომ გაჭიანურებას აზრი აღარ აქვს. რაც შეეხება თვით ქორწილს და მისი მოწყობის ადგილს, ვფიქრობ, რომ შენ და შენი მშობლები ამ საკითხს ადვილად გადაწყვეტთ. გიმეორებ და გეტყვი, რომ ქორწილი მეტად მოკრძალებული უნდა იყოს, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. იქ ჩემგან ყველაზე ახლობელი ადამიანები იქნებიან,თან არც თუ ისე ბევრი. იგივე შენგან ანალოგიურად. არჩევანის გაკეთება, ალბათ ტფილისსა და ბათუმს შორის მოგვიწევს. ვფიქრობ, რომ საბოლოოდ ტფილისზე შევჩერდებით. გთხოვ, მშობლებთან ერთად ყოველივე კარგად მოისაზრო. საჭირო დოკუმენტების საქმე არ გადადო და მალევე გამომიგზავნე.პირველი-შენი მეტრიკა, მეორე-ხელწერილი მასზედ, რომ სურვილი გაქვს ცოლად გამომყვე, მესამე-შენი მშობლების ხელწერილი, რომ ჩვენ დაქოწინებაზე თანახმა არიან. ეს საბუთები არაუგვიანეს 20 ივლისისა უნდა მომივიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შეყოვნდება და ჩემი აქედან დროულად გამომგზავრება შეუძლებელი გახდება. შენ ჩემგან საპატიებელი არაფერი გჭირს: შენ ხომ არავის წყენინება არ შეგიძლია, მითუმეტეს, ჩემი. საკმარისია მხოლოდ ერთხელ ჩაგხედო თვალებში, რომ დავინახო შენი მშვენიერი ღიმილი, რომ შენზე ამგვარი ფიქრიც კი, არასოდეს დაუშვა. ჩემი ამგვარი დაფასებისათვის ავალოვისა და ნაცვალოვის უსაზღვროდ მადლიერი ვარ. მითუმეტეს, რომ ჩემდამი მათი ამგვარი დამოკიდებულება ჩემთვის მეტად ძვირფასია და ჩვენ დაახლოვებას ხელს უწყობს. ვხარობ, რომ ჩვენი გულები, წინაღობების გარეშე, ურთიერთმიისწრაფიან, რათა საბოლოოდ შეერთდნენ. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენ ურთიერთობებში, ურთიერთსწრაფვაში რაიმე წინაღობები აღარ შექმნილიყოს. ჩემად კი, პირობას გაძლევ, რომ მხოლოდ შენ მეყვარები და იმედი მაქვს, რომ ჩემი ნინოჩკაც ასევე მოიქცევა. გთხოვ, გულითადად მომიკითხო კნეინა მაკინე ამირეჯიბი, ავალოვი, ნაცვალოვი და ყველა, ვინც ჩვენ ერთად გვადღეგრძელებს. საშინლად მთრგუნავს ის აზრი, თუ როგორ ქანცავს ჩემ ნინოჩკას აურაცხელი სტუმრის მიღება-გასტუმრება. ერთკვირიანი დასვენების უფლება მაინც მოგცენ, თორემ მთლად გადაიღლები. არ შემიძლია ერთი რამ არ გამოვთქვა: შენ მეტად დიდ და ხმაურიან საზოგადოებას ხარ შეჩვეული. ვშიშობ, რომ ჩვენი, ჯელალოღლის პატარა საზოგადოება არ მოგეწონება და მეტწილად მხოლოდ ჩემი საზოგადოებით დაკმაყოფილება მოგიწევს. აბა რას იტყვი ჩვენს *tete a tete* [15] ხშირ საზოგადოებაზე პირისპირ, ერთი ერთზე. ხშირ შეხვედრებზე. ჩემთვის ყოველივე მეტად სასიამოვნო იქნება და არასოდეს

მომწყინდება. ამიტომ, შეეცადე შეეგუო ამ აზრს, რომ შემდგომ იმედი არ გაგიცრუვდეს. მე ყველანაირად შევეცდები, რომ ჩვენი ცხოვრება მრავალფეროვანი გავხადო, მაგრამ სამომავლოდ დიდი იმედები ნუ გექნება. აბა რას იტყვის ჩემი მშვენიერი საცოლე ამგვარ მსჯელობაზე? კიდევ ერთხელ გთხოვ, საჭირო დოკუმენტები მალევე გამოგზავნო.ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მათ გარეშე ჯერ უფლება არ მაქვს შენ ჩემად მოგიხსენიო და, რაც მთავარია, შეიძლება ისე მოხდეს, რომ ჩვენი ქორწინება კვლავ შეყოვნდეს. ამის არანაირი სურვილი არ მაქვს.... (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42755).

ხელნაწერილი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

29 ივნისი დღის 4 საათი

წინა წერილი, რომელიც აგრეთვე 29 ივნისს დავწერე, უკვე კონვერტში იყო მოთავსებული, როცა გამახსენდა, რომ ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩემთვის ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი გახდი. 29 მაისმა ნერტილი დაუსვა ჩვენს შორის არსებულ გაურკვევლობას, რომელიც 5 წელი გრძელდებოდა. რაღაც უცნაური შემთხვევითობით გამოწვეული ჩვენი განშორების შემდეგ, განგებამ ჩვენი გულების შეერთება კვლავ ინება. ამ დღემ მომანიჭა ის ბედნიერება, რომელიც ერთ დროს კინაღამ ხელიდან გამისხლტა. მე ამ დღის უსასრულოდ მადლიერი ვარ, მან ასე უბრალოდ და ადვილად ბედნიერება მარგუნა. ბედნიერება იმისა, რომ ამიერიდან როგორც ჩემს საყვარელ, ძვირფას, კარგი საცოლეს მოგმართო და რომ რამოდენიმე თვეში ჩემი საყვარელი, ძვირფასი, კარგი მეუღლე გიწოდო. გთავაზობ, ამიერიდან 29 მაისი მშვიდად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე და, თუ ეს შესაძლებელი იქნება, მარტო ჩვენ ორმა აღვნიშნოთ, რათა ჩვენი ბედნიერება, უფრო სრულყოფილი, უფრო სრულფასოვანი გახდეს. აბა, რას მეტყვი, ჩემო საოცარო საცოლევ, ჩემო მშვენიერო ნინოჩკა? დღემდე ხომ ყველაფერში ვთანხმდებოდით, როგორ ფიქრობ ამ საკითხშიც დავეთანხმებით თუ არა ერთმანეთს? დღეს, 11 საათისთვის, ამხანაგთან წასვლას ვაპირებდი, მასთან ერთად უნდა მესადილა. ჩავიცვი კიდეც და ცხენის შეკაზმვა ვუბრძანე. მოულოდნელად თავსხმა წვიმა წამოვიდა, ისეთი, როგორც მხოლოდ სამხრეთში იცის. ვიფიქრე, რომ მალევე გადაიღებდა, როგორც ასეთ წვიმებს ჩვევიათ. ნურას უკაცრავად, თავსხმა წვიმა საათნახევარზე მეტი გაგრძელდა. მთელი ბანაკი დატბორა, არ ვიცოდით, თავი სად შეგვეფარებინა. ირგვლივ წყალი იდგა. პირველი საათისთვის გადაიღო და ჩვენ, წვიმისგან წარმოქმნილ ნაკადულებში, მუხლამდე წყალში სვლით, სასადილომდე ძლივს მივაღწიეთ, იქ კი უგემრიელესი სადილი დაგვხვდა.

გეხსომება ალბათ, რომ დღეს დიდი დღესასწაულია – (ქართულად წერია – *დღეს ახის პეტხე-პავღობა).* აღნიშნულთან დაკავშირებით, ჩემი ორი მომავალი ნათესავი *პეტხე*[16] და *პავღე*[17] *ყიფიანები* გამახსენდა. რა წუთსაც მოგეცემა შესაძლებლობა, მათ ჩემი პატივისცემა გადაეცი. ჩემო ნინაჩკა! სადღეისოდ შენთან საუბარი საკმარისია.ამ წერილს გვერდზე გადავდებ, მერე გავაგრძელებ, რომ მომდევნო ფოსტით გამოგიგზავნო.

მინაწერი: .... შენი ყოველი, თუნდაც მოკლე წერილი ისეთი სიყვარულით და გულრწფელობით არის აღსავსე, რომ თითოეული მათგანის გამო ყველაფრის გაცემა შემიძლია (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42755).

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

7 ივნისი, საღამოს 7 საათი

შენი წერილი დღეს დილით 10 საათზე მივიღე. ის როგორც წესი ზედმინევნით საყვარელი იყო. ნამდვილად ძალიან აკურატულად მწერ, ყოველ კვირა დღეს და ყოველ სამშაბათს. შენი წერილებით უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. პარასკევობით შენგან წერილებს აღარ მოველი, რადგან ცხინვალიდან ფოსტა მხოლოდ ორჯერ გამოდის. მე კი, ჩემ ნინოჩკაზე ნაკლებად აკურატული როდი ვარ და გასულ სამშაბათს ჩემი წერილი რომ არ მიიღე, მიკვირს. მხოლოდ ის მამშვიდებს, რომ პარასკევს ერთდროულად ორ წერილს მიიღებ.

ძალიან კარგია, რომ ნელ-ნელა საქმეებს კიდებ ხელს, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, თავს ნუ დაიღლი. შენ ხომ შენი შრომით ლუკმა პურის შოვნა არ გიწევს, ამიტომ საქმეებიც ისე უნდა აკეთო, რომ სიმშვიდე მოგიტანოს. შენ უკვე ორჯერ მომწერე, რომ ბოლო დროს ერთგვარი მოწყენილობა, წუხილი გეუფლება. შეძლებისდაგვარად შეეცადე შენი ყოველდღიური ცხოვრება უფრო მრავალფეროვანი გახადო: აბაზანა, გასეირნება, წიგნები, კორესპონდე[...],[19] მუსიკა, კერვა და ქარგვა, მეგობრებთან საუბრები და სხვა. ყოველივე საკმარისად შეავსებს შენს ყოველდღიურობას. ეცადე მეტი დრო სუფთა ჰაერზე გაატარო და ჯანმრთელობას მიხედო, იზრუნე შენს გარდერობსა და ჩაცმულობაზე. მსახურის თან წამოყვანას მირჩევ. ის სულ ახლახანს ავიყვანე და მასთან ურთიერთობების დალაგება შენთვის იოლი როდი იქნება, რადგან მან საქმე ნაკლებად იცის და არანაირი პრაქტიკა არ აქვს. თუ მას ცხინვალში ჩამოვიყვან, შენთან დავტოვებ იმ დროით, ვიდრე მე რაჭაში ვიქნები. არ ვიცი როგორ მოეწყობა ეს ყოველივე, როგორ შეეგუებიან მას თქვენი მოსამსახურეები, მათ ხომ რუსული არ იციან. გაითვალისწინე ყოველივე და მომწერე, მისი წამოყვანა თუ აქ, ჯელელ ოღლიში დატოვება ღირს. სიმართლე გითხრა გზაში ის უფრო ხელის შემშლელი იქნება, ვიდრე დამხმარე, ამიტომ მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოვიყვან თუ ცხინვალში რამეში მაინც წაგადგებათ....[22] მისთვის საქმის სწავლება მოგვიწევთ. თუ წარმატებული სროლისთვის რაიმე ჯილდოს მოცემას ფიქრობენ, არანაირი არ მეკუთვნის, რადგან გენერლის წოდებამდე რაც კი ჯილდო არსებობს, ყველა უკვე მიღებული მაქვს. ამჟამად მხოლოდ ჩინის მიღება თუ შემიძლია. ვიცე პოლკოვნიკის წოდებას მხოლოდ ვაკანსიის შემთხვევაში მივიღებ, რა დროსაც ბატარეის მეთაურობის უფლება მომეცემა, ყოველივეს კი არანაკლებ 3-4 წელი დაჭირდება. ხომ ხედავ, ჩემ აზრს გიორგიც იზიარებს. ჯვრისწერა უნდა მალევე, მოკრძალებულად ჩავატაროდ. ამიტომ ჩვენ შემოგვიერთდი –სექტემბერში, როდესაც თბილისში ჩამოვალ და სასწრაფოდ ჯვარი დავიწეროთ, ოღონდ არავის შევატყობინოთ. ამ საკითხის გააზრება შენთვის ადგილზე უფრო იოლია. ამიტომ ჩემო თვალისჩინო, კარგო, საყვარელო ნინოჩკა, კარგად მოიფიქრე და მაცნობე. შენი გულში ჩაკვრის სიხარული მალევე მომანიჭე და ამით ნურც იდუმალებას შევქმნით და ნურც აუტანელ ხმაურს. სხვებს დალევა და ლხინი სურთ, დაე დალიონ და ილხინონ, ჩვენ კი ღვინის გარეშეც მოვილხენთ. მხოლოდ ერთი საკითხი მაწუხებს: ვთქვათ 5-8 სექტემბერს თბილისში ჯვარი დავიწერეთ, ამ შემთხვევაში შენთან დარჩენა სექტემბრის ბოლომდე შემეძლება, მერე კი ორი სამი დღით რაჭაში ჩემს კარ-მიდამოს რომ მივაშურო ჩემი მხრიდან, როგორი საქციელი იქნება? უკვე ისე მიგეჩვიე,რომ შენთან, თუნდაც რამდენიმე დღით, განშორების გააფიქრებაც კი, ჩემთვის ძალიან რთული იქნება. ხოლო შემდგომ შესაძლოა, ყოველივე გაათმაგდეს. რას იტყვის ჩემი უმშვენიერესი საცოლე? რა გამოსავალს ნახულობს ამ დილემიდან?

ღამის 11 საათი. ამ წერილის დაწერა რომ დავიწყე თავსხმა წვიმა იყო და აღმოსავლეთის ქარი ქროდა, დაახლოებით 10-ის ნახევარზე ცა მოიწმინდა, მთვარე მთელი თავისი ბრწყინვალებით ცოდვილ დედამიწას მკრთალ შუქს აფენდა. ეზოში სრული სიწყნარე იდგა, ნიავიც კი არ იმჩნეოდა, შორს კი, მთვარის ფანტასტიური ვერცხლისფერი შუქით განათებული, დათოვლილი ალა-გეზი მოჩანდა. ... [25] მე კი მინდა გესაუბრო...[26] (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

წერილის ფრაგმენტი, ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

21 ივლისი, საღამოს 7 საათი, ჯელალოღლი

როგორც ალექსანდროპოლიდან მოგწერე, ბატარეა,რომელიც იქიდან საღამოს 6 საათზე გამოვიდა, სამ დღეში უკვე ჯელალ ოღლიში იყო. არაჩვეულებრივი ამინდი იდგა, სიცხე არ იგრძნობოდა და რაც მთავარია, როგორც იქნა კოღოებს თავი დავაღწიეთ. ალექსანდროპოლში ისინი ხომ მოსვენებას არ გვაძლევდნენ. ჩვენი სვლა უფრო partie de plaisir მხიარულ გასეირნებას წააგავდა, ვიდრე სამხედრო ლაშქრობას. სამი ბატარეა ერთად მოდიოდა, ორი ჩვენი და ერთი გრენადერთა მეექვსე, რომელიც თბილისში, თავის შტაბ-ბინაში ბრუნდებოდა. გუშინ, 20-ში, ჩვენ 30 ვერსი უნდა გაგვევლო, ბეზობდალსკის უღელტე-

ხილი უნდა გადაგველახა. დილის 8 საათზე უკვე უღელტეხილის წვერზე ვიყავით, სადაც მოვწიეთ და ჩემი დღეობის (ილიაობის) აღსანიშნავად, ჩემი სადღეგრძელო შევსვით.იქიდან ჩვენი ბატარეა, როგორც სამთო, პირდაპირ, ქვემოთ დაეშვა, ხოლო დანარჩენ ორ ბატარეამ, სვლა მოშანდაკებული გზით განაგრძო. დილის 10-ის ნახევარზე ბატარეასთან ერთად ჯალალ ოღლიში საზეიმოდ შევედით. სოფელთან ახლოს, ალექსანდროპოლიდან ორი დღით ადრე ჩასული, ბრიგადის მეთაური შეგვეგება. მან დღეობა მომილოცა და წარმატებული ლაშქრობისათვის მადლობა გადამიხადა. მას შემდეგ, მეოთხე ბატარეის მეთაურისგან, პოტულოვისგან მიწვევა მივიღე. ეს ის ბატარეაა, რომელსაც პოტულოვის მივლინებაში ყოფნისას, ალექსანდროპოლთან მდებარე ბანაკში ვმეთაურობდი. პოტულოვმა, მისი ბატარეის ჯეროვანი მეთაურობისათვის, დიდი მადლობა გადამიხადა. სადილად მასთან დავრჩი.დანარჩენი ორი, მოშანდაკებული გზით მომავალი ბატარეა, ჯელალ ოღლიში დღის 3 საათზე ჩამოვიდა. საღამო ხანს კლუბში ბევრმა ხალხმა თავი მოიყარა და ცეკვები გაიმართა. აქ ადგილობრივების ოთხი პოლკია განლაგებული. როგორც ჩანს, აქ ბუნებით ცოცხალი ხალხი ცხოვრობს და აქაური საზოგადოება მრავალრიცხოვანია. ბევრი ვიცეკვეთ და ვიმხიარულეთ. ღამის 1 საათზე შენი მისალოცი დეპეშა მომიტანეს. მასთან ერთად კიდევ ერთი, თბილისიდან ჯავროვის მისალოცი მივიღე. შენთვის და მისთვის პასუხის გამოგზავნა დღესვე მინდოდა, მაგრამ დილიდანვე გამომიძახეს და ამ წუთს გავთავისუფლდი. წერილის დაწერა ვამჯობინე, ის ხვალ გამოიგზავნება. ტელეგრამა რომ გამომეგზავნა გაგიკვირდებოდა - ასე დაგვიანებით რატომ აგზავნისო. დღეს დილით ახალ უფროსობასთან გამოცხადება და აქაური ბანაკის თანამშრომლების გაცნობა მომიხდა. აქ კეთილი, თავაზიანი და სტუმართმოყვარე ხალხია. არტილერიის მათთან ჩასვლით უზომოდ კმაყოფილი არიან. თუმცა 10 აგვისტომდე ჩვენ ცალკე ვიქნებით, არავის დავექვემდებარებით და დავისვენებთ. ქვეითებთან ერთად ჩვენი წვრთნები 10 აგვისტოდან იწყება და 1 სექტემბრამდე გაგრძელდება. დასვენების დროს, ამ 20 დღის განმავლობაში წიგნების, გაზეთების, ჟურნალების და შენი წერილების კითხვის გარდა სხვა საქმე არ მექნება. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნებოდი ჩემი ნინოჩკა ახლა აქ, ჩემ გვერდით რომ იყოს. ამჟამად,ამ მხარეში წლის საუკეთესო დრო დგას. აქ რომ ყოფილიყავი, აქაური ჰაერით აღტაცებული დარჩებოდი. ირგვლივ ყველაფერი მწვანეშია ჩაფლული. ტყე, წყალი, სრული სიწყნარე. შორიდან მელოდია და ჯარისკაცების სიმღერა მოისმის. ერთი სიტყვით, აქაურობა ძალიან მომხიბვლელი და წარმტაცია, ალექსანდროპოლის მტვერთან და ქართან შედარებით, ნამდვილი სამოთხეა. დღეს გრენადერთა ბატარეის ოფიცრებს სადილით ვუმასპინძლეთ. ეს ის ბატარეაა რომელიც ლაშქრობაში ჩვენთან ერთად მონაწილეობდა. კარგი დრო გავატარეთ. რა თქმა უნდა, ჩემი ძვირფასი საცოლის სადღეგრძელო შევსვით. რომ იცოდე, შენი სადღეგრძელოს თქმა ბევრჯერ მოგვიწია. ჯერ გუშინ - ბეზობდალსკის უღელტეხილზე,[28] შვიდი ათასი ფუტის სიმაღლეზე , მერე- პოტულოვებთან, მას შემდეგ ჩემს მეგობარ ივანევიჩთან (გამომრჩა მეთქვა, რომ სადილობა ორჯერ მომიწია, 1 და 4 საათზე). დღეს ადგილობრივი ბანაკის კომენდანტი გენერალი მილოვი თვითონ გვეახლა და სადილზე დაგვპატიჟა, რომელიც ხვალ, ხელმწიფე იმპერატრიცას დღეობის აღსანიშნავად ეწყობა. ხვალინდელი დღის პროგრამა შემდეგია : დილის ცხრის ნახევარზე საზეიმო აღლუმი მოეწყობა, აღლუმი სროლით ჩაივლის(ჩვენ ვისვრით), თორმეტ საათზე - სადილი, სამ საათზე წვეულება გაიმართება, რომელზეც ადგილობრივი საზოგადოებაა მოწვეული. წვეულების დროს იქნება მუსიკა -ოთხი ქორო, სიმღერა - სამ, ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე, ტანვარჯიში.... [31] (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42754)

წერილის ფრაგმენტი, ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

24 ივლისი დილის 9 საათი, ჯელალოღლი

ჩემო ძვირფასო ნინოჩკა! მოხარული ვარ და მომწონს, რომ ჩვენი ურთიერთობები კვლავ დალაგდა - გუშინ შენი წერილი მივიღე. დასანანია, რომ ამანათის გაგზავნა სარაკამიშში მოგიხდა. რა თქმა უნდა, ადრე თუ გვიან ის ჩემამდე მაინც მოაღწევს, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, შენი ხელნაკეთის მალევე ნახვით როგორ გავიხარებდი.შენი, ეჭვს გარეშე,

მშვენიერი ნამუშევრის და ფოტოსურათის ცქერით როგორ დავტკბებოდი და შემდგომ შეხვედრამდე ჩემთვის როგორი ნუგეში იქნებოდა. ჩემ სხვა ფოტოსურათს ამ დღეებში გამოგიგზავნი. მანამდე ვერ ვახერხებ, რადგან ნივთები ნორმალურად ჯერ არც კი დამილაგებია. კვირას, 21-ში, მოგზაურ მსახიობების მიერ გამართულ სპექტაკლს დავესწარი. მათ ისე უჭირთ, რომ გასამგზავრებელი თანხაც კი არ გააჩნიათ. სპექტაკლს ბევრი მაყურებელი ჰყავდა, ყველა ადგილი დაკავებული იყო. ეს პირველი საღამო იყო, რომელმაც მათ კარგი შემოსავალი მოუტანა. საკმაოდ კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ღარიბი გარემო არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. როგორც უკვე მოგწერე, აქ განლაგებულმა ბრიგადამ 22-ში წვეულება მოაწყო, სადაც ადგილობრივი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოება იყო მიწვეული. ამ საინტერესო დღეს დაწვრილებით აღვწერ: დილის 8 საათისთვის ბანაკის მთელი საჯარისო შემადგენლობა ღია, სწორ მინდორზე შეიკრიბა...[32] მწყობრად დაეწყო. იქ ჩვენი ორი ბატარეაც იმყოფებოდა, მსახურებას ორი მღვდელი ასრულდებდა, მართლმადიდებლებისთვის რუსი და გრეგორიანელებისთვის სომეხი. საზეიმო გასროლის მოსახდენად მდინარე კამენკას მოპირისპირე მხარეს ჩვენი რვა ქვემეხი იდგა. ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე იმპერატრიცას მრავალჟამიერის გამოცხადების შემდეგ, მისასალმებელი სალუტი გაისმა. არაჩვეულებრივი ამინდი იდგა. საზეიმო სვლა-აღლუმი ბრწყინვალე გამოვიდა. ფრიადი, გამორჩეული სროლისათვის მესამე ბრიგადის დაბალი რანგის ჩინოსნები დაჯილდოვდნენ. ჩვენი ჯარისკაცები სადილად ფანჩატურებში, ადგილობრივების მიერ გაშლილ დახლებზე მიიწვიეს, კარგი, გულითადი მასპინძლობა გაუწიეს, არაყიც არ დავიწყებიათ. მე და დუდაროვი, როგორც ბატარეის უფროსები, გორის პოლკში დავრჩით, რომელსაც *კოტე ეჰისთავი*[34] მეთაურობს, ჩვენი დანარჩენი ოფიცრები კი სხვადასხვა პოლკებში გადანაწილდნენ. რა თქმა უნდა, სადილს მანდილოსნებიც ესწრებოდნენ, მაგრამ არც თუ ისე ბევრი. მაგალითად ჩვენთან მხოლოდ ერთი მანდილოსანი, ჩვენი ოფიცრის მეუღლე, მადამ პოტულოვა იმყოფებოდა. სადილის შემდეგ ყველა გორაკზე შეიკრიბა, მას ორი კვირის განმავლობაში სპეციალურად ამაღლებდნენ. ის ხალიჩებითა და ალმებით იყო მორთული. ქვემოთ კი, ადგილობრივები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. შემდგომ, სმოკინგში გამოწყობილი ფოტოგრაფი მოვიდა და ჩვენ ჯგუფს ფოტოსურათები გადაუღო. 4 საათზე, პრიზები გათამაშდა- 400 ნაბიჯზე სირბილში, 7 არშინის სიგანის წყლით სავსე თხრილზე ხტომაში, ბოძზე ასვლაში, გაქონილ მბრუნავ ანძაზე გადასვლაში, ჭიდაობაში და სხვა. ეს ვეებერთელა მინდორი ჯელალოღლიდან მოსული პუბლიკით იყო სავსე, მათ ამგვარი სანახაობა არასოდეს არ ენახათ. საზოგადოების რჩეული ნაწილი სკამებზე განთავსდა, დანარჩენი ფეხზე იდგა. დაახლოებით 6 საათისთვის ცეკვები დაიწყო, ჯერ აზიური, შემდგომ ევროპული. ცეკვები 8 საათამდე გაგრძელდა. ჩამობნელდა თუ არა,ბანაკში უამრავი ფერადი ფანარი აინთო. ყოველივე თვალწინ გადაშლილ სანახაობას ფანტასტიკურ ელფერს ანიჭებდა. 8 საათზე ჩვენ ჯარისკაცების თეატრისკენ გავემართეთ, რომელიც ღია ცის ქვეშ, როგორც ძველ ათენში, ისე იყო მოწყობილი. პუბლიკისთვის ამფითეატრში კორდის სკამები დაეწყოთ. ჩირაღდნების შუქზე ადგილობრივების დაბალი ჩინები შეუდარებლად კარგად თამაშობდნენ. ამავდროულად, რაკეტები და მაშხალები გაუშვეს, ფოიერვერკი დაიწყო, რომელიც არც თუ ისე მდიდრული და კარგი გამოდგა. 9 საათზე ვახშამს მივუსხედით, სტუმართმოყვარე მასპინძლებისგან თავის დაღწევა მხოლოდ ღამის 11 საათზე თუ შევძელით და ბანაკში დავბრუნდით. საშინლად დავიღალე: ვახშმის ბოლომდე ძლივს გავძელი. ფეხებში ყრუ ტკივილს, ტეხვას ვგრძნობდი, თავი კი მისკდებოდა. დილის 7 საათიდან ღამის 11 საათამდე, თითქმის მთელი ეს დრო ფეხზე დგომა მომიწია, შედარებით ცოტა ხანი, სადილისას და ვახშმობისას, სუფრასთან ვიჯექი. ... [36] (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე, მითითებულია თვე და რიცხვი.

2 აგვისტო, ჯელალოღლი

დღეს ორმაგი სიხარული მეწვია. ქვიშხეთიდან შენი წერილი და ამანათი მივიღე, რომელმაც სარაკამიში მოაიარა. ჩემო კარგო ნინოჩკა, ვერც კი წარმოიდგენ როგორი გახა-

რებული ვარ შენი ყურადღებით. შენი საჩუქარი ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, იმით არის ძვირფასი, რომ შენი საყვარელი ხელებითაა შექმნილი. შეძენილი საჩუქარი, როგორი ძვირადღირებულიც არ უნდა იყოს, ჩემთვის ნაკლებად ძვირფასი იქნებოდა. ტყუილუბრალოდ აძაგებ შენ ნამუშევარს, ჩემი აზრით, ის მშვენიერია! წარმომიდგენია, თუ პირველი ნამუშევარი ასეთი მშვენიერია სხვა, მომდევნო ნამუშევრები როგორი იქნება. რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ჩემი ნინოჩკა გადაწყვეტს თავისუფალი წუთები ამ საქმეს დაუთმოს. ცამდე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენ მოკრძალებულად და წყნარად ვიქორწინებთ. ჯერ არავინ არ დამიპატიჟებია და არც დავპატიჟებ, ოღონდ ჩვენმა ქორწილმა მოკრძალებულად და მშვიდად ჩაიაროს. ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენი ცხოვრების ამ საზეიმო წუთებს ჩვენთვის ყველაზე ახლო და ძვირფას ადამიანების წრეში გავატარებთ. დიდი თავყრილობა მე ყოველთვის მზღუდავს, მავიწროვებს. წარმოიდგინე რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როდესაც მთელი ყურადღება ჩვენსკენ იქნება მიმართული! თუმცა, თავყრილობებს, საზოგადოებაში ყოფნას შენ ჩემზე მეტად ხარ მიჩვეული და ამიტომ ყოველივე შენთვის უფრო იოლი იქნება. ბუფეტის კარადის გარდა, შენთვის გარდერობს და ტუალეტის მაგიდას დავუკვეთავ. რაც შეეხება საწერ მაგიდას, ჩემსას დაგითმობ და არ შეგაწუხებ, რადგან მე დიდი მიწერ-მოწერა აღარ მექნება. ბევრს მხოლოდ ჩემ ნინოჩკას თუ ვწერ, ხოლო გვერდით რომ მეყოლება, მასთან უშუალოდ ვისაუბრებ და არა წერილობით, როგორც ამჟამად. ჩვენ, სექტემბრის თვეში თბილისში შეხვედრაზე შევთანხმდით, მაგრამ ვერ ვხვდები, ამ პაპანაქება სიცხეში იქ რისთვის უნდა ჩახვიდე. შენ წერ, რომ მზითვის მომზადებას ჯერ არ შეუდექით. ყოველივე გასაგებია, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ თბილისში რაც შეიძლება ცოტა ხნით დავრჩეთ. ვფიქრობ, საამისოდ ხუთი- შვიდი დღე საკმარისი იქნება. ჩემო კარგო, რას ფიქრობ ყოველივეზე? ერთი გარემოება მახალისებს: ამ დრომდე მეტნაკლებად კარგი მეურნე, არასოდეს არ ვყოფილვერ, საოჯახო წვრილმანებს არასოდეს ჩავწდომივარ. ეს საქმე დენშიკს, მომსახურე ჯარისკაცს, ჰქონდა მინდობილი. როგორც ჩანს, ამ საკითხებში მაინცდამაინც კარგად არც ჩემი ძვირფასი საცოლე არის გათვითცნობიერებული. ამავდროულად, ჩვენ ორივე ვფიქრობთ და ვცდილობთ ჩვენი პატარა მეურნეობა შეძლებისდაგვარად ფეხზე დავაყენოთ. უეჭველია, რომ ჩვენ მეურნეობაზე ვზრუნავ, მაგრამ ზრუნვის საგანთან მიმართებით სრულ უმეცრებას განვიცდი. რა უნდა ვაკეთო? დროთა განმავლობაში შევეჩვევით! ხომ ასეა, ჩემო მბრძანებელო? ყველა საქმეში მხარში ამოგიდგები და, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემით მუდამ კმაყოფილი იქნები. *მადმუაზელ ყიფიანის*[37] ჩემდამი ყურადღება და განწყობა,ზედმიწევნით გულთან მიმაქვს. მხოლოდ ის რად ღირს, რომ შენ მეტად გიყვარს და მასთან ისეთი დამოკიდებულება მექნება, როგორიც შენ საყვარელ დას ეკუთნის. მას ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცი და მოხარული ვიქნები, თუ პირველივე შეემთხვევაში გავეცნობი და ჩემ პატივისცემას დაუდასტურებ. მის ძმას, ვასოს კარგად ვიცნობ და პატივისცემა მადმუაზელ ყიფიანსა ჩემ შორის მაკავშირებელი იქნება. ჩვენი მშობლები მომიკითხე. აგრეთვე შენი მეგობრები. გთხოვ, დარჩენილი თვის განმავლობაში კარგად დაისვენო და დაწყნარდე. ყოველი ფოსტის გამოსვლისას მომწერე.

ვეხვევი და ვკოცნი ჩემ ნინოჩკას.
მთელი გულით შენი ილიკო.
(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

წერილის ფრაგმენტი, ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

7 აგვისტო დილის 5 საათი
რა თქმა უნდა, ჩემი ნინოჩკა ახლა ღრმა ძილშია. მშვიდ ძილს გისურვებ, ღმერთსა ვთხოვ,რომ უდარდელი და ტკბილი ძილი გიბოძოს. ჩემი ასე ადრე ადგომის მიზეზი კი შემდეგია: როგორც გწერდი, ყოველგვარი წვრთნებისგან 10 აგვისტომდე თავისუფალი ვართ და ვისვენებთ. ამას წინებზე ჩემმა ძველმა, კარგმა ნაცნობმა, ლორეს პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკ პეჩკოვსკიმ მასთან ერთად მანევრებში მონაწილეობა მთხოვა, თან დასძინა,

რომ ყოველივე წვეულებით დაგვირგვინდება და, რომ იქ მანდილოსნებიც იქნებიან. რა თქმა უნდა, დავეთანხმე. დღეს, დილის 7 საათზე მისი პოლკისა და ჩემი ბატარეის ერთად გასვლა, 9 საათისთვის გერგეთის იერიშით აღება, სოფელში მუსიკით და სიმღერით შესვლა, სოფელის მაახლობლად სადილის მოეწყობა და საღამოს 5 საათზე უკან დაბრუნება განისაზღვრა. მშვენიერი ამინდია, ასე რომ სასიამოვნო გასეირნება გველის. რადგან ძველ ნაცნობს უარი ვერ ვუთხარი, ჩემი ბატარეა გასასვლელად უკვე ემზადება. ვგონებ, გახსოვს, რომ ქორწილის გადახდას მოკრძალებულად, ზედმეტი ხმაურის გარეშე ვაპირებდით. მოხარული ვარ, რომ ჩემი ნინოჩკა კვლავ ამ აზრზეა.ასე მოვიქცეთ: თბილისში გამომგზავრებისას, იქ ქორწილის გადახდისთვის მზად იყავი. სხვებს ნუ გაანდობ. თბილისში ექსპრომტად ჯვარს დავიწერთ, ქორწილის შემდეგ სადღაც ერთი კვირა იქ დავრჩებით, მერე კი ცხინვალს მივაშურებთ. ყოველივე მეტად მოხერხებულად გამოვა. ჩემი წინადადების დეტალები თბილისში განვიხილოთ, სადაც, ალბათ, 6 სექტემბერს შევხვდებით. ყველა ნაცნობის და ნათესავის დაპატიჟების არანაირი შესაძლებლობა არ არის. რა თქმა უნდა, ბევრი ნაწყენი დარჩება, ხოლო თუ თბილისში ვიქორწინებთ, ჩვენს მიმართ პრეტენზია არავის ექნება, რადგან ორი-სამი ახლობელის და მეჯვარეების გარდა არავის მივიპატიჟებთ. საამისოდ შენი მშობლები ნელ-ნელა შეამზადე, განსაკუთრებულ დაჟინებას ნუ გამოიჩენ. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი მარტივად და ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაივლის. ქეიფს მერეც მოვასწრებთ. სავსებით ვეთანხმები შენ აზრს-ნაცნობებს და ნათესავებს ნაწილ-ნაწილ მივიპატიჟებთ. იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ჩემი წერილები შენამდე დაგვიანებით აღწევენ, ჩემში ეჭვის შეტანა კარგი რამ არ არის. თუ ფოსტის აქედან გამოსვლის თარიღი არ ემთხვევა მისი ცხინვალში ჩამოსვლის თარიღს, რა უნდა ვიღონო, უძლური ვარ ამ შემთხვევაში. შეგიძლია წერილების თარიღი შეამონმო და დარწმუნდები, რომ ჩემი ყოველი წერილის თარიღი ფოსტის აქედან გამოსვლის თარიღს ემთხვევა და არც ერთი დღე არ გამიცდენია. თვითონ ხომ მომწერე, რომ ამ წინებზე ერთდროულად ჩემი ორი წერილი მიიღე. ყოველივე კი იმაზე მეტყველებს, თუ როგორ მიყვარს ჩემი ნინოჩკა. მთელი გულით და სულით მიყვარს. დღითიდღე ის ჩემთვის უფრო ძვირფასი ხდება. ჩვენ უკვე ისე ვართ ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ჩემი მომავალი შენს გარეშე წარმოუდგენლად მიმაჩნია... როგორ შეგიძლია ჩემში ეჭვის შეტანა? გიორგის თხოვნის შესრულება ნამდვილად მსურს. მინდა ჩემი ფოტოსურათი გავუგზავნო, მაგრამ არ მაქვს და მოძიებაც არ შემიძლია. მას სექტემბრამდე დაცდა მოუწევს, თბილისში რომ ჩამოვალ, გადავიღებ და თხოვნასაც შევუსრულებ. შენ წერილთან ერთად ჩემი ძველი მეგობრის რომან *ჯავხოვის* [1] წერილი მივიღე. უნდა გაგანდო, რომ თბილისში ყოფნისას ჩვენი ნიშნობის თაობაზე სიტყვაც კი არ დამცდენია, არადა იმ დღეს, როცა ხელი გთხოვე, მასთან ვივახშმე. 20 ივლისს მისგან მისალოცი მივიღე. მე მას წერილი გავუგზავნე და ჩვენი ნიშნობის თაობაზე ვაცნობე. ვთხოვე, რომ დაგვიანებული შეტყობინების გამო, ნაწყენი არ ყოფილიყო. ის მწერს, რომ ნაწყენი სულაც არ არის, რომ მოხარულია და გვილოცავს. მოგიყვან რამდენიმე ამონარიდს მისი წერილიდან: „შენ მომავალ მეუღლეს, ნინას მეტნაკლებად ვიცნობ, თუ კლუბში გაცნობა, ნაცნობობად შეიძლება ჩაითვალოს. ის ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა... (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763).

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

21 აგვისტო, ჯელალოღლი, საღამოს 10 საათი
ნინოჩკა! ჩემო ძვირფასო მეგობარო! როგორც ვვარაუდობდი, ისე მოხდა კიდეც: ორშაბათს შენი ორი წერილი მივიღე, მათ შეუდარებელი, განუმეორებელი სიამოვნება და სიხარული მომანიჭეს. მოხარული ვარ, რომ შენ იზიარებ ჩემ აზრს და თბილისში ექსპრომტად ქორწინებაზე წინააღმდეგი არ ხარ. თუ რა უნდა შემდგომ ვაკეთოთ, სად და რა ხნით გავემგზავროთ-მერე გამოჩნდება. ამჟამად წინასწარ ამის განზრახვა არ ღირს. ჯერ კიდევ 1886 წელს ერთად უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ როგორც შენთვის ცნობილია, რაღაც უცნაურმა, საბედნიეროდ, უკვე აცილებულმა გაუგებრობამ, ყოველივეს ხელი შეუშალა. ჩვენი შეკავში-

რების, კარზე მომდგარი ბედნიერების დროში გაწელვა არ ღირს. ერთმანეთს სულით უკვე ვეკუთვნით, ისღა დაგვრჩენია მალევე ეკლესიაში მივიდეთ და ჯვარი დავიწეროთ. მით უმეტეს, რომ ჩვენ აზრს *გიოჰგიც*[42] იზიარებს. შენი მშობლების დათანხმება, ვგონებ, რთული არ იქნება. როგორც გწერდი, ბინა 16 რუბლად უკვე ვიქირავე. მას აივანი აქვს, რომელიც ქუჩაზე გადის. აგრეთვე გაშენებული ბაღი აქვს. ხინკინსკები აქ დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ, ხოლო *ჯეღაღოღღიში ყოფნისას,* სად, რომელ სახლში *ცხოვჰობდნენ შენი მშობღები*[43], ჩემთვის უცნობია. ჩემი აზრით, ეს ბინა ხინკინსკების სახლზე არაფრით ნაკლები არ არის. როგორც გწერდი, ის აქ ერთ-ერთი საუკეთესო ბინაა, რაშიც თვითონ მალევე დარწმუნდები. ხოლო რაც შეეხება ბინის მორთვას და მოწყობას, ეს უკვე ახალგაზრდა, მშვენიერი დიასახლისის საქმეა და ის კოფმორტულად მოწყობას შეძლებს კიდეც. თუ რაიმე ჩემზე იქნება დამოკიდებული, მზად ვარ მთლიანად შენს განკარგულებაში მიგულე. გუშინ, დილით 8 საათზე გავედით და მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირით დავეშვით. 25 ვერსი გავიარეთ და ღამე ღია ცის ქვეშ, სოფელ [...][45] გავათენეთ. დილის ხუთის ნახევარზე მდინარე კამენკას უკვე მარცხენა ნაპირით ჯელალ ოღლისკენ გავემართეთ. ლორეს ციხესიმაგრის ნანგრევებთან, აქედან ხუთი ვერსის მოშორებით ჩვენს სხვა რაზმს შევეჯახეთ და მეტად ეფექტური ბრძოლა გავითამაშეთ. სახლში მხოლოდ დღის სამ საათზე დავბრუნდით. გზა, რომლითაც ჩვენ ვიარეთ უმძიმესი იყო, სამაგიეროდ, ისეთი საოცარი ადგილები და თვალწარმტაცი პეიზაჟები მოვინახულეთ, რომ ეს ამად ღირდა. ამ დრომდე ჩემს წარმოდგენაში ვერ ჯდება, რომ აქედან სულ რაღაც 20 ვერსის მოშორებით, ამგვარი საოცარი ადგილები არსებობს. ჩვენი ოფიცრები ნანახით აღტაცებას ვერ მალავდნენ. ერთგან ჩვენ უძველესი, კარგად შემონახული, საკმაოდ ორიგინალური არქიტექტურის ტაძარი ვნახეთ. შენთან ერთად ამ ადგილების მონახულების აზრი მომივიდა, ვგონებ შევძლებთ როდესაც საამისოდ შესაძლებლობა მოგვეცემა. ვიცი, თუ როგორი ცოცხალი ბუნების პიროვნება ხარ და დარწმუნებული ვარ, რომ დიდი სიამოვნებით კამპანიონობას გამიწევ. ხომ ასეა, ჩემო ნინოჩკა?! გადაეცი გულითადი მოკითხვა შენ მშობლებს და მეგობრებს. გიორგის ჩაეკითხე, თუ რატომ აღარ მომწერა და ჩემგან ძმური მოკითხვა გადაეცი. დავით ჯაფარიძეს კარგად ვიცნობ. სიმართლეა, რომ რუსეთში ჩემი გამგზავრების საქმეში მას რაღაც, ერთობ ირიბი, მონაწილეობა აქვს მიღებული. ჩვენი მამები ერთად იზრდებოდნენ და ძალიან კარგი მეგობრები იყვნენ, ეს დიდი ხნის წინ იყო. იმ დროს ამ ქვეყნად ჩვენზე საუბარიც კი არ იყო. ოჰ, ნეტავ ეს სამი კვირა მალე გავიდოდეს, რომ მალევე დავკოცნო ჩემი მშვენიერი თვალისჩინი, საწადელი საცოლე. მაინტერესებს, აქვს თუ არა ჩემს ნინოჩკას ჩემი ნახვის ისეთივე ძლიერი სურვილი, როგორიც მე მისი. უსასრულოდ ვეხვევი და ვკოცი, ვკოცნი და ვეხვევი ჩემს ძვირფას ნინოჩკას.

შენი ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე, წერილი დაუთარიღებელია, თუმცა, სავარაუდოდ, 1889 წელს უნდა იყოს დაწერილი, რადგან საუბარია თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „დანიის“ გახსნაზე.

ჩემო ძვირფასო ნინოჩკა! ამჟამად ვერ წარმოიდგენ, თუ რა გულმოკლული ვარ-როგორც ჩანს, ჩვენი შეხვედრის გადადება ათი დღით მოგვიწევს. საქმე იმაშია, რომ ბრიგადის მეთაური გენერალი [49] ლესოვოი სარაკამიშიდან 12-14 სექტემბერს ბრუნდება. მე კი მის გარეშე, ამ ბედუკუღმართი მე-5 ბატარეის გადაბარება არ შემიძლია. გამოდის, რომ აქ უნდა ვიჯდე და „გამოამინდებას“ველოდო, როცა ამ დროს შენ გვერდით, ჩემი თვალისჩინის, ჩემი კარგი ნინოჩკას გვერდით უნდა ვიმყოფებოდე. როგორც ჩანს, 3 სექტემბერის ნაცვლად გამომგზავრება 15-ში მომიწევს. ვგონებ, კარგი იქნება, თუ თბილისში 10 სექტემბრისთვის გაემგზავრები და ჩემ ჩამოსვლამდე აუცილებელ საყიდლებს შეიძენ, დაკვეთებს მისცემ და სხვ. შემდგომ, მეც ჩამოვალ და დანარჩენს ერთად მოვაგვარებთ.სიტყვამ მოიტანა და გეტყვი, რომ შეიძლება შენი ზოგიერთი ნივთის შეძენისას ზედმეტიც კი ვიყო, და თან თბილისში დიდი ხნით დარჩენა არ მომიხდება,რაც მეტად მახარებს:

ძალიან არ მიყვარს ქალაქის ხმაური, განსაკუთრებით ამ დროს. ეს რომ დეკემბერში, ან იანვარში ყოფილიყო, სხვა საქმე იქნებოდა. თბილისში გამგზავრებას რომ დააპირებ, ყოველი შემთხვევისთვის, ტელეგრამით შეტყობინება არ დაგავიწყდეს. ამბობენ, რომ გოლოვინის პროსპეტზე, კადეტთა კორპუსის მახლობლად მდებარე "დანია"-ში, მშვენიერი ნომრები ხელახლა მოაწყვეს, რომ იქ არაჩვეულებრივი სიმყუდროვეა, არც ძვირია და კვებაც „ჩრდილოეთის ნომრებთან" შესადარიც არ არის. ვგონებ, იქ გაჩერება კარგი იქნებოდა. გულახდილად რომ ვთქვათ „ჩრდილოეთის ნომრებში" დიდი სიბინძურეა და კვებაც უსაზიზღრესია. თუმცაღა, საუკეთესო მაღაზიებთან და ქარვასლებთან სიახლოვე, ამ ნომრებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს და მასთან კარგი მოგონებებიცაა დაკავშირებული. ყოველი შემთხვევისთვის, „დანია"-სთან დაკავშირებით შენი მოსაზრება შემატყობინე. ისე მოიქეცი, როგორც უკეთესად ჩათვლი. არ დაგავიწყდეს მომწერო თუ სად გაჩერდებით, რომ ჩემი ძვირფასი საცოლეს ძებნაში თბილისში ხეტიალი არ მომიხდეს. ახლა ხანს აქ *კოტე ეჩისთავსა*[52] და *ექიმ ფუჩეღაძეს*[53] შევხვდი. შემომიჩდნენ - ჩვენს ქორწილში თავს იპატიჟებენ. მე კი დიპლომატიურად თავს ვარიდებ,რადგან ჯვრის დაწერა ხმაურის გარეშე მსურს. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მარტოს არანაირად არ ძალმიძს.ისე კი, შეხვედრისას, მისი ერთად გადაწყვეტა აჯობებდა: მომავალში,დიდი ხნის განმავლობაში ყველა წვრილმანის *აგჩაფენა (ოღღენბუჩგსკაიას)*[54] და მის დას, *კატოს* კვლავ შევხვდებოდი. მათთან ყოველთვის დიდი მეგობრობა მქონდა, ხოლო არ ვიცი, ყოველივე როდის და როგორ მოვახერხო. ამ საკითხზეც ერთად ვიმსჯელოთ. სხვათა შორის, ჩვენი ერთობრივი მსჯელობა და საქმეებს ერთად გადაწყვეტა, მართლაც, კარგი რამ იქნება: ამ დრომდე არასდროს არავისთან მითათბირია, ჩემ საქმეებს უმეტესად თვითონ ვაგვარებ, საერთოდ კი, ჩემ საქმეებში სხვისი ჩარევა, რჩევა-დარიგების მიღება არ მიყვარს.რჩევა სხვა რამეა, საქმე კი შენ ხარ: შენ ხომ ჩემი საუკეთესო, განუყოფელი ნაწილი ხარ. გულითადი მოკითხვა გადაეცი შენს მშობლებს და მეგობრებს. ჩემგან ფოტოზე აღბეჭდილი კოცნა მიიღე, რადგან როგორი დიდი სურვილიც არ უნდა მქონდეს, ორიგინალამდე ამჟამად ხელი არ მიმიწვდება. ბედნიერი იყავ ან და მარადის. ჩემთვის ისეთი ბედნიერება მოგეტანოს, როგორსაც მე ჩემს საყვარელ, ძვირფას, თვალისჩინ საცოლეს, ნინოჩკას ვუსურვებ. რა დასანანია, რომ ჩემში არსებულ შენ მიმართ ყველა გრძნობის წერილით გამოხატვა შეუძლებელია ჩემო ძვიფასო!

სიკვდილამდე შენი ილიკო.
(ფონდი I,საქმე 135, ხ. 42762)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

6 ივლისი საღამოს 8 საათი
დღეს ჩვენთან დიდი წვეულება გაიმართა, რომელსაც 80 კაცი ესწრებოდა. მათ შორის, როგორც გამონაკლისი, ერთი მანდილოსანი, მადამ კლუჩევსკაია, იყო. უამრავი სადღეგრძელო ითქვა - ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე იმპერეტრიცას დღეგრძელობით დაწყებული და ჩვენით დამთავრებული. ჩემი ძვირფასი ნინოჩკას სადღეგრძელო ჩემი უახლოესი ამხანეგების მიერ იქნა წარმოთქმული. ამ წვეულებაზე ისინი 25-30 კაცით იყვნენ წარმოდგენილი. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ ყველა მათგანი ჩემი საცოლისადმი ამგვარი სიმპატიით არის განწყობილი. სამის ნახევარზე დაწყებული წვეულება ექვს საათამდე გაგრძელდა. სუფრასთან კარგი დრო გავატარეთ, ყველა თავს ლაღად გრძნობდა. 6 საათზე სახლისკენ გავემართე და ცოტაოდენი დავისვენე. ამჟამად მხნედ ვარ და ჩემთან კარავში ჩაის მივირთმევ, თან ჩემ განუმეორებელ ნინას, წერილს ვწერ. სხვათა შორის დღეს სიზმარში გნახე, მარადიულ სიყვარულს გეფიცებოდი და, რაც კი გამაჩნდა,ყოველივე ძვირფასს და წმინდას გპირდებოდი. დასანანია, რომ ცხადში ამის გაკეთება მალე არ მომიწევს. ჩემო მეგობარო, როგორი სასიამოვნოც არ უნდა იყოს შენი საქმროს სახელის ტარება, მე მოუთმენლობა მძალავს, გაურკვევლობაში ვიმყოფები და, რაც შეიძლება მალე ამის დამთავრება მსურს, მინდა შენი მეუღლე გავხდე. შენი გულში ჩაკვრის შესაძლებლობა მომეცემა თუ არა, მინდა დაუყოვნებლივ დავქორწინდეთ. ეს ყველასთვის მოულოდნე-

ლი იქნება, თან მოკრძალებული, უბრალო, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურისა და აურზაურის გარეშე და, რაც მთავარია, იმ ნეტარებას მივაღწევ, რომელსაც ესოდენ ველი. მინდა წინასწარ გითხრა, რომ ჩვენში დამკვიდრებული ხანგრძლივი ვახშმების გაძლება არ ძალმიძს, ამიტომ ეს წინაღობა როგორმე უნდა დავძლიოთ. ვახშამზე დასწრება, ყველაზე დიდი, ერთი საათით თუ შემიძლია. ნუთუ არ შეიძლება დილით ვიქორწინოთ, წავიხემსოთ და გავემგზავროთ. კიდევ ერთხელ მინდა გაგიმეორო: ჩემთვის შეუძლებელია ვახშამზე დიდი ხნით დასწრება – ეს საშინლად მღლის და არ მსიამოვნებს. ვფიქრობ, რომ სუფრასთან სამი-ოთხი საათის გატარება მაინც და მაინც არც შენ გსიამოვნებს. იმის გათვალისწინებით, რომ კამპანია, პირდაპირი მნიშვნელობით, ძალიან ხმაურიანი იქნება, მის გასაძლებად ადამიანს ნერვების მაგიერ თოკები უნდა ჰქონდეს. ტექსტი ქართულ ენაზე –*„სჯობს ჰომ ეჰთი ყველამ კაჰგად დაგვღოცონ და მე და შენ დავემგზავჰოთ მამინვე. აჰა ჩემო სიცოცხღე?“* რა თქმა უნდა არავის წყენინებას არ ვისურვებდი, მაგრამ საკუთარი თავის დავიწყებაც სასურველი არ არის. ხვალ შენ წერილს ველოდები, რომელიც გამოუთქმელ ნეტარებას მომანიჭებს. ყოველდღე, სადილისა და ვახშმის დროს, ჩემი ამხანაგები შენ გადღეგრძელებენ. საერთოდ კი, ყველა ჩემი კეთილმოსურნე ხშირად გახსენებს. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით, ჩემი ახლო მეგობრები მოკითხვასაც კი გითვლიან. არა და ჯერ არც კი გიცნობენ. დარწმუნებული ვარ, რომ ისევე შეგიყვარებენ როგორც მე მათ უყვარვარ. სხვათა შორის *ფაღავანდოვმა*[57] მოგიკითხა, ის ჩვენთან, ბრიგადაში მსახურობს და მისი თქმით,თურმე 1880 წელს, აბასთუმანში შეგხვდა. შეამჩნევდი ალბათ, რომ წერილიდან წერილამდე უფრო და უფრო ენაწყლიანი ვხდები. ვშიშობ თავი არ მოგაბეზრო, არა და შენ უფრო ვრცელ წერილებს მთხოვ. ასე რომ, ეტყობა სულ მალე, წერილის მაგიერ ვრცელი თხზულების გამოგზავნა მომიწევს და თან, მისი სიმძიმის გამო, ამანათით. კიდევ კარგი, რომ ჩვენ შეხვედრამდე სამ თვეზე ნაკლები რჩება. მთავრობა ჩვენით მადლიერი უნდა იყოს, რადგან ჩევნი მიმოწერით საფოსტო უწყებას კარგ შემოსავალს ვაძლევთ. დღეს ჩვენი ტაბლდოტის სამზარეულოში ჩემი კაცი მივიყვანე, სადაც კერძების მომზადებას კარგად შეისწავლის, რითიც მომავალ დიასახლისს ზედმეტი ტვირთი მოეხსნება. თუ მეტნაკლებად დახელოვნებული მზარეული გვეყოლება შენ სამზარეულოში სიარული ნაკლებად მოგიწევს და გაციება არ დაგემუქრება. შენი ჯანმრთელობა, ჩემთვის ამ ქვეყანად ხომ ყველაფერს ნიშნავს. სხვა რომ არაფერი, ჩემი საყვარელი ძვირფასი მეუღლისთვის უფრო მეტი დროის დათმობა შემეძლება. სამზარეულოში მიყვანილი კაცის მაგიერ მოსამსახურედ სხვა ავიყვანე. სხვათა შორის ორივე კარგი, წესიერი ადამიანია, არ სვამენ. ვიცი, რომ მოსამსახურეებთან ურთიერთობა რთულია და უკვე წინასწარ ვზრუნავ ჩემი ნინოჩკა ზედმეტად რომ არ შეწუხდეს. საიმისოდ ერთი გეგმა მინდა შემოგთავაზო და თუ თანახმა იქნები შევასრულებ კიდეც. ვინაიდან მე და შენ შეიძლება გზაში დამხმარე დაგვჭირდეს, ჩემი მზარეულის შემოდგომით ჯელელოღლიში დატოვებას და ახლად აყვანილის თან წამოყვანას გთავაზობ. მზარეულს, როგორც გამოცდილ და კეთილსინდისიერ კაცს, ჩემ მეურნეობას ყოველგვარი შიშის გარეშე ვანდობ. მეორეს კი, ნაკლებად გამოცდილს თან წამოვიყვან და ვიდრე რაჭაში ვიქნები, თქვენთან, ცხინვალში დავტოვებ. ის თქვენთან რაიმეს მაინც ისწავლის და, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მომსახურეობას გაწევს.ამასობაში შენც მიეჩვევი. ასე რომ, კარგად მოიფიქრე და მეც ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი ნინოჩკა გადაწყვეტს. შეგვიძლია პირიქით გავაკეთოთ. ერთი სიტყვით ამ საქმის გადაწყვეტა შენთვის მომინდია. (ფონდი I, საქმე 135, ხ. 42724)

ხელნაწერი რუსულ ენაზე; წერილის დაუთარიღებელი ფრაგმენტი.

...იქ სხვათა შორის შევხვდი *მაკაევს*[60], რომელიც შენ მეგობარ *კოპაძეზეა*[61] დაქორწინებული და *ექიმ ფუჰცეღიაძეს*[62], რომელიც ჩვენი მომავალი ქორწინების მეტად მოხარულია. მან გაქო და გადიდა, ცამდე აგიყვანა, ბოლოს კი დასძინა, რომ შენთან ერთად ნამდვილად ბედნიერი ვიქნები და ჩემი არჩევანის გამო სინანულის გრძნობა არასოდეს მექნება. ერთი სიტყვით, მან ის მითხრა, რაც ვიცოდი და რაშიც დარწმუნებული ვიყავი. სხვა პიროვნების მიერ ჩემი ფიქრების და აზრების დადასტურება ჩემთვის მეტად სასიამონო იყო. სადილ-

ზე შენი სადღეგრძელო ითქვა, მას ყველამ მხარი აუბა, მათ შორის, გენერლებმა მილოვმა და ლესოვოიმ, აგრეთვე პოტულოვმა და ყველა დანარჩენმა. გუშინ, 23-ში, ერთ, აქაურ ქალბატონს ვსტუმრობდი, რომელმაც მაცნობა, რომ ადგილობრივი ბოქაულის *(ვაჩაძის?)*[66] მეუღლე შენ კარგად გიცნობს. მოხარული ვარ რომ აქ ერთი ნაცნობით მეტი გეყოლება. როგორც ვხედავ, კარგი ნაცნობობა მთელ ამიერკავკასიაში გყავს.რაც, უპირველეს ყოველისა, იმას ადასტურებს რომ შენი მშობლები, ოჯახი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა, ხოლო მეორე, შენ მშვენიერი გულის პატრონი ხარ, რომლის მეშვეობით ბევრი მეგობარი შეიძინე. თავისუფლად ამოსუნთქვის და დასვენების შესაძლებლობა პირველად გუშინ მომეცა. მთელი დღე კლუბში გავატარე სადაც ჟურნალებსა და გაზეთებს ვკითხულობდი. საოცრად კარგი საღამო იყო, ჩამომდგარი სიჩუმე ჩემ სულიერ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობებს შორის ერთგვარი თანასწორობა იყო. ყოველივე კი ის უმაღლესი მწვერვალი იყო, რისი მიღწევაც შემეძლო. საერთოდ კი, გულზე ხელის დადებით, შემიძლია განვაცხადო, რომ ამჟამად უბედნიერესი ადამიანი ვარ, რამე თუ შეგრძნება იმისა, რომ ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, ჯანმრთელი ვარ, სრულ სიმშვიდეს მანიჭებს.წინ კი უდიდესი ჯილდო – უბრწყინვალესი, უმშვენიერესი ქალიშვილის გული მელის. აზრს, რომ ჩემ ეულ ცხოვრებას ბოლო მოეღება, აღტაცებაში მოვყავარ, ხოლო აზრი, რომ მთელ ცხოვრებას ჩემ ტურფა ნინოჩკასთან ერთად გავატარებ, ჩემ აღტაცებას აორმაგებს. მას შემდეგ, რაც შენ ჩემი საცოლე გახდი, ჩემში სულიერი სიმშვიდე დამკვიდრდა. სურვილი მაქვს, რომ ასეთივე სიმშვიდე შენშიც დამკვიდრდეს. ის ხომ ჩვენ განწყობაზე დადებით გავლენას ახდენს და ჩვენს ორგანიზმზე სასრგებლოდ ზემოქმედებს. ტოლსტოის „კრეიცერის სონატამ“,[67] როგორც ჩვენ, ისე საზღვარგარეთის პრესაში ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რაც ამ ნაწარმოების განსაკუთრებულობაზე მიანიშნებს. ნაწარმოებში ასახული ტოლსტოის იდეების მოწინააღმდეგეთა ოდენობა მეტია, ვიდრე მომხრეებისა. და ეს ბუნებრივიცაა: ამ ნაწარმოებში ბევრი რამ ადამიანის ბუნებას არ მიესადაგება, ეწინააღმდეგება კიდეც, აქ კაცობრიობისთვის ბევრი, აბსოლუტურად მიუღებელი ტენდენციაა, ყოველ შემთხვევაში მისი განვითარების ამ ეტაპზე. საკმაოდ კარგად გიცნობ და გამიკვირდებოდა თუ „კრეიცერის სონატა“ ჩემ ნინოჩკას მოეწონებოდა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით კითხულობდი და წაიკითხავ ტოლსტოის. შეამჩნევდი ალბათ, რომ ამ ბოლო 6-8 წლის განმავლობაში ის სულ სხვა ენით საუბრობს, რომელიც მხოლოდ გაუკუღმართებული ცნობიერების ადამიანებისთვისაა გასაგები. შეიძლება, დროთა განმავლობაში, ჩვენ უკეთ აღვიქვათ მისი სწავლება, მაგრამ ამჟამად ის ჩვენთვის გაუგებარია. მოვრჩეთ ამაზე საუბარი, ჩვენ მიმდინარე ყოფა-ცხოვრებას დავუბრუნდეთ. გთხოვ ქეთევან ლუარსაბის ასულს და დურმიშხან შალვას ძეს ჩემი გულითადი მოკითხვა გადასცე. ჩვენ ქორნილში ჩემი რამდენიმე მეგობრის დაპატიჟების თაობაზე, შენი აზრის შეტყობინება არ დაგავიწყდეს. ოჰ, როგორ მინდა ჩავიხედო შენს დიდებულ თვალებში, შენი აზრები და ოცნებები ამოვიკითხო, გულში ჩაგიკრა და უსასრულოდ გკოცნო. მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივეს გადადება შეიძლება თვე-ნახევრით ან ორი თვით მოგვიხდეს.

მთელი გულით შენი მოსიყვარულე, მთლად შენი ილიკო.

სულ ახლახანს ჩემი ალბომი მოიტანეს. ჩემ ფოტოსურათს იქიდან ვიღებ და შენ გიგზავნი.

თითონ ნახავ თუ, როგორი მსგავსებაა ჩემ თავთან.

შენი ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, b. 42724)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი. წერილი დაუთარიღებელია, ირკვევა, რომ ამ დროს ილია მაქარაშვილი მოსკოვის ოლქში იმყოფებოდა.

22 ივლისი, 4 საათი, სერპუხოვი

ჩემო ძვირფასო ნინა! ამ წერილს რომ მიიღებ მე უკვე ოლიტაში ვიქნები, ასე რომ, ეს ბოლო წერილია, რომელსაც სერპუხოვიდან გწერ. ჩვენი პირველი ეშელონი საღამოს შვიდის ნახევარზე გადის, მე კი ვფიქრობ, რომ ბოლო, მეოთხე ეშელონს გამოვყვე, ის შაბათს, ღამის ორ საათზე გავა. გულახდილად რომ გითხრა, აქ უსაქმოდ ყოფნა ისე მომ-

წყინდა, რომ ოლიტაში გამგზავრებაც კი მიხარია. გზად ერთი დღე-ღამით [...] გაჩერებას ვფიქრობ. ოლქის შტაბში, ჯარების მთავარსარდალთან უნდა გამოვცხადდე. ბევრი რამ უნდა მოვახსენო და სხვადასხვა საქმეებში თანადგომა ვთხოვო. დარწმუნებული ვარ, იქაური უფროსობა, უფრო გულისყურიანი აღმოჩნდება ვიდრე მოსკოვის. ოლიტაში კი ამა თვის 29 ან 30 რიცხვში ჩავალ. 20 ივლისს, ჩემი სახელობის დღეს, ვასილიევს წერილი გავუგზავნე წერილი საგნობრივი და დაწვრილებითია. კარგად გავიაზრე და ისე დავწერე, რა სატრაბახოა და, ძალიან კარგი გამოვიდა, თუ მას ჩემთვის რაიმეს გაკეთება სურს, ამ წერილის შედეგად გააკეთებს. ყოველ შემთხვევაში ოლიტაში დიდი ხნით გაჩერება არ შემიძლია, თუნდაც იმიტომ, რომ 64-ე ბრიგადა ფორმირებულია მხოლოდ საომარი პირობებისთვის. იმით, რომ არც პარასკევს და არც სამშაბათს, ჩემი სახელობის დღეს, შენგან წერილი რომ არ მივიღე, მეტად ნაღვლიანი ვიყავი. შენი მესმის, რომ არ იცოდი იმ დღეებში სად ვიქნებოდი, მაგრამ ეს ნაკლებად მანუგეშებს. სადაც ვიქნებოდი, იქ გადმომიგზავნიდნენ. რა გაეწყობა, უნდა შევეგუო იმას, რაც მოხდა. სამომავლოდ მხოლოდ იმას გთხოვ, რომ კვირაში ერთხელ მაინც მომწერო. რადგან, ეს ერთადერთი რამაა, რაც უმძიმეს მომენტებში მანუგეშებს. ალბათ გეხსომება, დედის წერილის დაგვიანების გამო, თუ როგორ განიცდიდი, ამიტომ, გთხოვ, მომწერე, არ დაიზარო, დაწვრილებით მიამბე. აქ საზიზღარი ამინდია, ივლისი კი არა, უფრო სექტემბერია. ხან წვიმაა, ხან ქარი, საერთო ჯამში კი ცივა. სახლიდან პალტოს გარეშე ვერ გახვალ. შენი აქედან გამგზავრების შემდეგ არც ერთი თბილი დღე არ ყოფილა ...[70] ისე კი შენ გამგზავრების დღესაც საკმაოდ ციოდა. ნიშანდობლივია, რომ შენი გამგზავრების შემდეგ კლუბში არც ერთი საღამო არ მოწყობილა. გამოდის რომ, საღამოები განსაკუთრებულად, მხოლოდ შენთვის და შენ პატივსაცემად ეწყობოდა. ამ წინებზე ორი შტაბსოფიცერი გავაცილეთ: დივიზიონის ყოფილი მეთაური და ბატარეის მეთაური. ისინი სხვა ბრიგადებში გადავიდნენ. რა თქმა უნდა, მათ გაცილებაში მონაწილეობა მეც მივიღე. ამ ბოლო ორი თვის განმავლობაში ყველას გავეცანი და მათ, როგორც ძველ ნაცნობებს, ისე ვუყურებ. დროს საკმაოდ მოწყენილად, მონოტონურად ვატარებ: დილის 9 საათზე სამმართველოში მივდივარ, სადაც ორი საათი ვრჩები, შემდგომ ვსადილობ და აქ დროის ყველაზე უინტერესო მონაკვეთი იწყება – გაზეთების კითხვას ერთ ორ საათს ვანდომებ, დარჩენილი დროს კი არ ვიცი რა მოვუხერხო. მოწყენილი ვარ. ყოველთვის საღამოს 10 საათზე ვიძინებ, მანამდე კი, დრო და დრო, ერთი ორი საათი ვსეირნობ, მაგრამ მუდმივი წვიმა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. განსაკუთრებულ მოწყენილობას დღესასწაულების დროს ვგრძნობ. ამ დღეებში ეკლესიის სიახლოვით ვსარგებლობ და მისკენ მივეშურები. ასე იყო კვირას, 18-ში, მთელი დღე ადგილს ვერ ვპოულობდი, ბოლოს საღამოს 4 საათზე დედათა მონასტრისკენ ფეხით გავემართე. არმისულმა, მარჯვნივ [...][72] გადავუხვიე და 8 საათამდე დავეხეტებოდი. სხვა ჯერზე, საარტილერიო საწყობისკენ გავისეირნე და სახლში საღამოს 9 საათზე დავბრუნდი. ჯელალოღლიში მოხვდები თუ არა, ჩემი ნივთები წამოიღე, არ დაგავიწყდეს, რომ შემდგომ ოლიტაში გამომიგზავნო: გრძელი შარვალი, მოკლე პატარა ჩექმები და სხვა. ყველაფერი კარგად შეამოწმე და გადაამოწმე რამე არ დაიკარგოს: ორი თოფი, ერთი ოქროს ხმალი, რომელიც ნაცრისფერ ზანდუკშია, ზამთრის პალტო, სამოვარი და სხვა რამ, რაც ბანაკში მქონდა კაპტენარიუს ჩავაბარე და მას უნდა ჰქონდეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი დაიკარგებოდა. ავეჯისა და ჩვენი ნივთების შესახებ, ვფიქრობ, ასე მოვიქცეთ: ის, რაც სოფელში გამოდგება -სოფელში, ხოლო რაც ბათუმში გამოდგება-ბათუმში გააგზავნე. სადაც არ უნდა გადამიყვანონ, იქიდან გაგზავნა ყველგან არის შესაძლებელი. გაყიდვაც კი შეიძლება, თუ კარგად გადაიხდიან. ნაწილის ჯელალოღლიში, ნაწილის სოფელში, ნაწილის ბათუმში, ხოლო წვრილმანი და იაფი, ნაკლებად ღირებული ნივთების გაყიდვა ადგილზე შეიძლება. მათ გამო იქ ჩასვლა არ ღირს, ამიტომ მიწერე. გთხოვ, თან ფული, დაახლოებით 30-40 რუბლი, იქონიო, რადგან ჩემი ცხენის შენახვის თანხა შეიძლება გადასახდელი აღმოჩნდეს. ამჟამად კი ვნანობ, რომ თავის დროზე ცხენი არ გავყიდე, 200 რუბლს იძლეოდნენ, ახლა არც კი ვიცი სად და როდის ვიმსახურებ, და გამოდის, რომ ეს ცხენი თან უნდა ვათრიო...[73] მივწერე, რომ ცხენი გაყიდოს, თუ ასეთი სარფიანი შემთხვევა ხელში ჩაუვარდება. ვეხვევი და ვკოცნი ჩემ საყვარელ ნინას

და ჩვენ ძვირფას ბავშვებს- ნიკუშას, ირორჩკას და მიშკას.[74] ვკოცნი დედას და კიდევ გიორგის, მოკითხვას ვუთვლი ყველა ჩვენს ნაცნობს და მეზობელს.დედა როგორ არის? კუჭი და თვალები როგორ აქვს? გიორგი ხომ არ ჩამოვიდა?

კიდევ და კიდე გკოცნი. შენი მოსიყვარულე ილიკო.

20-ში თქვენი ტელეგრამა მივიღე.

მინაწერი: 23 ივლისი დილის 8 საათი. წუხელ დამესიზმრე და დღეს კარგ განწყობაზე ვარ. დღეს 12 საათზე წირვა ჩატარდება, ხატს გამოაბრძანებენ. მეკონდიტრე შერბაკოვი თითოეულს მთელი ბრიგადის შემადგენლობიდან, 730 კაციდან, თითო ფუნთუშას ჩუქნის...[75]

კიდევ მრავალჯერ გკოცნი შენი ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42753)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე და რიცხვი.

ჩემო ძვირფასო ნინა, ერთობ გაკვირვებული ვარ ბათუმში გამგზავრებასთან დაკავშირებით შენი უხალისო განწყობით, რადგან მოგზაურობისადმი შენი დამოკიდებულება ჩემთვის ცნობილია. შენი და გიორგის იქ გამგზავრება, სიამოვნების გარდა სარგებლის მომტანიც იქნება, რამე თუ ბათუმის მიტოვებულ სახლ-კარს დროულად მიხედავთ. რა თქმა უნდა, ერთი კვირით ჩვენი პატარა ბიჭუნას ნახვის შესაძლებლობას მოკლებული იქნები, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მომავალში ამის გამო ის შენით მადლიერი დარჩეს. შენ შეკითხვაზე-თუ როდის მოვახერხებ, ჩამოსვლას არბოში, გპასუხობ: სადღაც პირველ ან ორ აგვისტოს ჩამოვალ, შენ კი მანამდე ყველა საჭირო ნივთი, რომელიც რაჭაში დაგვჭირდება გაამზადე და ჩემოდანში ჩაალაგე. ვფიქრობ, რომ არბოში ორ დღეზე მეტს ვერ გავჩერდები. ამ ბოლო დროს რაჭიდან არასასურველი ამბები მომდის. ჩემმა ძმებმა კვლავ წაიკამათეს და ერთმანეთის შურის საძიებლად მომართულნი არიან. ჯერ იყო და კოტეემ შემოჩივლა ლუარსაბზე წერილში, ახლა კი ლუარსაბმა შემომჩივლა კოტეზე წერილში. ჩემი ძმების პიროვნული თვისებებიდან, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ვშიშობ, რომ რაჭაში მოგზაურობა შენთვის ნაკლებად სასიამოვნო იქნება. საწყალი *პაჰმენი*[76], ჩვენ ჩასვლას მოუთმენლად ელის. 2 ივნისამდე, ჩვენ აქ ჩამოსვლამდე, გუშინ პირველი დღე იყო რომელმაც, წვიმის გარეშე ჩაიარა. არადა ყოველდღე წვიმდა, საღამოს ოთხ-ხუთ საათზე რომ დაიწყება, ორი სამი საათი მაინც გრძელდებოდა. ვიდრე წვიმდა სიგრილეც იყო, ახლა კი, ვფიქრობ, ცხელი დღეები, პაპანაქება სიცხე გველის. დღეს ჩვენთან საღამო ეწყობა, სადაც თითქმის მთელი ალექსანდროპოლი იქნება მოწვეული. უნდა ითქვას, რომ ასეთი საღამოები, მეტად ძვირი ჯდება, რადგან დაახლოებით ასორმოცდაათ კაცს უნდა ვუმასპინძლოთ. ამ წელს კი ძალიან ძვირი, თვეში ოცდაშვიდი რუბლი ჯდება. ამის გამო ყველა ფროლოვს ადანაშაულებს, მასზე ბუზღუნებს. გასულ კვირას როტონდაში ვიყავი და იქ *მადამ გუჰგენიძეს*[78] შევხვდი, მან მოკითხვა შემოგითვალა. ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ის სულ არ შეცვლილა.შევხვდი და გავიცანი კნეინა *შაღიმოვა, (შაღიკოვა?)* წარმოშობით *ჰასღოვა.*[79] რომელმაც, *ნინასთან ეჰთად გავიზაჰდეო* – მითხრა და მოკითხვა შემოგითვალა. დღეს ჩვენი მეორე ბატარეა თავის დღესასწაულს აღნიშნავს. ჩვენი ბრიგადის გარდა თითქმის სხვა არავინ არ გვსტუმრობდა. მოკრძალებული საუზმე და სხვა არაფერი. როგორც ვამჩნევ, უწინდელთან შედარებით გრენადერები, უფრო მოკრძალებულები გახდნენ. გაკვირვებული ვარ რომ, *კოღიასგან*[80] არაფერი ისმის. *გიოჰგის*[81] ჩემი სახელით სთხოვე, რომ გაიგოს, თუ რა ხდება მასთან დაკავშირებით, მომდევნო კლასში თუ გადავიდა და არდადეგები როდის აქვს. კარგი იქნებოდა რაჭაში ჩემთან ერთად რომ წამოსულიყო. თუ შესაძლებელი იქნება პირველ აგვისტოსთვის თბილისში ჩამოიყვანონ, მე მას გავუვლი და არბოში თან წამოვიყვან. შენგან ამბებს მოუთმენლად ველი. ვკოცნი ჩემს ძვირფას ნინას და ჩვენს დიდებულ ბიჭუნას.[83] ჩემს მაგიერ დედა, მამა და გიორგი დაკოცნე. მოკითხვა ყველას, ერთი თვეც და ჩვენ ყველა ერთად ვიქნებით და განშორება ასეთი დიდი ხნით აღარ მოგვიწევს.

კიდევ ერთხელ ვკოცნი ჩემ კარგ ნინას.

მთელი გულითა და სულით შენი მოსიყვარულე, შენი ილიკო.

27 ივნისი, ალექსანდროპოლი.

(ფონდი I,საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე, რიცხვი და საათი.

პოლიგონი საღამოს 5 საათი 15 მაისი.
ჩემო ძვირფასო ნინა, ეს ესაა შენი წერილი წავიკითხე და იმის გამო, თუ რის გადატანა მოგიხდათ, შეიძლება ჭკუიდან შევიშალო. ჯერ იყო და კარაკლისში გაიტანჯეთ, მერე კი გზაში, არმისული შაგალიმდე,[85] ერთი მატარებლიდან მეორეზე გადაბარგებისას გაწამდით. მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი მშვიდობით დასრულდა. საბედნიეროდ, კურტინსკი კარაკლისში გავაგზავნეთ და არა შაგალიშში, არა და, პირიქით, ვვარაუდობდით. ყოველივე თქვენთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და ტფილისში, ძიძამ მატარებელზე დააგვიანა, შეშინდებოდით ალბათ, წარმომიდგენია თუ რა განცდებში იქნებოდა დედა. სამაგიეროდ, გორიდან მგზავრობამ კარგად ჩაიარა, როგორც ვიცი, კარგი ამინდი იყო და ყოველივემ თქვენი ტანჯვა-წამება ერთობ გააბათილა. რაც შეეხება ჩემ მგზავრობას, მაინცდამაინც, სასიამოვნო არც ის იყო. 10-ში გამოგზავნილი წერილიდან იცოდი, რომ იმ დღეს წვიმას არ ველოდით. მაგრამ ნაშუადღევს ჯერ სეტყვა წამოვიდა, მერე კი ძლიერი წვიმა, რომელმაც მხოლოდ ჩვენი გასვლის შემდეგ გადაიღო, *გეჰგეჰამდე*[87] კარგად ვიარეთ, იქ ჩასულებს კარვები გაშლილი დაგვხვდა, ჩასვლიდან სულ რაღაც ნახევარ საათში კვლავ წვიმა წამოვიდა და მეორე დღის დილის ექვსის ნახევრამდე არ გადაუღია. 11-ში ბეზობდალამდე კარგად ვიარეთ: ცა მოწმენდილი იყო, ცხელოდა კიდეც, მაგრამ დღის ოთხ საათზე ჯერ მსხვილი სეტყვა წამოვიდა, შემდგომ კი ძლიერი ქარი ამოვარდა, რომელიც, ცხოვრებაში რომ არ მინახავს, ისეთ ქარიშხალში გადაიზარდა. ჩვენი ბანაკის კარვების, ერთი ნაწილი მოგლიჯა, ჩვენ კი, განსაკუთრებით ჯარისკაცები, კარვებში გამოჟონილმა წვიმამ,თავიდან ფეხებამდე დაგვასველა. ისე ჩამობნელდა, რომ ორ ნაბიჯში არაფერი არ მოჩანდა, ყოველივე, ერთი საათი მაინც გრძელდებოდა....[89] ღამით ციოდა. 12-ში და 13-ის საღამოს ხუთ საათამდე, წვიმა არ ყოფილა, მაგრამ საღამოს ხუთ საათზე წვიმა კვლავ დაიწყო და დილის ხუთ საათამდე არ გადაუღია. თან მეტად სასტიკი ქარი ქროდა, ღამით, გარდა იმისა რომ საბანი მეფარა, ზამთრის პალტოს დამატებაც მომიხდა. ჩვენი გუშინდელი ბოლო გადაადგილება ყველაზე არასასიამოვნო გამოდგა: სატიკი სიცივე იყო და მუდმივი ძლიერი ქარი ქროდა, აქ ისევე ცივა, როგორც ჩვენთან, ჯელალ ოღლიში ზამთარში. ამჟამად კარავში ზამთრის პალტო მაცვია. საერთოდ ალექსანდროპოლში ძალიან ცივა, ზაფხულის ფორმა აქ არ აცვიათ. დღეს *ჯავხოვი*[90], *ივანევიჩი*[91], *ფხოღოვი*[92], *ხიბაღჩენკო*[93], *ფაღავანდოვები*[94] და ...[95] მოვინახულე. მსუბუქად მეცვა და ისე ძალიან შემცივდა, რომ კანკალმა ამიტანა. ივანევიჩთან ვისადილეთ და ამის გამო შენი წერილის გამოტანა ფოსტიდან გვიან მომიხდა.გუშინ კი დღესასწაულის გამო ფოსტის გაცემა არ იყო. ივანევიჩთან შევიტყვე რომ, რეშეტინი ჩამოვიდა. ჩამოსულს ბრძანება დახვდა, რომლის თანახმად ხვალ აღლუმი უნდა მოეწყოს და აღლუმის მეთაურად მე ვინიშნები.ვშიშობ აღლუმის ჩატარება კიტელებში ჩაცმულებს არ მოგვინიოს, ყველანი ხომ გავცივდებით. ხვალ რეშეტინს შევხვდები და გავარკვევ.დღეს ჩვენთან *მადათოვი*[97] და *კჰივიცკი-უმცჰოსი*[98] ჩამოვიდნენ, რომელნიც საზაფხულო მივლინებით არიან, მათი ჩამოსვლით მეტად გახარებული ვარ. მადათოვი მეორე ბატარიაში დავნიშნე, ხოლო კრივიცკი-პირველში. ალექსანდროვის დაპატიმრება ამ ჯერზეც ვერ მოხერხდა. პოლკში ჩასვლისას ექიმმა ალექსანდროვის მამის გარდაცვალების შესახებ ტელეგრამა გადმომცა. მე ის თბილისში შვებულებით ოცდასამ რიცხვამდე გავუშვი, მთელი წლის განმავლობაში მისი მამა ავად, სიკვდილის პირს, იყო და ახლა გარდაცვლილა. ყველა შენი ნაცნობი, გულითად მოკითხვას გითვლის. მე კი შენ და ჩვენს პატარებს, მაგრად, მაგრად გკოცნით. აგრეთვე ვკოცნი დედას. ყველა ნაცნობს მოკითხვა გადაეცი.

მთელი გულით და სულით შენი მოსიყვარულე ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე და რიცხვი.

9 ივნისი

დღეს დილით წერილის გამოგზავნა მინდოდა, მაგრამ, *სამების* დღესასწაულის გამო, საფოსტო კანტორა დაკეტილი დამხვდა და გამოგზავნა მხოლოდ ხვალ თუ მოხერხდება. ვსარგებლობ შემთხვევით და ჩემ ნინოჩკასთან საუბარს ვაგრძელებ. დღეს ჩვენთან მეოთხე ბატარეის დღეს ზეიმობენ, როგორც წესი ამ თარიღს ზარზეიმით აღვნიშნავდით, მაგრამ ბანაკის პირობებიდან გამომდინარე მისი მოკრძალებულად აღნიშნა გადავწყვიტეთ. მიუხედავად ამისა, დღესასწაული არც თუ ისე მოკრძალებული გამოვიდა: დაახლოებით 35 კაცი გვეწვია, მათ შორის არტილერიის უფროსი და ბრიგადის ყველა ოფიცერი. პარაკლისის შემდეგ, ყველა ჩემ კარავში გაშლილ სუფრასთან მივიპატიჟე. სადილი, როგორც ასეთი, არ გვქონდა, მაგრამ ძვირფასი სტუმრების განკარგულებაში შესანიშნავი ღვეზელი და ათასნაირი წასახემსი და სასმელი იყო. სუფრასთან თორმეტი საათიდან სამის ნახევრამდე ვისხედით, ზოგი კი ოთხ საათამდე დარჩა. უამრავი სადღეგრძელო ითქვა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ჩემი ნინაჩკას სადღეგრძელო იყო, რომელიც ყველამ ერთხმად აიტაცა. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ შენი სახელის გაგონებით, ჩემი გული რაღაც წარმოუდგენელ ნეტარებას განიცდის, გულს ეფონება. ვფიქრობ, რომ ჩვენი ამჟამინდელი განშორება ჩვენში აღმოცენებულ სიყვარულს უფრო მეტად განამტკიცებს. შენთან ერთად ერთი-ორი კვირის გატარება, მართლაც რომ კარგი იქნებოდა. ჩვენი გაშორების გამო მაინც და მაინც დიდად არ ვწუხვარ, რადგან ვხედავ, რომ მას ისეთი შედეგი მოაქვს, როგორიც ჩვენი ურთიერთ დაფასება და ორმხრივი ერთგულებაა. ბედნიერება მხოლოდ მაშინ არის სრულფასოვანი, როცა ის გარკვეულ წინაღობებთან და გულისტკივილთან არის დაკავშირებული. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი მომავალი ბედნიერება უწინდელ წინაღობებს და გულისტკივილს არ უკავშირდებოდეს. თუმცა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთ დიდებულ, საყვარელ, კარგ, კეთილ ნინოჩკასთან ერთად, ისეთი ბედნიერი ვიქნები, რომ არავის, დედამიწის ზურგზე, არ წარმოუდგენია.

კიდევ ერთხელ მომიკითხე ჩვენი მშობლები და აგრეთვე ლ. უზნაძე.

გკოცნი ბევრს, შენი ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

წერილის ფრაგმენტი, ხელნაწერი რუსული ენაზე.

...ჩემო ნინოჩკა, შენთან საუბრის მოთხოვნილებას მე მუდმივად განვიცდი, მინდა რომ ჩვენი ფიქრები, აზრები მუდმივ ურთიერთკავშირში იმყოფებოდნენ. როგორც ხედავ, ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ყველა წვრილმანზე გწერ, გესაუბრები. ამიტომ კარგი იქნება, თუ შენგან ასეთივე დაწვრილებით წერილებს მივიღებ, რათა შენი სულიერი განწყობის, შენი ფიქრების, აზრების, სურვილების შესახებ ყოველთვის ვიცოდე. მოდი ერთმანეთთან გულწრფელები ვიყოთ, ჩვენი გულის ნადები ერთმანეთს გავუმჟღავნოთ და ვისაუბროთ ისე, ვითომ თითოეული ჩვენგანი საკუთარ თავს ესაუბრება. ვგრძნობ, რომ ჩემი არსის ნაწილი ხდები და მსურს, რომ იგივე გრძნობა შენც გქონდეს. ამგვარი შესავლის შემდეგ მინდა საქმეზე გადავიდე. ჩემი წერილი შენთან, ორშაბათს, 7 ივნისს გამოვგზავნე. ამ დღეს ბანაკის გახსნასთან დაკავშირებით პარაკლისი გადაიხადეს, შემდეგ ჩვენი ტაბლდოტი აკურთხეს. აქ, ტაბლდოტში დაახლოებით 100 ოფიცერი სადილობს, შენობა სულ ახლახანს აშენდა და თბილისის ვაგზლის პირველი კლასის დარბაზს წაგავს, მაგრამ უფრო ფართოა. შენობა თავისი მოწყობილობებითურთ, დაახლოებით 20 000(რუბლი?) დაჯდა. ყოველდღე, სადილის დროს მუსიკა გუნდის თანხლებით უკრავს. საღამოს, როტონდაში წვეულება გაიმართა და იქ ვიმყოფებოდი. მუსიკის დაკვრამდე, ნაცნობებთან ერთად ბაღში ვსეირნობდი. მაზურკის ხმა შემომესმა თუ არა, ცეკვა ძალიან მომინდა და ვიცეკვე კიდეც, მხოლოდ ცოტა. სახლში დაახლოებით ღამის 12 საათზე დავბრუნდი. გუშინ, სამშაბათს, დივიზიის მეთაურთან, გენერალ ... გამოვცხადდი, მას სარაკამიშში დავექვემდებარებით. შენი წერილის წამოსაღებად, ფოსტაში გავიარე. წერილის წავიკითხე

და სიმართლე გითხრა, ის ძალიან მოკლე და აზრობრივად გაუმართავი აღმოჩნდა, თან ისეთი თბილი არ იყო, როგორც პირველი. შედეგად, ერთგვარი, იმედგაცრუება დამეუფლა და ცოტა ოდენ განაწყენებული დავრჩი. ფოტოსურათისთვის გულითად მადლობას გიხდი, საწყენია, რომ ჩემ ფოტოსურათს ვერანაირად ვერ გიგზავნი. რაც შეეხება თვით ფოტოსურათს: სურვილი მაქვს მასზე საყვარელი და ძვირფასი ქალიშვილის გამოსახულება ვიხილო, ფაქტობრივად კი საყვარელ და ძვირფას, მაგრამ ბიჭის გამოსახულებას ვხედავ. თუ შეძლებ სხვა, უფრო მოხდენილი ფოტოსურათი გამომიგზავნე. ყოველ თავისუფალ წუთს შენ წერილებს ხელახლა ვკითხულობ, ვუმზერ შენს მშვენიერ სახეს, ვოცნებობ და საკუთარ თავს ვეკითხები: ასევე თუ იქცევა ჩემი ნინოჩკა? ისევე ხშირად თუ ფიქრობს ჩემზე, როგორც მე მასზე? ვარ თუ არა მისთვის ისეთივე ძვირფასი, როგორც ის ჩემთვის? საერთოდ, როგორც ვაკვირდები მე შენზე ფიქრებით ვარ აღსავსე. ორშაბათ საღამოს, როტონდაში ჩემთან *ვიცე-პოლკოვნიკი გუჰგენიძე*[102] მოვიდა და მასთან აუცილებლად, არაოფიციალური ვიზიტით მისვლა მთხოვა. სხვათა შორის, მან განმიცხადა, რომ *ლუჰმიშხან შაღვას ძეს დიდი მეგობარია*. მის მეუღლეს, *ქაღბატონ თაჰხანოვას*[103], ჩემი ერთი ნაცნობი მანდილოსნისთვის უთქვამს, რომ შენ მასთან ნათესაობა გაკავშირებს. ყოველივე ეს სიმართლეა? თბილისიდან გამომგზავრებისას, შენთვის საქმიანი წერილის გამოგზავნის განზრახვა მქონდა, მაგრამ ამჟამად ჩემი გული იმდენად არის შენით აღსავსე, რომ საქმეებზე საუბარი არ შემიძლია. მოვიცდი, წინ ჯერ კიდე საკმარისი დროა. მხოლოდ ერთს გთხოვ: ჯანმრთელობას გაუფრთხილდი, მეტი დრო სოფლის ჯანსაღ ჰაერზე გაატარე. მოკითხვისთვის და კეთილი სურვილებისთვის, კნეინა ამირეჯიბს მადლობა და გულითადი მოკითხვა გადაეცი. მაინტერესებს, რატომ არაფერს წერ გიორგის შესახებ? ნუთუ მისგან წერილი ჯერ არ მიგიღია? ეს ესაა სწავლებიდან დავბრუნდი. ბევრი და დიდი შრომა მიწევს, რადგან ამ, ჩემთვის უცხო, ბატარეაში არც ხალხს ვიცნობ და არც აქ მიღებული წესებია ცნობილი. ერთ-ორ დღეში ქვემეხებიდან სროლას ვიწყებთ. რას არ გავიღებდი, ამჟამად აქ, ჩემთან რომ იმყოფებოდე! რა იოლად დავძლევდი ყველა სიძნელეს და წინაღობას! ვფიქრობ, რომ დავქორწინდებით, შენთან განშორება ჩემთვის იოლი საქმე როდი იქნება. მოკითხვა გადაეცი ქეთევან ლუარსაბის ასულს და დურმიშხან შალვას ძეს. ჩემ მიმართ კეთილი ძრახვების გამო, მთელი სულითა და გულით დედაშენის მადლიერი ვარ. გიორგის წერილს რომ გაუგზავნი, აუცილებლად მომიკითხე.

გკოცნი უამრავს შენი ილიკო.
1891 წლის 12 ივნისი
(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე, მითითებულია დღე, თვე, რიცხვი და საათი. გაურკვევლად წერია წელი, სავარაუდოდ, უნდა იყოს 1909 წელი. ამ დროისთვის ილია მაქარაშვილი წმ. სტანისლავის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სამხედრო უწყებაში არსებული ინტრიგების გამო იგი პენსიაში გავიდა და მალე გარდაიცვალა (სოსიაშვილი 2021ბ: 301).

ოთხშაბათი, 10 ივნისი საღამოს 6 საათი. ბანაკი. (1909 წელი?)
ძვირფასო ნინა! დღეს შენი ღია ბარათი მივიღე. შევიტყვე, რომ თქვენ კრასნოვოდსკში არ დარჩენილხართ და 8-ში გემით ბაქოსკენ გეზი აგიღიათ. იმ დღეს აქ ნამდვილი ქარიშხალი იყო და ვერ წარმოვიდგენდი, თუ თქვენ გაბედავდით, და ამ ამინდში ზღვას მიენდობოდით. როგორც ჩანს, კრასნავორდსკში ისეთი ცუდი ამინდი არ იყო, როგოროც აქ. ისე კი უნდა გითხრა, რომ 7 ივნისიდან, აქედან, აშხაბადიდან, თქვენი გამგზავრების დღიდან, ამინდი მკვეთრად შეიცვალა: ძლიერი ცივი ქარი ამოვარდა, 8-ში დილით წვიმა წამოვიდა, მოგვიანებით კი ქარი ნამდვილ ქარიშხალში გადაიზარდა, მხოლოდ 3საათის შემდეგ, 12 საათზე ჩაწყნარდა, საღამო ხანს კი შეწყდა. სამაგიეროდ, დღეს დილიდან სასტიკი ქარია. გუშინ საღამოს ქალაქში კორპუსის მეთაურის დასახვედრად ვიმყოფებოდი. შემთხვევით *გესკეჰების?*[109] გაცილებაზე მოვხვდი. ისინი მცირე ხნით ტაშკენტში მიემგზავრებოდნენ. მათ რა თქმა უნდა, მეგობრები აცილებდნენ. იმის გამო, რომ მისი

სერიოჟა ავად იყო და შენ ვერ გაგაცილა, ელიზავეტა პეტრეს ასული ბოდიშს გიხდის და, ამავდროულად, მოკითხვას გითვლის. ეფრემოვი შვებულებაში ჩემ გაშვებას ჯერჯერობით ეწინააღმდეგება. ისე კი პატაკის დაწერის ნებართვა მაინც მომცა, ჩემს მიმართ გარკვეულ სიკეთეს იჩენს, ალბათ იმიტომ, რომ ყველა გენერალთან აუგად არის, მშვიდად, აღელვების გარეშე ფედოტოვზეც კი არ საუბრობს. შენი გამგზავრებისთანავე, მოსასხამი რომ დაგრჩა, ქალბატონებმა დმიტრიევამ და ჩუვაკოვამ შენიშნეს და გზაში დასაწევად, საფოსტო მატარებლით გამოგზავნა *კიზიჰიას* დაავალეს, მაგრამ მან ჩვენს ბინაზე გამოგზავნა და სახლში რომ დავბრუნდი, იქ დამხვდა. კარგია რომ ასე მოხდა, მას მე თვითონ ჩამოგიტან. ...[116] დაბრუნებისას *მადამ ბოიახსკაია*[117] მივაცილე. ამ წერილთან ერთად ელიჩკასგან ორშაბათს მიღებულ წერილს გიგზავნი. ამავე დროს მოსკოვიდან, კურსკის სადგურიდან ტიშასგან შენს სახელზე ღია ბარათი მივიღე. ის წერს: *„თქვენ ეტყობა გადაგავიწყდათ, ჰომ ამ ქვეყნად ახსებობს პატახა გოგონა ტიშა, ჰომეღიც მაგჰად კოცნის იჰას, ნიკუშას და მიშას.[120] მოკითხვა ბებიას,[121] დედას და მამას“.*[122] თქვენი ცენტრალური კომიტეტიდან გუშინ მიღებულია დოკუმენტი თქვენი განყოფილების ბეჭედის ნიმუშის ხელახლა დამოწმების მოთხოვნით. ის შენ სახელზეა, მაგრამ თუ სკვერსკის შევხვდი გადავცემ, თუ არა-დავიტოვებ, და ლიდია ვიქტორის ასულის ან შენ ჩამოსვლას დაველოდები. ჩვენი ბატები გუშინ საღამოს ბანაკში გადაიყვანეს. უცნაური რამაა- შინაური ბატი სულ სადღაც იპარება, ხოლო გარეული სხვა ბატებთან ერთად მშვიდად დაცურავს და სეირნობს. თურმე ბანაკში ბატების აურაცხელი ოდენობაა. გუშინ ჩვენი ბანაკის დაოჯახებულთა ნაწილი, დაახლოებით 20 კაცი, გურევიჩებს სტუმრობდა. როგორც ამბობენ, საღამო კარგად გაატარეს. პარასკევს გურევიჩების ოჯახს ბანაკში სტუმრად ელიან, რის შემდეგ ისინი ხეირაბადში?[126] გაემგზავრებიან. თქვენ ალბათ უკვე არბოში ხართ და, რა თქმა უნდა აივანზე კი არა ოთახში, ჟურულების გვარის წარმომადგენელთა გარემოცვაში ჩაის მიირთმევთ, მათგან ახალ ამბებს ისმენთ და თავად მგზავრობაზე უყვებით. ძალიან მინდა თქვენთან ერთად ვიმყოფებოდე. გთხოვ, მომწერო, თუ როგორ იმგზავრეთ ბაქოდან გორამდე და შემდეგ. ნაცნობებიდან გზად ვინ შემოგხვდათ, როგორი დაგხვდათ სოფელი. იმის შესახებ, თუ როგორ გადაცურეთ ზღვა-ბაქოდან გამოგზავნილი შენი ღია ბარათიდან შევიტყობ, რომელსაც, სავარაუდოდ, პარასკევს მივიღებ.

შეხვედრამდე.

მაგრად გკოცნით შენ, ნიკუშას, ირინას, მიშას და აგრეთვე დედას. მოკითხვას ვუგზავნი ყველა არბოელ ნაცნობს, ძიძას და პატივისცემას ხალხს. ნიკუშას ჩემი თხოვნა გადაეცი- დღეში ერთი საათი მაინც სერიოზულად იმეცადინოს. შალიკოს მისთვის დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია.

მთელი გულით და სულით შენი მოსიყვარულე ილიკო.

(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

ხელნაწერი რუსულ ენაზე. მითითებულია თვე და რიცხვი.

ჩემო ძვირფასო ნინოჩკა! ბატარეის ოფიცერი კაპიტანი ზვერევი შვებულებიდან 31 აგვისტოს დაბრუნდა. ამით მისთვის ბატარეის ჩაბარების და ცოტა ადრე შვებულებაში გასვლის შესაძლებლობა მომეცა, მაგრამ საქმე იმაშია რომ ბრიგადის მეთაური სარაკამიშში იმყოფება და აქ მხოლოდ 10-12 სექტემბერს თუ ჩამოვა. გუშინ მას ტელეგრამა გავუგზავნე, სადაც ზვერევისთვის ბატარეის ჩაბარებას და 2 თვით შვებულების აღებას ვთხოვდი. არ ვიცი რატომ და მისგან პასუხი ჯერ არ მიმიღია. ვვარაუდობ, რომ ის რამოდენიმე დღით სხვაგან არის წასული. ახლა ასე მოვიქცევი: თუ ნებართვას მივიღებ, დაუყოვნებლივ ტელეგრამით გაცნობებ, რომ თბილისში ჩამოვდივარ, შენ კი ტელეგრამის მიღებისთანავე თბილისში გამოემგზავრე, ასე ამრიგად, ჩვენ თბილისში ერთდროულად ჩავალთ. ესე იგი, ჩვენ „ჩრდილოეთის ნომრებში“ გავჩერდებით? ვფიქრობ, რომ დეპეშას უფრო ადრე მიიღებ, ვიდრე ამ წერილს და ამიტომ დაუყოვნებლივ გამოემგზავრე. ამრიგად, ჩემო ძვირფასო ამ კვირაში გიხილავ! მე ეს ჯილდო ხანგრძლივი მოთმინების ფასად მივიღე. ვერ წარმოიდგენ, თუ როგორ ვღელავ ჩვენი შეხვედრის გამო! არადა უნდა

გამოგიტყდე, რომ საკმაოდ მშვიდი ბუნების ადამიანი ვარ. ჩვენ საღამოოობით ერთად დროის გატარება უკვე შეგვეძლება,ჯერ თბილისში, მერე კი ცხინვალში. მაგრამ არ მინდა მოვლენებს წინ გაუსწრო. დღეს შენი აბაზანის მაგიდა მოიტანეს, მცირე ზომისაა, მაგრამ კარგია. მისი მორთვა -გალამაზება კი შენ გეკისრება. ტანსაცმლის კარადა კი ჯერ მზად არ არის. ზამთრისთის ორი ფუთი ერბოს და პამიდორის დაკვეთა მივეცი.არ დამცინო გეთაყვა, მხოლოდ პოეზიით შორს ვერ წახვალ, პურზე ჩვენი არსობისა უნდა ვიფიქროთ. 28 აგვისტოდან აქ გამუდმებით წვიმს. შესანიშნავი მზიანი დილის შემდეგ, საათის სამზე ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა იწყება. მას სეტყვა და ძლიერი ქარი მოსდევს. 5 საათზე ამინდი წყნარდება და ცა იწმინდება. ეს წუთია შენი ორი წერილი მივიღე. ვშიშობ არ დავაგვიანო, ვჩქარობ. ამიტომ ასე დაუდევრად ვწერ. ამის გამო, ნუ განმსჯი და ნუ მიწყენ. შენ მშობლებს და მეგობრებს გულითადი მოკითხვა გადაეცი. ჩემი მოკითხვისათვის ყველას მადლობას ვუთვლი.

გეხვევი და გკოცნი ჩემო საყვარელო, ძვირფასო ნინოჩკა.
შენი ილიკო, 2 სექტემბერი.
(ფონდი I, საქმე 135, ხ. 42763)

შენიშვნები

1 აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე სამხედრო პირი (სოსნოვსკი, გურკოვსკი, კრივცოვი, ევრეინოვი, ბოგაევსკი, მანშტეინი), მათ შორის ილია მაქარაშვილი წმინდა გიორგის ორდენის კავალერი გახდა.

2 იგულისხმება გიორგი ჟურულის მამა, ილია მაქარაშვილის სიმამრი, დურმიშხან ჟურული.

3 იგულისხმება გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, მწერალი, პუბლიცისტი ნიკო ცხვედაძე (1845-1911 წ.წ.).

4 არბოს წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა ილია მაქარაშვილის სიმამრს – დურმიშხან ჟურულს (სოსიაშვილი 2021ბ: 29).

5 არბოს წმინდა გიორგის ტაძრის გვერდით, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში (დანგრეული ტაძარი იგი სოფელ ქორდის მკვიდრმა ლერი ჯალაბაძემ აღადგინა) შემორჩენილია ილია მაქარაშვილის ქალიშვილის მარიკო მაქარაშვილის ეპიტაფია: მარიკო მაკარაშვილის ასული დაიბადა 13 დეკემბერს 1900 წ. გარდაიცვალა 14 აპრილს 1902 წ. (სოსიაშვილი 2021ბ: 148).

6 გენერალ ილია მაქარაშვილის შთამომავლების შესახებ ვრცლად იხ. (სოსიაშვილი 2021გ: 77-110).

7 საჟენი – ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. ისტორიულ წყაროებში, XI–XVII საუკუნეებში საჟენის ზომა იყო 152 სანტიმეტრი და 176 სანტიმეტრი.

8 ალექსანდროპოლი – სომხეთის ქალაქ გიუმრის (ლენინაკანის) სახელი 1840-1924 წლებში.

9 ქეთევან ლუარსაბის ასული ნამორაძე-ჟურულისა (1842-1913 წ.წ.) ნინო ჟურულის დედა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ საზოგადოებაში ფრიად ცნობილი ქალბატონი, ბათუმის თეატრის დამაარსებელი.

10 დურმიშხან შალვას ძე ჟურული (1830-1901 წ.წ.), ნინო და გიორგი ჟურულების მამა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბათუმის პოლიციმეისტერი.

11 იგულისმხება ნინო ჟურულის ძმა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრი გიორგი ჟურული (1865-1951 წ.წ.) იხ. (სოსიაშვილი 2020ბ).

12 შესაძლოა, იგულისხმებოდეს გენერალ-მაიორი ალექსანდრე სიმონიეს ძე ავალიშვილი (ავალოვი) (1852-1916 წ.წ.) რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების მონაწილე, წმინდა ანას მე-3 ხარისხის, წმინდა ანას მე-4 ხარისხის, წმინდა სტანისლავის მე-2 ხარისხის, წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის (მემატიანე ა).

13 სავარაუდოდ, იგულისხმება დავით ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) (1859-1915 წ.წ.) დაამთავრა პავლეს I-ის სამხედრო სასწავლებელი 1879 წელს, შემდეგ ოფიცერთა საარტილერიო სკოლა. წარმომავლობით თბილისის გუბერნიის აზნაურთა ოჯახიდან; 1878 წლის აგვისტოდან იყო სამხედრო სამსახურში; სხვადასხვა დროს მსახურობდა 38-ე საარტილერიო ბრიგადაში, კავკასიის

სარეზერვო საარტილერიო ბრიგადაში, 21-ე საარტილერიო ბრიგადაში; 1912 წელს მიიღო პოლკოვნიკის წოდება; I მსოფლიო ომის დროს მეთაურობდა 21-ე საარტილერიო ბრიგადის მე-2 დივიზიონს. სასიკვდილოდ დაიჭრა ბრძოლის ველზე. 1916 წელს მიიღო გენერალ-მაიორის წოდება (სიკვდილის შემდეგ); სამხედრო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი. (პოლტავის ისტორია)

14 იგულისხმება ცნობილი მოღვაწე, მომდერალი და ქველმოქმედი მაკინე ამირეჯიბი (1859-1925 წ.წ.) მისი ოჯახი(სოფ. საღოლაშენში) ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწეები. სარდიონ და მაკინე ამირეჯიბების წყალობით დაარსებულა საღოლაშენში სამწლიანი სკოლა. საღოლაშენში მათი სტუმრები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, შიო არაგვისპირელი, გიორგი არადელი-იშხნელი, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ზაქარია ფალიაშვილი, ვანო სარაჯიშვილი, შალვა დადიანი და სხვა მრავალი ცნობილი ადამიანი (ბიოგრაფიული ლექსიკონი ბ).

15 ამ ადგილზე ლათინური ასოებით წერია გაურკვევლად.

16 პეტრე იოსების ძე ყიფიანი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1895 წ.); ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი (1916 წ.) (ქშწკგ საზოგადოების წევრები ბ).

17 პავლე იოსების ძე ყიფიანი – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი (1899 წ.) (ქშწკგ საზოგადოების წევრები გ).

18 წერილიდან ირკვევა, რომ ნინო ჟურული ამ დროს ცხინვალში იმყოფებოდა. ჟურულებს ცხინვალში საცხოვრებელი სახლი ჰქონდათ, ამას ადასტურებს ქეთევან ნამორაძის მიერ დურმიშხან ჟურულის სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი (სოსიაშვილი 2021ბ: 285).

19 ამ ადგილას სიტყვა დაზიანებულია.

20 როგორც მივუთითებდით, ილია მაქარაშვილის ოჯახი, რაჭიდან, კერძოდ, სოფელ ღარიდან იყო. როგორც ჩანს, ილია მშობლიურ სახლში ჩადიოდა.

21 სომხეთის ქალაქ სტეფანავანის სახელი 1924 წლამდე.

22 ამის შემდეგ წერილი დაზიანებულია.

23 იგულისხმება გიორგი ჟურული.

24 იგულისხმება არაგაწი (სომხ. Արագած; ცნობილია ასევე როგორც ალაგიოზი) – დიდი ანდეზიტ-დაციტური სტრატოვულკანი ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში, ერევნის ჩრდილო-დასავლეთით, არარატის ვაკის ჩრდილოეთით.

25 წინადადების დასაწყისი აკლია, წერილის დაზიანების გამო.

26 წერილის დანარჩენი ნაწილი დაკარგულია.

27 იგულისხმება ნიკოლაი ივანეს ძე პოტულოვი (1860- ?)რუსი სამხედრო მოღვაწე. ნიჟეგოროდის სამხედრო გიმნაზიის კურსდამთავრებული. სამხედრო სამსახურში შევიდა 1878 წელს. დაასრულა ალექსანდროვის მე-3 სამხედრო სასწავლებელი. პოლკოვნიკი ნიკოლაი პოტულოვი იყო, რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომის მონაწილე. მონაწილეობდა ასევე პირველ მსოფლიო ომში. მეთურობდა ციმბირის მე-6 სამთო საარტილერიო დივიზიას. დაჯილდოვებული იყო არაერთი ორდენით (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ბ).

28 იგულისხმება ბეზობდალის ქედი, რომელიც გადაჭიმულია ქ. აგლალანიდან ბამბაკის რაიონამდე. ამ უღელტეხილით ისარგებლა თბილისიდან 1829 წელს ყარსში მიმავალმა რუსმა პოეტმა ა. ს. პუშკინმა.

29 ილია მაქარაშვილი აღნიშნულ პიროვნებას ბანაკის კომენდანტად მოიხსენიებს.

30 იგულისხმება იმპერატრიცა მარია ფეოდორის ასულის დღეობა, იგი დაკავშირებული იყო მარია მაგდალინელის სახელთან. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1897 წელს გამოცემულ ქართულ კალენდარში იმპერატრიცას დღეობა უქმე დღეებში იყო შეტანილი: „ივლისი 22-ოთხშაფათს სახელწოდება ქვრივის დედოფლის, იმპერატრიცის მარიამ ფეოდროვნასი“ (ჭიჭინაძე 1897).

31 აქ წერილი წყდება.

32 რამდენიმე სიტყვა გაურკვევლად წერია.

33 გორის სარეზერვო ქვეითი (კადრის) პოლკი – ამიერკავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ახალწვეულთაგან დაკომპლექტებული სამხედრო შენაერთი, დაარსდა 1887 წლის 12 ივლისს. თავდაპირველად ეწოდებოდა კავკასიის I ადგილობრივი სარეზერვო (კადრის) რაზმი (დრუჟინა). 1889 წლის

20 სექტემბრიდან (სხვა მონაცემებით 1890 წლის 26 ივლისი) გადაკეთდა პოლკად (ჟორდანია 2012: 118); (გიზეტი 1896).

34 კონსტანტინე ბიძინას ძე ერისთავი (დაბ. 23 მაისი, 1836, სოფელ კარალეთი, გორის მუნიციპალიტეტი – გარ. 2 მაისი, 1897, გორი) – რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1877), ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელი. გენერლების მიხეილ ერისთავისა და ნიკოლოზ ერისთავის ძმა. მონაწილეობდა ყირიმისა (1853–1856) და რუსეთ-ოსმალეთის (1877–1878) ომებში. მეთაურობდა კავკასიის I მსროლელთა რაზმს, გორის სარეზერვო პოლკს და გორის მაზრის ყველა საჯარისო ნაწილს, იყო გორის ქალთა გიმნაზიის საპატიო მეურვე. დაჯილდოებულია წმინდა სტანისლავის I ხარისხის ორდენით (ენციკლოპედია საქართველო 2014: 61).

35 არშინი – სიგრძის საზომი ერთეული, რომელსაც მეტრული სისტემის შემორებამდე იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში (რუსეთი, ბულგარეთი, ავღანეთი, თურქეთი, ირანი). არშინის ზომა სხვადასხვა ქვეყანაშ სხვადასხვა იყო (65.2 სმ.-დან 112 სმ.-მდე). რუსეთში შემოიღეს XV საუკუნეში. არშინი იყოფოდა ოთხ ჩეტვერტად ან 16 ვერშოკად (გოჯი). თავდაპირველი ზომა იყო 72 სმ, XIX საუკუნის დამდეგიდან 71.12 სანტიმეტრი.

36 აქ წერილი წყდება.

37 როგორც ტექსტიდან ჩანს, აღნიშნული პიროვნება იყო ნინო ჟურულის ახლო მეგობარი და ცნობილი ქართველი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ვასილ ყიფიანის და.

38 იგულისხმება ვასილ ყიფიანი (დაბ. 15 მარტი, 1855 – გარ. 27 იანვარი, 1936) – ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე (ბიოგრაფიული ლექსიკონი გ).

39 ლორე, ლორი (სომხ. Լոռի) – შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე ტაშირში (ახლანდელი სომხეთი). ქალაქის ნანგრევები შემორჩენილია ქ. სტეფანავანის ახლოს.

40 იგულისხმება ნინო ჟურულის ძმა – გიორგი ჟურული.

41 აღნიშნული პიროვნების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის გაზეთი *ცნობის ფურცელი*, 1897 წელს რომან კონსტანტინეს ძე ჯავროვს(ჯავრიშვილს) ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის 7 მანეთი და 76 კაპიკი შეუწირავს (ცნობის ფურცელი 1897: 3); (ივერია 1897: 4).

42 იგულისხმება ნინო ჟურულის ძმა-გიორგი ჟურული.

43 დურმიშხან ჟურული 1863 წელს ლორეს ბოქაულის თანამდებობაზე იყო. როგორც ჩანს, იგი მეუღლესთან ერთად გარკვეული პერიოდი სტეფანავანში(ჯელალ-ოღლიში) ცხოვრობდა (სოსიაშვილი 2021ბ: 53).

44 სავარაუდოდ, იგულისხმება კოლეგიის მდივნის ხინცინსკის ოჯახი. აღნიშნული პიროვნება 1912 წელს პენსიაში გასვლის შემდეგ გომის პრისტავად დაუნიშნავთ (კავკაზი 1912: 1).

45 სახელი არ იკითხება.

46 შესაძლოა, გულისხმობდეს ახტალის ტაძარს, რომლის მთავარი ეკლესიის აგება XIII საუკუნის დასაწყისში ივანე ათაბაგის სახელს უკავშირდება (ქსე 1977: 109).

47 შესაძლოა, იგულისხმებოდეს გენერალ ივანე ჯაფარიძის (1867-1934 წ.წ.) მამა (მემატიანე ბ).

48 მითითებული გენერლის ვინაობა ვერ დავადგინეთ. ქალაქი თურქეთში, ყარსის პროვინციაში, აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში.

49 იგულისხმება თბილისში გოლოვინის პროსპექტზე 1889 წელს გახსნილი სასტუმრო „დანია". რომელიც მდიდრულად მოწყობილი ყოფილა. აღნიშნულ სასტუმროს 1893 წლიდან „ჩიკაგო" ეწოდა (ჭეიშვილი 2021).

50 ქალაქი თურქეთში, ყარსის პროვინციაში, აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონში.

51 იხ. ზემოთ, 49 შენიშვნა.

52 სავარაუდოდ, იგულისხმება კონსტანტინე ერისთავი (1836-1897 წწ) სამხედრო პირი, ყირიმის (1853-1856 წწ) და რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წ.წ.) მონაწილე (ქართველები უცხოეთში; ენციკლოპედია საქართველო 2014: 61).

53 შესაძლოა, გულისხმობს ქაიხოსრო სოლომონის ძე ფურცელაძეს, რომელმაც 1874 წელს პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია დაამთავრა და ცნობილი ექიმი გახდა (საქართველოს ექიმები).

54 იგულისხმება გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგელის მეუღლე აგრაფინა ჯაფარიძე.

55 იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III (1881-1894 წწ).

56 მარია თედორეს ასული (Мария Фёдоровна), სრულიად რუსეთის იმპერატრიცა 1881-1894 წლებში იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე.

57 ვერ დავადგინეთ.

58 იგულისხმება რაჭის ისტორიული სოფელი ღარი, სადაც მაქარაშვილების საგვარეულო ცხოვრობდა (სოსიაშვილი 2021ბ: 124).

59 ნინო ჟურულის მშობლებს საცხოვრებელი ჰქონდათ ცხინვალში, რაც არაერთი დოკუმენტით დასტურდება (სოსიაშვილი 2021ბ: 285).

60 ვერ დავადგინეთ.

61 ვერ დავადგინეთ.

62 იხ. შენიშვნა 53.

63 სავარაუდოდ, იგულისხმება გენერალი სერგეი ნიკოლოზის ძე მილოვი. (რუსეთის იმპერიის გენერლების სია)

64 ვერ დავადგინეთ.

65 სავარაუდოდ, იგულისხმება გენერალ-ლეიტენანტი პეტრე პეტრეს ძე პოტულოვი (1855-?) (რუსეთის საიმპერატორო არმიისა და ფლოტის გენერლები)

66 გარკვევით არ იკითხება.

67 საუბარია რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის მოთხრობაზე, რომელიც მწერალმა 1890 წელს გამოაქვეყნა. ნაწარმოები ავტორის მიერ ასახული ძალადობის გამო ცენზურის წნეხის ქვეშ მოექცა. სახელწოდება მწერალმა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის სონატიდან აიღო.

68 ქალაქი მოსკოვის ოლქში.

69 სავარაუდოდ, იგულისხმება სამხრეთ ლიეტუვაში არსებული ქალაქი ოლიტუსი (ოლიტა), სადაც XIX საუკუნის ბოლოს დასავლეთ საზღვრის გასამაგრებლად რუსეთის იმპერიამ საფორტიფიკაციო ნაგებობა ააშენა. 1890 წელს ოლიტა რუსეთის იმპერიის მესამე კლასის ციხესიმაგრედ იქცა. (ოლიტას ციხესიმაგრე)

70 არ იკითხება.

71 გვარი არ იკითხება.

72 არ იკითხება.

73 გაურკვევლად წერია, სავარაუდოდ, უნდა იყოს ტოგაევსკის.

74 იგულისხმებიან ილია მაქარაშვილის შვილები: ნიკოლოზი, ირინა და მიშა.

75 ამ ადგილას არ იკითხება.

76 სავარაუდოდ, იგულისხმება პარმენ გამყრელიძე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების ბათუმის განყოფილების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე (1909-1914), ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრი (1909-1916) (ქშწკგ საზოგადოების წევრები დ); აღნიშნული პიროვნება იხსენიება ილია მაქარაშვილის ჩანაწერებში.

77 ვერ დავადგინეთ.

78 ვერ დავადგინეთ.

79 ტექსტში მითითებული გვარი გაურკვევლად წერია, ზუსტად ვერ დავადგინეთ, შესაძლოა იგულისხმებოდეს რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველი გენერლის მიხეილ შალიკაშვილის (შალიკოვის) 1831-1909 წლებში მეუღლე (ბიოგრაფიული ლექსიკონი დ).

80 ვერ დავადგინეთ.

81 სავარაუდოდ, იგულისხმება გიორგი ჟურული.

82 სოფელი გორის მუნიციპალიტეტში, პატარა ლიახვის ხეობაში, სადაც ნინო ჟურულის მშობლები ცხოვრობდნენ (სოსიაშვილი, 2021ბ: 7).

83 სავარაუდოდ, იგულისხმება ილია მაქარაშვილის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ მაქარაშვილი.

84 სომხეთის ქალაქი ვანაძორი. 1935 წლამდე მას კარაკლისი ერქვა. 1935-1993 წლამდე კიროვაკანი.

85 ლორეს სამხრეთით არსებული სარკინიგზო სადგური.

86 ვერ დავადგინეთ. ტექსტში გაურკვევლად წერია და კონტექსტიდან გამომდინარე სავარაუდოდ კონკრეტული პიროვნება იგულისხმება.

87 იგულისხმება მდინარე კამენკის (ძორაკეტის) მარჯვენა ნაპირზე არსებული სოფელი.

88 ბამბაკის ჩრდილოეთით მდებარე მთები.

89 არ იკითხება.

90 რუსეთის იმპერიის დროშის ქვეშ აღნიშნული გვარის ორი წარმომადგენელი მოღვაწეობდა გენერალ-მაიორი ჯავროვი (ჯავრიშვილი) ილია დიმიტრის ძე 1841-1901 წლებში და გენერალ მაიორი ჯავროვი (ჯავრიშვილი) ტარიელ კონსტანტინეს ძე 1853-1910 წ.წ. ავტორს არ აქვს დაკონტრეტებული რომელ მათგანს გულისხმობს (მემატიანე გ).

91 ვერ დავადგინეთ.

92 პეტრე ალექსანდრეს ძე ფროლოვი (1852-?) რუსი სამხედრო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალი (1907 წ.); რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1917 წ.) არაერთი ჯილდოს მფლობელი, მათ შორის: წმინდა სტანისლავის პირველი ხარისხის, წმინდა ანას პირველი ხარისხის, ალექსანდრე ნეველის და სხვა (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები გ).

93 ვერ დავადგინეთ.

94 მხოლოდ ფრაგმენტული ცნობა მოვიპოვეთ არტილერიის პოლკოვნიკის გრიგოლ ფალავანდიშვილის შესახებ, რომლის ფოტო დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. dspase.nplg.gov.ge

95 არ იკითხება.

96 ნიკოლაი ლავრენტის ძე რეშეტინი (1842-1914 წწ), გენერალ-მაიორი, 1895-1896 28-ე საარტილერიო ბრიგადის დივიზიის მეთაური (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები დ).

97 მიხეილ პეტრეს ძე მადათოვი (1865 -?), პოლკოვნიკი (1913 წ.), წმინდა ანას მე-3, წმინდა სტანისლავის მე-2, წმინდა ვლადიმირის მე-4 და წმინდა ვლადიმირის მე-3 ხარისხის ორდენის მფლობელი (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ე).

98 ნიკოლაი კრივიცკი (1866-1920 წწ) რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, პირველი მსოფლიო ომის მინაწილე (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ვ).

99 ვერ დავადგინეთ.

100 ლევან უზნაძე იხსენიება ერთ დოკუმენტში, ეს გახლავთ: „მისი უდიდებულესობა იმპერატორის ბრძანების აღმასრულებელი ფურცელი ქეთევან ჟურულის, ნინო მაქარაშვილისა და გიორგი ჟურულის ქონების დავის შესახებ," სადაც მითითებულია, რომ ტბეთში დურმიშხან ჟურულის მეუღლის, ქეთევან ნამორაძის მამულს ჩრდილოეთით ლევან უზნაძის მიწა ესაზღვრებოდა, როგორც ჩანს, მითითებული პიროვნება ჟურულებთან დაახლოებული იყო (სოსიაშვილი 2021ბ: 311).

101 არ იკითხება.

102 იგულისხმება პოლკოვნიკი ივანე პაატას ძე გურგენიძე (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ზ).

103 პოლკოვნიკ გურგენიძის მეუღლის, თარხნიშვილის სახელი ვერ დავადგინეთ.

104 სავარუდოდ, იგულისხმება მაკრინე ქაიხოსროს ასული ამირეჯიბი, რომელიც ნინო ჟურულს საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებაში დახმარებას უწევდა (ლომოური 2002: 181).

105 იგულისხმება ნინო ჟურულის ძმა, გიორგი ჟურული.

106 ბაქო (აზერ. Bakı [bɑˈcɯ], ბაქი – ქარიანი ადგილი) – აზერბაიჯანის დედაქალაქი.

107 თურქმენეთის ქალაქ თურქმენბაშის სახელი 1992 წლამდე.

108 აშხაბადი – თურქმენეთის დედაქალაქი.

109 ვერ დავადგინეთ.

110 ტაშკენტი – უზბეკეთისა და ტაშკენტის პროვინციის დედაქალაქი.

111 ვერ დავადგინეთ.

112 სავარაუდოდ, უნდა იყოს გენერალ-მაიორი ნიკოლაი ალექსის ძე ეფრემოვი (1843-?) (სია 1893: 159); (უმაღლესი ბრძანებები 1894: 230).

113 სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ნიკოლაევის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული გენერალ-მაიორი ალექსანდრ იპოლიტეს ძე ფედოტოვი (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები თ).

114 ვერ დავადგინეთ.

115 ვერ დავადგინეთ.

116 ამ ადგილზე არ იკითხება.

117 ვერ დავადგინეთ.

118 რკინიგზის სადგური მოსკოვთან.

119 ვერ დავადგინეთ.

120 ილია მაქარაშვილის შვილები, მათგან ირინა მაქარაშვილი ცოლად გაჰყვა ცნობილ ქართველ ინჟინერს ანატოლი კიზირიას, ნიკუშა ტრაგიკულად დაიღუპა სადგურ შამქორთან 1918 წელს, ხოლო მიშა(მიხეილი) საფრანგეთში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა, დაკრძალულია ლევილში.

121 წერილიდან არ ჩანს, რომელ ბებიაზეა საუბარი.

122 გულისხმობს ნინოს მშობლებს, დურმიშხანს ჟურულს და ქეთევან ნამორაძეს.

123 ვერ დავადგინეთ.

124 ვერ დავადგინეთ.

125 ძნელი სათქმელია ვის გულისხმობს წერილის ავტორი. ცნობილია, რომ გამოჩენილ ქართველ იურისტს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს (1872-1939 წწ) ცოლად ჰყავდა ეკატერინე იაკობის ასული გურევიჩი (მოდებაძე 2022). შესაძლოა, წერილში სწორედ იაკობ გურევიჩის ოჯახი იგულისხმებოდეს.

126 გაურკვევლად წერია.

127 ვერ დავადგინეთ. ჟურულთა წრეში იმ დროისთვის გვხვდება შალვა ჟურული-დიდი პაპის მოსახელე, დურმიშხან ჟურულის ძმის, მალხაზის შვილიშვილი, რომელიც 1902 იყო დაბადებული და წერილის დაწერის სავარაუდო დროს, 1908-1909 წლებში იგი დაახლოებით ექვსი-რვა წლის იქნებოდა, შესაბამისად ამ კონტექსტში მისი მოხსენიება სათუოა.

128 ვლადიმირ ბესარიონის ძე ზვერევი, კაპიტანი, პავლოვსკის სამხედრო სასწავლებლის კურსადმთავრებული (1869-1918 წწ) (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ი). კაპიტნის წოდება მან 1901 წელს მიიღო და ამიტომ ილია მაქარაშვილის წერილი 1901 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. ამ გვარით ცნობილია ასევე რუსეთის იმპერიის სამხედრო სამხედრო სამსახურში მყოფი ინფანტერიის გენერალი ნიკოლოზ იაკობის ძე ზვერევი (1830-1907 წწ) (ვოლკოვი 2009ა: 545-546), ასევე ვლადიმირ პორფირეს ძე ზვერევი, პორუჩიკი (1885-1915 წწ) (რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები კ).

დამოწმებანი

ბიოგრაფიული ლექსიკონი ა: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. *ანატოლი კიზირია*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009743/ (ნანახია: 11.09.2024).

ბიოგრაფიული ლექსიკონი ბ: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. *მაკინე ამირეჯიბი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007358/ (ნანახია: 11.09.2024).

ბიოგრაფიული ლექსიკონი გ: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. *ვასილ ყიფიანი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00005857/ (ნანახია: 11.09.2024).

ბიოგრაფიული ლექსიკონი დ: საქართველოს ბიოგრაფიული ლექსიკონი. *მიხეილ შაღიკაშვილი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00017028/ (ნანახია: 11.09.2024)

გენერლების სია 1910: *Список генералам по старшинству*. Составлен по 10 июля 1910 г. Санкт-Петербург.

გიზეტი 1896: *Хроника кавказских войск в 2-х частях*. сост. А. Л. Гизетти, Тифлис.

გიზეტი 1901: Гизетти А. Л. *Сборник сведений о Георгиевских кавалерах и боевых знаках отличий Кавказских войск*. Под. ред. Генерал-майора Потто. Тифлис. ვებ-გვერდი: https://runivers.ru/upload/iblock/77a/Sbornik%20svedeniy%20o%20Georgievskih%20kavalerah%201901%20i%20boevih%20znakah%20otlichiy%20Kavkazskih%20voysk%20A.L.Gizetti.pdf (ნანახია: 09.08.2024).

გოგიტიძე 2001: *Грузинский генералитет (1699-1921)*. Биографический справочник Составил Мамука Гогитидзе, Киев. ვებ-გვერდი: http://petergen.com/sources/grugener.shtml (ნანახია: 09.08.2024).

გუმბათი-ექსპრესი 2010: *გუმბათი-ექსპრესი*. 2-8 აგვისტო.

ენციკლოპედია საქართველო 2014: *ენციკლოპედია საქართველო*. ტ. 3. თბილისი.

ვოლკოვი 2009ა: С. В. Волков. *Генералитет Российской империи: Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II*. Т. I. Москва.

ვოლკოვი 2009ბ: С. В. Волков. *Генералитет Российской империи: Энциклопедический словарь генералов и адмиралов от Петра I до Николая II*. Т. II (Л-Я). Москва.

თევდორაძე 2010: ც. თევდორაძე. ზოგიერთი საარქივო მასალა მაქარაშვილ-ჟურულების ოჯახის შესახებ. *ღიტეჰატუჰა და ხელოვნება*. №10.

ივერია 1897: *ივერია*. №42.

ისმაილოვი 2007: Э. Э. Исмаилов. Золотое оружие с надписью "За храбрость". Списки кавалеров 1788-1913. Москва.

კადეტთა ჟურნალი 2010: *Кадетскій журналъ*. №4.

კავკაზი 1912: *Кавказ*, №212.

ლომოური 2002: ნ. ლომოური. *პუბლიცისტული წერილები*. შემდგენელი ხ. მურადაშვილი, თბილისი.

მემატიანე ა: *აღექსანდრე ავალიშვილი სიმონიეს ძე*. ვებ-გვერდი: https://mematiane.ge/product-details.php?id=1006 (ნანახია: 09.08.2024).

მემატიანე ბ: *ივანე ჯაფარიძე დავითის ძე*. ვებ-გვერდი: https://mematiane.ge/product-details.php?id=2045 (ნანახია: 09.08.2024).

მემატიანე გ: *ქართველი გენერლები ხუსეთის არმიაში 1698-1917 წ.წ. ანბანის მიხედვით*. ვებ-გვერდი: https://mematiane.ge/product-details.php?id=853 (ნანახია: 09.08.2024).

მოდებაძე 2022: ქ. მოდებაძე. როგორ ცდილობდა ირაკლი ანდრონიკოვი ქართული ლიტერატურის პოპულარიზებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. *თბილისელები*. ვებ-გვერდი: https://tbiliselebi.ge/ka/news/society/rogor-tsdilobda-irakli-andronikovi-kartuli-literaturis-popularizebas-sakartvelos-pharglebs-garet (ნანახია: 09.08.2024).

ნაცვლიშვილი 1992: პ. ნაცვლიშვილი. მაქარაშვილები: არბო, პარიზი, ლიმა... არბო! *სამშობლო*. მაისი.

ოლიტას ციხესიმაგრე: *Крепость Олита (Алитус)*. ვებ-გვერდი: https://olitaorany.lt/RUS/olita_ru.htm (ნანახია: 10.08.2024).

პოლტავის ისტორია: История Полтавы. *Нацвалов, Давид Малахиевич*. ვებ-გვერდი: http://histpol.pl.ua/ru/lichnosti/alfavitnyj-ukazatel/lichnosti-n?id=5827 (ნანახია: 10.08.2024).

ჟორდანია 2012: ო. ჟორდანია. *ენციკლოპედია „საქართველო“*. ტ. 2. თბილისი.

ჟურული 1935: გ. ჟურული. ბათუმ-აჭარის მხარეები (ფურცლები რვეულიდან),*“დამოუკიდებელი საქართველო”*, №144, პარიზი.

რაინდების სიები 1880: Списки кавалерам императорского военного ордена Святого великомученика и победоносца Георгия за боевые отличия. 26 ноября 1769 г. – 1 сентября 1880 г., Санкт-Петербург.

რუსეთის იმპერიის გენერლების სია: *ხუსეთის იმპერიის გენერლების სია. სომხური წარმოშობის ხუსეთის იმპერიის გენერლები*. ვებ-გვერდი: https://groupdwt.ru/ka/calculators/generaly-rossiiskoi-imperii-spisok-generaly-rossiiskoi-imperii-armyanskogo/ (ნანახია: 10.08.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიისა და ფლოტის გენერლები: Генералитет российской императорской армии и флота. *ვებ-გვერდი:* http://www.rusgeneral.ru/general_m.html (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ა: Офицеры РИА. *Макарашвили Илья Сакварелович. ვებ-გვერდი:* http://ria1914.info/index.php?title=Макарашвили_Илья_Сакварелович (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ბ: Офицеры РИА. *Потулов Николай Иванович. ვებ-გვერდი:* https://ria1914.info/index.php/Потулов_Николай_Иванович (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები გ: Офицеры РИА. *Фролов Петр Александрович. ვებ-გვერდი:* https://ria1914.info/index.php/Фролов_Петр_Александрович (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები დ: Офицеры РИА. *Решетин Николай Лаврентьевич. ვებ-გვერდი:* https://www.ria1914.info/index.php/Решетин_Николай_Лаврентьевич (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ე: Офицеры РИА. *Мадатов Михаил Петрович. ვებ-გვერდი:* https://ria1914.info/index.php?title=Мадатов_Михаил_Петрович (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ვ: Офицеры РИА. *Кривицкий Николай Николаевич*. ვებ-გვერდი: https://ria1914.info/index.php/Кривицкий_Николай_Николаевич_1 (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ზ: Офицеры РИА. *Гургенидзе Иван Паатович*. ვებ-გვერდი: https://ria1914.info/index.php/Гургенидзе_Иван_Паатович (ნანახია: 27.07.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები თ: Офицеры РИА. *Федотов Александр Ипполитович*. ვებ-გვერდი: https://www.ria1914.info/index.php/Федотов_Александр_Ипполитович (ნანახია: 25.08.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები ი: Офицеры РИА. *Зверев Владимир Виссарионович*. ვებ-გვერდი: https://ria1914.info/index.php/Зверев_Владимир_Виссарионович (ნანახია: 25.08.2024).

რუსეთის საიმპერატორო არმიის ოფიცრები კ: Офицеры РИА. *Зверев Владимир Порфирьевич*. ვებ-გვერდი: https://ria1914.info/index.php/Зверев_Владимир_Порфирьевич (ნანახია: 25.08.2024).

საერთო სია: *Общий список офицерским чинам Русской императорской армии*. ვებ-გვერდი: https://lnnk.in/hKnL (ნანახია: 25.08.2024).

საქართველოს ექიმები: საქართველოს ექიმები: ბიოგრაფიული ლექსიკონი. *ქაიხოსხო სოღომონის ძე ფუჩეღაძე*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/medics/ka/00000793/ (ნანახია: 25.08.2024).

სია 1893: *Список полковникам по старшинству*. Составлен по 1 сентября 1893 года. Санкт-Петербург.

სოსიაშვილი 2021ა: გ. სოსიაშვილი. მაქარაშვილების საგვარეულო და სოფელი არბო. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის და არქეოლოგიის ცენტრი, *შრომათა კრებული*. №20.

სოსიაშვილი 2021ბ: გ. სოსიაშვილი. *ახბო, კახიზი, ღიმა*. თბილისი.

სოსიაშვილი 2021გ: გ. სოსიაშვილი. გენერალი ილია მაქარაშვილი და მისი შთამომავლები პერუსა და საფრანგეთში. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის და ხელოვნების ისტორიის სერია*. №1.

სოსიაშვილი 2020ა: გ. სოსიაშვილი. ვინ იყო გენერალი ილია მაქარაშვილი. *ისტორიანი*. №1(109).

სოსიაშვილი 2020ბ: გ. სოსიაშვილი. დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ფინანსთა მინისტრის-გიორგი ჟურულის ოჯახი და სოფელი არბო. *ისტორიანი*. № 5(113).

სოსიაშვილი 2023: გ. სოსიაშვილი. მარიამ პრიტვიცის უცნობი წერილები მაქარაშვილების ოჯახისადმი, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XXV, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი.

უმაღლესი ბრძანებები 1894: *Высочайшие приказы по Военному ведомству к №178//Разведчик*. Санкт-Петербург.

უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი: უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. *კახანოვოდსკი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=14&t=121425 (ნანახია: 24.08.2024).

ფონდი I: საქართველოს ხელოვნების სასახლე, კულტურის ისტორიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 135, ხ. 42722; 42724; 42753; 42754; 42755; 42762; 42763.

ფონდი №2: საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №2, ანაწერი №1, საქმე №495.

ფონდი №4: საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო. გორის რაიონული არქივი. ფონდი №4, ანაწერი 1, საქმე №135.

ქართველები უცხოეთში: ქართველები უცხოეთში: ბიოგრაფიები და მოღვაწეობა. *კონსტანტინე ეისთავი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000702/ (ნანახია: 23.08.2024).

ქსე 1977: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. II. თბილისი.

ქსე 1980: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*. ტ. 5. თბილისი.

ქშნკგ საზოგადოების წევრები ა: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. *ნინო ღუჰმიშხანის ასული მაქახაშვილისა*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00004697/ (ნანახია: 23.08.2024).

ქშნკგ საზოგადოების ნევრები ბ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. *პეტრე იოსების ძე ყიფიანი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00003563/ (ნანახია: 23.08.2024).

ქშნკგ საზოგადოების ნევრები გ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. *პავლე იოსების ძე ყიფიანი*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00003562/ (ნანახია: 23.08.2024).

ქშნკგ საზოგადოების ნევრები დ: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები. *პახმენ დავითის ძე გამყრელიძე*. ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00000687/ (ნანახია: 23.08.2024).

შაბანოვი 2004: В. М. Шабанов. Военный орден Святого Великомученика и Победоносца Георгия. Именные списки 1769-1920. (Биобиблиографический справочник). Москва.

ცნობის ფურცელი 1897: *ცნობის ფურცელი*. №135.

ცობეხია 2012: Г. Цобехия. *Они были героями Отечественной войны 1812 года*. ვებ-გვერდი: http://morpolit.milportal.ru/cobexiya-gabriel-oni-byli-geroyami-otechestvennoj-vojny-1812-goda/ (ნანახია: 23.08.2024).

ჭეიშვილი 2021: გ. ჭეიშვილი. *ჰორეკა ტფილისი.* ვებ-გვერდი: https://forbes.ge/horeka-tphilisi/ (ნანახია: 23.08.2024).

ჭიჭინაძე 1897: *ქართული კალენდარი 1898.* გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი.

ILIA MAKARASHVILI'S LETTERS TO NINO ZHURULI

Giorgi Sosiashvili
Gori State Teaching University
giorgisosiashvili@gmail.com

Lieutenant-General Ilia Makarashvili's letters to Nino Zhuruli are housed within the Art Palace of Georgia, specifically in the Museum of Cultural History. The Makarashvili family and Zhuruli archives, including Ilia Makarashvili's letters to his future wife Nino Zhuruli, were previously kept within the Makarashvili family. Following this, the ownership transitioned to Irina Makarashvili, the daughter of Ilia Makarashvili. Notably, this encompassed the residential property in the village of Arbo and the associated farmland, which were passed to Merab Makarashvili, Ilia Makarashvili's brother Konstantine Makarashvili's great grandson, who subsequently donated the extensive archives of the Zhuruli and Makarashvili families, including a rich photographic material, to the Art Palace of Georgia. Ilia Makarashvili's military career is marked by notable achievements. As a proficient artillery expert, he underwent comprehensive military training before attaining the rank of general. His affection for his future wife, Nino, the daughter of the prominent public figure Durmishkhan Zhuruli, is evident in the letters he penned to her from various military training bases. Predominantly written prior to their marriage, these letters were sent from Alexanderpol (now Gyumri) and Jelalogli (now Stefanavani). Beyond detailing the personal bond between these esteemed individuals, Makarashvili's correspondences offer insights into Georgian public figures and military personnel of the era. Furthermore, they provide lesse-known glimpses into the social and cultural milieu of late 19th century Georgia, enriching the reader's understanding of this period.

წყაროთა თარგმანი
და წარდგინება

TRANSLATION AND
PRESENTATION OF SOURCES

პეტრე ბუტკოვი 1783–1784 წლებში კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

დავით მერკვილაძე
დამოუკიდებელი მკვლევარი
datomerkvila@yahoo.com
ერეკლე ხუციშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
ektbilisi@yahoo.com

ვაგრძელებთ რუსეთის არმიის გადამდგარი ოფიცრისა და კავკასიისა და მიმდებარე მხარეთა ისტორიის შემდგენელ პეტრე ბუტკოვის (1775-1857) ნაშრომის, *მასაღები კავკასიის ისტორიისათვის 1722-1803 წლებში*, ქართული თარგმანის გამოქვეყნებას. დასახელებული ნაშრომი, რომელშიც XVIII საუკუნის კავკასიის ისტორიით დაინტერესებული ისტორიკოსებისათვის მრავალი მნიშვნელოვანი მონაცემი არის, პ. ბუტკოვის გარდაცვალებიდან თორმეტი წლის შემდეგ ორ ტომად გამოსცა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ (ბუტკოვი 1869ა); (ბუტკოვი 1869ბ).

ქართული წყაროთმცოდნეობის წინამდებარე ნომერში წარმოვადგენთ პ. ბუტკოვის ნაშრომის იმ ნაწილის ქართულ თარგმანს, რომელშიც საუბარია კავკასიაში არსებული ვითარებისა და რუსეთის გეგმების შესახებ 1783-1784 წლებში. კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის შემოსაყვანად თერგის ხეობაში გზის შეკეთება რუსეთის მიერ; შემდეგ ამ გზით აქ ორი რუსული ბატალიონის შემოსვლა; ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე II-სათვის არტილერიის გამოგზავნა, რომლის მხოლოდ ნაწილმა და ისიც ძალიან დაგვიანებით მიაღწია საბოლოოდ დანიშნულების ადგილამდე; რუსეთიდან საჩუქრების ჩამოტანა ადგილობრივი ქართული არისტოკრატიისათვის (თავი 110); ერეკლე მეფისათვის ქართლის ტახტის წართმევის მოსურნე ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილისა და ამ უკანასკნელის მარჯვენა ხელის, ალექსანდრე ამილახვრის დაპატიმრება რუსეთის ხელისუფლების მიერ, მას შემდეგ, რაც ერეკლესაგან სასურველი თანხმობა მიიღეს მისი იმპერატრიცას მფარველობაში შესვლის თაობაზე (თავი 111). მკითხველი აქვე გაეცნობა ავტორის მონათხრობს თარღუს შამხლის რუსეთის მფარველობაში მიღების გარემოებების (თავი 112), სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს ურთიერთდამოკიდებულებისა და, ზოგადად, იმერეთის სამეფოში არსებული ვითარების შესახებ (თავის 113).

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. ტექსტს დართული განმარტებების ერთი ნაწილი პ. ბუტკოვის ნაშრომის ზემონახსენები პირველი გამოცემისეულია, მეორე ნაწილი ეკუთვნის მთარგმნელებს. მათი გარჩევა შესაძლებელია შენიშვნისადმი დართული შესაბამისი მითითებით. აქვე დავძენთ, რომ ტექსტში თავები ჩვენ მიერაა დასათაურებული.

თავი 110

თერგის ხეობაში გზის შეკეთება; საქართველოში ორი რუსული ბატალიონის ჩამოსვლა; ეკატერინე II-ის მიერ ერეკლე II-სათვის არტილერიის გამოგზავნა; ქართველი დიდებულებისათვის საჩუქრების ჩამოტანა

ამასობაში, ჯერ კიდევ 1783 წლის მაისიდან, გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინმა ობერ-კვარტირმეისტერი ფოხტი გაგზავნა თერგის გასწვრივ, საქართველოს საზღვრამდე გზის

შესაკეთებლად. მას სამუშაოებისათვის 800 ჯარისკაცი მისცეს, დაცვად კი – გრენადერთა ბატალიონი.

ოქტომბერში დასრულდა თერგზე ხიდების მშენებლობა და კავკასიის კორპუსიდან საქართველოში მაშინვე გაიგზავნა სამთო და ბელორუსიის ეგერთა ბატალიონები, ორი მარტორქითა და ორი ზარბაზნით, და 3 ნოემბერს ტფილისში რომ ჩავიდნენ, ხალხი სიხარულით შეხვდათ; ტფილისი გაჩირაღდნებული იყო. ისინი გადავიდნენ პოლკოვნიკ ბურნაშევის ხელმძღვანელობაში და ერეკლე მეფის განკარგულებაში.[3]

1784 წლის გაზაფხულზე საქართველოს მოზდოკთან დასაკავშირებლად კავკასიის მთების შესასვლელთან, ადგილ ზაურში დაარსდა ვლადიკავკაზის ციხესიმაგრე, იქიდან მოზდოკის გზაზე კი – რედუტები: პოტიომკინისა მდინარე თერგზე, კუმბელეისა მდინარე კუმბელეიზე და გრიგორიოპოლისისა – მცირე ყაბარდოში.

1784 წლის 6 დეკემბერს იმპერატრიცა ეკატერინემ მეფე ერეკლეს მისადმი თავისი კეთილმყოფელობის ნიშნად 24 საარტილერიო იარაღი უწყალობა, რომელშიც შედიოდა ორფუთიანი მორტირა 2, სხვადასხვა კალიბრის მარტორქა 12, სხვადასხვა კალიბრის ზარბაზანი 10, და ბრძანა მათი გაგზავნა ქურვების ორმაგი კომპლექტითურთ.[7]

ამის წინ კი, 1784 წლის 18 ნოემბერს, თავადმა პოტიომკინმა საქართველოში დააბრუნა არტილერიის კაპიტანი გავრილა გალეგოსი. მას შეუკერეს მუნდირი, ისევე როგორც მასთან მყოფ ორ მეზარბაზნეს. ამ სამოსში შესაფერისობა შერწყმული იყო სარგებელთან და სამოქალაქო გამოყენებასაც ითვალისწინებდა.

იმავე დროს პოლკოვნიკ ტამარას მეშვეობით [საიმპერატორო] კარისგან [საქართველოში] ჩაიტანეს საჩუქრები: დარეჯან (Дария) დედოფლისთვის კაბა და წმ. ეკატერინეს ორდენის მარგალიტის ვარსკვლავი, ხოლო ბატონიშვილ ვახტანგს, თავადებს – ორბელიანს, ჩოლოყაშვილსა (Чолокаеву) და ბეგთაბეგიშვილს (Бегтабегову) – საჩუქრები.

თავი 111

ერეკლეს მოწინააღმდეგე ალექსანდრე ბატონიშვილისა და ალექსანდრე ამილახვრის დაპატიმრება

თავადმა პოტიომკინმა ყველა ადერბიჯანელ ხანს საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ უნივერსალები დაუგზავნა.

ყველა ადერბიჯანელი ხანი და უფრო იქით, სპარსეთშიც, ძლიერ შეშფოთდნენ, როდესაც საქართველოში რუსული ჯარის შესვლის შესახებ შეიტყვეს. ანატოლიაში წარმოუდგენელი შეძრწუნება სუფევდა ჯერ კიდევ ყირიმის რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთების გამო. საქართველოს [მფარველობაში] მიღებამ ის გააღრმავა და მთელი მცირე აზია დარწმუნებული იყო, რომ რუსული ძალები ან ყირიმიდან, ან საქართველოდან მის შემუსვრას დაიწყებდნენ.[8]

თუმცა მეფე ერეკლეს მიღება რუსეთის თვითმპყრობლის მფარველობასა და უზენაეს ხელისუფლებაში პორტას მიმართ რუსეთის კარის ვალდებულებებს არ ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ეს მფლობელი (ერეკლე – მთარგ.) არ იყო დამოკიდებული თურქეთის იმპერიაზე, მაგრამ, სადაც პორტას უფლება არ ჰქონდა, მისთვის გარეშე საქმეში ჩარეულიყო, იქ ვერაგულად მოქმედება არ მიუტოვებია. ასე რომ, მისი ემისრები და სულთნის ფირმანები ყველა ადერბიჯანელ და დაღესტნელ მფლობელს იწვევდა თურქებთან საერთო სარწმუნოების დასაცავად და საქართველოში შესაჭრელად მისი აოხრებისათვის.

თარღუს შამხალი ხასბულატი (Казбулат) და დერბენდელი ფათალი ხანი, რომელთაც გამცილებლად თან თავადი ალექსანდრე გრუზინსკი და თავადი ალექსანდრე ამილახვარი ჰყავდათ, ის იყო ამ მოწოდებას აჰყვნენ, მაგრამ გენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა, როცა ამ მოძრაობების შესახებ შეიტყო, 1783 წლის შემოდგომაზე მათ შესაკავებლად დააყენა ორი დეტაშამენტი: ერთი სულაკზე, ყოფილ წმიდა ჯვრის ციხე-სიმაგრესთან, გენერალ-მაიორ რჟევსკის მეთაურობით, ქვეითთა 2 პოლკის, დრაგუნთა 2 ესკადრონის,

კაზაკთა ერთი პოლკისა და საველე არტილერიის 6 დანადგარი; მეორე – თერგის პირას, კავკასიის მთების შესასვლელთან, ქვეითთა 4 ბატალიონისა და საველე არტილერიის 6 დანადგარი, იმისათვის, რომ თუ დაღესტნელები საქართველოსკენ დაიძრებოდნენ, პირველი რაზმი დაღესტანში შესულიყო, მეორე კი – საქართველოში. ასეთმა ღონისძიებამ შამხალი და ფათალი ხანი დააფრთხო და შეაკავა.

სწორედ იმავე დროს გენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა დერბენდში მაიორი კომაროვსკი მიავლინა ფათალი ხანისგან თავადების – გრუზინსკისა და ამილახვარის გადაცემის მოსათხოვად. თუმცა ფათალი ხანმა უპასუხა, რომ სტუმრის ან ყონაღის გადაცემა დაღესტნურ წეს-ჩვეულებებს ეწინააღმდეგება, მაგრამ საჩუქრად 500 ჩერვონეცი და ოქროს სათუთუნე რომ მიიღო, თავისი სტუმრები კომაროვსკის ჩააბარა. თავისი საქციელის სისასტიკე კი იმით შეარბილა, რომ რუსეთის იმპერატრიცას ნება აღასრულა. 1783 წლის ნოემბერში კომაროვსკიმ ორივე თავადი ასტრახანში ჩაიყვანა. 1784 წლის იანვარში თავადი გრუზინსკი სმოლენსკში, თავადი ამილახვარი კი ვიბორგში გადაიყვანეს. წლიურ შესანახ თანხად გრუზინსკის 1200, ხოლო ამილახვარს – 300 რუბლი გამოეყო. თვალყური ედევნებოდათ, რომ მათ ამ ადგილებში თავისუფლებით სარგებლობა შეეძლოთ, მაგრამ მათთვის დაუშვებელი იყო მიუღებელი კავშირ-ურთიერთობები, კიდევ უფრო ნაკლებად კი – საზღვარგარეთთან მიმოწერა და სხვა კადნიერებანი. თავადი გრუზინსკი სმოლენსკში გარდაიცვალა. თავადმა ამილახვარმა 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრესგან სამშობლოში დაბრუნების უფლება მიიღო, მაგრამ გზად გარდაიცვალა ასტრახანში.

თავი 112

თარღუს შამხლის მფარველობაში მიღება

რუსეთის კარმა საქართველო თავის მფარველობაში რომ მიიღო და თავისი მიზნები სომხეთისკენ მიმართა, დაღესტანში [თავისზე] დამოკიდებულთა მომრავლებას ცდილობდა.

ამის შედეგად 1784 წლის იანვარში თარღუს შამხალმა მურთაზალიმ რუსეთის უმაღლეს სახელზე თხოვნა გამოგზავნა ქვეშევრდომობაში მიღების თაობაზე. ამასთან, ის საგანგებოდ ითხოვდა ინგუში ხალხის მის დაქვემდებარებაში უწინდელ საფუძველზე დატოვებას, ამბობდა რა, რომ ამ ხალხისგან [აღებული] გადასახადებიც მას დარჩენოდა. იმპერატრიცა ეკატერინემ მისი თხოვნა შეიწყნარა და ინება თავისი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში მისი მიღება. თავად პოტიომკინს კი სრული რწმუნებით დაევალა ამ მფლობელის მიმართ ყველა იმ დადგენილების გაფორმება, რასაც უმაღლესი სარგებლისთვის საჭიროდ მიიჩნევდა. თავადმა პოტიომკინმა ამის შესახებ გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს 1784 წლის 5 მარტის ორდერით რომ გამოუცხადა და თან შამხლისათვის უმაღლეს სიგელს თავისი წერილი და უმაღლესისგან ნაწყალობევი სიასამურის ქურქი და ხმალი გააყოლა, – პოტიომკინს მისწერა, რომ მას ეს ყოველივე თარღუში გაეგზავნა საიმედო შტაბს-ოფიცრის მეშვეობით და მითითებით, შამხალთან უმაღლესი სიგელი და სხვანი რიგიანად როგორ უნდა ჩაეტანა; მასთან სათანადო დადგენილება გაეფორმებინა, რაც საკუთრივ მისი და მისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის იქნებოდა გამოსადეგი; თვალყური ედევნებინა უმაღლესი ბრძანების შესრულებისთვის, რომ იქაურ მფლობელებთან ყველა მსგავსი ურთიერთობისას არიდებული ყოფილიყო რაიმე უშუალო შეხება, რაც პორტასთვის იქნებოდა სასარგებლო, მისგან არასასურველი გართულებების თავიდან ასაცილებლად.

ამ საფუძველზე ყველა ეს ქაღალდი და საჩუქრები შამხალთან გასაგზავნად მზად იყო, მაგრამ, სანამ მასთან ჩაიტანდნენ, შამხალი მურთაზალი 1784 წლის ივლისში ან აგვისტოში გარდაიცვალა და ყველაფერი უკან დააბრუნეს.

მისი ტიტული მემკვიდრეობით ერგო მის ძმა ბამატს, მანამდე ბუინაკის მფლობელს. მას ასევე არ დაუყოვნებია რუსეთის ქვეშევრდომობის ძიება, ამაზე ფიცი დადო და იმავე 1784 წელს თავად პოტიომკინს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლეს სა-

ხელზე თხოვნა გაუგზავნა. ითხოვდა რა მისი (ეკატერინე II-ის – მთარგ.) უდიდებულესობის სახელმწიფოს ქვეშევრდომობას, შამხალ ბამატს სურდა, რომ ის, როგორც დაღესტნის მფლობელი, საქართველოს მეფესთან შედარებით არ დაემცირებინათ, რათა ამით იქაურ ხალხში არ შერცხვენილიყო; ამტკიცებდა, რომ მეფე ერეკლეს არასოდეს არ შეეძლო, საკუთარი თავი შამხლის ხარისხზე აღმატებულად მიეჩნია; და მეც, ამბობდა შამხალი, ვერასოდეს დავაყენებ მას ჩემზე მაღლა, რადგან ის ღირსებით ჩემი თანასწორია (ვალი?). რასაც, არა უადრეს 1786 წლის ოქტომბრისა, მოჰყვა უზენაესი გადაწყვეტილება შამხლის ქვეშევრდომად მიღების შესახებ.

თავი 113

ურთიერთდამოკიდებულება სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს შორის; იმერეთის სამეფოში არსებული მდგომარეობა

იმერეთის მეფეს, სოლომონ ალექსანდრეს ძეს გულით სწადდა, რუსეთის იმპერატრიცას უზენაეს ხელისუფლების მფარველობა. რუსეთზე ერთი სიტყვაც მასში რაღაც განსაკუთრებულ გრძნობას იწვევდა და მასთან ჩასულ ყველაზე უკანასკნელ რუს ჩინოვნიკსაც კი უზომო პატივს მიაგებდა. მაგრამ კაინარჯის ტრაქტატის მიხედვით პორტაზე იმერეთის გარკვეული დამოკიდებულების გამო მის [მფრველობაში] მიღებასთან დაკავშირებით სირთულეები წარმოიშვა. მიუხედავად ამისა, რუსული ხელმძღვანელობა ცდილობდა, რომ სოლომონს ჰქონოდა მფარველობის მიღების იმედი და რუსეთისადმი ერთგულება, რათა ამით პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში ესარგებლათ.

მართლაც, ერთსა და იმავე დროს, როცა 1783 წელს თერგზე საქართველოში მიმავალი გზა ეწყობოდა, სადივიზიო კვარტირმეისტერი შტედერი კავკასიის ხაზიდან პირდაპირ იმერეთში, კავკასიის მთების გადავლით მიმავალ გზას იკვლევდა. უკვე ვარაუდობდნენ გზის გაყვანას ოსურ ადგილ კუბათიდან (Кубати)[11] მდინარე არადონის აღმა, ოსური ალაგირისა და ნარის თემების დასახლებების გავლით, იქიდან კი – რაჭის მხარის სოფელ გლოლასკენ, მდინარე რიონზე, რომლის სათავე არადონის სათავესთან ახლოსაა.[12]

ეს ღონისძიება შეჩერდა მეფე სოლომონის გარდაცვალების გამო, რომელიც ხანგრძლივად ავადმყოფობდა და თან არ ეშვებოდა ბევრი ღვინის მოხმარების ჩვეულებას, 1784 წლის 23 აპრილს უდროოდ გარდაიცვალა.[13]

ამ მეფემ მხოლოდ კითხვა იცოდა, მაგრამ თავისი ხალხის მართვის განსაკუთრებული უნარი ჰქონდა და თავის ქვეყანაში იშვიათი ხელმწიფე და გამორჩეულად მამაცი იყო.

მას მამრობითი სქესის შვილები არ ჰყავდა; დარჩა საქართველოში მყოფი 12 წლის ძმიშვილი დავითი, ტფილისში გარდაცვლილი მისი ღვიძლი ძმის, არჩილის ძე, ერეკლე მეფისა და დარეჯან დედოფლის შვილიშვილი, და ღვიძლი ძმა ბაგრატი, რომელიც შეშლილი იყო და ოთხი წლის ძე, დავითი ჰყავდა.

მეფე სოლომონს ასევე დარჩა ბიძაშვილი, დავითი, რომლის მამა, მეფე გიორგი, სოლომონის მშობლის უმცროსი ძმა იყო.[14] ეს ბატონიშვილი დავითი იმ დროს 29 წლისა იყო, სოლომონისგან თავისი წილი [მამული] ჩამორთმეული ჰქონდა და უკვე რამდენიმე წელი თავის ოჯახთან ერთად ისიც ტფილისში, სიღარიბეში და ერეკლე მეფის კმაყოფაზე ცხოვრობდა; ვინაიდან მისი მეუღლის – ანა მათეს ასულის (დაბადებულის როგორც თავადის ქალი ორბელიანის) ბებია – თავადის ქალი ანა თეიმურაზის ასული ორბელიანი მეფე ერეკლეს ღვიძლი და იყო, ამიტომ ობლად დარჩენილი ანა მათეს ასული იზრდებოდა ერეკლეს სახლში და მანვე გაათხოვა.[15]

სოლომონ მეფის სიცოცხლეში ერეკლე მეფეს სურდა, რომ სოლომონის მემკვიდრე ხსენებული ბატონიშვილი დავით არჩილის ძე ყოფილიყო. სოლომონიც ამისკენ იხრებოდა; პოლკოვნიკ ბურნაშევის შუამავლობით სოლომონმა თავისი ძმიშვილი, ერეკლეს შვილიშვილი, ყმაწვილი დავით არჩილის ძე [თავის] ძისა და მემკვიდრის სწორად მიიღო. სოლომონის ბიძაშვილი, ბატონიშვილი დავით გიორგის ძე იმერეთში დააბრუნეს და სოფლები მისცეს; შესაბამისად, მეფე ერეკლემ რამდენიმე სოფელი მისცა სოლომონის სიძეს,

თავად ერისთავს, რომელსაც საქართველოში მთელი მისი სახელობითი მამული ჩამორთმეული ჰქონდა და ერეკლეს შვილების შორის იყო განაწილებული. მაგრამ, როგორც კი სოლომონი გარდაიცვალა, ხალხმა, რომელსაც მეფედ ყრმა კი არა, ზრდასრული უნდოდა, მის მემკვიდრედ ერთხმად დავით გიორგის ძე გამოაცხადა.

ამ ცვლილების დროს მღელვარებების წინ აღსადგომად და, განსაკუთრებით იმისთვის, პორტას იმერეთში თავისთვის რაიმე სასარგებლო რომ ვერ მოეხერხებინა, პოლკოვნიკი ბურნაშევი და იმ დროს საქართველოში განმარტოებულად მყოფი იმერეთის კათოლიკოსი მაქსიმე იმერეთში გაემგზავრნენ. იმერეთის უპირველესი კაცნი სოლომონის უდროო გარდაცვალების გამო ახალი მეფის არჩევის საკითხმა საგონებელში ჩააგდო. სარდალმა, თავადმა პაპუნა წერეთელმა, ბატონიშვილ დავით გიორგის ძის სიძემ, მისი დის მეუღლეობით, მთელ ქვეყანაში პატივცემულმა, ამ ახლო ნათესაობის მიზეზით მომავალი უპირატესობების მომლოდინემ, ისარგებლა სოლომონის გარდაცვალების გამო სხვების მჭმუნვარებით და, მეფედ თავისი ცოლისძმა გამოაცხადა ყმაწვილი დავით არჩილის ძის საზიანოდ და ამით შუღლისა და შინააშლილობის თესლი ჩააგდო. დავით გიორგის ძე ტახტზე დამკვიდრდა და მაშინვე მან, დიდებულებმა და ხალხმა, მეფე სოლომონის სანაქებო საქციელის დარად, რუსეთის კარზე ელჩობა გაგზავნეს, საკუთარი თავი და თავისი ხალხი რუსეთის იმპერატრიცას, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიის ყველა მართლმორწმუნე შვილის მეთაურის ხელისუფლებისა და მფარველობისათვის დასაქვემდებარებლად, და მათ ახლანდელ მდგომარეობაში უმაღლესი მფარველობა გამოითხოვეს.

ამ ელჩობას შეადგენდნენ ხსენებული კათოლიკოსი მაქსიმე,[16] სარდალი და სალთხუცესი თავადი ზურაბ წერეთელი და პირველი მდივანბეგი თავადი დავით კვინიხიძე. 1784 წლის 29 დეკემბერს ისინი იმპერატრიცასთან წარდგენის ღირსნი შეიქნენ.

ამასობაში თურქები იმერეთს არ შეეშვნენ, როგორც შესაბამის ადგილას ვნახავთ.

იმერეთის მეფე სოლომონს მეფე ერეკლესთან ყოველთვის ძლიერი საგვარეულო მტრობა ჰქონდა; თუმცა, ამავე დროს მაჰმადიანთაგან საერთო საფრთხისას ერთმანეთს ეხმარებოდნენ. მტრობა კი, ჩვეულებრივ, იმის გამო ხდებოდა, რომ ორივენი იფარებდნენ ამბოხებულ [ერთმანეთის] ახლო ნათესავებს. ისინი, თუმცა, გარეგნულად შერიგდნენ რწმენის უწმიდესი მოქმედებით, როგორიც წმინდა საიდუმლოსთან ერთად ზიარებაა, მისი ერთურთისათვის მირთმევით, მაგრამ შინაგან წყენას მაინც იტოვებდნენ.

სოლომონის პირველი ანუ მნიშვნელოვანი უთანხმოება ერეკლესთან შემდეგი მიზეზით მოხდა: სოლომონის ძე, სასტიკი ხასიათის მქონე ბატონიშვილი ალექსანდრე სოლომონის ურჩი შეიქნა. სოლომონის ძმა არჩილი, ერეკლე მეფის სიძე, ასეთივე თვისებისა იყო. ორივენი იმერეთიდან წავიდნენ და ტფილისში იქნენ მიღებულნი, როგორც მეფეებს ყოველთვის ორმხრივად სჩვეოდათ [ერთმანეთის წინააღმდეგ] ამბოხებული თავადების მფარველობაში მიღება. სოლომონის ბიძაშვილს, დავით გიორგის ძეს მეფემ მისი საწილო [მამული] რომ ჩამოართვა, ისიც იმერეთიდან წავიდა და ტფილისს შეაფარა თავი.

მეფე სოლომონმა, იმდაგვარადვე მიიღო ქართლელი თავადის, ელიზბარ ერისთავის საქართველოდან გაქცეული ძე, ერეკლეს წინააღმდეგ ამბოხში ბრალდებული, და ის თავის ქალიშვილზე დააქორწინა. ასევე [ერეკლესადმი] ბევრი სხვა არაკეთილმოსურნე თავადიც მიიღო და, თუმცა თავისი ძის, ალექსანდრესა და [თავისი] ძმის, არჩილის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც ყრმა ძე დავითი დარჩა, ერეკლესთან შერიგდა, მაგრამ შინაგანი უთანხმოება 1783 წლამდე მაინც არსებობდა.

თავადმა ზურაბ წერეთელმა 1785 წლის 8 ივლისს თავად პოტიომკინს თავისი სახელით წარუდგინა წერილი, რომლითაც [რუსეთისათვის] იმერეთის შეერთების სარგებლიანობას ხსნოდა. ის პირობას იძლეოდა, რომ იმერელთაგან ხაზინის ხარჯით პოლკს ჩამოაყალიბებდა იმპერატრიცას სამსახურისთვის; რომ მიუთითებდა ადგილს შავი ზღვის ნაპირზე, კინტიშში (ანუ კინტრიშში) ანუ ციხის-ძირში ციხესიმაგრის მოსაწყობად, რომელიც თავისი შეუდარებელი მომგებიანობით სასარგებლო იქნებოდა საიმისოდ, რომ გაუვალი ჯაჭვის სამსახურს გაუწევდა იმერეთს, აფხაზეთს, სამეგრელოსა და გურიას და ყველა ამ ადგილს რუსეთის მტკიცე ქვეშევრდომად აქცევდა და იმერეთისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. ეს ადგილი ანატოლიელი ბერძნებით იოლად და სწრაფად დასახლდება, ვინაიდან

ის მდიდარია მტკნარი წყლითა და სხვადასხვა ლითონით, აბრეშუმით, ბამბით, კანაფით, ცვილით, სახომალდო ტყითა და სხვადასხვანაირი გამოყენებისთვის გამოსადეგი ხეებით. აქ ოდესღაც უკვე იყო ქალაქი, არცთუ ისე ძველად იქ ჯერ ისევ არსებობდა სოფელი და წარმოებდა ვაჭრობა. ეს ადგილმდებარეობა იმდენად სარგებლიანია, რომ სამ ან ოთხ წელიწადში დაფარავს გაწეულ ხარჯს. ამაზე უფრო ხელსაყრელი ადგილი მთელს იმერეთში არაა. ყირიმიდან გემები კარგი ამინდისას აქ ორ დღეში ჩამოდის. ამ ადგილისადმი იმერელთა ყურადღება ადრეც იყო მიპყრობილი და ამ ზურაბის მამას, სარდალ ქაიხოსრო წერეთელს, ჯერ კიდევ სოლომონის სიცოცხლეში სურდა ამ ჩანაფიქრის განხორციელება.

საქართველო მაშინ თავს დააღწევს ახალციხელთა თავდასხმებს, რადგან ციხის-ძირი ახალციხის ზურგშია. თუკი იქ ქალაქი დაარსდება, თურქები იძულებულნი გახდებიან, რომ უომრად მიატოვონ ფოთის ციხესიმაგრე, აგრეთვე, ბათუმი და ჩაქვი.

შენიშვნები

1 ცნობილია, რომ სოფელ ბალთიდან ყაზბეგამდე, 32 ვერსის მანძილზე, ოცდაშვიდი ადგილი იყო, სადაც თერგზე გადასვლა იყო საჭირო. ეს ხიდები მაშინ ხიმინჯებზე, საკმაო მტკიცედ იყო აგებული, ცალკეულ ადგილებში მთის კლდოვან ციცაბოებს დენთითაც აფეთქებდნენ. მაგრამ 1786 წლის ივნისში ყველა ეს ხიდი უეცრად მოდიდებულმა თერგმა მოგლიჯა. ამ გზაზე მოსახლე თაგაურების ოსური თემი (სოფელ ჩიმის თაგაურელმა მეთაურმა ქრისტიანული რწმენა აღიარა და, იყო რა პავლე სერგის ძე პოტიომკინის ნათლული, კაპიტნის წოდება მიიღო), ჯერ ამ ხიდების გაფრთხილებისა და ამ გზაზე კურიერების გაცილებისთვის, შემდეგ კი ხარაჩოებზე მდგარი, როგორც ისინი აგებენ, ახალი ხიდების [მწყობრში] შესანახად, რომელთაგან ცამეტი თერგის გაყოლებაზე იყო, თოთხმეტი კი – საქართველოს მიწაზე, 16 ივნისიდან 16 აგვისტომდე დროის გამოკლებით, როდესაც თერგი, ჩვეულებრივ ადიდებულია, თავად პოტიომკინის მიერ განსაზღვრულ ხუთას ათ რუბლს იღებდა წელიწადში; რაც შემდგომაც ყოველთვის გრძელდებოდა, როცა რუსული ჯარი საქართველოში იმყოფებოდა (გამომც.). ამჟამად სოფლის ოფიციალური სახელწოდებაა ჩმი (ოსურად – ციმი, ინგუშურად – ჩიმი) (მთარგ.).

2 გლუვლულიანი მსუბუქი რუსული საარტილერიო იარაღი წაგრძელებული ლულით. შეიქმნა 1757 წელს. სახელწოდება მიიღო იქიდან, რომ მისი ლულის საკეტი და კავები მარტორქის თავის ბარელიეფით იყო შემკული (მთარგ.).

3 თითქოს განგებ, საქართველოში რუსული ჯარის გამოჩენა იმით აღინიშნა, რომ 1784 წლის იანვარში ტფილისში 3 არშინის სიმაღლე თოვლი მოვიდა, როცა იქ თოვლის მიხედვით ზამთარი ძლივს შესამჩნევია (გამომც.).

4 1763-1765 წლებში მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე თანამედროვე ვლადიკავკაზიდან დაახლოებით 94 კილომეტრით ჩრდილოეთით რუსებმა ააგეს მოზდოკის ციხე. მოგვიანებით მოზდოკი გამოცხადდა ქალაქად (მთარგ.).

5 ინგუშთა სოფელი თერგის მარჯვენა ნაპირზე (მთარგ.).

6 ამჟამინდელ სოფელ კამბილეევსკოეს ადგილას, მდინარე კამბილეევკას მარცხენა ნაპირზე (მთარგ.).

7 საგანგებოდ საქართველოს გერბის გამოსახულებით გამოდნობილი ეს არტილერია პეტერბურგიდან 1785 წლის თებერვალში დაქირავებული საზიდრებით გაიგზავნა ტვერამდე, იქიდან ვოლგით – ცარიცინამდე, შემდეგ კი, ხმელეთით, ეკატერინოგრადში. იქიდან საქართველოში ჩაიტანეს (თუმცა არა უადრეს 1788 წლისა) უფრო მსუბუქები – 8 მარტორქა და 2 ზარბაზანი. დანარჩენები 1791 წელსაც ეკატერინოგრადში რჩებოდა (გამომც.).

8 1783 წლის ივნისში ტრაპიზონის სიახლოვეს კაკლისხელა ქვის სეტყვა მოვიდა. ამის შემდეგ სამი კვირა ისეთი სქელი ნისლი იყო ჩამოწოლილი, რომ შუადღემდე საგნების ახლოსაც არ გაირჩეოდა. ამ ნისლში ერთხელ ზღვის ფრინველების დიდმა გუნდმა ტრაბიზონის ყურე დაფარა. მცხოვრებლებმა დაასკვნეს, რომ ყირიმიდან რუსეთის ფლოტი უახლოვდებოდათ და, უაღრესად შეშინებულებმა, ქალაქიდან გაქცევა დაიწყეს (გამომც.).

9 ალექსანდრე ბატონიშვილი ბაქარის ძე, ვახტანგის შვილიშვილი (მთარგ.).

[10] მისი ვაჟები, ქართველი თავადები ეგორი და ალექსანდრე, მას სწერდნენ, რომ საქართველოს წინააღმდეგ არაფერი მოემოქმედებინა.

[11] სოფელი „კუბათი“ ახლა აღარ არსებობს. ეკუთვნოდათ დიგორელ ფეოდალებს, კუბათიევებს (მთარგ.).

[12] შემდეგ გაირკვა, რომ ამ გზაზე უფრო მარჯვე მეორეა, რომელიც ქურთათის, ნარუსა და ზახუს გავლით მიდის იმერეთის სოფელ ხილაკემდე (Хилаке) (გამომც.).

[13] ახალციხელ სულეიმან-ფაშასთან შეთანხმებით, თურქეთის ქვეშევრდომ აჭარლების (Ачаров) წინააღმდეგ სოლომონის მიერ მოწყობილმა უკანასკნელმა წარუმატებელმა ექსპედიციამ მისი გარდაცვალება გამოიწვია (გამომც.).
შავი ზღვის პირას მდებარე აჭარლების მხარე შედის ახალციხის საფაშოში, მაგრამ ახალციხელ ფაშას ხშირად უჯანყდება. სოლომონი ალბათ იმერეთზე თავდასხმების გამო შურის საძიებლად წავიდა, რისგან მათი დაშოშმინება მან ვერ შეძლო (გამომც.).

[14] იგულისხმება გიორგი VII, რომელმაც 1741 წელს შეძლო თავისი უფროსი ძმისთვის, ალექსანდრე V-ისათვის იმერეთის სამეფო ტახტის წართმევა და მხოლოდ რამდენიმე თვე იმეფა, ვინაიდან ალესანდრემ იმავე წელს მოახერხა დაკარგული ტახტის დაბრუნება (მთარგ.).

[15] ქართლის მომიჯნავე იმერეთის მხარე ზემო ქვეყანაში (Земоквекана) 1772 წელს მამულები ჰქონდათ: ბატონიშვილ გიორგის, მეფის (სოლომონის) ბიძას; არჩილს, მეფის ძმას და თავად წერეთელს (Гюльденштедт, Reisen, herausg. v. Pallas, SPB. 1787, ნაწ. I, გვ. 403). არჩილს მამული არგვეთის მხრეში ჰქონდა (გიულდენშტედტი, ნაწ. I, გვ. 404). არჩილი – მეფე სოლომონის უმცროსი ძმა და მეფე ერეკლეს სიძე (გიულდენშტედტი, ნაწ. I, გვ. 339) (გამომც.).

[16] ყოვლადუსამღვდელოესი მაქსიმე, იმერეთისა და აფხაზეთის კათოლიკოსი, რომელიც ქალაქ ასტრახანში იმყოფებოდა, კიევში მოსალოცად ჩამოსული, კენჭოვანი დაავადებისა და გაციების შედეგად 1795 წლის 30 მაისს გარდაიცვალა 70 წელზე ცოტა მეტი ასაკისა და კიევ-პეჩორის ლავრაშია დაკრძალული. „Краткое историческое описание Киево-Печерской лавры“, Киев, 1791, გვ. 228-229 (გამომც.).

[17] Сардар – ფელდმარშალი, салт-хуцеси – გოფმარშალი და ფინანსთა მინისტრი, ზემოხსენებული წერეთლის ძმა (გამომც.).

[18] მსაჯული (Судья) (გამომც.).

[19] კინტრიში ფოთსა და ბათუმს შორისაა; მდინარე კინტრიში ერთვის შავ ზღვას; ციხის-ძირი მის მარცხენა ნაპირზეა, ფოთსა და ბათუმს შორის თითქმის შუა მანძილზე. კინტრიშთან იყო ქალაქი პეტრაც. გიულდენშტედტი, იქვე, ნაწ. I, გვ. 410 – ციხეზირე და ქვეყანა მდინარე კინტრიშიდან ჭოროხამდე, რომელიც გურიას ეკუთვნის, თურქების ხელშია (Цихезире и страна от реки Кинтриши до Чорока в руках Турков, принадлежали к Гурии) (გამომც.).

დამოწმებანი

ბუტკოვი 1869ა: П. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. ч. 1. СПб.
ბუტკოვი 1869ბ: П. Бутков. *Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год*. ч. 2. СПб.

PETER BUTKOV ABOUT THE SITUATION IN THE CAUCASUS IN 1783-1784

Davit Merkviladze
Independent researcher
datomerkvila@yahoo.com
Erekle Khutsishvili
Independent researcher
ektbilisi@yahoo.com

The retired officer of the Russian army Peter Butkov (1775-1857) collected a large amount of materials for the history of the Caucasus and its neighboring countries and presented it in the form of a fundamental work. It was published by the special commission created for this purpose at the St. Petersburg Imperial Academy after the author's death in 1869: *Materials for the History of the Caucasus in 1722-1803* in two volumes.

The work contains a lot of important data for researchers interested in the history of the Caucasus and the Middle East in the 18th century. In this issue of *Georgian Source-Studies* we present a Georgian translation of part of Butkov's work, which discusses the situation in the Caucasus in 1783-1784 and the plans of the Russian authorities in relation to some of its countries. In the corresponding chapters of this section, the author mainly talks about the Kartli-Kakheti kingdom, the Imereti kingdom and the Shamkhalate of Tarki.

The Georgian translation of the text was made by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

ფარამონ ბლანშარის ცნობები საქართველოს შესახებ *L'Illustration, Journal Universel*-ის ფურცლებზე (1857–1858)

ირინე ნაჭყებია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
irnat@hotmail.com

ფრანგი მხატვარი, ლითოგრაფი, მწერალი და ილუსტრატორი ანრი პიერ ლეონ ფარამონ ბლანშარი (1805-1873) 1819-1821 წლებში სასწავლებლად მიიღეს პარიზის სახვითი ხელოვნების სკოლაში (Ecole des Beaux-Arts) ცნობილ ფერმწერ, ანტუან-ჟან გროსა (1771-1835) და გრავიორ შარლ-აბრაამ შასელეს (1782-1843) სახელოსნოებში. 1822 და 1826 წლებში მუშაობდა იერუსალიმის ხედზე ფრანგი მხატვრისა და ფოტოგრაფის, ლუი დაგერის (1787-1851) დიორამისთვის. 1826 წელს იგი ესპანეთში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე ცნობილ ხელოვანთან ერთად ესპანეთის ინფანტას ჰერცოგინია მონპანსიეს – ესპანეთის დედოფლის, ისაბელა II-ს (1833-1868) დის – თხოვნით მისი რამდენიმე სასახლის დეკორირება უნდა შეესრულებინა. 1832 წელს იგი, ანტუან-ჟან გროსთან ერთად, ინფანტას მამის, ესპანეთის მეფე ფერდინანდ VII-ის (1813-1833) მიწვევით მეორედ ჩავიდა ესპანეთში სამეფო ლითოგრაფიებზე სამუშაოდ. 1835 წელს ბლანშარი მონაწილეობდა ესპანური გალერეის მომზადებაში, რომლის გახსნაც საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპეს (1830-1848) სურდა. 1837 წელს ბლანშარმა მაროკოში იმოგზაურა. 1838 წელს, ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ, იგი მექსიკაში ახლდა ლუი ფილიპეს ვაჟს, პრინც ფრანსუა-ფერდინანდ ორლეანელს (1818-1900), რომელიც მოყვარული მხატვარი იყო. ამ მოგზაურობიდან იგი იმავე წლის მარტში დაბრუნდა. 1839-1846 და შემდეგ 1847-1861 წლებში მან რამდენიმე სურათი დახატა ვერსალის სასახლის ისტორიული მუზეუმისთვის. 1840 წელს მას საპატიო ლეგიონის რაინდის წოდება მიენიჭა. 1852 წელს მან იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში და მოინახულა კონსტანტინოპოლი, კაირო, ბეირუთი და ათენი.

1856 წლიდან 1859 წლამდე ფარამონ ბლანშარი რუსეთში იმყოფებოდა. როგორც კარის მხატვარი, ის მიწვეული იყო რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) კორონაციაზე. ბლანშარი ძალიან კარგად მიიღეს იმპერატორის კართან დაახლოებულმა სამოქალაქო თუ სამხედრო პირებმაც. შედეგად, 1856-1859 წლებში იგი რუსეთის ორ დედაქალაქში მიმდინარე ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენას თუ ზეიმს დაესწრო, რაც კარგად ჩანს ფრანგულ ყოველდღიურ პოპულარულ ილუსტრირებულ გაზეთ *L'Illustration, Journal Universel*-ში გამოქვეყნებული მისი ცხრამეტი წერილიდან, რომელთაგან ექვსი 1856 წელს, რვა – 1857 წელს და ხუთი 1858 წელს დაიბეჭდა. ყველა წერილი უხვად იყო ილუსტრირებული, რაც წერილების შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

L'Illustration-ში გაგზავნილი ფარამონ ბლანშარის ყველა წერილის ადრესატი იყო მისი მეგობარი პოლენი, რადგან ისინი ასე იწყება: „ჩემო ძვირფასო პოლენ" (Mon cher Paulin). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგი ჟურნალისტი ჟან-ბატისტ-ალექსანდრ პოლენი (1796-1859) 1842 წელს დაარსებული *L'Illustration*-ის თანადამფუძნებელი და რედაქტორი 1859 წლამდე იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, 1859-1886 წლებში, ამ გაზეთის რედაქტორი მისი ვაჟი, ვიქტორ პოლენი (1825-1868) გახლდათ. ბლანშარის რუსეთის იმპერიაში მოგზაურობის სამი წლის განმავლობაში *L'Illustration*-ში ვიქტორ პოლენის არაერთი წერილი დაიბეჭდა და ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ბლანშარის წერილების ადრესატი სწორედ ის იყო.

1856 წლის შემოდგომაზე რუსეთში საფრანგეთის ელჩის, იმპერატრიცა ჟოზეფინას შვილიშვილის, ჰერცოგ დე მორნის მიერ ალექსანდრე II-ის კორონაციასთან დაკავშირე-

ბით მოსკოვში გამართული მეჯლისის მეორე დღეს თავად გრიგორი გაგარინის სახლში სტუმრად მყოფ ბლანშარს თავად სოლოგუბის ერთ-ერთმა თანაშემწემ ჰკითხა, კავკასიაში მოგზაურობას ხომ არ ისურვებდა. ბლანშარის თქმით, ცდუნება იმდენად ძლიერი იყო, რომ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ნაშუადღევს მხატვარი თავად ალექსანდრე ბარიატინსკის (1856-1862), კავკასიის ახლად დანიშნულ მეფისნაცვალს, წარუდგინეს. რამდენიმე დღეში ფრანგი მხატვარი კავკასიისკენ მიმავალი მეფისნაცვლის ამალაში იყო და ნიჟნი-ნოვგოროდიდან საიმპერატორო ფლოტის გემით – „ასტარა" – ასტრახანში, იქიდან კი საიმპერატორო ფლოტის ორი სხვა გემით კასპიის ზღვით ხანმოკლე მგზავრობის შემდეგ გენერალი ბარიატინსკი თავის თანმხლებებთან ერთად 1856 წლის ოქტომბერში პეტროვსკში[1] ჩავიდა (ბლანშარი 1856: 261-262); (ბლანშარი 1857ბ: 332-335). ნიჟნი ნოვგოროდიდან ვოლგაზე მოგზაურობის დროს აკვარელით შესრულებული სურათები მან შემდეგ იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას მიართვა.

ბლანშარის მარშრუტი მოსკოვიდან თბილისამდე შემდეგი იყო: ნიჟნი-ნოვგოროდი, ასტრახანი, პეტროვსკი, თემირ-ხან-შურა,[2] დერბენდი, ყუბა, ბაქო, შემახა, ნუხა, კახი, ზაქათალა, ლაგოდეხი, ყვარელი, თელავი, წინანდალი, თბილისი (ბლანშარი 1857ა: 242); (ბლანშარი 1857ბ: 332-335); (ბლანშარი 1857გ: 55-58); (ბლანშარი 1857დ: 87-90); (ბლანშარი 1857ე: 275-278).

ფარამონ ბლანშარის ცნობები საქართველოს შესახებ *L'Illustration*-ის 1857 წლის ორ და 1858 წლის ერთ ნომერშია მოცემული. პირველ წერილში, სათაურით „ლეკების ხაზი", მოცემულია ცნობები ყვარლის, გულბაათ ჭავჭავაძის[3] მასპინძლობის, წინანდლისა და თელავის შესახებ (ბლანშარი 1857დ: 87-90). მეორე წერილში „საქართველო. – თბილისი" ფრანგი მხატვარი აღწერს თელავიდან თბილისამდე განვლილ გზას, შემოდგომის მდიდრული ფერებით მორთულ კახეთის ბუნებას, შუამთის ეკლესიას, გზის მდგომარეობას და თბილისს. იგი დაწვრილებით გადმოგვცემს თავად ბარიატინსკის შესვლას ქალაქში, ასახელებს მის შესახვედრად მისულ ქართველ თავადებს, სამხედრო შენაერთებს, მოსახლეობის მიერ მის დახვედრას, მის პატივსაცემად გამართულ მეჯლისებსა და წმინდა გიორგის დღესასწაულს (ბლანშარი 1857ე: 275-278).

1858 წელს გამოქვეყნებულ წერილში „წმინდა ნათლისღების დღესასწაული. იორდანე. 6/18 იანვარი თბილისსა და სანქტ-პეტერბურგში" (ბლანშარი 1858: 115-118) აღწერილია ნათლისღების დღესასწაულის აღნიშვნა როგორც სანქტ-პეტერბურგში, ისე თბილისში. სამივე წერილი ილუსტრირებულია.

თავისი ცნობები საქართველოს შესახებ *მოგზაურობა სტავროპოლიდან თბილისამდე ფახიელის ხეობის გავლით* ბლანშარმა 1861 წელს სამოგზაურო ჟურნალში *Le Tour Du Monde* გამოაქვეყნა (ბლანშარი 1861: 113-128). როგორც ჩანს, მასზე გარკვეული გავლენა იქონია 1859 წელს ფლორიან ჟილისა და ალექსანდრე დიუმას თხზულებებმა, 1860 წელს კი ახლად დაარსებული სამოგზაურო ჟურნალის, *Le Tour Du Monde*, პირველ ნომერში დაბეჭდილმა დიუმას თანამგზავრის, ფრანგ მხატვარ ჟან-პიერ მუანეს ცნობებმა საქართველოში მოგზაურობის შესახებ (ჟილი 1859); (დიუმა 1859); (მუანე 1860: 317-336). ბლანშარის აღნიშნულ თხზულებაში უკვე შეტანილია ამ მოგზაურების ნაწერებიდან მოხმობილი რამდენიმე ცნობა.

ფარამონ ბლანშარის თხზულებაში *მოგზაურობა სტავროპოლიდან*... მოცემულია ცნობები ახლად დანიშნული მეფისნაცვლის მგზავრობის შესახებ პეტროვსკიდან (მახაჩყალადან) თელავის, „იტალიური იერსახის მქონე თვალწარმტაცი ქალაქის", გავლით თბილისამდე, აღნიშნულია წინანდლის სასახლეზე შამილის (1854 წლის 4 ივლისი – ი. ნ.) თავდასხმა, ჭავჭავაძეების სასახლის გაძარცვა და „უბედური პრინცესების – ორბელიანისა და ჭავჭავაძის", ტყვედ გატაცება. ქართველები დასახელებული არიან მამაც ხალხად, რომელიც სამუდამო პატივისცემას იმსახურებდა ამდენი საუკუნის განმავლობაში რწმენისა და ეროვნების შენარჩუნების გამო; აღწერილია თავად ბარიატინსკის შესვლა თბილისში, მის პატივსაცემად გამართული მეჯლისები და წმინდა გიორგის დღესასწაული, თუშებისა და ხევსურების სამოსი, იარაღი და სამხედრო ცეკვა, აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ტრადიცია. 1857 წელს *L'Illustration*-ში დაბეჭდილი წერილებისგან განსხვა-

ვებით, ბლანშარი გვანვდის საინტერესო ცნობებს თბილისიდან ვლადიკავკაზამდე მოგზაურობის შესახებ, აღნიშნულია *პოდორჰოჟნაიას*, ოფიციალური სამგზავრო დოკუმენტის, მნიშვნელობა. საქართველოში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მოგზაური ლეიტენანტ ტრეზელის (1809), ფრეიგანგების ოჯახისა (1811) და შარლ-პაულუს ბელანჟეს (1825) მსგავსად, სტეფანწმინდაში ფრანგი მხატვარიც ესტუმრა ყაზბეგებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ოჯახი კვლავ ცხოვრობდა მამაპაპისეულ სახლში. ამ თხზულებას ერთვის ბლანშარის ნახატები: 1. „მტკვრის ხეობა"; 2. „მცხეთის ეკლესია"; 3. „ქართველების ოჯახი შადრევნის მახლობლად"; 4. „ანანურის ციხე"; 5. *„ჩეხტოვაია-დოღინა"*, 6. „სიონი და ოსეთი", 7. „დარიალის ხეობა".

ქვემოთ მოგვყავს საქართველოს შესახებ ფარამონ ბლანშარის მიერ 1857 წელს *L'Illustration, Journal Universel*-ის XXX ტომში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული წერილის „ლეკების ხაზი" ფრაგმენტი, იმავე ტომში წარმოდგენილი წერილი „საქართველო. – „თბილისი" სრულად და 1858 წელს XXXI ტომში დაბეჭდილი წერილის „წმინდა ნათლისღების დღესასწაული. იორდანე. 6/18 იანვარი თბილისსა და სანქტ-პეტერბურგში" ფრაგმენტის თარგმანებს კომენტარებით. სტატიას ვურთავთ ბლანშარის ნახატებს: 1. „ქართველი თავადების ესკორტი"; 2. „კავკასიის მეფისნაცვლის, თავად ბარიატინსკის შესვლა თბილისში"; 3. თბილისელი ხელოსნების ცეკვა"; 4. „თავადაზნაურობის მეჯლისი თბილისში. *ღეზგინკა*"; 5. „წყლის კურთხევა თბილისში 6/18 იანვარი".

ლეკების ხაზი

(ფრაგმენტი)

ჩემო ძვირფასო პოლენ,

(...) მეორე დღის ერთი ნაწილი კვლავ ტყეში გავატარეთ; მაგრამ საღამოს უფრო გაშლილმა ადგილმა ლეკების ხაზის დასასრული გვაუწყა: ჩვენ ქრისტიანულ ქვეყანაში შევედით, ჩვენ საქართველოში ვიყავით.

ყვარელი, სადაც ღამის გასათევად მივედით, აგრეთვე გამაგრებული საგუშაგოა, რომელიც მსხვილი დაბის მახლობლად მდებარეობს. იქ მეტად თვალწარმტაცი გზით მივედით. მეფისნაცვალს იქ ბრწყინვალე მიღება ელოდა; ქართველი თავადები, რომლებიც ძალიან გვაგონებენ ფეოდალიზმის დროინდელ შუა საუკუნეების სენიორებს, მის პატივსაცემად დაახლოებით 20 ლიეს მანძილიდან მოვიდნენ. მათი ცხოვრება ბრძოლებში გადის, მაგრამ არა ერთმანეთთან, არამედ მუსლიმებთან, თავიანთ ძველ მტრებთან: ჭეშმარიტად რაინდული გამბედაობა, საფრთხისა და სიკვდილის არად ჩაგდება, შერწყმული მეტად დახვეწილ თავაზიანობასთან – ასეთია ამ აქტიური, მაგრამ არა მძვინვარე, თავადაზნაურობის ზოგადი ხასიათი. ისინი არასოდეს იხსნიან იარაღს და გვერდზე ხმლით, ქამარზე ხანჯალთა და პისტოლეტით სხდებიან მაგიდასთან და შედიან მისაღებ ოთახში; გულუხვ და მამაც, ქეიფისა და ცეკვის მოყვარულ თავადაზნაურობაში ძველი ციხე-დარბაზების სენიორების ის ტიპი ჩანს, რომლებიც თავიანთი ქალბატონების ოდნავ ნიშანზე მიისწრაფოდნენ საბრძოლველად.

მეორე დღეს ბრწყინვალე ესკადრა მეფისნაცვლის გამგზავრების მომენტს ელოდა, რათა მას ესკორტად გაჰყოლოდა (სურ. 1). წინა დღით მასთან შესახვედრად მისულმა ყველა ქართველმა თავადმა მისი გაცილება გადაწყვიტა თელავამდე, სადაც ღამე უნდა გაგვეტარებინა. ამ კორტეჟის სიმდიდრის, ტანსაცმლის ელეგანტურობის, იარაღის სილამაზისა და ცხენების აღწერაც მინდოდა, მაგრამ იძულებული ვარ, შევჩერდე, რადგან დღეს კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი. დაბაზე გავლისას დავინახე, რომ მთელი ესკორტი ულამაზესი სახლის წინ გაჩერდა, ყველა ჩამოქვეითდა და მთავარ ჭიშკარში შევიდა; მეც შევედი და უზარმაზარ შეისრულთაღებიან სათავსოში აღმოვჩნდი, რომლის შუაში ჭურჭლით სავსე მაგიდა იდგა; მთელ-მთელად შემწვარი ოქროსრქებიანი ცხვრები ამ ჰომეროსული ნადიმის' მთავარი კერძი იყო, რასაც დაემატა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა დელიკატესი: ხიზილალა, შებოლილი თევზი, ხოხობი, გნოლი, ოკეანის სარდინი, ლიონის ძეხვი... ჩემი სამშობლოს მოგონება... აზიაში გამართულ ამ ლხინში მთელი ევროპა ჩაერ-

თო. სახლის პატრონმა, ბონვივანმა თავადმა გულბაათ ჭავჭავაძემ მეფისნაცვალს პატივი გულწრფელი გულითადობით მიაგო. ცნობილი ვენახების პატრონს საქართველოს იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით – კახეთში, რომლის ღვინოც აზიაში სამართლიანად ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, თავადის ჩამოსვლის აღნიშვნა იმ სიუხვით სურდა, რომელიც გამაშის ქორწილს მახსენებდა.[5] ღვინო სარდაფებში დაფლულ და მჭიდროდ დალუქულ დიდ ამფორებში ინახება; როდესაც ერთ-ერთი იხსნება, ღვინო ორთქლდება და მისი დალევა უნდა იჩქარო. მან კი ერთის ნაცვლად ოთხი ამფორა გახსნა, რომელთაგან თითოეულში 2,000 ლიტრი იყო, რაც 10,000 ფრანკის ღირებულებისაა! 8,000 ლიტრის, ამ ბაკქანალიის წყაროს ამოწურვაზე ფიქრიც კი არ იყო საჭირო; ჩვენ მას უბრალო ჭიქებით კი არ ვსვამდით, არამედ აზარფეშებით – დაახლოებით ბოთლის მოცულობის დიდი ვერცხლის კოვზებით, კულებით – იმავე ლითონის ოსტატურად მოჩუქურთმებული ამფორებით, რომლებიც ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტს იტევს, ან ვერცხლით შემოსალტული უზარმაზარი რქებითაც. მე შუა საუკუნეებში აღმოვჩნდი: მდიდრული კოსტიუმები, იარაღის ჟღარუნი ამ ცოცხალ სცენას – რაც ადვილი დასაჯერებელია – მეტად ორიგინალურ ხასიათს ანიჭებდა. მაგრამ კიდევ უფრო რთული დასაჯერებელი ის არის, რომ თავაზიანი მხიარულების საზღვრებს არავინ გასცდენია.

ყვარლიდან გასვლის შემდეგ, ორ საათში მდინარე ალაზნის ნაპირზე აღმოვჩნდით, რომელზეც კამეჩებშებმული უზარმაზარი ურმებით გადავედით, ჩვენი ეტლები კი ოდნავი შეფერხების გარეშე მდინარეზე რამდენიმე მეტრით უფრო მაღლა გადაიყვანეს. თუ აქამდე შუა საუკუნეების სცენის მოწმე ვიყავი, აქ შუაგულ აღმოსავლეთში აღმოვჩნდი: მდინარის ნაპირზე რამდენიმე მაჰმადიანი მხედარი იდგა, რომლებსაც მეფისნაცვლისთვის ჯოხებზე ისე აცმული ადამიანის ხელების მირთმევა სურდათ, როგორც თირკმლები შამფურზე და მე თავადის თვალებში დავინახე, რომ ის ამ ჩვეულების სწრაფად გაუქმების წინააღმდეგი არ იქნებოდა.

თელავში ჩასვლამდე თავადმა ბარიატინსკიმ ბოლოდროინდელი მოვლენებით ცნობილი წინანდლის მონახულება მოისურვა. ეტლები მდინარის მახლობლად დავტოვეთ, ცხენებზე შევსხედით და მარცხნივ გავემართეთ, ულამაზესი კორომებით სავსე მხარე გადავკვეთეთ და მდინარე ალაზნის შენაკადის მშრალ კალაპოტს მივადექით. მასზე გადავედით, ბილიკით აღმართს ავუყევით და უზარმაზარ ესპლანადაზე აღმოვჩნდით: ჩვენგან მარჯვნივ სასახლე და სამეურნეო ნაგებობები იყო, მარცხნივ – ფერმა, სასახლის უკან კი – ბაღი, რომელიც კლდის კიდემდე ვრცელდებოდა და მდინარეს გადაჰყურებდა. ოდესღაც ეს ასე ცოცხალი ადგილი გაუკაცრიელებული იყო; დაბზარული კედლები და თავადის საცხოვრებლის ჩამონგრეული სახურავები იმაზე მიუთითებდნენ, რომ აქ ის ერთ-ერთი ველური სცენა უნდა მომხდარიყო, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში შეუძლებლად მიიჩნეოდა. ალბათ, მთელ ევროპას უნდა ეთანაგრძნო ამ საშინელი მოვლენის გამო, რომლის გმირები ახალგაზრდა, მომხიბვლელი პრინცესა ორბელიანი და პრინცესა ჭავჭავაძე იყვნენ; მე აუღელვებლად ვერ მოვინახულე ეს ადგილი, რომელიც ადრე მშვიდობისა და ოჯახური სიხარულის სავანე იყო, ახლა კი საშინელი თავდასხმით იყო დადაღული.

თელავში დალაადრიან მივედით. მათ კი, ვისაც იტალია უნახავს, წარმოიდგინონ გორაკის ფერდობზე მოხდენილად მდებარე, ულამაზესი კორომებით გარშემორტყმული და უძველესი ციხის კედლებით დაგვირგვინებული ამ ქვეყნის პატარა ქალაქიდან ულამაზესი და შთაბეჭდილება შეექმნებათ თელავზე. თავად ბარიატინსკის დასახვედრად მოვიდა თავადი ბებუთოვი, ქურუქ-დარის გმირი, მეფისნაცვლის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. ზედმეტი გამეორება იქნება მოყოლა იმ მიღების შესახებ, რომელიც მეფისნაცვალს ელოდა; ეს მნიშვნელოვანი ქალაქის საკადრისი იყო. იმ სახლიდან გამოსვლისას კი, სადაც ბანკეტი გაიმართა, ძალიან უჩვეულო სანახაობის მოწმე გავხდი. მთელმა ქალაქმა ისარგებლა ამ შემთხვევით, რათა თავისთვისაც მოეწყო ზეიმი. მიწის ზემოთ, ფანჯრის რაფის სიმაღლეზე მდებარე აღმოსავლეთის ყველა დუქანი სასადილო ოთახად ქცეული და მკვეთრად განათებული იყო. ყველა მონაწილე მამაკაცი იყო, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები არიან, ამ ნადიმში არც ერთი ქალი არ მონაწილეობდა. მამაკაცები მწვადით სავსე თეფშების, ხილის პირამიდებისა და ღვინით სავსე უზარმაზარი კულების

ირგვლივ იყვნენ ჩაცუცქებული და დიდად მხიარულობდნენ; მუსიკაც სადღესასწაულო იყო და დუდუკებიც გამოსცემდა თავიანთ სრულიად სოფლურ ხმებს. დროდადრო, ერთ-ერთი თანამეინახე დგებოდა და იატაკზე გაშლილ საზეიმო სუფრაზე ისე ასრულებდა ლეკურის რამდენიმე ნაბიჯს, რომ არაფერს ღვრიდა! – მე ყოველი დუქნის წინ გავჩერდებოდი, ეს სრულიად დასრულებული სურათი იყო და მის გადმოცემას მხოლოდ დიდი ოსტატი სჭირდებოდა; მაგრამ მალე დავინახე, რომ ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ კითხვებსაც დამისვამდნენ. პირველ დუქანში, რომელსაც ვესტუმრე, პირამდე სავსე უზარმაზარი აზარფეშა შემომთვაზეს. უარის თქმა შეუძლებელი იყო: მე თავად ბარიატინსკის თანხლების პატივის მქონედ მცნობდნენ და ვერ მოვიქცეოდი ისე, რომ უზრდელობად ჩათვლილიყო; მაგრამ მე ეს ჯეროვნად მივიღე და, რადგან ვიცოდი, რა მელოდა, კედელ-კედელ წავედი ახალი შეთავაზების შიშით.

მომავალ შეხვედრამდე, ჩემო ძვირფასო პოლენ; ჩემს პირველ წერილში თავად ბარიატინსკის თბილისში შესვლას დაესწრებით (ბლანშარი 1857დ: N 754, 90).

* * * *

საქართველო – თბილისი

ჩემო ძვირფასო პოლენ,

თელავიდან წასვლის შემდეგ გამოიდარა; კახეთის მდიდარი ხეობა შემოდგომის შესანიშნავი ფერებითაა მორთული; ის მარჯვნივ დიდ ფართობზეა გადაჭიმული ტყიან მთისწინეთამდე – ლეკების ქედის[6] პირველ განშტოებამდე; მისი ყინულითა და მარადიული თოვლით დაფარული მაღალი მწვერვალები მოწმენდილ და კაშკაშა ცისფერ ცაზე დაკბილულ კონტურებად გამოიხატებოდა; წარმოიდგინეთ ატიკის[7] ორთქლში გახვეული შვეიცარია. მარცხნივ ხეებითა და ახალგაზრდა ტყით დაფარული ბორცვი იყო, რომელზეც ბილიკი მიიკლაკნებოდა და დროდადრო ახალი ხედები იშლებოდა. მალე, გზის მოსახვევში, მთის თიხიან ქანში[8] ღრმად შეჭრილი მდინარის ნაპირთან აღმოვჩნდით; წლის ამ დროს ის დამშრალი იყო და ჩვენ დავინახეთ მდინარის ბობოქარი დინებით მოტანილი ლოდებითა და ამოძირკვული ხეებით დაფარული კალაპოტი.[9] ეს ადგილი რომანტიკული, მასზე რომანტიკული კი ხეებით დაფარულ ბორცვზე აღმართული შუამთის ეკლესია იყო, რომელიც ზევიდან დაჰყურებდა გზას; მეტად ბრწყინვალე ელფერის ფოთლებს შორის მისი ზარების წვეტიანი თავები და თვალწარმტაცი ნაგებობები ჩანდა. ლამაზი ბილიკით ცხენებით ავედით მთელი მხარისთვის სათაყვანებელ ამ სალოცავამდე. წირვის დასრულების შემდეგ კახეთის თავადებმა პატივი დაგვდეს, სადილად მიგვიწვიეს და შემდეგ აქვე გამოემშვიდობნენ თავად ბარიატინსკის. მოგვიანებით მათ უმრავლესობას თბილისში შევხვდი.

შუამთიდან წამოსვლის შემდეგ ლამაზ მდელოებზე მიმავალ გზას ავუყევით, რომელიც მარჯვნივ შესანიშნავი ასწლოვანი უღრანი ტყით იყო შემოსაზღვრული; ჩვენ წინ აღმართული ციცაბო მთის რამდენიმე მწვერვალი უკვე პირველი თოვლით დაფარულიყო. ჩვენ ალაზნის ველის მტკვრის ხეობიდან გამომყოფი დაბალი ქედი გადავიარეთ. გზა ერთი ბორცვიდან მეორეზე მიიკლაკნებოდა და ყოველ ნაბიჯზე ახალ სურათს გვთავაზობდა. როდესაც მწვერვალს მივაღწიეთ, თვალწინ უზარმაზარი პანორამა გადაგვეშალა: ლეკების მთის ყინულიანი მწვერვალები, რომლებსაც მალე ვეღარ დავინახავდით, ჩვენ წინ ჰორიზონტზე იმ მიმართულებით ბრწყინავდნენ, რომელსაც უნდა გავყოლოდით; ეს იყო ქაოსი, ერთმანეთზე მიწყობილი მთების გროვა, გიგანტების ბრძოლა იუპიტერის წინააღმდეგ. მე შეუძლებლად მეჩვენებოდა ასეთ ოღროჩოღრო გზაზე მოძრაობა, რაც არ იყო მოხერხებული, მაგრამ ჩვენი ქარავნის უამრავი ეტლისთვის უსაფრთხო იყო. რაც შეეხება ესკორტს, მასზე არ ვდარდობდი, კაცები და ცხენები საქმეში მყავდნენ ნანახი, ქართველები თავიანთ დაღესტნელ მეტოქეებს ტოლს არ უდებენ. ჩემი შეშფოთება ამაო აღმოჩნდა: ჯერ ერთი, გზა გაცილებით უსაფრთხო იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა, გამყოლები კი გზას იცნობდნენ, რაც საკმარისი იყო მთაში მოგზაური ახალბედას დასამშვიდებლად.

მოგზაურობის უკანასკნელი ღამე მუხროვანის საგუშაგოზე გავატარეთ; მეორე დღეს

თბილისში უნდა შევსულიყავით. საქართველოს დედაქალაქს რამდენიმე ვერსიღა გვაშორებდა. მეორე დღეს დილიდანვე ვრცელი, ტალღოვანი დაბლობი გავიარეთ, რომლის ერთ მხარეს ჩვენ მიერ ახლახან გადავლილი დაბალი ქედები იყო და მტკვრის ნაპირებისკენ დავეშვით, რომლის წყალი მზის სხივებზე ბრწყინავდა. ჩვენ წინ წვიმის წყლით ძლიერ დასერილი ბორცვები იყო; აქ დასრულდა ჩვენი მოგზაურობაც – თბილისი მათ ძირში იყო. ჩვენ სწრაფად გავიარეთ რამდენიმე დარჩენილი ვერსიც და მალე მტკვრის კალაპოტის ღრმა ხეობის თავზე შემოსკუპებული ქალაქის პირველი სახლების წინ აღმოვჩნდით, რომლებსაც ადრე მოვკარით თვალი.

მეფისნაცვლის კორტეჟი საქართველოს დედაქალაქში სწორედ აქედან უნდა შესულიყო. ამ თვალსაზრისით დიდი გამოცოცხლება იყო: თვალისმომჭრელ სამოსში გამოწყობილი, უძვირფასესი იარაღით დამშვენებული, ჯიშიან ცხენებზე ამხედრებული და მაღლა აწეული გაშლილი ალმებით საქართველოს ყველა თავადი მრავალრიცხოვან ესკადრონს ქმნიდა, სადაც ფერების კაშკაში ხმლებისა და ხანჯლების ბრწყინვას ეჯიბრებოდა. აქ იმ ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ, რომელთა წარმომავლობა რამდენიმე საუკუნეს ითვლიდა: ბაგრატიონები, გრუზინსკები, ორბელიანები, ჭავჭავაძეები, მუხრანსკები და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლაც კიდევ შეიძლებოდა და რომელთა გვარები იმ საგმირო საქმეებს უკავშირდება, ძველი დროის რაინდულ რომანებს რომ გვაგონებს. აქ იყო საპარადო სამოსში გამოწყობილი და ცხენზე ამხედრებული თბილისში მყოფი ყველა გენერალი, ოფიცერი და დონის კაზაკების რაზმი. ბრძოლაში ნაწრთობი ხაზის ბრწყინვალე კაზაკების[10] ასე თვალწარმტაც, კავკასიურ მუნდირებში გამოწყობილი ესკადრონი მოუთმენლად ელოდა კორტეჟის თანხლების მომენტს. ყველა, ვისაც კი ცხენი ჰყავდა თბილისში, პატივად თვლიდა აქ მოსვლას და ამ ბრწყინვალე ოფიცრობაში გარევას, რომელიც მეფისნაცვალს უნდა გაჰყოლოდა; ქალაქის ყველა დროშკას, ოთხთვალასა და ეტლს ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად გადაჰყავდა ცნობისმოყვარეების გუნდები იმ ადგილისკენ, საიდანაც კორტეჟი უნდა დაძრულიყო. მაღლა აწეული ალმებით ერთმანეთს ამქრებიც მიჰყვებოდნენ და ისეთი ხალხმრავლობა იყო, თითქოს მთელი ქალაქი აქ მოსულიყო და ჩვენი მსვლელობის უნახავი არავინ დარჩენილა; ჩემი შეცდომა მოგვიანებით გავაცნობიერე, რადგან არ ვიცოდი, რომ თბილისში დაახლოებით 80,000 სული ცხოვრობდა.

ქალაქის შესახებ თქვენთვის წარმოდგენის შექმნას მასში შესვლამდე ვეცდები: – თბილისი მდებარეობს კლდის ძირში, რომელსაც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე აღმართული ძველი ციხე-კოშკი დაჰყურებს. ქალაქი, თვალწარმტაცი ქალაქი, ფერდობის ძირშია აღმოცენებული. მდინარემ, რომელიც შორიდან მთელი ძალით მოედინება ფართო ხეობაში, ამ ადგილზე, სადაც კლდე აფერხებდა მის დინებას, ღრმა და ვიწრო ტრანშეა გათხარა. მარცხენა ნაპირზე აღმართულია მეტეხის ციხესიმაგრე, მის ძირში ხიდია გადებული მტკვარზე, რომელიც გაშმაგებით ეხეთქება კლდეს და მას ყოველდღე სიპავს თავისი დინების ვიწრო ადგილის გასაფართოებლად. მარცხენა ნაპირზე დიდი სამხედრო დაწესებულებები და რამდენიმე უბანი მდებარეობს, მათ შორის კუკია და გერმანული კოლონია. ქართული და სომხური სახლები ტერასული სახურავებითაა დაფარული და წინ გამოწეული აივნებითაა მორთული, რაც კარგი ჰავის ნიშანია, რომლის სუფთა და რბილი ატმოსფერო სამხრეთის ხალხს სუფთა ჰაერზე ცხოვრებით ტკბობის საშუალებას აძლევს. სახლების ამ ზედახორაში უამრავი სამრეკლო ჩანს. ბერძნულ-რუსული მიმდევრობის ძველი ტაძრის, *სობორის*,[11] გვერდით, რომელიც დიდი ხელოვნებით აღადგინა თავადმა გაგარინმა, სომხური ეკლესია დგას, რომელსაც გარს დაკბილული კედელი აკრავს; სპარსელებით დასახლებულ უბანში შიიტური მიმდინარეობის მეჩეთის მინარეთზე ნახევარმთვარეა აღმართული. თბილისში შემხვედრი ყველა ეკლესიისა და სალოცავის აღნიშვნა რომ დავიწყო, გრძელი სია გამოვა; თქვენ მხოლოდ მთავარი დაგისახელეთ. რაც შეეხება სხვა, რუსების ბატონობის შემდეგ აღმართულ ნაგებობებს, ისინი არაფრით განსხვავდება იმისგან, რაც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ვნახე.

არ იფიქროთ, რომ თბილისში კორტეჟი ევროპულის მსგავსად მწყობრად მიდის: აქ არც ჯარისკაცების ჯაჭვია ბრბოს შესაკავებლად, არც ჟანდარმები დააჭენებენ ცხენებს ფეხით მოსიარულეთა შორის და არც ეტლების მოძრაობასთან დაკავშირებული აკრძალ-

ვებია. მჭიდრო ბრბოს წინ ქართველი თავადების ბრწყინვალე ესკადრა, შემდეგ კი, საკმაოდ დაშორებით – მეფისნაცვლის, თავად ბებუთოვისა და შტაბის უფროსის თანხლებით დაიძრა; მათ უკან გენერლები მიდიოდნენ, რომლებსაც ყველა წოდების უამრავი ოფიცერი მიჰყვებოდა; ერთი კაზაკის ცხენზე ამხედრებული მეც მათ შორის ვიყავი; ამ მსვლელობის ბოლოს თავიანთი გრძელი შუბებით დონის კაზაკები და მეფისნაცვლის პირადი ესკორტი – ხაზის კაზაკები მოდიოდნენ, რომლებიც ასე ჰგავდნენ თავადებს თავიანთი კოსტიუმების ელეგანტურობითა და მდიდრული იარაღით.

სახურავები სავსე იყო ამ ასე ელეგანტურ და ასე ნაირფერ ქართულ სამოსში გამოწყობილი ქალებით, ზოგი მათგანი თეთრ ვუალში იყო გახვეული. აივნებიც ხალხით იყო გადავსებული; ისმოდა ხმამაღალი ვაშა, ჰაერში ფაფახები დაფრინავდა; ერთად შეჯგუფებული ამქრები ალმებით ხელში შეძახილებით მიდიოდნენ, კორტეჟი კი – წინ, ამ მოძრავი ბრბოს შუაში. როგორც კი მეფისნაცვალმა ხიდზე შედგა ფეხი, ციხესიმაგრიდან ზარბაზანმა დაიქუხა; იმ მომენტში ისე მომეჩვენა, თითქოს გრიგალმა ამიტაცა; ხალხის ყვირილით გახელებული და ზარბაზნის ხმით აგზნებული ცხენები, რომლებსაც აქამდეც ძლივს აკავებდნენ, მთელი ძალით გაქანდნენ ბაზრის გადამკვეთი ვიწრო ქუჩისკენ და ასე აღმოვჩნდი ტაძრის კართან, რომელიც თავად ბარიატინსკის დასახვედრად მისული მოხელეებით იყო გადაჭედილი; ჩვეულების თანახმად, თავადი ტაძარში შევიდა ბედნიერი ჩამოსვლის გამო ღმერთისთვის მადლობის შესაწირად (სურ. 2).

ცერემონიის დასრულების შემდეგ კორტეჟმა მსვლელობა განაგრძო, მაგრამ მე ვეღარ მოვძებნე ჩემი ცხენი, რომელიც პირველ შემხვედრ კაზაკს მივაბარე; სხვა კაზაკი, რომელმაც ჩემი შეცბუნება დაინახა, არ დაელოდა ჩემს თხოვნას, ჩამოქვეითდა, თავისი ცხენი და ნაგაიკა[12] დამითმო, მე კი ოფიცრებს შორის ჩემი ადგილის დაკავება შევძელი.

ჩვენ ძველ ქართულ ქალაქში, ბაზრის შუაგულში აღმოვჩნდით; ბრბო იმაზე უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე ხიდის მეორე მხარეს, მაგრამ მალე ერივნის ვრცელ მოედანზე აღმოვჩნდით, რომლის შუაში აღმართული იყო მოხდენილი შენობა – თეატრი. ჩვენ ვიყავით რუსულ ქალაქში, სწორი ქუჩებითა და გიგანტური შენობებით, რომელთა ნაკლი მხოლოდ სვეტების სიუხვეა; გოლოვინის პროსპექტის[13] აყოლებით მეფისნაცვლის სასახლესთან მივედით, რომლის უზარმაზარ დარბაზებში მეფისნაცვლისთვის გრძელი მოგზაურობის ბედნიერად დასრულების მისალოცად მისული თბილისში მყოფი ყველა მოხელის ოფიციალური მიღება შედგა.

ეს, ასე დატვირთული დღე, საზეიმო ვახშმით დასრულდა. იმ მომენტში, როდესაც მაგიდას უნდა მივსხდომოდით, სასახლის წინ დუდუკისა და დიპლიპიტოს ხმა გაისმა: ეს არ იყო მხოლოდ დუდუკი და დიპლიპიტო, ეს მთელი ორკესტრი იყო, მაგრამ თითოეული მათგანი ისე უკრავდა, როგორც მას სურდა. გალერეისკენ გაქცევა, რომელიც პორტიკს აგვირგვინებს, ერთი წამის საქმე იყო და ჩვენ იქ იმ სრულიად უჩვეულო სანახაობის მოწმეები გავხდით, რომლის ნახვაც კი შეიძლება – მოძრავი განათება თითქმის ჩრდილავდა ქალაქის დანარჩენი ნაწილის განათებას. ახალი ჩამოსულისთვის პატივის მისაგებად ამქრები ალმითა და მუსიკით იყვნენ მოსულნი. ყოველ მათგანს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა; სასახლის წინ გადაჭიმული უზარმაზარი ბულვარი ცეცხლის ზღვა გეგონებოდა; შემდეგ ამ მჭიდრო ბრბოს შუაგულში წრე შეკრეს და ერთ-ერთი ამქრის ყველაზე მოხდენილმა და საუკეთესო მოცეკვავეებმა ქართველების რჩეული ცეკვის – ლეკურის ანუ *ღეზგინკას* რამდენიმე ილეთი შეასრულეს; შემდეგ მეორე ამქარმა შეკრა წრე, მუსიკოსებმა დასცხეს, ხოლო თავაწყვეტილი ტრიუკებით დაკავებული მოცეკვავეები იმ სხვა ჯგუფმა შეცვალა, რომელმაც მათი ადგილის დაკავება მოახერხა (სურ. 3).

რამდენიმე დღის შემდეგ თავადაზნაურობამ მეფისნაცვალს მეჯლისი გაუმართა. ამ ბრწყინვალე დღესასწაულის ასპარეზი უზადო გემოვნებით მორთული გიმნაზიის დიდი დარბაზები იყო. ეს მეჯლისი სანქტ-პეტერბურგში რომ გამართულიყო, მხოლოდ ფუფუნების დახვეწილობას წარმოგიდგენდით და არ დამჭირდებოდა მისი აღწერა, მაგრამ ამას განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ აღმოსავლეთის შუაგულში, სპარსეთიდან ორ ნაბიჯზე ვართ. ერთ-ერთი დარბაზი, ქალთა სალონად წოდებული – სპარსულ ოთახად იყო გადაკეთებული; მისი კედლები ხალიჩებით იყო დაფარული,

რომელთა ცოცხალი ფერების საიდუმლო მხოლოდ აღმოსავლეთმა იცის; მაღალ თაროებზე ის ათასი საოცრება იყო თავმოყრილი, რომელთაც მოგზაურები აღმოსავლეთში ასეთი მონდომებითა და დიდი ხარჯის გაწევით ეძებენ: ვაზები, იარაღი, ნარგილე, ყალიონები და სარკეების შესანიშნავად მოჩუქურთმებული მეტალის კიდეები ათასი სანთლის შუქზე ციალებდნენ; დარბაზის ირგვლივ მეფობდა დივანი, რომელზეც ოქროს, ვერცხლისა და კაშკაშა ფერებით შემოქობილი ძვირფასი ქსოვილები ეფინა; ამ სურათის დასასრულებლად დავძენ, რომ ოთახის სიღრმეში ტახტზე ჩაცუცქებით იჯდა სპარსული ორკესტრი იმავე ინსტრუმენტებით, რომლებიც ადრე ვახსენე, მაგრამ ის ისფაჰანისა და თეირანის დიუპრესა[14] და რუბინის,[15] ცნობილი სათარას[16] დასწრებით იყო შევსებული (სურ. 4).

მალე ამ პრივილეგირებულ ადგილს ხალხი მიაწყდა; მთელი ძალით ჟღერდა დუდუკი, ქამანჩა და დიპლიპიტო; სათარამ ხორხიდან ისეთი მაღალი ნოტები ამოუშვა, როგორიც მამაკაცის პირიდან არასოდეს ამოსულა, სახეს კი წიგნის უკან მალავდა, რომელიც ხელში ეჭირა, რათა ის საშინელი გრიმასები არ დაგვენახა, რაც მის ხმას ახლდა; გრაციოზული ქართველი ქალების ჯგუფმა, ნახევრად აღმოსავლურ, ნახევრად ევროპულ სამოსში – რაც სიახლე აღარ არის, გრძელი ნაწნავებით, თავზე გვირგვინის მაგვარი მორთულობით, რომელსაც თავსაკრავი ეწოდება და საიდანაც ოქრომკედით და ვერცხლით შემოქობილი ვუალი ეშვება, მუსიკოსების წინ ნახევარწრე შეკრა; ერთი მათგანი თავისუფალი სივრცისკენ წავიდა და ის ცოცხალი ცეკვა დაიწყო, რომლის თემა მუდამ იგივე იქნება; მწყემსი ქალი მწყემსს გაურბის და სურვილი წვავს, რომ ვაჟი დაეწიოს, მაგრამ ამ მოხდენილ და უმანკო ჟესტებს არაფერი აქვთ საერთო ფანდანგოსა[17] და ბოლეროს[18] ვნებასთან. საქართველოში მაყურებლებს ორკესტრისთვის ტაშის აყოლების ჩვეულება აქვს. პირველ მოცეკვავეს მეორე, მესამე და შემდეგ ყველა იქ მყოფი ქალბატონი მიჰყვა, მაგრამ ერთდროულად მხოლოდ ერთი ქალი ცეკვავს, იშვიათად მინახავს ორი და მხოლოდ ერთხელ ვნახე პრინცესა აბაშიძისა და ამიერკავკასიის ულამაზესი მოცეკვავისა და მამაცთა შორის მამაცის, სამეგრელოს მთავარ დადიანის[19] მიერ სრულად შესრულებული *ღეზგინკა*. ლამის გული დამწყდა ევროპული ორკესტრის ხმის გაგონებაზე, რომელიც ვიოლინოსა და კონტრაბასის ხმით სტუმრებს პოლკასა და მაზურკას საცეკვაოდ ეპატიჟებოდა; მაგრამ, რადგან ეს მეჯლისი მხოლოდ ჩემთვის არ იყო მოწყობილი, უნდა დავმორჩილებოდი.

ეს ლამაზი დღესასწაული დასრულდა ვახშმით, – რომელსაც კომფორტულად მჯდომი ხუთასი ადამიანი ესწრებოდა, და ფეიერვერკით, რომლის დროს აღმოსავლეთი და დასავლეთი მათმა ყველაზე მომხიბვლელმა წარმომადგენლებმა გააერთიანეს.

მეფისნაცვლისთვის ზეიმის გამართვა თბილისელმა ვაჭრებმა და ქალაქის მმართველობამაც მოისურვა: დღესასწაულის შემადგენლობა, სტუმრები იგივენი იყვნენ, მხოლოდ ადგილი იყო სხვა ამიტომ მე ის პირველი მეჯლისის გაგრძელებად მომეჩვენა.

წმინდა გიორგის სადღესასწაულოდ სასახლის დიდებულ ბაღებში გამართულ ბანკეტზე წმინდა გიორგის ჯვრით დამშვენებული გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები შეიკრიბნენ. ცნობილია, რომ ამ ორდენით მხოლოდ კარგად დასაბუთებული საომარი მოქმედებების გამო აჯილდოებენ; თუმცა დიდი ორდენის რაოდენობა შეზღუდული არ არის, ერთადერთი გენერალი, რომელიც დააჯილდოვეს, უცხოელი – მარშალი რადეცკია.[20] მე იქ ისეთი სახეები ვნახე, რომლებმაც ნაპოლეონის ძველი გვარდიის მებრძოლები გამახსენა. სუფთა ჰაერზე გამართული ვახშმის დროს სასიამოვნო მხიარულება, გვიანი შემოდგომის მიუხედავად კი, შესანიშნავი ამინდი და სასიამოვნო სითბო იყო. მუსიკაც ამ ვითარების შესაფერისი იყო; მაგრამ იქ, სადაც რუსი *საღდათები* იკრიბებიან, უნდა იცეკვონ და როგორც კი უკანასკნელი სადღეგრძელო შეისვა, ჰაერში კი უკანასკნელი „ვაშა“ ისმოდა, წრეები შეიკრა, *ღეზგინკის* ხმა გაისმა და მაშინვე დავინახე, რომ ეს ჭაღარა ულვაშიანები ისეთივე მოქნილობით ასრულებდნენ კავკასიურ ცეკვას, როგორი მამაცობითაც ბრძოლის ველზე იბრძოდნენ.

მხოლოდ კავკასიას სჭირდება ერთი მთლიანი *l'Illustration*-ი და ის ნამდვილად არ იქნება უინტერესო. სამწუხაროდ, საქართველოს დედაქალაქში ჩემი ყოფნა ხანმოკლე იყო, მაგრამ იქიდან საუკეთესო მოგონებები და ის სინანული გამომყვა, რომ იქ, ალბათ, ვეღარასოდეს დავბრუნდები (ბლანშარი 1857ე: 275, 278).

* * * *

წმინდა ნათლისღების დღესასწაული. იორდანე. 6/18 იანვარი
თბილისსა და სანქტ-პეტერბურგში
(ფრაგმენტი)

ერთი წლის წინ, ამ დღეს, თბილისში ვიყავი; იქ, ისევე როგორც პეტერბურგში, დიდი ზეიმი იყო. ამინდიც ჩინებული იდგა; მაგრამ მზე ანათებდა და თავშიშველი ვერ ვიქნებოდი. მეფისნაცვლის სასახლის წინ ერთ-ერთი თვალწარმტაცი ქართული ეკლესია დგას; ის წმინდა გიორგის სახელობისაა. სწორედ იქ ჩატარდა საზეიმო წირვა და იქიდან დაიძრა კორტეჟიც, რომელსაც თავადი ბარიატინსკი მიუძღოდა. მდინარეზე ორი ნაგებობა აღმართეს: ერთი, მტკვრის ზემო დინებაში – სომხებისთვის; იქ წირვა ჩაატარა პატრიარქმა ნერსესმა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა; ქვემო დინებაში, იმ ხიდის შემდეგ, რომელიც ორ ნაპირს აერთებს, ბერძნულ-რუსული ეკლესია იდგა. სწორედ იქით გაემართა უამრავი სასულიერო პირი, რომლებსაც შეუერთდნენ საზეიმო მუნდირებში გამოწყობილი თბილისის სამოქალაქო და სამხედრო მოხელეები. ეს ცერემონია ბრწყინვალებით ჩამორჩება სანქტ-პეტერბურგში იმავე დროს ჩატარებულს, მაგრამ უფრო თვალწარმტაცია: ქუჩები ხალხით, სახლების ბრტყელი სახურავები კი მაყურებლებით იყო სავსე, შავი სამოსი და ბრწყინვალე მუნდირები აზიის ყველა შესაძლო კოსტიუმში გამოწყობილი მოსახლეობის მასასთან კონტრასტს ქმნიდა და ამ ბრბოს შუაგულში წინ მიიწევდა მსვლელობა, რომლის წინ დროშები და ხატები მიჰქონდათ (სურ. 5).

საზეიმო მომენტი მეტეხის ციხის ქვემეხმა გვაუწყა: მდინარის გასწვრივ მდგარი უზარმაზარი ბრბო ერთბაშად შევარდა მდინარეში დასასველებლად და მის დასალევად; ბევრმა მათგანმა ტანსაცმელი გაიხადა და მდინარის დინებას ცურვით მიჰყვა; სხვები მდინარეში ცხენებით შევიდნენ და ასე ასრულებდნენ განბანის აქტს; ქალაქში არსებული ყველა ვაზა და ბოთლი ამ ნათლობის წყლის შესაგროვებლად იყო მობილიზებული. ბევრი სახალხო სანახაობა მინახავს, მაგრამ ასეთი ორიგინალური არც ერთი არ ყოფილა (ბლანშარი 1858: 118).

შენიშვნები

1 ქალაქი პეტროვსკი დაარსდა 1857 წელს, დღევანდელი ქალაქი მახაჩყალა.

2 თემირ-ხან შურა – დღეს ქალაქი ბუინაკსკი დაღესტანში, ამავე სახელწოდების რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი.

3 გულბაათ (პანტელეიმონ) ივანეს ძე ჭავჭავაძე (1796-1863) – თავადი, ცნობილია, როგორც ლეგენდარული ქართველი თამადა და მსმელი.

4 გამოთქმა „ჰომეროსული ნადიმი“ თარიღდება ძვ. წ. IX საუკუნით, ილიადაში აღწერილი ტრაპეზის მიხედვით, რომელზეც ღმერთები ძალიან ხმამაღლა იცინოდნენ ჰეფესტოსის დანახვაზე.

5 გამაშისა და მშვენიერი კვიტერიას ქორწილში, რომელიც სერვანტესმა აღწერა „დონ კიხოტში“ (ნაწილი II, თავი XX), ყველაფერი უხვად იყო: მთელ-მთელი საქონელი, ცხვარი, კურდღლები, ქათმები, ყველა სახის ნანადირევი, ხუთლიტრიანი სამოცი ტიკი ღვინო, პურის, ყველისა და სხვადასხვა ნამცხვრის გროვები საკმარისი იყო ჯარის გამოსაკვებად. ორმოქმედებიანი ბალეტი-პანტომიმა „გამაშის ქორწილები“ (ფრანგ. Les noces de Gamache) მიგელ სერვანტესის რომანის „დონ კიხოტ ლა მანჩელის“ მიხედვით პარიზში 1801 წელს დადგეს.

6 იგულისხმება კახეთის კავკასიონის სამხრეთი ფერდობი, რომელიც ალაზნის ვაკისკენ ეშვება და მრავალრიცხოვანი ხეობითაა დაღარული.

7 ატიკა – სიტყვა-სიტყვით „ზღვისპირა ქვეყანა“, ცენტრალური საბერძნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქი.

8 იგულისხმება მდინარის მიერ წარმოქმნილი ეროზიული ფერდობი.

9 როგორც ჩანს, ფარამონ ბლანშარი მდინარე თურდოს გულისხმობს.

10 ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ხაზის კაზაკებში იგულისხმება ის ნაწილები, რომლებიც გან-

ლაგებულია კავკასიის დამცავ ხაზზე ანუ იმ ფერდობზე, რომელიც რუსეთის მხარეს უყურებს“.

[11] იგულისხმება სიონის ტაძარი.

[12] ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „კაზაკის მათრახი შოლტში არ უნდა აგვერიოს“.

[13] XIX საუკუნის 1840-იანი წლებიდან და 1918 წლამდე გოლოვინის პროსპექტი ეწოდებოდა თბილისის მთავარ ქუჩას, დღევანდელ რუსთაველის პროსპექტს.

[14] ჟილბერ-ლუი დიუპრე (1806-1896) – ფრანგი ტენორი.

[15] ჯოვანი ბატისტა რუბინი (1794-1854) – იტალიელი ტენორი.

[16] სათარა (1828-1891) – ძველ თბილისში სახელგანთქმული სახალხო მომღერალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და ერთ-ერთი პირველი თბილისელი მომღერალი, რომელიც ახალგახსნილი „მანეჟის თეატრის“ სცენაზე (1845) გამოვიდა. მან საკუთარი სოლო კონცერტები გამართა თბილისის თეატრში 1853 და 1860 წლებში.

[17] ფანდანგო – ესპანური ხალხური ცეკვა, რომელსაც წყვილები გიტარისა და კასტანიეტების აკომპანემენტით ასრულებენ.

[18] ბოლერო – ესპანური ცეკვა, რომელსაც წყვილები სიმღერისა და კასტანიეტების აკომპანემენტით ასრულებენ.

[19] როგორც ჩანს, ბლანშარი გულისხმობს სამეგრელოს გარდაცვლილ მთავარ დავით დადიანის (1812-1853) ძმას, გრიგოლ დადიანს (1814-1902) – ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალს.

[20] იოზეფ ფონ რადეცკი – (1766-1858) – ავსტრიის ფელდმარშალი.

დამონმებანი

ბლანშარი 1856: Blanchard, Pharamond. “Bal de l’ambassade français à Moscou”, 25.10.1856. *L’Illustration, Journal Universel,* N 713, XXVIII, 261-262.

ბლანშარი 1857ა: Blanchard, Pharamond. “Le Caucase. 3/15 Mars”. *L’Illustration, Journal Universel*, N 738, XXIX, 242.

ბლანშარი 1857ბ: Blanchard, Pharamond. “De Nijni-Novgorod à Tiflis sur le Volga”, *L’Illustration, Journal Universel,* N 743, XXIX, 332-335.

ბლანშარი 1857გ: Blanchard, Pharamond. “Au Daghestan, Tiflis, 8-20 mars, 1857”, *L’Illustration, Journal Universel*, N 752, XXX, 55-58.

ბლანშარი 1857დ: Blanchard, Pharamond. “La ligne Lezguine”, *L’Illustration, Journal Universel*, N 754, XXX, 87-90.

ბლანშარი 1857ე: Blanchard, Pharamond. “La Géorgie. – Tiflis”, *L’Illustration, Journal Universel*, N 765, XXX, 275-278.

ბლანშარი 1858: Blanchard, Pharamond. “Prazdnik sviatova crestchenia. Yordann. 6/18 Janvier à Tiflis et Sainte-Petersbourg. Sainte-Petersbourg 7/19 janvier, 1858”, *L’Illustration, Journal Universel*, N 782, XXXI, 115-118.

ბლანშარი 1861: Blanchard, Pharamond. “Voyage de Tifllis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”, *Le Tour Du Monde*, IV, 113-128.

დიუმა 1859: Dumas, Alexandre. *Le Caucase: journal de voyages et romans*, Paris: Librairie théatrale.

მუანე 1860: Moynet, Jean-Pierre. “Voyage à la la mer Caspienne et à la mer Noir., II, De Bakou à Tiflis 1859” (Inédit). Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde*, I, 317-336.

ჟილი 1859: Gille, Floriant. *Lettres sur le Caucase et la Crimée*, Ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d’après nature, et d’une carte dressée au dépot topographique de la guerre à St. Pétersbourg. Paris: Gide – Libraire-Éditeur.

სურ. 1 ქართველი თავადების ესკორტი –
Escorte par les princes géorgiens. Pharamond Blanchard, L'Illustration, Journal Universel, N 754, 1857



სურ. 2 თავადი ბარიატინსკის შესვლა თბილისში –
Entrée à Tiflis du prince Bariatinski. Pharamond Blanchard, L'Illustration, Journal Universel, N 765, 1857

სურ. 3 თბილისელი ხელოსნების ცეკვა –
Danse des artisans de Tiflis, Pharamond Blanchard,
L'Illustration, Journal Universel, N 765, 1857

სურ. 4 თავადაზნაურობის მეჯლისი თბილისში. ლეკური –
Bal de la noblesse à Tiflis. La lezguinka, Pharamond Blanchard, L'Illustration, Journal Universel, N 765, 1857



სურ. 5 წყლის კურთხევა თბილისში 6/18 იანვარი -
Yordann, 6/18 janvier a Tiflis, Pharamond Blanchard,
L'Illustration, Journal Universel, N 782, 1858

DATA OF PHARAMON BLANCHARD ABOUT GEORGIA IN *L'ILLUSTRATION, JOURNAL UNIVERSEL* (1857-1858)

Irine Nachkebia
G. Tsereteli Institute of Oriental Studies,
Ilia State University
irnat@hotmail.com

In 1856, French artist, lithographer, writer and illustrator Henri Pierre Léon Pharamond Blanchard (1805-1873) was invited to coronation of Alexander II, emperor of Russia (1855-1881). He was welcomed by the civilians and militaries close to imperial court and, as a result, in 1856-1859, he attended all significant events and celebrations in two capital cities of Russia and this can be easily seen from nineteen letters published in popular French daily newspaper *L'Illustration, Journal Universel* in 1857-1858. In autumn 1856, newly appointed Viceroy of Caucasus, Alexander Baryatinsky invited him to Georgia and they together traveled from Moscow to Tbilisi.

Pharamon Blanchard's data about Georgia were published in two issues of *L'Illustration* in 1857 and one issue of 1858. In his first letter, titled Line of "Lezghians", there are provided data about Kvareli, hospitality of Gulbaat Chavchavadze, Tsinandali and Telavi. In his second article "Georgia. – Tbilisi", French artist described the way from Telavi to Tbilisi, Kakheti nature, decorated with rich autumn colors, Shuamta Church, condition of the road and description of Tbilisi. He provides detailed information about Baryatinsky's entry into the city, provides names of Georgian noblemen who welcomed him, the troops, population who met him, the balls arranged to honor him and St. George day. In his third article, "Holy Epiphany Day. Jordan. 6/18 January in Tbilisi and St. Petersburg", he describes celebrations of Epiphany Day in Tbilisi. All three articles are illustrated.

In the article we present translations of fragments from Pharamon Blanchard's letter "The Line of Lezghians" and third letter – "Holy Epiphany Day" and full translation of the second letter, "Georgia. – Tbilisi". with the comments. Data of eyewitness Pharanond Blanchard provide very valuable source for studying of the events ongoing in Tbilisi in that period. This material are published for the first time.

გარუსებული „კაზანოვა“ ქართლ-კახეთის სამეფოში

ირაკლი ფაღავა
კავკასიის უნივერსიტეტი;
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ipaghava@cu.edu.ge

ქართლ-კახეთის სამეფო (de facto 1744-1801) ახალი დროის წამყვან ქართულ სახელმწიფოდ წარმოგვიდგება; მისი აღზევება და დაცემა ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტეხილს წარმოადგენს. რაღა თქმა უნდა, ქართლ-კახეთის სამეფოს ისტორიის შესწავლას სრულიად განსაკუთრებული ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით მუშაობას აადვილებს პირველწყაროების შედარებითი – წინარე პერიოდებს თუ შევადარებთ – სიუხვეც. მიუხედავად ამისა, ეპოქის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შემდგომი გაფართოება საშურ საქმედ გვეჩვენება. თუნდაც უკვე ცნობილი, მაგრამ შედარებით შეუსწავლელი პირველწყაროს ცნობების ანალიზი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა თავისი მნიშვნელობით ახალი პირველწყაროს აღმოჩენას უახლოვდება.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამგვარი პირველწყაროს შესწავლას ეძღვნება; საუბარია ვინმე ალექსანდრე სიმეონის ძე პიშჩევიჩის (Александр Симеонович Пишчевич) (1764-1820) მემუარებზე და სხვა, მოკლე ნაწერებზე. ეს პიროვნება რუსეთის იმპერიის ჯარში მსახურობდა, ყირიმში, შემდეგ ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში; ბოლოს სანქტ-პეტერბურგში გადავიდა, სადაც სამოქალაქო სამსახურში გადასვლა მოუწია; ცხოვრების ბოლო ათწლეულები მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ მამულში გაატარა, ხერსონის სიახლოვეს. 1784 წელს რამდენიმე კვირით ქართლ-კახეთის სამეფოშიც იყო მივლენილი, სადაც, სხვათა შორის, ლეკების საწინააღმდეგო ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა. ქართველებს რუსეთის იმპერიაშიც ხვდებოდა ხოლმე. მის მემუარებში ქართველოლოგისთვის საინტერესო ცნობები საკმაო რაოდენობითაა. ჩვენი *მიზანი*, საქართველოსა და ქართველებზე ალექსანდრე პიშჩევიჩის ცნობების გადმოცემა-ანალიზია.

საკვლევი მასალა, ბუნებრივია, თავად ალექსანდრე პიშჩევიჩის თხზულებებია.

თავიდანვე განვმარტავთ, რომ ეთნიკურად (მამითაც და დედითაც) ალექსანდრე პიშჩევიჩი სერბი იყო, თუმცა კი რუსეთის იმპერიაში დაბადებულ-გაზრდილი და ფარსაგად გარუსებულიც. იმ ეპოქისა და რეგიონის მემუარული ლიტერატურისგან ალექსანდრე პიშჩევიჩის ნაშრომი გამოირჩევა ავტორის ერთი მხრივ, ჩანს, ინტიმური ცხოვრებისადმი დიდი ინტერესით, მეორე მხრივ კი, გამოხატული ექსგიბიციონიზმით, თავისი ინტიმური ცხოვრებისა და „გამარჯვებების“ გახსენება-წარმოჩენის, თავის მოწონების სურვილით. მემუარების შესაბამის ფრაგმენტებს ერთგვარი სკეპტიციზმით უნდა მივუდგეთ: მონათხრობი ზოგჯერ მაინც (პირველ რიგში, ეს სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოში მომხდარს ეხება) ბელეტრიზებული და არა დოკუმენტურ-მემუარული ტექსტის შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთგვარად, იური ლოტმანის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, *თეატრიზებულია* (პლეშაკოვი 2008: 47-48); (ლოტმანი 1994: 207). თვალში საცემია მსგავსება ჯაკომო კაზანოვას თავგადასავლებთან, რომელიც ასევე, – ლიტერატურული ქმნილება უფროა. სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით უპრიანად ჩავთვალეთ ალექსანდრე პიშჩევიჩისთვის *გარუსებული „კაზანოვა“* გვეწოდებინა.

ალექსანდრე პიშჩევიჩის კარიერისა და ცხოვრებისეული გზის დაწვრილებით აღწერა სცდება წინამდებარე ნაშრომის მიზნებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საკმაოდ ინტელიგენტურ ადამიანად ჩამოყალიბდა. სამხედრო სამსახურითა და მექალთანეობით დაკავებულს, არ შეუწყვეტია წიგნების კითხვა – ერთგან ახსენებს რომ საკუთარი ბიბლიოთეკის შედგენა

ჯერ კიდევ 1783-1784 წლებში დაუწყია (პიშჩევიჩი 1885: 40); თავადაც იღებდა ხელში კალამს – 1793 წლის კონტექსტში (როდესაც ჯერ ოცდაათი წლისაც არ იყო) თავის „თხზულებებს“ ახსენებს (პიშჩევიჩი 1885: 162). სამსახურიდან გადადგომის შემდეგ, როგორც ჩანს, მოცალეობა ბევრად მეტი ჰქონდა და მას მრავალრიცხოვანი *წერილების* წერით ავსებდა (პიშჩევიჩი 1886ა).

თუმცა, რამდენადაც ცნობილია, ალექსანდრე პიშჩევიჩის ცხოვრებაში მისი ნაწერებიდან არაფერი გამოქვეყნებულა. ამ კაცის ლიტერატურული მემკვიდრეობის თუნდაც ნაწილობრივ გადარჩენა მისი შთამომავლის, შვილიშვილის, ალექსანდრე პავლეს (პლატონის?) ძე პიშჩევიჩის დამსახურებაა; ამ პიროვნებამ ოჯახში შენახული ისტორიული ხასიათის თხზულებები და ნაწერები, მათ შორის, რუსეთის იმპერიაში გადმოსახლებული სერბი სამხედრო მოღვაწის, სიმეონ პიშჩევიჩისა და მისი ვაჟის, ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარები გამოსაცემად პროფესორ ნილ პოპოვს გადასცა (პიშჩევიჩი 1881: II). ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილი თბილისის რუკის გამოცემაზე კი მისმა შვილიშვილის შვილმა, პ. ბელავენეცმა იზრუნა (პიშჩევიჩი 1902).

ნილ პოპოვმა ჯერ მამის მემუარები გამოსცა, 1881 წელს (პიშჩევიჩი 1881),[1] შემდეგ კი შვილის ძირითადი თხზულება, – მემუარები, 1885 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდა (პიშჩევიჩი 1885). ალექსანდრე პიშჩევიჩის რამდენიმე სხვა ნაწერიც ასევე XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში გამოქვეყნდა (პიშჩევიჩი 1884); (პიშჩევიჩი 1886ა); (პიშჩევიჩი 1886ბ). 1902 წელს გამოქვეყნდა ალექსანდრეს მიერ შედგენილი თბილისის რუკაც (პიშჩევიჩი 1902). თუმცა, როგორც ჩანს, ნაწერების ნაწილი მაინც გამოუქვეყნებელი დარჩა. მათი დღევანდელი ადგილმდებაროება უცნობია; დიდი ალბათობით, XX საუკუნის ქარტეხილებს გადაჰყვა.

ალექსანდრე პიშჩევიჩის ნაშრომსა და ცნობებს ისტორიოგრაფია, ყოველ შემთხვევაში, კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური ისტორიოგრაფია კარგა ხანს უგულებელჰყოფდა; შესაძლებელია, ინტიმური თავგადასავლებით გაჯერებულობის გამოც (შდრ., პლეშაკოვი 2008: 47); (პივოვაროვა 2014: 441-442).

მხოლოდ 1935 წელს გამოცემულ, კავკასიაში მოგზაური ევროპელების ცნობარში პოლიევკტოვმა პიშჩევიჩიც შეიტანა და მისი მემუარების მოკლე ანოტაციაც შეადგინა (პოლიევკტოვი 1935: 56-57): მოხაზა მისი სამხედრო კარიერა და მოღვაწეობის არეალი; აღნიშნა სამხედრო-ყოფითი ხასიათის დეტალების სიუხვე და მნიშვნელობა, რომლებიც „ოფიციალურ საბუთებთან შედარებით, „კავკასიაში რუსული იარაღის საგმირო საქმეებს“ რამდენადმე განსხვავებულად აშუქებს“; თუმცა კი, გაჯერებულია რუსი ოფიცრის „დონ-ჟუანური „გამარჯვებების“ თხრობით“, მათ შორის, „აზიელ“ ლამაზმანებზედაც; პოლიევკტოვის აზრით, „თავად პიშჩევიჩის დამოკიდებულება კავკასიის მოსახლეობისადმი – არის რუსი ველიკოდერჟავნიკის ტიპიური ქედმაღლური დამოკიდებულება „მტაცებლებისა და ველურებისადმი“, თუმცა კი საკუთარი ქცევით მას არა ერთხელ საპირისპირო დაუმტკიცებია, ისე რომ თავად ვერც შეუმჩნევია“.

მას შემდეგ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართველოლოგიურ ისტორიოგრაფიაში სწავლობდნენ (ხარაძე 1975: 116-117); (დუმბაძე, გუჩუა 1990: 461-463, ტაბულა 59) მხოლოდ ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს შედგენილ და 1902 წელს გამოცემულ თბილისის რუკას (პიშჩევიჩი 1902).

XXI საუკუნეში ინტერესი ალექსანდრე პიშჩევიჩის (და მამამისის) ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი მატულობს. მამა-შვილის მემუარებს საგანგებო შრომები ეძღვნება (პივოვაროვა 2014); (პივოვაროვა ხელნაწერი 1?).[2] ალექსანდრეს ცნობებს იყენებენ სხვადასხვა საკითხის კვლევისას: რუსეთის იმპერიის ჯარისა და სამოქალაქო მოსახლეობის ურთიერთობა (პლეშაკოვი 2008: 43-45); (ვოლოდინა, პოდრეზოვი 2020: 88); სერბი ახალმოსახლეების გარუსების პროცესი (სკვორცოვა 2021); და მარგინალურობის ფენომენი რუსეთის იმპერიაში (პივოვაროვა 2012); საშუალო რანგის ოფიცრების ყოფა (პივოვაროვა ხელნაწერი 2?);[3] ქართველებისა და რუსების ბრძოლა ლეკებთან ალაზანთან 1784 წელს (ხაფიზოვი 2013: 75-80).

საქართველოში ბოლო პერიოდში ალექსანდრე პიშჩევიჩის ცნობებით ვისარგებლეთ 1784 წლის ოქტომბერში მომხდარი მუღანლოს ბრძოლის (ფაღავა 2023ბ: 292-298), და, ასევე, ქართლ-კახეთის ზარაფხანის ადგილმდებარეობის კვლევისას (ფაღავა 2023ა: 184, 186-188, 191).

****

საქართველოსა და ქართველების შესახებ ალექსანდრე პიშჩევიჩის ცნობები შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად:

1. კარტოგრაფიული მემკვიდრეობა: თავად რუკაზე მინაწერით თუ ვიმსჯელებთ, 1785 წელს პიშჩევიჩმა გეორგიევსკში შეადგინა თბილისის რუკა;

2. ინფორმაცია ქართლ-კახეთის სამეფოზე: მოგონება იმაზე, რაც ავტორს იქ პირადად გარდახდა; ამასთან კავშირშია ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი ცნობები, რომელიც 1784 წელს ირაკლი II-ისა და რუსების ლეკების წინააღმდეგ გალაშქრებას ეხება; ეს არის ალექსანდრე პიშჩევიჩის მემკვიდრეობის ქართველოლოგისთვის უეჭველად ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწილი;

3. ინფორმაცია რუსეთის იმპერიაში მოღვაწე ქართველებზე;

4. ინფორმაცია რუსეთის იმპერიის შინაგანი მდგომარეობის შესახებ, რომელიც, შესაძლოა, აქტუალური იყოს საქართველო-რუსეთის, ქართველებისა და რუსების ურთიერთობის შესწავლის კუთხით, XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის დასაწყისში, ანუ, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ანექსიით დაგვირგვინდა კიდევაც იმდროინდელი ქართველობის ორიენტაცია რუსეთსა და რუსებზე;

5. სერბი პიშჩევიჩის გარუსების ამსახველი ცნობები; – ქართველოლოგისთვის საინტერესო შეიძლება იყოს იმ მექანიზმების გამოსავლენად, ან, ყოველ შემთხვევაში, იმ გარემოს მოსახაზად, რომელშიც ესოდენ ინტენსიურად წარმოებდა რუსეთის იმპერიაში გადახვეწილი არა მარტო სერბების, არამედ ასევე ქართველების გარუსების პროცესი.

ცნობებს კატეგორიების მიხედვით განვიხილავთ.

I. ალექსანდრე პიშჩევიჩის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა უკვე საფუძვლიანად არის შესწავლილი და, ამის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში აღარ შევეხებით.

II. 1784 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში პიშჩევიჩის გამგზავრების, იქ ყოფნისა და დაბრუნების ამბებს გადმოვცემთ მისი მემუარების მიხედვით.

პიშჩევიჩის მოგზაურობას საინტერესო პრელუდია უძღოდა. ჯერ კიდევ 1782 წლის შემოდგომასა თუ 1782-1783 წლების ზამთრის დასაწყისში (1782 წლის 7 აგვისტოდან 1783 წლის 19 იანვრამდე შუალედში), საქართველოს ისტორიიდან კარგად ცნობილი პოლკოვნიკი ბურნაშევი ეწვია ალექსანდრე პიშჩევიჩის მამის მამულს ბელორუსიაში. სიმეონ პიშჩევიჩის სურვილი ყოფილა რომ მის უფროს ვაჟს, ალექსანდრეს, „საქართველოში“ ემსახურა, და ბურნაშევისთვის შეუთავაზებია – ჩვენი გმირი თავისთან წაეყვანა. ბურნაშევმა ალექსანდრე კი ალერსიანად მიიღო, მაგრამ უარი შეუთვალა (პიშჩევიჩი 1885: 24-27). თუმცა, სიმეონმა მაინც თავისი გაიტანა: მისი თხოვნით ბურნაშევს ალექსანდრე თავისთან უკვე ქართლ-კახეთიდან გამოუთხოვია – შესაბამისი ბრძანება პოლკში 1783-1784 წლების ზამთარში მიუღიათ (იქამდე ალექსანდრემ მოასწრო 1783 წელს ყირიმის აღების ლაშქრობაში მონაწილეობა) (პიშჩევიჩი 1885: 42-44).

სიმეონ პიშჩევიჩი ფიქრობდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ვაჟის მსახურება მის კარიერას შეუწყობდა ხელს. თურმე, „საქართველოში“ ჩასული ბურნაშევის ოჯახობას მეგზურად თან ახლდა სამსახურიდან გადამდგარი პრაპორშიკი იაკშიჩი. ამ კაცის დაჯილდოება ხელმომჭირნე ბურნაშევს შემდეგნაირად გადაუწყვეტია – მეფე ირაკლისთვის უთხოვია იაკშიჩისთვის „ქართული პოდპოლკოვნიკობა“ მიენიჭებინა. ამ „ქიმერული ჩინის“ დამადასტურებელი ეტრატი მეფეს არაფერი დაუჯდა, ბურნაშევმა კი იაკშიჩი ამგვარი „ჯილდოთი“ გაისტუმრა. იაკშიჩს თურმე იმედი ჰქონია, იმავე ჩინით რუსეთის იმპერიის ჯარში შევიდოდა, რაზედაც ყველას ეცინებოდა; „სხვადასხვაგვარი დიპლომის მოყვარე“ სიმეონ პიშჩევიჩის გარდა, რომელზედაც მომხდარს უცნაური შთაბეჭდილება მოუხდენია; მან გადაწყვიტა, – ალექსანდრეს სარკასტული გადმოცემით – რომ პორუჩიკი ვაჟიშვილი „საქართველოში“ წასულიყო, „ქართული ბრბოების“ ფელდმარშალი მაინც რომ გამხდარიყო (პიშჩევიჩი 1885: 44). ვერც ალექსანდრემ და ვერც მისი პოლკის მეთაურმა სიმეონ პიშჩევიჩს ეგ განზრახვა ვერ გადაათქმევინეს (პიშჩევიჩი 1885: 45); და, აი, ალექსანდრე მიემგზავრება ჯერ ჩრდილოეთ კავკასიაში, ერთი მსახურის თანხლებით, ორი საფერხე ცხენით

და ოთხთვალათი რომელშიც კიდევ სამი სასაპალნე ცხენია შებმული, შიგ კი „ყირიმელი კატა“ ზის, რომელსაც ასევე უნდა ენახა „საქართველო, ბურნაშევი, კავკასია, ირაკლი და სხვ.“ (პიშჩევიჩი 1885: 46-47).

გეორგიევსკში ჩასული პიშჩევიჩისთვის პოტიომკინს განუცხადებია, რომ „საქართველოში“ არ გაუშვებდა და თავისთან დაიტოვებდა, რასაც მისი ხელქვეითი ბურნაშევი ვერ შეეწინააღმდეგებოდა (პიშჩევიჩი 1885: 49). სხვათა შორის, გეორგიევსკში პიშჩევიჩი ხვდებოდა პოლკოვნიკ გერმანს, პოდპოლკოვნიკ ტამარას, დოქტორ რაინეგსს და სხვებს (პიშჩევიჩი 1885: 50). მაგრამ, რამდენიმე ხანში მდგომარეობა შეიცვალა. თავად კნიაზ პოტიომკინს უბრძანებია გენერალ პოტიომკინისთვის, ირაკლი II-სთან წასულიყო, პოლიტიკური მოლაპარაკებები გაემართა, ოსმალეთთან ომის შემთხვევაში როგორ იქნებოდა უფრო მოსახერხებელი, „თურქებს ანატოლიაში იქეთა მხრიდან სწვეოდნენ“ (პიშჩევიჩი 1885: 51). ამჯერად პიშჩევიჩი კმაყოფილი დარჩა, ვინაიდან მიეცა შესაძლებლობა ახლოდან ენახა კავკასია და „გასცნობოდა საქართველოს, თავისი ქალების სილამაზით ესოდენ განთქმულ მხარეს“ (პიშჩევიჩი 1885: 51). ვლადიკავკაზში ჩასული პიშჩევიჩი, ჩანს, დაუმეგობრდა ეგერთა ბატალიონით იქ მყოფ პოდპოლკოვნიკ პრინც გესენ-რაინსფელდის (პიშჩევიჩი 1885: 52) (რომელსაც მალევე ალაზანზე ლეკებთან ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრიან).

1784 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ვლადიკავკაზში ჩავიდნენ გენერალი პოტიომკინი გენერალ-მაიორ სამოილოვთან ერთად, რომელსაც ბურნაშევისგან მიღებული ჰქონია ცნობა, რომ მეფე ირაკლი ნახევარ-გზაზე მის დახვედრას აპირებდა. პოტიომკინმა გააგზავნა პიშჩევიჩი თბილისში თხოვნით, ამ ზედმეტი პატივისგან გაეთავისუფლებინათ (პიშჩევიჩი 1885: 52).

ათი კაზაკის თანხლებით გამგზავრებულ პიშჩევიჩზე თერგის ხეობამ, კავკასიის ხედებმა და მთიელებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს (პიშჩევიჩი 1885: 52-54).

კაზაკები პიშჩევიჩს მხოლოდ „სოფელ ლარსამდე“ გაჰყვნენ, რომელიც „ოს თავად აჰმეტს“ ეკუთვნოდა. საგზაო ფულის სანაცვლოდ პიშჩევიჩს მხოლოდ რუსულად და თურქულად შედგენილი სამგზავრო მოწმობა, „ღია ფურცელი“ გაატანეს. აჰმეტმა პოტიომკინთან უსიამოვნების მიუხედავად პიშჩევიჩს ცხენი და მეგზური გააყოლა, სოფელ „სტეფან-წმინდამდე“ (პიშჩევიჩი 1885: 53).

აჰმეტის, „ბრწყინვალე მთავრის სორო“ რომ დატოვა, პიშჩევიჩი სტეფანწმინდისკენ გაემგზავრა, სადაც რუს ოფიცერს გეორგიევსკიდან ნაცნობმა „ქართველმა თავადმა კაზიბეგმა“ (ყაზბეგმა – ი. ფ.) თავის „მიწურში“ უმასპინძლა. იქვე პიშჩევიჩი მოიპატიჟა ირაკლი II-ის „საგარეო საქმეთა მინისტრმა, თავადმა ბეგდაბეგოვმა“ (ბეგთაბეგიშვილმა – ი. ფ.), რომელიც მეფე ირაკლის პოტიომკინის დასახვედრად გაუგზავნია (პიშჩევიჩი 1885: 54).

მომდევნო დღეს სტეფანწმინდიდან პიშჩევიჩი უკვე ბეგთაბეგიშვილის ამალის სამ თავადსა და მათ მსახურებთან ერთად გაუდგა გზას. პიშჩევიჩი ამახვილებს ყურადღებას ამ თავადების „სისაძაგლეზე“: გზად ცხვრების ფარა რომ გადაეღობათ, თავადებმა მწყემსს დაუყვირეს რომ გზა რუსი ოფიცრისთვის გაენთავისუფლებინა. „რუსის სახელს ქართველი უშიშრად როდი ისმენს“, და მწყემსიც საჩქაროდ ცხვრების გადარეკვას შეუდგა. ამასობაში ერთ-ერთმა „უბრწყინვალესობამ“ ოსტატურად ერთი ცხვარი აიტაცა და, ამხედრებულმა ნაბადს ქვეშ დამალა, რაც პიშჩევიჩმა არ შეიმჩნია. ცხვარმა რომ ბღავილი დაიწყო, ხმის გადასაფარად თავადებმა საზიზღარი და უცნაური ხმით სიმღერა დაიწყეს, პიშჩევიჩს რომ არ გაეგო. საბოლოო ჯამში ეს ცხვარი სხვა ფარის მწყემსს ორ აბაზად მიჰყიდეს (პიშჩევიჩი 1885: 55). კობს მიღწეული პიშჩევიჩისთვის ადგილობრივებს ცხენი არ გამოუცვლიათ, მაგრამ თავადებმა წაართვეს (პიშჩევიჩი 1885: 55). სოფელ ქუმლისციხეში ჩასვლისთანავე ზამთარი ზაფხულით შეიცვალა – აქ პიშჩევიჩი საკმაო ადგილს ბუნების აღწერას უთმობს (პიშჩევიჩი 1885: 56). ღამის გასათევად ერთ ღატაკ ქართველ გლეხთან გაჩერებულან, რომელსაც, მართალია, ძროხა მაინც ჰყოლია – პიშჩევიჩს იმის რძე შეუძენია, თუმცა დალევაზე უარი თქვა, ჰიგიენის დაუცველობის გამო; პიშჩევიჩის ნაყიდი რძე ქართველმა თავადებმა დალიეს (პიშჩევიჩი 1885: 56). საღამოს სუფრა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გლეხმა და მისმა ოჯახმა, პიშჩევიჩის სამმა თანამგზავრმა (მათი მსახურები უკან ისხდნენ და თავისი ბატონების დანატოვარს მიირთმევდნენ), და მოგვიანებით მოსულმა

მღვდელმა რვა გლეხთან ერთად. მიირთმევდნენ ლობიოსა და პურს. პიშჩევიჩი მათ არ შეუერთდა (პიშჩევიჩი 1885: 56-57).

მომდევნო დილას პიშჩევიჩმა აღმოაჩინა, რომ თანამგზავრებმა ის უცნობ ადგილას მარტო დატოვეს, თანაც ჩიბუხი და ერთი დამბაჩა მოჰპარეს. პიშჩევიჩი იკვირვებს „ქართულ ზომიერებას" – თანამგზავრებს ხომ მისი საათიცა და ხმალიც მოსწონდათ; არადა, სრულად რომ გაეძარცვათ, მძინარე და ვითომ მოკავშირეებს შორის მყოფი, არ გაუჭირდებოდათო (პიშჩევიჩი 1885: 57).

პიშჩევიჩს უნდა მოეფიქრებინა, ცხენისა და მეგზურის დასაქირავებლად საჭირო ფულის გარეშე გზა როგორ გაეგრძელებინა; მართალია, ღია ფურცელი ჰქონდა, მაგრამ ადგილობრივები საკუთარ მფლობელთა ბრძანებასაც ყურს ნაკლებად ათხოვებდნენო, არათუ შორეული გენერლის რუსულად, ანუ, გაუგებარ ენაზე დაწერილსო (პიშჩევიჩი 1885: 57). საბოლოო ჯამში, ცხენი და მეგზური დიდი გაჭირვებით იშოვა, და ანანურისკენ გაემართა. გზად ლეკების შიშით მეგზურმა შარის მაგიერ ტყის ბილიკით ატარა (პიშჩევიჩი 1885: 57-58).

ბოლოს, ანანურის მონასტერთან პიშჩევიჩს რუსი ეგერები დახვდნენ, ერთი უნტერ-ოფიცერი და ოთხი რიგითი (პიშჩევიჩი 1885: 58-59). პიშჩევიჩმა მათ შემდგომი გზის ამბავი გამოჰკითხა, სავახშმოდ საკვების შესაძენად ფულიც მისცა. თუმცა, ვახშამი რომ მზად იყო, ქართველი თავადები ეწვივნენ, საჭმელი შეუჭამეს და ღვინო დაულიეს (პიშჩევიჩი 1885: 59).

პიშჩევიჩი იქვე აყალიბებს თავის მოსაზრებას ქართველი ხალხის თვისებებზე; წერს, რომ, თავად ბეგთაბეგიშვილის სტუმართმოყვარეობას თუ არ ჩავთვლით, გაეცნო ქართველების ანგარებას; „სიფაქიზეს"; „სიმამაცეს" ლეკების წარმოსახვისას; ზიზღიანობის არქონას; სიტყვის გატეხვას; სიმარდეს სხვისის მითვისებაში; გაიგო, თუ რამდენად „უსაფრთხოა" მათ შორის ყოფნა; რამდენად არაადამიანურია ქართველი თავადი თავის ყმებთან და რა ცოტა პატივს სცემს სხვისი ყმა (პიშჩევიჩი 1885: 59-60).

ანანურში ღამის გატარების შემდეგ, ქართულის მცოდნე უნტერ-ოფიცრის დახმარებით პიშჩევიჩმა მიიღო ცხენი და ხუთი ქართველისგან შემდგარი დაცვა, თუმცა კი ეტყობოდათ, რომ ერთი ლეკიც რომ დაენახათ, მიატოვებდნენ. მათთან ერთად პიშჩევიჩი დუშეთამდე მივიდა, სადაც დახვდნენ ბურნაშევის გამოგზავნილი ქართულ ცხენებზე ამხედრებული რვა რუსი ეგერი უნტერ-ოფიცერთან ერთად, რის შემდეგაც პიშჩევიჩმა თავისი „ლაჩრული ქართული გვარდია" დაითხოვა; მალევე კი ეგერთა ერთი ბატალიონის ბანაკს მიაღწია, სადაც ბურნაშევი პირადად დახვდა (პიშჩევიჩი 1885: 60).

ბურნაშევმა პიშჩევიჩს ჯერ კავკასიის ხაზზე დაყოვნება უსაყვედურა; ეგ რომ არა, „ქართული მიწის რუკის" შედგენაში დაიხმარდა. მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ პიშჩევიჩი პოტიომკინის განკარგულებაში იმყოფებოდა და ახლაც მეფე ირაკლისთან წერილით იყო გამოგზავნილი, ამპარტავნება ლამუნით შეცვალა და კარგად მოეპყრო. სადილის მირთმევის შემდეგ, პიშჩევიჩი ათი ამხედრებული ეგერისა და ოცდაათი ქართველის თანხლებით ისევ გზას გაუდგა (პიშჩევიჩი 1885: 60).

თბილისში შესვლისას მაცხოვრებლები პიშჩევიჩს უყვიროდნენ „ენერალი მოდის" – ქართლ-კახეთში უკვე დისლოცირებული ორი ბატალიონის ყველა ოფიცერს იცნობდნენ და ახალი სახე რომ ნახეს, პოტიომკინისგან წარგზავნილად ჩათვალეს, რომელსაც მთელი ქალაქი მოუთმენლად ელოდაო. სასახლის წინ იმდენი ხალხი შეკრებილიყო, რომ პიშჩევიჩმა ცხენით გასვლა ძლივს მოახერხა (პიშჩევიჩი 1885: 60-61).

მეფე ირაკლი ეზოში სეირნობდა; პიშჩევიჩს თარჯიმნის დახმარებით გამოჰკითხა გენერლის ამბები, შემდეგ კი მისი ვინაობაც გაარკვია (პიშჩევიჩი 1885: 61).

სავახშმოდ პიშჩევიჩი ბურნაშევის მეუღლესთან წავიდა. ღამე კი მიჩენილ ბინაზე გაატარა, სადაც მეფის გამოგზავნილი ვახშამი დახვდა (ცოცხალი ქათამი, ღვინო, სხვადასხვა ხილი) (პიშჩევიჩი 1885: 61). მეორე დღესაც პიშჩევიჩს მეფის მსახური ეახლა კითხვით, ფულის აღებას ხომ არ ამჯობინებდა, რომ ვახშამი თავისი გემოვნებით მოემზადებინა. თურმე, მეფეს ჩვევად ჰქონია მასთან გამოგზავნილი რუსი ოფიცრები ეკვება, რომელთაგან ბევრი, რუსეთის სასირცხვილოდ, ფულს იღებდაო. პიშჩევიჩმა ორივეზე უარი განაცხადა (პიშჩევიჩი 1885: 61).

თბილისში პიშჩევიჩმა მეორე დღესვე ნაცნობებიც გაიჩინა – პორუჩიკი კრასინკსი და

მკურნალი იზმაილოვი. სამივენი სასეირნოდ ქალაქგარეთ მდებარე ბაღებში წავიდნენ, სადაც თბილისური დროსტარებაც ნახეს – ხეების ჩრდილში გროვებად მსხდომი ქართველები ღვინით სკდებიან, რაც ძალა და ღონე აქვთ სიმღერებს ღრიალებენ, „ბალალაიკაზე“ და დაირაზე უკრავენ; სხვათა შორის, ყველანი ამ სამეულსაც ეპატიჟებიან, სუფრაზე დაეწვიონ (პიშჩევიჩი 1885: 61).

იზმაილოვმა პიშჩევიჩს თავისთან დასახლება შესთავაზა, სადაც ოფიცერს ექნებოდა შესაძლებლობა „ულამაზესი ქალები ეხილა და მათი ჩვეულებები გაეცნო“; იზმაილოვის ცოლი მდიდარი თბილისელი ვაჭრის ქალიშვილი ყოფილა, „რომელსაც ამ ქალაქის საუკეთესო ქალები სტუმრობენ ხოლმე“ (პიშჩევიჩი 1885: 61). რამდენიმე დღის შემდეგ იზმაილოვმა პიშჩევიჩს სახლში დაახვედრა სტუმრად მოსული რვა ულამაზესი „ქართველი ქალი“, რომელთაგან უფროსის ასაკი ოცდახუთ წელს არ აღემატებოდა. იზმაილოვის მეუღლე, რომელიც ცოტა რუსულს ფლობდა, თარჯიმნობდა. ნაშუაღამევამდე გაგრძელებულმა წვეულებამ ძალიან მხიარულად ჩაიარა, ღვინის სმასა და სიმღერა-თამაშობაში. წასვლისას იზმაილოვის დაჟინებით, – ევროპული ჩვეულება არისო და ევროპელთან გატარებულ საღამოს ასე შეეფერებაო, – ყველა ქართველმა ქალმა წასვლის წინ პიშჩევიჩს აკოცა. პიშჩევიჩს ყველაზე მეტად თექვსმეტი წლის „ნინა“ მოსწონებია, რომელიც ხილით უმასპინძლდებოდა და თან „ლამაზ ალექსანდრედ“ მოიხსენიებდა. იზმაილოვის მეუღლემ ნინას რაღაცა ჩასჩურჩულა, და ისიც, მეგობრებთან ერთად გასული, ნახევარ საათში მობრუნდა და თავი პიშჩევიჩს მისცა. მომდევნო ღამეებსაც ერთად ატარებდნენ, სანამ ქმარმა, შეძლებულმა ვაჭარმა, არ გაიგო ყველაფერი, ნინა არ სცემა და თავის მეგობარ აზნაურთან სოფელში არ გამოამწყვდია; იზმაილოვსა და მის მეუღლეს კი ემუქრებოდა, მაგრამ პიშჩევიჩმა ეს მუქარები არაფრად ჩათვალა (პიშჩევიჩი 1885: 62-63). მოგვიანებით იზმაილოვის მეუღლემ კვლავ დაპატიჟა თავისთან მეგობარი ქალები, რაც იგივენაირად დასრულდა. იზმაილოვთან სტუმრად მოსული სხვა ქალებიც გამხდარან, ამგვარად, პიშჩევიჩის საყვარლები, სანამ „დიდი მსხვერპლი“ არ გაიღო, და მხოლოდ ერთ ახალგაზრდა ქვრივზე გაჩერდა, რომლის ერთგულიც თბილისში ყოფნის ბოლო დღემდე დარჩა. პირველი ინტიმური პაემანი მათ აბანოში ჰქონიათ (პიშჩევიჩი 1885: 63-64).

ამასობაში (შუა ქალების დევნაში) თბილისში პოტიომკინიც ჩამოვიდა, რომელიც დიდი ზარ-ზეიმით მიუღიათ. პოტიომკინს თბილისში შვიდი დღე გაუტარებია, და ყოველ დღე მეფე ირაკლისთან თურქების საწინააღმდეგოდ მოლაპარაკებებს აწარმოებდა (პიშჩევიჩი 1885: 64).

პოტიომკინი, რომელიც, პიშჩევიჩის დახასიათებით, „ტყვიების ზუზუნის დიდი მოძულე გახლდათ“ (პიშჩევიჩი 1885: 94), კავკასიის ხაზზე უნდა გაბრუნებულიყო, სამოილოვი კი საქართველოში დარჩა და „ლეკების მიწაში რუსულ ლაშქართან ერთად, ქართული ლაშქრის დახმარებით“ უნდა წასულიყო. პიშჩევიჩმა სამოილოვთან დარჩენა ამჯობინა, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად (პიშჩევიჩი 1885: 64-65).

შემდგომ პიშჩევიჩი გადმოსცემს ლაშქრობისა და მდინარე ალაზანთან გამართული ბრძოლის დეტალებს (პიშჩევიჩი 1885: 65-67), რაც სხვა ნაშრომში დეტალურადაა განხილული (ფაღავა 2023ბ: 292-298). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ პიშჩევიჩი დიდ დროს უთმობს ორი ოფიცრის ღამის ფათერაკის აღწერას; ამასთანავე აღნიშნავს ქართველების ცრუმორწმუნეობას (პიშჩევიჩი 1885: 65-66). მემუარების სხვა ადგილებში პიშჩევიჩი ორჯერ გაკვრით ახსენებს მომხდარ ბრძოლასა და მის გამოსავალს (პიშჩევიჩი 1885: 69, 77); ერთგან კიდევ პიშჩევიჩი ახსენებს იმ სამხედროს ვინაობას, – პოდპოლკოვნიკი (?) კიშენსკი, – რომელიც სამოილოვმა გააგზავნა კნიაზ (?) პოტიომკინთან ლეკებთან ბრძოლის შესახებ პატაკით; ამ კაცში „უპოვიათ იშვიათი უნარი სიცრუე ჭეშმარიტებად გაესაღებინა, და იმ დროიდან დაიწყო მისი წინსვლა“ (პიშჩევიჩი 1885: 227). თითქოს ისე გამოდის, რომ რუსულ-ქართული ლაშქრის გამარჯვება სულაც არ ყოფილა ისეთი ცალსახა და მასშტაბური, როგორც წარმოადგინეს (საბრძოლო მოქმედებების შესახებ ანგარიშების შელამაზების პრაქტიკა, ეტყობა, გავრცელებული რამ იყო: სხვა ადგილას პიშჩევიჩი აღნიშნავს, რომ ჩერქეზებთან სამხედრო შეტაკებაში წარუმატებლობა პატაკში არ აუსახავთო (პიშჩევიჩი 1885: 94-95).

თბილისში დაბრუნების შემდეგ სამოილოვი მალევე გაუდგა უკანა გზას ჩრდილო კავ-

კასიაში – ზამთარი ახლოვდებოდა და გზები გადაიკეტებოდა. აღალი პიშჩევიჩს ჩაბარეს, წინ გაუშვეს, და თან 40 ეგერი, 30 დრაგუნი და 20 კაზაკი დაუქვემდებარეს. ქუმლიციხემდე ის იზმაილოვებმა, კრასინსკიმ და საყვარელმა ქვრივმა გააცილეს (პიშჩევიჩი 1885: 67).

დუშეთის გზაზე პიშჩევიჩმა ერთი ციებ-ცხელებით შეპყრობილი ქართველი იპოვა, რომელიც ოთხთვალათი დუშეთში ჩაიყვანა. ამ „სოფელში" პიშჩევიჩს ეახლა იმ კაცის ბატონი, რომელმაც მადლიერებით, უფრო კი ლაჩრობით (ვინაიდან ქართველების თვისებაა გამვლელ რაზმს მოწინება დაანახონო) ღამე გაჩერება პიშჩევიჩს თავისთან შესთავაზა. რუს ოფიცერს დიდად არ აინტერესებდა წინაპართა საქველო საქმეების შესახებ ქართველების უთავბოლო თხრობის მოსმენა, რითაც ყოველთვის სტუმრის გართობას ცდილობდნენ, მაგრამ რაღაც წინათგრძნობით შეპყრობილმა დაპატიჟება მაინც მიიღო. მასპინძელი ბევრ სისულელეს უყვებოდა, მათ შორის, ლეკების შიშიც ახსენა, რომელიც მეურნეობის უკეთ წარმართვაში უშლიდა ხელს. შემდეგ კი დასაძინებლად პიშჩევიჩი ცალკე ოთახში დაწვა, სადაც, ჰოი საოცრებავ, თბილისელი ნინა ეწვია, რომელიც თურმე სწორედ ამ აზნაურთან ყოფილა გამომწყვდეული (პიშჩევიჩი 1885: 67-78).

ანანურში ჩასული პიშჩევიჩი კვლავ ნინამ გააოგნა, რომელიც კაცის ტანსაცმელში გადაცმული, ცხენით ეწვია. ღამე ერთად გაატარეს, და ერთმანეთს მეორე დღეს დაშორდნენ (პიშჩევიჩი 1885: 68-69).[4]

ქუმლიციხეში ორ დღეში სამოილოვიც ჩამოვიდა. გადასასვლელების თოვლით დაფარვის გამო გადაწყდა აღალი ქართლში დაეტოვებინათ, გარდა ერთი ზარბაზნისა, რომელიც კავკასიის ხაზიდან იყო აღებული და რომლის უცხო მიწაში დატოვებაც სამოილოვისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. უამინდობაში მთის მოუწყობელი გზებით ზარბაზნის ტრანსპორტირებაში პიშჩევიჩმა თავი გამოიჩინა. ბოლოს ვლადიკავკაზში ჩავიდნენ. იქიდან სამოილოვმა პიშჩევიჩი შესაბამისი ცნობით პოტიომკინთან გეორგიევსკში გააგზავნა (პიშჩევიჩი 1885: 69-70).

პეტერბურგში გამგზავრებისას სამოილოვს სურდა პიშჩევიჩი თან წაეყვანა, კნიაზ პოტიომკინისათვის წარსადგენად, რაც, უსათუოდ, კარიერაში დაეხმარებოდა, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, პიშჩევიჩი სამოილოვს ვერ გაჰყვა (პიშჩევიჩი 1885: 70).

ასე და ამდაგვარად დასრულდა პიშჩევიჩის მივლინება ქართლ-კახეთის სამეფოში.

ის კი უნდა აღინიშნოს, რომ 1785 წელს მან იმავე გეორგიევსკში თბილისის რუკა შეადგინა, მაგრამ თავის მემუარებში ამაზე არაფერს წერს.

სამაგიეროდ ერთგან ახსენებს, რომ „საქართველოში მოგზაურობამ და თბილისურმა მხიარულმა ცხოვრებამ" თითქმის გააკოტრეს (პიშჩევიჩი 1885: 73)

III. ალექსანდრე პიშჩევიჩი ახსენებს და ზოგჯერ ახასიათებს რუსეთის იმპერიაში მოღვაწე რამდენიმე ქართველს:

ირაკლი II-ის ვაჟს, სასულიერო წოდების კაცს (ანტონი, მომავალში კათალიკოსი), სანქტ-პეტერბურგში მიმავალს, რომელიც სტავროპოლში შეხვდა, 1784 წელს (პიშჩევიჩი 1885: 49);

კიდევ ერთ ბატონიშვილს (მირიანს), რომელსაც პიშჩევიჩი იმავე დროსა და ადგილას შეხვდა; მირიანი რუსულ სამსახურში პოლკოვნიკად მიიღეს – პიშჩევიჩს სასაცილოდ ეჩვენება, რომ მეფე ირაკლის ძე პოლკოვნიკად ძლივს მიიღეს (პიშჩევიჩი 1885: 49). იმავე ბატონიშვილ მირიანს პიშჩევიჩი შემდეგაც შეხვდება, 1788 წელს: მირიანი იმ დროისთვის კავკასიის ხაზზე განლაგებული თბილისის ქვეითთა პოლკის პოლკოვნიკად დანიშნეს; ბატონიშვილს უთხოვია პიშჩევიჩისთვის თან ხლებოდა, მაგრამ პიშჩევიჩმა შეამჩნია, რომ ბატონიშვილი არ ჩქარობდა, ორი მიზეზით: 1) ოთხვალები უნდა შეეკეთებინა, ვინაიდან „ქართული ყაირათი" უკრძალავდა ახლების ყიდვას; 2) ბოლომდე უნდა მიეყვანა სასიყვარულო ინტრიგა ერთ მდივნის ქალიშვილთან, რომელსაც უკვე სამი წელია, რაც დასდევდა. პიშჩევიჩმა გადაწყვიტა ამ „გეორგიანულ გათვლებში" არ შესულიყო და მირიანს აღარ დაელოდა (პიშჩევიჩი 1885: 110);

გენერალ-მაიორ თავად რატიევს (1788 წ.), რომელიც ყუბანზე სამხედრო რაზმს მეთაურობდა და ჩერქეზთა 700-კაციანი რაზმიც კი გააქცია (ამ ბრძოლაში პიშჩევიჩიც მონაწილეობდა) (პიშჩევიჩი 1885: 113);

თავისივე (ასტრახანის დრაგუნთა) პოლკის კაპიტან ორბელიანს („Арбельянов"); პიშ-

ჩევიჩი მასთან ჩერდება, და მისგანვე ფულს სესხულობს, შემდეგ კი უბრუნებს (1788 წ.) (პიშჩევიჩი 1885: 106, 109-110);

პრემიერ-მაიორ მახვილოვს, რომელიც 1789 წელს წინამორბედის სიკვდილის შემდეგ ასტრახანის დრაგუნთა პოლკის მეთაური გახდა. პიშჩევიჩი მას ახასიათებს როგორც კეთილ, სამსახურში გამოცდილ, და პურმარილიან; თუმცა, აღუზრდელ და ფულზე გაგიჟებულ ადამიანს. მეუღლეც ქართველი ჰყავდა, ჭკვიანი ქალი, თუმცა კი მზაკვარი და დიდი ფარისეველი. პიშჩევიჩი აღწერს, მახვილოვმა თუ როგორ გაასხვისა წინამორბედი პოლკოვნიკის ქონება პოლკშივე აუქციონზე, ჩალის ფასად, ოფიცრებიც ახეირა და თავადაც იხეირა – საუკეთესო ნივთები ჩაიგდო ხელში (პიშჩევიჩი 1885: 117-118); პიშჩევიჩი სწორედ ამ მახვილოვის პოლკში მსახურობდა (პიშჩევიჩი 1885: 119-121), რომელიც საქმის მცოდნე მეთაური აღმოჩნდა (პიშჩევიჩი 1885: 146). მახვილოვი 1791 წელს გარდაცვლილა, დამბლა დაემართა (პიშჩევიჩი 1885: 142);

თავად სალაგოვს/სალაღოვს (“Салагов”) (სიმონ ივანეს ძე სოლოღაშვილი?), გრაფ სალტიკოვის კანცელარიის მმართებელს, რომლის გულიც მოიგო მახვილოვმა (პიშჩევიჩი 1885: 117), და რომელმაც ხელი შეუშალა, ან, ყოველ შემთხვევაში, არ შეუწყო (ქრთამის გარეშე) პიშჩევიჩის სამსახურეობრივ დაწინაურებას (პიშჩევიჩი 1885: 118-119);

ვინმე ფანჩულიძეს, ქალაქ სარატოვში სახაზინო პალატის მრჩეველს, რომლის ცოლიც, 25 წლის ქალი, პიშჩევიჩს 1793 წელს შეუყვარდა (პიშჩევიჩი 1885: 161-162, 171, 184-186);

გენერალ გუდოვიჩის საქმის მწარმოებელს, სამსახურიდან გადამდგარ პოდპოლკოვნიკ ყანდაუროვს, კანონების სრულყოფილად მცოდნეს (1793 წ.) (პიშჩევიჩი 1885: 168).

პიშჩევიჩი ახსენებს იმ რუს ოფიცრებსაც, რომლებიც ადრე ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწეობდნენ:

ბურნაშევს, რომელიც 1787 წელს, „მას შემდეგ რაც რუსეთმა საქართველო სრულიად საკუთარი ბედის ანაბარა დატოვა“, კნიაზ პოტიომკინთან მიემგზავრებოდა, და რამდენიმე დღით ქ. ალექსანდროვში გაჩერდა, დეპრერადოვიჩთან, სადაც პიშჩევიჩმაც ნახა (პიშჩევიჩი 1885: 97).

პოდპოლკოვნიკ ფიოდორ კარპოვის ძე სენინბერგს, რომელსაც პიშჩევიჩი 1789 წელს კიზლიარში შეხვდა (პიშჩევიჩი 1885: 120), 1791 წელს კი პოდპოლკოვნიკი სენინბერგი სუჯუქ-კალეზე რუსთა შეტევას მეთაურობდა (მის რაზმში პიშჩევიჩიც იყო; სუჯუქ-კალე დაცარიელებული დახვდათ – თურქები ხომალდებით თრაბზონში წასულან, თუმცა ზარბაზნები დაუტოვებიათ) (პიშჩევიჩი 1885: 141-142).

თომა ბოგდანეს ძე კრასინსკის, რომელსაც გაუმეზობლდა პიშჩევიჩი სამსახურიდან გასვლის შემდეგ (პიშჩევიჩი 1885: 259).

IV. ალექსანდრე პიშჩევიჩის ნაწერები სავსეა რუსეთის იმპერიაში, კერძოდ, მის ჯარში გაბატონებული კორუფციის შემთხვევების აღწერით (პიშჩევიჩი 1885: 25; 158-159; 176-177); (პიშჩევიჩი 1886ა).

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ალექსანდრე პიშჩევიჩის ცნობები, მისივე სიტყვები რომ მოვიყვანოთ, „სამხედრო დესპოტიზმის“ შესახებ; იგულისხმება რუსეთის იმპერიის *შიდა გუბერნიებში* (და არა კავკასიაში) დისლოცირებული სამხედროების სამოქალაქო მოსახლეობაზე ძალადობა. აღსანიშნავია, რომ სამხედროების მსხვერპლს წარმოადგენდა არა მარტო სოფლის მოსახლეობა საჯარისო ნაწილების განლაგების ადგილებში (პიშჩევიჩი 1885: 206-207); (პიშჩევიჩი 1886ა), არამედ ქალაქელებიც (პიშჩევიჩი 1886ა). ამ მხრივ განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია ასაკოვანი მეშჩანი კარასევის და მისი „პატიოსანი“ ახალგაზრდა მეუღლის 1816 წელს მომხდარი ამბავი: ცოლ-ქმარი შინ გვიან ბრუნდებოდა; დააკავეს და ჰაუპტვახტში მიიყვანეს, სადაც ცალ-ცალკე მიუჩინეს ადგილი. ღამე ცოლზე რიგ-რიგობით იძალადეს ჯერ ყარაულის ოფიცერმა, შემდეგ კი ყარაულის ყველა ჯარისკაცმა. ქმარი საჩივლელად კორპუსის მეთაურთან, გრაფ პალენთან რომ მივიდა, პალენმა ცოლიც დაიბარა; მისი ახალგაზრდობა და მოხდენილობა რომ ნახა, ქმრის ასაკს დასცინა და ქალს უწმაწურად ელაპარაკა (პიშჩევიჩი 1886ა). სოფლად სამხედროები ყმა-გლეხების გატაცებითაც კი იყვნენ დაკავებულნი (1817 წლის ცნობა) (პიშჩევიჩი 1886ა).

ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარების მიხედვით, სხვათა შორის, შესაძლებელია მსჯე-

ლობა კავკასიის დაპყრობისას (სავარაუდოდ, საომარი მოქმედებების სხვა თეატრებზე-დაც) რუსეთის იმპერიის ჯარის მოქმედების წესზე; კერძოდ, მშვიდობიანი მოსახლეობის-ადმი მოპყრობაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ოსმალებისგან ქალაქ ანაპის აღებისას რუსი ჯარისკაცების მიერ ქალებისა და ჩვილების ხოცვა (პიშჩევიჩი 1885: 141).

პიშჩევიჩის თხზულებების აღნიშნული ადგილები შედარებითი ანალიზისთვის შესაძ-ლოა გამოადგეს საქართველოში შეყვანილი რუსი სამხედროების მოქმედებების მკვლე-ვარს – გრაფ ტოტლებენის ექსპედიციით დაწყებული, და XIX საუკუნის პირველი ათწლე-ულების მოვლენებით დამთავრებული.

V. საყურადღებოა დედ-მამით სერბი პიშჩევიჩის ეროვნული თვითაღქმაც.

ერთ-ერთ ნაწერში ავტორი თითქოს ერთგვარ *სეჰბუღ სანტიმენტებს* გამოხატავს – გა-მოთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ რუსეთის იმპერიაში ჰაბსბურგთა სახელმწიფოდან გადმოსახლებულ სერბთა დასახლებებს სერბული სახელწოდებები ადგილობრივი წარ-მოშობის ტოპონიმებით შეუცვალეს; რუსეთის იმპერიის წინაშე სერბების დამსახურების გათვალისწინებით ამ ქმედებას უსამართლობად თვლის (პიშჩევიჩი 1884).

მეორე მხრივ, საყურადღებოა პიშჩევიჩის დამოკიდებულება თავის *თანამემამუღეთა* მიმართ. სერბების მიმართ პიშჩევიჩი საკმაოდ სკეპტიკურად და, ჩანს, ნეგატიურადაც კი არის განწყობილი, ყოველ შემთხვევაში, აუგად ახსენებს მათ და მათ ჩვეულებებს: წერს სერბების ქედმაღლობაზე, შურიანობაზე, უწესო ღრეობაზე, ერთგვარი ირონიით – სერბე-თის ისტორიის გახსენებაზე (პიშჩევიჩი 1885: 7; 18-19, 27, 30); იხსენებს უზრდელ ჯიუტ სერბ ქალს (პიშჩევიჩი 1885: 97).

ამასთანავე პიშჩევიჩი არ იშურებს დითირამბებს ველიკორუსი ჯარისკაცებისთვის (პიშჩევიჩი 1885: 36-7, 119).

მემუარების ორ ადგილას პიშჩევიჩი გამოთქვამს მწუხარებას, რომ მისი გამზრდელე-ბი ძალიან ირჯებოდნენ, უცხო ენები ესწავლა, „მშობლიურ“, რუსულ ენაზე კი ოთხი (სხვა-გან – ათი) სტრიქონის გადაბმაც კი არ უსწავლებიათ (პიშჩევიჩი 1885: 13, 15). სერბული ენა პიშჩევიჩმა, როგორც ჩანს, არც კი იცოდა (პიშჩევიჩი 1885: 27).

რომ შევაჯამოთ, პიშჩევიჩს ახსოვს თავისი წარმოშობა, მაგრამ *სეჰბობა* მისთვის რე-ალურად დიდ არაფერს ნიშნავს: სამშობლოდ რუსეთს თვლის (პიშჩევიჩი 1885: 8, 77), მისი ერთგულია და რუსობს, რის გამოც არანაირი განცდა არ გააჩნია. ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარები შესანიშნავად ასურათებს უკვე მეორე თაობაში რუსეთის იმპერიაში მოღვაწე სერბის პრაქტიკულად სრულ დეეთნიზაციას, რუსად გადაქცევას (შდრ., სკვორცოვა 2021).

ვფიქრობთ, შესაძლებელია პარალელი გავავლოთ ვახტანგ VI-ის ამალაში და უფრო გვიანაც რუსეთის იმპერიაში გადახვეწილი ქართველებისა და მათი შთამომავლების თვითიდენტიფიკაციის ევოლუციასთან.

განხილვა

ალექსანდრე პიშჩევიჩის ცნობების ისტორიოგრაფიულ ღირებულება-მნიშვნელო-ბის განხილვისას, პირველ რიგში უნდა დაისვას კითხვა, რამდენად სანდო წყაროა მი-სი მემუარები თუ სხვა თხზულებები?

ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარების სანდოობასა თუ სერიოზულობაში ეჭვს აღ-ძრავს ორი გარემოება: 1) ავტორის თავისი ინტიმური ცხოვრების წარმოჩენითა თუ და-ხატვით გატაცება; 2) ავტორის ეგოცენტრიზმი და ფუქსავატობა.

უკვე გამოითქვა მოსაზრება, რომ სწორედ პიშჩევიჩის, ასე ვთქვათ, *ინტიმუჰი ექსგი-ბიციონიზმი* უშლიდა ხელს მკვლევართ, მეტი ნდობა ჰქონოდათ მისი მემუარების მი-მართ, ისინი მეტად გამოეყენებინათ (პლეშაკოვი 2008: 47); (პივოვაროვა 2014: 441-442).

აღნიშნული მიდგომა (რომელიც, ბუნებრივია, XX საუკუნის ისტორიოგრაფთა მო-რალზე მსჯელობისთვისაც გამოდგება) გამართლებულად არ მიგვაჩნია. მორალური მოსაზრებებით ამ პირველწყაროს იგნორირება მეცნიერი ისტორიკოსისთვის შეუფერ-ებელი ფარისევლობა იქნებოდა.

თუმცა, საკითხავია, რამდენად შეესაბამება ეს ინტიმური თავგადასავლები რეალ-

ობას, და თუ არა, სათუო ხომ არ ხდება პიშჩევიჩის სხვა ცნობების რეალობაც? ჩვენი აზრით, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ არის რთული. გასაგებია, რომ სექსი ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო XVIII საუკუნეშიც. სხვა ამბავია, რომ მრავალი თანამედროვისგან განსხვავებით ალექსანდრე პიშჩევიჩმა ამჯობინა წარმოეჩინა თავისი ცხოვრების ეს მხარეც. ჩვენი აზრით, აღნიშნული გარემოება არ აკნინებს მისი მემუარების სანდოობას. ცხოვრების ინტიმური მომენტების აღწერის სიუხვით პიშჩევიჩის მემუარები კი მოგვაგონებს (თუმცა, მაინც, ვერ ეწევა) ჯაკომო კაზანოვას *Histoire de ma vie*, მაგრამ ისეთს არაფერს შეიცავს, რაც ვერ გარდახდებოდა დაუოჯახებელ, ასე თუ ისე უზრუნველყოფილ, მეტ-ნაკლებად მომხიბვლელ, ახალგაზრდული ჰიპერსექსუალობით შეპყრობილ აზნაურსა და ოფიცერს. ერთადერთ გამონაკლისს, რომელიც ბელეტრისტიკას წააგავს (მოგვაგონებს ეპოქის გრივუაზულ ლიტერატურას, მაგალითად, იან პოტოცკის რომანს *Manuscrit trouvé à Saragosse*), და შეიძლება ნამდვილად ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყოს, არის ავტორის ინტიმური თავგადასავლები („ნინასთან“ და სხვა ქალებთან) სწორედ ქართლ-კახეთის სამეფოში. სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის სექსუალური ცხოვრება, როგორც ისტორიოგრაფიული თემა, ნაკლებად შესწავლილი (რომ არ ვთქვათ, სრულად შეუსწავლელი) ჩანს; ამრიგად, არ გვაქვს მასალა შედარებისთვის. აქედან გამომდინარე, მოვუწოდებთ დაინტერესებულ მკითხველს, – პიშჩევიჩის მონათხრობის ამ ფრაგმენტს სიფრთხილით მოეკიდოს. ქართლ-კახეთის სამეფოში პიშჩევიჩის ყოფნის დროინდელი სხვა ამბების შესახებ მონაყოლი კი, რაგინდ ცოცხალიც იყოს, უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება.

ალექსანდრე პიშჩევიჩის მოგონებების, როგორც ისტორიული პირველწყაროს მნიშვნელობას აკნინებს მისი კონცენტრირება ყოველდღიურობაზე, მაშინ როდესაც ბევრად უფრო გლობალური საკითხები (ომები და ბრძოლები, უცხო ქვეყნებისა და ხალხების აღწერა) ავტორს ნაკლებად აინტერესებს. ეგოცენტრიზმი მემუარული ლიტერატურისთვის ბუნებრივიცაა; პიშჩევიჩიც, ჩანს, მოცალეობის ჟამს *თავისთვის* წერდა, წერდა იმას და მხოლოდ იმას, რაც თავად აინტერესებდა, ან მოაგონდა (თუ მაშინვე ჰქონდა ჩანიშნული), და, ბუნებრივია, წერდა თავის თავზე. სამწუხარო კი ისაა, რომ, მისი მემუარებით თუ ვიმსჯელებთ, პიშჩევიჩი ეგოცენტრიკოსის გარდა საკმაოდ ქარაფშუტა და ფუქსავატიც ყოფილა. მან ვერ გამოავლინა განსწავლული დამკვირვებლისთვის შესაფერისი უნარი, დაენახა და ყურადღება გაემახვილებინა ჭეშმარიტად მნიშვნელოვანზე, – თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის უშუალო მონაწილე *თავად* იყო. ამაზე ცალსახად მიუთითებს მისი ცნობების *სტატისტიკური ანალიზი*. ქართლ-კახეთის სამეფოში მის ყოფნასა და თავგადასავლებს 1885 წლის გამოცემის 665 სტრიქონი ეთმობა. იკვეთება შემდეგი ეპიზოდები (მათი მოცულობა სტრიქონებშია მოცემული, და საერთო რაოდენობის პროცენტულ წილში):

1) მგზავრობა ლარსიდან თბილისამდე (ბურნაშევთან შეხვედრის გამოკლებით): 289 სტრიქონი/43.5%
2) ერთადერთი (?) შეხვედრა და საუბარი ბურნაშევთან: 10 სტრიქონი/1.5%
3) მსჯელობა ქართველების ეროვნულ ხასიათზე: 11 სტრიქონი/1.7%
4) მეფე ირაკლისთვის წერილის გადაცემა, საუბარი მეფესთან: 8 სტრიქონი/1.2%
5) მსჯელობა ქართლ-კახეთის სამეფოში რუსი ოფიცრების ქცევაზე: 7 სტრიქონი/1.1%
6) ახალი ნაცნობობების შეძენა: 5 სტრიქონი/0.8%
7) თბილისელთა დროსტარების აღწერა და მიღებული შთაბეჭდილება: 11სტრიქონი/1.7%
8) იზმაილოვების წყვილთან ურთიერთობა და ინტიმური თავგადასავლები, თბილისში ყოფნისას და უკანა გზაზე: 165 სტრიქონი/24.8%
9) პოტიომკინის ყოფნა თბილისში და მოლაპარაკებები ირაკლისთან: 10 სტრიქონი/1.5%
10) გადაწყვეტილების მიღება – საბრძოლო მოქმედებებში მიიღოს მონაწილეობა: 6 სტრიქონი/0.9%

11) ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობისა და ბრძოლის აღწერა-შეფასება (თანამოსამსახურე ოფიცრების ღამის ფათერაკის გარდა): 46/6.9% (აქედან უშუალოდ ბრძოლის აღწერა 18 სტრიქონი/2.7%)
12) თანამოსამსახურე ოფიცრების ღამის კომიკური ფათერაკი: 44 სტრიქონი/6.6%
13) დაბრუნება კავკასიის ხაზზე, ვლადიკავკაზამდე (აღალისა და ზარბაზნის ტრანსპორტირება): 53 სტრიქონი/8.0%

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე პიშჩევიჩს არ აინტერესებს პოლიტიკა და გამოჩენილი ადამიანები; დიდი ამბები, რომელშიც მონაწილეობა ბედმა არგუნა; და არც დიდი ადამიანები, ვისთანაც ცხოვრებამ შეახვედრა – მათ ყველას უთმობს თავისი მონათხრობის მხოლოდ 4.2%-ს.

მართალია, ეთნოგრაფიული (და ბუნებაზე) დაკვირვებებით (ობიექტურობა სათუოა?) გაჯერებულია მისი თბილისამდე და უკან მგზავრობის აღწერილობა, მაგრამ თითქმის ყველა შემთხვევაში პიშჩევიჩი თავის თავზეა კონცენტრირებული, იმაზე, რაც მის თავს გადახდა, და გარემოც მეტწილად მხოლოდ ამ კუთხით აინტერესებს (53.1%).

თეორეტიკოსი ნამდვილად არ არის, ერიდება განზოგადებას – სრულიად უცხო ქვეყანაში უცხო ტომის ხალხთან ჩასული, ქართველთა ეროვნულ თვისებებს პიშჩევიჩი მონათხრობის მხოლოდ 1.7%-ს უთმობს (თუმცა, ალაგ-ალაგ წაკბენს ხოლმე).

უნდა ითქვას, რომ სულ არ აინტერესებს ქართლ-კახეთის სამეფოში მოღვაწე რუსებიც; თბილისში მოსამსახურე რუსებსა და მათ ყოფა-ქცევას მემუარების მხოლოდ 1.8%-ს უთმობს.

პიშჩევიჩი არც სამხედრო მოქმედებებით ჩანს მაინცდამაინც დაინტერესებული. მიუხედავად სამხედრო ისტორიისა და საქმისადმი ბავშვობიდანვე დაინტერესებისა (ყოველ შემთხვევაში, თავად ასე წერს) (პიშჩევიჩი 1885: 14, 82), პროფესიით სამხედრო იმ ლაშქრობასა და ბრძოლას, რომელშიც პირადად მიიღო მონაწილეობა, ტექსტის მხოლოდ 7.8%-ს უთმობს. ამასთანავე, ვერ არჩევს სერიოზულს წვრილმანისგან, და თითქმის იმდენივე ყურადღებას უთმობს ორი გზააბნეული ოფიცრის ღამის ფათერაკს, ანუ, თუნდაც „სახალისო", მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ამბავს (6.6%).

სამაგიეროდ ქალები და ქალების დევნა, ინტიმური თავგადასავლები – ამაზე მოდის მემუარების შესაბამისი თავების თითქმის მეოთხედი (24.8%).

რომ შევაჯამოთ, ალექსანდრე პიშჩევისთვის მნიშვნელოვანია, ახსოვს (აღწერილი აქვს) და მემუარებში შეტანის ღირსად თვლის იმას, რაც უშუალოდ მას და მის ცხოვრებას ეხება; დანარჩენი კი ნაკლებად აღელვებს.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარები მაინც მნიშვნელოვან პირველწყაროდ მიგვაჩნია. მართალია, რომ ეგოცენტრიკოს ავტორს გარემო – მოვლენები, ადამიანები, პროცესები – თითქმის არ აინტერესებს და მხოლოდ თავის თავზე, თავის განცდებზე (მინიმალურად) და (ძირითადად) თავის თავგადასავლებზე კონცენტრირდება. მაგრამ განგებამ ალექსანდრე პიშჩევიჩს საკმაოდ აქტიური ცხოვრება არგუნა. სანამ სამხედრო სამსახურს დატოვებდა, ბევრ რამეში მიიღო მონაწილეობა, ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ადამიანს შეხვდა. მართალია, წამყვან პოზიციებზე არასდროს იყო, თავად არ წარმართავდა მოვლენებს, მაგრამ აქტიურად კი იყო მათში ჩართული; გარემოსთან აქტიური ურთიერთქმედება უწევდა, რაც სათანადოდ აირეკლა კიდევაც მის მემუარებში. ალექსანდრე პიშჩევიჩს აინტერესებდა არა იმდენად გარემო, როგორც თავისი თავი, ამა თუ იმ გარემოში; მაგრამ თავისი თავისა და გარემოს ურთიერთქმედების აღწერისას ძალაუნებურად გარემოზედაც ძალიან ბევრი საინტერესო ცნობა დაგვიტოვა.

ავტორის თავის თავზე კონცენტრაცია, ისტორიოგრაფისთვის გარკვეული სარგებლის მომტანიც კი აღმოჩნდა. პიშჩევიჩს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემოზე ბევრად მეტად თავისი თავი აინტერესებდა (თუნდაც ამ გარემოში და ამ გარემოსთან ურთიერთქმედებაში); ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარემოს, რომელიც მისთვის უფრო პერიფერიული მნიშვნელობის მატარებელია, პიშჩევიჩი უფრო ობიექტურად უდგება, ძალაუნებურად მიუკერძოებელ, სუბიექ-

ტივიზმისგან შედარებით თავისუფალ დამკვირვებლად წარმოგვიდგება (ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ გარემოს ყოველთვის სრულად და სწორად აღიქვამს და ადეკვატურ ინტერპრეტაციას უკეთებს, მით უფრო უცხო ქვეყანასა და ხალხში, რომლის ენასაც კი არ ფლობს).

ის კი უნდა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში ჩასულ საკმაოდ ახალგაზრდა ალექსანდრე პიშჩევიჩს მახვილი სმენა (ფხიზელი თვალიც?) აქვს, გლობალური თუ ნაკლებ აინტერესებს, წვრილმანებს კი აქცევს ყურადღებას, ამჩნევს და აღწერს. ასე, მაგალითად, მოჰყავს ოთხი სხვადასხვა გამოთქმა ქართულ ენაზე, რუსული ტრანსკრიფციით, და ყველა შემთხვევაში ამას სწორად აკეთებს. ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარებს კიდევ ერთი თვისება ახასიათებთ, რომელიც მკვეთრად ზრდის მათ სანდოობასა და, შესაბამისად, ისტორიოგრაფიულ ღირებულებას. ეს არის ავტორის ლამის ექსგიბიციონიზმამდე მიყვანილი გულღიაობა.

ის რომ ალექსანდრე პიშჩევიჩი ლიტერატორი იყო, ეჭვს არ იწვევს. თუმცა, საკითხავია, რამდენად სურდა ლიტერატურული აღიარება, – სხვანაირად რომ ვთქვათ, თავისთვის წერდა თუ გამოსაქვეყნებლად? მემუარების მკითხველს ნამდვილად რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი თავს არაფრით იზღუდავდა, და რასაც კი ფიქრობდა, არაფრის დაწერას ერიდებოდა. კარიერის შედარებითი წარუმატებლობით გამწარებული პიშჩევიჩი წერს „პირუტყვებზე, დიდებულებს რომ ვუწოდებთ“ (პიშჩევიჩი 1885: 77), პირდაპირ ასახელებს იმათ, ვინც მოატყუა და დაპირებული არ შეუსრულა, არ დაეხმარა. საზოგადოდ, ჯარში მსახურობის დროსაც არ ერიდებოდა ზემდგომთა გაკიცხვა-გაქილიკებას (პიშჩევიჩი 1885: 135, 139-140, 172-173) და მათთან უშუალო დაპირისპირებასაც (პიშჩევიჩი 1885: 79-82), რამაც შეუშალა კიდევაც წინსვლაში ხელი. პიშჩევიჩი დაპირისპირებულია მამასთან და ნაწყენია მასზე, არ ერიდება მის გაკრიტიკებას. მასხრად იგდებს და საყვედურობს უამრავ ადამიანს, ვისაც კი ცხოვრების გზაზე გადაეყარა. უკვე საყვარელ ქალზე დაქორწინებული, პიშჩევიჩი წარმოაჩენს თავის ყველა (ყოველ შემთხვევაში, მრავალ) ინტიმურ კავშირს და ყოველთვის პირდაპირ საუბრობს, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე (მხოლოდ სქესობრივი აქტის აღწერას ერიდება, ყოველთვის ნართაულად აღნიშნავს). საყურადღებოა, რომ პიშჩევიჩი ყველა შემთხვევაში უთითებს თავისი საყვარელი ქალებისა და გამასხარავებულ-გაბითურებული ქმრების ზუსტ ვინაობასაც. რაც მთავარია, ალექსანდრე პიშჩევიჩს შეგნებული აქვს, რომ *თავისებური მოხაღი* აქვს – შეყვარებულია ბიძაშვილზე, და მხოლოდ შემთხვევითობაა, რომ მასთან ინტიმური კავშირი არ ჰქონია (პიშჩევიჩი 1885: 34); ცდილობს და ახერხებს ინტიმური კავშირი გააბას იმ კაცის ცოლთან, ვინც მეგობრად თვლიდა, და ვისაც პიშჩევიჩი თავადაც ეამხანაგებოდა (პიშჩევიჩი 1885: 111-112, 116, 120, 248); ან იმ კაცის ცოლთან, ვინც თავის დროზე გაჭირვებაში ფულით დაეხმარა (პიშჩევიჩი 1885: 248). ალექსანდრე პიშჩევიჩის მორალის (თუ ამორალურობის) კვლევა თუ შეფასება არ წარმოადგენს ჩვენს ამოცანას, მის მორალურ კრედოს აბსოლუტურად მიუკერძოებლად ვუდგებით.[5] მთავარი ისაა, რომ თავად პიშჩევიჩი თავს მტყუანად არ მიიჩნევს, თუმცა კი შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედებები საზოგადოებისთვის მიუღებელია; – და ამ ყველაფერს *მაინც თავადვე წეხს*.

სწორედ პიშჩევიჩის მემუარების ექსგიბიციონიზმი და გულღიაობა გვაფიქრებინებს, რომ იგი არ გეგმავდა მათ გამოქვეყნებას (თავის სიცოცხლეში მაინც). მონათხრობის დეტალიზაციის ხარისხის გათვალისწინებით, დარწმუნებულნი ვართ, რომ მემუარების წერისას პიშჩევიჩი ცდილობდა მაქსიმალური სიზუსტე დაეცვა, თავისი ცხოვრება მაქსიმალური სიზუსტით აღეწერა, იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მეხსიერება თუ თანადროული ჩანაწერები აძლევდნენ. კაცმა რომ თქვას, *თეატრალიზება* მხოლოდ თბილისელ ქალებთან ინტიმური კავშირების აღწერას თუ ეტყობა, თორემ ყველა დანარჩენ შემთხვევაში (რომელიც ამ სტატიაში არ არის განხილული) ისეთი არაფერი მომხდარა, რაც გარკვეული გამოცდილების მქონე ზრდასრულ მკითხველს წარმოუდგენლად მოეჩვენება.

ჩვენი აზრით, ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარებში დაცული ცნობები საკმაოდ სარწმუნოა და ნდობას იმსახურებს.

****

ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ქართველების შესახებ პიშჩევიჩის ცნობების მოკლედ გადმოცემა და მათი სანდოობის ხარისხის გარკვევა, და არა შესწავლა-ანალიზი. თუმცა, რამდენიმე საკითხს მაინც შევეხებით.

თვალში საცემია ალექსანდრე პიშჩევიჩის აგდებული, ირონიული და პირდაპირ რომ ვთქვათ, დამცინავი დამოკიდებულება ქართველებისა და ქართლ-კახეთის სამეფოსადმი. რთული სათქმელია, რა როლი ითამაშა ამგვარი განწყობის ჩამოყალიბებაში მისმა პირადმა გამოცდილებამ. პიშჩევიჩი ისედაც ძალიან სარკასტული ავტორია. თუმცა, თავისი მოგზაურობის აღწერისას ქართველების ეროვნულ თვისებებსა და მათ ყოფას პიშჩევიჩი მაინც გამორჩეულად ნეგატიურად გვიხატავს. რამდენად ადეკვატურია? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია სხვა თანადროულ პირველწყაროებთან შედარებითი ანალიზის ჩატარება, რაც სცდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს. საზოგადოდ კი, XVIII საუკუნის II ნახევარში რომ ქართველ ერს კვლავინდებურად არ ულხინდა, და რომ ქართული სახელმწიფოებრიობა ისევ ურთულესი გამოწვევების წინაშე იდგა – ეჭვს არ იწვევს. საზოგადოდ, პიშჩევიჩის ეთნოგრაფიული დაკვირვებები, გზად ლარსიდან თბილისამდე, თუ უშუალოდ თბილისელების ყოფაზე – საინტერესო და ზუსტ პირველწყაროდ მიგვაჩნია.

ორიგინალურია პიშჩევიჩის ცნობები რუსეთის იმპერიაში გადახვეწილი ქართველების შესახებ.

დიდია პიშჩევიჩის მემუარების სამხედრო-ისტორიული ღირებულებაც. ყურადღებას იპყრობს ცნობა რუსების პოსტზე ანანურთან; ქართლ-კახეთის სამეფოში რუსული კავალერიის დეფიციტზე (ეგერების ამხედრება მოუწიათ). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ძვირფასია პიშჩევიჩის ცნობები ლეკების საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებებზე. თვალში საცემია, თუ როგორი დაშინებულია ლეკიანობით ქართლ-კახეთის მოსახლეობა. პიშჩევიჩის მემუარები მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორი არამყარია, როგორი მოწყვლადია, ამ პერიოდში მაინც, კომუნიკაციები ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის.

პიშჩევიჩის თანახმად, საქართველოში პოტიომკინის ვიზიტის მიზანი ირაკლი II-სთან ანტიოსმალურ მოქმედებებზე შეთანხმება იყო.

საინტერესოა წარმოდგენა ირაკლი II-ის დროინდელ ქართლ-კახეთზე, როგორც ერთგვარ ფრონტირზე, სადაც შესაძლებელია კარგი კარიერის გაკეთება.

პიშჩევიჩი ინტიმურ გამარჯვებებს ქართლ-კახეთის სამეფოში, მისი მემუარების მიხედვით, უფრო ვაჭართა წრეში მოიპოვებდა ხოლმე, ცოლ-ქმარ იზმაილოვების მაჭანკლობის დახმარებით. თბილისელ, გათხოვილ თუ დაქვრივებულ ქალებთან ინტიმური კავშირები ახალგაზრდა, ჰიპერსექსუალური ავტორის ფანტაზიის ნაყოფიც რომ იყოს, გარკვეული ეთნოგრაფიული ჭეშმარიტების მარცვალი შესაძლოა მათ აღწერაშიც იყოს გარეული.

****

გამოვთქვამთ იმედს, რომ პიშჩევიჩის მემუარული მემკვიდრეობის ანალიზი ხელს შეუწყობს ქართლ-კახეთის სამეფოსა და XVIII საუკუნის ქართველობის ისტორიის შემდგომ კვლევას.

შენიშვნები

1 უფროსი პიშჩევიჩის თხზულების სათაური შეგნებულად ორთოგრაფიული შეცდომების გასწორების გარეშე მოგვყავს, თუმცა კი თანამედროვე ორთოგრაფიით. სიმეონ პიშჩევიჩი, როგორც ცნობილია, რუსულს არცთუ კარგად ფლობდა და მისი თხზულება, განსაკუთრებით მისი ადრეული ნაწილი, ენობრივად უფრო სერბო-რუსულ ნარევს წარმოადგენს. ალექსანდრე პიშჩევიჩის ენა კი უკვე მეტ-ნაკლებად გამართულია და საკმაოდ განაფუღლიც.

2 ლიდია პივოვაროვას ორი ნაშრომი თავად ავტორმა მოგვაწოდა, ჩვენი თხოვნის საპასუხოდ.

ორივე ტექსტი ავტორმა Microsoft Word-ის ფორმატში გამოგვიგზავნა; ორივე სამეცნიერო აპარატით იყო აღჭურვილი და სამეცნიერო სტატიის ფორმა ჰქონდა მიცემული; ოღონდ, არ იყო მითითებული პუბლიკაციის ადგილი. ინტერნეტში აღნიშნული ნაშრომები, ამ სახელწოდებით მაინც, ვერ იძებნება. მივმართეთ ავტორს დამატებითი შეკითხვით, ეს ნაშრომები უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, თუ გამოსაქვეყნებლად გადაცემული. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზით, ჩვენი მიმოწერა ამ ეტაპზე შეწყდა, და ამ საკითხის გარკვევა ვერ მოვახერხეთ. ვსარგებლობთ შემთხვევით ჩვენი გულითადი მადლობა მოვახსენოთ ლიდია პივოვაროვას ამ თავისი ორი ნაშრომის მოწოდებისთვის.

3 იხ. ზემოთ, შენიშვნა 2.

4 სხვა ადგილას პიშჩევიჩი წერს, თუ რა ცნობები მოუწოდებიათ მისთვის ნინაზე იზმაილოვებს, რომლებიც თბილისიდან დაბრუნდნენ: ნინა თურმე დუშეთიდან თბილისში უნდა დაბრუნებულიყო, საიდანაც ორი მსახური ეახლა; მაგრამ ისინი თავის მხარეს გადმოიბირა და ერთ-ერთის ტანსაცმლით ეახლა პიშჩევიჩს. მაგრამ, შემდეგ, თბილისში დაბრუნებისას, მუხრანის ველზე ლეკებმა გაიტაცეს, მათ შორის ერთი „თავადი“ იყო, რომელიც ნინას სილამაზით მოიხიბლა. ორი თვე ამ ლეკის საცხოვრებელში გაუტარებია, რომელიც მასზე დაქორწინებასაც კი აპირებდა, თუ რჯულს შეიცვლიდა. მაგრამ ნინამ ეშმაკობა არჩია, თავი მოაჩვენა, რომ, თითქოს, თანხმდებოდა; ერთხელაც ნადირობაზე ერთად გასულები მარტონი რომ დარჩნენ, ხელში კაცის თოფი ჩაიგდო და მოკლა; შემდეგ კი მისივე საუკეთესო ცხენით გზას გაუდგა და რამდენიმე დღეში თბილისში დაბრუნდა. ბოლოს, რაღაც დროის შემდეგ, ციებ-ცხელებამ მოკლა (პიშჩევიჩი 1885: 95-96).

5 ისე კი, ალექსანდრე პიშჩევიჩის მემუარები ძვირფასი წყაროა XVIII საუკუნის რუსული საზოგადოების მორალისა და ამ პერიოდის რუსეთში სექსუალური ცხოვრების ისტორიის შესასწავლად. უნდა ითქვას რომ რუსი სამხედროების ზეგავლენა საზოგადოების ინტიმურ ცხოვრებაზე უკვე გამხდარა კვლევის საგანი (ვოლოდინა, პოდრეზოვი 2020).

დამოწმებანი

დუმბაძე, გუჩუა 1990: მ. დუმბაძე, ვ. გუჩუა (რედაქტორები). *თბილისის ისტორია. ტომი I. თბილისი უძველესი ჟამიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.* თბილისი, მეცნიერება.

ვოლოდინა, პოდრეზოვი 2020: Т. Володина, К. Подрезов. «Наши жены – ружья заряжены»: русская армия и семейно-сексуальная культура (XVIII – первая половина XIX веков). *Новый исторический вестник*, 4 (66).

ლოტმანი 1994: Ю. Лотман. *Беседы о русской культуре. Быт и традиции русского дворянства (XVIII-начало XIX века).* СПб, Искусство – СПБ.

პივოვაროვა 2012: Л. Пивоварова. Феномен маргинальности в общественной жизни России второй половины XVIII – начала XIX в. *Клио. Журнал для ученых*, 12 (72).

პივოვაროვა 2014: Л. Пивоварова. Мемуарное наследие С. С. Пишчевича и А. С. Пишчевича. *Научное наследие профессора А. П. Пронштейна и актуальные проблемы развития исторической науки (к 95-летию со дня рождения выдающегося российского ученого). Материалы Всероссийской (с международным участием) научно-практической конференции (г. Ростов-на-Дону, 4–5 апреля 2014 г.).* Ростов-на-Дону.

პივოვაროვა (ხელნაწერი 1?): Л. Пивоварова. Мемуарная литература XVIII в. – первой половины XIX в. как источник по изучению социально-психологических характеристик российского дворянства (рукопись?).

პივოვაროვა (ხელნაწერი 2?): Л. Пивоварова. Отец и сын Пишчевичи на службе России: антропология повседневной жизни среднего офицерства второй половины XVIII – начала XIX в. (рукопись?).

პიშჩევიჩი 1881: С. Пишчевич. *Известие о похождении Симеона Степанова сина Пишчевича, генерал-майора и кавалера ордена св. Георгия, о ево рождении, жизни, воспитанию, науке, службы, преселение в далную страну, происхождение дел военных, и о случившихся с ным по судбам разных счастий и несчастий. Пысал сам собственною своею рукою собырал из разных преждных своих запысок и продолжал до 1785 года. Часть I.*

პიშჩევიჩი 1884: А. Пишчевич. Примечания Александра Пишчевича на новоросийский край. *Киевская*

старина, 1: 111-134.

პიშჩევიჩი 1885: А. Пишчевич. *Жизнь А. С. Пишчевича, им самим описанная. 1764-1805. В трех частях.* С предисловием и примечаниями Д. Чл. Нила Попова. Москва.

პიშჩევიჩი 1886ა: А. Пишчевич. Южно-русский город в начале текущего столетия (из "дневных записок" А. С. Пишчевича о Елисаветграде). *Киевская старина*, 1: 173-183.

პიშჩევიჩი 1886ბ: А. Пишчевич. Бугские казаки и украинские уланы. *Киевская старина*, 2.

პიშჩევიჩი 1902: План г. Тифлиса в 1785 г. *Записки Императорского Одесского Общества Истории и Древностей*, Т. XXIV: Смесь, 19-22, Илл.

პლეშაკოვი 2008: И. Плешаков. Военный постой в Поволжье в конце XVIII в.: Ростовский карабинерный полк в Саратовской губернии (1792-1794 гг.). *Известия Саратовского университета. Новая серия. Серия История. Международные отношения*, 8 (2): 43-55.

პოლიევკტოვი 1935: М. Полиевктов. *Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу*. Тифлис.

სკვორცოვა 2021: Я. Скворцова. Серб "превращается" в русского: судьба отца и сына Пишчевичей в XVIII в. *Тульская историческая весна – 2021. Социальное пространство и время прошлого: вызовы и ответы истории.*

ხარაძე 1975: კ. ხარაძე. თბილისი XVIII-XIX საუკუნის ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 2: 114-126.

ხაფიზოვი 2013: Ш. Хапизов. *Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.).* Махачкала.

ფაღავა 2023ა: ი. ფაღავა. *სიმა თეთრი, ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე.* თბილისი, მეცნიერება.

ფაღავა 2023ბ: ი. ფაღავა. ირაკლი II-ისა და რუსების გალაშქრება ჭარ-ბელაქანზე და მუღანლოს ბრძოლა 1784 წლის ოქტომბერში (წინასწარი სამხედრო-ისტორიული ანალიზი). *ახალ აღმოსავლეთი და საქართველო*, XV: 264-313.

RUSSIFIED "CASANOVA" IN THE KINGDOM OF KARTL-KAKHETI

Irakli Paghava
Caucasus University,
Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies
ipaghava@cu.edu.ge

Our goal is to present and analyze the data on the Kingdom of Kartl-Kakheti and Georgians outlined in the writings by Alexander son of Simeon Pishchevich (1764-1820). These data are mostly accumulated in Pishchevich's memoirs (published by Nil Popov in 1885). Alexander's father had been a Serb, who resettled in the Russian Empire; Alexander was already russified. The memoirs composed by the younger Pishchevich pay much attention to his "sex victories", resembling Giacomo Casanova's *Histoire de ma vie*. Hence we nicknamed Alexander Pishchevich *a russifed "Casanova"*. He spent several weeks in the Kingdom of Kartl-Kakheti in autumn 1784, and participated in the joint Georgian-Russian campaign against the Lezgis. Pishchevich also met some prominent Georgians in the Russian Empire. Therefore, his memoirs (and other works) contain a multitude of data relevant to Georgian Studies. They can be divided into several categories: 1) Cartographic legacy (has already been studied); 2) Information on the Kingdom of Kartl-Kakheti, based on Pishchevich's personal impressions; probably the most significant part; 3) Information on Georgians active in the Russian Empire; 4) Information on the internal situation in the Russian Empire, when it became a centre of attraction for Georgian authorities; 5) Reflections of the russification process affecting Pishchevich, and presumably also other immigrants, including Georgians. We have analyzed the aforesaid data in some detail, as well as their reliability; the latter is compromised by author's preoccupation with presenting his (actual or fictitious) sex victories, as well as egocentrism and flippancy; but endorsed by his candidness and straightforwardness. We concluded that Pishchevich's data were trustworthy and remarkable.

კომენტარი
COMMENT

A SHIITE TURBA FOUND AT THE ROYAL HALL OF BIDLIS CASTLE: TRANSCRIPTION AND TRANSLATION*

Mustafa Dehqan
Independent researcher
mustafadehqan@yahoo.com
Vural Genç
Bitlis Eren University, Department of History
vuralgenc@hotmail.com

Abstract: This brief note explores issues of Shiite identity of the Kurdish emirs of Bidlīs by reading a recently-found Shiite *turba* at the royal hall of Bidlīs castle, in Eastern Anatolia. The present brief note confines itself to the background of Shiism in the Bidlīs emirate; a seemingly disparate case that shows persistent affinity as a starting point in thinking through discrete Kurdish orientations toward Shiite teachings.

Keywords: Shiite, Ottoman, Bidlīs, Kurdish emirate

Introduction

During the 2022 excavation season of the Bidlīs castle, the most important Kurdish emirate of the Ottoman Empire in "Van Lake basin", archaeologist Erdoğan Ödük discovered a Shiite *turba* lying on the ground at the foot of the fortification wall of the palace section of castle. It was removed from the site after its discovery and transferred to the residential area of the settlement. Although this is not the first *turba* discovered in the castle in excavations conducted so far, it is the first one with both sides inscribed finely. The *turba* or head-stone, which subsequently came to the attention of the authors and is now in the possession of the Ahlat Museum,[1] is certainly made of baked clay from either some holy lands of Karbalā or Mashhad al-Ḥusayn, in Aleppo, which was originally founded to commemorate the martyrdom of Ḥusayn by the early Umayyads. Apparently, it is used by senior members of Bidlīs ruling family during their Islamic daily prayers. It is a trace of Shiite influence over Kurdish emirs of Bidlīs as the use of a *turba* is recommended in the Twelver Shiite school of Islam and many *ḥadīth*s mention the benefits of prostration or *sajda* upon *turba*, especially a *turba* made of the soil of Karbalā.

We do not know when the *turba* entered the castle, but to be safe, let us presume that it did so towards the middle of early modern times, that is, sometime between 1550 and 1650. The *turba* must have entered the castle in the generations before Abdāl Khan (d. after 1668) who was known as a *rafīzi* emir of Bidlīs,[2] if not earlier. It belongs to a period in which Iran's political, cultural, and religious influence was at its peak in the region. This brings us back at least to the time of Aqquyunlu as the time of origin for encounters between Kurdish emirs of Bidlīs and Iranian Shiite trends. Of course, they might very well have originated before that, and might even go back to eyewitnesses of the event. There is, however, no way in which we can know this for sure.

The cultural and political integration of Bidlis into the Iranian world[3] facilitated the spread of Shiite and esoteric teachings. In this context, the first non-orthodox doctrine to be followed was Twelver Shiism. Unlike the successful propaganda and spread of the Zaydī and Ismā'īlī sects, the penetration of Twelver Shiism from Western Iran into Anatolia took place towards the end of the 13th century, with the dispersal of sufi circles fleeing from the Mongol invasion. As a part of this propaganda, a Shiite *zāwīya* was constructed in Bidlis in the name of Ibrāhīm (d.837), the son of

the seventh *imām* Mūsā Kāẓim (d.799) before the 15th century. Until the second half of the 16th century, this modest *zāwīya* was disseminating the Shiite beliefs among the people of Bidlīs. The city at the same time was an important Nūrbakhshī center, a Khurāsān-originated messianic and millenarian branch of Shiism from the early 15th century. Idrīs-i Bidlīsī's father, Ḥusām al-Dīn 'Alī, espoused the Nūrbakhshī tenet as a result of Sayyid Muḥammad Nūrbakhsh's early activities in Kurdistān and Luristān in the first half of the 15th century. Sayyid Muḥammad Nūrbakhsh mentions the names of several Kurdish disciples in his *Risālat al-Hudā*, apart from Ḥusām al-Dīn 'Alī who came to Rayy from Bidlīs. When he returned to his hometown before 1465, he continued to disseminate the Nūrbakhshī teachings in the *zāwīya* he founded in his own name. His son Idrīs embraced the Shiite tenets of his father. Idrīs's Shiite tendency was so strong that he had engraved the same *nadi aliyen* prayer on his seals. Ḥusām al-Dīn 'Alī's departure from Bidlīs before 1470 and his settlement in Tabrīz interrupted the spread of Nūrbakhshī teachings in Bidlīs.[4]

Bidlīs not only hosted the Shiite tenets but also esoteric doctrines during these years. *Istivānāma*, the most basic text of the Ḥurufism, demonstrates the fact that Bidlīs was an important Ḥurufī center in the early 15th century. The Ḥurufī text, penned by Abu al-Yaqīn Ghiyās al-Dīn Muhammad ibn Husayn ibn Muhammad Husayn al-Astarābādī in Bidlīs in the first half of the 15th century, shows the traces of the spread of Ḥurufī teaching in Bidlīs. Astarābādī, the author of *Istivānāma* says that he was sent to the Bidlīs castle by Faḍl Allāh Astarābādī's (d.1394) son Amir Nūr Allāh (d.1425).[5] Darwish Haji Isa-yi Bidlīsī, who spread Ḥurufī teachings in his lodge in Bidlīs, was an important sufi who met Faḍl Allāh Astarābādī's son-in-law.[6]

From the fifteenth century, the ancestors of Sharaf Khan Bidlīsī (d. 1600), Kurdish chieftain and historian, have been associated with Shiite Iran.[7] Sharaf Khan, the grandfather (d. 1533) was closely associated with both Shah Ismail and his successor, Shah Tahmasb, in political, cultural, and religious matters. In 1528, when he constructed a monumental complex known as Sharafiya, he specifically ordered the name of Ali to be engraved on the base of the minaret. Today, on two sides of the octagonal base of this minaret, within two square frames, the name of Muhammad appears on the outer contour, while Ali's name is inscribed four times within it. This distinctive feature sets it apart from the Sunni tradition of reverence for Ali. In Sunni contexts, had it been similar, the names of the other three caliphs would likely have been included as well. The exclusive presence of Ali's name, without mention of the other caliphs, strongly indicates Sharaf Khan's adherence to the Shia belief, which does not recognize the legitimacy of the first three caliphs. This underscores his deep commitment to Shia doctrine and serves as a clear example of the Shia inclination among the emirs of Bidlis.

To put it more clearly, Iran, after the second half of the 15th century became a safe harbor for the Bidlīs' emirs and members of the Ṛōjikī tribe, where they took refuge in case of threat and received political and military support. The first immigrant group was settled in the important Shiite center, in Qum. Having been settled in Qum's periphery Kurdish emirs of Bidlīs accepted the supreme authority of the perfect guide (*murshid-i kāmil*), the Safavid shah, and integrated into the Safavid military system.

Several Safavid chronicles from the reign of Shah Tahmasb provide remarkably insightful information in this regard. In many parts of these chronicles, the emirs of Bidlis are depicted as loyal followers of the Ardabil Shrine and as long-standing devotees of the Safavid shahs.[8]

Considering the fact that those who did not espouse the Qizilbāsh doctrine could not be integrated and risen within the Safavid military bureaucracy, it can be said that both the Kurdish dynasty of Bidlīs and the Ṛōjikī tribal members embraced the Qizilbāsh doctrine and recognized the absolute authority of the Shah, who was a perfect guide.[9] The first generation of Kurdish ruling family members or tribesmen born in Iran was shaped in a Shiite environment. For instance, in 1543, Sharaf Khan was born in Qum Shiite area, in Iran,[10] and had a great Shiite alliance and affiliation.[11]

The Shiite tendencies of the emirs of Bidlīs emerged once again in their negotiations with the

Ottoman side when they tried to return from Iran to the Ottoman Empire, in 1578.[12] In his letter to the governor of Van, Murad III asked Hüsrev Pasha to send one of his men to negotiate with Sharaf Khan in Nakhchiwān, and that his submission would be accepted under the one condition that he had to abandon his "rafz" and "ilhad". In fact, this was an open invitation of Sharaf Khan to Sunnism by the Ottoman sultan. The missive dispatched by Hüsrev Pasha, on the occasion of the arrival of Sharaf Khan to Van in the winter of 1578, is quite interesting in this respect. In his report Hüsrev Pasha informed the sultan that Sharaf Khan turned away from Qizilbāsh side, repented his superstitious beliefs and deviant sect then obeyed the practices of Prophet (*sünnet-i seniyyeye riayet, mezheb-i bâtıl ve meşreb-i 'âtıllarından tövbe*).[13] These statements also demonstrate that Ottoman authorities were aware of Qizilbāsh background of Sharaf Khan who espoused the Shiite doctrine under the auspices of Shah Ṭahmāsp.[14] This invitation is the clearest proof that the Kurdish emirs of Bidlīs and the Ṛōjikī tribe belonged to the Safavid sect and recognized the supreme authority of the *murshid-i kāmil*.

Sharaf Khan, who laid claim to the emirate of Bidlīs, was killed with his companions in a battle directed against pro-Shiite Celali rebels.[15] Many of the senior Kurdish officials of Bidlīs spent at least part of their lives in Safavid Iran.[16] Bidlīs was also once a territory ruled by Shiite dynasties, notably the early Safavids.[17] And, finally, the *turba* that is published here for the first time completely removes any doubt that there were some very strong Shiite tendencies among the rulers of Bidlīs. From a broader point of view, the presence and spread of Shiism in Bidlīs was a natural result of its political, mystical, and cultural integration into the Iranian world.

Transcriptio

Observe

muhr-i mashhad-i Ḥusayn 'alayhi al-salām
nādi 'Alīyyan maẓhar al-'ajā'ib
tajidhu 'awnan laka fi al-nawā'ib
kulli hammin wa ghammin sayanjalī
bi-wilāyatika yā 'Alī yā 'Alī yā 'Alī

Reverse

muhr-i mashhad-i Ḥusayn 'alayhi al-salām
Muḥammad, 'Alī, Ḥusayn
Muḥammad, 'Alī, Ḥusayn
Muḥammad, 'Alī, Ḥusayn
Muḥammad, 'Alī, Ja'far
nādi 'Alīyyan maẓhar al-'ajā'ib
tajidhu 'awnan laka fi al-nawā'ib
kulli hammin wa ghammin sayanjalī
bi-wilāyatika yā 'Alī yā 'Alī yā 'Alī

Translation

Observe

The *turba* of the shrine of Ḥusayn, peace be upon him
Call 'Alī, the epitome of miracles
You will find him by your side in all troubles and difficult situations
It will relieve you of all your suffering and sorrow
I swear on your authority, O 'Alī, O 'Alī, O 'Alī

Reverse

The *turba* of the shrine of Ḥusayn, peace be upon him

Muḥammad, ʻAlī, Ḥusayn

Muḥammad, ʻAlī, Ḥusayn

Muḥammad, ʻAlī, Ḥusayn

Muḥammad, ʻAlī, Jaʻfar

Call ʻAlī, the epitome of miracles

You will find him by your side in all troubles and difficult situations

It will relieve you of all your suffering and sorrow

I swear on your authority, O ʻAlī, O ʻAlī, O ʻAlī

Reverse

Observe

Notes

* We are grateful to Yunus Emre Karasu and Erdoğan Ödük for their assistance in reaching this turba. Thanks are also extended to Azad Örmek and Sara Soysal who provided information about the turba and the circumstances in which it was found.

1 It is a museum of the town of Ahlat which is situated on the northwestern shore of Lake Van, in Turkey's Bidlīs province in Eastern Anatolia

2 See M. Dehqan and V. Genç, "Kurdish Power Holders in Seventeenth-Century Bidlīs: A Brief Introduction", Kurdish Studies 10/2 (2022): p. 158.

3 For further information see, Vural Genç, "Cultural Impact of Persian Language in and around Bidlis", Iranian Studies, 57, (2024), pp. 27–45.

4 See V. Genç, Acem'denRum'aBirBürokratveTarihçi:İdrisiBidlîsî14571520, TTK, Ankara, 2019, pp. 23-27.

5 Abu al-Yaqīn Ghiyās al-Dīn Muhammad ibn Husayn ibn Muhammad Husayn al-Astarābādī, Istivānāma, Millet Library, AEfrs 269, f. 38r.; for the biography of Faḍl Allāh Astarābādī and his tenets see, Sh. Bashir, FazlallahAstarabadiandtheHurufis, Oneworld Publications, Oxford, 2005.

6 See Abu al-Yaqīn Ghiyās al-Dīn Muhammad ibn Husayn ibn Muhammad Husayn al-Astarābādī, Istivānāma, ff. 40v., 80v.

7 See Scheref, Prince de Bidlis, Scherefnameh ou Histoire des Kourdes, Ed. V. Véliaminof-Zernof, St.-Pétersbourg: Commissionaires de l'Académie Impériale des Science, 1860-62, vol.1, p. 390.[8]

8 See, Vural Genç, Osmanlılar ve Safeviler Arasında Bidlis: 1502-1723, Tarih Vakfı Yurt Yayınları, İstanbul 2024, pp. 90, 137, 143.

9 See N. A. Falsafī, Zindigānīyi Shāh 'Abbāsi Avval, Dānishgada-yi Tehran, Tehran, 1965, pp. 173-175; R. Yıldırım, MenâkıbıEvliya(Buyruk):TarihselArkaPlan,MetinAnalizi,EdisyonKritikMetin, YKY Yay., Istanbul, 2020, pp. 89-91.

10 For details, see M. Dehqan and V. Genç, "Reflections on Sharaf Khān's Autobiography", Manuscripta Orientalia 21/1 (2015): 46-61; idem, "Why Was Sharaf Khan Killed?", Manuscripta Orientalia 21/2 (2015): 13-19.

11 See W. S. Chahanovich, OttomanEschatologicalEnthusiasm:Ps.Ibnal'Arabī'sTreeof Nu'mānasanEarly-Modern Islamic Esoteric Apocalypse in the Service of Empire (Doctoral Dissertation, Harvard University Graduate School of Arts and Sciences, 2021), p. 113

12 See Scheref, ScherefnamehouHistoiredesKourdes, vol. 1, p. 455; Gelibolulu Mustafa Âli, Künhü'l-Ahbâr: DördüncüRükn,Tıpkıbasım, TTK, Ankara, 2009, ff. 491v.-492r., 497r.-497v.

13 See Gelibolulu Mustafa Âli, Nusretnâme, Ed. H. Mustafa Eravcı, TTK, Ankara, 2014, p. 186

14 See A. DVN. MHM. d. 37/876, h. 987.

15 See Dehqan and Genç, "Why Was Sharaf Khan Killed?", 17ff.

16 See Scheref, ScherefnamehouHistoiredesKourdes, vol. 1, p. 394ff.

17 See ibid., 110, 133, 161, passim.

References

Abu al-Yaqīn Ghiyās al-Dīn Muhammad ibn Husayn ibn Muhammad Husayn al-Astarābādī, *Istivānāma*, Millet Library, AEfrs 269.

BOA, A. DVN. MHM. d. 37.

Bashir, Shahzad, *Fazlallah Astarabadi and the Hurufis*, Oneworld Publications, Oxford, 2005.

Chahanovich, Walter Sasson, *Ottoman Eschatological Enthusiasm: Ps.-Ibn al-'Arabī's Tree of Nu'mān as an Early Modern Islamic Esoteric Apocalypse in the Service of Empire*, Doctoral Dissertation, Harvard University Graduate School of Arts and Sciences, 2021.

Dehqan, Mustafa and Vural Genç, "Reflections on Sharaf Khān's Autobiography", *Manuscripta Orientalia 21/1* (2015): 46-61.

----------, "Why Was Sharaf Khan Killed?", *Manuscripta Orientalia 21/2* (2015): 13-19.
----------, "Kurdish Power Holders in Seventeenth-Century Bidlīs: A Brief Introduction", *Kurdish Studies 10/2* (2022): 143-168.
Falsafī, Naṣr Allāh, *Zindigānī-yi Shāh 'Abbās-i Avval*, Dānishgada-yi Tehran, Tehran, 1965.
Gelibolulu Mustafa Âli, *Künhü'l-Ahbâr: Dördüncü Rükn, Tıpkıbasım*, TTK Yay., Ankara, 2009.
----------, *Nusretnâme*, Ed. H. Mustafa Eravcı, TTK, Ankara, 2014.
Genç, Vural, *Acem'den Rum'a Bir Bürokrat ve Tarihçi: İdris-i Bidlîsî 1457-1520*, TTK, Ankara, 2019.
Genç, Vural "Cultural Impact of Persian Language in and around Bidlis", Iranian Studies, 57, (2024), pp. 27–45
Genç, Vural, Osmanlılar ve Safeviler Arasında Bidlis: 1502-1723, Tarih Vakfı Yurt Yayınları, İstanbul 2024.
Scheref, Prince de Bidlis, *Scheref-nameh ou Histoire des Kourdes*, Ed. V. Véliaminof-Zernof, St.-Pétersbourg: Commissionaires de l'Académie Impériale des Science, 1860-62.
Yıldırım, Rıza, *Menâkıb-ı Evliya (Buyruk): Tarihsel Arka Plan, Metin Analizi, Edisyon-Kritik Metin*, YKY, Istanbul, 2020.

ბიდლისის ციხესიმაგრის სამეფო დარბაზში ნაპოვნი შიიტური ტურბა: ტრანსკრიფცია და თარგმანი

მუსტაფა დეჰქანი
დამოუკიდებელი მკვლევარი
mustafadehqan@yahoo.com
ვურალ გენჩი
ბითლის ერენის უნივერსიტეტი, ისტორიის დეპარტამენტი
vuralgenc@hotmail.com

წინამდებარე კომენტარი ეხება ბიდლისის ქურთი ემირების შიიტური იდენტობის საკითხს. კვლევა ეფუძნება აღმოსავლეთ ანატოლიაში ბიდლისის ციხესიმაგრის სამეფო დარბაზში ახლახან აღმოჩენილ შიიტურ ტურბას. წინამდებარე კვლევა არ სცდება ბიდლისის ემირატში არსებული შიიზმის კონტექსტს. ეს, ერთი შეხედვით, განსხვავებული შემთხვევა, აჩვენებს, რომ შიიტურ მოძღვრებაზე ქურთული დისკრეტული ორიენტაციების გათვალისწინებით მსჯელობისას ამოსავალი უნდა იყოს აზრი მათი მდგრადი მსგავსების შესახებ.

თვალსაზრისი

STANDPOINT

მორალური კრიზისი და პროფესიული სტანდარტი ქართულ აკადემიურ სივრცეში

ზურაბ თარგამაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,
კავკასიის უნივერსიტეტი
zurab.targamadz@tsu.ge

წინამდებარე წერილით აკადემიურ სივრცეში მიმდინარე მოვლენებს გვინდა გამოვეხმაუროთ. თუმცა, ეს გამოხმაურება თავისი ხასიათით ცდება ოდენ კრიტიკული თვალსაზრისის, ანდა პოზიციის დაფიქსირების სურვილს. ჩვენი მიზანია, შევეხოთ ქართულ მეცნიერებაში არსებულ ფუნდამენტურ პრობლემას. მით უფრო მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნული საქმე ბოლო წლებში საქართველოში არსებული ვითარების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, დღეს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისათვის, მათ შორის, იმათთვისაც, ვინც წლების განმავლობაში აკადემიურ წრეებში არსებულ გამოწვევებს ადამიანური სისუსტეებითა თუ სხვადასხვა პირთა ხასიათის თავისებურებით ამართლებდა, აშკარა უნდა იყოს ამ პრობლემათა წარმოშობის რეალური მიზეზი.

იმათთვის კი, ვისთვისაც ამ წერილის შინაარსი ზედმეტად პათეტიკური ან შეურაცხმყოფელიც შეიძლება აღმოჩნდეს და, შესაძლოა, ბრალიც დაგვდონ იმაში, რომ ვინმეს მორალს ვუკითხავთ, თავიდანვე განვმარტავთ, რომ, დიახ, ჩვენი მიზანი სწორედ ასეთია! და, უფრო მეტიც, ვფიქრობთ, ამის უფლებაც გვაქვს! პირველ რიგში, სწორედ იმის გამო, რომ, მათგან განსხვავებით, ვინც ამ წერილის შინაარსის წაკითხვის შემდგომ საკუთარ თავს ამოიცნობს მასში, არასოდეს დაგვიხუჭავს თვალი უსამართლობაზე და ყოველთვის იქ ვიდექით, სადაც სიმართლე გვეგულებოდა. უსამართლობის შემთხვევები კი, განსაკუთრებით ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულებაზე, რომელთან კავშირიც არ გაგვიწყვეტია უკანასკნელი ცხრამეტი წლის განმავლობაში, როგორც სტუდენტს, როგორც მოწვეულ ლექტორს, როგორც მეცნიერ-თანამშრომელს, უამრავი იყო და არის.

არც იმაში გვეპარება ეჭვი, რომ ჟურნალ *ქართული წყაროთმცოდნეობის* მკითხველთა უმეტესობისათვის კარგადაა ცნობილი უნივერსიტეტის ისტორიაც და ამჟამინდელი მდგომარეობაც, სწორედ ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ეს წერილი იპოვის ობიექტურ შემფასებელს.

რაც შეეხება პრობლემებს, სურვილისა და მონდომების შემთხვევაში, ფაქტობრივად დოკუმენტურადაა შესაძლებელი იმ მრავალწლიანი უსამართლობის დადასტურება, რომელსაც ადგილი აქვს კონკრეტულად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ცხადია, შემთხვევით არც სათაური შეგვირჩევია წინამდებარე წერილისათვის. ქართულ აკადემიურ სივრცეში არსებულ პრობლემათა უმეტესობის მიზეზი, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიულ უუნარობაში, არამედ, სწორედ, საზოგადოდ ზნეობის და პროფესიული ეთიკის არქონაშია. ადამიანი, რომლის ცხოვრებისეული მიზანი ჭეშმარიტების ძიებაა, შეუძლებელია სინამდვილეში იმდენად „არაამქვეყნიური“ იყოს, როგორი რომანტიზებული წარმოდგენებიც არ უნდა გვქონდეს მეცნიერის „არაპრაქტიკულობაზე“, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში გამოჩენილი მისი უპრინციპობა გავამართლოთ. უზნეო ადამიანი შეუძლებელია იყოს კარგი მეცნიერი! თუ ამ პრინციპს გავიზიარებთ და თვალს გადავავლებთ, ბოლო ათწლეულებში და კიდევ უფრო შორსაც, ქართული მეცნიერების „მიღწევებს“ ჰუმანიტარულ დარგში, უმეტესწილად დავრწმუნდებით ზემოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში.

არსად გამქრალა საბჭოთა პერიოდისა და XX საუკუნის 90-იანი წლების კორუფცია, ჩაწყობილი კონკურსები, კოლეგათა დევნა, სტუდენტების შევიწროება არა მხოლოდ აკადემიური კუთხით. ყოველივე ამის ახსნა შეუძლებელია ზოგადად ადამიანის, მით უფრო, მეცნიერის გამოუვალი, მათ შორის, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით.

მართალია, პრობლემის სათავე ის ადამიანები და მათი მენტალიტეტია, რომლებიც წარმატებით თანამშრომლობენ ყველა სისტემასთან, თანაც ისე, რომ სამეცნიერო თვალსაზრისით, რაიმეს რეალურად ღირებულის შექმნაც არ უწევთ, მაგრამ მთავარი მაინც ჩვენი უუნარობაა ამოვიცნოთ ასეთი ადამიანები. გვესმის, რომ ეს არც თუ ისე იოლი საქმეა, არსებობს პირადი ურთიერთობები (სამწუხაროდ, საკუთარი მდგომარეობიდან გამომდინარე ხშირად ეს ადამიანები გარკვეული ავტორიტეტითაც სარგებლობენ სტუდენტებში) და ა. შ., ბევრი მიზეზის გამო რთულია, გაწყვიტო ყველანაირი კავშირი სისტემასთან, რომლის ნაწილიც წლების განმავლობაში თუნდაც როგორც სტუდენტი იყავი, მაგრამ ფაქტია, რომ თუ გვსურს უკეთესი საზოგადოება და უკეთესი უნივერსიტეტი სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ. სიმართლე კი ის არის, რომ დღეს უნივერსიტეტი დაშორდა იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს რომლის საფუძველზეც ის შეიქმნა. იმის ნაცვლად, რომ ეს კედლები ახალგაზრდისათვის სულიერი და ინტელექტუალური თავშესაფარი იყოს, მით უფრო, გარემოში სადაც მიზანმიმართულად ხდება ე. წ. კონსერვატორული სინამდვილეში კი ულტრამემარჯვენე იდეებისა და ზოგადად რადიკალიზმის ნახალისება, ის იქცა გაურკვეველი მორალური ღირებულებებისა და არაპროფესიონალების თავშესაფრად.

ამ ადამიანთა მიერ ჩადენილ უსამართლობათა ჩამონათვალი, რომელსაც წლების განმავლობაში პირადად შევსწრებივართ და გაგვიპროტესტებია კიდევაც თანამოაზრეებთან ერთად ჩვენი საქმიანობითა და, პირველ რიგში, არჩევნით ვყოფილიყავით თუნდაც არაკომფორტულ, თუმცა იმ მხარეს, სადაც სიმართლე იყო, უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს და ერთი წერილი, ცხადია, მის აღსაწერად არ არის საკმარისი. ეს ამჯერად არ არის ჩვენი მიზანი.

რაში ვხედავთ გამოსავალს? ცხადია, სისტემის გაჯანსაღებას სჭირდება ხისტი და მკაფიო გადაწყვეტილებების მიღება. სამწუხაროდ, ვერც ერთ ეტაპზე ვერ მოხერხდა უხილავი ძაფების გაწყვეტა იმ ხალხთან, რომლებიც წლების განმავლობაში მართავდა ამ სისტემას, ემსახურებოდა და თავადაც სჩადიოდა უსამართლობას. ისინი დღესაც იკავებენ უმაღლეს აკადემიურ პოზიციებს ისე, რომ მათთვის არც სამართლებრივად მოუთხოვია ვინმეს პასუხი და, ცხადია, არც თავად ჩაუთვლიათ საჭიროდ რაიმე ფორმით მაინც აეხსნათ თავიანთი პოზიცია უმწვავეს საკითხებთან დაკავშირებით მათი მონაწილეობისა და როლის შესახებ. სწორედ ამიტომაა, რომ, თაობათა ცვლის მიუხედავად, დიდად არაფერი შეიცვალა. უნივერსიტეტი დღესაც იმართება საბჭოური ტრადიციების შესაბამისად, სადაც მეცნიერი არა აკადემიური მიღწევების გამო, არამედ იმიტომაა დაფასებული, რომ მას ასეთი სამსახურებრივი პოზიცია უკავია და ჭაღარაშერეულიც თუ არის, ეს კიდევ დამატებითი საბუთია, რომ უპირობოდ „მართალი“ და „პატიოსანი“ კაცია და, შესაბამისად, იმსახურებს ამა თუ იმ პატივს, მაგალითად, „მეცნიერების მეტრის“ და ა.შ.

აკადემიური კორუფცია დღესაც ნორმაა. მართალია, ახლა იმ ფორმით აღარ ხდება ანგარიშსწორება, როგორც ადრე, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რამდენად მნიშვნელოვანია ლოიალურობა გარკვეული წრეებისადმი ამა თუ იმ სახელმწიფო დაფინანსების ან თანამდებობის მიღებისათვის. ამის შესანიშნავი დადასტურებაა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საქმიანობა. ზედმეტი ძალისხმევის გარეშეა შესაძლებელი იმის გარკვევა, ვინ და რატომ იღებდა წლების განმავლობაში დაფინანსებას. ცალკეულ შემთხვევებში ეს ასიათასობით ლარია. გამარჯვებული პროექტების გამოვლენის პრაქტიკა, რომელიც დაინერგა ამ ფონდში, ემსახურება არა სამეცნიერო ხარისხისა და სტანდარტის ამაღლებას, არამედ იმას, რომ შემთხვევით ვინმე არასასურველმა პერსონამ ან ადამიანთა ჯგუფმა არ მოიპოვოს დაფინანსება. ეს სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ გამსვლელი ქულის მქონე პროექტი შეიძლება დამარცხებულად გამოცხადდეს. ჩვენ თავადაც აღმოვჩნდით, კოლეგებთან ერთად,

ასეთი უსამართლო პირობების მსხვერპლი. კიდევ უფრო ცინიკურია კონკურსების ადმინისტრირების პროცესი. ახლა იმ რეალობაში აღმოვჩნდით, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის აბსურდული მიზეზით ეს დაწესებულება ასაიდუმლოებს დაფინანსებული პროექტების ავტორთა ვინაობას, მაშინ, როდესაც თავად ფონდის უმთავრესი მიზანი, წესით, მეცნიერებისა და მეცნიერთა პოპულარიზება უნდა იყოს.

ჰოდა, ახლა გვინდა ვიკითხოთ, არა რიტორიკულად, არამედ პირდაპირ, როგორ არიან ის ადამიანები, ღირსეული მეცნიერები, რომლებიც წლების განმავლობაში მონაწილეობენ ამ კონკურსთა კომისიებში, ხელს აწერენ უსამართლო გადაწყვეტილებებს, შემდეგ პირად საუბრებში თავს იმართლებენ ათასი სულელური და უსუსური მიზეზით, რომელთა საერთო სახელია: „ასეა, ძმაო, ეს ცხოვრება მოწყობილი!". იქნებ მათ შორის ისეთებიც ერიონ, რომლებსაც თითქოს, სამეცნიერო თვალსაზრისით, რაიმე „ღირებულიც" კი აქვთ შექმნილი, მაგრამ ვერც ეს გამოდგებოდა ვინმეს გასამართლებელ არგუმენტად. და საერთოდ, პროფესიონალიზმთან დაკავშირებულ პრობლემას, სათანადო მონდომების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში ეშველება კიდეც. ჯერ ერთი, მიუხედავად ყველაფრისა, კრიტიკულად ცოტა, თუმც უნივერსიტეტში ყოველთვის იყვნენ და დღესაც არიან ღირსეული მეცნიერები ვისგანაც რაიმეს სწავლა შეიძლება და, მეორეც, ბოლოს და ბოლოს, მომავალ თაობებში გადაწყდება ეს საკითხი. კიდევ ერთხელ ვამბობთ, ეს არ არის ძირითადი სირთულე. პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზნეობის უქონლობაა. არა განსხვავებული ხედვა, ან აღქმა ღირსებისა და სამართლიანობის, ან თუნდაც ხასიათი თუ უხასიათობა, არამედ უზნეობა!

როდესაც ვსაუბრობთ ახალი საზოგადოების დაბადებაზე, აუცილებელია, რომ ეს ახალი საზოგადოება, მართლაც, ახალი იყოს, პირველ რიგში, ზნეობრივი თვალსაზრისით. სხვანაირად შეუძლებელი იქნება სამეცნიერო სივრცისა და, მით უფრო, ქვეყნის ქრისტიანული და ევროპული ღირებულებების წიაღში დაბრუნება. ამას მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როდესაც ყველას და ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ. გვესმის, რომ ამისათვის მნიშვნელოვანი ძალისხმევა და გამბედაობა იქნება საჭირო, თუმც გვჯერა და ამის საფუძველს როგორც ჩვენი თაობის არაერთი წარმომადგენლის, ასევე უფროსი თაობის მეცნიერთა ჯანსაღი ნაწილის პოზიციებიც გვაძლევს.

დაბოლოს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ ქართულ სინამდვილეში ყველაზე ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებად რჩება, ამაზე კამათისაგან, ალბათ, ბევრი შეიკავებდა თავს, თუმც არა იმ მიზეზით, რომ ეს ობიექტურად ასეა დღეს, არამედ უფრო იმის გამო, რომ ამ დაწესებულების დამაარსებელთა და მის პირველ ხელმძღვანელთა შორის იყვნენ უთუოდ გამორჩეული ადამიანები როგორც აკადემიური, ასევე ღირებულებების თვალსაზრისით. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელთა დღევანდელი ზნეობრივი სულისკვეთების გასაგებად, საკმარისია პირველ კორპუსში რექტორის კაბინეტის მიმდებარედ უნივერსიტეტის დამფუძნებელი რექტორების – ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით, წითელი რექტორების პორტრეტების ჩამოკიდება. გასაგებია, რომ წარსულს ვერ და არ ვივიწყებთ, მაგრამ რას და რატომ არ ვივიწყებთ? საშინელი ტერორის წლებს, რომ არ დავუშვათ მისი გამეორება მომავალში თუ საქართველოს წინაშე მათს „ღვაწლს", ვინც სინამდვილეში ივანე ჯავახიშვილი სიკვდილამდე მიიყვანა, ვინც ექვთიმე თაყაიშვილს პროფესორის წოდება ჩამოართვა და შესაფერისი დაკრძალვაც არ აღირსა, ვინც მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა შეიწირა. ჩვენ ამ პასუხის პირველ ნაწილს ვეთანხმებით, მაგრამ აშკარაა, რომ არა ამ პორტრეტების გამოფენის იდეის ავტორი. თუ ეს ასე არაა, მაშინ ცხადია, ამ პორტრეტებს უნივერსიტეტის კედლებზე კი არ უნდა ვკიდებდეთ, არამედ ოკუპაციის მუზეუმში. იმ ფორმით, რა ფორმითაც არიან წარმოდგენილი ეს „პატივცემული გვამები" უნივერსიტეტის კედლებში, თავისთავად მეტყველებს უნივერსიტეტის ამჟამინდელი ხელმძღვანელობისა და ზოგადად ქართული საგანმანათლებლო სისტემის სულიერ მდგომარეობაზე. ამიტომაც ცოტას თუ უკვირს და უკვე ლამის ნორმადაა ქცეული ის, რის თაობაზეც ზემოთ მოგახსენებდით.

ამ წერილს არ წერს ადამიანი, რომელსაც საკუთარი მომავალი არ აღელვებს, ასე იფ-

იქრებს ალბათ ზოგი ჩვენი „მეგობარიც“. პირიქით, სწორედ იმიტომ ვწერთ, რომ გვაღელვებს და თანაც არა მხოლოდ პირადი, არამედ საერთო და ქვეყნის მომავალი!

წერილს დავასრულებთ ქართველი ერის მამის – ილია ჭავჭავაძის, ცნობილი მოთხრობის სათაურში დასმულ რიტორიკულ შეკითხვაზე: კაცია – ადამიანი?!, ჩვენეული პასუხით: ზნეობისა და თავისუფლების გარეშე ადამიანი არ არის ადამიანი!

PROFESSIONAL STANDARD AND MORAL CRISIS IN GEORGIAN ACADEMIC ENVIROMENT

Zurab Targamadze
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Caucasus University
zurab.targamadze@tsu.ge

The paper aims to discuss the main problems of Georgian academic community. According to the author, to revive and return to its historical, Christian and European roots, Georgian society firstly should solve the moral problems. Otherwise, it will be impossible to overcome scientific corruption and nepotism and improve academic quality.

The revitalizing of academic space in Georgia should be made the fundamental transformation, including removal "scientists" – who have been supported and represented this vicious system during the years – from the academic space.

ახალი სამოქალაქო საზოგადოების დაბადება საქართველოში

ლადო მირიანაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
lado_miriani@yahoo.com

2024 წლის აპრილსა და მაისში თბილისი ახალგაზრდების მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა მოიცვა. ისინი ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველდღიურად მართავდნენ აქციებს, რომლებზეც აპროტესტებდნენ 2012 წელს რუსეთში მიღებული კანონის მიხედვით დაწერილი, ე. წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას. ექსპერტებისა და უცხოელი პარტნიორების აზრით, ამ კანონის მიღება საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ასეთი მრავალრიცხოვანი და თანაც პერმანენტული საპროტესტო გამოსვლები საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. საპროტესტო მოძრაობამ მოიცვა სხვა ქალაქებიც, პირველ რიგში ქუთაისი და ბათუმი. საპროტესტო გამოსვლებისა და უცხოელი პარტნიორების მხრიდან გამოთქმული უკმაყოფილების მიუხედავად, 2024 წლის 14 მაისს, საქართველოს პარლამენტმა ზემორე კანონი მესამე მოსმენით, 84 ხმით დაამტკიცა. საქართველოს პრეზიდენტმა კანონს ვეტო დაადო. ვეტოს დასაბუთებულ შენიშვნებში აღნიშნულია, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი საქართველოს კონსტიტუციის ოთხ მუხლს ეწინააღმდეგება.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების საფუძვლიანი ანალიზი მომავლის საქმეა, რადგან დღეს მიმდინარე პროცესების სრულად აღქმა მხოლოდ შორი გადასახედიდან, მათი „დაღვინების“ შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამ ეტაპზე კი ერთი დასკვნის გამოტანა დანამდვილებით შეიძლება: საპროტესტო აქციებმა აჩვენა, რომ საქართველოში ახალი, ევროპული სტილის სამოქალაქო საზოგადოება დაიბადა.

იმ დროს, როცა უსამართლობითა და სოციალური უპერსპექტივობით დაღლილი, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის ნაწილი უცხოეთში სამუშაოს საძებრად გარბის, ახალგაზრდებმა საზოგადოებას აჩვენეს, რომ ისინი გაქცევას არსად აპირებენ, რჩებიან თავიანთ სამშობლოში და დგებიან მისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და სამართლიანობის სადარაჯოზე, რათა უზრუნველყონ უკეთესი მომავალი არა მხოლოდ საკუთარი თავისთვის, არამედ მომავალი თაობებისთვისაც.

ქართველი ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ქვეყნის განვითარების, ეროვნული ღირსებისა და სახელმწიფოებრიობის დაცვის საქმეში, არახალი ამბავია. XIX საუკუნის 60-იან წლებში, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდებმა მასშტაბური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა წამოიწყეს. ამ მოძრაობის ინიციატორებს „თერგდალეულები“ უწოდეს, რაშიც იგულისხმებოდა, რომ რუსეთში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდებმა, სასაზღვრო მდინარე თერგის გადალახვისას მისი წყალი დალიეს, რამაც მათში მეამბოხური სული გააღვიძა. ახალგაზრდები ძველისადმი ბრმა მორჩილებას აკრიტიკებდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახლის დანერგვას მოითხოვდნენ. „თერგდალეულების“ რიცხვში იყვნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი, ვახტანგ თულაშვილი, სამსონ აბაშიძე, პეტრე ნაკაშიძე და სხვები.

„თერგდალეულებმა“ სათავე დაუდეს ბრძოლას ძველსა და ახალს შორის, რასაც ხატოვნად მამებსა და შვილებს შორის ბრძოლა ეწოდა. „თერგდალეულები“ თავიანთი პროგრესული იდეების გასავრცელებლად და კონსერვატორებთან საბრძოლველად კა-

ლამს იყენებდნენ. ჟურნალები „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“ ახალგაზრდა „მეამბოხეებს“ თავიანთ ფურცლებს სიამოვნებით უთმობდნენ. ერთ-ერთი პირველი პუბლიცისტური წერილი იმაზე აქცენტირებით, თუ რაოდენ დამღუპველი იყო მხოლოდ ძველით სულდგმულობა და პროგრესული ცვლილებების შიში, ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა:

> წინა კაცსა უკან მომდევარი იმისთვის უყურებს, რომ, ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. რაც მამა პაპას უქნია, ის ჩვენ უნდა ვქნათო, – ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის. თუ მაგას მივყევით, ჩვენც ჩინებსავით შევზდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავზდგამთ (ჭავჭავაძე 1861: 567-568).

ბრძოლა არ იყო მარტივი, რადგან კონსერვატორები პოზიციებს არ თმობდნენ. არც „თერგდალეულები“ ნებდებოდნენ. მათ, ახალი იდეების გავრცელებასთან ერთად, მოახდინეს სალიტერატურო ენის ძირეული რეფორმა, რითაც მხატვრული ლიტერატურა ხალხისთვის უფრო მეტად გასაგები გახადეს.

ქართველი ახალგაზრდების რამდენიმე მასობრივ გამოსვლას ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირშიც კი ჰქონდა ადგილი: პირველად 1956 წლის 4-9 მარტს. ამ საპროტესტო გამოსვლის ინიცირება იოსებ სტალინის კულტის დაგმობამ გამოიწვია, თუმცა მოგვიანებით, აქციის მონაწილეებმა პოლიტიკური მოთხოვნები დააყენეს. აქცია ჯარის მეშვეობით დაშალეს, რა დროსაც მრავალი ათეული ახალგაზრდა დაიღუპა.

მეორე მასობრივი საპროტესტო გამოსვლა საბჭოთა კავშირში 1978 წლის 14 აპრილით თარიღდება. ამ დღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია გაიმართა, რომელზეც ახალი კონსტიტუციის პროექტი უნდა მიეღოთ. პროექტის თანახმად, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. საპროტესტო აქციაში, ძირითადად, სტუდენტი ახალგაზრდობა მონაწილეობდა. მომიტინგეთა დასარბევად ჯარი იყო მობილიზებული. საბედნიეროდ, აქციის დასაშლელად ძალა არ გამოუყენებიათ: კონსტიტუციაში საკამათო მუხლის შეტანაზე სესიამ, მოსკოვიდან თანხმობის მიღების შემდეგ, უარი თქვა.

შემდგომ იყო 1989 წლის 4-9 აპრილის მასობრივი ანტისაბჭოთა გამოსვლები თბილისში, რომელიც სამხედროებმა დაარბიეს, რასაც მსხვერპლი მოჰყვა: დაიღუპა 21 ადამიანი.

საკმაოდ მასშტაბური იყო 2019 წლის 20 ივნისს გამართული აქცია, რომელიც სპონტანურად გაიმართა იმის გასაპროტესტებლად, რომ საქართველოს პარლამენტის სასესიო დარბაზში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის 26-ე სესიის სხდომის დროს, ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთის დუმის დეპუტატმა, კომუნისტმა სერგეი გავრილოვმა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა. სამართალდამცველები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს. მათ აქციის დასაშლელად ბრუტალური მეთოდები გამოიყენეს: სპევრაზმის წევრები აქციის მონაწილეებს რეზინის ტყვიებს დამიზნებით ესროდნენ. ოფიციალური მონაცემებით, საპროტესტო აქციის დაშლის დროს 275 პირი დაშავდა, მათ შორის – 187 სამოქალაქო პირი (ორმა მოქალაქემ თვალი დაკარგა), 15 – ჟურნალისტი და შინაგან საქმეთა სამინისტროს 73 თანამშრომელი. 21 ივნისს პოსტიდან გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე. სასამართლომ 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე არასათანადოდ გამოიძია. დამნაშავეები არ დაუსჯიათ. დაზარალებულები იძულებული გახდნენ სტრასბურგის სასამართლოსთვის მიემართათ, რომელმაც საქართველოს მთავრობას დაზარალებულებისთვის 160 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

განსაკუთრებულ ყურადღებას შევაჩერებ ბოლოდროინდელ ორ საპროტესტო აქციაზე, რომლებმაც საქართველოში ახალი, ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოების დაბადების ფაქტი გვამცნეს.

2023 წლის 7-9 მარტს გაიმართა მასობრივი აქცია, რომლის მონაწილენი საქართველოს პარლამენტში „უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ“ კანონპროექტის განხილვას აპროტესტებდნენ (დაარეგისტრირა მოძრაობამ „ხალხის ძალა“, რომელიც „ქართულ

ოცნებასთან“ აფილირებული ჯგუფია). თვითორგანიზებული აქციის მონაწილეები, ძირითადად, ახალგაზრდები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ აქცია მშვიდობიანად მიმდინარეობდა და შეკრების უფლების რაიმე ფორმით შეზღუდვის ობიექტური საჭიროება არ არსებობდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ 20:43 საათზე გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმად, თუ აქციის მონაწილეები საკუთარი სურვილით არ დაიშლებოდნენ, მათ წინააღმდეგ ძალას გამოიყენებდნენ. მოგვიანებით, სამართალდამცველებმა აქციის მონაწილეთა დასაშლელად სპეციალური საშუალებების ერთობლიობა – ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი, წყლის ჭავლი და ხელკეტები გამოიყენეს. აქცია რამდენჯერმე დაშალეს, რა დროსაც სამართალდამცველები არაპროპორციულ ძალას იყენებდნენ (აჭარის მაუწყებელი 2023). მოპროტესტეები გარკვეული ხნით განერიდებოდნენ ხოლმე პარლამენტის შენობის მიმდებარე სივრცეს, მაგრამ ცრემლსადენი გაზის ნისლის გაფანტვის შემდეგ, უკან ბრუნდებოდნენ. „რობოკოპების“ შეტევა, აქციის მონაწილეთა უკანდახევა და შემდეგ კვლავ მოწინავე პოზიციებზე დაბრუნება რამდენჯერმე განმეორდა. ამის შემხედვარეს, გამახსენდა „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენჯერმე მოხმობილი ფრაზა – „უშიში ვითარც უხორცო“. თუ მემატიანე ამ ეპითეტს სრულიად გამორჩეული, სამეფო სისხლის მქონე პირის დასახასიათებლად იყენებდა, XXI საუკუნეში ის კრებსითმა ქართველმა ახალგაზრდობამ დაიმსახურა.

ამგვარი შეუპოვრობა „რობოკოპებისთვის“ (და სამართალდამცავი ორგანოების მაღალჩინოსნებისთვისაც) აქამდე სრულიად წარმოუდგენელი და გაუგონარი ამბავი იყო. საპროტესტო აქციის დაშლის დროს დასამახსოვრებელი მომენტი იყო წყლის ჭავლთან მოთამაშე 16 წლის გოგონა – სალომე კანჭიაშვილი (სურ. 1) და ახალგაზრდა ქალბატონი – ნანა მალაშხია ევროკავშირის დროშით ხელში, რომლისთვისაც წყლის ჭავლი მიზანმიმართულად ჰქონდათ დამიზნებული, მაგრამ ადგილიდან ძვრაც კი ვერ უყვეს, რადგან აქციის სხვა მონაწილეები ირგვლივ დაუდგნენ და ერთობლივი ძალით ევროკავშირის მოფრიალე დროშა ძირს დაცემისგან გადაარჩინეს, რაც მრავლისმეტყველი სიმბოლური აქტი იყო (სურ. 2).

სამართალდამცველებმა საპროტესტო აქციაში მონაწილე 66 პირი ადმინისტრაციული წესით დააკავეს, მათ შორის 21 წლის ლაზარე გრიგორიადისი, რომელსაც „მოლოტოვის კოქტეილის“ სროლისა და პოლიციის მანქანის დაწვის ბრალდება წაუყენეს და 2024 წლის 12 აპრილს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხრაწლიანი პატიმრობა შეუფარდეს. 2024 წლის 24 აპრილს, საქართველოს პრეზიდენტმა ლ. გრიგორიადისი შეიწყალა (რადიო თავისუფლება 2024ბ).

შეუპოვარი ახალგაზრდების საპროტესტო აქციების ფონზე, პარლამენტარები იძულებული გახდნენ 2023 წლის 10 მარტს „აგენტების შესახებ“ კანონპროექტი, მისი მეორე მოსმენით განხილვის დროს ჩაეგდოთ. ამასთან ერთად, მათ საზოგადოებას პირობა მისცეს, რომ კანონპროექტს განსახილველად ხელახლა არ შეაბრუნებდნენ. თუმცა, ავადსახსენებელი კანონპროექტის ისტორია ამით არ დამთავრებულა. ერთი წლის შემდეგ, 2024 წლის 3 აპრილს „ქართულმა ოცნებამ“ განაცხადა, რომ კანონპროექტს უკან აბრუნებდა. ერთადერთი ცვლილება, რაც მასში შეიტანეს, სათაური იყო: „უცხოური გავლენის აგენტი“ ჩანაცვლდა „უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელი ძალით“.

2024 წლის 15 აპრილს, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში კანონპროექტის განხილვის პარალელურად, ახალგაზრდებმა პარლამენტთან საპროტესტო აქცია გამართეს. ამავე დღეს, პარლამენტში ამოქმედდა „უსაფრთხოების ყვითელი დონე“, რომლის ძალით პარლამენტის შენობაში ინტერნეტ-ტელევიზიებისა და მასმედიის საშუალებათა წარმომადგენლების, აკრედიტაციის არმქონე ჟურნალისტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა შესვლა აიკრძალა.

პოლიციამ პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ ძალა გამოიყენა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა კანონპროექტი დაამტკიცა და განსახილველად პარლამენტს გადასცა. 16 აპრილს, სპეცრაზმმა აქციის მონაწილეებს პარლამენტის შენობის ერთ-ერთ შესასვლელთან პოზიციების დაკავების შესაძლებლობა არ მისცა, რისთვისაც მათ წინააღმდეგ სპეციალური საშუალება – გაურკვეველი სითხე გამოიყენა (რადიო თავისუფლება 2024ა).

ეს იყო არა წიწაკის სპრეი, არამედ ქაფისმაგვარი, წებოვანი ნივთიერება. იმის გამო, რომ 16 აპრილს კომიტეტმა კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღება ვერ მოასწრო, განხილვა მომდევნო დღეს გაგრძელდა. 17 აპრილს აქციის მონაწილეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რის გამოც რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა. აქციები ყოველდღიურ რეჟიმში გაგრძელდა. მოგვიანებით, გაფართოვდა მათი ჩატარების არეალიც: პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, გმირთა და ევროპის მოედნები.

სამართალდამცველები აქციების დასაშლელად არაპროპორციულ ძალას იყენებდნენ. მათ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების ძალისმიერი დაშლისთვის არანაირი საფუძველი არ გააჩნდათ. „რობოკოპებისა" და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების გარდა, მოქმედებდა გაურკვეველი კუთვნილების დანაყოფი, რომელიც აქციების მონაწილეებს განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა. ამ დანაყოფის წევრები, რომლებსაც ნიღბები ეკეთათ და უნიფორმაზე პირადი ნომრები არ ჰქონდათ დატანილი, „რობოკოპებისა" და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების უკან დგებოდნენ. გარკვეულ მომენტებში, სამართალდამცველთა ცოცხალი ჯაჭვი ერთ ადგილას იხსნებოდა. ამ დროს, გაურკვეველი დანაყოფის წევრები ხალხის მიმართულებით გარბოდნენ, რამდენიმე მონაწილეს ბოჭავდნენ და იტაცებდნენ, რა დროსაც უმოწყალოდ სცემდნენ. ერთ-ერთი სატელევიზიო კომპანიის ვიდეოკამერამ ნიღბოსანი სამართალდამცველის ხელზე კასტეტი დააფიქსირა. ეს ადამიანები ჩადიოდნენ დანაშაულს. იმის გამო, რომ დანაყოფის წევრებს ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომრები არ ჰქონდათ, დამნაშავე სამართალდამცველთა გამოვლენა, ფაქტიურად, შეუძლებელი იქნება.

როგორც ჩანს, სახელისუფლებო წრეები არ ელოდნენ ასეთ არნახულ მასობრივ და პერმანენტულ საპროტესტო გამოსვლებს სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოების მხრიდან. ამიტომ, 7 მაისიდან დაიწყო აქციის აქტიურ მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ოპერაცია: მათ მობილურ ტელეფონებზე უცხოეთის რამდენიმე ქვეყნის (ძირითადად აზერბაიჯანის) ნომრებიდან ურეკავდნენ, რა დროსაც აგინებდნენ და ემუქრებოდნენ. 8 მაისიდან მუქარის ზარები უკვე ადგილობრივი ნომრებიდან შემოდიოდა. იმავდროულად, სისტემურად ხორციელდებოდა კუნთმაგარ, ნიღბიან და ჰუდიან უცხო პირთა ჯგუფების ჩასაფრებები აქციის მონაწილეთა საცხოვრებლებთან და მათი უმოწყალო ცემა. გირჩის ლიდერ ზურაბ ჯაფარიძეს ცეცხლსასროლი იარაღიდან გამაფრთხილებელი გასროლის განხორციელებაც კი მოუწია, რათა თავი დაეცვა (ტაბულა 2024).

აკადემიური წრეების მოსათოკად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა გამოეყენებინა საბჭოთა კავშირში კარგად აპრობირებული ზეწოლის ხერხი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზეწოლა უნდა მოახდინო ხელმძღვანელ პირებზე, ჩვენ შემთხვევაში – უნივერსიტეტების რექტორებზე, რათა მათ, თავის მხრივ, ზეწოლა მოახდინონ ქვემდებარე აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებზე, რამეთუ სწორედ ეს უკანასკნელნი იყვნენ საპროტესტო აქციების ძირითადი მონაწილე და წარმმართველი ძალა.

2024 წლის 13 მაისს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიკრიბნენ უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, რომლებიც არიან საქართველოს უნივერსიტეტების რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრები (რექტორთა კონფერენციის თავმჯდომარე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურგენიძე). ისინი ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურნენ ე. წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის" საწინააღმდეგო პროტესტს, და მასთან ერთად, წინა დღეს თხუთმეტზე მეტი უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ დაანონსებულ „გაფიცვას". სხდომაზე მისულ რექტორებს ერთობლივი განცხადების წინასწარ მომზადებული ტექსტი დაურიგდათ, რომელმაც იმავე დღესვე გამოჟონა და მასმედიის საშუალებებით გავრცელდა. როგორც დ. გურგენიძემ განაცხადა, ეს იყო რამდენიმე პროფესორის მიერ მომზადებული წინასწარი პროექტი, რომელზეც შეხვედრის მონაწილეებმა ერთად იმსჯელეს. ერთობლივი განცხადების ტექსტის ოფიციალური ვერსია ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე მხოლოდ 14 მაისს განათავსეს (სტუ 2024). 13 მაისს გამოჟონილი და 14 მაისს ვებგვერდზე დადებული ოფიციალური ტექსტები ერთმანეთის იდენტურია. ამასთან დაკავშირებით ორი ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: 1) ერთობლივი განცხადების ტექსტი ერთ-ერთ სახელმწიფო სტრუქ-

ტურაში, სავარაუდოდ განათლების სამინისტროში დაიწერა და რექტორებს მისი მიღება დაევალათ, 2) ტექსტის პროექტის შედგენაზე, მართლაც, აკადემიურმა პერსონალმა იმუშავა, თანაც ისე ყურადღებით, რომ რექტორებს მასში შესწორებებისა და დამატებების შეტანა არ მოუწიათ. ასე იყო თუ ისე, შემთხვევითი არაა, რომ ერთობლივი განცხადება ოფიციალურად სწორედ 14 მაისს, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ე. წ. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მესამე მოსმენით მიღების დღეს გასაჯაროვდა, როცა ხელისუფლება სახალხო პროტესტის გამძაფრებას ელოდა.

ერთობლივ განცხადებას რექტორებმა 38 უნივერსიტეტის სახელით მოაწერეს ხელი (მათ შორის არ არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტები, ალტე უნივერსიტეტი, ჯიპა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ვებსტერის უნივერსიტეტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, ალტერბრიჯი, საქართველოს უნივერსიტეტი და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი (ხელმომწერთა შორის არის არა ეს, არამედ სხვა, ასევე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის *სასწავლო* უნივერსიტეტი, შპს-ს სტატუსით).

გასაჯაროვებულ დოკუმენტთან დაკავშირებით, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ სპეციალური განცხადება გააკეთა:

> სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დაუშვებლად მიიჩნევს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გამოხატვის თავისუფლების რაიმე ფორმით შეზღუდვას.
> სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება აკადემიური თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.
> ვემიჯნებით ნებისმიერ მოწოდებას ან ქმედებას, რომელიც ამ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება (სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2024).

ერთობლივი განცხადების გასაჯაროვებიდან მოკლე ხანშივე, ერთობლივ განცხადებას კავკასიის უნივერსიტეტის მმართველთა საბჭო გაემიჯნა, ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ უნივერსიტეტის რექტორმა კახა შენგელიამ განცხადების ტექსტს ხელი საბჭოსთან შეთანხმების გარეშე მოაწერა:

> კავკასიის უნივერსიტეტის მმართველთა საბჭო ხმათა უმრავლესობით არ იზიარებს დღეს გამოქვეყნებულ, საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა კონფერენციის განცხადების სულისკვეთებასა და ხედვას. აღვნიშნავთ, რომ განცხადებაზე ხელმოწერა არ იყო შეთანხმებული მმართველთა საბჭოსთან და ცნობილი გახდა გამოქვეყნების შემდეგ. შესაბამისად, პოლიტიკური პოზიციის შემცველ ამ განცხადებაზე ჩვენი პოზიციის გამოხატვა შევძელით კავკასიის უნივერსიტეტის საბჭოს კვორუმის შედგენისთანავე (რადიო თავისუფლება 2024გ).

მართალია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გასაჯაროვებული ტექსტის ხელმომწერთა ჩამონათვალიდან კავკასიის უნივერსიტეტი არ ამოუღიათ, მაგრამ მმართველთა საბჭოს განცხადების გათვალისწინებით, საქართველოს უნივერსიტეტების რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრების ერთობლივი განცხადების მხარდამჭერთა შორის კავკასიის უნივერსიტეტი არ უნდა ვიგულისხმოთ.

15 მაისს განცხადება გაავრცელა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმაც:

> ვეხმიანებით ზოგიერთ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის შეჩერებისა და გადავადების შემთხვევებს, რისი მომსწრენიც ბოლო პერიოდში გავხდით. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია წინასწარ, მის მიერ განსაზღვრული სასწავლო/აკადემიური კალენდრის შესაბამისად, უზრუნველყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა... შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებ-

ლო დაწესებულებებში, ადმინისტრაციის მხრიდან უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება, რათა არ მოხდეს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2024).

ზემორე განცხადებას 15 მაისსავე გაემიჯნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ასამდე თანამშრომელი:

ვემიჯნებით ცენტრის ფეისბუქ-გვერდზე გაკეთებულ დღევანდელ განცხადებას, რომლითაც ჩრდილი ადგება საქართველოს ახალგაზრდობის ნათელ, გულწრფელ და სამართლიან პროტესტს ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდასაჭერად. ქვეყანაში შექმნილია უმწვავესი მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა მოსახლეობის ცალსახა არჩევანს ... ღრმად გვწამს, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური, თითოეული პროფესორი და სტუდენტი კი თავისუფალი საკუთარი სინდისის წინაშე. ჩვენ ვდგავართ ჩვენი უნივერსიტეტების, სტუდენტების, პროფესორების, ექსპერტების გვერდით ჩვენი ევროპული მომავლის დასაცავად (პუბლიკა 2024).

უნივერსიტეტების ერთობლივი განცხადების ტექსტი, მართლაც, წინააღმდეგობრივი და არადემოკრატიულია. ის შემდეგი პრეამბულით იწყება:

საქართველოს უნივერსიტეტები, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რექტორების მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრები ვეხმიანებით ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, რომლებმაც ასახვა ჰპოვა უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის წარმართვაზე.

შემდეგ, გაჟღერებულია ძირითადი თეზისი:

მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი აკადემიური სივრცის მიღმა უნდა დარჩეს. შესაბამისად, ის არ უნდა აისახოს უნივერსიტეტების ფუნქციონირებასა და სწავლა-სწავლების წარმართვაზე. არ უნდა მოხდეს სტუდენტთა ინტერესებისა და სასწავლო პროცესის დაზიანება. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენთვის ფუნდამენტურად ღირებულია გამოხატვის თავისუფლების გარანტირება (სტუ 2024).

როგორც ვხედავთ, ზემორე გზავნილის პირველი ნაწილი წინააღმდეგობაში მოდის მის ბოლო წინადადებასთან, რადგან თუ უნივერსიტეტისათვის „ფუნდამენტურად ღირებულია“ გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა, მაშინ როგორ შეიძლება, რომ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების აქციებში მონაწილეობა და პოლიტიკური განცხადებების გაკეთება მიუღებლად მიიჩნიო? ფრაზა – „მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი აკადემიური სივრცის მიღმა უნდა დარჩეს“, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ თანახმად არალეგიტიმურია. მოდით ვნახოთ რა სახის ჩანაწერია გაკეთებული ამ კანონში პოლიტიკური აქტიურობის შესახებ:

მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები:
5. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება შეიქმნას პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულები (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005).

ფაქტია, რომ კანონით დაწესებული ერთადერთი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსიტეტის ფარგლებში დაუშვებელია „პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების სტრუქტურული ერთეულების“ შექმნა. მაშასადამე, კანონის მიხედვით, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს არ ეზღუდებათ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისა

და პოლიტიკური მოსაზრებების გამოთქმის უფლება.

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მკაფიოდაა განმარტებული „საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ". ჩვენთვის ეს კანონიც საინტერესოა, რადგან საპროტესტო აქციებში სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობენ. ზემორე კანონის მეთხუთმეტე მუხლის თანახმად, „დაუშვებელია, სკოლამ წარმართოს ან აკონტროლოს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შეკრების მსვლელობა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ" (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005).

ობიექტურად, პოლიტიკური პროცესები ვერ დარჩება უნივერსიტეტების მიღმა, რადგან „საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ", კონკრეტულად მესამე მუხლის პირველ პარაგრაფში შემდეგი ჩანაწერია:

> მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები
> 1. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:
> ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005).

„საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ" კი შემდეგს ვკითხულობთ:

> მუხლი 3. ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები
> 1. საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005).

დიახ, განათლების მთავარი ამოცანაა ახალგაზრდების თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მათში სწორი ფასეულობების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და აღზრდა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კულტურულად და პოლიტიკურად სწორად ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება. ადამიანებში თავისუფლებისადმი სწრაფვის გაზრდა და კრიტიკული ცნობიერების ამაღლება პედაგოგიკის უპირველესი ამოცანაა. განათლებამ ადამიანებს უნდა მისცეს არა მხოლოდ კონკრეტული სასწავლო საგნების ცოდნის შესაძლებლობა, არამედ იმის უნარიც, რომ ამოიცნოს სამართლიანი და უსამართლო ქმედებები, ის თუ რა ან ვინ ზღუდავს მის და ზოგადად საზოგადოების უფლებებს. მხოლოდ ამის ცოდნის შემდეგ იქნება ინდივიდი ორიენტირებული დემოკრატიასა და ჰუმანიზმზე და შესძლებს გააზრებული წინააღმდეგობის გაწევას უსამართლობისა და უკანონობისადმი, მზად იქნება საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესებისა და საკუთარი უფლებების დასაცავად. სხვათა შორის, „საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ" არის მუხლი სტუდენტთა უფლებების შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ:

> მუხლი 43. სტუდენტის უფლებები
> 1. სტუდენტს უფლება აქვს: ვ) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
> ზ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას
> (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005).

ახლა, რაც შეეხება ერთობლივ განცხადებაში მოხმობილ შემდეგ პუნქტს: „აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის მიუღებელია უნივერსიტეტების სახელით გარკვეული ჯგუფების მიერ პოლიტიკური განცხადებების გაკეთება." ეს არის არალეგიტიმური მოთხოვნა. საქმე

ისაა, რომ უნივერსიტეტი არ არის რაღაც განყენებული ობიექტი, არამედ ის არის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობა. ამის გათვალისწინებით, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ სრული უფლება გააჟღერონ ნებისმიერი ერთობლივი მოსაზრება არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ მათი უნივერსიტეტის სახელითაც.

შევეცდები არგუმენტირებულად ავხსნა, თუ რატომ მიმაჩნია, რომ ზემოთ მიმოხილულმა მოვლენებმა საქართველოში ახალი, ევროპული ტიპის სამოქალაქო საზოგადოების დაბადება გვამცნეს.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდებმა თვითორგანიზებულობის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენეს. თუნდაც რად ღირს 2024 წლის 11 მაისს ევროპის მოედანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული 200,000 კაციანი აქცია, რომელზეც მონაწილეები თვითორგანიზებულად, საკუთარი გულისძახილითა და ნებით მივიდნენ, განსხვავებით ხელისუფლების მიერ 29 აპრილს თბილისში დაორგანიზებული კონტრაქციისგან, რომლის მინაწილეები მოსყიდვის, დაშინებისა და იძულების გზით რეგიონებიდან ავტობუსებით ჩამოიყვანეს.

ახალგაზრდები თავად გეგმავდნენ საპროტესტო გამოსვლის ყველა ეტაპს, აქციის გამართვის ლოკაციის შერჩევიდან დაწყებული და მისი მიმდინარეობის მართვით დამთავრებული. მართალია, აქციებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც ესწრებოდნენ, მაგრამ ახალგაზრდები მათ პროცესების წარმართვის შანსს არ უტოვებდნენ და პოლიტიკოსებიც რიგით მონაწილეებად და გულშემატკივრებად რჩებოდნენ.

აქციის დღეებში, ახალგაზრდა მონაწილეთა მხრიდან ვხედავდით თანაგრძნობისა და ურთიერთანადგომის გასაოცარ მაგალითს. მათ აქციების დაწყების დღიდანვე შექმნეს მოხალისეთა ჯგუფები, რომლებიც აქციის მონაწილეებს პირბადეებს, საწვიმრებსა და რესპირატორებს ურიგებდნენ; წიწაკის სპრეით თვალებდამწვრებს ფიზიოლოგიურ ხსნარსა და ბამბას შეაშველებდნენ, ან სასწრაფო დახმარების მანქანამდე მისვლაში ეხმარებოდნენ. აქციის დასრულების შემდეგ, მოხალისეები ნაგავს აგროვებდნენ და ცელოფნის დიდი პარკებით თავმოყრილად ტოვებდნენ, რათა დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებისთვის მათი გატანა გაემარტივებინათ. ახალგაზრდებმა ოპერატიულად შექმნეს ფეისბუქ-ჯგუფი „დაიტოვე", რომელშიც ძალიან მოკლე ხანში 150,000 ადამიანზე მეტი გაწევრიანდა. ამ ჯგუფში იდებოდა პოსტები სხვადასხვა სახის დახმარების შეთავაზებით: უფასო ტრანსპორტირება, რეგიონებიდან ჩამოსულ აქციის მონაწილეთა უფასოდ დაბინავება და საკვებით უზრუნველყოფა, მიუსაფარი ცხოველების რუსთაველის პროსპექტიდან გაყვანა, რათა მხუთავი აირის მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ და ა. შ. ნურავინ იტყვის, რომ ამაში გასაკვირი არაფერია იმ კონტექსტით, რომ „ჩვენ, ქართველები ტოლერანტობით გამორჩეული ერი ვართ". დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი, თუ რამდენად ტოლერანტული ერი ვიყავით განვითარებულ შუა საუკუნეებში, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს და აღდგენილი დამოუკიდებლობის პირობებში ცხოვრების 33 წლის განმავლობაში ამ ტოლერანტობისაგან დღემდე აღარაფერი რჩებოდა, სანამ ახალგაზრდები თავიანთი სამშობლოს ევროპული მომავლის დასაცავად ქუჩაში სრულიად გულწრფელად გამოვიდნენ და თანადგომის მაგალითი გვიჩვენეს.

ახალგაზრდები არ უშინდებოდნენ სპეცრაზმის წევრთა არაპროვოცირებულ ბრუტალურ ქმედებებს, უმოწყალო ცემას უკანონოდ დაკავების დროს და მის შემდეგაც. რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ სპეცრაზმელთა ასეთ ქცევას აქციის მონაწილე ახალგაზრდებში გაბოროტება არ გამოუწვევია. ამის მაგალითია სოციალური ქსელებით გავრცელებული ვიდეოჩანაწერი, რომელიც 2024 წლის 14 მაისს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე გამართული საპროტესტო აქციის მსვლელობის დროსაა გადაღებული. სასმელი წყლის შადრევანთან წიწაკის სპრეით შემთხვევით დაზარალებული პოლიციელი სამ სხვა სამართალდამცველთან ერთად დგას და თვალებიდან სპრეის ჩამობანვას ცდილობს. ამ დროს, აქციის ერთ-ერთი მონაწილე ვაჟი პოლიციელებს მიმართავს: „მეგობარო, ფიზიოლოგიური ხსნარი ხომ არ გინდა?" და ბოთლს აწვდის. ამის შემდეგ, პოლიციელებთან გოგონა მირბის და ბამბას აძლევს (სურ. 3). ეს სცენა იმის კარგი ილუსტრაციაა, რომ აქციაში მონაწილე ახალგაზრდებს სამართალდამცველები არ სძულთ. მართალია, სამართალდამ-

ცველები ახალგაზრდების მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ გასაჭირის დროს ეს უკანასკნელნი თანამოქალაქე მოძალადეს უშურველად ეხმარებიან, რადგან მასზე გაბოროტებული არ არიან. ეს არის მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული მორალის ცხოვრებაში განხორციელების შესანიშნავი მაგალითი. ამგვარი ქცევა მით უფრო დასაფასებელია ასაკოვანი მოქალაქეების მუდმივი კინკლაობისა და ურთიერთშეურაცხყოფის ფონზე, რასაც მუდმივად აქვს ადგილი ქუჩაში, დაწესებულებებში, თუ სოციალურ ქსელებში. ჩვენს ახალგაზრდებს კი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი მოყვასისადმი ემპათიის გრძნობა.

რატომ არის ეს ასე მნიშვნელოვანი? ადამიანები სოციალური არსებები ვართ, რაც გულისხმობს საზოგადოების წევრებს შორის სოციალურ ურთიერთობებსა და ურთირთემპათიას. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში სამოცდაათწლიანი ცხოვრების „სტაჟმა“ ერთმანეთისგან გაგვაუცხოვა: სასტიკი რეპრესიებით დაშინებული საზოგადოების წევრები ერიდებოდნენ ერთმანეთთან ურთიერთობას. დაიკარგა ურთიერთნდობა და რაც ყველაზე მთავარია, ურთიერთემპათიის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, საზოგადოება ინერციით აგრძელებდა იმ პრინციპით ცხოვრებას, რომელიც ქართულ ანდაზაშია ასახული: „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“. 2024 წლის აპრილ-მაისში, თბილისში გამართულ პერმანენტულ აქციებზე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა საერთო მიზნისთვის ერთად დგომამ, მათში არსებული ემპათიის გრძნობის ზრდა გამოიწვია. ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ახლო მომავალში, აქციებში მონაწილე ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი აქტიურად ჩაებმება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ემპათიურ ლიდერებს კი ძალუძთ კონფლიქტების მოგვარება, რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მქონე მხარეებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა და მხარეების ერთმანეთთან დაახლოება ქვეყნის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად. და ზოგადადაც, ემპათია ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციასა და გაძლიერებას. ემპათია ევროპისა და ზოგადად დასავლეთი სამყაროს მახასიათებელი ნიშანია, ამდენად, ჩვენი ახალგაზრდებიც ამ სამყაროს ნაწილი უკვე არიან.

2024 წლის აპრილსა და მაისში გამართულ საპროტესტო აქციებზე მუდმივად ვხედავდით მშვიდობიანად მდგომ ქართველ ახალგაზრდებს. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველები აჭარბებდნენ უფლებამოსილებას და ხელკეტებით, წყლის ჭავლით, წიწაკის სპრეითა და ცრემლსადენი გაზით „უმასპინძლდებოდნენ“ აქციის მონაწილე ახალგაზრდებს, ეს უკანასკნელნი სპეცრაზმელების რიგების წინ უშიშრად იდგნენ და ლაღად ცეკვავდნენ და მღეროდნენ. სოციალური ქსელით გავრცელდა კადრი, რომელშიც აქციის დროს ჩამოვარდნილი ერთ-ერთი მშვიდი პაუზის დროს, თავდაცვითი საშუალებებით სრულად ეკიპირებული სტუდენტი ნოე მაჭარაშვილი წიგნს კითხულობს (სურ. 4). პირველ ხანებში, ახალგაზრდების ამგვარი ქცევა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებში დაბნეულობასაც კი იწვევდა, რადგან ეს მათთვის სრული მოულოდნელობა იყო.

ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ერთადერთ პარალელად მახსენდება 1930 წლის მარტში მაჰათმა განდის წინამძღოლობით, ინდოელი ხალხის მიერ დაწყებული არაძალადობრივი, მშვიდობიანი „ბრძოლა“ სამოქალაქო უფლებების მოსაპოვებლად. რეალურად, ეს იყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მშვიდობიანი საპროტესტო მოძრაობა, რომელმაც შედეგი გამოიღო. თუმცა, ინდოელ ხალხს სასურველი შედეგის მისაღწევად საკმაოდ დიდი დრო და მსხვერპლის გაღებაც კი დასჭირდა.

საპნის ბუშტივით გასკდა ახალგაზრდების დისკრედეტირების მიზნით გავრცელებული ცრუ ნარატივები, რომ თითქოს აქციებში მონაწილე ახალგაზრდები „ლიბერასტული დასავლეთის“ იდეებით არიან მოწამლული და მათში ეროვნული არაფერია. ეს გააქარწყლა აქციების დროს ახალგაზრდების მიერ ჩინებულად შესრულებულმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა. კონსერვატორი მართლმადიდებლების ნარატივს ახალგაზრ-

დების ურწმუნოებასთან დაკავშირებით, პასუხი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაეცა, როცა ათასობით ახალგაზრდამ ქაშუეთთან ილიტანია, ილოცა და იგალობა. კონსერვატორების მხრიდან ახალგაზრდების გაკიცხვის კიდევ ერთი ტალღა მაშინ წამოვიდა, როცა მათ გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან ფიცის დადებისას, ილია ჭავჭავაძისეული საყოველთაოდ ცნობილი თეზისის „ენა, მამული, სარწმუნოება“ მოდიფიცირება მოახდინეს და ფიცის ტექსტში „ენა, მამული, ერთობა“ გააჟღერეს. „ციციკორეებმა“ ჩათვალეს, რომ ამგვარი ფორმულირება ახალგაზრდების მიერ იდენტობის დაკარგვაზე მიანიშნებდა, რაშიც აშკარად შეცდნენ. სამწუხაროდ, მათ არ იციან, რომ იდენტობა არ არის რაღაც გაქვავებული და ფიქსირებული ცნება. იდენტობა არ ნიშნავს წარსულში ჩარჩენას. ის მუდმივად ფორმირების პროცესშია: იდენტობა ვითარდება და განიცდის ცვლილებას. მოგვიანებით, ახალგაზრდებმა ზემორე თეზისი დააკორექტირეს და ილიას ვერსიაში „ერთობა“ ჩაამატეს. ეს კომპრომისიც მათი ევროპულობის უტყუარი ნიშანია.

სხვათა შორის, სტუდენტი ახალგაზრდობის მაღალი თვითშეგნება და ძირითად ღირებულებებზე მათი სწორი ორიენტაცია გამოკითხვითაც დასტურდება. კერძოდ, სტუდენტებმა 75.23%-ით პირველ ადგილზე კანონის წინაშე თანასწორობა დააყენეს, მომდევნოზე, თავისუფალი თვითგამოხატვა (61.64%), კანონმორჩილება (53.45%), ქველმოქმედება (48.04%) და სოლიდარობა (46.74%) (სტუდენტური კვლევები 2024).

ახალგაზრდების ერთსულოვნება და მათ მიერ სამშობლოს სიყვარულის საქმით დამტკიცება გამონაკლისი და ერთჯერადი პროცესი არ ყოფილა. ევროპული სტილის ახალი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შესახებ პირველად 2015 წლის ივნისში შევიტყვეთ, როცა თბილისში უხვად მოსულმა ნალექმა მდინარე ვერეს სათავესთან ფერდობი დამეწყრა, რის გამოც მდინარის წყალი დაგუბდა და შემდეგ ერთბაშად მოაწყდა ქალაქს. გმირთა მოედანი, მზიურის პარკი და მიმდებარე ქუჩები შლამით დაიფარა. მომდევნო დღეს, დილიდანვე, ახალგაზრდები საკუთარი ინიციატივით, თვითორგანიზებულად გამოვიდნენ გმირთა მოედანსა და მზიურის პარკში და ტერიტორიის დალაგება დაიწყეს. ასე ირჯებოდნენ რამდენიმე დღე, მანამ, სანამ ქალაქი მდინარის მიერ ჩამოტანილი შლამისაგან და ხის ტოტებისგან არ გაასუფთავეს.

ცხრაწლიანი შუალედის შემდეგ, 2024 წლის აპრილ-მაისში, ქართველი ახალგაზრდები კვლავ გამოვიდნენ ქუჩებში და მოქალაქეობრივი პოზიცია ამჯერადაც წარმატებით დააფიქსირეს.

დიახ, საქართველოში ახალი სამოქალაქო საზოგადოება უკვე დაიბადა. ის დღითიდღე იზრდება და ძლიერდება. სამშობლოზე შეყვარებული, ერთ მუშტად შეკრული ახალგაზრდების დამარცხება შეუძლებელია. ახლადშობილ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად ნელ-ნელა იბადება ახალი, ძლიერი და ერთიანი საქართველოც, რომელზეც ჩვენი წინაპრები ოდითგანვე ოცნებოდნენ.

შენიშვნა

[1] წინამდებარე სტატია ჟურნალის რედაქციას 2024 წლის მაისის ბოლოს გადავეცი. ჟურნალის გამოსვლა ამავე წლის დეკემბერში დაგეგმილი. შესაბამისად, ჩემ სტატიაში ვერ აისახებოდა ის მოვლენები, რომლებიც ჟურნალის ახალი ნომრის გამოსვლამდე დარჩენილი ნახევარწლიანი პერიოდის განმავლობაში განვითარდა.

დამოწმებანი

აჭარის მაუწყებელი: 2023 წლის 7-8 მარტს, არსებითად მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა. მათ შორის, ადგილი ჰქონდა მასობრივ დაკავებას – არასამთავრობო ორგანიზაციები, აჭარის მაუწყებელი. ვებ-გვერდი: https://ajaratv.ge/article/111184 (ნანახია 11.09.2024).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2024: *ფეისბუქის გვეხდზე გავხცეღებული განცხადება.* ვებ-გვერდი: https://www.facebook.com/photo/?fbid= 849759177192585&set =a.293378822830626 (ნანახია 11.11.2024).

პუბლიკა 2024: განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის თანამშრომელთა ნაწილი ცენტრის დღევანდელ განცხადებას ემიჯნება, *პუბღიკა*. ვებ-გვერდი: https://bit.ly/3CUivCv (ნანახია: 12.10.2024).

რადიო თავისუფლება 2024ა: სპეცრაზმმა პარლამენტთან აქციის მონაწილეების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, სპეციალური საშუალება გამოიყენა, *ჩადიო თავისუფღება*. ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/32908105.html (ნანახია: 10.112024).

რადიო თავისუფლება 2024ბ: პრეზიდენტმა ლაზარე გრიგორიადისი შეიწყალა, *ჩადიო თავისუფღება*. ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/32918603.html (ნანახია 11.09.2024).

რადიო თავისუფლება 2024გ: კავკასიის უნივერსიტეტის მმართველთა საბჭო ემიჯნება უნივერსიტეტების საერთო განცხადებას, *ჩადიო თავისუფღება*. ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/32947153.html (ნანახია: 15.11.2024).

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2005: საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, სსმ, 2, 10/01/2005. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=114 (ნანახია 10.10.2024).

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ 2005: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, სსმ 20, 04/05 2005,. ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=107 (ნანახია: 10.10.2024).

სტუდენტური კვლევები 2024: ჩვენი ღირებულებები, სტუდენტური კვლევები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვებ-გვერდი: https://studentresearch.iliauni.edu.ge/chveni-ghirebulebebi/ (ნანახია: 10.11.2024).

სტუ 2024: უნივერსიტეტების ერთობლივი განცხადება, საქართველოს ტექნიკური უნივერსტეტის ვებგვერდი: (ნანახია 10.11.2024). https://gtu.ge/News/24909/).

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2024: სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. ვებ-გვერდი: https://tinyurl.com/3258acyv (ნანახია 11.11.2024).

ტაბულა 2024: ზურა ჯაფარიძეს კვლავ ჩაუსაფრდნენ, მან გამაფრთხილებელი იარაღიდან გაისროლა, *ტაბუღა*. ვებ-გვერდი: https://tabula.ge/ge/news/717940-zura-japaridzes-kvlav-chausaprdnenman (ნანახია: 10.11.2024).

ჭავჭავაძე 1861: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის თარგმნაზედა“, *ჟუხნაღი „ცისკარი“*, № 4.

სურ. 1

სურ. 2 ფოტო ზურაბ ცერცვაძისა



სურ. 3

სურ. 4

THE BIRTH OF A NEW CIVIL SOCIETY IN GEORGIA

Lado Mirianashvili
Independent researcher
lado_miriani@yahoo.com

The paper deals with the new realities that have recently emerged in Georgia. Georgia saw continuous protests in April and May 2024 against the Foreign Influence Bill tailored after Russian legislation which cracked down on independent news media, non-governmental organizations and activists critical of the Kremlin. There were a couple of clashes with riot police over the proposed bill. Tear gas, pepper spray and water cannons were used against the peaceful protesters.

During the political crisis in the country, we witnessed the emergence of a new Georgian civil society consisting mainly of the young generation. They were born in independent Georgia, not knowing the oppression of the totalitarian Soviet regime. They are completely free to have a different opinion than that offered by officials, marching together to defend democratic future of Georgia.

The protests in Georgia showed that the young generation not only loves their country and is free from prejudices, but also shows the signs of a democratic civil society of European type. Post-Soviet Georgian society lacked empathy, while the new generation showed overwhelming empathy and compassion for all members of civil society. They help those in need and provide aid and support to all, including members of the Riot Police.

Since the youth were not politically active and did not participate in elections in the past, the government did not take them seriously from a political point of view. Subsequent developments have shown that the things have changed and the young generation of Georgia has become a serious force that will never tolerate the government's disregard for civil society. Through them, a new Georgian civil society was born to pave the way to the further democratization of the country and the aspiration of the Georgian people to become a member of the EU.

წიგნების მიმოხილვა

BOOK REVIEWS

შესანიშნავი საჩუქარი ბათუმს და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას

ირაკლი ბარამიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
irakli.baramidze@bsu.edu.ge

2023 წელს ქართული სამეცნიერო ლიტერატურის თაროს შეემატა ისტორიის დოქტორ ლელა სარალიძის შესანიშნავი მონოგრაფია *ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921)* (გამომცემლობა „ფავორიტი", თბილისი). კვლევა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

აღნიშნული გამოცემით განსაკუთრებით გაიხარა ბათუმის საზოგადოებამ ჯერ ერთი, კვლევის მიზანდასახულობიდან და, შესაბამისად, წიგნის სათაურიდან გამომდინარე და მეორეც, იმის გამო, რომ მისი ავტორი გახლავთ აქ გამართული სამეცნიერო ფორუმების ძალიან ხშირი და აქტიური მონაწილე.

მონოგრაფია შეეხება ბათუმის ცხოვრების უკიდურესად მძიმე წლებს, როცა ქალაქი, შეიძლება ითქვას, ხელიდან ხელში გადადიოდა და ბეწვზე ეკიდა საქართველოს შემადგენლობაში მისი ყოფნის საკითხი. მართალია, საკითხის ისტორიოგრაფია არცთუ ისე ღარიბია, მაგრამ ლ.სალარიძემ პრობლემა განიხილა და წარმოაჩინა კომპლექსურად, მთლიანობაში. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ გამორჩენია პრობლემის ირგვლივ დღემდე არსებული არც ერთი სერიოზული პუბლიკაცია, უმნიშვნელო სტატიებიც კი და ცალკეულ ავტორთა ღვანლი საგანგებოდაც აღნიშნა წიგნის შესავალში, რაც ნათლად მეტყველებს მის დიდ მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე.

მონოგრაფია შედგება შესავლის, შვიდი თავის, ცხრამეტი ქვეთავისა და დასკვნისგან. შესავალი, სადაც თემის აქტუალობასთან ერთად წარმოდგენილია ქალაქის ისტორიის მცირე ისტორიული ექსკურსი, მიზნად ისახავს პრობლემის არსის წარმოჩენას, მკითხველის გათვითცნობიერებას და პრობლემის არსში მის შეყვანას.

ნაშრომის პირველი თავი მთლიანად ეძღვნება ბათუმის საკითხის გარკვევას თურქულ ისტორიოგრაფიაში. ავტორი, არ იფარგლება მხოლოდ 1918-1921 წლების პერიოდით და უფრო ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოს გვთავაზობს. იგი ნათლად გვიჩვენებს იმ მიკერძოებულობასა და ტენდენციურობას, რასაც თურქი ავტორები იჩენენ ბათუმის საკითხზე მსჯელობისას. ლ. სარალიძე საგანგებოდ ჩერდება 1918 წლის ივლისის უკანონო და მთელი რიგი დარღვევებით ჩატარებულ რეფერენდუმზე. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, რეფერენდუმის შედეგების არასანდოობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი არ აღიარა თურქების მოკავშირე გერმანიის ხელისუფლებამ (გვ. 43).

მეორე თავი, რომლის სათაურია „პოლიტიკური ვითარება ბათუმში საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ" საკმაოდ ვრცელია და მოიცავს პერიოდს პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან 1918 წლის ბოლომდე. ამ თავში, ბათუმში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გარდა, საუბარია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტზე (1914-1918), საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაზე, ბრესტის ზავსა და ბათუმის საკითხზე, დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე (1918 წლის 26 მაისი), ბათუმის ოსმალური ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ რეფერენდუმზე და სხვ.

აღნიშნული თავის პირველ ნაწილში თანმიმდევრულად მოთხრობილია მსოფლიო ომის დაწყების, კავკასიის დაკავების ოსმალური გეგმებისა და ცალკეული სამხედრო ოპერაციების შესახებ. ავტორი აკეთებს სამართლიან აქცენტებს ამ პერიოდში რუსული იმპერიული ხელისუფლების მხრიდან აჭარელთა „სახელმწიფო ღალატში" და სომეხთა

ხოცვა-ჟლეტაში დადანაშაულებასთან დაკავშირებით, რასაც რეალობასთან არანაირი არ კავშირი ჰქონდა. ეს პროცესი, რომელსაც ადგილობრივთა შორის ასეულობით უდანაშაულო მსხვერპლი, ოჯახების მასობრივი აწიოკება, დევნა და გადასახლება მოჰყვა, ინსპირირებული იყო ბათუმის ოლქის ჯარების სარდლისა და ციხის კომენდანტის, გენ. ლიახოვის მიერ და მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ფრონტის ცალკეულ უბნებზე სამხედრო წარუმატებლობების გადაფარვას, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის მოსახლეობის ერთმანეთზე გადაკიდებას და ამით სარგებლის მიღებას. მკვლევარი საგანგებოდ უსვამს ხაზს „აჭარელთა საქმის“ შეწყვეტასა და აჭარლების რეაბილიტაციაში ა. ჩხენკელის ღვაწლს, რაც თავის დროზე მ. აბაშიძემაც აღნიშნა თავის მიმართვაში და აკეთებს მართებულ დასკვნას, რომ დედა საქართველოსთან ეროვნული თავისუფლების რწმენით დაკავშირებული ბათუმის ოლქის მოსახლეობისთვის ერთნაირად მიუღებელი იყო როგორც ოსმალები, ისე რუსი ჩინოვნიკები, რომლებმაც აჭარის მოსახლეობა ყალბი ბრალდებებით სასიკვდილოდ გაწირეს (გვ. 75).

შემდეგ ავტორი განიხილავს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (1914-1918) დაარსებას ჟენევაში და მის საქმიანობას, გერმანელთა ხელშეწყობით ოსმალეთის ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრის სიახლოვეს ქართული ლეგიონის ფორმირებას. ამას მოსდევს ბათუმისთვის მეტად მძიმე ბრესტის ზავი, რომლითაც რუსეთმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, ფაქტობრივად, ოსმალეთს გადაულოცა. მართალია, ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ამიერკავკასიის ოფიციალური დელეგაცია არ მონაწილეობდა, მაგრამ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრები ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დაკარგვა, თუმცა, ამას შედეგი არ მოჰყოლია. უშედეგოდ დასრულდა ოსმალეთთან პირდაპირი მოლაპარაკებისა და ქალაქის დაცვა-გამაგრების მცდელობებიც. 1918 წლის 14 აპრილს ბათუმი ოსმალებმა დაიკავეს. რვა დღეში კი გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამ მოვლენებს მკვლევარი ლ. სარალიძე განიხილავს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ფონზე, დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით. პარალელურად კი არც საზოგადოების, მათ შორის, მწერლების დამოკიდებულება რჩება ყურადღების მიღმა.

სამწუხაროდ, ოსმალეთის აგრესია ამის შემდეგაც გაგრძელდა, მაგრამ ქვეყანას სერიოზული მოკავშირე და მფარველი გამოუჩნდა გერმანიის მთავრობის სახით, რასაც მოჰყვა საქართველოს ნანატრი დამოუკიდებლობის გამოცხადება და ოსმალეთის დამპყრობლური გეგმების ჩაშლა. მალე ოსმალებმა სამუსლიმანო საქართველოს მიერთების დაკანონება საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევით ჩატარებული რეფერენდუმით სცადეს. ავტორი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ბათუმის ოლქში მიმდინარე პერიპეტიებს, უშუალოდ ხმის მიცემის პროცესს, რაც ნათელყოფს, რომ ეს ავანტიურა მიმართული იყო რეგიონის მცხოვრებთა ნების საწინააღმდეგოდ.

მესამე თავი ეხება ბათუმში დიდი ბრიტანეთის მმართველობის პერიოდს. სანამ ბრიტანელები ბოლომდე გაერკვეოდნენ ვითარებაში, მათ აქ ხელისუფლება, 4 თვით, დენიკინის მოკავშირე რუსული ეროვნული საბჭოს ლიდერს და მისი კონტროლის ქვეშ მყოფ საბჭოს გადასცეს, რამაც შექმნა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კრიზისი რეგიონში. ამას ემატებოდა ბათუმის ოლქისადმი დიდ სახელმწიფოთა მზარდი ინტერესები. მონოგრაფიის ავტორი ცდილობს გვიჩვენოს ინგლისის ხელისუფლების პოლიტიკის თანდათანობითი ტრანსფორმაცია, ის შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობები, რაც მაშინ არსებობდა სამუსლიმანო საქართველოში, რომლის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილი ნამდვილად იყო დედასაქართველოსთან შეერთება. ამავე თავში განხილულია ბათუმის საკითხი ლონდონის (1920 წლის თებერვალ-მარტი) და სან-რემოს (1920 წლის აპრილი) კონფერენციებზე, რომლებიც ისე დასრულდა, რომ ბათუმთან მიმართებაში რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

მომდევნო თავში წარმოდგენილია ბათუმის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ოპოზიციური პარტიების — ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები — მოთხოვნები. ოპოზიციური პრესის ფურ-

ცლებზე ხშირად იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები ბრესტის საზავო მოლაპარაკებებზე დელეგაციის არგაგზავნის თაობაზე, 1918 წლის 4 ივნისს ოსმალეთთან ხელმოწერილ კატასტროფულ ხელშეკრულებაზე, ბათუმის ოლქში თეთრგვარდიელთა თარეშზე და ა.შ. პრესა დაუფარავად ამხელდა ქვეყნის მტრებს და მთავრობას მუდმივი სიფხიზლისკენ მოუწოდებდა. აქვე ნაჩვენებია დამფუძნებელი კრების დამოკიდებულება ბათუმის საკითხისადმი, მოტანილია ვრცელი ამონარიდები ცალკეული სხდომების ოქმებიდან.

მეხუთე თავში გაშუქებულია ქვეყნის ხელისუფლების ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. საქართველოს მთავრობამ სამხედრო და დიპლომატიური კუთხით ყველაფერი გააკეთა, რომ 1920 წლის ივლისში ბრიტანელებს ბათუმი და მთელი ოლქი საქართველოსთვის გადმოეცათ. ჩვენ ვიზიარებთ ავტორის შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის ჯარების მიერ ბათუმის ოლქის დატოვების შემდეგ, საქართველოს მომავალი ბედის ანაბარად დატოვებული აღმოჩნდა (გვ. 265), რასაც სულ რამდენიმე თვეში ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო პოლიტიკური პროცესების პარალელურად, წიგნის ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებს, ასევე, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობას ბათუმში. მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა ამ კუთხით ერთმანეთს შეადაროს მეფის რუსეთის, ოსმალეთისა და ბრიტანეთის ოკუპაციის და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის პერიოდები.

ნაშრომის ბოლო თავი, რომელიც თითქმის 80 გვერდს მოიცავს, მთლიანად ეხება 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენებს და ბათუმისათვის ბრძოლის პერიპეტიებს, ქართველთა ზურგს უკან მიმდინარე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და გარიგებას ქემალისტურ თურქეთსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის, რამაც ავტორის დასკვნით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის გასაბჭოებას (გვ. 352).

მონოგრაფია საინტერესოდ, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით, იკითხება, რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ნაშრომის რაციონალური სტრუქტურა და წერის კულტურა. ავტორის მსჯელობა დამაჯერებელია, რაც გამყარებულია შესაბამის დოკუმენტებზე დამყარებული არგუმენტებით. შეიძლება, ვინმეს ზედმეტად ეჩვენოს ცალკეულ ეპიზოდებში თემის ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ საზღვრებს მიღმა მოვლენათა განხილვა, მაგრამ ისინი ისე ორგანულად ერწყმიან მთავარ საკითხს, რომ ნაშრომის მთლიანობა არათუ ირღვევა, პირიქით იგი უფრო სრულყოფილ სახეს იღებს.

ქართული და უცხოური (ინგლისური, თურქული, რუსული) ისტორიოგრაფიის მიღწევებთან ერთად, მონოგრაფია ემყარება ახალ საარქივო დოკუმენტებს, თანადროული პრესის მასალებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს და ღირებულს ხდის მას.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მონოგრაფიის მრავალრიცხოვანი სქოლიოები. ციტირებული ლიტერატურის გარდა, აქ წარმოდგენილია ცნობილ სამხედრო, პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა მოკლე ბიოგრაფიები, ცალკეულ ტერმინთა განმარტებები და ა.შ., რაც მეტ მიმზიდველობასა და ხიბლს მატებს ნაშრომს.

წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული და თავისი გარეკანის ორიგინალური დიზაინით, მოცულობით (488 გვ.), ინგლისური ანოტაციით, დოკუმენტების დანართებით, ბიბლიოგრაფიით (434 ერთეული), პირთა საძიებლითა და ფოტოილუსტრაციებით ძალიან სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

დასასრულ, მინდა მივულოცო ქართულ საისტორიო საზოგადოებას, საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ეს მნიშვნელოვანი შენაძენი და მის ავტორს ვუსურვო შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები, ახალი მეცნიერული სიმაღლეების დაძლევა.

წიგნი სამეცნიერო საზოგადოებას, 2023 წლის 6 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში, წარედგინა. შესაბამისი დარგის ექსპერტებმა მონოგრაფიულ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს.


ლელა სარალიძე
Lela Saralidze
ბათუმი საქართველოს
დემოკრატიული
რესპუბლიკის პერიოდში
(1918-1921)
BATUMI DURING THE PERIOD
OF THE DEMOCRATIC
REPUBLIC OF GEORGIA
(1918-1921)
IN THE PRESENCE OF
SIGNED this 25th day
of June, 1920.

A GREAT GIFT TO BATUMI AND GEORGIAN ACADEMIC SOCIETY

Irakli Baramidze
Batumi Shota Rustaveli State University
irakli.baramidze@bsu.edu.ge

In 2023, publishing house – "Favorite" published an excellent monograph of Lela Saralidze –*Batumi during the period of the Democratic Republic of Georgia (1918-1921),* which is an important gift for Georgian academic society . Lela Saralidze is a PhD of History, Chief Scientist-researcher of the Regionalism Research Institute (Tbilisi, Georgia). The 488-page monograph consists of an introduction, seven chapters, nineteenth subsections and a conclusion. In the introduction, together with the actuality of the topic, a small historical excursion of history of the city is presented, which aims to show the essence of the problem. The first chapter of the work is entirely devoted to clarifying the Batumi issue in Turkish historiography. The author is not limited to the period of 1918-1921 and offers a wider chronological framework. It clearly shows the partiality and tendency that Turkish authors show when discussing the Batumi issue.

The numerous notes of the monograph deserve special mention. In addition to the cited literature, short biographies of famous military, political or public figures, definitions of individual terms, etc. are presented here, which adds more attractiveness and charm to the work. The book is made at a high polygraphic level and leaves a very solid impression with its cover design, volume, English annotation, document appendices, bibliography (434 items), search engine and photo illustrations.

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (Grant #SP-22-158).

The book was presented to the scientific community on December 6, 2023 in the conference hall of the National Library of the Parliament of Georgia. Experts of the relevant field highly evaluated the monographic work.

ქართული ონომატოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი (გამოხმაურება იგორ კეკელიას წიგნზე – *აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია*)

ქეთევან გოდერძიშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
k.koderdzishvili@yahoo.com

2022 წელს დაიბეჭდა ისტორიკოს იგორ კეკელიას 643-გვერდიანი მონოგრაფია (რედაქტორი პროფესორი მერაბ ჩუხუა), რომელიც შედგება შესავლისა და ცხრა თავისაგან. თავიდანვე ვიტყვი, ეს დიდი შენაძენია!

პირველი თავი წარმოადგენს ოდიშ-აფხაზეთში მრავალი უცხოელი გეოგრაფის, ისტორიკოსის, დიპლომატის, მისიონერის შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობათა ნაშრომების ფართო მიმოხილვას.

ქართველ მკვლევართა შორის ონომატოლოგიის თვალსაზრისით გარდა ვახუშტი ბაგრატიონისა, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილისა და პავლე ინგოროყვას, ასევე აფხაზ მეცნიერთა ღვაწლი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეგრის-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – პავლე ინგოროყვას ნაშრომის (*გიორგი მეჩხუდე, ქართველი მეცნიერი მეათე საუკუნისა*) ერთ-ერთი თავი –„დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზთა სამეფო“), რომელშიც მოცემულია მსჯელობა აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობასა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიაზე.

ი. კეკელიას წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე მეცნიერებს. კერძოდ, წარმოდგენილია ონომასტიკოს პაატა ცხადაიასა და ისტორიკოს ბეჟან ხორავას წიგნი *აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი*, რომელიც ისტორიულ-ონომასტიკური ხასიათისაა. „ფრიად ღირებული შენაძენიაო“, – წერს ამ წიგნზე ი. კეკელია და მიმოიხილავს მას ცალკეული თავების მიხედვით. ავტორი რომ არ იფარგლება მხოლოდ მეცნიერთა ტოპონიმიკური ღვაწლის ანალიზით, ეს კარგად ჩანს ასევე სალომე ბახია-ოქრუაშვილის აფხაზთა ეთნოგენეზისისადმი მიძღვნილი ნაშრომების განხილვითაც, მაგრამ პირველ თავში განსაკუთრებით დეტალურად გააანალიზებულია სამი მეცნიერის ღვაწლი.

პირველი თავის I პარაგრაფს წარმოდგენს *აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები პაატა ცხადაიას შრომებში*. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ჯერ ეხება ა) პ. ცხადაიას სტატიას, გამოქვეყნებულს ჟურნალში *ქართველური მემკვიდრეობა* (1998, 300-307). ესაა *აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ტოპონიმიის ზოგი საკითხი* (იგორ კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44-51); ბ) ასევე საგულდაგულოდ, თითოეული თავის მიხედვით განიხილავს აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უაღრესად ფასეული ინფორმაციის შემცველ პ. ცხადაიას მონოგრაფიას *სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია*.

საინტერესოა პირველი თავის II პარაგრაფიც: „ვალერიან ზუხბაიას ცხოვრება და ღვაწლი აფხაზეთის ონომასტიკის შესწავლაში“. აღნიშნული პარაგრაფის დასასრულ იგორ კეკელია მეტად მნიშვნელოვან ფაქტს ამცნობს მკითხველებს: „ვალერიან ზუხბაიას მიერ საგულდაგულოდ მოძიებული აფხაზეთის ტოპონიმები დაცულიაო თბილისის სახელმწი-

ფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდებში", და დასძენს: „ეს უძვირფასესი მასალა გამომცემელს ელის!"

ამასთან, მისასალმებელია, როგორც ი. კეკელია წერს, რომ პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას, საჭიროების შემთხვევაში, შესადარებლად თუ დასაზუსტებლად, გამოყენებული აქვთ პროფ. ვ. ზუხბაიასა და დოც. ბ. კილანავას ჩანაწერები (გვ. 73).

პირველი თავის III პარაგრაფი აღწერს ნოდარ შონიას წვლილს აფხაზეთის ტოპონიმიის კვლევაში. მხარეთმცოდნის ღვაწლის სათანადოდ შეფასების შემდეგ აქ შედარებულია, ერთი მხრივ, ნ. შონიას, მეორე მხრივ, ცხადაიასა დ ჯოჯუას მიერ ჩაწერილი ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფონეტიკურად. პირადი გამოცდილებით ვიტყვი, რომ ეს არც არის გასაკვირი. ამას იწვევს, ერთი მხრივ, სოფლად შემხვედრ ინფორმატორთა განსხვავებული მეტყველება, მათი განსხვავებული არტიკულაცია, მეორე მხრივ, გარკვეულ არეალში დამკვიდრებული განსხვავებული ფორმები. თუკი ინფორმატორისგან ჩაწერილი ტოპონიმი არ შეესატყვისება სალიტერატურო ფორმას, ეს არ არის ნაკლი. მეცნიერულად საინტერესოა ამა თუ იმ ტოპონიმის ყველა ფონეტიკური თუ დიალექტური ვარიანტი. ასე რომ, ყველა ვარიანტი ყურადსაღებია.

გარდა ამისა, ძნელია განსჯა, რომელია სწორი: თუ ერთ მეცნიერს რომელიმე ტოპონიმი (ვთქვათ, „კაზენი") ჩაწერილი აქვს სახნავის სახელად, მეორეს – ტყის სახელად. იქნებ ტყის ერთი ნაწილი სახნავად გამოიყენებოდა, ან იქვე, რომელიმე სახნავ ადგილსაც ტყის სახელი ერქვა?! ნოდარ შონია ხომ არ მოიგონებდა – სახნავის სახელიაო! მას ასე ჩააწერინეს. ცხადია, დასაშვებია მექანიკური შეცდომაც, მაგრამ გადამოწმების გარეშე ვერ განვსჯით. „ხიტუშ ფოქვა", ნ. შონიას ცნობით, ტყის სახელწოდებაა, პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მასალებით – გამოქვაბულისა. ასეთი შემთხვევები მონოგრაფიაში არაერთია დამოწმებული. მინდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაშიც ერთის დადანაშაულება და მეორის გამართლება არასწორია. სწორი პოზიცია ადგილზე გადამოწმება და მტკიცებულების მოყვაანაა.

იგორ კეკელიას მონოგრაფიაში ერთ მტკივნეულ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება. ესაა ქართულენოვან ტოპონიმთა აფხაზურად თარგმნის დანაშაულებრივი ტენდენცია. ავტორი ამ ტენდენციის მამხილებლად ასახელებს: ვ. ზუხბაიას სტატიას (2003) *აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები* და პ. ცხადაიასა და ბეჟან ხორავას წიგნს *აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი* (2016), რომლის ერთ-ერთ თავში აღნიშნულიაო, – წერს ი. კეკელია, რომ „XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გაჩაღებულია ანტიქართული კამპანია... ქართული ტოპონიმების აფხაზური და რუსული სახელწოდებებით ჩანაცვლება". წიგნში დასახელებული საკმაო რაოდენობის მაგალითებიდან მოვიხმობთ რამდენიმეს: ბიჭვინთა > პიცუნდა, ბამბუკოვანი > *აკაღამია*, ბზისხევი > არმიანსკოე უშჩელიე, კოდორი > ვლადიმიროვკა, თხილოვანი > არასარა, ნაბაკევი > ბატაიგუარა.

მონოგრაფიის მეოთხე თავი „რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული და ტოპონიმიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ და ტოპონიმიკური ვითარება თანამედროვე აფხაზეთში" სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ამ ომს გამოეხმაურნენ გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეები (2011). ქართულ ტოპონიმთა მასობრივად შეცვლისას, ქუჩების სახელდებაში აღიხოცა ქართველ მოღვაწეთა – ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ა. ყაზბეგის, ს. ჯანაშიას, კ. ლესელიძის გვარები... „დღეს ისინი შეცვალა აიდგილარას, ჩერკეზკაიას, ადიღეს... ქუჩებმა" (ვ. ზუხბაია, 2000). პაატა ცხადაიასაც გამოსვლებშიც არაერთგზის აღუნიშნავს ეს სავალალო მდგომარეობა. ბუნებრივია, რომ ამ სქელტანიანი წიგნის ავტორი ამ მტკივნეულ ვითარებას გვერდს ვერ აუვლიდა და ამიტომაც საგანგებო თავი გამოყო „ტოპონიმიკური ომის" წარმოსაჩენად.

იგორ კეკელიას მონოგრაფიის მეორე თავი – „აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი" – მცირე მოცულობისაა, მაგრამ უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების მეტად საინტერესო მიმოხილვაა, რასაც დიდი გარჯა სჭირდებოდა.

მესამე თავში მკვლევარი გვაცნობს და სათანადოდ მიმოიხილავს XIX საუკუნის გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის ედუარდ აიხვალდის სამოგზაურო ჩანაწერებს, რომელიც აფხაზეთის ტოპონიმიას მოიცავს. აღნიშნულ წყაროს მკვლევარი უწოდებს აფხაზეთის მხარის „საფუძვლიან აღწერას“.

განსაკუთრებით ღირებულია მონოგრაფიის მეხუთე თავი, რომელშიც მოცემულია აფხაზეთის 66 გეოგრაფიული სახელის ისტორიული და ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური ანალიზი, გაჯერებული ისტორიული წყაროების მონაცემებით, რაც ამ ორი ასეული გვერდის მომცველ თავს ენციკლოპედიური ნაშრომის ხასიათს აძლევს.

მონოგრაფიის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია მეშვიდე თავიც – ასევე ერთი წიგნის მოცულობისა და ასევე მეტად ფასეული. ესაა „აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებთა სალექსიკონო მასალა“, პირადად ავტორის მიერ დაფიქსირებული, რასაც, როგორც თავად წერს, 1998-2008 წლებში ლტოლვილთაგან იწერდა და, საკუთარი გასაჭირის მიუხედავად, ლტოლვილებიც უთმობდნენ დროს, უთმობდნენ, რამეთუ გრძნობდნენ – მატერიალურ დანაკარგზე არანაკლები, პირიქით, უფრო მეტია სამშობლო მიწის აღმნიშვნელი სიტყვების ბედი; მადლობა მათ იმისთვის, რომ შრომობდნენ იგორ კეკელიასთან ერთად! ბატონ იგორის მხრიდან ეს თავდადებაა, მამულიშვილური საქმეა, საქართველოს ტოპონიმთა ფონდის გამდიდრებაა, გადარჩენაა. იქიდან გამომდინარე, რომ ტოპონიმიკის ისტორიაში მე შემოვიტანე ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენის ახალი მეთოდოლოგია, ფაქტობრივად, „ახალი“ არც ეთქმის, რამეთუ იქამდე მეთოდოლოგია ამ მიმართულებით არც ყოფილა, ამიტომაც დავინტერესდი, რა სახის და რა ტოპონიმებია დადასტურებული უფრო უწინ გამოცემული *აფხაზეთის ტოპონიმთა ლექსიკონების* ფორმატით, თუკი ამგვარია ვალერი კვარჭიას ავტორობით გამოცემული წიგნი *აფხაზეთის ტოპონიმია* (2002 წ.), ან პ. ცხადაიასა და ბ. *ხოხავას აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი* (2016 წ.), პროცენტულად რა ახალი ტოპონიმური მასალაა ი. კეკელიას წიგნის როგორც მეოთხე თავში, ისე დანართში, რაც მეტად სოლიდურ რაოდენობას ქმნის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონოგრაფიის მეცხრე თავში ავტორი კარტოგრაფის როლში გვევლინება. ბატონ იგორმა გადაგვიშალა 1988 წლის რუსულენოვან რუკებზე დაფიქსირებული აფხაზეთის ტოპონიმია.

ამ 644-გვერდიან წიგნს, მისი ავტორის მრავალმხრივი კვლევის გათვალისწინებით, მრავალი ისტორიული წყაროს დამოწმებით, განხილვითა და ერთმანეთთან შეჯერებით, აფხაზეთის გარკვეულ ტოპონიმთა ისტორიისა და ტოპონიმთა ისტორიული, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზის გათვალისწინებით, როგორც უკვე ვთქვით და დაბეჯითებით ვიმეორებთ, შეიძლება ეწოდოს აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ენციკლოპედია და სახელმძღვანელოც.

დღეს ამ წიგნის შემოთავაზება საზოგადოებისთვის უდიდესი და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი წიგნის რეცენზენტი ვარ. დარწმუნებული ვარ დადებითად შეაფასებდა და, ვფიქრობ, წერილობითაც მადლობას ეტყოდა ავტორს ასეთი ნაშრომისთვის აწ განსვენებული ცნობილი ონომასტიკოსი, პროფესორი პაატა ცხადაია, რომლის ღირსება ისიც იყო, რომ იცოდა ყველა დიდი საქმის ფასი და სათანადოდ ეხმაურებოდა კიდეც. ერთ-ერთმა სწორედ ბატონმა პაატამ დაულოცა ამ უნიკალურ წიგნს გზა. იგი გახლავთ ამ წიგნის თავდაპირველი რეცენზენტი, რომელთანაც გამუდმებით ჰქონდა კავშირი ბატონ იგორს. სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემას ბატონი პაატა ცხადაია, ვეღარ მოესწრო.



A GREAT ACQUISITION OF GEORGIAN ONOMATOPOEIA (FEEDBACK ON IGOR KEKELIA'S BOOK – *HISTORICAL AND MODERN TOPONYMY OF ABKHAZIA*)

Ketevan Goderdzishvili
Independent researcher
k.koderdzishvili@yahoo.com

In 2022 historian Igor Kekelia's monograph *Historical and Modern Toponymy of Abkhazia* was published. The book verifies primary and secondary sources, discussing and comparing the history of Abkhazia's toponyms. It provides a linguistic analysis of geographical names. An extremely important part of the monograph is the "Dictionary Material of Geographic Names of Abkhazia," compiled by refugees between 1998 and 2008. This monograph serves as both an encyclopedia and a guidebook to the historical geography and toponymy of Abkhazia. Presenting this book to the public today is a significant and valuable contribution.

რეცენზია ხათუნა ბაინდურაშვილის წიგნზე *ისლამი თბილისში (VIII–XVIII სს.)*

მაია კაპანაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
საქართველოსა და ირანის სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრი
maiakappanadze@gmail.com

2023 წელს გამოიცა ისტორიის დოქტორის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ხათუნა ბაინდურაშვილის წიგნი *ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)*. ნაშრომი დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (№ SP-22-1050) და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანადაფინანსებით. წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მზია სურგულაძე.

საქართველო ისტორიული და გეოპოლიტიკური კონტენტიდან გამომდინარე, მუდმივად იყო (და დღესაც არის) სხვადასხვა რელიგიებისა თუ კონფესიების შემოსვლისა და შემდგომ მათი არსებობა-ფუნქციონირების ადგილი. მათ შორისაა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი რელიგია, ისლამი.

ისლამის წარმოშობიდან მალევე, საქართველოში არაბთა მასშტაბური ლაშქრობების ფონზე, ქართველებს მოუწიათ მუსლიმური რელიგიისა და ამ რელიგიის მიმდევარი ხალხის გაცნობა და მათთან პოლიტიკური, ოდნავ მოგვიანებით კი,, რელიგიური ურთიერთობები. ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს ისლამთან და მის აღმსრებლებთან პოლიტიკურ და რელიგიურ თანაცხოვრებას.

ხათუნა ბაინდურაშვილის წიგნი *ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)* პირველი მონოგრაფიაა ქართულ სამეცნიერო სივრცეში, რომელიც მოიცავს საქართველოსა და აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ურთიერთობების კომპლექსურ კვლევას. ავტორი აღნიშნულ მონოგრაფიაში ასევე კომპლექსურად წარმოადგენს ქართული ისლამმცოდნეობის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა: ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ცნობები ისლამთან, მის მქადაგებელ მუჰამადთან და მუსლიმებთან დაკავშირებით და ქართულ ორიგინალურ პოლემიკურ ნაშრომებს.

წიგნი *ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)* შედგება შესავალის, წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვისა და სამი თავისაგან. ნაშრომს ბოლოში დართული აქვს ინგლისურენოვანი რეზიუმე, საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია და საძიებლები. წიგნი მთლიანობაში მოიცავს 354 გვერდს. მასში ჩართულია საკითხთან დაკავშირებული ილუსტრაციები (შესწავლილი ხელნაწერი წიგნებიდან, სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები და სხვ.).

წიგნის შესავალში ავტორი აყალიბებს ნაშრომის მნიშვნელობას და აქცენტს აკეთებს მსოფლიოში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებზე და ამ ფონზე საქართველოს, როგორც მულტირელიგიური ქვეყნის, როლზე, სადაც ისლამის აღმსარებლები არიან, როგორც ქართველები, ისე საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობა.

ნაშრომის პირველი თავი – „სუნიტური ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)“ შვიდი ქვეთავისგან (პარაგრაფისგან) შედგება: §1.1. ქართველებისა და არაბების ურთიერთობის დასაწყისი; §1.2. სუნიტური მაზჰაბები თბილისის საამიროში; §1.3. დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება მუსლიმური თემის მიმართ; §1.4. სუფიზმი თბილისში; §1.5. ჯალალ ად-დინის

მიერ თბილისის დაკავება და სუნიზმი XIII-XIV საუკუნეების თბილისში; §1.6. თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოში და ჰანაფიზმის გავრცელების მცდელობა; §1.7. ოსმალების მიერ თბილისში ჰანაფიტური მაზჰაბის შემოტანა.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის მიუხედავად, მეცნიერს მიაჩნია, რომ ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელში", მუსლიმთა მხრიდან უკვე აშკარად ჩანს რელიგიური ექსპანსიის მოსალოდნელი საფრთხე, და რომ თბილისის მოსახლეობისადმი განკუთვნილი ჰაბიბ იბნ მასლამას „მიმართვა" ჯიჰადის მოძღვრების ადრეულ, კოდიფიკაციამდელ, ზეპირ ნიმუშს შეიცავს.

ასევე საგულისხმოა მეცნიერის მსჯელობა ათ-თიფლისის ნისბით ცნობილი მუსლიმი მოღვაწეების შესახებ. დადგენილია მათი ეთნიკური კუთვნილება. ავტორს აღმოსავლური ისტორიული წყაროებისა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, დადგენილი აქვს სხვადასხვა საუკუნეებში თბილისში არსებული მუსლიმური იურიდიულ-თეოლოგიური სკოლები და მათ შორის მთავარი მაზჰაბი. მონოგრაფიაში სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით განსხვავებული მოსაზრებებია გამოქმული დავით აღმაშენებლის რელიგიური პოლიტიკის, თბილისში გავრცლებული სუფიური მოძღვრების, საქართველოში ჯალალ ად-დინისა და თემურ ლენგის ლაშქრობების რელიგიური მოტივების შესახებ.

ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნების მიხედვით, VIII-IX საუკუნეების თბილისში მთავარი სუნიტური მიმდინარეობა იყო ჰანაფიტური მაზჰაბი; X საუკუნის შუა ხანებში, თბილისში სამი სუნიტური – ჰანაფიტური, ჰანბალიტური და შაფიიტური მაზჰაბი არსებობდა. მთავარ იურიდიულ-თეოლოგიურ სკოლას კი ჰანბალიტური მაზჰაბი წარმოადგენდა; X საუკუნის ბოლოდან XII საუკუნის 20-იან წლებამდე თბილისში სუნიტური ისლამის შაფიიტურ მაზჰაბს წამყვანი პოზიცია ეკავა.

წიგნის მეორე თავი – „შიიტური მაზჰაბები თბილისში (VIII-XVIII სს.)" შედგება ექვსი ქვეთავისგან: §2.1. შიიტური ისლამი VIII-XI საუკუნეების თბილისში; §2.2. ისმაილიტების (// ნიზარიტების) სექტა თბილისში; §2.3. შიიტური ისლამის ექსპანსიის მცდელობა; §2.4. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების რელიგიური და პოლიტიკური ასპექტები; §2.5. შიიტური ისლამი თბილისში XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან XVIII საუკუნის 10-იან წლებამდე; §2.6. შიიტური ისლამი XVIII საუკუნის თბილისში.

მეცნიერს მიაჩნია, რომ VIII საუკუნის ბოლოდან მუავია I-ისგან დევნილი შიიტები თბილისს შეაფარეს თავი და აქ მნიშვნელოვანი თემი შექმნეს. ასევე თბილისში ცხოვრობდნენ ისლამის მქადაგებლის – მუჰამადის შთამომავლები. წიგნის ავტორი სწორედ ამ გარემოებით ხსნის X საუკუნის ისტორიკოსის – მოჰამმად ალ-კუმის მიერ თბილისის „ალაჰისაგან გამორჩეულ" და „ღვთით კურთხეულ" ქალაქად მოხსენიებას. ხ. ბაინდურაშვილს მიაჩნია, VIII-XI საუკუნეებში თბილისი შიიტური ისლამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო.

წიგნში საინტერესო მსჯელობას ვხვდებით თბილისში ისმაილიტების სექტის არსებობის შესახებ. ავტორს მიაჩნია, რომ XII საუკუნის 20-30-იან წლებში სუნიტების მიერ ერესად გამოცხადებული ისმაილიზმი თბილისშიც იდევნებოდა. ამიტომ, მულიდების მიერ თბილისში ჩადენილი მკვლელობები მიმართული იყო სუნიტი სასულიერო პირების მიმართ. მეცნიერი ასევე ფიქრობს, რომ დავით აღმაშენებლის „დათმობებს" თბილისელი მუსლიმების მიმართ ფორმალური ხასიათი ჰქონდა და ა.შ.

წიგნის მესამე თავი – „ქართველების იდეოლოგიური კონფრონტაცია ისლამთან" მთლიანად ქართული ისლამმცოდნეობის ისტორიის კვლევას ეთმობა. ქართული ჰაგიოგრაფიისა და ორიგინალური, ანტიმუსლიმური პოლემიკური ძეგლების შესწავლის საფუძველზე გააანალიზებულია ისლამთან დაკავშირებული ის ცოდნა, რომელიც VIII-XVIII სს. ქართულ საზოგადოებაში არსებობდა. ნაშრომში წარმოვადგენილია ქართული იდეოლოგიური აზროვნების ისტორიის კომპლექსური კვლევა.

წიგნში ანტიმუსლიმური პოლემიკური ნაშრომების („ჴსენება სიტყჴსგებისაჲ", ბაგრატ მუხრანბატონის „მოთხრობა სჯულთა უღმრთოთა თათრისათა", უცნობი ავტორის „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი..." და ტიმოთე გაბაშვილის ნაშრომი „აგარიანთათვის") შესწავლის ფონზე ნაჩვენებია ქართველებისა და მუსლიმე-

ბის ურთიერთდამოკიდებულება, ავტორი დეტალურად გვაწვდის იმ შესაბამისობასა და შეუსაბამობებს, რაც ქართულ ანტიმუსლიმურ ნაშრომებსა და ყურანსა და ზოგადად, ისლამოლოგიურ ნაშრომებს შორის არსებობს. წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ განხილული ანტიმუსლიმური თხზულებები ასახავენ ისლამის ცოდნის დონეს არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებაში, არამედ აღმოსავლეთის ქვეყნებშიც.

ხათუნა ბაინდურაშვილის მონოგრაფია *ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)* ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველი ნაშრომია, სადაც თავმოყრილია ისლამთან დაკავშირებული კარდინალური საკითხები. იგი ძალიან მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს, როგორც საკითხით დაინტერესებულ მეცნიერებსა და სტუდენტებს, ასევე საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის.

წიგნის მიმართ გვაქვს შენიშვნები და რეკომენდაციებიც, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, ავტორისთვის სასარგებლო იქნება:

1. უმჯობესი იქნებოდა, წიგნის შესავალ ნაწილში ავტორს უფრო ვრცლად განეხილა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე ისლამთან დაკავშირებული პრობლემატიკა, რის შედეგადაც, ვფიქრობ, კარგად გამოჩნდებოდა ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა, მისი მნიშვნელობა და დამოკიდებულება აღმოსავლეთში არსებულ მუსლიმურ ფაქტორებთან.

2. წიგნის ბოლოს დართული ინგლისურენოვანი რეზიუმე, სასურველია, გაცილებით ვრცელი ყოფილიყო.

3. წიგნის მნიშვნელობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უნდა მომზადდეს მისი სრული ინგლისური თარგმანი. ეს ხელს შეუწყობს მონოგრაფიის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდასა და მის გამოყენებას საქართველოში და კერძოდ, თბილისში არსებული ისლამის ისტორიით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრების მიერ.



ON THE BOOK OF KHATUNA BAINDURASHVILI *ISLAM IN TBILISI* (*8TH-18TH CC.*)

Maia Kapanadze
Caucasus International University,
Head of the Scientific Analytical Center of Georgia and Iran
maiakappanadze@gmail.com

In 2023 Khatuna Baindurashvili published the book *Islam in Tbilisi (8th -18th centuries).* She is a doctor of history and senior researcher of the Department of Source– Studies and Diplomacy of the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. The work was published with the co-sponsorship of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (№ SP-22-1050) and the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. The editor of the book is Doctor of historical sciences Mzia Surguladze.

Because of its historical and geopolitical content, Georgia has always been (and still is) the crossroad of different religions and denominations and their subsequent co-existence and functioning. Shortly after the emergence of Islam, in the background of large-scale Arab campaigns, Georgians had to get acquainted with the Muslim religion and its people and had political, and a little later, religious relations with them. From this period Georgian Christian population began to coexist politically and religiously with Islam and its adherents.

Khatuna Baindurashvili's book *Islam in Tbilisi (8th-18th cc)* is the first monograph in Georgian scientific literature, which includes a complex study of political, cultural and

religious relations between Georgia and the Muslim countries of the East. The author also comprehensively presents such fundamental issues of Georgian Islamic studies as references to Georgian hagiographic works related to Islam, its preacher Muhammad and Muslims, and original Georgian polemical works.

The book *Islam in Tbilisi (8th-18th cc)* consists of an introduction, a review of sources and scientific literature, and three chapters. An English-language summary, bibliography and references are attached to the work. The book consists of 354 pages. It includes illustrations related to the issue (from studied manuscript books, Persian and Georgian-Persian historical documents etc.).

The first chapter of the work – "Sunni Islam in Tbilisi (8th-18th cc)" consists of seven subsections (paragraphs). Regardless of the established opinion in the Georgian scientific literature, the author believes that in the „Deed of Protection" from Habib Ibn Maslama, the imminent threat of religious expansion from the side of Muslims is already clearly visible and that the Habib ibn Maslama's „appeal" to the population of Tbilisi contains an early, pre-codification, oral sample of Jihad teachings. The book draws conclusions according to which: the main Sunni current in Tbilisi of the 8th-9th centuries was the Hanafi madhhab; In the middle of the 10th century, three Sunni madhhabs existed in Tbilisi - Hanafi, Hanbali and Shafi'i. The main juridical and theological school was the Hanbalite Madhhab; from the end of the 10th century to the early 12th century, the Shafi'i madhhab of Sunni Islam held a leading position in Tbilisi.

The second chapter of the book – "Shia Madhhabs in Tbilisi (8th-18th cc)" consists of six sub-chapters. The scientist believes that from the end of the 8th century, the Shiites who were exiled by Muawiya I took refuge in Tbilisi and created an important community here. Also, the descendants of the preacher of Islam – Muhammad lived in Tbilisi. The author of the book explains the 10th-centuries shia historian – Hasan ibn Muhammad ibn Hasan Al-Qomi referred to Tbilisi as a city „chosen by Allah" and „blessed by God", etc.

The third chapter of the book - "Ideological Confrontation of Georgians with Islam" is entirely devoted to the study of the history of Georgian Islamic studies. Based on the study of Georgian hagiography and original, anti-Muslim polemical monuments, It was analyzed the knowledge related to Islam, which in the 8th-18th centuries, existed in Georgian society.

Khatuna Baindurashvili's monograph *Islam in Tbilisi (8th-18th cc)* will be of great help to scientists and students and also will be interesting to the general public.

ცირა ჯანაშიას მონოგრაფია *თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით*

ქეთევან მანია
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიისინსტიტუტი
ketevan.mania@tsu.ge

2024 წელს გამომცემლობა „მერიდიანმა“ გამოაქვეყნა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლის ც. ჯანაშიას მონოგრაფია „თავადური მენტალობის საკითხი XVII საუკუნის საქართველოში იოსებ თბილელის „დიდმოურავიანის“ მიხედვით“. ნაშრომის რედაქტორები არიან: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი და ისტორიის და თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (SP-22-327. პროექტის ხელმძღვანელი – ცირა ჯანაშია, კოორდინატორი – ქეთევან მანია).

მენტალობა იდენტობის უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს. ამიტომაც ერის მენტალობის კვლევისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩვევების, ტრადიციების, აზროვნების და სულიერი განწყობების შესწავლა. სწორედ ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ც. ჯანაშიას ნაშრომი, რომელიც გვიანი შუა საუკუნეების თავადური მენტალიტეტის გააზრების პირველ მცდელობას წარმოადგენს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ავტორი საკითხის ნათლად წარმოსაჩენად კვლევას გვთავაზობს იოსებ თბილელის ისტორიული პოემის „დიდმოურავიანის“ სხვა (ქართული და უცხოური) წერილობითი წყაროების მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე.

მონოგრაფია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნისაგან. ერთვის ვრცელი ინგლისური რეზიუმე (თარგმანი თამრიკო ყურაშვილისა) და დამოწმებული ლიტერატურა.

პირველ თავში განხილულია საანალიზო თემის წყაროები და ისტორიოგრაფია. აქვე მოცემულია მსჯელობა კვლევის პროცესში უცხოურ წყაროში, არაქელ თავრიზელის „ისტორიათა წიგნში“ გამოვლენილ მთელ რიგ უზუსტობებზე.

მეორე თავში წარმოდგენილია საგვარეულოების (ცალკეული სათავადოების) შესწავლის მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში (ორი თვალსაზრისი), ხაზგასმულია ნიკოლოზ ბერძენიშვილის დამსახურება სათავადოს საკითხის კვლევაში.

ისტორიოგრაფიული ანალიზით გამოირკვა, რომ არაგვის საერისთავოს ისტორია შეუსწავლელ საკითხს წარმოადგენდა სპეციალურ ლიტერატურაში. ც. ჯანაშიამ სწორედ საკითხის მისეული დაკვირვება შესთავაზა მკვლევართ და ფრიად საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების შეპირისპირებითი ანალიზით. მკვლევარი აღნიშნავს, რომ არაგვის საერისთავოს ახასიათებს სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ და აქვს პრეტენზია კახეთის რიგ მამულებზე ანუ „საკახეთო მამულებზე“. აქვე მსჯელობს არაგვის საერისთავოს კახეთის მეფის ყმობაში გადასვლის თარიღზე. მისი დაკვირვებით არაგვის საერისთავოს გადასვლა კახეთის მეფის ყმობაში მოხდა 1569-1574 წლებში, როდესაც ქართლს დაუდ-ხანი განაგებდა და კახეთის ყმობაში ჩანს ალექსანდრე II გარდაცვალებამდე (1605 წლამდე), შაჰ-აბას I-ის შემოსევების დროს კი არაგვის საერისთავო კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია.

მესამე თავი ეძღვნება ქართული თავადური მენტალობის კვლევის სხვადასხვა საკითხებს: სამშობლოსადმი სიყვარული, მეფის ხელისუფლების უზენაესობის აღიარება და

მისდამი ერთგულება, პირადი ინტერესების პრიორიტეტულობა, რელიგიის, სწავლა-განათლების და აღზრდის როლის გავლენა ინდივიდის ჩამოყალიბებაში. ამავე თავში არის იოსებ თბილელის ბიოგრაფიის ერთი დეტალის დაზუსტების, მისი როგორც სასულიერო პირის, მენტალური შეხედულებების წარმოდგენის მცდელობა.

იოსებ თბილელი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არჩილის მასწავლებლად არის დასახელებული. ც. ჯანაშიას შეხედულებით იოსებ თბილელი არა მხოლოდ არჩილის მასწავლებელი, არამედ მთელი სამეფო ოჯახის სულიერი მოძღვარიც იყო. როგორც ნაშრომიდან ჩანს, იოსებ თბილელის სასულიერო წოდებამ განსაზღვრა მისი მოღვაწეობა და მენტალიტეტი. შესაბამისად, თავის პოემაში აყალიბებს ზოგადსაკაცობრიო მაღალზნეობრივ იდეებს თუ როგორი უნდა იყოს ზნეობრივად და მორალურად სრულყოფილი ადამიანი, როგორი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველი თავისი მენტალური მსოფლმხედველობით.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ფეოდალურ საზოგადოებაში შექმნა თავისთავადი ზნეობრივი მორალი. შეუდრეკელობა და ერთგულება, სიტყვის შენახვა, მართლის თქმა იყო ის მთავარი ღირსება, რაც ამ ეპოქის ადამიანებს უნდა ჰქონოდა. ამასთან, ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე უნდა ყოფილიყო აგებული მეფისა და თავადის ურთიერთდამოკიდებულებაც. ასე მოძღრავდა ქრისტიანული სწავლება ქართველებს, რომელიც ხშირად უგულვებელყოფილი იყო. ავტორი მიუთითებს, რომ გარე თუ შიდა პოლიტიკური ფაქტორებით განპირობებული სულიერი კრიზისი აისახა საზოგადოების მენტალიტეტში და XVII საუკუნეში, როსტომ-ხანის მმართველობის პერიოდში მოხდა თავადთა მენტალობის დეგრადირება. ქართულ საზოგადოებაში არსებული მენტალური კრიზისის დასაძლევად აუცილებელი ზოგადსაკაცობრიო იდეალები აქვს სნორედ ჩამოყალიბებული იოსებ თბილელს.

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ინდივიდუალური ქმედების ფაქტები, რომლებიც საბოლოო ჯამში ქმნის საზოგადოების მენტალურ სახეს. ამგვარი მაგალითად ასახელებს ქეთევან დედოფლის მოწამეობრივ აღსასრულს. თავგანწირვის ასეთ ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკური ვითარების გამო ნებსით თუ უნებლიედ რწმენაშეცვლილ ქართველებში. აქვე საუბრობს ბახტრიონის აჯანყების გმირების თავდადებაზე.

ც. ჯანაშია განიხილავს, აგრეთვე, სიუზერენულ-ვასალური დამოკიდებულების თავისებურ ფორმას „სამეფოსა პალატასა შინა თანაზრდილობა ანუ აღზრდა სახლსა სამეფოსა შინა“. „აღზრდილ-შეზრდილთა“ ინსტიტუცია მახასიათებელი იყო არა მარტო მეფის კარზე, არამედ ფეოდალების, თავადების კარზეც. ავტორი მსჯელობს დროის შესაბამისად მისი შინაარსის ცვლილებაზე: თუ ერთიანი სამეფოს ძლიერების ხანაში ერთგული ყმა-რაინდები იზრდებოდნენ, სამეფო ხელისუფლების დასუსტების ხანაში, პირიქით, აღზრდილ-შეზრდილნი სნორედ ქვეყნის დაშლას უწყობდნენ ხელს. ავტორი აქვე წარმოაჩენს მენტალობის განვითარების მხრივ სამხედრო საქმის ორგანიზაციის მნიშვნელობას. ამ მხრივ ხაზგასმას აკეთებს დიდი მოურავის სამხედრო ნიჭზე, რაც დადასტურდა ტაშისკარის და მარტყოფის ბრძოლებში. მარაბდის ომში კი სამხედრო ხელმძღვანელობიდან მისმა ჩამოცილებამ მარცხი მოუტანა ქართველობას.

ბოლოს ც. ჯანაშია გვთავაზობს მენტალობის კვლევის თვალსაზრისით საჭირო რეკომენდაციებს. იგი თვლის, რომ სხვა ხელშემწყობ პირობებთან ერთად, აუცილებელია ჰუმანიტარული მეცნიერების სპეციალისტების მჭიდრო კავშირი – ისტორიკოსების და ფილოლოგების ერთობლივი ჯგუფების შექმნა, ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა ჩართულობა. ამასთან, სასურველად მიიჩნევს დასავლეთ ევროპული გამოცდილების გაცნობის მიზნით უცხო ენებიდან ქართულ ენაზე მენტალობასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნას.

ამგვარად, ც. ჯანაშიას მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის. მონოგრაფია მეგზურობას გაუწევს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს თუ მკითხველთა ფართო მასებს.



TSIRA JANASHIA'S MONOGRAPH *THE ISSUE OF TAVADURI (NOBLEMEN) MENTALITY ON THE XVII CENTURY GEORGIA ACCORDING TO IOSEB TBILELI'S "DIDMOURAVIANI"*

Ketevan Mania
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
ketevan.mania@tsu.ge

In 2024 publishing house "Meridiani" has published Tsira Janashia's monograph *The issue of Tavaduri (Noblemen) mentality in the 17th century Georgia according to Ioseb Tbileli's "Didmouraviani"*. Dr. Tsira Janashia is scientistic fellow at the Institute of History of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences. The scientific editors of the monograph are Doctor of Historical Sciences, Academician Roin Metreveli and Doctor of Historical and Theological Sciences, Professor Sergo Vardosanidze.

The book was published with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (project SP-23-762), the project principal investigator Tsira Janashia, coordinator – Ketevan Mania.

ირაკლი ფაღავას მონოგრაფია
სირმა თეთრი: ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე

ლადო მირიანაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
lado_miriani@yahoo.com

2023 წელს გამოიცა ირაკლი ფაღავას მონოგრაფია სირმა თეთრი: *ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე.*

წიგნის პირველი თავი სირმა თეთრის შესწავლის ისტორიას ეთმობა. ავტორი განსაკუთრებულად გამოჰყოფს თეიმურაზ ბატონიშვილის როლს ამგვარი კვლევისთვის საფუძვლის ჩაყრაში. სირმა თეთრზე არაერთ მკვლევარს აქვს ნამუშევარი, რომელთა შორის არიან მარი ბროსე, ვიქტორ ლანგლუა, ევგენი პახომოვი, დევიდ ლენგი, ნიკოლოზ ქოიავა და პაატა გუგუშვილი, დავით კაპანაძე, თინათინ არეშიძე, რევაზ ქებულაძე, ალექსანდრე აკოპიანი (მას განხილული აქვს განჯაში მოჭრილი სირმა თეთრის მინაბაძები) და თავად ირაკლი ფაღავა (რიგ შემთხვევებში სევერიანე თურქიასთან თანაავტორობით).

მეორე თავში განხილულია თუ რა საფასე მიმოიქცეოდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ზოგადად რეგიონში სირმა თეთრის ემისიის დაწყებამდე. ავტორი აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნეში, ქართლ-კახეთის სამეფოში საკუთარი საფასეს მოჭრის ადგილობრივი ტრადიციები სრულად თავსდება ირანულ სამონეტო პარადიგმაში. განსახილველ პერიოდში, მონეტები სამ ზარაფხანაში იჭრებოდა: კახეთის დედაქალაქ ბაზარში (ზაგემში), აგრეთვე ქალაქ კაკში (ქახედში), ხოლო სამეფოს წამყვანი და მეტნაკლებად უწყვეტად მოქმედი ზარაფხანა თბილისში მდებარეობდა. ადგილობრივი მონეტების გარდა, შიდა ბაზარზე გვიანსეფიანური, ოსმალური და ნადერ შაჰის მონეტებიც ცირკულირებდა. ქართლ-კახეთში, სირმა თეთრის მოჭრამდეც, ვერცხლის მონეტები დომინირებდა, რომლებიც თბილისის ზარაფხანაში იჭრებოდა. აქ იჭრებოდა ავშარიანთა დინასტიის სტანდარტული საფასე. ირანში და თბილისში მოჭრილი ავშარიანთა მონეტების გაფორმებაში ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ მათი მოჭრის ადგილის დასახელებაა. ავშარიანთა დინასტიის საფასეს თბილისის ზარაფხანაში მოჭრასთან დაკავშირებით, ეყრდნობა რა პაპუნა ორბელიანის ცნობას, ავტორი ვარაუდობს, რომ უცხოური ნიმუშის საფასეს სიქები ირანში მზადდებოდა და შემდეგ საქართველოში იგზავნებოდა. „ცენტრალურად დამზადებული სიქის გამოგზავნის“ მოსაზრებას იგი პ. ორბელიანის შემდეგ ცნობაზე დაყრდნობით გამოთქვამს: „გამოეგზავნა ... ზარაფხანა ქალაქში და დაჰკრეს სიქა“ (გვ. 42, 44). პ. ორბელიანის მიერ ნახსენები ‘ზარაფხანის გამოგზავნა’ მაფიქრებინებს, რომ საქართველოში იგზავნებოდა არა მხოლოდ მზა სიქა, არამედ მონეტების მოსაჭრელი ხელსაწყო-იარაღებიც, მით უფრო, რომ შუა საუკუნეებში ისინი საკმაოდ პრიმიტიული და ადვილად გადასატანი იყო. მაგალითისთვის აღვნიშნავ, რომ ევროპაში ზარაფხანა ყოველთვის არ იყო მუდმივად ერთ, ფიქსირებულ ადგილზე მოქმედი სახელოსნო, არამედ ფულის მჭრელები მეფესთან ერთად მოგზაურობდნენ და მონეტებს მისი დროებითი ყოფნის ადგილზეც ჭრიდნენ.

წიგნის მესამე თავი ეთმობა ურთიერთობას ქარიმ-ხან ზენდთან, რამეთუ სირმა თეთრის წარწერაში ნახსენებია ქარიმი. ერეკლე II, ნომინალურად, ქარიმ-ხანის ქვეშევრდომად მიიჩნეოდა და ქართლ-კახეთის მეფე ამას თავადაც აღიარებდა. წიგნის ავტორი არ ეთანხმება ლოვარდ ტუხაშვილის მოსაზრებას, რომ ქერიმ-ხანის უპირატესობის აღიარება არ ნიშნავდა ქართლ-კახეთის მიერ დამოუკიდებლობის დათმობას (გვ. 66). წიგნის ავტორის აზრით, ერეკლე II-ის ქარიმ-ხანისადმი დაქვემდებარება კარგად მჟღავნდება მათ შორის მიმოწერასა და ქართულ მონეტაზე ამ უკანასკნელის ინვოკაციის მოთავსების ფაქ-

ტში. მესამე თავის ბოლო ნაწილში მიმოხილულია ქარიმ-ხანის ინვოკაციისა და შიიტური რელიგიური ფორმულის შემცველი მონეტები.

მეოთხე თავი ეთმობა მონეტების მოსაჭრელად გამოყენებული ლითონის მოპოვებისა და მისი გამოდნობის საკითხებს. ვერცხლს ახტალაში მოიპოვებდნენ და იქვე ადნობდნენ. მეორე ქარხანა, რომელიც დამბლუღში მდებარეობდა, ადრე სპილენძის სადნობ ქარხნად მიიჩნეოდა. წერილობითი წყაროების გაანალიზების საფუძველზე, ი. ფაღავა მივიდა დასკვნამდე, რომ დამბლუღის ქარხანაში არა სპილენძს, არამედ ვერცხლს ადნობდნენ (გვ. 77). ამავე თავში შეფასებულია ქართლ-კახეთის სამეფოს სამთამადნო წარმოების წარმადობა და კონკრეტულად მონეტების მოსაჭრელად ვარგისი ლითონის წარმოების მოცულობა.

მეხუთე თავში განხილულია ერეკლე II-ის სამონეტო რეფორმა. 1765-1768 წლებში ერეკლე II-ის მიერ საფასეს გადასახალისებლად განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობას ი. ფაღავა ფულად რეფორმად განიხილავს (გვ. 114). ამ პერიოდში მონეტის დიზაინი იმ კუთხით შეიცვალა, რომ სპილენძის მონეტებმა დაკარგეს ვიზუალურ-ტიპოლოგიური მსგავსება ირანულ ქალაქურ შავ ფულთან. შეიცვალა მონეტის იკონოგრაფია და ეპიგრაფიკული გაფორმება. შემოღებული იქნა ახალი ნომინალები. რეფორმირება შეეხო როგორც სპილენძის, ისე ვერცხლის ფულს. ავტორი შენიშნავს გარკვეულ კავშირს თაბრიზის, ნახჭევანისა და თბილისის მონეტების ახალ ტიპებს შორის. მისი აზრით, ამ მონეტების ნაწილობრივ საზიარო დიზაინი, ხოლო თბილისისა და თაბრიზის მონეტების შემთხვევაში იდენტური წონაც, მიანიშნებს ფულადი ემისიების კოორდინირებულად განხორციელებაზე.

სირმა თეთრის გაჩენის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა სურვილი ქართული საფასე უფრო ეროვნული გამხდარიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა ძვირფასი ლითონისგან დამზადებულ საფასეს გაფორმებიდან შიიტური რელიგიური ფორმულის სრულად ამოღება, ან შეცვლა ყურანიდან აღებული, თუმცა ქრისტიანებისთვისაც მისაღები ფორმულით; ნაწილობრივ ჯვრის მოტივის შემოღება; სპილენძის ქართულ მონეტაზე ბაგრატიონთა სამეფო დინასტიური გერბის გამოსახვა (რაც პირველად განხორციელდა) და მონარქის სახელის ქართულ ენაზე დაუქარაგმებლად, სრულად მითითება. ავტორი აქვე მიუთითებს რეფორმის გარკვეულ ხარვეზებზე. ერთერთი ის იყო, რომ სამონეტო ტიპის სრული „გაქართულება" მაინც არ განხორციელდა, რაც გამოიხატა მონეტის მოჭრის ადგილის, თბილისის, არაბული დამწერლობით, ხოლო დათარიღების ჰიჯრით გადმოცემაში (გვ. 137).

წიგნის მეექვსე თავი ქართული სირმა თეთრის ტიპოლოგიური კვლევის შედეგებს, ხოლო მეშვიდე თავი მისი ემისიის ქრონოლოგიას ეთმობა. არსებული მასალის თანახმად, სირმა თეთრის ემისია 1765/1766 წელს, სირმა აბაზიანების მოჭრით დაიწყო. პირველი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ აბაზიანები იჭრებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოიჭრა სხვა ნომინალები. საკმაოდ იშვიათი აბაზნახევრიანი ნომინალი პირველად 1768/1769 წელს მოიჭრა. მისი ემისია 1770/1771-1773/1774 წლებშიც გაგრძელდა, რის შემდეგ გაურკვეველი მიზეზის გამო შეწყდა. 1767/1768 და 1774/1775 წლებში სირმა თეთრის ემისია, რატომღაც, შეწყვეტილი იყო.

მერვე თავში თბილისის ზარაფხანის მოწყობის, მართვისა და მუშაობის თავისებურებებია განხილული. ავტორს მოყვანილი აქვს ცნობები ქართლ-კახეთის სამეფო ზარაფხანის რამდენჯერმე იჯარით გადაცემის შესახებ, მათ შორის, რამდენიმე საქმოსნისგან შემდგარი ამხანაგობისათვის. აქვე ავტორი აღნიშნავს, რომ ზარაფხანის იჯარით გადაცემის ფაქტი არ გულისხმობს სამეფო ხელისუფლების მხრიდან ზარაფხანაზე კონტროლის დაკარგვას. ამ თავში ავტორი თბილისის ზარაფხანის ადგილმდებარეობის საკითხსაც შეეხო, რასთან დაკავშირებითაც რუსი ოფიცრების მიერ შედგენილი რუკები მიმოიხილა (ვახუშტის რუკაზე ზარაფხანის ადგილმდებარეობა მითითებული არ არის). რუკებსა და ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ი. ფაღავამ ზარაფხანის ლოკალიზება ციხის უბანში, თათრის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მოახდინა (გვ. 192). შემდეგ, მონეტების დასამზადებელი მასალის წარმოებაა მიმოხილული. ავტორის ვარაუდით, ახტალაში მოპოვებული ოქროს შემცველი ვერცხლის ხალას ოქროდ და ვერცხლად

დანაწევრება უშუალოდ თბილისის ზარაფხანაში ხდებოდა (გვ. 199). მინარევებისაგან გაწმენდილ ოქროს შემცველ ვერცხლს ჯერ თხელ ფირფიტებად გამოკვერავდნენ, შემდეგ პატარ-პატარა ნაკუწებად ჭრიდნენ, დაბოლოს, აზოტმჟავაში ხსნიდნენ. ოქრო გაუხსნელი ნალექის სახით რჩებოდა, ვერცხლს კი ხსნარიდან სპილენძის ან რკინის მეშვეობით გამოლექავდნენ. სირმა მონეტები მაღალსინჯიანი, 96%-იანი ვერცხლისგან იჭრებოდა.

ი. ფაღავა მონეტების მოჭრის ტექნიკურ საკითხებსაც ეხება. იგი ხაზს უსვამს ზარაფხანაში დასაქმებული ხელოსნების მაღალ კვალიფიკაციას, რაც სირმა თეთრის მონეტებზე ზედწერილებისა და გრაფიკული ელემენტების აკურატულად, ცვალებადი რელიეფურობით შესრულებაში გამოიხატება.

მეცხრე თავში განხილულია სირმა თეთრის მიმოქცევის საკითხები და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ხელთ არსებული მასალის საფუძველზე, ავტორი ასკვნის, რომ ერეკლე II-ის მიერ ჩატარებული მონეტარული რეფორმის შემდგომ, ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ქართული საფასე – სირმა თეთრი გაბატონდა. XVIII საუკუნის ბოლო მესამედამდე, ქართლ-კახეთის სამეფოში ის წამყვან საფასეს წარმოადგენდა. რაც შეეხება უცხოურ ტრანზაქციებს, როგორც ჩანს, ამ მიზნით ჰოლანდიური დუკატები გამოიყენებოდა (გვ. 239). მიუხედავად იმისა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მეტ-ნაკლებად თანადროული უცხოური ვერცხლის მონეტების განძები, სამეფოს ფულადი სისტემა დახურული იყო და მიმოქცევაში არსებულ ექსკლუზიურ საფასეს სირმა თეთრი წარმოადგენდა (გვ. 256). ეს საფასე დაღესტანში, სომხეთში და სამხრეთ-კავკასიურ სახანოებშიც მიმოიქცეოდა, თუმცა ავტორის აზრით, ამ ბოლო შემთხვევაში, სირმა თეთრის როლი უფრო მოკრძალებული იყო და მათი დიდი ნაწილის გადადნობა ხდებოდა, რათა საკუთარი საფასეს წარმოება უზრუნველეყოთ (გვ. 262).

მეათე თავი სირმა თეთრის მინაბაძებს ეძღვნება, რომლებიც, ავტორის აზრით, სახანოებში იჭრებოდა. ამასთან დაკავშირებით, ი. ფაღავა რამდენიმე გვერდს უთმობს ალექსანდრე აკოპიანის მოსაზრების კრიტიკას, გამოთქმულს მონეტების რამდენიმე ჯგუფის მიმართ, რომლებიც აშკარად სირმა აბაზის მიბაძვით არის გაფორმებული, თუმცა მოჭრის ადგილად განჯაა მითითებული. ა. აკოპიანის აზრით, ეს მონეტები თბილისშია მოჭრილი და მათზე განჯის მითითება იყო ერეკლე II-ის მხრიდან განჯაზე პრეტენზიის ერთგვარი დეკლარირება (გვ. 276). ი. ფაღავა ამ მოსაზრებას კონტრარგუმენტების დახმარებით უარყოფს.

წიგნის ბოლო, მეთერთმეტე თავი სირმა თეთრის ისტორიული როლის ანალიზს ეთმობა. ი. ფაღავა აღნიშნავს, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს წინაშე მდგარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოწვევებს ერეკლე II-მ სამონეტო რეფორმის გატარებით უპასუხა. ავტორი ეხება იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს, რაც ქვეყანამ ამ რეფორმის განხორციელებით მიიღო.

წიგნს ბოლოში დართული აქვს პირთა, დინასტიათა და ეთნონიმთა, აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა, ნუმიზმატიკურ და ეკონომიკურ ტერმინთა, ობიექტთა და საზომთა ანბანური საძიებლები.

ირაკლი ფაღავას ავტორობით გამოცემული მონოგრაფია „სირმა თეთრი: ქართული ეროვნული ვერცხლის საფასე“ არის მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული ქართული საფასეს, სირმა თეთრის ისტორია და კვლევის შედეგები. ი. ფაღავას მონოგრაფიაში ავტორიტეტულად და სრულყოფილად არის განხილული სირმა თეთრის სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საკითხი და ამ თვალსაზრისით, დღეისათვის, ის სირმა თეთრის შესახებ გამოქვეყნებული ყველაზე სრულყოფილი ნაშრომია.

ზემოთ მიმოხილული წიგნი ქართული ნუმიზმატიკის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ნუმიზმატიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები საკმაოდ დიდი იშვიათობაა.

A MONOGRAPH BY IRAKLI PAGHAVA
SIRMA TETRI: THE GEORGIAN NATIONAL SILVER CURRENCY

Lado Mirianashvili
Independent researcher
lado_miriani@yahoo.com

The monograph studies a certain type of the Georgian silver coin known as Sirma Tetri which was minted and circulated in the kingdom of Kartl-Kakheti in the 18th-century. Sirma Tetri gained international popularity: it circulated not only in Georgia, but also in the neighbouring khanates. According to the author, the primary goal for introduction of Sirma Tetri was purely financial: to facilitate transformation of silver ore minted and smelted in Akhtala into a valid currency, making profit of mint operations and supplying national economy with stock of money. The issue of Sirma Tetri had been tied with the monetary reform in the Kingdom of Kartl-Kakheti.

The monograph exhaustively summarizes all the issues related to minting of Sirma Tetri, including its pre-history, the silver ore mining in Akhtala, the monetary reform initiated by King Erekle II in 1765-1768 which had affected both copper and silver coins, inclusion of the suzerain's – Karim Khan Zand's name into the coin legend, introduction of the full form of the king's name in georgian alphabet letters, typological peculiarities of Sirma Tetri coins, location of the Mint House in the city of Tiflis, issues concerning functioning of the Mint House, chronology of the Sirma Tetri's emission, the role of Sirma Tetri's circulation in the economics of the kingdom, imitative coins and the place of their minting, and the historical role of Sirma Tetri.

The book is concluded with a bibliography. For readers' convenience it is also supplied with indices.

Undoubtedly the contribution of Irakli Paghava to the study of Sirma Tetri is a splendid one. He has presented us with the results of an exhaustive research on the topic. The originality of his book lies in the fact that he studied and analyzed not only single coins and coin hoards, but historical sources as well, enriching his study with historical accounts.

I would also note that no single work on so vast a theme as Sirma Tetri can cover all bases, therefore I hope that I. Paghava will continue his research on the topic and in a short future will announce new results of the study.

ლევან დვალიშვილის წიგნი
თბილისური ფოლადი და ელიარაშვილები

ლადო მირიანაშვილი
დამოუკიდებელი მკვლევარი
lado_miriani@yahoo.com

ქართველი მესაჭურვლე ოსტატებისა და მათი ნახელავისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით ქართველი მკითხველი განებივრებული ნამდვილად არ არის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარღვევა მოხდა 2023 წელს, როცა გამომცემლობა „გრიფონმა“ დასტამბა ლევან დვალიშვილის მონოგრაფია *თბილისური ფოლადი და ელიარაშვილები.*

პირველი თავის დასაწყისშივე, ავტორი აღნიშნავს, რომ კვლევას მესაჭურვლე ოსტატების შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. ამას ჰქონდა ობიექტური მიზეზი: არსებული ცენზურის პირობებში, მკითხველისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე დაცული არ იყო. მონაცემების იძულებით დამახინჯებასთან დაკავშირებული ნაკლოვანება უკვე წარსულს ჩაბარდა, თუმცა ერთი პრობლემა მაინც დარჩა: საქართველოში საიარაღე ფოლადის წარმოების ისტორიის სრულყოფილად შესწავლას ხელს უშლის ის ფაქტი, რომ იარაღის დასამზადებლად გამოყენებული ყველა სახის ფოლადი ქართულ წერილობით წყაროებში ზოგადი ტერმინით – „რკინა“ არის მოხსენიებული, ხოლო ამ მასალის განსხვავებული თვისებრიობა გადმოცემულია ტერმინით „მაგარი რკინა“. ამის გათვალისწინებით, იარაღის დასამზადებლად გამოყენებული მასალის კონკრეტული თვისებრივი თავისებურებების განსაზღვრა, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში დაცული განზოგადებული სახელით შეუძლებელია. არც საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების დროს მოპოვებული მასალა გამოირჩევა სრულყოფილებით, რისი ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ იარაღის წარმოების საკუთარ ხერხებსა და რეცეპტებს, რომლებიც უმეტესწილად საგვარეულო საიდუმლოებაა, მესაჭურვლე ოსტატები უცხო პირებს არ ანდობდნენ. ამას ემატება ისიც, რომ საქართველოს მუზეუმებში დაცული ფოლადის იარაღი ლაბორატორიულად ნაკლებადაა შესწავლილი.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ჯავარდენის იარაღის გავრცელების მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ მეტალურგიული ცენტრების ისტორია სათანადო დონეზე ჯერ კიდევ არაა შესწავლილი, რთულია იმის მტკიცება, რომ ჯავარდენს შუა საუკუნეების საქართველოშიც აწარმოებდნენ (გვ. 34) და იქვე დასძენს, რომ გულისხმობს ჯავარდენის დამზადებას ტიგელებში დნობის ხერხით და არა იმპორტირებული ზოდებისგან იარაღის გამოჭედვას, რის შესახებ მრავალი ცნობა არსებობს.

კვლევის დღეისათვის არსებული მდგომარეობის მიმოხილვის შემდეგ, ავტორი მკითხველს აცნობს საიარაღე ფოლადის სახელწოდებებს ძველ ქართულში. ლ. დვალიშვილი წერს, რომ ჯავარდენისა და დამასკური ფოლადის აღმნიშვნელ ტერმინებად, მეტწილად, „ბასრი“, „ფოლადი“ და „ჯავარდენი“ გამოიყენებოდა, რომელთა შორის „ბასრი“ ჯავარდენის აღმნიშვნელი ყველაზე ადრეული ტერმინია. სულხან-საბა ორბელიანს „ბასრი“ განმარტებული აქვს, როგორც „ფოლადი რკინა“.

ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროში „ბასრის“ მოხმობის მაგალითებს და მის მნიშვნელობას. საინტერესოა ლ. დვალიშვილის დაკვირვება, რომ „ვისრამიანის“ სპარსულ ორიგინალში გამოყენებული ტერმინი „ფოლადი“ ქართულ ვერსიაში გადმოტანილია ტერმინით „ბასრი“. ავტორის თქმით, XII საუკუნის ქართველი პოეტების მიერ ტერმინების „ჯავარისა“ და „წყალ-ჯავარის“ ხმარების მიუხედავად, ადრეული ქართული ენის ლექსიკაში ფოლადის აღმნიშვნელ ტერმინად „ჯავარდენის“ მოხმობა მან ვერ დაადასტურა. ლ. დვალიშვილის აზრით, ეს ტერმინი ქართულში სპარსულის გავლენით XVI

საუკუნიდან ან XVII საუკუნის დასაწყისიდან დამკვიდრდა, რასაც აღნიშნულ პერიოდში ქართულ-სპარსული ურთიერთობების გააქტიურებას უკავშირებს (გვ. 21). ავტორი დაზუსტებით ვერ ამბობს, თუ კონკრეტულად რომელი საუკუნიდან დამკვიდრდა ქართულ ენაში ტერმინი „ფოლადი", რომელიც, სულხან-საბა ორბელიანის ცნობით, უცხო ენიდან შემოტანილი სიტყვაა, თუმცა იქვე უთითებს, რომ XII საუკუნეში მიღვაწე იოანე შავთელისთვის ტერმინი „ფოლადი" უკვე ცნობილი იყო. საიარაღე ლითონის ქართული ტერმინოლოგია არასდროს მიკვლევია, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, სპარსული ტერმინის "folad / fulad" ჟღერადობიდან გამომდინარე, ვივარაუდო, რომ იმ დროს, როცა ეს სპარსული ტერმინი რუსულმა ენამ „ბულატის" ფორმით ისესხა (რაზეც მკვლევრები ერთხმად თანხმდებიან), როგორც ჩანს, მისი ქართულ ენაში გადმოტანა, სიტყვის ფონეტიკური ფორმის შენარჩუნებით მოხდა – folad / „ფოლადი".

ავტორს საინტერესო დაკვირვება აქვს ტერმინ „ალმასის" მნიშვნელობაზე. წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ გარდა იმისა, რომ ალმასი ძვირფასი ქვის აღმნიშვნელი ტერმინია, ის შესაძლოა მაღალი ხარისხის საიარაღე ფოლადის მნიშვნელობითაც ყოფილიყო გამოყენებული (გვ. 28-30).

ლ. დვალიშვილი იმოწმებს კარსტენ ნიბურის (1733-1815) – წარმოშობით გერმანელი, დანიის სამსახურში მყოფი მკვლევრისა და მოგზაურის ცნობას, რომელმაც ჯერ არაბეთში იმოგზაურა, შემდეგ – ინდოეთში, საიდანაც მშობლიურ ქალაქში სპარსეთის გავლით დაბრუნდა. ამ ცნობის თანახმად, იგი 1765 წელს სპარსელების არმიის შემადგენლობაში მებრძოლ ქრისტიან ქართველ მეომრებს შეხვედრია, რომლებიც, სხვა იარაღთან ერთად, „საუკეთესო დამასკური ფოლადისგან დამზადებული" ხმლებით იყვნენ შეიარაღებული. ავტორი ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ კრისტენ ნიბურის ცნობით, ქართველი და მუსლიმი მეომრების ჩაცმულობა ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა და რომ ქართველები „საუკეთესო დამასკური ფოლადისგან დამზადებულ" იარაღს ფლობდნენ. ამის გათვალისწინებით ლ. დვალიშვილი ვარაუდობს, რომ ქართველთა საჭურველი სპარს მეომართა საჭურვლისგან განსხვავდებოდა და, ამის გათვალისწინებით, დასაშვებად მიიჩნევს, რომ იმ დროს ქართველებისთვის დამასკური ფოლადის დამზადების ტექნოლოგია უკვე ცნობილი იყო. შესაბამისად, მათი საომარი აღჭურვილობა საქართველოში უნდა ყოფილიყო დამზადებული (გვ. 36).

XIX საუკუნეში, საქართველოში იარაღის წარმოების არაერთი ლოკალური ცენტრი არსებობდა, განსაკუთრებით კი გურია-აჭარაში. თუმცა, მაღალი ხარისხის ცივი იარაღის წარმოებით მაინც თბილისი გამოირჩეოდა. მომდევნო ქვეთავში ავტორი ეხება ჯავარდენისა და დამასკური ფოლადის წარმოებას თბილისში. ლ. დვალიშვილი იმოწმებს უცხოურ წყაროებში დაცულ ცნობებს თბილისში დამზადებული საბრძოლო იარაღის შესახებ. იმ დროს, თბილისური იარაღი მთელ აღმოსავლეთში იყო სახელგანთქმული, რადგან სწორედ თბილისურ ცოცხალ ყოფაში იყო შემორჩენილი საუკეთესო დამასკური ფოლადის დამზადების წესები. თბილისში მოღვაწე მესაჭურვლე ოსტატებს შორის იყვნენ ელიარაშვილები, ხეჩატურა ბებუროვი / ბაბუროვი (მის მიერ დამზადებული ჯავარდენის იარაღი თვით სპარსეთშიც კი ყოფილა ცნობილი), აზნაური გრიგოლ ივანეს ძე რევაზი (რევაზოვი / რევაზიშვილი), რომლის მიერ შექმნილ იარაღს, რომელიც, გარდა იმისა, რომ საუკეთესო თვისებებით გამოირჩეოდა, ნამდვილი ჯავარდენისთვის დამახასიათებელი ნაყშიც ჰქონია.

საინტერესო ფაქტია საქართველოში ხელოსანი აზნაურების ცალკე ფენის არსებობა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოსკენ, სავარაუდოდ, უშუალოდ მეფის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა (გვ. 93). ჩვენთვის ცნობილი ოთხიდან სამ მეიარაღე აზნაურს ჯავარდენის ფოლადთან მუშაობის გამოცდილება ჰქონდა (გვ. 95).

ავტორი ვარაუდობს, რომ ქართველი ოსტატები არა მხოლოდ ჭედავდნენ იმპორტირებულ ზოდებს, არამედ ტიგელში ჯავარდენის გამოდნობის კაზმის რეცეპტსაც ფლობდნენ და, შესაბამისად, არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ინდოეთიდან თუ სპარსეთიდან იმპორტირებული ჯავარდენის მზა ზოდებზე (გვ. 41). ავტორის ეს ვარაუდი თითქოს წინააღმდეგობაში მოდის ამავე წიგნის 34-ე გვერდზე მის მიერვე გამოთქმულ მოსაზრებასთან, რომელიც შემდეგნაირად აქვს ფორმულირებული: „რთულია იმის მტკიცება, რომ

ჯავარდენს შუა საუკუნეების საქართველოშიც აწარმოებდნენ, რაშიც ვგულისხმობ ჯავარდენის დამზადებას ტიგელში დნობის მეთოდით". როგორც ჩანს, ლ. დვალიშვილი 34-ე გვერდზე ნახსენებ „შუა საუკუნეებში" განვითარებულ შუა საუკუნეებს გულისხმობს, ხოლო ჯავარდენის ტიგელში გამოდნობის დაშვების შემთხვევაში კი, გვიანი შუა საუკუნეები აქვს მხედველობაში. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, აუცილებელი იყო ტექსტში დაკონკრეტებულიყო, თუ შუა საუკუნეების რომელ მონაკვეთზე იყო საუბარი.

ტექსტის მომდევნო ნაწილში, ავტორი მიმოიხილავს XIX საუკუნის გამოცემებში დაცულ ცნობებს თბილისური იარაღის მაღალი ხარისხის შესახებ.

წიგნის IV ქვეთავი ეთმობა XVII საუკუნის ოცდაათიან წლებში თბილისში მეიარაღეთა რიგის დაარსების ისტორიას. მეიარაღეთა სახელოსნოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისინი განლაგებული ყოფილან ყველაზე პრესტიჟულ ადგილას: როსტომ მეფის სასახლის მახლობლად, მეფის მოედნის მომიჯნავედ. საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ავტორი აკონკრეტებს სახელოსნოების მდებარეობას ამჟამინდელი ანტონ კათალიკოსის ქუჩის დასაწყისში, კოტე აფხაზის N22-19-ში მდებარე შენობისა და მისი ეზოს ადგილას (გვ. 64). მეფის მოედანზე მდებარე მეიარაღეთა სახელოსნოები უცვლელი სახით 1795 წლამდე არსებობდნენ, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი არ ააოხრა. ავტორი იმოწმებს ცნობას, რომლის თანახმად, მეფე ერეკლე II-ის მიერ დაწყებული ქალაქის აღდგენითი სამუშაოების გეგმით, მეიარაღეთა სახელოსნოები კვლავ მეფის მოედნის სიახლოვეში უნდა აღედგინათ. სადღაც 1802-1808 წლებს შორის, მეიარაღეთა სახელოსნოები ახალ ადგილზე, კერძოდ სიონის ქუჩისა და „შუა ბაზრის" შეყრის ადგილას გადაუტანიათ (გვ. 72). ყარამან და ეფრემ ელიარაშვილებს სახელოსნოები საკუთარ სახლებში ჰქონიათ მოწყობილი: შესაბამისად ატამანისა და საბაჟოს ქუჩებზე (გვ. 75).

ხარისხიანი იარაღის საჭიროება თბილისში მუდმივად არსებობდა, რადგან ქალაქში იდგნენ რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილები და ფუნქციონირებდა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შედგენილი მილიციის რაზმები. დროთა განმავლობაში, იაფმა ქარხნულმა ნაწარმმა თბილისში საბრძოლო იარაღის ინდივიდუალური წარმოება შეავინროვა.

VIII ქვეთავში ლ. დვალიშვილი ჩამოთვლის თბილისში მოღვაწე მეიარაღეებს, რომელთა გვარები ისტორიულმა დოკუმენტებმა შემოგვინახა. ავტორი აკრიტიკებს რუსულ და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ მცდარ შეხედულებას თბილისელი მეიარაღე ოსტატების ეჭვმიუტანლად სომხური წარმომავლობის შესახებ. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ პირის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა კონფესიური კუთვნილების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ ონომასტიკაზე – სახელებისა და გვარების ჟღერადობაზე დაყრდნობით შეცდომაა. ლ. დვალიშვილი მოიხმობს გურამ მაისურაძის გამოკვლევას, რომელიც შეეხება ქართველი მართლმადიდებლების სომხური მონოფიზიტური ეკლესიის სამწყსოში მასიური გადასვლის ფაქტს, რაც მათ სახელებსა და გვარებშიც აისახა (გვ. 97-98).

ავტორის მიერ შესწავლილი წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ თბილისელ მეიარაღეთა მიერ შექმნილი იარაღი მხოლოდ შიდა ბაზრისთვის არ მზადდებოდა, არამედ კავკასიაში, სპარსეთსა და რუსეთის შიდა გუბერნიებში ექსპორტზეც გადიოდა (გვ. 101).

ლ. დვალიშვილი IX ქვეთავს თბილისური საბრძოლო იარაღის წარმოების პერიოდიზაციას უთმობს. იგი აღნიშნავს, რომ თბილისური ხანჯლების უადრესი ნიმუშები, დღევანდელი შეფასებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, ხოლო ხმლების ცალკეული ნიმუშები, პირველადი მონაცემების თანახმად, XVII ს-ით (გვ. 103). XIX საუკუნის მიწურულიდან, დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მეიარაღე ოსტატებმა მასობრივად თბილისში გადაინაცვლეს, რის შედეგადაც თბილისურმა იარაღმა ახალი თავისებურებები შეიძინა. თბილისელი მეიარაღეების უკანასკნელი წარმომადგენლები ქალაქში XX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე შემორჩნენ.

წიგნის მეორე თავი მეიარაღე ელიარაშვილებს ეძღვნება. თავდაპირველად, ავტორი მიმოიხილავს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებს ამ საგვარეულოდან გამოსული მეიარაღეების შესახებ. იმოწმებს 2021 წელს რუსეთში გამოქვეყნებულ საკუთარ სტატიასაც, რომელშიც მესაჭურვლე გეურქას გენეალოგიის საკითხი აქვს შესწავლილი.

III ქვეთავი ელიარაშვილების საგვარეულოს ისტორიას ეთმობა, რომლის წარმომადგენლები XVII საუკუნის შუა ხანებიდან საკმაოდ აქტიურობდნენ. ელიარაშვილები სადედოფლო აზნაურები იყვნენ. ამ საგვარეულოს გეურქას შტოს მიმოხილვისას, ავტორი საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულ დოკუმენტებს ეყრდნობა. საარქივო საქმეში დაცულ გენეალოგიურ ხეზე გეურქას მამრობითი ხაზის წინაპრების სახელებია დატანილი. გეურქას პაპას – დელურყარდაშსა და მის ძმებს სამეფო კარზე სხვადასხვა თანამდებობა სჭერიათ. ისინი „დასტურლამალშიც“ არიან მოხსენიებული. ლ. დვალიშვილი ახსენებს გეურქას შვილ ყარამანს, რომელიც მამასავით სახელმოხვეჭილი მეიარაღე ყოფილა. ახლადგამოვლენილ საარქივო დოკუმენტზე დაყრდნობით, ავტორმა დაადგინა, რომ ყარამანი 1864 წლის 28 სექტემბერს გარდაცვლილა (გვ. 152). გეურქას სიძე ვართან ავთანდილოვიც მეიარაღე ყოფილა.

შემდგომ, ავტორი ქვემო ქართლში მდებარე, ელიარაშვილების სამკვიდრო მამულებს მიმოიხილავს. ამ საგვარეულოს ძირითადი სამკვიდრო სოფელი იყო შაქარა (გვ. 139). ლ. დვალიშვილი ყურადღებას ამახვილებს ინ ფაქტზე, რომ ელიარაშვილების სამოღვაწეო არეალი რკინის მეტალურგიის ერთ-ერთ ძირითად ცენტრს ემთხვევა. ავტორი აღნიშნავს, რომ „სომხით-საბარათაშვილოს აღწერაში“ არაერთი მჭედელია დასახელებული, რაც ნახსენებ რეგიონში სამჭედლო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

VI ქვეთავი გეურქას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების დადგენას ეძღვნება. ლ. დვალიშვილის მოსაზრებით, გეურქა დაახლოებით 1769 წელს დაიბადა და 1822 და 1824 წლებს შორის პერიოდში გარდაიცვალა. ავტორი სპეციალურად შენიშნავს, რომ გადასახედია სხვადასხვა მუზეუმებსა და კოლექციებში დაცული, 1824 წლის შემდგომი პერიოდით დათარიღებული იარაღის ნიმუშების დამამზადებელი მეიარაღის ვინაობის საკითხი, რამეთუ ისინი გეურქა ელიარაშვილის ნახელავად უსაფუძვლოდ მიიჩნევა (გვ. 150). შემდეგ, ავტორი გეურქას ოჯახის წევრების ვინაობას და საქმიანობას მიმოიხილავს. აღნიშნავს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ გეურქას მამა ან პაპა მეიარაღეები იყვნენ, დღეისათვის ცნობილი წყაროებით არ დასტურდება (გვ. 153).

VIII ქვეთავში ავტორი მიმოიხილავს XIX საუკუნის სხვადასახვა დოკუმენტებში, შრომებსა და გამოცემებში დაცულ, გეურქასთან დაკავშირებულ ცნობებს. ლ. დვალიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში გეურქას სახელით გვხვდება ორი სხვადასხვა მეიარაღე ოსტატი. მისი აზრით, გეურქა, რომელიც 1824 წლის შემდგომაც ჩანს, სინამდვილეში არის ყარამანი, გეურქას შვილი, რომელიც სახელგანთქმული მამის სახელს, მისი ფართო ცნობადობის გამო, ბრენდის სახით იყენებდა (გვ. 164).

X ქვეთავში საუბარია ყარამან ელიარაშვილის ნაკეთობებით რუსეთის კარის დაინტერესების შესახებ და თბილისში ზლატოუსტის იარაღის ქარხნიდან ორი ოსტატის მოვლინებაზე, რომლებსაც ყარამანმა ჯავარდენის ხმლის დამზადების საკუთარი მეთოდები გაანდო. იმპერატორის ბრძანებით, ყარამანი ოქროს მედლით დააჯილდოვეს და ფულადი პრემია მისცეს (გვ. 167). ავტორს ყარამანის სხვა შეგირდებიც ჰყავს ნახსენები.

XI ქვეთავში განხილულია XX საუკუნეში ელიარაშვილების ფოლადის აღდგენის მცდელობები და ნახსენებია ამ მიზნის განსახორციელებლად ელიარაშვილების ნახელავი ჯავარდენის ორ ათეულზე მეტი ნიმუშის გამოკვლევის ფაქტი. სამწუხაროდ, ელიარაშვილების მიერ ფოლადის დამზადების პროცესის ბოლომდე დადგენა დღემდე ვერ მოხერხდა.

ლ. დვალიშვილის წიგნი *თბილისური ფოლადი და ელიარაშვილები* დაწერილია საინტერესოდ და გასაგები ენით. ავტორმა წიგნში თავი მოუყარა ელიარაშვილების შესახებ არსებულ ყველა ცნობას, რომლებიც გაამდიდრა ახალი მასალით და თავმოყრილი სახით გააანალიზა. ავტორმა კარგად გაართვა თავი ელიარაშვილების გვარის შესახებ უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და, იმავდროულად, მეიარაღეთა ამ ცნობილი გვარის ისტორია, თბილისში საიარაღე ფოლადის წარმოების ფონზე, ახალი მონაცემებით შეავსო.

წიგნს ბოლოში დართული აქვს საარქივო დოკუმენტების ტექსტები, მაღალი ხარისხის ილუსტრაციები და ვრცელი ინგლისური რეზიუმე. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ რეზიუმე კარგად გამართული ინგლისურითაა დაწერილი, რაც მისასალმებელია.



A MONOGRAPH BY LEVAN DVALISHVILI *TBILISI STEEL AND THE ELIARASHVILIS*

Lado Mirianashvili
Independent researcher
lado_miriani@yahoo.com

There are not many books in Georgian written about swordsmiths and their crafts. An important breakthrough in this direction was achieved in 2023, when "Griffon Publishing House" printed Levan Dvalishvili's monograph *Tbilisi Steel and the Eliarashvilis*.

At the very beginning of chapter 1, the author notes that the study of swordsmiths was not given due attention in Georgian Soviet historiography. There was an objective reason for this: under the existing censorship, the accuracy of the information provided to the readers was not guaranteed. The shortcomings related to the forced distortion of the data have already become a thing of the past, but at least one problem remains: a complete study of the history of the sword steel production in Georgia is hindered by the fact that all types of steel used for the manufacture of weapons are referred to in Georgian written sources by the general term "iron", while certain types of this material are conveyed by the term "high strength iron". Considering this, it is impossible to determine the specific qualitative characteristics of the material used for manufacturing of weapons, based exclusively on the generalized name preserved in the old Georgian written sources. The material obtained during the field ethnographic expeditions is also not perfect, one of the reasons for which is that the swordsmiths did not entrust their methods and recipes of weapon production, which are mostly family secrets, to outsiders. In addition, analytical investigation of chemical composition of weapon blades preserved in the museums of Georgia was not conducted.

The author notes that despite the spread of Javardeni weapons in Georgia, considering that the history of metallurgical centers has not yet been studied at an appropriate level, it is difficult to prove that Javardeni was also produced in medieval Georgia (p. 34) and adds that it refers to domestic production of Javardeni by melting steel in crucibles, not making it out of an imported raw material. The latter method is often mentioned in historical accounts.

After reviewing the current state of the research, the author introduces the names of sword steel in ancient Georgian. L. Dvalishvili writes that "basri" ("sharp" in English), "steel" and "javardeni" were mostly used as terms denoting Javardeni and Damascus steel, among which "sharp" is the earliest term denoting Javardeni. The dictionary of old Georgian language compiled by Sulkhan-Saba Orbelian defines "sharp" as a "steel iron".

The author reviews examples of the use of *basri* ("sharp" in English) in various literary sources and its meaning. L Dvalishvili has an interesting observation that the term "steel" used in the Persian original of "Visramiani" is translated by the term "sharp" in the Georgian version. According to the author, despite the use of the terms *"javari"* and *"tskal-javari"* by Georgian poets of the 12th century, he could not confirm the use of "Javardeni" as a term denoting steel in the vocabulary of the early Georgian language. According to L. Dvalishvili, this term was established in Georgian language under the influence of Persian from the 16th century or the beginning of the 17th century, when the high-level development of relations between Georgia and Persi occurred (p. 21). The author cannot say precisely from which century the term *"poladi"* ("steel" in English) became established in the Georgian language. According to Sulkhan-Saba Orbeliani, this word was imported from a foreign language. L. Dvalishvili points out that the term "steel" was already known to Ioane Shavteli in the 12th century. "I have never researched the Georgian terms of blade materials, but based on the sound of the Persian term "folad / fulad", I will allow myself to assume that while this Persian term was borrowed by the Russian language in the form of "bulat" (on which researchers unanimously agree), it seems that the same term was also borrowed by the Georgian language though by preserving the phonetic form of the original word – "folad" in Persian / *"poladi"* in Georgian."

The author has an interesting observation about the meaning of the term *"almasi"* ("diamond" in English). Based on the analysis of written sources, he concluded that, in addition to diamond being a term for a precious stone, it may also have been used to mean high-quality weapon steel in Georgian (pp. 28-30).

L. Dvalishvili cites the report by Carsten Niebuhr (1733-1815) – a German-born researcher and traveler in the service of Denmark, who traveled to Arabia, then to India, from where he returned to his hometown via Persia. According to the report of 1765, Carsten Niebuhr met Christian Georgian warriors fighting as part of the Persian army, who, among other weapons, were armed with swords "made of the best Damascus steel". The author draws attention to the fact that while the clothing of Georgian and Muslim warriors did not differ from each other, they were armed differently: the Georgians possessed swords "made of the best Damascus steel". Considering this, L. Dvalishvili assumes that since the swords of the Georgians differed from the swords of the Persian warriors, it is possible that at that time, the technology of forging Damascus steel was already known to the Georgians. Accordingly, their swords should have been made in Georgia (p. 36).

In the 19th century, there were a number of local arms production centers in Georgia, especially in Guria-Achara. However, Tbilisi was distinguished by production of high-quality weapons. In the next subsection, the author reviews the production of Javardeni and Damascus steel in Tbilisi. L. Dvalishvili cites information about the weapons made in Tbilisi found in foreign sources. At that time, Tbilisi swords were famous throughout the East. Among the master swordsmiths working in Tbilisi were the representatives of the Eliarashvilis family, Khechatura Beburov / Baburov (the Javardeni weapons made by him were known even in Persia), nobleman Grigol Ivanes-dze Revazi (Revazov / Revazishvili), whose swords, apart from being distinguished by the best qualities, were characterized by distinctive patterns characteristic of a genuine Javardeni.

An interesting fact is the existence of a separate stratum of swordsmiths from the Georgian

aznaurs (petty nobles). Towards the end of the 18th century, they were probably directly under the authority of the king (p. 93). Three of the four swordsmiths from the noblemen known to us had experience working on Javardeni steel (p. 95).

The author suggests that the Georgian craftsmen not only carved imported bars, but also possessed the recipe for melting Javardeni in a crucible and, therefore, did not depend only on ready-made Javardeni bars imported from India or Persia (p. 41). This assumption is the opposite of what the author has said on page 34 of the same book, which is formulated as follows: "It is difficult to prove that Javarden was also produced in medieval Georgia, by which I mean the production of Javardeni by melting in a crucible". I can assume that L. Dvalishvili means high Middle Ages by the term "Middle Ages", and in the case of allowing melting in the Javardeni crucible he means the late Middle Ages. In both cases, it was necessary to specify in the text which period of the Middle Ages the author was talking about.

In the next part of the text, the author reviews the information preserved in the XIX century publications about the high quality of Tbilisi swords.

Subchapter IV of the book is devoted to the history of the establishment in 1630s of the Order of Swordsmiths in Tbilisi. Considering the importance of swordsmiths' workshops, they were located in the most prestigious place: near King Rostom's Palace, adjacent to the Royal Square. Based on historical sources, the author specifies the location of the workshops at the beginning of the current Catholicos Anton's Street, at the location of the building and its courtyard in Kote Abkhazi str. N22-19 (p. 64); i.e. a row of workshops occupied the west side of the Royal Square. The swordsmiths' workshops located in the Royal Square existed in an unchanged form until 1795, when Agha Muhammad Khan seized and devastated Tbilisi. The author verifies the report that, according to the plan of restoration works of the city initiated by King Erekle II, the swordsmiths' workshops were to be restored in the vicinity of the Royal Square. Somewhere between 1802-1808, the swordsmiths' workshops were moved to a new location, namely to the junction of Zion Street and the "Middle Market" (p. 72). Karaman and Efrem Eliarashvilis had workshops in their own houses: on Ataman and Sabazho streets respectively (p. 75).

There was a constant need for quality weapons in Tbilisi, as units of the Russian regular army were stationed in the city and militia squads made up of local residents were operating. Over time, cheap factory products narrowed the individual production of weapons in Tbilisi.

In subchapter VIII, L. Dvalishvili lists the swordsmiths working in Tbilisi, whose names have been preserved in historical documents. The author criticizes the erroneous view established in the Russian and Armenian scholarship about the undoubted Armenian origin of the Tbilisi swordsmiths. The author emphasizes that it is a mistake to determine the ethnic affiliation of a person based only on onomastics - the sound of names and surnames, without taking into account his religious belonging. L. Dvalishvili cites the research of Guram Maisuradze, which concerns the fact of the massive transition of Georgian Orthodox believers into the flock of the Armenian Monophysite Church, which was also reflected in their names and surnames (pp. 97-98).

Based on the sources studied by the author, it is clear that the weapons created by the Tbilisi swordsmiths were not only made for the domestic market, but were also exported to the Caucasus, Persia and the internal provinces of Russia (p. 101).

L. Dvalishvili devotes sub-chapter IX to the periodization of production of Tbilisi military weapons. He notes that the earliest samples of Tbilisi daggers, according to current estimates, date from the second half of the 18th century, and individual samples of swords, according to primary data, from the 17th century (p. 103). From the end of the 19th century, swordsmiths working in Western Georgia massively moved to Tbilisi, as a result of which Tbilisi weapons acquired new features. The last representatives of Tbilisi swordsmiths remained in the city until 1930s.

The second chapter of the book is dedicated to the swordsmiths Eliarashvilis. At first, the author reviews the scientific works published both in Georgia and abroad about the swordsmiths

from this lineage. He also cites his own article published in Russia in 2021, in which he studied the issue of the genealogy of the swordsmith Geurka.

Subchapter III is devoted to the history of the Eliarashvilis clan, whose representatives have been quite active since the middle of the 17th century. The Eliarashvilis were the royal nobles, namely the Queen's nobles. When reviewing the Geurka's branch of this family, the author relies on the documents preserved in the Central Historical Archives of Georgia. The names of the ancestors of Geurka's male line are found on the genealogical tree preserved in the archival file. Geurka's grandfather – Delurkardash and his brothers held different positions at the royal court. They are also mentioned in "Dasturlamali" (Medieval Collection of State Legal Documents). L. Dvalishvili mentions Geurka's son Karaman, who like his father was a famous swordsmith. Based on a newly discovered archival document, the author established that Karaman died on September 28, 1864 (p. 152). Geurka's son-in-law Vartan Avtandilov was also a swordsmith.

Further, the author reviews the estates of the Eliarashvilis family located in Kvemo Kartli. The main hereditary village of this lineage was Shakara (p. 139). L. Dvalishvili draws attention to the fact that the territory belonging to the Eliarashvili coincides with one of the main centers of iron metallurgy in Georgia. The author notes that in the "Description of Somkhiti-Sabaratashvilo", a number of blacksmiths are named, which indicates a high level of development of blacksmithing in the mentioned region.

Subchapter VI is dedicated to determining the dates of birth and death of Geurka. L. Dvalishvili considers that Geurka was born around 1769 and died between 1822 and 1824. The author specially notes that the issue of identity of the swordsmith who made the samples of weapons dated after 1824, preserved in various museums and collections, should be reconsidered because the attribution of these swords to Geurka Eliarashvili has no basis (p. 150). Then, the author reviews the identity and activities of Geurka family members. He notes that the opinion established in the scholarship that Geurka's father or grandfather were swordsmiths, is not confirmed by the written sources known to date (p. 153).

In subchapter VIII, the author reviews the information related to Geurka, found in various documents, works and publications of the 19th century. L. Dvalishvili draws attention to the fact that in the first half of the 19th century, two different swordsmiths can be found under the name of Geurka. According to him, Geurka, who can be seen even after 1824, is actually Karaman, the son of Geurka, who used the name of his famous father as a brand name (p. 164).

Sub-chapter X talks about the Russian Royal court's interest in Karaman Eliarashvili's products. Two masters from the Zlatoust weapons factory were sent to Tbilisi, to study Karaman's method of making the Javarden sword. By order of the emperor, Karaman was awarded a gold medal and a cash prize (p. 167). The author also mentions other apprentices of Karaman.

In the XI sub-chapter, the attempts to restore the steel of Eliarashvili in the 20th century are discussed, and the fact of researching more than two dozen samples of Eliarashvili's Javardeni is mentioned. Unfortunately, it has not been possible to determine all secrets of the process of making steel by the Eliarashvilis family.

L. Dvalishvili's book "Tbilisi Steel and the Eliarashvilis" is written in an interesting and understandable language. In the book, the author collected all the available information about the Eliarashvili's clan, which he enriched with new materials and analyzed the both as a whole. The author handled well the critical analysis of already existing scientific literature about the Eliarashvili's clan and, at the same time, completed the history of sword production by this famous family of swordsmiths in Tbilisi.

The text of the archival documents, high-quality illustrations and an extensive English summary are appended at the end of the book. I must emphasize that the vast summary is written in good English, which is a pleasure to read.

ირაკლი ბარამიძის, ხათუნა დიასამიძისა და ოლეგ ჯიბაშვილის მონოგრაფია *ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)*

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

2022 წელს ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა ისტორიის დოქტორების ირაკლი ბარამიძის, ხათუნა დიასამიძისა და ოლეგ ჯიბაშვილის მონოგრაფია *ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)*. წიგნი მოცულობით თითქმის ოთხი ასეული გვერდია და ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებით შეძლეს საკმაოდ რთული საკითხის დაძლევა.

წიგნი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: პირველ ნაწილში, რომელიც კვლევით ხასიათს ატარებს, განხილული და გაანალიზებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ბათუმი XIX საუკუნის პირველ მესამედში, ბრიტანეთის ვიცე-კონსული ტრაპიზონში ჯ. ბრანტი და მისი ცნობები ბათუმის შესახებ, ბათუმის ლოკალიზაციის და საქალაქო ცენტრის ადგილმონაცვლეობის საკითხი, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ბათუმსა და რეგიონში, ვაჭრობა და ნაოსნობა ბათუმში XIX საუკუნის 40-50-იანი წლების დასაწყისში ფ. გუარაჩინოსა და უ. ჰოლმსის ცნობების მიხედვით ბათუმის ადმინისტრაციული მოწყობა, „თანზმიმათის" პირველი შედეგები. ნაშრომის ამ მონაკვეთს თან ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია და ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე.

არანაკლებ საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც დანართის სახით მოცემულია დოკუმენტები ინგლისურ ენაზე და მათი ქართული თარგმანი, წარმოდგენილია ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშები. გამოცემულია მასალა, რომელიც ქართველი მკვლევრებისათვის აქამდე თითქმის ხელმიუწვდომელი იყო. ახლა კი ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს მას, როგორც ორიგინალში, ასევე მათ ქართულ თარგმანსაც, რაც სავსებით რეალურია, რომ გახდეს ახალი მეცნიერული კვლევების წინაპირობა. ეს მონაკვეთი წიგნის მეცნიერულ ღირებულებას კიდევ უფრო მეტად ზრდის.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ აღნიშნული წიგნი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული მიზნობრივი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გამოიცა, რაც ცალსახად მისასალმებელია.

მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ავტორებმა აღნიშნული მონოგრაფია მიუძღვნეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის ნათელ ხსოვნას, ადამიანს, რომელიც მრავალი ათეული წლების მანძილზე ზრუნავდა და იღწვოდა ბათუმის უნივერსიტეტში საისტორიო მეცნიერების განვითარებისათვის, ერთის მხრივ, როგორც საინტერესო და ორიგინალური მკვლევარი, მეორეს მხრივ კი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, მეცნიერების ორგანიზატორი.

წინამდებარე გამოცემა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანი შენაძენია ბრიტანეთის იმპერიული პოლიტიკით დაინტერესებული ისტორიკოსებისათვის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის მეცნიერებების სპეციალისტებისათვის.

A BOOK BY IRAKLI BARAMIDZE, KHATUNA DIASAMIDZE AND OLEG DJIBASHVILI *BATUMI IN THE REPORTS OF BRITISH VICE-CONSULS (1830s -1850s)*

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

In 2022 the monograph *Batumi in the Reports of British Vice-Consuls (1830s-1850s)* was published.

The book can be divided into two parts: in the first part are considered such and important issues as: Batumi in the first decades of the nineteenth century, the British vice-consul in Trabzon, J. Brant and his reports about Batumi, the issue of localization of Batumi and the relocation of the city center, social-political situation in Batumi and the region, trade and sailing in Batumi in the 1840s-1850s, the administrative arrangement of Batumi according to Guarracino and U. Holmes's reports, the first results of "Tanzmimat reforms". A list of used sources and literature and a long summary in English are attached to this section.

The second part of the book is no less interesting, in which the documents in English and their Georgian translation are presented as an appendix, as well as the reports of the British vice-consuls. The material, which was almost inaccessible to Georgian researchers, has been published. This section further enhances the scientific value of the book.

The book will provide significant help to a wide circle of researchers and readers interested in the issues of modern history of Georgia and international relations and political sciences.

ფუნდამენტური კვლევა აჭარის რეგიონის ისტორიის შესახებ

მიხეილ ქართველიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

2024 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის, ისტორიის დოქტორ როინ მალაყმაძის რედაქტორობით სამეცნიერო და ფართო მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ფუნდამენტური გამოკვლევა: *აჭარა უძველესი ქრონიდან თანამედროვეობამდე*. ჩვენს წინაშეა ნაშრომი, სადაც ავტორთა კოლექტივმა (ისტორიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი როინ მალაყმაძე, გეოგრაფიის დოქტორი, პროფესორი მერაბ ფუტკარაძე, ემერიტუსი-პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნოდარ კახიძე, ისტორიის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი თამილა ლომთათიძე, ფილოლოგიის დოქტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ელზა ფუტკარაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მაია ქიქილეიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი ირინე ვარშალომიძე, პროფესორი, ისტორიის დოტორი მერაბ ხალვაში, პროფესორი, ისტორიის დოქტორი ემზარ კახიძე, ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი ირაკლი ბარამიძე, პროფესორი, ისტორიის დოქტორი ზაზა შაშიკაძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი მერაბ მეგრელიშვილი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ თურმანიძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი უჩა ოქროპირიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი ნაილა ჩელებაძე) არსებითად ამომწურავად გადმოსცა, როგორც საკუთარი თვალსაზრისი, ასევე მათ მიერ შესწავლილი საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო შეხედულებები და შეფასებები.

წიგნი შედგება წინათქმისაგან, თექვსმეტი თავისა და ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმესაგან. ნაშრომის თითოეულ მონაკვეთს ერთვის გამოყენებული ლიტერატურისა და წყაროების ჩამონათვალი.

ნაშრომის წინათქმაში წიგნის მთავარ რედაქტორს მოკლედ აქვს განმარტებული თუ რა მიზანს ემსახურება ეს ნაშრომი. კერძოდ, აღნიშნულია, რომ მიუხედავად მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელიც აჭარის რეგიონის ისტორიის ეძღვნება, „დღემდე არ არსებობდა აჭარის ისტორია ერთ წიგნად. წინამდებარე გამოცემა სწორედ ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა“ (გვ. 6).

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორთა კოლექტივის მიერ შესრულებული ფუნდამენტური კვლევა დაფუძნებულია ზეპირსიტყვიერ, არქეოლოგიურ, წერილობით წყაროებსა და საკითხის ირგვლივ არსებულ მრავალ სამეცნიერო ნაშრომზე.

ნაშრომში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ტერმინ „აჭარის“ ეტიმოლოგია, მოსახლეობა აჭარაში, აჭარის ეთნოლოგიური დახასიათება, აჭარის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური დახასიათება, აჭარის მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობა, აჭარა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, აჭარის ისტორიულ-არქეოლოგიური დახასიათება უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე, აჭარა IV-XV საუკუნეებში, აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, აჭარა რუსეთის იმპერიის მმართველობაში, აჭარა 1917-1921 წლებში, აჭარა საბჭოთა პერიოდში, აჭარა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თანამედროვეობ-

ამდე, განათლება, მეცნიერება, კულტურა აჭარაში და სპორტი აჭარაში.

ჩვენ წინაშეა თანამედროვე საისტორიო მეცნიერების მოთხოვნების დონეზე შესრულებული ნაშრომი, რომელსაც გამოარჩევს ორი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მახასიათებელი – პროფესიონალიზმი და მშობლიური კუთხის და ერთიანი საქართველოს იდეის სიყვარული.

აღნიშნული ფუნდამენტური ნაშრომის ღირებულებას ზრდის მაღალი ხარისხის ფოტოილუსტრაციები, რაც მკითხველ საზოგადოებას განხილული საკითხის ირგვლივ კიდევ უფრო სიღრმისეულ წარმოდგენას უქმნის.

პროფესორ როინ მალაყმაძის რედაქტორობით შესრულებული აღნინული ფუნდამენტური გამოკვლევა, დარწმუნებული ვართ ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი საინტერესო იქნება ისტორიკოსებისათვის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის სპეციალისტებისათვის, აგრეთვე აჭარის რეგიონის ისტორიით დაინტერესებულ ფართო მკითხველ საზოგადოებისათვისაც.

A FUNDAMENTAL STUDY OF THE HISTORY OF THE AJARA REGION

Mikheil Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
mikheil.kartvelishvili@tsu.ge

In 2024, the collective monograph *Ajara from Ancient Times to Present* edited by Doctor of History, Director of Niko Berdzenishvili Research Institute at Batumi Shota Rustaveli State University Roin Malakmadze, was published.

The contributors are Roin Malakmadze Merab Putkaradze, Shushana Putkaradze, Tamila Lomtatidze, Elza Putkaradze, Maia Chichileishvili, Irine Varshalomidze, Merab Khalvashi, Emzar Kakhidze, Irakli Baramidze, Zaza Shashikadze, Oleg Jibashvili, Merab Megrelishvili, Otar Turmanidze, Ucha Okropiridze, Naila Chelebadze.

The monograph consists of preface, the sixteen chapters and the summary in English. To the each section of the book the lists of used primary and secondary sources are attached.

The book will provide significant help to researchers in field of humanities. It will be interesting for the general public as well.

ქრონიკა
CHRONICLE

რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია (2023)

ზურაბ თარგამაძე
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
კავკასიის უნივერსიტეტი
zurab.targamadze@tsu.ge

2023 წლის 22 დეკემბერს, გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. ღონისძიება მიეძღვნა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება. სხდომა გახსნა ინსტიტუსის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. მის შემდეგ დამსწრეებს სიტყვით მიმართა საქართველოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ მარიამ ჩხარტიშვილმა. მან ისაუბრა საქართველოს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური შემაჯამებელი სამეცნიერო ღონისძიების თაობაზე, ასევე გაიხსენა მისი მასწავლებელი რევაზ კიკნაძე, რომლის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მომენტებიც დაკავშირებული გახლდათ სწორედ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებასთან.

რევაზ კიკნაძის სამეცნიერო შემოქმედების და მასთან თანამშრომლობის გამოცდილების შესახებ ისაუბრეს მისმა სხვა მოწაფეებმა და კოლეგებმა. მათ შორის, პროფესორმა გიული ალასანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ რევაზ კიკნაძე იყო ფაქტობრივად ყველა

ღონისძიების ინიციატორიცა და ორგანიზატორიც, რომელიც მისი მოღვაწეობის პერიოდში საისტორიო მიმართულებით ტარდებოდა. ასევე აღნიშნა, რომ რევაზ კიკნაძე იყო ბრწყინვალე პიროვნება, რომელთან თანამშრომლობაც გარდა პროფესიულისა, დიდი ადამიანური გამოცდილების მომცემიც გახლდათ.

რევაზ კიკნაძე გაიხსენა პროფესორმა გონელი არახამიამაც, მან აღნიშნა, რომ რევაზ კიკნაძემ დატოვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა, დაახლოებით ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, არაერთი მონოგრაფია. გარდა ამისა, რევაზ კიკნაძე გახლდათ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ *მაცნეს* ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქტორის მოადგილე, ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიისა და არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარეების მოადგილე და ა. შ.

რევაზ კიკნაძის სამეცნიერო საქმიანობას და მისი როგორც შესანიშნავი პიროვნების შესახებ აღნიშნეს პროფესორებმა ავთანდილ სონღულაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ.

ღონისძიების შემდგომი ნაწილი გახლდათ საკმაოდ დატვირთული. მიუხედავად იმისა, რომ განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია არის საინსტიტუტო ღონისძიება, საიუბილეო თარიღის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობა მიიღეს სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებმაც. ორი სესიის ფარგლებში თორმეტი მომხსენებელი წარსდგა დამსწრეთა წინაშე. პირველი მომხსენებელი გახლდათ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი გიული ალასანია. მან მოხსენებაში: „რამდენიმე კომენტარი საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფაქტებთან დაკავშირებით“, ისაუბრა ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების თარიღის დაზუსტების, ასევე მონღოლთა მმართველობის პერიოდში დასავლეთ საქართველოს ეგვიპტესთან ურთიერთობების დეტალებისა და თამარ მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებული საკითხების შესახებაც.

შემდეგი მოხსენება წაიკითხა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა გონელი არახამიამ. მისი მოხსენება: „ქართლის ცხოვრების ერთი ადგილის აღდგენისათვის“, შეეხებოდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ კონკრეტული მონაკვეთის, კერძოდ, ტექსტში ნახსენები სიტყვის „ინალდიფითა“-ს განმარტებას. მეცნიერის დასაბუთებული მოსაზრებით აღნიშნული სიტყვა უნდა იყოს რამდენიმე სიტყვის დამახინჯებისა და შეერთების შედეგად წარმოშობილი და ტექსტი უნდა იქნეს წაკითხული შემდეგნაირად: „შეჩვენებულმა ცანდია ინალ დი[დითა] ფი[ცი]თა გაინდვა“.

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორის მანანა სანაძის მოხსენება: „ქართლის პირველი კათოლიკოსის აღსაყდრების საკითხისათვის“ შეეხებოდა ქართლის სამეფოში კათოლიკოსობის დაწესებისა და ამ ტიტულის მქონე პირველი მღვდელმთავრის აღსაყდრების საკითხს. მეცნიერმა კათოლიკოსის აღსაყდრების საკითხი განიხილა ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდთან მიმართებაში. მან მის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიის გათვალისწინებით, ქართლში კათოლიკოსობის შემოღების თარიღი დაუკავშირა 519-520 წლებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელისა და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ სონღულაშვილმა მოხსენება წაიკითხა თემაზე: „სკოპცების რელიგიური სექტა საქართველოში გერმანული წყაროებისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით“. მის მიერ წარმოდგენილი ფაქტები, ერთი მხრივ, შეეხებოდა საქართველოში მოქმედი რელიგიური უმცირესობების ისტორიის დეტალებს, და, მეორე მხრივ, განხილული გახლდათ საქართველოსთან მიმართებით რუსეთის რელიგიური პოლიტიკის ცალკეული ასპექტები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გოილაძე მოხსენებაში: „რამ აიძულა ბასილ პროტოასიკრიტი ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვედრობაზე მიეთითებინა?", შეეხო ქართულ საეკლესიო ტრადიციაში, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის გაგების დამკვიდრების პრობლემას, მათ შორის საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობების პრიზმაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ისტორიის დოქტორი ეკა კვაჭანტირაძის მოხსენება: „რამდენიმე პარალელი მედიევალური ქართული ისტორიოგრაფიული და ბიბლიური სააზროვნო სისტემიდან" შეეხებოდა ბიბლიურ და ქართულ მედიევალურ სააზროვნო სისტემებს შორის არსებული პარალელების იდენტიფიცირებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა ისტორიის დოქტორმა გიორგი ჭეიშვილმა მოხსენებაში: „საქართველო-ბიზანტიის საზღვარი XI საუკუნეში: იმიერტაო", საისტორიო წყაროების მონაცემების გათვალისწინებით განიხილა იმ პერიოდის საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთოები და საქართველოს შემადგენლობაში იმიერტაოს შემოსვლის საკითხი როგორც საეკლესიო გავლენის, ასევე პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით.

პირველი სესიის დასრულებისა და შესვენების შემდეგ, სამუშაო პროცესი გაგრძელდა მეორე სესიაზე.

პირველი გამომსვლელი იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ალექსანდრე თვარაძე. მის მოხსენებაში: „მონაცემები ჰორიზონტის მხარეთა შესახებ შუა საუკუნეების საისტორიო თხზულებებში: საქართველოს სამეფოს ლოკალიზებისათვის ქვეყნიერების შესაბამის მხარეში", განხილული იყო ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში არსებული აღქმები დასავლეთსა და აღმოსავლეთთან მიმართებაში. ამ მაგალითის მიხედვით მოხსენებაში გაანალიზებული იქნა ქართველთა მიერ ამ მხარეებისადმი თვითმიკუთვნების პრობლემაც.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ისტორიის დოქტორი, პაპუნა გაბისონია თავის მოხსენებაში: „XI საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ერთი საკითხის გარკვევისათვის", შეეხო საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობებს ბაგრატ მეოთხის მმართველობის პერიოდში, კერძოდ, ბაგრატ მეოთხის წინააღმდეგ მოწყობილი ქართველი დიდებულების აჯანყებასა და მასში კონსტანტინე მერვისა და ბიზანტიის როლს.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორმა ისტორიის დოქტორმა,

ქეთევან ქუთათელაძემ მოხსენებაში: „გზის მიმართულების მაჩვენებლთა სახელწოდებები ქართულ წყაროებში“, ქართულ საისტორიო წყაროებში გადმოცემული გზის მიმართულების აღმნიშვნელი ტერმინების: „გეზის“, „ბოძირის“, „მებოძირის“, „გზაბოძალის“, „კლდებოძალისა“ და ა.შ. მნიშვნელობათა შესახებ იმსჯელა.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ისტორიის დოქტორმა სოფიო ქადაგიშვილმა მოხსენებაში: „საკრალური სივრცე ქართულ ჰაგიოგრაფიაში“ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე დაყრდნობით განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა საკრალური სივრცეების დაფიქსირება და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით წმინდანის თავშეწირვა გახლდათ ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა და კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ისტორიის დოქტორმა ზურაბ თარგამაძემ მოხსენებაში: „ქართული საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა საისტორიო სკოლის რეპრეზენტაციის თავისებურებები გვიანანტიკური პერიოდის ქართლის ისტორიის კვლევის მაგალითის მიხედვით“, ქართლის სამეფოს ისტორიის შესწავლის შესახებ ქართული საისტორიოს სკოლისათვის დამახასიათებელი ისტორიული რეპრეზენტაციის ფორმები წარმოაჩინა.

მეორე სესიის ბოლო მომხსენებელი გახლდათ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ჩხარტიშვილი. მან მოხსენებაში: „საქართველოს ისტორიის ლიტერატურული წყაროები: *ბედი ქართლისა*, აღნიშნა, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში, კერძოდ, ნაციონალური იდენტობის წრთობის პროცესის შესწავლისათვის, ქართული საისტორიო პრაქტიკაში ლიტერატურული წყაროების გამოყენების მნიშვნელობისა და მათი რელევანტურობის თაობაზე. ასევე, ნიკოლოზ ბარათაშვილის *ბედი ქართლისას* მიხედვით, თავადვე წარმოადგინა „სხვის“ კონცეპტუალიზების კონკრეტული შემთხვევა და განმარტა ამ კუთხით წყაროს რეპრეზენტატულობა.

ორივე სესიის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია, რომლის ფარგლებშიც არანაკლებ საინტერესო თვალსაზრისები გამოითქვა მომხსენებელთა მიერ განხილული საკითხებისა და შემოთავაზებული პოზიციების გარშემო.

სამეცნიერო ნაწილის დასრულების შემდეგ მარიამ ჩხარტიშვილმა, სოფიო ქადაგიშვილმა და ზურაბ თარგმაძემ საზოგადოებას წარუდგინეს ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ ახალი, 25-ე ტომი, რომელიც კონფერენციის მსგავსად მიეძღვნა რევაზ კიკნაძის დაბადებიდან 100 წლისთავს.

კონფერენცია შეაჯამეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგემ მარიამ ჩხარტიშვილმა. ამის შემდეგ ღონისძიება გაგრძელდა არაფორმალურ გარემოში.

ANNUAL CONFERENCE OF IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY, DEPARTMENT OF MEDIEVAL HISTORY OF GEORGIA AND SOURCE-STUDIES DEDICATED TO THE CENTENARY OF THE BIRTH OF REVAZ KIKNADZE (2023)

Zurab Targamadze
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Caucasus University
zurab.targamadze@tsu.ge

On December 22, 2023 annual scientific conference of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies at Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology was held. The scientific event was dedicated to the centenary of the birth of outstanding Georgian historian Revaz Kiknadze.

Twelve scientists, representatives of various universities and research institutions of Georgia took part in the event. The presentations were grouped into two sessions. At the end of each session, there was an interesting scientific discussion on the presented papers. The official part of the event continued with lunch: colleagues now in an informal setting once again remembered their teacher and the famous Georgian historian Revaz Kiknadze.

ოთარ ჯანელიძე – 70

ალექსანდრე დაუშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
adaushvili@yahoo.com

2024 წლის 23 მაისს გაიმართა თვალსაჩინო ისტორიკოსის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ოთარ ჯანელიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საერთაშორისო კონფერენცია.

სამეცნიერო კონფერენცია გახსნა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით კვერნაძემ, რომელმაც პროფესორ ოთარ ჯანელიძეს მიულოცა იუბილე და უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ალექსანდრე მღებრიშვილის სახელით გადასცა მადლობის სიგელი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ პროფესორი ოთარ ჯანელიძე, ისტორიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, აკადემიის საპატიო სიგელით დააჯილდოვა. იუბილარს სიგელი გადასცა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწემ პროფესორმა პაატა სურგულაძემ.

პლენარულ სხდომაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატმა მუსა ჰასიმლიმ; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, სამსუნის 19 მაისის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, იბრაჰიმ თელიოღლუმ; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა; განჯის უნივერსიტეტის დოქტორანტმა ჩინარა საფაროვამ; ახალციხისა და არდაჰანის უნივერსიტეტების პროფესორმა როინ ყავრელიშვილმა; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა მალხაზ მაცაბერიძემ; საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ პროფესორმა მირიან ხოსიტაშვილმა.

მისალოცი ადრესები გამოგზავნეს: ჭიათურა-საჩხერის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა (დათუაშვილი), საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი მიქანაძემ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა აკადემიკოსმა დავით ლორთქიფანიძემ, თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა და სხვ., რომლებშიც ხაზ-

გასმულია პროფესორ ოთარ ჯანელიძის მიერ მრავალი წლის მანძილზე გაწეული დამსახურებული ღვაწლი.

პროფესორ ოთარ ჯანელიძეს გამორჩეული და დამსახურებული ადგილი უკავია საისტორიო საზოგადოებაში. მისი მრავალმხრივ საყურადღებო შემოქმედება მოიცავს საქართველოს XIX და XX საუკუნეების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების აქტუალურ პრობლემებს, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის კარდინალურ პრობლემებს, კვლევებს ქართული ემიგრაციის ისტორიაში (სპეციალისტთა და მკითხველი საზოგადოების დიდი მოწონებით სარგებლობს სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია", რომელსაც ო. ჯანელიძე რედაქტორობს) და სხვ.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის შემოქმედება მდიდარი და მრავალწახნაგოვანია. იუბილარს გამოარჩევს საოცარი პროფესიონალიზმი, რაც მისი მთავარი და ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა. უნივერსიტეტში სწავლის წლებმა, ჩინებულ ქართველ ისტორიკოსებთან მჭიდრო ურთიერთობამ, საკუთარ თავზე პერმანენტულმა მუშაობამ ოთარ ჯანელიძე თავისი საქმის უბადლო სპეციალისტად ჩამოაყალიბა, რასაც დღეს უკვე ქართული საისტორიო საზოგადოება ერთხმად აღიარებს.

უნდა გამოიყოს იუბილარისათვის დამახასიათებელი რამდენიმე მნიშვნელოვანი თვისება:

შრომისუნარიანობა – შემოქმედებითი საქმიანობის მრავალი წლის განმავლობაში ოთარ ჯანელიძემ მკითხველს შესთავაზა 180-მდე სამეცნიერო სტატია, ოცზე მეტი წიგნი და მონოგრაფია, რომელთაგან ბევრი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ყველაფერი ეს მიღწეულია უდიდესი რუდუნებით კვლევა-ძიებისა და სისტემატური შრომის შედეგად.

კოლეგიალობა – კოლექტიური პროექტებში ორგანული და მრავალმხრივ საყურადღებო მუშაობა, თანამოაზრეებთან უკონფლიქტო, საინტერესო და მიზანმიმართული საქმიანობა მისი პიროვნების თვალსაჩინო მახასიათებელია და ის ამითაც არის გამორჩეული.

კომუნიკაბელურობა – იშვიათად მოიძებნება საქართველოში XIX-XX საუკუნის ისტორიის პრობლემებზე მომუშავე მკვლევარი, რომელსაც ოთარ ჯანელიძე არ იცნობდეს, არ წაეკითხოს მისი პუბლიკაციები, არ ჰქონდეს კეთილი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე – მუდამ იყოს „დამაკავშირებელი ხიდი" ქართველი ისტორიკოსების სხვადასხვა თაობასა თუ წარმომადგენელს შორის.

პედაგოგიური ნიჭი – ოთარ ჯანელიძე ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას კარგად უხამებს უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგიურ-აღმზრდელობით საქმიანობას და ახალგაზრდა თაობებს (სტუდენტებს, ასპირანტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებს) გადასცემს იმ უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას, რაც წლების მანძილზე დააგროვა და სხვისთვის ეს ცოდნა არასოდეს ენანება.

მოქალაქეობრივი პოზიცია – არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ოთარ ჯანელიძე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ქმედითი მონაწილეა და გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებ-

ლობის გრძნობთ. მეცნიერის მოქალაქეობრივი პოზიცია კარგად ჩანს სხვადასხვა წლებში პერიოდული პრესის ორგანოებისათვის მიცემულ მის ინტერვიუებში, საჯარო გამოსვლებსა თუ დისკუსიებში. მათში იკვეთება პირუთვნელობა, საღი და გონიერი აზრი, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სულისკვეთება.

ყოველივე აღნიშნული აპირობებს, რომ საქართველოს საისტორიო საზოგადოებრიობამ ღირსეულად და დამსახურებულად აღნიშნოს ეს მნიშვნელოვანი თარიღი და გორში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციაც სწორედ ასეთი აღმოჩნდა – მან ორგანულად შეახამა წარსული – აწმყოსთან, ეროვნული – ინტერნაციონალურთან, საბჭოთა – პოსტსაბჭოთა თემატიკასთან და ამიტომაც სამეცნიერო ფორუმმა საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება დაიმსახურა.

უპირველეს ყოვლისა, კონფერენციაზე იყო მცდელობა კიდევ ერთხელ წარმოეჩინათ პროფესორ ოთარ ჯანელიძის როლი და დამსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე. ამას ხელი შეუწყო მრავალრიცხოვანმა ოფიციალურმა მისალმებებმა თუ ადრესებმა, აგრეთვე პროფესორ ალექსანდრე დაუშვილის მიერ წარმოდგენილმა იუბილარის შემოქმედების მოკლე ისტორიოგრაფიული ანალიზმა .

პლენარული სხდომის შემდეგ, კონფერენციამ სამ სექციად იმუშავა.

სამხრეთ კავკასიაში ეთნოპოლიტიკურ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი მოხსენებები კონფერენციის სტუმრებმა თურქეთიდან და აზერბაიჯანიდან (პროფესორებმა იბრაჰიმ თელიოღლუმ, მუსა ჯაფარ ოღლუ ჰასიმლიმ, დოქტორანტმა ჩინარა საფაროვამ). მათი კვლევების შედეგები ობიექტურად წარმოაჩენდა სამხრეთ კავკასიაში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკურ პროცესებს და განმსჭვალული იყო კავკასიის ხალხთა მეგობრობის სულისკვეთების განმტკიცებისა და გაძლიერების სურვილით.

ქართველი მეცნიერების მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები გამოირჩეოდა საკითხების მრავალფეროვნებით, საყურადღებო ანალიზით და ორიგინალური დასკვნებით.

განხილულ პრობლემებს შორის ჭარბობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიული განვითარების აქტუალური თემატიკა: რუსეთ-საქართველოს, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხები, უცხოელების თვალით დანახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (მხედველობაში გვაქვს მირიან ხოსიტაშვილის, დიმიტრი შველიძის, მალხაზ მაცაბერიძის, მიხეილ ბახტაძის, ოთარ ჯანელიძის, როინ ყავრელიშვილის, დიმიტრი სილაქაძისა საინტერესო მოხსენებები, ჩამოყალიბებული შეხედულებები და დასკვნები).

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საკითხები, რომლებიც ევროპის ქვეყნების ისტორიასა და თანამედროვეობას ეხება, საუბარი იყო ევროპის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ქართულ-ევროპულ ურთიერთობებზე, ევროპაში საქართველოს ემიგრაციის საქმიანობაზე და სხვა საყურადღებო პრობლემებზე (ამ საკითხებს ეძღვნებოდა ელდარ მამისთვალიშვილის, მურმან პაპაშვილის, რუსუდან დაუშვილის, მა-

ნანა დარჩაშვილის, ნიკო ჯავახიშვილის, კახაბერ სურგულაძისა და ივანე მენთეშაშვილის მოხსენებები).

მარიამ ჩხარტიშვილის მოხსენება შეეხებოდა ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის შესახებ ლეონტი მროველის მონათხრობს, ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილისა – ევგენი დალეჯიოს არქივის უცნობ დოკუმენტებს არქიმანდრიტ ნიკოლოზ ნამორაძის შესახებ, კახა კვაშილავამ კი მურზაყან შარვაშიძის ბიოგრაფიის ახალი დეტალები წარმოაჩინა.

გიორგი სოსიაშვილის, ალექსანდრე დაუშვილისა და ლევან ჯიქიას მოხსენებებში განხილული იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის რამდენიმე პრობლემა.

მეტად საინტერესოდ და ორიგინალურად იყო შეფასებული რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც დღესაც ბევრ შეკითხვას ბადებს და ქართველი ისტორიკოსების გამორჩეულ ინტერესს იწვევს. პროფესორმა ავთანდილ სონღულაშვილმა მოხსენებაში შემოგვთავაზა საკითხის ახლებური ინტერპრეტაცია, რაც მნიშვნელოვანი და გასაზიარებელია.

საერთაშორისო კონფერენციაზე ღირსეულად და მეტად საინტერესოდ იყო წარმოდგენილი ლიტერატურათმცოდნეობაც (მხედველობაში გვაქვს: პაატა ნაცვლიშვილის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, გიორგი ხორბალაძის, დავით ჩოჩიშვილის, ქეთევან გიგაშვილისა და გიორგი გოცირიძის მოხსენებები).

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ებრაელთა სოციალური მდგომარეობას ასახავდა დავით ჩოჩიშვილის მოხსენება, ხოლო ირაკლი ჩხაიძის მოხსენებაში გაშუქდა ქართული იდენტობის ევროპული მოდელი ნაციონალიზმის ეპოქაში.

საერთაშორისო კონფერენცია კარგად იყო ორგანიზებული, რისთვისაც კონფერენციის მონაწილეებმა მადლიერება გამოხატეს მისი მასპინძლების მიმართ. უდავოდ მისასალმებელია ისიც და ამან ძლიერ დაამშვენა კონფერენცია, რომ შესაძლებელი გახდა მოხსენებების დროულად და სათანადო დონეზე პუბლიკაცია (იხ. კრებული: „საისტორიო მეცნიერების სამსახურში“, თბილისი, 2024), რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

უდავოა: კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები, ცალკეულ აქტუალურ საკითხზე გამოწვეული დისკუსია და მიღწეული შედეგების პოპულარიზება, მნიშვნელოვნად წაადგება ქართულ საისტორიო მეცნიერების შემდგომ განვითარებას, რაც აღნიშნული კონფერენციის ორგანიზების ერთ-ერთი მიზანიც იყო.

პროფესორ ოთარ ჯანელიძის დაბადებიდან 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიება გაიმართა ასევე, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. 2024 წლის 24 მაისს აქ შედგა შეხვედრა იუბილარ მეცნიერთან და მოეწყო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის – წიგნებისა და სტატიების გამოფენა. შეხვედრას უძღვებოდა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი. იუბილარს მიესალმნენ: პროფესორი ელდარ ნადირაძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი), პროფესორი ალექსანდრე დაუშვილი (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), პროფესორი პაატა სურგულაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია), პროფესორი მიხეილ ბახტაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), პროფესორი ნათელა კაპანაძე (საქართველოს სასულიერო აკადემია), ისტორიკოსი ნუგზარ გელოვანი. აღსანიშნავია, რომ შეხვედრას დაინტერესებული საზოგადოების გარდა სტუდენტობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

Gvorgi Kazishvili
Ibrahim Telliogiu
Prof.Dr. Musa Qasumli
Lenovo
CINARA SAFAROVA

OTAR JANELIDZE – 70

Aleksandre Daushvili
Tsu, Ivane Javakhishvili Institue of History and Ethnology
adaushvili@yahoo.com

On May 23, 2024, was held an international conference dedicated to the 70th anniversary of the prominent historian, Professor of Gori State University Otar Janelidze. The scientific conference was opened by the Head of the Administration of Gori State University, David Kvernadze, who congratulated Professor Otar Janelidze on his jubilee and presented him with a certificate of appreciation on behalf of the Rector of the University, Professor Aleksandre Mghebrishvili.

The Georgian National Academy of Sciences awarded Professor Otar Janelidze with the Academy's honorary certificate for scientific achievements in the field of history. The certificate was presented to the jubilee by Professor Paata Surguladze, Assistant to the President of the National Academy of Sciences. Many interesting presentations were made by the scholars representatives of various research institutes and universities

1924 წლის აგვისტოს აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

ნატო სონღულაშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
nato.songuli@yahoo.com

2024 წლის 20 სექტემბერს თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 100 წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენცია გახსნა და მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა, რომელმაც 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შეფასებაზე გააკეთა აქცენტი. სამეცნიერო კონფერენციის პირველ სხდომას უძღვებოდა თსუ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე ავთანდილ სონღულაშვილი, ხოლო მეორე სხდომას – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, გორის უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ ჯანელიძე.

სამეცნიერო კონფერენციის თემატიკა განსაზღვრული იყო და მთლიანად ეძღვნებოდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას. შესაბამისად, მეცნიერებს საშუალება ჰქონდათ წარედგინათ მოხსენებები საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის შესახებ, რომლის გადააზრება და საფუძვლიანი ანალიზი კონფერენციის მთავარი ამოცანა იყო. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ივანე ჯავხიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების თანამშრომლები, ასევე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

კონფერენციის დასკვნით ეტაპზე გაიმართა საინტერესო დისკუსია, სადაც მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას შორის ნაყოფიერ აზრთა გაცვლა-გამოცვლას ჰქონდა ადგილი. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა და სამეცნიერო წრეებს შორის სამომავლო პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება.

SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO THE 100TH ANNIVERSARY OF THE AUGUST 1924 UPRISING

Nato Songulashvili
TSU, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
nato.songuli@yahoo.com

On September 20, 2024, TSU Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology hosted scientific conference dedicated to the 100th anniversary of the August Uprising of 1924. The conference was opened and the participants were welcomed by the director of the Institute of History and Ethnology Giorgi Tcheishvili.

The topic of the scientific conference was determined and was entirely dedicated to the August Uprising of 1924. Accordingly, scientists had the opportunity to present papers on one of the most important fact of Georgian history. Among participants there were researchers not only from the Institute of History and Ethnology, but from Georgian Technical University and the University of Georgia as well.

საერთაშორისო ვორქშოფი
რწმენის ადგილები, მეხსიერების ადგილები: პრემოდერნული კავკასიის საკრალური ტოპოგრაფია
ავსტრია, ვენა, 2024

ნინო გაბინაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ngabinashvili19@gmail.com

2024 წლის 3-5 ოქტომბერს, ვენაში ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის შუა საუკუნეების კვლევის ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის დეპარტამენტში ჩატარდა საერთაშორისო ვორქშოფი „რწმენის ადგილები, მეხსიერების ადგილები: პრემოდერნული კავკასიის საკრალური ტოპოგრაფია". ღონისძიების მასპინძლები იყვნენ ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია და ვენის უნივერსიტეტი, ორგანიზატორი – ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია, ხოლო პარტნიორები სომხეთის საელჩო ავსტრიაში, ავსტრიულ-სომხური კვლევების საზოგადოება და მხითარისტთა კონგრეგაცია ვენაში. აღნიშნულ ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო ოცმა სპეციალისტმა ავსტრიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, შვეიცარიიდან. მკვლევრები წარმოადგენდნენ მსოფლიოს რამდენიმე მნიშვნელოვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრს: ვენის უნივერსიტეტს, სლავისტიკის რუსულ-სომხურ უნივერსიტეტს, ჟენევის უნივერსიტეტს, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიას, მესროპ მაშთოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტს, კარდიფის უნივერსიტეტს, ფლორენციის უნივერსიტეტს, მონრეალის უნივერსიტეტს, ვენეციის ლა ფოსკანის უნივერსიტეტს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს. ამ ფორუმის მუშაობაში საქართველოდან გვიანი ანტიკურობის პერიოდის ორი მკვლევარი იღებდა მონაწილეობას: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი და ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე მარიამ ჩხარტიშვილი და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი ნიკოლოზ ალექსიძე.

ვორქშოფის ყველა მონაწილე პირადად იქნა მიწვეული ორგანიზატორების მიერ და მათი სამგზავრო ხარჯების უმეტესი ნაწილიც მასპინძლებმა დაფარეს. მონაწილეებს

ცხოვრებისა და მუშაობისათვის ჰქონდათ უაღრესად კარგი პირობები: მათი სასტუმრო მდებარეობდა ზუსტად ქალაქის ცენტრში და უაღრესად ახლოს ღონისძიების ჩატარების ადგილთან.

ვორქშოფი გაიხსნა 3 ოქტომბერს საღამოს მიღებით სომხეთის საელჩოში ავსტრიაში. მონაწილეებს მიესალმათ სომხეთის ელჩი ავსტრიაში ბატონი არმენ პაპიკიანი. დამსწრეებს აგრეთვე მიესალმნენ ვორქშოფის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები: ბენედეტა კონტინი, ლევის რიდი და ანაჰიტ საფარიანი. კონფერენციის წამყვანი მოხსენება გააკეთა ვენეციის ლა ფოსკანის უნივერსიტეტის პროფესორმა ბოგოს ლ. ზექიანმა. ამას მოჰყვა კულტურული პროგრამა და სოციალური პროგრამა ღვინის დაგემოვნებით.

4 ოქტომბერს ვორქშოფი გაიხსნა ოფიციალურად. მონაწილეებს მიესალმნენ ავტრიის მეცნიერებათა აკადემიის შუა საუკუნეების კვლევების ინსტიტუტის ბიზანტინისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი კლაუდია რაფი, რომელმაც მსმენელებს ძალიან საინტერესოდ წარმოუდგინა მის მიერ დაქვემდებარებული სამეცნიერო უჯრედის მუშაობა.

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ანდრეას რობი, რომელმაც ისაუბრა იმ პროექტზე, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა ვორქშოფის ჩატარება: ეს არის ევროპული კვლევების საბჭოს მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი.

ამის მერე ვორქშოფის უშუალო ორგანიზატორები წარუდგნენ აუდიტორიას.

ამ დღის განმავლობაში ჩატარდა ოთხი სესია: 1. წმინდა ცხოვრება, წმინდა ობიექტები, წმინდა ლანდშაფტი, 2. მობილური წმინდანები და ახალი საკულტო სივრცეები, 3. წმინდა ადგილების მახსოვრობა, 4. წმინდა ადგილების გაჩენა და კონსტრუირება სომხეთსა და საქართველოში.

თითოეულ სესიაზე წარმოდგენილი იყო ორი მომხსენებლი დაახლოებით 40 წუთიანი მოხსენებით. მოხსენებების შემდგომ სვამდნენ კითხვებს და იმართებოდა დისკუსია.

დღის ბოლოს კონფერენციის მონაწილენი მასპინძლებმა მიიწვიეს რესტორანში მეგობრულ ვახშამზე.

5 ოქტომბერს გაგრძელდა სასესიო მუშაობა იმავე ფორმატით. ამ დღეს ჩატარდა ორი

სესია: 5. ლოკალური რელიგიები და რთული საკრალური ლანდშაფტები; 6. კავკასიის საკრალური ტოპოგრაფიის წვდომა მატერალური კულტურის გზით.

ვორქშოფი შეაჯამეს მონაწილეებმა. გადაწყდა ვორქშოფის მასალების გამოქვეყნება. ამისთვის ზრუნვა ითავეს ორგანიზატორებმა. და უკვე ცნობილიც გახდა, რომ ამ მხრივ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა ცნობილ გამომცემლობასთან „ბრილი“ და სტატიების კრებული გამოიცემა 2025 წელს.

ვორქშოფის ქართველი მონაწილეების მოხსენებები იყო შემდეგი: ნ. ალექსიძე: „წმინდანები, ობიექტები და ლანდშაფტი მაღალმთიან სვანეთში“; მ. ჩხარტიშვილი: „ქართული ქრისტიანული ჰიეროტოპიის სათავეებთან“. ქართველოლოგიური კვლევა წარმოადგინა აგრეთვე კევინ თუითმა „წმინდანები, იკონოგრაფია, რიტუალური სივრცე: ვერნაკულური რელიგია და ქართული მართლმადიდებლობა“.

ამავე დღეს არაფორმალურ ვითარებაში მონაწილეებმა აზრები გაცვალეს მეგობრულ ლანჩზე. გამოითქვა სამომავლო ურთიერთობის და თანამშრომლობის სურვილი.

ამის შემდეგ მონაწილეებმა მოინახულეს მხითარისტთა ვენის კონგრეგაციის მდიდარი ბიბლიოთეკა და მუზეუმი. უაღრესად საინტერესო ექსკურსიის ბოლოს მასპინძლები სტუმრებს ტკბილეულითა და მხითარისტების სამონასტრო მეურნეობაში დამზადებული სასმელებით გაუმასპინძლდნენ.

PLACES OF FAITH,
PLACES OF MEMORY

PLACES OF FAITH,
PLACES OF MEMORY


PLACES OF FAITH,
PLACES OF MEMORY

INTERNATIONAL WORKSHOP *PLACES OF FAITH, PLACES OF MEMORY: SACRAL TOPOGRAPHY IN THE PRE-MODERN CAUCASUS, AUSTRIA, VIENNA*, 2024

Nino Gabinashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ngabinashvili19@gmail.com

An international workshop *Places of Faith, Places of Memory: Sacral Topography in the Pre-modern Caucasus* was held in Vienna on October 3-5, 2024. It was organized by the Austrian Academy of Sciences with partnership of several academic and social organizations.

The number of contributors was twenty. The specialists were invited from many countries and universities. From Georgia Tbilisi State University Professor and Main Research Fellow of the Institute of History and Ethnology Mariam Chkhartishvili took part in the workshop. Georgia was presented by Nikoloz Alexidze as well – the Professor of Tbilisi Free University.

Session work and social and cultural programs were harmoniously combined. It was decided to continue collaboration in future and publish the papers presented at the workshop.

IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული არქივი გვანებივრებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციით. ინტერესი ამ კონფერენციის მიმართ წლიდან წლამდე იზრდება. არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი. 2024 წლის 10-12 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულმა არქივმა უმასპინძლა რიგით IX საერთაშორისო კონფერენციას, სადაც საქართველოს და საზღვარგარეთის წამყვანი სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტებიდან თავი მოიყარა ორასამდე მკვლევარმა. აღნიშნული კონფერენცია მიეძღვნა ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი აღსასრულიდან 400 წლისთავს. კონფერენციაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევრებს, აგრეთვე დოქტორანტებს და მაგისტრანტებს. კონფერენციის მიზანი იყო:

- სამეცნიერო სიახლეების თავმოყრა;
- ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შორის მჭიდრო სამეცნიერო კავშირების სტიმულირება;
- ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევების ხელშეწყობა;
- კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციის გზების ძიება;
- ციფრული ჰუმანიტარიის სფეროს სიახლეების გაზიარება.

კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული და ინგლისური.

კონფერენცია გამოირჩეოდა მრავალფეროვანი სამეცნიერო მიმართულებებით. თემატიკა მოიცავდა ფილოლოგიას, ისტორიას, წყაროთმცოდნეობას, არქივთმცოდნეობას, ეთნოლოგიას, ანთროპოლოგიას, ხელოვნებათმცოდნეობას, კულტუროლოგიას, ციფრულ ესთეტიკას და დიზაინს, ციფრული არქივებსა და მონაცემთა ბაზებს, კონსერვაცია-რესტავრაციას.

ღონისძიების გახსნის შემდეგ, მუშაობა გაგრძელდა სამ პარალელურ დარბაზში სინქრონული თარგმნის რეჟიმში. წელს 1924 წლის აჯანყებიდან ასი წელი გავიდა, შესაბამისად, ერთი სექცია სწორედ ამ თემას დაეთმო.

კონფერენციის ბოლოს შედგა მრგვალი მაგიდა, სადაც მკვლევრებმა ისაუბრეს XVII-XVIII საუკუნეების კავკასიის და მსოფლიოს აქტუალურ საკითხებზე. დატვირთული სამუშაო რეჟიმის გარდა, კონფერენცია გულისხმობდა კულტურულ პროგრამასაც. კონფერენციის ბოლო დღეს, კონფერენციის საქმიანი ნაწილის შემდეგ, ორგანიზატორებმა ქართველ და უცხოელ სტუმრებს უმასპინძლეს ექსკურსიაზე ანანურში. დღე დასრულდა სასიამოვნო მეგობრული ვახშმით.

კონფერენცია ხელს უწყობს ქართველი სპეციალისტების და უცხოელი ქართველოლოგების თანამშრომლობას, იდეების გაცვლას და სამომავლო პერსპექტივების დასახვას.

EXIT

10-12
ARCHIVAL AND SOURCE STUDIES
TRENDS AND CHALLENGES
2024

THE 9TH INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

THE 9TH INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE *ARCHIVAL AND SOURCE-STUDIES – TRENDS AND CHALLENGES*

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
sopio.kadagishvili@tsu.ge

On October 10–12, 2024 National Archives of Georgia hosted the 9th scientific international conference *Archival Studies, Source Studies - Trends and Challenges.* The conference was devoted to the 400th anniversary of the martyrdom of Queen Ketevan.

Researchers with academic degrees as well as Masters and PhD students were eligible to attend the conference. The goals of the Conference were:

- Compiling scientific novelties;
- Fostering strong scientific collaborations between Georgian and foreign scientists;
- Encouraging cross-cultural and multidisciplinary research;
- Figuring out how to adjust to the modern cultural heritage management requirements;
- Sharing innovations in the digital humanities.

The conference was distinguished by its diverse scientific directions. The topics covered philology, history, source studies, archival studies, ethnology, anthropology, art history, culturology, digital aesthetics and design, digital archives and databases and conservation-restoration.

After the opening of the event, the work continued in three parallel sections with simultaneous translation. The official part of the conference ended with round table presentations, where researchers discussed topics about the Caucasus and world history in the 17th-18th centuries. In addition to the busy working schedule, the conference also included a cultural program. On the last day of the conference, the organizers hosted Georgian and foreign guests on an excursion to Ananuri. The day ended with a pleasant dinner.

მესამე საერთაშორისო კონფერენცია *საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი*

სოფიო ქადაგიშვილი
თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
sopio.kadagishvili@tsu.ge

2024 წლის 1-3 ნოემბერს საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტმა, გოეთეს ფრანკფურტის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ ცენტრთან თანამშრომლობითა და „ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდის“ პატრონაჟით გამართა მესამე საერთაშორისო კონფერენცია *საქართველო და კავკასია – წარსული, აწმყო, მომავალი*. წლევანდელი კონფერენციის თემა იყო ადამიანი და ეპოქა.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციების მასშტაბები უფრო და უფრო იზრდება. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდა თითქმის ორი ასეული მომხსენებელი საქართველოდან, იტალიიდან, ავსტრიიდან, სომხეთიდან, იაპონიიდან, ირანიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ესპანეთიდან, თურქეთიდან და გერმანიიდან. საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომლების გარდა, კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს არაერთი კვლევითი და სასწავლო დაწესებულების მკვლევრები.

სექციებზე წარმოდგენილი მოხსენებები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების საინტერესო საკითხებს მოიცავდა. კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა თემატური სექციაც, რომელიც მიეძღვნა რაფიელ ერისთავის დაბადებიდან მეორასე საიუბილეო წელს. სექციებზე ათობით მოხსნება იქნა წარმოდგენილი, რომელიც რაფიელ ერისთავის მემკვიდრეობას და თანადროული ეპოქის კულტურულ პროცესებს ეხებოდა.

კონფერენციის სამდღიანი პროგრამის დასასრულს „ქართველოლოგიის მხარდამჭერი ფონდის“ მიერ დაწესებული ჯილდო ქართული მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცათ დამანა მელიქიშვილსა და იულონ გაგოშიძეს.

„ქართველოლოგიის მხარდამჭერმა ფონდმა“ თამაზ ბერაძის „შრომათა სამტომეულის“ მესამე ტომის გამოსაცემად მომზადებისთვის დააჯილდოვა პროფესორები ბეჟან ხორავა და თამარ ქორიძე; ხოლო მიხეილ ხელთუფლიშვილის ნაშრომის „საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში“ გამოცემისათვის და ავტორის შესახებ სამეცნიერო ნარკვევის მომზადებისათვის დაჯილდოვდა დოდო ჭუმბურიძე.

დაჯილდოების ცერემონიალი დასრულდა ცნობილი ქართველი პიანისტის, ვალერიან შიუკაშვილმის მიერ ფ. შოპენის, ი. ს. ბახისა და რ. ლაღიძის კომპოზიციების შესრულებით.



THIRD INTERNATIONAL CONFERENCE *GEORGIA AND THE CAUCASUS – PAST, PRESENT, FUTURE*

Sopio Kadagishvili
TSU, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
sopio.kadagishvili@tsu.ge

On November 1-3, 2024, the Tamaz Beradze Institute of Kartvelology of the University of Georgia, in cooperation with the Kartvelological Center of Goethe Frankfurt University and under the patronage of the "Georgian Studies Support Foundation", held the Third International Conference *Georgia and the Caucasus – Past, Present, Future*.

It is pleasing to note that the scale of international conferences held in Georgia is growing. About two hundred speakers from Georgia, Italy, Austria, Armenia, Japan, Iran, the United States, Spain, Turkey and Germany participated in the event.

At the end of the three-day conference program, *Georgian Studies Support Foundation* 's award established for exceptional contribution to the development of Georgian science was given to Damana Melikishvili and Iulon Gagoshidze.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი *წყაროთმცოდნეობა* გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების წარმოდგენაც. ტერმინი *ისტორიოგრაფია* კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით. შესაბამისად, გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლევებს.

რეგიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოვრების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომია ჟურნალის ვებგვერდზე: www.sourcestudies.ge

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი სტატია დაიბეჭდება იმავე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც word ისე pdf ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს რედაქციას, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

source-studies@tsu.ge

სტატიასთან ერთად ავტორებმა უნდა გადმოაგზავნონ განაცხადის შევსებული ფორმა, რომელშიც შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნეს ის რუბრიკა (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები, საერთაშორისო პრეზენტაცია, თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია, წყაროთა თარგმანი და წარდგინება, საარქივო მასალების პუბლიკაცია, კომენტარი, თვალსაზრისი, წიგნების მიმოხილვა, ქრონიკა, ინფორმაცია, ინტერვიუ, ხსოვნა), რომელშიც ავტორს სურს საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნება.

სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში – რუსულად.

სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

სტატიის სათაური.

გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი.

გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

ავტორის აფილაცია.

ინფორმაცია ავტორის აფილაციის შესახებ (ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართიც) უნდა მიეთითოს ავტორის სახელის და გვარის ქვემოთ, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 11.

ძირითადი ტექსტი.

ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12.

შენიშვნები (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

დამოწმებანი (სათაური).

გამუქებული, ფონტის ზომა 12,

დამოწმებანი (ტექსტი).

ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოღებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე. სტატიაში დამოწმებების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 ერთეულს.

ფონტი.

სილფაენი (**Sylfaen**) ყველა ენისათვის.

აბზაცი.

აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ (**tab**), რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

შემოკლებები.

სტატიაში დაშვებულია მხოლოდ შემდეგ სიტყვათა შემოკლებების გამოყენება: იხილეთ – იხ., შედარებისათვის/შეადარეთ – შდრ., მაგალითად – მაგ., ე. ი., სხვ., ა. შ., ახალი წელთაღრიცხვით – ა. წ., ძველი წელთაღრიცხვით – ძვ. წ. სტატიაში კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული თარიღების, ასევე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მითითებისას, ოღონდ მხოლოდ ფრჩხილებში, დასაშვებია შემოკლება შემდეგი ფორმით (სს., ს. წ., წწ.), სხვა შემთხვევაში, ტექსტშიც და შენიშვნებშიც უნდა დაიწეროს სრულად.

სტატიაში სახელების მითითებისას აუცილებელია პირველად ხსენების შემთხვევაში დაიწეროს სრულად, დანარჩენ შემთხვევაში სახელის ინიციალი, მარტო პირველი ასობგერა. მაგალითად, ი. ჯავახიშვილი ნაცვლად ივ. ჯავახიშვილისა. სტატიაში კანონიზებული წმინდანების ცხოვრებების სათაურების მითითების შემთხვევაში აუცილებელია, რომ სათაურის წინ აღინიშნოს მათი წმინდანობის სტატუსი შემდეგი სახის შემოკლებით – წმ.

ციტირება.

ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალით. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეიწიოს აბზაცის დონეზე ორივე მხრიდან, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაიწეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში [...]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აერთებს ტექსტში სხვადასხვა გვერდებზე არსებულ მონაკვეთებს, აუცილებელია, რომ სტატიაში გამოტოვების ადგილები სათანადოდ აღინიშნოს (იხ. ზემოთ), ასევე, დამოწმებაში უნდა მიეთითოს ციტატის საწყისი და საბოლოო გვერდები.

სასვენი ნიშნები.

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს 10000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

რეზიუმე.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თვალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა თარგმნილ იყოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ

ლიტერატურის მითითების წესი.

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი

განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამოწმებანი დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები დასვან ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები

ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი 2009: 5).
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი ერთი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ხელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)
სტატიის ბოლოში, სექციაში **დამოწმებანი**

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბექდეს მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო*, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: 64)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი

ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: M. ChkhartiSvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. Dress and Identity: A Georgian Case Study, *Fashion Through History*: *Costumes*, *Symbols*, *Communication*, Volume I, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastle

ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili),* Tbilisi, Universal.

ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ხელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამოწმება:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ ხელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყაზე*, მთ. რედ. ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.

ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე“ ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.

თარგამაძე 2019: ზ. თარგამაძე. *ქართველთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
დამოწმება ტექსტში: (თარგამაძე 2019: 67).

თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.", ან „კრ".

ამასთან, როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამოწმება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამოწმების წესი:

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).
სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2014: M.Chkhartishvili.Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება" ან ლეონტი მროველი)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

ვ) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საიტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

ზ) სამეცნიერო თარგმანის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელ-გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

ნოსენკო: Е. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, ვებ-გვერდი: berkovich-zametki.com http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm (ნანახია: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შავთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

ზ) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.

GUIDELINES FOR AUTHORS

Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term source is understood in broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute

of History and Ethnology.

Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length:

The length of the papers should not exceed 10000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

Citation Style:

For references and citation authors should use Chicago style: author-date system http://www. chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

Number of references and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 50 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99)33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com